

114
1927

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՏՈՒՐԻՍՏԻԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՁՅՅՈՅ

№ 11-12

1927

პრეტლუცარული ყვლა ქვეყნისა, შერბილით!

საქართველოს
საბჭოთაო



№ 11-12


წელიწადი მეოთხე

ქრველთვიური სალიბრაბურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

ნოემბერი—დეკემბერი

ტფილისი: სახელგამი. 1927.

08895
410



ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიული
ტრესტის მე-8
სტამბა.

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

პროლეტარულ კოესტავს

მაშინ შევხედე თვალუბში სიერცეს
და გულსაც მაშინ მოხდა იარა...
როცა ცისფერად შეღებულ ცაზე
ზარბაზნის ცეცხლმა გადაიარა.

ბაღში დაცვივდა იასამანი.
ასე უეცრად დახმენ რტოები...
და ძმებო, ბედის შეუსაბამო
დაერჩი ოთახში განმარტოებით.

თვალ ვავეებულს დამქონდა სიცხე—
ესჭვრეტდი აზრდილებს და ანგელოსებს
მაგონდებოდა წაქეზების ციხე
და ლეგენდები სამეგრელოზე.

ან გულს ვით ძალუძს რომ არ ყვდებოდეს
და ყვითლდებოდეს ვით ბარათები—
როს გულსაკლავად ეხეთქებოდენ
ფანჯრებს თიბათვის ორშაბათები.

ეფიქრობდი ასე: რა დავაშავე
რატომ მაქვს გზები გადახეული,
რატომ ვიარო ქვეყნად პირშავი—
კაცი გრიგალში გამოხეული.

ავსწევდი გულს და ვეუბნებოდი:
„ძვირფასო ძმაო ლამის და ცოდვის
მეტრდზე ფუტკრები რათ მომაბნიე
თუ ფუტკარივით კბენა იცოდი“

ფიქრებში თრთოდა გულის ფიცარი,
ჩამოსდიოდა ცრემლი ვაზისო...
ჯორჯიაშვილის ნიწას ეფიკავარ
და აფრასიონ მერკვილიძისო.

ეს იყო მაშინ როცა ვარდივით
დამქონდა გული ნისლში ნარევი;
ეხლა კი ძმებო მინდა ვადიდო
მეც თქვენებრ მიწა კომუნარების.

ეშორდები ფშანებს... გზები გადავკლე...
სწვა მუხმანება მე მეგობარი...
მოდით და თქვენთან ერთად დავლიოთ
ჩემი ცოდვების შესანდობარი.

ზამთარი

ვაი, რომ აქაც
მგოსნობის გამო ეგ ლექსად უნდა ვილაპარაკო!
ორ სიტყვას კიდევ რაც იქნებოდა იტყოდა კაცი —
რომ შემდეგ ხალხში გავრცელდებოდა იგავ-არაკად...

ვის რა უამბო... წელს ნოემბერი ვახდა ქარბაღლი!
გუშინწინ თოვდა, — და ლოლიკურად ეგ ზამთარია.
უმზერ ტოტებზე ჩამომსხდარ ყვავებს, — და მართალია
რომ სურათივით ჩემ ფანჯარაში ჰკიდია ბალი. —

აქ უწინ ყოველ შებინდებისას, სანდრო ინაშვილს
ტკბილ მუსაიფით მის მეგობართან ერთად უვლია! —
ებლა ბინიდან როგორ გამოვა, ამ ქარყინვაში,
მით უფრო როცა ყელი მისი სალამურია...

იმას ვამბობდი... ჩემ თვალწინ მარტო ჩამაფიქრებლათ
ხეების ხმელი ძვლები ჰკიდია, — და ირხვეიან...
მაღლა, კანკალით უკანასკნელი ფოთოლი კვდება
და ამოვარდნილ ქარის ხმებია!

ზამთარი დადგა! — ზოგი რომ ქარბუქს ვერ გადურჩება, —
ეგ შეგნებული ექნება ყოველ უბრალო ფოთოლს,
და მხოლოდ მძიმე პორთიქელით გამუღულს, გზაში უბდება
ამის შესახებ ფიქრი და გლოვა ბოლოსდაბოლოს.

მე სხვა მალეღვებს. — როცა რტოებზე
ფრთაშავი ყვავი ჩამოფრინდება მწუხრისას ხოლმე, —
სასიხარულო ყველა გრძობები უმალ მტოვებენ
რომ მწუხარების შიში ვიგრძნო და სიახლოვე...

ყვავი რა ყოფილა! — ამბობენ სცოცხლობს ასეულ წლობით.
ზამთარ თუ ზაფხულ ზემოხსენებულ რტოს არ შორდება! —
მონაწილეა მეფე ერეკლეს მრავალ ლაშქრობის,
ნახა ბრძოლები, და საქართველოს ვასაბჭოება.

რა დროში გინდათ, რომ არ სწყალობდეს მაღალი ღმერთი! —
ეგ აეკაცობა უთუოდ ყველას ვავიგონიათ;
გამარჯვებისთვის გამოსულ გმირის დაჭრილი მკერდი
ამოსაკორტნათ მუდამ ჰქონია!

ყვავს, ვიმეორებ, — კაცი ხომ ვერსად ვერ გადურჩება!
ზის და მიტკერის მოუსვენარი ფრთების სწორობით, —
მოვკლა! — და მთელი ყმაწვილკაცობა შერცხვება ჩემგან;
რომელი ვახდა საცოდაი ყვავზე ტყვიის მსროლელი!

არა, და ბედათ, გარშემო ვინმე არ მეგულება,
რომ მითხრას მაინც, — ამ ლექსის მთქმელი თუ ვარ მართალი,
თუ შეუძლია გაიზიაროს ის დებულება —
რომ გადმომჩხავლა ყვავმა ზამთარი!

რაციონის სანარი განჯანა

ძღვნათ პოლიგრაფტრეტის სტამბის № 6 უჯრედს

1

მე მეგობარო, რომელიც დიდ ბრძოლის მოწმე ვარ, რომლის ძარღვებშიც მიმდინარებს ოქტომბრის სისხლი — ჯერ იმ ბრძოლების მთლიანობის გადმოსაცემად ვერ მომიწახავს სტრიქონები შესაფერისი.

დღეს მუნჯები ვართ ჩვენს ცვალებად აწმყოს წინაშე, ჩვენ ვართ შენობის აგურები შეუღულარი. კუნთებ დაქიმულთ, თავდადებულთ, მძიმე შრომაში უნდა აღმოგვხედეს, დაიბადოს სიტყვა ახალი.

ხედავთ, უფრო მანქანაზე ეაგებ სტრიქონებს; სახით უშნოა, ძველებური და დატანგული. ვინ დამაყვედრის, ამ უბრალო ნივთს რო ვიგონებ, ერთი სიცოცხლის უღელის ქვეშ თუ ვართ გაბმული.

დღეს რაც უბრალოთ და წერილმანად მოგვჩვენებია, მას მომავალი აამალლებს მალალ ხარისხად. ამ ნივთის წინაც მოწიწებით გაჩერდებიან, რომ გააღრმავონ გულში ხსოვნა მებრძოლ ხალხისა.

ერთხელ მანქანა მადლობისა ნიშნად ცეკიდან, იატაკ ქვეშ მყოფ რაიკომმა მიიღო ჯილდოთ. მას აქეთ მუდმივ სამსახურით გადაეცეითა, უსწორო შრიფტი, ზოგან მცირე, ზოგან მოდიდო.

იგი მანქანა — როცა ირგელივ შემოიგარსა გამარჯვებათა ათი წელის მტკიცე კრებული — მე გამახსენდა გამყვირალი დაქრილის მსგავსად, სახე შეშლილი ღითონებით ათრთოლებული.

და მემანქანე, მემანქანე თმა აბურძგნილი, აცეკვებს თითებს შუაღამით, აცეკვებს დღისით... ფიზიოლობს, ისტუმრებს ყოველ ჩვენგანს უკან ღიმილით, ქვით შემოვარდნილს რაიკომში ორდერებისთვის.

— წინა წერტებზე მტრის რიგებში გადაიარა!
 აქ შიმშილობენ, იქ გზებია ღვართი წაშლილი! —
 მანქანა ბეჭდავს, ამ უბრალო, უძლურ იარაღს,
 ემორჩილება შეუბღვრელი ახკომკაეშირი.



წყება სცვლის წყებას. ფარიჯებში გამოხვეულებს,
 — შემატვთ თოვლი და სურნელი მედგარ ბრძოლების.
 ვის გამოარჩევ: აქ ყველანი უსახელოა
 და ყველა ერთად იმედია ახალ ცხოვრების.

გარეთ მძვინვარებს ავი ქარი, კივის ფანჯრიდან,
 ხან ჯაშუშით შესავალთან აიტუზება.
 მანქანა ბეჭდავს, დამტყრული ვიწრო მაგიდა
 რეტ-დასხნულივით იფერდება და ილუნება.

კუთხეში ვილაც საცოდავად კისერს იწვალებს,
 ძილ-მორეული იგინება ათასის რისხვით;
 ცდილობს გაერთოს, ჰკრებს კბილებით ნალექ ნამწვავებს
 და რიგ-რიგობით ჩაშავებულ ჭერისკენ ისერის.

აგერ შეორე უმიზეზოდ გაკვირვებული
 ზის და ბრძანების მოლოდინში თვალი წასვლია.
 კვლავ ჩახ-ჩახებენ ლითონები გააფრთხებული
 და განავებენ ქუჩის ბრძოლას, ქუჩის ხასიათს.

დღეს რაიკომში პარტიბილეთის გამოსაცვლელად
 როცა შევედი, ყოველივე ეს მომაგონეს.
 ამდენი ხანის დაშორება მერგოს სასჯელად,
 თუ კვლავ მანქანავ, სიყვარული შენი არ მქონდეს.

2

მაზელის პირზე რა ხანია სისხლი გამზმარა,
 აღარ გვჭირია რომანტიკა ძველი ბრძოლების.
 აღშფოთებული გეკითხები: — ნუ თუ დაგეტარა
 უილაჯობამ შმორიანი წუმპე-მორევი!

ახალი მტრები, ვინემ ხმალით მორკინალენი,
 ჩნდება და ძველის განახლების მოაქვს ნიშანი.
 ხედავ, მოძვრება ბუნავიდან ობივატელი,
 ტყვიანზე უფრო გამგმირავი და საწიშარი.

ის ცბიერია და პირდაპირ არ გაგიმართავს
 ბრძოლას რომ შესძლო და შეგბა მას რაინდულად,
 ის მოვა შენთან, ვით მეგობარ აღამიანთან
 და მოგაჩვენებს თავს უწმინდესს ძმათ და ერთგულათ.



ის ყველგან არის, მოძრავია მისი კისერი.
ტკბილი სიტყვებით ჯოჯოხეთის კარებსაც აღებს;
გამოცდილია და უხილავ ძაფების ქსელით,
აყვითლებს სისხლით გაწითლებულს ჩენს ბიარალებს.

თაუზე დაგყურებ; შეგიძლია ახალ მტერს გულზე
უწინდელივით დაამჩნიო დიდი იარა?!
ბრაზით ვიესები თვალნი ჩემნი როდესაც უშვებს,
რომ აჩხარუნებ უშედგოთ კიდევ იარაღს.

ერთის დაკვრითა შეიძლება ომის მოგება,
მაგრამ ვრძნობებთან ბრძოლის წესი არის სხვა-გვარი.
როდესაც მტერი ოთახების შიგნით გროვდება,
მაშინ ქუჩაში რათ გვჭირია ძმავ საფარი?

ნუ ხარჯავ ქალაღდს დამიჯერე ეხლა ამოდ,
ნურც გააფუჭებ ლითონების ასოს ხმაურით!
შეჩერდი ცოტა, გადმოვიდა მშვიდი საღამო
და შენს ფანჯარას გადაეკრა თბილ სიყვარულით.

ქარი არ მოსჩანს, გამოაღე ფანჯრის ჩარჩონი,
ქუჩის მთლიანად ყურადღებას ნულარ ითხოვებ;
მითხარ, სანამდი გსურს გიკეპრდე მტვერში ჩახრჩობილს,
პირდაუბანელს და ქუჭყიანს, როგორც მათხოვარს!

ო, დასუფთავდი, ველურობა შენ არ გარგია,
როს ფეთქავს შრომა წესიერი აღფრთოვანებით.
ხმაც შეიცვალე, დღეს ხმოვანი სიტყვის მაგიერ,
უფრო გვჭირია შემპარავი თანხმოვანები.

როცა გვსურს ტლანქ და მოუხეშავ ხეთა მოღუნვა,
მათ ხელი უნდა შევაპაროთ დიდი სიფრთხილით,
თორემ ხელშივე შეგვატყდება და ჩვენი ზრუნვა,
უკვალოდ წაგა შარშანდელი თოვლის ფიფქივით.

მაშ წესრიგისკენ მობრუნებას ნულარ აყონებ,
არ გამოდგება ძველი ცეცხლი, ძველი თრთოვლები.
ახალ მტრისათვის მოიკრიფე მეტი ძალღონე,
მას კიდევ ერთხელ საბოლოოვით შეეებრძოლებით;

ასე თავდება ეს შეხედრა ჩვენი, უბრალო.
მარტო სიტყვების რახარუბით რაღათ ვიწვალო
და უკანასკნელ გაფრთხილებით მსურს დაუბარო,
რომ ძველი შრიფტი უსათუოდ გამოიცვალოს.

ოქსოგბერი თბილისში

ალუბლისფერი გათენდა დილა
 მზე ჰგავდა ახალ ოქროს თუმნიანს.
 მიქონდა ნისლი ვით ბაშბის ფთილა
 მამლის ყივილზე ჩამოსულ ნიავს.
 იშმუშნებოდა თბილისი როგორც
 ბაეში ძუძუსთვის თვალგაბელილი.
 მტკვარო! საიდან ეხლა მოგორავ
 ასე წყნარი და ნაფერი ლილით.
 ალბათ დაგღალა ზაპესთან ბრძოლამ,
 მიეცი გული მთვარეს გაპარულს.
 მზემ უკვე ოქროს ბადე ისროლა
 შენ კი ოცნებოვ ტყვესავით ფარულ.
 ხედავ მომავალ ზალხს და მაყრიონს
 არეს ატოკებს მათი გუგუნნი.—
 უჩვევ სიზარულს ჰეშვით მაყრიან
 და გული მღერის როგორც გუგული.
 დგანან ამქრები ზურნით და დაფით,
 მოწყენას იმათ ვინ დააკისრებს.
 და მამაჩემი მოსული დაბით
 გაოცებული იგრძელებს კისერს.—
 უცქერის, ქუჩა ვით აფრიალებს
 დროშებს განბანილს ცრემლებში ძველად
 და ქალებს წითელ თავსაფრიანებს
 ვით ყაყაჩოებს მოფენილს ველად.
 თავზე დაგვადგა შუადღე ბრწყინვალე—
 იზრდება ქუჩა, ლხინი, ნალარა.
 ცეცხლი ედება ბელადის თვალებს
 და ირგვლივ ფანტავს სიტყვებს ნადაღარს.



მაგრამ დაჰბერა ნიაემა კოჯრის
და როს დავიდა მზე შუბის ტარზე —
ველარ ვხედავდი დროშებს აქოჩრისს
მხოლოდ სიმღერა ისმოდა თარზე.
დაღამდა ასე. პიონერები
არ ასეენებენ ბარაბანს ბარათ.
გამოჩნდა მთვარით რუხი სერები,
შორს კი ღრუბლები ბატკნების ფარათ.
და როს ამალღდა მთვარე მზვერავი
და გაღმოთოვა ქარვის ნათლები, —
იღგა თბილისი როგორც მოზვერი
რქებზე დანთებულ ელვის სანთლებით.

საგჭოთა საქართველო

მკვდარი თვალებით წარსული მიმწერს,
როცა სიცოცხლე გულს მიკოცონებს:
ახალგაზრდული ხედვის გამზირზე
სისხლით ნაფერი ფარჩა მაცვია.
ეკლავდით შავ დღეებს, როს სიხალისე
დროშათ აემართეთ მშობლიურ მკერდზე;
გულს, რომ გვიჩქროლებს მშრომელთ სისხლია
ხედურის სიმკვირცხლეს მზეში დაეძებს.
შენ, მშრომელების მხარე საშობლოვ,
გზებს ნასაკირალს რა დაგვაშორებს?!
წარსულს ვარგუნეთ მკედრული სიმშვიდე
სისხლით და ოფლით მერმისს ვაშენებთ.
ჯერ ყმაწვილი ვარ, ვიყავი ბავშვიც
ჩვენ, როცა ხვედრი მზეს უზიარეთ:
შავი სიცოცხლე ქაობში დაშრა
და გზა გმირულათ გამოვიარეთ.
ვიხაროთ ასე, სიცოცხლით სავსე
სამშობლო ჩემო შრომის ქვეყანავ:
შენ თუ მომავლის სურვილებს მასმე,
მე ხომ სიხარულს მზეებად გაყრი.
აქ ყრუანტელი მკერდში გამოვიღის
გულადგერებით უცქერი ქალაქს—
მზიურ თვალეებით ანთებულ ტფილისს,
რომ რკინის სურვილს ველზე აქანებს.
საქართველოში მოვეალით ღმერთი
ვხედავთ ჯერის ნაცვლად ვარსკლავის ციმციმს;
მშრომელო მხარვე, ვიბრძოდით ერთად,
ბედის ქიდილში გზებს რა შეგვიცვლის?!
აქ მრავალს დარდი გულს უტიალებს...
განადგურდება ვინც ველარ ითმენს,
როცა ქარბნების ისმის გრიალი
მშრომელის მკერდი მზის კოკონს ინთებს.

პოეზიდან — „მსდათეაქსმეაზა“

(ნაწევები)

ბევრია რუსეთში
გზაჭრილი.
რამდენიც გზაჭრილია,
იმდენი სამარეა გაჭრილი.
რამდენი ვერსტი არი—
იმდენი ჯვარი.
ენისეის ველებამდე
ვინ იაროს
ენისეის ველებამდე
ექსიათას ერთი თოვლის ზვინი
არის.

ურალის მწვანე
ფერდი
ქვიანი დაწვა
გვერდზე,
ფერდს იქით ხმაური გააქვს
ტიფას.
რაკი თოვლში იფლობა
ფეხი
სცადე იარე ქვეითად
გზა გასტეხე.

კაი დაგემართოს
ვინც არის ნაწრთობი,

ვისთვისაც ციმბირის გზები
არის ნაცნობი.
მაგრამ თუ დაეცი,
თუ სუსტი ხარ და ვერ აიტანე
შენი დამარცხებით
გაიზარებს მხეცი
ფოცხვერი გიმღერებს
შენ „სულთათხას“.

ღმუის
მრისხანე ქარი
ირგვლოვ დამცველთა
ჯარი
წინ მიაბიჯებს მძიმედ.
თუ შენ ტყე გაძღვეს იმედს,
საშველს მისგან ელი
აიღე თავზე ხელი.

ჯარისკაცისთვის ტყვე
არ არის ძმა.
ან კი რა უნდა ჰქნას
ჯარისკაცმა;
თუ ტყვე არ მოჰკლა,
ვერ გაიმეტა, —
მას მეორე დღეს ელის
დაბერეტა.



მაგრამ
 ნუ იხვე უკას ბრძოლაში
 დე მოკედეს იგი
 ვისაც მიჰყავს მამა
 ტაიფაში.
 და შენ ბორკილთა
 ჭლარუნის ხმაში,
 ვით ბარგუზინის
 ნამჭერის ტულაში,—
 მოსწყედი მამაცად
 ამ ფრიალოდან
 ისწრაფე წინ და
 ურალის იქით
 დაგზედება ოდა.
 ირგვლივ ველებია
 და მდინარე,
 და ფანჯარაში
 შუქ მომთინარე
 როგორც კიანური
 მღერის ბადრი მთვარე.
 ვანა არ არის იქ ყოფნა კარგი,
 საუცხოვოა სიმღერის
 პანგი.
 ურალის იქით მინდორია
 ამწვეანებული
 სიცოცხლეზე ხომ ყველა არის
 შეგვარებული.
 როცა მთვარის შუქი
 ანათებს ჭოხებს
 თუ კი შშობლიური
 ერთობ ყველაფერით,
 გოგონა წარმტაცი
 ეშხის და იერით
 როგორც იასამანი გაზაფხულის
 მიმზიდველი არის;
 თუ კი სურათია ის საშშობლო მზარის
 ნუ არ გვაზარებს
 ჩვენ ხმები სიმღერის?

მძაფრი ქარიშხალით მრისხანებს
 ველი.

მიმედ აბიჯებს მცველი
 სიარულისგან ფეხები დაილოიათ
 თოფები ჰკიდიათ შხარლლიათ.
 თუ გსურს გაქცევა ტყეში,
 თუ ხსნას აქედან ელი,
 იილე თავზე ხელი.

* * *
 ლამის შევიდეს ყინვა
 შიგ ძვალში;
 სკირს სიარული
 ამ ქარიშხალში
 მაგრამ როცა შენ ბორკილებს
 ათრევ,
 თუ კვალად ეტრფი
 დღისა სინათლეს,
 ვანა სჯობია მას
 შლისელბურგი?
 იქ ამტერდები კარებს საკანის
 და გალიაში
 ზიხარ ვით მხეცი;
 მუდამ ერთი გაქვს ფიქრას საგანი:
 შესაძლო არის
 მშობელ მზარეში,
 სტოვორობენ ეხლა სიმწუხარეში.
 შესაძლო არის
 ზუზუნზე ქარის
 უკანასკნელი შე მიკედება
 დღეს მეგობარი.
 მეგობარი თუ დედა
 სულ ერთი არის
 ვინც იყოს მკედარი.
 გსურს გაამტერიო
 ციხის კარი,—
 გაიქცე მინდვრად.

მაგრამ გრძელია ციხის
 საათი.
 მცველებს არ უყვართ იქ
 მასლაათი.
 გამჭრიხა ოვალეები მათი.
 თუ გსურს იცოდე



რა რიგ მნელია
 გაქცევა ტუსალის, —
 მე მოგიყვები
 ამბავს ყაჩაღის.

ისინი იყვნენ ოცდათექვსმეტნი
 კამერა იყო
 ვიწრო მეტის-მეტად.
 არც დასაჯდომი გააჩნდათ
 მორგევი.

გარედ წვიმს
 ფანჯრებს ასველებს თქეში.
 მაგრად და პირქუშად
 სდგას შლისელბურგი.
 ქარიშხალი სჭიმავს ზღვის ტალღებზე სიმს
 წყვილიად ღამეში ზღვა პბორგავს,
 ზენეშის.

ისინი ისხდენ
 ხედათ მწარე ბედი
 რადგან გაბედულ, მამაც ვაჟაკებს
 არ მოუხზრიათ მორჩილად ქედი.
 რადგან ებრძოდნენ უსამართლობას
 ეკოდებოდათ ხალხი ჩაგრული
 და მგრძნობიარე
 თან დაჰყვათ ვული.
 შენ გახსოვს უთუოდ
 ის აჯანყებები
 ათას ცხრაას ხუთის
 ბარიკადების
 ბრაზი და ცოფი,
 როცა ძმამ ძმაზე
 ამართა თოფი.

ერთი იცავდა კანონს
 მისთვის თავდადებული —
 საბრალო მონა
 მეფის ტახტზე შეყვარებული.
 და მეორე კი იმ ტახტს
 ანგრევედა,
 ის არ ინდობდა ძმას
 მტრის სანგრებთან.
 ვანა მართალი არ იყო

იგი?
 შენ გახსოვს უთუოდ
 რა რიგათ
 მათრახს აწივლებდა
 ჰაერში კაზაკი?
 მაშინ ქედმოხრილთა
 დახეთქილ სხეულებს
 სდიოდათ მდლარე
 ყაყაჩო და მიხაკი.

მე ვიცი —
 დანამდვილებით,
 რომ შენც გინახავს თოვლზე
 ის ყვავილები.
 ყველა ჩვენგანი
 იყო მოხარდი,
 პატარა ბიჭობაში
 მეც მიგლეჯია ბარდი.
 ჩვენ შორის ისეთი
 აბა ვინ არის
 რომ არ სდენოდეს
 ცხვირიდან ძმარი.
 მაგრამ იმ ყვავილების
 არა ვარ მნახავი;
 მე მაშინ ჯერ კიდევ
 ბალლი ვიყავი;
 არ ვკითხულობდი ჯერ კიდევ
 წიგნებს.
 მაგრამ იმ ამბებს
 რომ შევსწრებოდი,
 განა მე ჩუმაღ
 გაეჭრებოდი?

ოცდათექვსმეტნი იყვნენ
 ისინი.
 შურისძიების ყველა მათგანს
 ახრჩობდა ენი.
 ყველამ დატოვა
 ქობი, —
 კივი, ნამგალი, თოხი;
 ეზო საყვარელი,

მშობელი კერა,
 მაგრამ არ დავიწყენიათ
 მისზე სიმღერა.
 ერთხელ კომენდანტმა
 ტუსალებს აცნობა:
 —აქ მეტის-მეტი
 გაქვთ ვიწროობა.
 ხუთს მე დავიტოვებ
 ცალ-ცალკე საკანში,
 ოცდათერთმეტნი კი
 წახვალთ ეოვხალში“.

წინ გაშლილი ველია
 თოვლით დაფენილი
 დაჭადრაკული ვაგონი
 მიფრინავს.

ლიანდაგს ღრნის
 ორთქლმავალი.
 ვანა არ იქნება
 შეკითხვა უხამსი:
 —ვაგონი მიმავალი
 მგზავრებს სად ჩამოსხამს?

საქონის
 მისწრაფება

* * *

ბევრია რუსეთში
 გზაჭრილი,
 რამდენი გზაჭრილია,
 იმდენი სამარცა გაჭრილი,
 რამდენი ვერსტი არი—
 იმდენი ჯვარი,
 ენისეის ველუბამდე
 ეჭესიათას ერთი თოვლის ზვინი
 არის.

თარგმანი: გრიგოლ ცეცხლაძის.

რიკორი

არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი და გვარი. ყველა ჩიკოსს ეძახდა. იცოდენ, რომ ცეკიტი და მოუსვენარი ჩიკორი, მუდამ მზად იყო, ყოველი პარტიული დავალება სისწრაფით შეესრულებინა.

არც ის იცოდენ დანამდვილებით, ჩიკორი ქართული იყო, თუ სხვა ტომის... იქნებ სომეხი? ან ბერძენი? ან ოსი?

ახლად გამოღვიძებულ ბავშვის ცქრილა თვალებით, მიმზიდველობას გაგრძნობინებდა. ტუჭებში მუდამ გაბნეული ღიმი უთამაშებდა.

— აბა, ჩიკორ, ნაძალადევში ლავაშები¹⁾ უნდა წაიღო!..

— ჩიკორ! ჩოღურა უნდა ნახო და კავშირთან მიიყვანო!..

— ჩიკორ! ქალაღდი აღარ არის და უნდა მოიტანო!..

და ჩიკორიც ვარბოდა. ვარბოდა, როგორც ვარბიან ბავშვები ენებაში ხელის მოსაკრებად.

მალე ჩიკორი მომუშავეთათვის აუცილებელი კავშირი შეიქნა—სტამბასთან მიჩენილი. არალეგალური ლიტერატურის გადამტანი. პროკლამაციების დამრეგებელი. კავშირი კომიტეტსა და პერიფერიებს შორის—მუდამ მოძრავი და სიცოცხლით სავსე.

დაბალი ტანი. ნოკლე ფეხებზე, ოდნავ გამობერილი მუცელი და ზედ კომპოსტოს თავი—ცქრილა თვალებით—მართლა ჩიკორს მიაგავდა.

არავინ იცოდა, როდის დაერქვა ეს სახელი. იქნებ ეს იყო მოსწრებული სიტყვა, ანახდევულად წამოსროლილი და ერთხელ ნათქვამი—მუდმივ სახელად გადაიქცა. ხოლო სახელწოდება ისე შეეთვისა მას, როგორც თანდაყოლილი თვისება.

არეულ მოსიარულეთა შორის ჩიკორივით მოსრიალბდა შეუშნეველი. კონსპირატიული მუშაობა იზიდავდა მას. და როდესაც კალათში ჩაწყობილ შრიფტს, ზვიდან დაღაგებული კვერცხებით, არალეგალურ სტამბაში მიიტანდა, ამაყად ამოუდგებოდა გვერდში ასოთ-ამწყობს. მოკლე ტანს ზვეით აზიდავდა და გატაცებით მოუხეებოდა, როგორ გამოიტანა ასოები ლეგალურ სტამბიდან, როგორ გაუარა გვერდზე „დვორნიკს“, მერე „გოროდოვოის“ და ვითომ სოფლელი კვერცხის გამყიდავია—ძახდა: „კვერცხები, კვერცხები!“..

¹⁾ პროკლამაციები.





ყოველი შესრულებული, კარგად ჩატარებული საქმე, ახალისებდა. ამაყობით ავსებდა. გრძნობდა, რომ რაღაც შეუმჩნეველი, უხილავი საქმე უკეთებდა. თითქო აღიოდა კიბეზე—მაღალსა და თიანდაზებით დაუენილ სწვერავალზე.

მიდიოდა, თითქო სიცილი მზისა—გულში ჩისწოლოდეს მას. უყვარდა ნათელი დღე და ახნაურებული ქუჩები.

სტამბაში ჩასვლას და იქიდან დაბრუნებას, ისე იყო შეჩვეული, როგორც მოხელე თავის სამსახურის კარებს. და სტამბაში მომუშავენიც სიყვარულით მოვლოდენ მას.

* * *

როგორი გზით მივიდა ჩიკორი სტამბაში სამუშაოთ? როგორ დაიძახებდა მუშების ნდობა და სიყვარული? ეს ხომ არც ისე ადვილი საქმეა!..

ახსოვს ჩიკორს თავისი წარსული. მკრთალად მოიგონებს ხოლმე მამის სახლკარს. ერთი დარაბიანი ოთახი ქუჩის პირად. მეორე—ეზოსკენ საწოლ ბინად.

მამა მისი ჩამტვრეულ ფანჯარასთან ზის დაბალ სკამზე, ქუქუისაგან გაშავებულ დაბალ მაგიდის წინ. მუხლებში წულა ჩაუბლუჯავს და ნევის ყურწში გაყრილ გასანთლულ ძაფს აქეთ იქით გასწევს. ხელებს გაშლის. თითქო საცეკვაოთ ლეკური უნდა ჩამოუაროსო.

ოთახი ბნელია. ტყავის სუნი ასდის. ნაგვით და ნაკუწებით საცევა. ქუქუისაგან გაშავებულ მაგიდაზე ერთმანეთში არეულია სადგისები, ჩაქუჩები, ქლიბები, ვალესილი დანები, სალესი ქვა, ყუთი წვრილი ხის ლურსმებით, ტყავის ნაკუწები და მრავალი სხვა წვრილმანი, საყრავ ფეხსაცმელს რომ სჭირია.

მამის ხელმძღვანელობით ჯღანების კერა, მეზობლის დახმარებით წერაკითხვის შესწავლა და მერე სკოლაში სიარული, საღამოს კიდევ ჯღანების კერა.

როცა წამოიხარდა, მამა ვალოთდა. შვილს ეუბნებოდა სასწავლებლისთვის თავი დაენებებინა და ფეხსაცმელები ეკერა. დედა კი წინააღმდეგი იყო შვილის სწავლის დანებებისა. ამ ნიადავზე მამას ხშირად ჩხუბი მოსდიოდა დედასთან და პატარა ჩიკორსაც მოხედებოდა ხოლმე კეფაში...

მერე აღარ ახსოვს ჩიკორს, როგორ მოხდა ის, რომ სახლს თავი მიანება და მხოლოდ დამ-დამობით შეიპარებოდა ხოლმე დედასთან. მთელი დღე კი წიგნი ეკირა ხელში. და მეზობლისგან წაქეზებული „ვოლნოპრედელიაიუშნად“ ემზადებოდა. მას იტაცებდა ოფიცრად გამოსვლა. ბრჭყეილა ეპოლეტები და ჯარის კაცის მიერ საღამოს მიცემა—ჰხიბლავდა მას. მაშინ აჩვენებდა სვირს კუთხეში მდგარ კუზმა „გოროდოვოის“, პატარაობისას მას რომ ხშირად თავში წაარტყავდა ხოლმე!

აფთოვანებით და მთელი გულისყურით იყო მიცემული სასწავლო საგნებზე და წისი მეზობელი სტუდენტიც, გულმოდგინეთ ეხმარებოდა მას უფასოდ.

— მერე, როგორი აფიცური გამოხვალ, ეგრე დაბალი ტანისა რომ ხარ?— ეუბნებოდენ ხშირად სტუდენტის ამანაგები.

ჩიკორს ძალიან სწყინდა დაბალი ტანის რომ იყო. მაგრამ თავს იმით ინტეგრებდა, რომ იმედი ჰქონდა სწავლით და მეცადინეობით გაეწიო. ნიკიერი და მუყაითი ჩიკორი, სტუდენტის ყურადღების იქცევა. როცა მეცადინეობის დროს მასთან ამხანაგები შეივლიდნენ, უყურადღებოდ არ სტოვებდნენ ჩიკორის მკვირცხლ თვალებს, მის დაკვირვებას, მის შეკითხვებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და ნუღამ მზად იქნენ განმარტება მიეცათ, გაემხნევიანთ და წაექვებინათ.

ჩიკორს ჰბიბლავდა მათი მისდამი კეთილი მოპყრობა და თან ჰკვირობდა, რომ ისინი სხვა ნაცნობებს და მეზობლებს არ ჰგვანდნენ. გაურკვევი და უცნაური იყო მათი საიდუმლო ლაპარაკი. ხშირად აფთოვანებული და ავსნებული. რალაც მუჭარა... იმედი... ვილაკის ბრძოლა, რალაკის წინააღმდეგ და კიდევ ჩორჩული მისთვის გაუგებარ საგანზე...

ერთხელ ჩიკორმა ყურა წაუგდო მათ ლაპარაკს. ახლად მოსული ამხანაგი ტაბტზე წამოწოლილ სტუდენტს და მასთან მოსულ ამხანაგს, აღშფოთებით უცვებოდა ამდღელებელ ამბავს...

ამ ლაპარაკიდან ჩიკორი ბევრ რანეს ვერ მიხვდა. მაგრამ გაიგო კი, რომ რომელიღაც კლავში მუშები დაუხერცტიათ. რალაც ბუნტი ყოფილა. მუშები შეკრებილან. ულაპარაკნით, რალაც მოუთხოვნით და ამისთვის გამოუწვევით ჯარი. ჯარს კი უსერია და რამდენიმე მოუკლავს...

ლაპარაკის დროს სტუდენტის ამხანაგებმა შენიშნეს, რომ ჩიკორი ყურ-მოდგინეთ უსწენდა მათ. განცვიფრებული თვალებით მისცქერდა.

— შენ როგორღა მოიქცევი, როცა აფიცური გამოხვალ, შენც დახერცტ მუშებს?.. — შეეკითხა ერთი მათგანი.

ჩიკორი განცვიფრდა. როგორ, განა აფიცრის დანიშნულებაა მუშების დახერცტა? მერე, რატომ არ იცოდა ჩიკორმა ეს ამბავი? ნეტა რაშია საქმე!.. რას მოითხოვენ მუშები, ან რატომ გსავნიან მათ წინააღმდეგ ჯარს?..

უამრავი კითხვები, გაურკვევი და ბურუსიანი აირია მის თავში.

იმ დღიდან ჩიკორი დაფიქრებული დადიოდა. უნდოდა სტუდენტისთვის გკითხა რამ, პასუხი მიეღო გაურკვევ კითხვებზე, მაგრამ ვერ პბედავდა.

ერთხელ ოთახში რალაც ფურცლები მოიტანეს. საიდუმლოთ ჰკვავდნენ და უბებში იდებდნენ.

როცა ოთახში მხოლოდ მისი მასწავლებელი—სტუდენტი დარჩა, ჩიკორმა ველარ მოითმინა და მიმართა:

— რატომ მეც არ გამიზიარებთ და არ ნეტყვით, თუ რაშია საქმე! მეც მინდა ვიცოდე და თქვენთან ერთად ვიყო....

და ეს რომ სტკვა გაწითლდა და თვალში ნესტი მოეღო. სტუდენტმა შენიშნა გულწრფელობა. გვერდში ნოუჯდა. თავზე ხელი დაუსვა. და მოსუვა ამბავს. ამბავს იმის შესახებ თუ როგორ იბრძვის ჩაგრული კლასი დაწავგრელებს წინააღმდეგ და რომ დაწავგრეულ კლასის მომხრეა თვითმპყრობელობა თავისი უამრავი განდარჩერით და ჯარით... რომ მუშათა კლასი იბრძვის მეფობის დასამხობად და სოციალიზმის დასაწყარებლად.

სტუდენტმა ლოგინის ქვეშიდან ამოიღო ორიოდ წიგნი და მისცა მას წასაკითხად.

აფთოვანებით წაიკითხა „ოთხი ძმა“, „რვა საათის სამუშაო“ და „მეცხრე მამა პურის ამბავი“ და სხვა წითელ კანიანი პატარა წიგნაკები.

ამის შემდეგ ხშირად ჰქონდათ ხოლმე საუბარი აღძრულ კითხვასზე. მაშინ ჩიკორის თვალები ფართოვდებოდნენ. გული ჩქოლავდა და თითქო სადმე მივიწყებული სიმი აელერებულაყვეს, ისე თრთოდნენ მისი კუნთები. ახალი ქვეყანა, ახალი სახეები იშლებოდნენ მისი თვალის წინ.

და როგორც ბავში, ახალ სათამაშო საგანს რომ შეიძენს, აფთოვანებულია და გატაცებული, — ისე დაიარებოდა ჩიკორი იმ საგანთა შორის, რომელსაც ახლა სულ სხვა თვალთ ხედავდა..

სასწავლო საგნების მაგიერ, სხვა გზით მიემართა მისი გულისყური.

და როცა ერთ საღამოს სტუდენტმა მას დაკეცილი პროკლამაციები მისცა და უთხრა რომ მასთან ერთად წასულყო თეატრში ფურცლების მოსაფანტათ, — ჩიკორი სიხარულით აივსო.

კრთომით და აღელვებით ავიდა ტანდარაზე და სტუდენტის ნაჩვენებ ალაგზე დაჯდა. მიცემულ ნიშნის თანახმად, ორივეს ერთსა და იგივე ღროს უნდა გადაეფანტათ პარტერში თან წამოღებული პროკლამაციები.

გული უძგერდა. სცენაზე რა ხდებოდა, ნას არ ესმოდა. უბეში თითქო გასურებული თონე ჰქონდეს ჩადგმული, ისე გრძნობდა პროკლამაციებს. ხშირად მეორე მხარეს მჯდარ სტუდენტისკენ გაიხედავდა! იცოდა რომ პროკლამაციები ფარდის ჩამოშვებისას უნდა ესროლათ და უცდიდა ნიშანს.

და აი, თვალი მოჰკრა ცხვირსახოცის დაქნევას. ხელი უბისკენ გაქანდა. პეპლებსავეთ დაუშვენ დაკეცილი ფურცლები პარტერში, მოტეგუპილი თაფებით რომ იყო სავსე. ქანაობით მიცოცავდნენ სკამებისკენ, ლოყებისკენ, სცენისკენ. ნაფლეთი თოვლივით ერთმანეთში იბნეოდნენ..

არეულობით ისარგებლეს და ორივე უვნებლად გამოვიდნენ თეატრიდან.

ამის შემდეგ დაიწყო მრავალი დავალების შესრულება. კიდევ გაჰფანტა პროკლამაციები ქუჩებში. კიდევ რაღაც ნძიმე კალათი გადაიტანა ერთი უბნიდან მეორეში და ამის შემდეგ ჩიკორი შეიქნა აუცილებელი დამხმარე მუშაკი მომუშავეთათვის...

გულა გაღვებული ცოშივით ჰქონდა, ანაყი და მედიდური მსვლელობა, თვალები გაბრწყინებული...

ასე შესტურდა ჩიკორის პატარა ნავი აღელვებულ ცხვირების ზვირთებში...

* * *

კონსპირატიული სტამბა ქალაქის მივარდნილ უბანში იმყოფებოდა. ქუჩიდან შესავალი ფიცრული კარი ფართე ეზოში იყურებოდა. დაუგველი და უსუფთაო ეზო მითრავებულ კარ-მიდამოს შთაბეჭდილებას სტოვებდა.



ერთ მხარეს მიღმგული გველი ფიცრული შენობა თავლას წაეკვდებოდა. მეორე მხარეს კი, დაბალ კერიანი ყაერით დახურული სახლი, ვერცხლს ეკვებოდა მინგრეული მოაჯირით, — მაღალ იგურობან შენობის კედლის ძირში სოკოსავით მიკრუნჩხულიყო.

დაბალ კერიან სახლის უკან, ტყეჩით და მიწით შეღესილი ოთახი, სამზარეულოს დანიშნულებას ასრულებდა, როგორც ყოველ სამზარეულოში, აქაც საკმელების მოსახარზად „პლიტით“ გამართული დიდი ღუმელი იდგა. მის ქვეშ სარდაფი იყო, ვიწრო და ნესტიანი. სარდაფი საგანგებოთ სტამბისთვის იყო ამოთხრილი. შიგ ჩასვლა მხოლოდ ღუმელიდან შეიძლებოდა. ქვაბის დასადგმელი რგვალი თფვი აიწყოდა, როგორც ჭურის სარკველი და შიგ ძვრებოდენ მომუშავენი, როგორც ძვრებიან ჭურში მრეცხავენი.

სარდაფიდან სასუნთქებად გაყვანილი იყო ვიწრო ხერელი, რომელიც გადიოდა იქვე ეზოში მყოფ ქაში და მის ქვევით ამოშენებულ კედელს, საფეხურად ადგებოდა. აქედანვე სარდაფში მიცოცავდა ნისლიანი ვიწრო შექი. ქაში კი რომ ჩაიხედავდი, მოსჩანდა შავი რგვალი სარკე, რიყის ქვევით, რგვალათ რომ იყო ამოშენებული.

ვიწროსა და ბნელ სარდაფში, დაბალ შავიდახე „ამერიკანკა“ იდგა. იქვე გვერდით ასოების ყლით და ერთი ხის სკამი.

თევზობით მიტოვებული სტამბა, ჩიკორის ხელში გამოცოცხლდა. „ამერიკანკა“ ამუშავდა. სარდაფის ღუმელი დაირღვა და ყრუ ხმაურით აბგვრდა.

რაკილა სტამბასთან იყო მოჩნეული, საკონსპირაციო ხრიკებიც გამოიხატა. ვერც კერეცხებით დალაგებულ კალათში დაპქონდა ფურცლები. შერე კი სხვა ხერხი მოიხატა.

თავლის სახურაფზე გააკვთა ტრედების საბუღარი. ვაამრავლა და შეიჩვია. ტრედებიც გრძნობდენ ჩიკორის კეთილ გულს და რა წამს ეზოში გაივლიდა, ღრუტუნით და ფრთების ფართობლით დაეშვებოდენ მიწაზე და გოგმანით უკან გაჭყებოდენ.

ჩიკორიც ბავშვივით ხალისობდა, ხან ერთს წააელებდა ხელს და ისევ გაუშვებდა, ხან მეორეს...

„ღრუტ-ღრუტ-ღრუტ...“ დაუძახებდა. საკენკს ჯიბიდან ამოიღებდა და თესლივით გაჭყანტავდა.

ტრედებით გარშემორტყმული ჩიკორი, მოღიბარი და ნათელი სახით, ფრთების ტალღების შუა გულში მდგარი, როგორც იალქანი, ხან ატეთ დაიხრებოდა ტრედის დასაჭერათ, ხან იქით. დაჭერილ ტრედს ბოლოში ხელს წააელებდა, ტუზთან ნისკარტს მიიტანდა და ეალერსებოდა, როგორც ეალერსება ახალგაზრდა დედა ბუქუშუოვარ ბავშვს.

შერე ჰაერში შეისროდა და ღიმილით უმხერდა სიერცეში ათამაშებულ ტრედს. ფრთების ფართობლით, პეპელასავით რომ ისევ ძირს დაეშვებოდა.

ან კი როგორ არ უნდა ჰყვარებოდა ჩიკორის ტრედები!.. ისინი ხომ მისი მეგობრები იყვნენ ქირსა და ლხანში. კონსპირაციის დამცველები. გამტანი და მცველები არალეგალურ ლიტერატურის გადატანის დროს...



ჩიკორს ერთი გოდორი ჰქონდა სავანგებოთ გაკეთებული, მისი ძირი ერთი ცილის მანძილზე ფიცრით იყო დაშორებული. ფიცარს სავანგებოთ შორის დატოვებული ალაგი, პროკლამაციებით ან ახლად გამოშვებული ლიტერატურით ივსებოდა. ხევათ: კი ტრედები ფართახალებდნენ. თავზე გოდორს ბადე ჰქონდა წაქრული. ჩაიხედავდი გოდორში და შეაშინედი მხოლოდ ტრედებს...

ჩიკორიც მოიკვებდა ზურგზე გოდორს და გულვიდა თუ არა „გოროდოვოის“—გაიძახდა: „ტრედები, ტრედებიიი!.. ვასაყიდი ტრედებიიი!..“ თან გოდორს გაანძრევდა და ტრედებს გაიფართახალებდა.

ამაყად და მედიდურათ ჩაივლიდა „გოროდოვოის“ გვერდით.

ჩიკორმა ჯამშუმების სასვერაფი ალაგებიც კარგად იცოდა. ამიტომ იქითკენ გავლას ერადებოდა. თუკაც აქ გავლა თუ მოუხდებოდა, არც ამას ინაღვლიდა. კარგად იცოდა, რომ ტრედები მას დაიცავდნენ.

„ტრედები, ტრედებიი!.. ვასაყიდი ტრედებიი!..“ მიდიოდა ტყის კაცივით. თან მიჰქონდა ზურგზე მოკიდებული გოდორი.

როცა დანიშნულ სახლს მიუახლოვდებოდა, სავანგებოთ შედიოდა მახლობელ ეზოში, გაივლ-ვამოივლიდა და გაიძახდა: ტრედები, ტრედებიი!.. თუ მყიდველი გამოჩნდებოდა, ტრედებს აჩვენებდა, ძვირს დაუფასებდა და ისევ უკან გამობრუნდებოდა.

მერე კი კონსპირაციულ ოთახში ლიტერატურას დასტოვებდა და კვლავ ტრედებით უკან ბრუნდებოდა...

* * *

ქალაქის განაპირა უბანში, ვბელი, მაღალი კედელია და ამ კედლის შიგნით გაქვართლულ შავ შენობის მაღალი ბუხრიდან, შავი კეპლი გველივით ესხვევა, გუნდასავით გორობს, ზანტად მიიზლასნება და მერე ღრუბელივით იფანტება კამარა სივრცეში.

შუა ალაგას კედელს დატანებული იქვს მაღალი, შავი ალაყაფის კარი. მიდამოც შავია და ქუჩაც შავი ტალახით ასვრილი. კედლის ძირს მიყვება ვიწრო ქვაფენილი. ქვაფენილს მისდევს შავი წერტილივით ვინმე ქუდნამოფხატული. კედლის შიგნიდან მოისმის გუგუნის და მანქანების ხრიალი. ხმაური ურუა და უხეში, თითქო რკინის ვალაში მბეცები დაუნწყვედევით და შიშვილისგან ღრიალებენო. შიგ და შიგ ჰაერს გააპობს წვრილი აკვიატებული სტვენა.

ქუდნამოფხატული ალაყაფის კარში შეიხედავს, მერე ისევ გზას გაანაგრძობს. კვლავ შეჩერდება, თითქო უცდიდეს ვინმეს.

მაღე შენობის სახურავზე აწოწილ მილიდან მხეცის ხმის ღრიალი ჰაერს გააპობს. შურდულივით შეიჭრება სივრცეში და მიდამოს გააყრუებს. როცა ხმა მიწყდება, აკვიატებული სტვენა შეჩერდება.

შემდეგ ალაყაფის კარი გაიღება. ეზოში გაფანტული შავბლუსიანები გამოჩნდებიან. მერე ალაყაფის კარში გაიქედებიან, როგორც ღარში გაშვებული წყალი.

ქუდჩამოფხატული გაღებულ კართან აიტუზება. შავბლუზიანების ნაკადში შეერევა. უბიდან დაკეცულ ფურცლებს იღებს და ხელში აჩრის. შავბლუზიანების ნაკადში უფრო დაკეცული შრიალით ჯიბეში მიდის.

შავი ნაკადი შავბლუზიანებისა მიიხლანება. ქუდჩამოფხატული მათ შორის დაკოცავს და თეთრ ფურცლებს გააქვს შრიალი. არავინ გკითხება ვინ არის, ან რა ფურცლებია. მხოლოდ ერთი მიუხალოდებდა და მზრუნველობით ეტყვის: „ჩიკორ! ფთხილად იყავი, „დგორნიკი“ გიკეკრის!..“ ჩიკორი ამას ყურადღებას არ აქცევს. როცა უბეს დაიცილის, მუშათა ჯგუფს მოშორდება და გაყვება გზას.

მეორე დღეს სახელოსნოში გაფიცვა გამოცხადდა. მას მოჰყვა გაფიცვები სხვა ქარხნებსა და სახელოსნოებში.

უხილავი ძალით ენთებოდა კოკონი შურისძიებისა და აფთოვანებული გული მუშისა ემზადებოდა მომავალი ბრძოლისთვის.

გაფიცვები მრავალრიცხოვან მიტინგებში გადადიოდა. მიტინგები — ქუჩის დემონსტრაციებში...

აგორებული ტალი მიარღვევდა გაუყვლეველ გზას და არავინ იცოდა, ხვალ როგორ სახეს მიიღებდა იგი, როგორი იქნებოდა მისი გეზი...

* * *

ფართო მასისთვის უცნობი იყო ჩიკორი. მას ვერ ნახავდით კრებებზე. ვერც მის კალმის ნაწერს წაიკითხავდით საღმე. ყველას არ შეეძლო მისი გაცნობა, მისი ნახვა, მისი ნამუშევარის შეფასება. თხუნელასავით ძვრებოდა ხერულში და ბნელი სარდავიდან ამოტანილ ცივი წყლის წებუებს ასხურებდა ფართო მასებში, თვით კი უხილავი რჩებოდა.

მუშაობდა. მუშაობა ახალისებდა მას, ახარებდა... და თითქო დედამიწისა ც უხაროდა, რომ ის მის ზურგზე დაიარებოდა. მჩატე იყო მისი ნაბიჯი და სხვისთვის ძნელი, გაუბედავი საქმე, მისთვის იოლად ტარდებოდა.

ერთხელ ჩიკორი დაღვრემილი ჩავიდა სტამბაში.

— რა დაგენართა ჩიკორ! რატომ ხარ ეგრე დაღვრემილი? — შეეკითხა მას ასოთამწყობი.

გაჩუმებული იდგა, რაღაცას ფიქრობდა.

— არ იტყვი, რა დაგემართა?

— არ ვიცი, პეტრე! იქნებ ეცდები, მაგრამ მგონია დღეს ხიფათი რამ უნდა მოელოდეს ჩვენს სტამბას!

— რატომ, რაშია საქმე?

— უკანასკნელი ორი დღეა ვამჩნევ ჩვენ ეზოს შხვერავე თვალი დასტრიალებს. დღეს კიდევ, სანამ ეზოში შემოვიდოდა, კუთხეში ერთი კაცი შევამჩნიე. მე რომ დამინახა, შეინძრა, მეორე მხარეს გაბრუნდა. მერე სტვენა დაიწყო, ვითომ აქ არაფერი იყო, ჯობი შეათამაშა.

მე უკვე ეზოში ვიყავი, უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ტრედებისკენ წავიქციე. თვალი იქითვე მგვირა. ორი კეპკიანი ეზოს კარს მოადგა, შემო-



იხედა. ტრედებს საყენს ვუყრიდი, ისინი კი სახლისკენ იქცეოდნენ. რუსეთის რევოლუციის ლაშქარის მეთაურები.

— ეს თუ ვგრევა, ამაღამ სტამბა უნდა მივატოვოთ!..

— შერე?

— შერე, თუ ამაღამ არ მოვიდნენ და ბინა არ განჩირიკეს, ორი სამი თვე უნდა დავეცადოთ! შერე კი ისევე განვახლოთ მუშაობა, ან სხვაგან სადმე გადავიტანოთ. წავეიდეთ, ნულარ ვაყენებთ!..

არა! ჩიკორი არ წამოვა! როგორ მიატოვებს სტამბას!.. აქ დარჩება! მთელი ღამე არ დაიძინებს და თვალყურს ადევნებს... როგორ შეიძლება ასე უცერად მუშაობის შეჩერება! ტრედების ობლად დატოვება! ეს ხომ შეტ ექვებს გამოიწვევს! არა, არა! ჩიკორი დარჩება აქ და ვნახოთ რაც იქნება!..

სამხარეულოში შვეა. ღუმელის სარკველს დახურავს, კარს გამოიკეტავს და ოთახში გამოვა.

ოთახი ბნელია. გარემო ღუმელით მოცული. იშვიათად მახლობელ ქუჩაში გახრავუნდება დანჯღრეული ეტლი. ჩიკორი შარტია და ფანჯრიდან გასცქერის ბნელ სივრცეს.

არ ფიქრობს იმაზე, რომ ის საფრთხეშია, რომ შეიძლება თავისუფლება მოესპოს. ციხეს მიადგეს, ბორკილებს, გადასახლებას, კატორღას...

არა, ის ფიქრობს იმაზე, რომ საჭირო შეიქნება სტამბის გადატანა. ფიქრობს ინტენსიურად. გონების თვალით ეძებს ალავს, სადაც შეიძლებოდა სტამბის მოწყობა.

ერთი რამ ძლიერ აღონებს ჩიკორს, — „როგორღა მოეწყობა მტრედების ბინა“.

გარეთ გამოვიდა. აივნის მოაჯირთან დაჯდა.

ქუჩაზე შეწყდა ხმაური. არსაიდან ხმა, ებლა უფრო გამახვილებით ნიპაყრობს გულისყურს ღუმელით მოცულ სივრცეში და ელის ჩექმიანების მოახლოებას, მოპარვით კარის გაღებას.

ქალაქის შუა გულიდან, ყრუ ხმა და გრუხუნე მოისმის. ეზოში კი შავი ღანდები გაფანტულან. გარინდული და უძრავია ყოველივე. დროსაც თითქო დაპკარგოდეს მსვლელობის გზა, შეჩერებულა... და ჩიკორმა არ იცის, კიდე რამდენი ხანი დარჩა გათენებამდის.

აივნის მოაჯირს მიეყუდა და ფიქრთა მსვლელობას მისცა თავი... ოცნებაში შეეცურდა...

სარდავში მდგარი „ამერიკანკა“ მის თვალში სხვა სახეობას ღებულობს. ოცნება მისი იზრდება, ფართოვდება... პატარა ბნელ სარდაფის მაგიერ — ელექტრონით განათებული დიდი დარბაზი. „ამერიკანკის“ მაგიერ, რიგად ჩამწყობიებული დიდი საბეჭდავი მანქანები... ყოველი მანქანა მოძრაობს. თასმა სრიალებს, ბრუნავს, ხმაურობს და ათასობით დაბეჭდილ ფურცლებს შრიალით და ფრენით ერთმანეთზე აწყობს. დაწყობილი ფურცლები მეორე ადგილს სათითაოდ იკეცბენ. ეზოში აშვერილი ათასი ხელი, მას ელოდება. უცბად ხელეში შეინძრევიან, ტალღასავით ერთმანეთს მიაწყდებიან. ფურცლები ხელეში შრი-



აღს დაიწყებენ და გაქანდებიან ქუჩებისკენ, მოედნებისკენ, იმ პარკებში, სადაც ხალხია. ყველა კითხულობს, ყველას თვალები ესილება დამაზავებელი გულში ეფინება...

ჩიკორიც იქ არის! ალუღებულ ხალხს წინამძღვრობს...

თავები მოვარდნილ ნიაღვარსავით ქუჩებს ავსებენ, ქანაობენ. ხალხი ბობოქრობს. ჯერ ნელი ნაბიჯით, მერე კი აჩქარებული ზეირთივით, ციხისკენ მიეშურება... ციხის კარები იმსხვრევა, დარაჯები ფეხტევშ ითელებიან და განთავისუფლებული ამხანაგები ნავებსავით მისცურავენ ზევით აწეულ ხელებზე.

ყველას გული ხარობს. თვალები სიხარულის ცრემლებით ივსება. ჩიკორის გულიც ფეთქავს. ყელში ბურთი მოაწვება, თვალეში — სიხარულის ცრემლი.

ფიჭვებისგან გონება იღვლება. თვალეში ეღვლება. წყნარი სიო ურრებს მიეაღვრება, თითქო ჩურჩულით ნანას ეუბნებაო... და ჩიკორიც მიიძინებს...

ღამე ბნელია და ყურყურტი. დემილია გარშემო და მხოლოდ ცელქი სიო ცელქობს და შმაგობას უმატებს.

ზაფხულის მოკლე ღამე, თავის სიბნელეს ჯერ კუთხეებში მიშალავს, მერე იჭიდანაც გაიპარება. ეხლა სიო უფრო ცივია. რაკილა ღამეს დასჯაბნა, გახელებულია, ხტის და მოუსვენრობს.

ჩიკორსაც მიუხატება. ხალათს აუწვევს. უღიტინებს სხეულში მისრიალებს. შეაყრეოლებს. ათრთოლებული შეინძრევა, თვალებს მოიფშენეტს...

სუბად წამოხატება. მიდამოს მიმოათვალიერებს და გულიც აუჭქოლდება.

თვალი მოჰკრა მთის მწვერვალზე აღისვრად გაწოლილ ზოლს. მალე ზოლი გაქრა და მის მაგიერ, თეთრი შხეფები, პურის თაველის კონასავით — ჯილად დაადგა მწვერვალს. მერე ეს კონა პროექტორის სვეტივით ნელნელა დაეშვა მთის კალთაზე და ხეების ჩრდილები გააგძელა. აბრეშუმის ძაფის ზოლებად გაება ტოტებში, აიქარგა.

მალე მოედო სახლის სახტრავებს, ბუბრის თავებს. თონეში ავირდნილ აღისავით, ფანჯრის მინებში აპრიალდა. ღღავნისავით სახლის კედლებს გაეკრო.

ჩიკორი ვაცქეროდა სურათს და განცვიფრებული თავის თავს ეკითხებოდა: ნუ თუ ყოველ დღე ეს სილამაზე მეორდება? რატომ არ შეუმჩნევია სხვისი?.. და თითქო სამყაროს ეზიარაო, ღრმად წავიდნენ მისი თვალეები უპეებში...

იმ დღეს და მეორე დღესაც ჩიკორი სტამბას არ მოსცილებია. კიდევ შეამჩნია კარტუხიანი ჯოხის თამაშით გავლილი. კიდევ დაინახა ორი საეჭვო პირი, ეზოსკენ რომ გამოიხედდეს და თვალიერება დაიწვეს.

მესამე დღეს კი, ჩიკორივით დატრიალდა. რამდენჯერმე მივიდა სტამბაში, რამდენჯერმე დატვირთული გამოვიდა, გოდრით ტრუდები წაიყვანა. საღამოს სახლი დაკეტა. მიატოვა...



ეროვნული
გინაზიონი

ახლა ახალი ხანა დაიწყო ჩიკორის ცხოვრებაში. უფრო ცოცხალი, სერიოზული, პასუხსაგები, საქირო იყო მოქმედება რეალური და ისიც მოქმედებდა.

საქირო იყო იარაღი, ბომბების კეთება და ისიც ეძებდა საწყობს იარაღისთვის. აგროვებდა თოფებს, რევოლვერებს, ტყვიებს... შეისწავლა ბომბის კეთება და ამ საქმეს მიეცა მთელი თავდავიწყებით.

ახლა უფრო ცოცხალი იყო მისი თვალები. ნაკვერჩხალივით ღვიოდა თვალის ჩინი.

მოძრაობაც ვალდებდა: გაფიცვები, მასიური კრებები, დემონსტრაციები, გლეხთა მიტინგები,—გაზაფხულის ნიაღვარივით მოედო არეს. აღლვებულნი ტალღებივით მიარღვევდა დახუთულ ცხოვრების კალაპოტს და სანაპიროებს ანგრევდა.

— ჩიკორ! ახლოვდება, ახლოვდება სანატრელი!—ეტყუადენ ხოლმე იმხანაგები.

— აბა, კერას დემონსტრაცია უნდა მოეწყოს ერცენის მოედანზე, შენ იცი როგორც დატრიალდები!..

და ჩიკორივით ტრიალებდა, მიდიოდა ერთი უბნიდან მეორეში და პროკლამაციები მიჰქონდა, სძებნიდა და პოულობდა ბინებს კრებებისთვის. მიჰქონდა აშმაგი ერთი ქარხნიდან მეორეში. მიდიოდა კრებებზე და თან მიჰქონდა გული—კოცონის ასანთები ცეცხლი.

სადემონსტრაციო ღლე დაინიშნა. შედგა ცენტრალური ჯგუფი: მედროშე, დამხმარე, კავშირი.

ერთი რამ დააეწყდათ და ეს იცოდა მხოლოდ ჩიკორმა. არც არავის ეტყვის, სანამ დრო არ მოვა! მხოლოდ იმ დღეს გაიგებენ მის გეგმას და მაშინ ნახონ თუ რა ყოფილა ჩიკორი!..

საიდუმლო გულში აქვს ჩაბეჭდილი და ზვიადია, მედიდურია ჩიკორი! იცის რომ გაიმარჯვებს, მტერს თვალებს დაღუნებს და ამხანაგებს კი გააკვირვებს!.. ოო!.. ოლონდ მოგროვდენ! ოლონდ არ ჩაიშალოს განზრახული!..

და ეს საიდუმლო რომ გულში დაიქვს დამალული, პურისკომივით გაღვივებულია მისი ველი. ამაყია და სიბარულისგან უელში პურთი აქვს დაცობილი. არა, ჯერ არავის ეტყვის!.. იმ დღეს კი... ოო... როგორ განცვიფრდებიან ამხანაგები! რატომ სხვებს არ მოსდით თავში ეს აზრი... რატომ არ ფიქრობენ ამ მომენტზე და ოცნების სფეროში შესეკურავენ ჩიკორი!..

ეი! თქვენ არ იცნობთ ჯერ ჩიკორს! ბრძოლას ხერხი უნდა და ეს ხერხი ჩიკორის ხელშია!

ჩიკორი გულწრფელია! ატაცებულია. აფთოვანებული! მის გულში ათასი ზრახვებია მიჩქმალული. მისი არსება ერთი მიზნისკენაა გასწრაფებული... და დიდიც ხომ ისაა, ეინც მთელის არსებით ერთ საქმეზეა მიცემული... დაე, ნუ დაინახავენ ჩიკორს! ნუ შეამჩნევენ მას... სხვები იყვნენ შემჩნეულნი: მოლაქლაქე და მეტოხრები... ჩიკორი საქმის კაცია! ეს აბალისებს მას, ეს იტაცებს მას...



იმ დღეს მზიანი დღე იყო! თბილისის მოსახლეობა გოლოვიჩის მანქანებზე ჩვეულებრივად კვირა დღის სეირნობით თავს ირთობდა.

სასახლის ქუჩაზე, ორღობეში გავლილ ნახირივით იჭედებოდა. ნაკადი ვრე-
ენის მოედანს უახლოვდებოდა და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა.

ჯერ კიდევ თორმეტი საათი არ იყო დაწყებული, რომ ნაკადს შავბლუ-
ზიანები მიემატენ. ქაშარ შემოხსნილები, ხელში შინდის კეტებით,— ყვავები-
ვით გაერივნენ მოსვირნე ხალხში.

დემონსტრაცია ვრეენის მოედანზე უნდა მომხდარიყო და ამიტომ შავბლუ-
ზიანებიც იქით ეტანებოდნენ.

მოედნის ერთ მხარეს, ალაყაფის კარის შიგნით— ეზოში, ცხენოსანი ყა-
ხახები შენიშნეს.

— ბიჭო! ვაფიკით და მზათ არიან! — ეუბნება ერთი დემონსტრანტი მე-
ორეს.

— მერე, არ იცოდი, რომ ეს ასე იქნებოდა?

— მაშ, რა უნდა ვქნათ ახლა?

— მაინც უნდა შევეჯგუფოდეოთ და მოედანზე გადავიდეთ!

— კი, მაგრამ როგორ?

ეს კითხვა აწუხებდა ყველას.

მოედანი და მახლობელი ქუჩები, საესე იყო „გოროდოვოებით“.

თორმეტი საათი ახლოვდებოდა. გაფანტული დემონსტრანტების ერთად
თავის მოყრა შეუძლებელი ხდებოდა. ჯგუფი ვერ მოასწრობდა მოედანზე გა-
დასვლას, რომ უნალ ვაფანტული იქნებოდა.

არჩეული ცენტრი დაბნეული დადიოდა და არ იცოდა, რა განკარგულე-
ბა გაეცა.

და უცბათ ვრცელდება ხმა: „უცადეთ ტრედების აფრენას! ეს იქნება ნი-
შანი, როცა მოედანზე უნდა გადავიდეს ყველა!!!“

— როგორ ტრედები!

— ჰო, ნამდვილი ტრედები!..

— მაშინ უნდა ვისუვლოთ და გადავცვივინდეთ მოედანზე...!

— მერე, ვინ მოიგონა ეს ამბავი?

— რას კითხულობ, ვინც მოიგონა, ხომ კარგია!..

— დიდებულა, დიდებული!..

ეს ენობა სიოს ჩურჩულივით გადადის ერთი პირიდან მეორეში და დე-
მონსტრანტების თვალბეც ბრწყინდებიან.

ყველა ზეგით იტკირება და მოელის ტრედების აფრენას. ეხლა კი მოას-
წრებენ დროშის აწევას. ერთს მაინც გაიეღიან და მერე კი... სხვა რა უნდათ
დემონსტრანტებს!..

ვინ შეამჩნევს დაბალ ჩიკორს, ზურგზე გოდრით მოკიდებულს! ისე მიდის
კედელ-კედელ თავნაღუნული, თითქო რამე დაპარაკვია და ეძებსო. აგერ მოუა-
ხლოვდა ნაცნობ ჯგუფს.

— აბა, ჩიკორ, დროა!..



და უცბად ათეული ტრედის ფრთები გააპობენ ჰაერს, მისი ფერ-
ცლებივით სივრცეში ქანაობას დაიწყებენ. მერე ნახლობენ მსხურა-
ვებისკენ გადაიფრენენ.

შავბლუზიანების შორის შეიქნება ჩოჩქოლი. მაინც ვერ მხედავენ მოედან-
ზე გადასულას. ერთი წუთი ყრუ სიჩუმე ჩამოვარდება, როგორც ქარიშხლის
წინ... ტორტმანობს გული. სცემს. ფეთქავს...

და უეცრად შეამჩნევენ, მოედნისკენ ვინმე ქულჩამოუხატული გარბის. მარ-
ცხენა ხელში გოდორი უჭირავს და ტრედებს აფრენს სივრცეში...

უეცრად, თითქო ელექტროს ტოკმა დაიარა სხეულშიო, სხვადასხვა
მხრიდან მოედნისკენ მოკაუჭებული ფეხებით მირბიან შავბლუზიანები. უცბად
შეიკვრის ჯგუფი და სივრცეში აფრიალდება წითელი დროშა, მის გარშემო
აშვერილი კეტები...

ერთსა და იმავე დროს შეიქნა სტვენა. ყვირილი. ძახილი. ნოკირწყლულ
მოედანზე გაიმართა სირბილი, ცხენების თქარა-თქერი. სივრცეში აშვერილი
მათრახები, ხმლები.

მკერდიანი ცხენები შეიკრებიან კეტთანების ჯგუფში. ზურგებზე და ცხვირ-
პირში ელვარებს მათრახი... ძირს დაეცემა შავბლუზიანი და მის გულზე აპრი-
ალებს ცხენის ნალი.

აირევა ერთმანეთში, — ცხენის თავები და გასისხლიანებული ცხვირპირი.
კეტები და ხმლები. კრილი და გვერდული. შეძახილი და კვნესა...

მალე მთავარი ჯგუფი ვაიფანტება. შეტორტმანებული დროშა ძირს ეშვე-
ბა. შეიქნება ჯგუფური შეტაკება.

უკვე მიათრევენ დაკვირილებს. ერთმანეთს შველიან. არ ანებებენ... ისევ
გარბიან... შორიდან იმუქრებიან, ილანძვებიან, ივინიებიან...

ჯგუფობრივი შეტაკება გაქრება. დაილეკება, როგორც ნიაღვარის წვრი-
ლი შტოები.

ასლა მოედანზე მხოლოდ ცხენები დათარეშობენ.

მიჰყავთ დაკვირილები, „გოროდოვოები“ ისწორებენ ქუდებს, კაკარდებს,
გვერდზე მოვარდნილ ხმლებს და ქამრებს.

მოედანზე შეამჩნევთ მიტოვებულ ქუდებს, კეტებს და... გოდორს...

მოსეირნეთა რიგებიც დაიშალა. ქარისაგან დაშინებულ წიწილებსავეთ
ყველამ თავის საბუდარ—სახლს მიაშურა...

* * *

რა შინაგანი უხილავი თვისება იყო ის ძალი, ჩიკორის ბუნებას რომ და-
უფლებოდა და მის გარშემო მყოფ ამხანაგებს პიზილაედა, თავს აყვარებდა?
გაცნობისთანავე, მისი კეთილი, სანდო სახე, იმედს ჩაგისახავდა გულში.
უცნაური ძალით მოგხიბლავდა ცქრილა ბავშვის, სიცოცხლით სავსე თვალები,
სეუდასა და ბოლმას გაგიქარებდა.

ციხის მოდუნებული ცხოვრება ცოცხლდებოდა, როცა ამხანაგები ჩიკორს
შემოესეოდნენ და სჯა-ბაას გამართავდნენ.



- ჩიკორ! სად არიან ბიჭო, ახლა შენი ტრედები?
- ალბად ზუკას გაფრინდენ და ახლა იქ ლმერსის წინააღმდეგ აჯახებენ ანგელოზებს!..
- ვაი, თუ ისინიც დაიჭირეს და ჯოჯოხეთში გადაასახლეს!
- იმით რა უჭირთ! ჯოჯოხეთიდანაც გაფრინდებიან!
- იქაც მოაწყობენ დემონსტრაციას...
ხუმრობდენ მის გარშემო ამხანაგები.
- მერე, ჩიკორი რომ იქ არ ეყოლებათ?—პატარა სირუმის შემდეგ წამოიძახა ერთმა.
- ამ კითხვამ ხუმრობის კილო თითქო შესცვალა, ფიქრთა მსუელელობას სულ სხვა გზა მისცა.
- შოდი ბიჭო, როგორნე მოეახერხოთ ჩიკორის განთავისუფლება! ხომ იცით მაგას ყველაზე მეტი სასჯელი მოელის!
- მართალია, მართალია!..
- მერე სწორედ ახლაა ნამდვილი მუშაკები გარეთ საჭირო...
- ჩიკორი იღიმოდა. გული კი დაჭერილ ტრედებით უცემდა.
- მუსაითმა სერაიოზული ხასიათი მიიღო. ყველა თავის პროექტს იძლეოდა. ზოგი ხერხელის გაკეთებას აპირებდა, ზოგი ხედამხედველის მოსყიდვას, ზოგი გალავანზე გადახტომას.
- გადიოდა ხანი. რამდენიმე ამხანაგი ჭეიწრობდა ამ კითხვაზე. მაგრამ ყველაზე ინტენსიურად თვით ჩიკორი ფიქრობდა.
- და მონახა კიდევ: ეს იყო ერთად-ერთი შესაძლებლობა.
- პროექტი ამხანაგებს გაუზიარა. განზრახვის შესასრულებლად საჭირო იყო ცოხის ექიმის დახმარება. ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ის პარტიის თანამგრაჟობი იყო. მისი საშუალებით ჩიკორი საავადმყოფოში უნდა მოთავსებულყო. საავადმყოფოს ფეხისალავის რკინიანი მოაჯირი უნდა გაჭრილიყო და იქიდან თოკით ჩაშვება სახლის სახურავზე ადვილი იყო. მერე კი—გზა ხსნილი.
- თუმცა პროექტი მარტივი და თითქო ადვილი ასასრულებელიც იყო, მაგრამ ამას თან სდევდა მრავალი წვრილმანი დამაბრკოლებელი გარემოებანი.
- მალე მოეწყო დამოკიდებულება ექიმთან. ჩიკორი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში. ახლა გარედან დამხმარე ამხანაგები ზრუნავდენ, რომ ჩიკორისთვის ნიჭიერდებიანთ საჭირო მასალა მოაჯირის გასახერხათ.
- და ჩიკორაც ელის რკინის ფანჯრის გასაჭრელ ხერხს. გეგმა შემუშავებული აქვს. მოაჯირი გადიჭრება ორ ალაგას. წვრილი ხერხით ჩაჭრილ მოაჯირს ვერ შეამჩნევენ. მუწაობას მოუღდება ხუთიოდე დღე.
- გზელი ხელები მოკლე ტანზე უკან დაუწყევია ჩიკორს და ფიქრობს გაქცევაზე. სხვა არაფერზე.
- მისი ნახვა საავადმყოფოში შეიძლებადა. ჩიკორმა იცოდა, რომ მასთან მივიდოდა ვინმე ქალი და მიუტანდა ხერხს.
- და ერთ დღეს მასთან მივიდა ახალგაზდა ქალიშვილი.



ჩიკორს არსად უნახავს იგი. არსად შეხვედრია. ბავშვს კავთრულზელი თვალები მიაშტერა. ლოგინიდან წამოდგა. ერთ იდგილს ტარტანის მიქსა ახედავდა მისკენ მიწვეულ სწავილებით მორთულ სახატხულო ქედის ქვეშ, ორ წყვილ შავად მბზინავ თვალს და გაპობილ ტუჩებთან მიჯრულ აეთორ კბილებს.

კაბის შრიილით ნიუახლოვდა მის ლოგინს. ხელსახოცში გახვეული საჭმელი—ჭათამი, პური და ატამი—იქვე პატარა მაგიდაზე დასდო. მისი ტანმრთელობა იკითხა. ლოგინზე დაჯდა.

სულ ახლო მივიდა მასთან, თითქმის მიეკრა. ხელიდან ხელში გასრიდა გძელი და ეიწრო რალაც მაგარი. ჩიკორი მიხედა რაც იყო მის ხელში და სახელურში დამალა.

დაბინდული თვალებით ხედავდა თეთრს, შავი თვალწარბით მოხატულ სახეს, გაპობილ ბაგებს, მას რომ უღიმოდა, გამარჯვებას უსურვებდა და გარეთ თავისუფლად ნახვას. ლაპარაკი ისე შეესმოდა, როგორც ზარების უღარუნი. დაბნეული. არაფერს ამბობდა და მთლად სმენათ და მზერათ იყო გადატყუული.

მალე ქალიშვილი წამოდგა, განოქმედილობა და გავიდა...

ეხლა და შეამჩნია საყვარელი თეთრად შეღებილი კედლები და ლოგინით დაფენილი ტახტები. ზედამხედველი, გამადრული წვერებით, გაშტერებული რომ იდგა კუთხეში. და თითქო სიცივე იგრძნო,—ტანში შერბხა...

მერე, რატომ არის ჩიკორი ათროლოებული? თითქო ცივე წყალში ჩაადგეს და სიცივისგან თრთოვდეს მისი სხეული.

მოტანილ საჭმელს უცქერის, ალაგებს: ხან პურს წამოაღლებს ხელს და ისევ დასდებს, ხან ატამს. საგნებს მხედავს ბურანში. გონებით სხვაგან არის. უცბად ნოაგონდება სახელურში მიმალული ხერხები და გარბის დანიშნულ ალაგს. იქ შეიძლება შეკრულის გახსნა. აქვე შინჯავს დღესვე მათ სიძლიერეს. დასაჯდომზე დადგება. თვალში ეცემა კოლოფებივით მილაგებულ ქალაქის სახლების სახურავები, შორეული ხმაური და ყრფ გრუხუნნი.

ციხეში კი სიწყნარეა. ხშირად უნდა მიუვდოს ყური დერეფანში ზედამხედლის სიარულს და ფეხის ხმაზე შეამჩნიოს, როცა ის აქეთკენ წამოვა. მაშინ ჩიკორი მუშაობას თავს ანებებს... და კვლავ განაგრძობს, როცა ის გაბრუნდება...

წყრილი ხერხი ისე ყრუდ; უხმაუროდ ხერხავს რგვალ რკინას, თითქო საგანგებოდ ასიაშოვნებს ჩიკორსო, თითქო მომტანიც შორიდან უცქერდეს და ამხნეებდეს მას,—ათასი უხილავი წერილა და მბზინავი სიმები აუღარუნდებიან კუნთებში...

ხერხავს და თან გასცქერის ქალაქს. მას ხეულებში გვულებს საბლი, სადაც იმყოფება ხერხის მომტანი მბზინავი თვალები...

დიდ ხანს მუშაობა არ შეიძლება. ამიტომ გამოობის და ლოგინზე წაწვება.

ჩიკორმა არ იცის ვინ იყო დღეს მასთან. საიდან იყო, ვინ გამოგზავნა, იცის, რომ ეს ამხანაგებმა მოაწვევს, ხოლო როგორ, ვინ და რატომ „ის“ მოვიდა მასთან.—ეს ილარ იცის ჩიკორმა.



ნეტა სახელი მაინც რა ჰქვია, რატომ არ ჰკითხა?.. და ბევრი იფიქრო, ბევრი სახელი მოსცემნა. ბოლოს „ნინო“ დაირქვა და ამ სახელს წაეშალა თავის წარმოდგენა ნინოზე.

ნინო ყველაზე ჰკვიანი ქალია მთელ ქალაქში. ყველაზე ლამაზი. წარმტაცი და მშვენიერი... იი, მალე გადახერხავს რკინებს, მალე გავა ციხის კედლებიდან, ნახავს ნინოს და მაშინ ნახოს იმან თუ რა ყოფილა ჩიკორი!.. ყოველ საქმეს მისი სახელით შეასრულებს. და იქ, სადაც იქნება ნინოს სახელი, იქ იქნება გმირობა, ვატაცება, სიყვარული და თავდადებულება სიგიჟემდის მისული...

ოო!.. როგორია აფთოვანებით იმუშავენს ჩიკორი. როგორი სიყვარულით მიუდგება საქმეს. ოღონდ ნინომ დაინახოს ის და დააფასოს მისი ნამუშევარი. სხვა რა უნდა ჩიკორს, — არაფერი!..

სალამოობით ციხის ამხანაგები ინახულებდენ ხოლმე ჩიკორს და საქმის მსვლელობის შესახებ ვამოკითხავდენ... ისიც აწითლებული სახით მოუყვებოდა საქმის მიმდინარეობას.

— აბა, შენ იცი ჩიკორს!.. მოიკითხე ამხანაგები! იცი, რა ხდება გარეთ? იცი, რა ამბები მოდის ჩრდილოეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალიჩებიდან? მოძრაობა ერთი ათად გაიზარდა ამ ხანში, რაც ზეენ აქ ვართ! შუაშობაა საქირო და შა... შენ იცი!..

ოო!.. ჩიკორში იცის, როგორ არ იცის ჩიკორშია!.. განა მასაც არ მოემატა ერთი ასად და ათასად მხნეობა და ენერგია? არა, ჩიკორი გაამართლებს ამხანაგების ნდობას! ოღონდ გაქცევა დამთავრდეს კარგად!..

ჩიკორს გათვალისწინებული აქვს ყოველი წვრილმანი, რაც გაქცევის დროს მოსალოდნელია. ჯერ ერთი რომ ზედამხედველი უნდა შეაჩეროს როგორმე ერთ ალავს. ამას ავადმყოფი ამხანაგი მოახერხებს. ზედამხედველს დაპატივებს საქმელზე და ამ დროს გავა წელში თოქ მოკირებული. ვახერხილ მოაჯირს მოსწებს, თოქს ჩამოაბავს და მერე გარედან მოსიარულე სალდათს ვახედავს. როცა სალდათი უკან დაბრუნდება, ამ დროს უნდა დაეშვას ჩიკორი კედელზე.

კედელსა და ვალავანს შორის ერთი ნაბიჯია. თოქზე ჩამოკიდებული ჩიკორი ფეხს ვალავანზე დადგამს, იქითა მხარეს სახლის საბურავზე გადახტება. ყოველივე ეს უნდა მოხდეს, სანამ სალდათი მობრუნდება. საბურავი არ არის მაღალი, სულ იოლად ჩაეშვება და იქვე ქუჩაზე დახტება. შეიძლება ერთი წამით ადრე სალდათი გამობრუნდეს უკან და კედელზე ჩამოკიდებული ჩიკორი შეამჩნიოს, მაშინ ტყვია არ ასცდება მას.

იმ დღეს ჩიკორი არაწვეულებრივ გუნებაზე იყო. გაფითრებული. ვერხვის ფოთოლივით მართოლავი სხეული. გონება გამახვილებული. იმ დღეს მორიგეთ დანიშნეს ყველაზე მკაცრი ზედამხედველი! თუმცა იმავე დროს ქრთამის ამღები. ჩიკორს მომარაგებული ჰქონდა ხილი და ლიმონათი, რითაც მას ავადმყოფი ამხანაგი გაუმასპინძლებოდა.

შოლოდ ორჯერ უნდა გადაესვა კედელს ხერხი. ესეც გაათავა. მოუსვენ არაა. აქვთ იქით დადის ჩაფიქრებული. განდობილი ამხანაგი ამხნევებს. თოქ

უკვე მოხვეული აქვს წელზე. დაიარება და არ იცის რომელი მოხვეული აირჩიოს. ხშირად გარბის დანიშნულ ალაგას და მოდარაჯე სალდათს გადახედავს.

— აბა, ნიკო, — მიმართავს ამხანავს — გაუმასპინძლი შენაა, უკვე დროა, მეტი ცდა აღარ შეიძლება.

— ეგ ჩემს კისერზე იყოს!.. აბა, მხნეთ და გამარჯვებით!..

ჩიკორი გადის დანიშნულ ალაგს. გადახედავს სალდათს. მერე მოსწევს მოაჯირს, მოგრიხავს. წელიდან თოკს მოიძრობს. მოაჯირს მოაბამს. სულს ძლივს ითქვამს... გული ფეთქავს უროს დარტყმასავეთ!.. პატარა ტანს აიზიდავს და ფეხებს გაყოფს ფანჯრის ვარეთ. რაღაც მოედება ხალათს, მოგლეჯს. მოაჯირს მიქდობილ სხეულს ძირს დაუშვებს. ტომარასავეთ თოკზე ჩამოკიდებული რქით იცქირება, სალდათისკენ... ახლა ციხის ყველი მოსჩანს, როგორც პიტალო კლდე. მალე ფეხს გააშვერს და უკვე გალაგანს გადაადგამს. ერთი მოსახლეობით იქით გადიწევს... გალაგანზე დადგება. წინასწარობას ვერ დაიცავს და შეტორტმანდება. ხელებს სივრეში შეათამაშებს და ისაა ისევ ველისკენ უნდა დაქანდეს, რომ ელვასავეთ გასწრაფებული ახრი თავში გაირბენს და გალაგანზე ჩამოვდება, როგორც უნაგირზე... ამ გარემოებას არ მოულოდა ჩიკორი და შეკრთა... სალდათისკენ ვაიხედა... ჰხედავს ზურგი ბრუნდება... მობრუნდა კიდევ და ოთხი თვალი ერთმანეთს ჩაეჭდობიან: ჩიკორის და თოფიანი სალდათის. უცბად ჩიკორი გალაგანს წვერზე გაწევა, ხელებს მოხვევს... ერთსა და იმავე დროს ვადსრიალდება ფეხი და გაეარდება თოფი...

სროლის ხმა რომ ტუსაღებს შეესმათ, ერთ ალაგს განცეიფებული შეჩერდნ.

— ვაი წე, ბიჭო!.. ვაი, თუ ჩიკორს მოხვდა ტყეია!.. ერთი სროლა იყო მხოლოდ!.. ჰა?..

და კითხვითი ნიშნის გამომსატველი თვალებით შესტყერიან ერთმანეთს.

ციხეში შეიქნა სირბილი. სტვენა. ძაბილი. ყვირილი. ზედანხედველები გარბოდნ რევილვერ ამოღებულები.

თოფიანი სალდათები საყარაულოდან გამოცეიფდნ და ჭისკარისკენ გაიქცნ.

არავინ იცოდა რაში აყო საქმე.

მერე გამოირკვა:

ტუსალი გაიქცა საივადმყოფოდან. სალდათმა ესროლა, მაგრამ ვერ მოასწრო. ალყა შემოარტყეს სახლს, მაგრამ იქ კვალიც ვეღარ იპოვეს...

* * *

ყინულსავეთ სპეტაკი და ზღვის გულზე აციალებულ შხის სხვისავეთ წმიდა — ჩიკორი მისრიალებდა აქანებულ ტალღათა შორის, როგორც ატივტივებული ნაფოტი. გზას მიაღრვევდა ხონალდი და თან მიჰქონდა ზვირთები რეკოლიუციის ტალღებისა.

მოძრაობა მოედო ყველა ფენებს, როგორც მოედება ხოლმე გამხმარ ბალახს ცეცხლი, იყო აფთოვანებული თვალები. ატაცებული გული.



ახლა ხშირი იყო მიტინგები, ჭარხნის კედლებს შიგნით, აქედან ორატორები და ცეცხლით ანთებულ სიტყვებს სთესავენ მუშების ღია გულში.

რევოლუციის ტალღები ზვირთდებოდნენ და როცა პეტერბურგში მეფის სასახლესთან მისული მუშების დიდი დემონსტრაცია სისხლში ამოხანეს—შეზინებით გავარდნილი გრგვინვა მთელ მხარეს მოედო და არ დარჩენილა კუთხე, სადაც გამოძახილი არ ეპოვოს.

მეფის მთავრობა შეკრთა. საჭირო იყო ზომების მიღება, აღელვებულ ხალხის სხვა გეზით მიმართვა და ასეთ საშუალებათ გამოიხატეს სომეხ-თათრების შეტაკება.

უნდა გენაბათ მაშინ ჩიკორი. „როგორ, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ეს ბინძური საშინელება!.. როგორ უნდა მოვატრიოლოთ საქმე ისე, რომ ორ ძმათა შორის ერთმანეთის წინააღმდეგ ამართული იარაღი შევეართოთ და საერთო მტრის წინააღმდეგ მივმართოთ!.. და ჩიკორი დარბოდა გაცოფებულნი...“

საჭირო იყო იარაღი, ბომბები და ჩიკორი აწყობდა იარაღის საწყობს. ჰქმნიდა მებრძოლ რაზმებს...

დაიწყებული ჰქონდა ყოველი პირადული. მისთვის არ არსებობდა დასვენება. მოწყობილი ცხოვრება. თბილი საჭმელი, სუფთა ლოგინი.

ერთი რამ არ ასვენებდა მას და ძილს უკრთობდა. ჩიკორმაც არ იცოდა რა იყო ეს.. იქნებ ეს იყო სიყვარული?.. ეჰ! ვინ გამოიცნოს სიყვარულის იდუმალი ბუნება!..

მაშ რად იყო, ის ორი მშინავი თვალი, ციხეში რომ ნახა, ეხლაც მოსვენებას არ აძლევს მას!.. რატომ წარმოსთქვამს ხოლმე, რაღაც იდუმალი ხმით ოთხი ასოსგან შემდგარ სიტყვას... რატომ დააწერა პატარა წიგნაკზე, სასთუმალის ქვეშ რომ უდევს: „ნინოს სახსოვრად!..“ რატომ ასეთი ძალით ეზიდება გული და უკარანახებს: უნდა ნახო, უნდა ნახო ნინო... მაგრამ როგორ... სად...

ჩიკორს არ ჰქონდა საკუთარი, ერთ ადგილს მიჩნეული ბინა. დადიოდა ყარიბად და გულში დაჰქონდა ორი ცეცხლი. ვერაქისთვის გაეწვილა, ვერც ეკითხნა, ვინ იყო ნინო, სად იყო მისი ბინა!.. იქნებ სულაც არ ყოფილა ნინო და ეს იყო მხოლოდ მოჩვენება, ჩიკორის ფანტაზიით შექმნილი არსება!.. მაშ, რატომ აღარსად შეხედა მას?..

ერთი რამ იცოდა ჩიკორმა, რომ ნინოს ბინა უნდა სკოლნოდა ბარნაბე-შვილ მიხოს. ის კომიტეტის წევრი და გამოქვეყნებულ მისი მონაწილეობით მოხდა. გაბედა და ჰკითხა:

- მიხა, ვინ არი ის ქალი ჩემთან რომ მოვიდა და ხერხები მომიტანა?
- ექიმის და, ჯავარდიძისა!
- არ იცი მისი ბინა?
- როგორ არა! საპიორის ქუჩა, თორმეტი ნომერი! მერე რათ გინდა?
- ისე!
- რაო, ჩიკორ! მოგეწონა? კარგი ვოვოა! მაგრამ... რა ვიცი... შენ იცი...

მიდის ჩიკორი. გამალებით მიდის. თითქმის ნირბის. თითქო ცეცხლი უტიდება უბრალო „მნათობი“ № 11—12.



რამეს და უნდა ჩააქროს. პატარა ტანით მიხეველ-მოხვეულე მკვლევარმა-
ნობს, მიგორავს, როგორც ჩიკორი, გაიარა ხიდი. აათავა ვეფხველური ფეხქუ-
ჩას გაევა. მერე გადაუხევა. აგრ საპიორის ქუჩა. თორმეტი ნომერი. უჰ!.. რამ-
ხელა სახლში წდგარა! ფანჯრებს გახედა. ნერე შესავალ კარს მიადგა. კარზე
გაკრულია: ექიმის ჯავარდიძე. იქვე ზარის დასარევი ფოლაქია. ასწია ხელი და...
შეჩერდა. ეხლა ღა გამოერკვა და თავის თავს შეეკითხა: ნერე რა უნდა უთხრას?
რისთვის მოვიდა, არ იკითხავს?... დაიცა, დაიცა!.. თითქო ბევრა პქონდა სათ-
ქმელი და ეხლა რა ღმერთი გაუწყრა!.. მაშ, როგორ ვერ უნდა ნახოს ნინო!
ჰო, მივა, ეტყვის... მიღლობას ეტყვის ხერხისათვის... აი, ეხლა თავისუფალია და
მშათ არის ნინოს დავალებით საგმირო საქმე ჩააღინოს...

ფოლაქს თითო დააჭირა. შორიდან წკრიალი მოესმა. მერე კარი გაიღო.
მიღალი ქალი თვალზე დახრილი ჩიკორს ზევიდან უცქერდა.

- ვინ ვნებაეთ?
- ნინო ჯავარდიძის ქალი!
- რომელი ნანო?—

შეკრთა ჩიკორი. ეს სახელი ხომ მისი მოგონილი იყო! რა ეთქვა ნამ-
დელი სახელი რომ არ იცოდა?

- უკაცრავად, სახელი არ ვიცი! ექიმის და.
- თქვენ აღბად ქეთო გინდათ. ის ეხლა აქ არ არის! რუსეთში წავიდა!
- რუსეთში?
- დიაღ, იქ სწავლობს!— „кто там?“— მოიძმა ამ დროს შორეულ ოთა-

ხიდან.— Не знаю какой-то спрашивает Като!.. კარებიც მიიხურა.

თითქო მუხლებში დასცხეს რამე, ისედაც გაცრეცილი ჩიკორი, მოიღუნა
და გაიცრია. გული მოეკლმშა და თითქო წივილი დაიწყო. დამძიმებული ფე-
ხი ძლივს გადადგა. ნათელი დღე თითქო დაბნელდა. აღარ იყო მისთვის ქა-
ლაქში აღარაფერი... თითქო გული ამოგლიჯეს და სადღაც შორს ისროლეს...

არა ჩიკორ! აბა სად შენ და სად მეჩანების ცხოვრება! შენ მათთვის
«какой-то»—ხარ მხოლოდ! შენ ხომ არავინ გიცნობს! შენ ხომ დიპლომინი
არ ხარ! შენ ხომ ვეკილი არ ხარ, რომ შენი ლაპარაკი ისმინონ... შენ ხომ
ფორნალისტი არ ხარ, რომ შენი ნაწერი წაიკითხონ... რით უნდა მოხიბლო შენ
ისინი! შენ უხილავი წყნარი მომუშავე ხარ. შენს ნამუშევარს ვერცინ დაინახავს.
ვერცინ დაათვახებს. ვასწი შენი გზით... ზიდე შენი ტვირთი. არაფერი სასყიდ-
ელი, არაფერი საამოვნება და პირადული ნეტარება ამისთვის... შენ გიყვარს
ნინო? ის შორს არის შენგან!.. შორს... თქვენ ერთმანეთს ვერ შეხვდებით!..

მერე, იცი შენ, რა არის სიყვარული? თავი ანებე! შენ ხომ გამოუცდელი
ხარ! შენი გულწრფელი გატაცება მხოლოდ გაწამებს, ტკივილებს მოგტანს...
ანებე თავი ამ განკდას... როგორც პეპელას ფრთები აღზე—ისე დაიწვის შენი
ალტაცება. მის მწვავე სხივებზე...

მაგრამ ვერა! ვერ ანებებს ნინოზე ფიქრს ჩიკორი თავს... გაიგებს. უსა-
თლოდ გაიგებს რომელ ქალაქშია წასული და ისიც წაეა იმ ქალაქში სანახავად.
შეიძლება სულაც იქ დარჩეს! იქაც ჰომ არი პარტიული მუშაობა! და მერე,



ნინოს გვერდზე უფრო მხნეობით არ იმუშავენს ჩიკორი?... მოაცა, ცოცხალი ეყოლს შეაგროვებს და უსათუოდ წაეა! წაეა და ნახავს...

ჩრდილოეთიდან მოვიარდნილი რევოლუციური ტალღა, ნაძალადევის მუშებს ამხნევებდა, ენერჯის ჰმატებდა. ყველა გრძნობდა, რომ რევოლუცია წყალგალმა არ იყო და მალე შეიქნებოდა ბარიკადული ბრძოლა.

ამიტომ მოუსვენრობდენ. საიდუმლო კრებებს ჰმართავდენ. მოქმედებდენ. დაარსდენ შეიარაღებული რაზმები. მოაწყეს იარაღისთვის საწყობები. შეიარაღებულები დაიარებოდენ ქუჩებში. ყველაფერი ეს ხდებოდა აშკარათ. მთავრობა უფრო იყრებოდა, თითქო არაფერი ამბავია მის გარშემო. გათანამებული რაზმელები კი, თავისას არ იშლიდენ.

ზეიმობდა და ღვინობდა მუშათა უბანი.

ჩაივლიდა მუშა და ჩაიხმურებდა: აღსდევ ნტერზედა მშიერო ძნაო... შურის ძიების, დასკეკე ხმაო... ვასწი, ვასწი! წინ!.. წინ!.. წინ!..

თვალეები ბრწყინდებოდენ. გული ჩქროლავდა. ალტაცება და აეთოვანება იყო გაფანტული სხეულში...

„ამხანაგო!“... და ეს ახლად მოელენილი სიტყვა ჰხიბლავდა ყველას. ძალის ჰმატებდა. ამხნევებდა.

ერთ საღამოს მუშათა უბანში, ცხენოსანი ყაზახები შემოვიდნენ. მათ დაწახვამ მუშათა უბანს ელფერი დიუკარგა. ტყვიასავით მიძიმე ჰაერი ჩაეშვა მის ქუჩებში.

თითქო ძვრამ წამოუქროლა წიწილებსო— შეიქნა სირბილი, მითქვა-მოთქვა. განცვიფრებული გამელელები შესკერდენ ყაზახებს და ვერ მიმხვდარიყენენ, რაში იყო საქმე.

ყაზახები მოედანზე შეჩერდენ. ცხენებიდან ჩამოხტენ. ზურგზე ჩამოკიდებული თოფები მოიმარჯვეს და ერთი კარტუზიანის ჩვენებით, წეროებივით ვიწრო ქუჩისკენ გაემართენ. მაშინ კი მიხედენ მცხოვრებლები, თუ რას ნიშნავდა მათი სტუმრობა.

— გესმის! იარაღის საწყობისკენ წავიდნენ!

ათროლდებული, გაფითრებული მიმართავს ერთი მუშა მეორეს.

— პო! ნამდვილად იქ მიდიან!

— იქ არიან თუ იცი, ბიჭები?

— იქ არიან, მაშ!..

მალე შემოესმათ „გოროდოვების“ ძახილი: „Рубились по местам, не торчать на улице!“

და ცარიულდებოდა ქუჩა. შეწყდა მოსიარულეთა ფეხის ხმა. სახლებში ჩაჭრა სანათები. შავი ლანდები გაწვეს ღარივით ჩაეარდნილ ქუჩებზე. უბანი გაინაბა-გაიფურსა, როგორც ტყის ფოთოლი ქარიშხლის მოლოდინში.

ყაზახების შავი ნაკადი, ვიწრო ქუჩას შემოყვავია. ეზოებში შეიჭრა. ზოგი თხრილში ჩაძვრა, ზოგი ღობეს ამოეთარა. ერთ დაბალ კერძან სახლს, გარს შემოერტყა.



სახლის ფანჯრიდან პირტიტველა ცნაწვილი გამოიხედავდა. უხელოები გაუდიდებდა და თრთოლით დაიძახებდა: ყაზახების..

რანდენიმე ახალგაზდა, ოთახის კუთხეში რომ თოფებს აწყობდენ, ფანჯარას მიცვივდებიან.

— ალუა გვარყტია!—დაბალი ხნით იტყვის ერთი.

— ნუ თუ?—არ სჯერა მეორეს.

— მოიცა, გარეთ ნურაეინ გახვალთ!..

— მეორე მხარეს? იქითკენაც არიან?

— არიან!..

— მაშ... სიტყვა შეწყდება. ერთმანეთს წებდავენ და ისეთ სიახლოეს, ისეთ ნათესაურ-ძმურ სიყვარულს იგრძნობენ ერთმანეთისადმი, თითქო თვლები აეხილათ და ეხლა ზედავენ ერთმანეთს...

— დავენბდეთ თუ?

— არას დროს!—იყო ერთხმად პასუხი. —სულ ერთია. სიკვდილი არ აგვცდებია!..

— ერთ მხარეს მივიყაროთ თოფის სროლა და ბომბები, წრე გაეპარღვიოთ, გზა გავიკვლოთ და გავიდეთ...

მაგრამ სანამ ესენი მოქმედებას დაიწყებდენ, ჩასაფრებულმა ყაზახებმა უკვე ასტეხეს სროლა.

ზხზუპ!.. ზხზუპ!.. იმსხვრეოდა ფანჯრის მინები. ტყვიებს გაქონდა ტკი-
ულნი, მისრიალებდა კედელში, ქერში...

ხოხვით და ცოცვით მრათრიეს ფანჯრებთან საბნები, ბალიშები, მუთა-
ქები, სკამები. დაიჩოქეს და ფანჯარაში გაჰყვეს თოფის ლულები.

ჰახ... ჰახ... ჰახ... ოთახის ფანჯრიდანაც ატყდა ზუსუნა.

— ჩიკორ! შენ რას შერები?

— აი, ახლავე, ბომბას ვამზადებ!

და ფანჯრიდან გასროლილი ბომბა დაიგრიალებს. რის შემდეგ ერთ ხა-
ნად ყრუ სიჩუმე ჩამოვარდება... კიდევ ბომბა და კვლავ თოფების გრიალი...
კვლავ ყრუ სიჩუმე...

— აბა, გასწით! თოფები მოიშარჯვეთ!.. ან სიკვდილი ან თავისუფლება!..

ჰახ... ჰახ... ჰახ!..

ზხუპ... ზხუპ!.. ზხუპ!.. იგრიალებს მეორე მხრიდან და კარებში ჩაწევება
ერთი, მეორე...

— ვაი, მე!.. წყალი... მიშველე...

ისევ იხურება კარი...

კიდევ ზრიალი და ჰახა-ჰუბი...

გაფითრებული და შეშინებული ყაზახები, ხოხვით და ფორთხვით მიძვრე-
ბიან კედელ-კედელ.

შორი ახლოდან ისმის ბრძანება: უმიზნეთ!.. ესროლეთ!.. მიუახლოვდით!..
შემოერთყით!..

და თოფიდან ავარდნილი ცეცხლის ალები, ისე კიაფობენ წყვედიადში,
როგორც ციციხათელები ღელეში.



სახლს მოუარეს ყოველ მხრიდან. დაბალ ქერიანი სახლის ფანჯრები ადვილი მისაწვდომი გახდა მათთვის.

ზნელ ოთახებში ჩამწყვედელი უბნის მცხოვრებნი, გაფითრებული და შეშინებულინი, იატაკზე იყვნენ გაწოლილნი... არ იყო თიქრი, დაკარგული იყო ნებისყოფა და მხოლოდ თავდაცვის ინსტიქტი დაუფლებოდა მათ...

ფანჯრებიდან სროლა შენელდა...

მერე სრულიად შეწყდა...

ალარც ვარედან ისროდენ.

როგორც ქექა-ქუხილის შემდეგ ჩამოვარდება სიყუჩე—ისე გაირინდა უბანი.

ღამე კრულია და შავ ნიღაბით აკრული, თითქო ნაბდები დაუფენიათ მუშათა უბნის ხეივანებში—ისე მწუხრია და მოღუშული გარეშო.

თხრალებში ჩაწოლილი ყახახები გარინდელან. გამარჯვებას ვულში დღესასწაულაბენ, ხოლო ზეიმს დილით აპირებენ, როცა ოთახში შევლენ და ამიტომ განათიადს უცდიან...

ჩიკორი? ისიც განთიადს უცდის? კიდევ იხილავენ მზის სხივებს მისი თვალები? კიდევ აიხლართება მის წამწამებში, აბრეშუმის ძაფის კონა სხივებისა? კიდევ დასტკება ამომავალი მზის დიადობით, როგორც ერთხელ სტამბის ბინახეშ კიდევ წარმოსთქამენ მისი ტუჩები ოთხი ასოსგან შემდგარ სიტყვა „ნინოს“...

ღამე ყუჩია, არსაიდან ხმა, არც ჩაჩი-ჩუჩი.

დღემილი და ამ დღემილში იღმნალი, ფოლადისაგან ამოკვეთილი შავი ლანდები, დასცურავენ სივრცეში, როგორც ზღვაში დაღუპულ ხომალდის იალქნები...

ჩუმი სიო წამოგპარება გარემოს და შავი ლანდებიც შეირხვებიან, ერთობას იწყებენ. შეშინებულნი და ფერმკრთალნი განთიადის წინაშე, ჯერ ჯურღმულებში ძვრებიან. მივარდნილ კუთხეებს ეტანებიან... მალე იჭიდანაც გაითფანტებიან...

მახლობელ გორაკის მწვერვალზე, ალის ფრად აპრილებული პტყელი ლავაში გაეკვრება. მერე პროექტორის სვეტივით გორაკის ძირში დაეშვება და ზეების ჩრდილებს გაავძელებს... შენობათა ფანჯრებს ალაპლაპებს...

დაბალ ქერიან სახლის ჩამსხვრეულ ფანჯრებსაც მიადგება. იატაკს გაეჭრობა. და თითქო შემკრთალი, ერთ ადგილს ციმციმს დაიწყებს... მერე დაიხლაკნება. არეულ ბალიშებსა, მუთათებსა და სკამებ შორის აიხხევა. იატაკზე გაშხლართულ გეამებს ვადაფელის, ერთს, მეორეს, მესამეს... მესამეს... მეშვიდეს... შეცხრეს...

ღია თვალები აცივლდებიან. გეამებში არეული თოფის ლულები აპრივლდებიან. ვუბნით დამდგარი წითელი სითხე, აბზინდება.

ერთის ღია თვალებს ჩეკვობა. თვალი გამსჭვირვალე მინასავით აცივლდება... წამწამებში აბრეშუმის ძაფები დაიხნევა. იქვე საფეთქელთან წურბელასავით ჩამოკიდებული წითელი სითხე ბზინვას დაიწყებს. გააპობილ ბაგეზე თერთი კბილები გაელვარდებიან...

ჩიკორის ნაცრის ფერ სახეზე, მზის აბნეული სხივები და სიკვდილი, ერთმანეთს მიესალმებიან...

ი ფ ქ ლ ი

(დასასრული)

XXXVII

ქალაქ ს-ს ერთ-ერთ უმთავრეს ქუჩაზე, აკერ ერთი ხანია, სდგამენ ქვისა და აგურის საკმაოდ მაღალ ბაღაიერს, რომელზედაც, რამდენიმე ხნის შემდეგ კოპწიათ წამოკიშვს რვა-ცხრა თვალი წაბლის ხის ოლა.

ოდის ირგვლივ მაღალი მესერიით შემოფარგლეს პატარა ეზოც და ამ-რიგათ ვიღაც ჩამოსახლდა ქალაქში, ვიღაც ერთი მოქალაქით გადიდდა ქალაქ ს-ს მცხოვრებთა საკმაოდ მკირე რიცხვი.

მაღალი, ბეჭში ოდნავ მოხრილი, ჩოხა-ახალოსში სუფთად გამოწყობილი კაცი ხან ცხენით, ხან ჯორით და ხანაც ეტლით ხშირად მოდის ამ ახალ სამოსახლოზე, დინჯათ ესალმება სახლსა. თუ ეზოზე მოპუშავე ოსტატებს, რაღაც დარიგებასა და განკარგულებასაც კი იძლევა, ფულსაც ურიგებს მათ და ისევე იკარგება მზედველობიდან რამდენიმე დღით.

კვირა-უქმეებზე კი იგი ისევ ჩნდება აქ, ხან საქმის დღესაც მოდის, თუმცა ამ უკანასკნელზე უფრო იშვიათად—და ისევ მეორდება ეს მოვლენა პერიოდულის თანამიმდევრობით...

ცხადია, ახლად ჩამოსახლებულს საცხოვრებელი ბინა სიღაც ქალაქ ს-ს გარეთ უნდა ჰქონდეს და ეს პერიოდული მისი აქ გამოჩენაც აქიდან უნდა წარმოსდგებოდეს...

ქალაქის მეორე ადგილას, ბაზრის ერთ-ერთ თავში ვიღაც მეორე ასეთივე ჯორითა და ცხენით მომავალი დროგამოშვებითი სტუპარი ახალ დუქ-ს აგებს. მხოლოდ ეს მეორე უფრო დაბალი აგებულებისა, უფრო ჯმუხა და შავგრემანია, ვიდრე პირველი.

ერთი სიტყვით, ქალაქ ს-ს ემატება სრულიად ახალ-ახალი მკვიდრნი.

ქალაქი იზრდება.

ქალაქი ფართოვდება და ძლიერდება.

ბესარიონ მწერალმა და გაბრიელ მდღუქნემ თითქმის ერთსა და იმავე დღეს ცალ-ცალკე იფიქრეს და შემდეგ ერთად გადასწყვიტეს სოფლიდან ქალაქ ს-ში ჩასახლება.

მათ შეადგინეს ამისთვის შესაფერი ვრცელი გეგმა, რომელსაც ერთი მეტრადიურის თანამიმდევრობით ანხორციელებენ.

სახლი, რომელიც შენდება ქალაქის მთავარ ქუჩაზე და დეკორაციული საც ბაზრის თავში აგებენ, ეკუთვნის ამ ორ ძნად შეფიცულ პირს, სოფელ №...დან რომ ფიქრობენ აქ დასახლებას.

ყველაფერი ეს ჯერჯერობით საზიარო ხარჯითა და ანგარიშით კეთდება, ხოლო შრომის შესაფერი განაწილებითაც იმავე დროს: ბესარიონ სახლისა და ეზოს მოგვარებას ხელმძღვანელობს, ხოლო გაბრიელ მედუქნე კიდევ—დექანისას.

ამათ ცოლების თხოვნა და წამოყვანაც ერთი ოჯახიდან აქეთ უკვე მოახრებულ-გადაწყვეტილი და ეს გაზღაურთ როსტომ ქაშაძის ოჯახი.

როსტომს ორი ერთმანეთის მომდევნო საკმაოდ ხანში შესული ქალები ჰყავს გასათხოვარი, რომლებსაც სოფლად „ქაშაძის ბერწყების“ სახელწოდება სამართლიანად აქეთ დამსახურებული, თავიანთ ასაკს გადაცილებულობის გამო.

მიზეზი მათი ამდენ ხანს გაუთხოვრობისა გამოურკვეველია, თუმცა სოფლად გაურკვეველი და შეუმჩნეველი ბოლოს და ბოლოს არაფერი რჩება. ქაშაძის ქალების შესახებ დადის ასეთი ხმები, რომ ისინი ამაყები არიან, თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენისა და სასიძო კაცები მათ ვაგლახად თვალში არ მოსდისთ.

რაც შეეხება შვითვეს, ეს მათ საკმაოზე მეტიც მოეპოვებათ. ასე, რომ ათას მანეთს ფულად და ამდენსავე, ნიეთის სახით, როსტომი თამამად მისცემს თვითყულს, თუ კი რიგიანი სასიძოები გამოჩნდებიან.

მართალია, „შინაურს მღვდელს შენდობა არ აქვსო“, იტყვიან, მაგრამ ბესარიონ მწერალსა და გაბრიელ მედუქნეს მაინცა და მაინც დიდი დასაწუნი არაფერი აქეთ ქაშაძის ოჯახისა და ქალებისაგან.

თუმცა ეს ასედაც იყო იმ თავიდანვე, მაგრამ დღემდის ეს საქმე მაინცა და მაინც თავში ფიქრად არაივის მოსვლია.

მხოლოდ ზევით აღნიშნულ ბოქაულის სტუმრობასთან დაკავშირებით გამართულ ლხინს აქეთ, როცა, ამ უკანასკნელის გაბრუნების შემდეგ, როსტომმა ხელი მოხვია ყველა თავის ყოფილ სტუმრებს, ზოგი ახალიც ზედ მიიყოლა, ყველა ამით მიუძღვა თავის სახლში და მთელი ის ღამე მეორე დღემდე სულ ქტიფში გაატარეს, მხოლოდ ამის შემდეგ, მოხდა ამ ორი ნომადელი სასიძოს ქაშაძის ოჯახთან თანდათან დაახლოება.

ბოლოს ეს დაახლოება დასრულდა ოფიციალური წინადადებებითა და ამ წინადადებათა მიღებით.

და ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს ბესარიონ მწერალი და გაბრიელ მედუქნე კიდევ დაინიშნენ ქაშაძის ქალებზე.

ამრიგად ქაშაძის ქალებისა, ბესარიონ მწერლისა და გაბრიელ მედუქნის ჯვრის წერისათვის ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ უცდიდნენ ქალაქს-ში სახლის დასრულებას, რათა ჯვრის წერის მეორე დღესვე სასიძოებს საშვალება მისცემოდა ქალებისა და თავებისაც სოფელ №-სთვის ერთბაშით მოშორებისა.



ამას ისინი ერთნაირ „სიურპრიზად“ უმზადებდნენ მათზე (კუდი-ხმებზე) მთესავ სოფელს, აწყობდნენ ერთგვარი „შიკისათვის“, რათა იმ კუდი-ხმებზე (კუდი-ხმებზე) ისინი სოფელ №-ს შიკოვებდნენ, შერჩენოდა ერთნაირი ისტორიულობის მნიშვნელობა მათს ცხოვრებაში, ვინაიდან, როგორც სოფელში დაცინებით ამბობდნენ ხოლმე, მათ ამისთანაებისათვის დიდი „ფორმის“ თავი ჰქონდათ.

დროცა და გარემოებაც ხელს უწყობდა მათ და ისინიც ბრძევები იჭებოდნენ, რომ ამ ხელსაყრელი პირობებით უხეად არ ესარგებლნათ.

იყო კიდევ სოფლად ადამიანი, რომელიც დიდი სარგებლობის მიღებას გამოელოდა ამ შემთხვევიდან. ეს იყო ივლიანე ყოყოჩაძე, რომელიც ფარვანასავით თავს დასტრიალებდა ერთი მხრით, ბესარიონ მწერალსა და გაბრიელ მელუქნეს, ხოლო, მეორე მხრით, — ქაშაძის ოჯახს.

ივლიანე ამ საქმის შუა კაცი იყო, მაგრამ უნდა გენახათ მისი წრიალი და ჩოხის კაპიწი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მისვლა-მოსვლასა და საქმიანობაში. ასე გეგონებოდათ, მოსწრებულ ვაგიშვილებს აქორწინებს, თუ ახლად გვარ-დაწერილ ქალების ოჯახიდან გასტუმრებაში არის გაართულიო.

ხუმრობა ხომ არ იყო. ორასი მანეთი ჯერ კიდევ ნაშუაკაცევი ერგებოდა ივლიანეს და ამით იგი ფულის შოვნაში გაღილებულ ედუკის საუკუნოთ უსპობდა დაყვედრებისა და სამღურავის ყოველგვარ სიბიბს.

ახლა საქმელ-სასამელითა და პატრივით გამოსარჩენს არ იკითხავთ?

ორივე მხრით საქმე უღიმოდა ბედნიერ ივლიანეს, მაგრამ ქალების ოჯახში ხომ რა, თავს ისე გრძობდა, როგორც ლურჯა-ქერში.

ასეთი საერთო ზემიითა და აღტაცებით ეგებებოდა სოფელ №-ში ამ მონავალ ბედნიერ დღეს რამდენიმე პირი, რამდენიმე ოჯახი და თითქმის მთელი სოფელი.

ბედნიერმა დღემაიც არ დაიგვიანა მოსვლა.

XXXVIII

შემოდგომის არაჩვეულებრივი დღეა.

როსტომ ქაშაძისას დიდი ქორწილი და წვეულებაა გაჩაღებული.

მისი ორი ქალი ამელამ გვარს იწერს.

თითქმის ერთი კვირიდანვე შეუღლა ეს ვეებერთელა ოჯახი ამ დღისათვის მზადებას.

„დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა“-ო, ნათქვამია.

ქაშაძის უზარმაზარი ოდის ვეებერთელა დარბაზი, რომელიც, ჩვეულებრივი ლხინის დროს, ასე, ას სულამდის თამამად იტყვის, ახლა, მეზობელი დიდი ოთახის გამოსაშლელი კედლის გამოზგრევით, თითქმის ორჯერ იქნა ხელოვნურად გადიდებული, რის გამო, სახლი უზარმაზარ ფართოდ გაშლილ სეფას დაემსგავსა.

როსტომს არ აქვს მილოცვიანი ქორწილი. იგი ამ დღეს მხოლოდ გვარს სწერს თავის ქალიშვილებს და მილოცვიანი ქორწილის გამართვას სხვა უფრო მოხერხებული დროისთვის ჰფიქრობს.



მალე გაისმა სანიშნო ხარის ხმაც და ორი ერთი მეორის მიმდევრობით წყვილი წარსდგა ჯვარისა და სახარების წინაშე, ვითარცა „აბრაჰამი და სარა“, ისააც და რებეკა, იაკობ და რახილ“, საცოლ-ქმრო ერთგულების ფიცის მისაცემ-მისაღებათ.

ეკლესიაში იდგა თავშეუკაცვებელი სიცილ-კისკისი და საერთო კრიაშულის ხმა.

მლედელი და, განსაკუთრებით, დიაკონი მალი-მალ მიმართაედენ საზოგადოებას წესიერებისაკენ მოწოდებით, მაგრამ თან კიდევ ეტყობოდათ, რომ არც მათ სწამდათ აქ ამ შემთხვევაში მშვიდობიანი წესიერების შესაძლებლობა.

ჯვარის-წერის უკანასკნელი მოქმედება გათავდა.

მისაღმება, მილოცვა, ხვევნა, მტლანა-მტლუში, სიცილი და რიხიანი ლაპარაკი.

მყრონი თავის გზას გაუდგა საჭორწილო მეჯლიშისაკენ: ხალხი კიდევ ყაყან-ტაიტნით თავის გზას დაადგა.

ამ ყაყანში ბევრი რამ საგულისხმო და წარსულის განმეორება გამოისმოდა.

აქ იყო ყველა ჩენი ნაცნობი პირების ხსენება:

იორდანე შათრახაძე და მისი ცოლი, მამო და თედო ახალი შვილი ბესარიონ მწერალი და გაბრიელ მედღქენც, ივლიანე ყოყოჩაძე და მისი — მუღღუე ეღუკო, ერშილე მამასახლისი და ასე გასინჯეთ. — ქვრივი ალათიაც კი.

ყელას თავის შესათერი ძობსენება ხედა წილად.

ყელას მოხვდა და გაეკრა სოფლის ასეთ შემთხვევაში დაუღალავი ყბა და გესლიანი კბილი.

ყველა კმაყოფილი და ნასიამოვნევი დაიშალა.

ეკლესია თავის მისტორ მალლოზზე დადუნდა.

სოფელი ღრმა ძილს მიეცა.

მხოლოდ გაბრიელ ქაშაძის მომალდით წამომდგარი დიდი ოდა ზღამრულ კუნბულზე გაშენებულ ქალაქივით გაჩირაღნდდა და, ლხენითა და კრიაშულით აღსაესეს, დილამდის თვალეზი არ დაუხუქავს, მუხლი არ მოუყოლებია, ყბა არ შეუსვენებია...

არც სოფლის ძალღებს მოღლიათ ყბა და დილამდის თითქმის განუდმებით კუფდენ...

სოფლის შარა-გზებზე კი გაისმოდა საშემოდგომო დოვლათით დატვირთული ურშების მძიმე და გაბმული კრიალი...

XXXIX

— ეფროსინე, გაივც წუხანდელი ამბავი?..

შეშფოთებულ-შეფორიაქებული წივილით გადასძახა სოფელ №-ის ერთ-ერთი ოჯახიდან ქალმა იქვე მებზობელ ქალს, რომელიც, ცალ ხელში სარძევე ქოთნით, ხოლო მეორე ხელით სახლის დერეფანში მიბმულ ხბოსთვის ყელზე



თოკის შეწვებით, ნივსურებოდა იქვე ხის ძირში დაბმულ ფურცელს ჩაშლისა-
წვილად.

— რა აშბავი, ფედოსი, რა მოხდა ასეთი, ვთქვათ?!

— რა და, ქა შა ძ ი ს ქორწილს რომ დასხმიან წუხელის თავს, აი, ჩვენი
ნედვები რომ მაგრა მიუტყუებით, რაც ფული მიუტკია შენს როსტომს, იგი რომ
აულოპიათ ზედ ბატონ სიძეებისათვის და ივლიანე ყო ყო ჩ ა ძ ი ს თ ვ ი ს ა ც
რომ გვარიან-გვარიანი წაუთაქუნებით თავში და ისე არხეინათ ვასდგომიან
თავიანთ გზას?!

— ვიის, შე ქალო, ვის უქნია ეს საჯაყი საქმე?

— ვისა და თედო ახალ ი შ ვ ი ლ ს, თავისი პარტია ბიჭებით.

— რას მიჩივი საშინელს?!

კი აპობდენ: თედო დაბრუნებულა ციმბირიდანო, მარა რაეა შეგონა!..

ყოჩალ ბიჭო, ყოჩალ!

უფარგია, მამაის ცხონებამ!

რა მითხარი აი, საშინელი აშბავი!..

მზიარული გაკვირვებით და სრული კმაყოფილებით დაათავა თავისი უკა-
ნასქნელი სიტყვა მზენ და გარჯილობიანმა ეფროსინემ და საწველით ხელში
შეუდგა ძროხის ჯიქნიდან რძით დატენილი ცურების ჩამოშოკებას.

ენის ქაივლოს აყოლილი ფედოსი კი, ეზოს მეორე მხრით მიბრუნებული,
ახლა სხვა მესობელ ქალებს გადასცემდა იმავე სენსაციურ ამბავს, თითქოს
მკერდს მოწოლილი რაღაც დიდი სიმძიმისაგან უნდა განიტვიტოროსო.

მართლაც ისეთი რიბით აღარ გათენებულა როსტომ ქა შ ა ძ ი ს ა ს ეს
ღამე, როგორაც იგი დაიწყო.

ანათოდ ცდილობდა მასპინძელი სტუმრების გართობას.

ჯერ კიდევ კარგად გათენებულ იც არ იყო, რომ ახლად ჯვარ-დაწერ-
ლები დამარებული სახეებით მოასხდენ ცხენებს და, მკირე ამალის თანხლებით,
გაუდგენ გზას ქალაქსაყენ.

ჯველას თან მიჰყვებოდა ქორწილის ისე მოულოდნელად ჩამწარების მძიმე
შთაბეჭდილება.

ნეტე-დუფუფულები ამოწკლუმპული ყვავებივით მუნჯათ ისხდენ თავთავიანი
ცხენებზე, თითქოს ქორწილიდან კი არა, ტირილ-ქელეხიდან დაბრუნებულნი
მოდინანო.

ესენი რომ აქეთ მიდიოდენ, ივლიანე ყო ყო ჩ ა ძ ე დამბლა-ნაკრავივით ეგ-
დო როსტომ ქა შ ა ძ ი ს ოდის წინ ვებერთელა ჭადრის ქვეშ, ცალი ხელი
თავზე შემოედგა, მეორით შუხლს დაბჯენოდა და გულის მღრღნელ მძიმე
ფიჭრებში ჩაძირულიყო.

მას გონებიდან არ შორდებოდა წუხანდელი პატივ-აყრილი თავისი თავი, ფი-
ზიკური შეურაცკყოფა, მოსალოდნელი ვასამრჯელოს ვინმესგან მიღების შესახებ
უკანასკნელი ფიჭრის დაგვიანებული ფულქარივით გაფრენა და ელტვისთან
პირმომურულად მისელის, მის წინ მოსალოდნელი წარდგომის აუტანელი სი-
ძნელე.



ყოველივე ეს უღრან ტყეში ბნელი ღამით გამარტოებულად მტკიცედ სა-
წიწარო აღჭაგების მოსყევასათვის მოსწოდდა იელიანეს. მტკიცე და მძაბრად
აღარ აძლევდა, გზას უჭრიდა და ისიც ამ შენთხვევაში ამ ხის ძირში უსულო
კუნძივით ასე გდებდას არჩევდა, ზიადრე ქორწილიდან შინ დაბრუნებას ხელ-
ცარიელი და დამცირებული.

ამ დილიდან მისი გვარი ყოყმანით აღარ არის, იგი შეიცვალა ყვე-
რამე და, საქორწილო ღმერთში მისი წუხანდელი იმედიათი ხშიანობის ნაც-
ვლად, ახლა წასში საუკუნოთ დაბუდდა სასო-წარკვეთილების კავშირით და ტყვი-
ასათ ცივი, უფერული და მძიმე მდუმარება.

XXXX

დიდ ხანს ჩხირ-კედლაობდენ—აქედან როსტომ ქაშაძე, რომელიც სო-
ფელს ედაუებოდა ზარალსა და შეურაცხყოფილს თავმოყვარეობას, ზოლო იქი-
დან—ბესარიონ მწერალი და გამბრიელ მელეტენე.

მთავრობის კაცებმაც კი ძალიან მოინდომეს მათთვის შარის დაქვრა, მაგ-
რამ მინც არაფერი გამოვიდა.

თედო ახალიშვილის განცხადება, რომ ის ამას სჩადის დაზარა-
ლებულ პირებისადმი პირადი ანგარიშის ნიადაგზე, სპობდა ყოველ გვარ შესა-
ძლებლობას დანაშაულის სოფლისათვის თავს მოხვევისა, ამ უკანასკნელისაგან და-
ზარალებულთათვის რაიმე სანაზღაუროს აღების მიზნით და ამ რიგით როსტომ
ქაშაძის ქორწილზე თავ-დასხმის ფაქტი ღებულობდა კერძო ბოროტ-მოქმედ-
ების ხასიათს.

თუმცა, გამოტყბით უნდა ითქვას, რომ სოფლის ხელიც კრია აღნიშნულ
თავდასხმაში.

რეაქციის შემდეგ, თითქმის პირველად მოჩიტიებულმა სოფლის რევოლი-
ციონურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა სოფლის ამ ტყუპ ექსპროპრიაციითა-
ბესარიონ მწერლისა და გამბრიელ მელეტენის-ექსპროპრიაცია, რათა ჩამორთმეუ-
ლი ფული მოხმარებოდა იმ საქმეს, რომლის დევნაშიც ქაშაძის სიძეებმა ისე
ისახელეს თავი წარსულში.

ყველას, ყველას, მაგრამ რევოლიუციონერებს ისინი თავიანთ ბნელ მოქ-
მედებებს ვერ გამოაპარებდენ. მით უფრო—ისეთ დახელოვნებულს მებრძოლს,
როგორც თედო ახალიშვილი იყო.

ახალიშვილის ციმბირიდან დაბრუნების ამბავი თანდათან გახშირდა
და მთავრობას ბევრი ახალი საზოგადოებრივი გაუჩნდა, მაგრამ...

მაგრამ მალე ამ ხანებში იფეთქა საერთაშორისო ომმა და მან ყოველივე
ასეთი წვრილმანი თითქმის სრულიად შთანთქა.

ომის ასპარეზს მიაშურეს ბესარიონ მწერალმა და გამბრიელ მელეტენემაც.
ამ გაქნილმა და ყოველ გვარს კომბინაციებში დახელოვნებულმა ხალხმა მალე
მოუპოვეს აქ შესაფერი ბაზარი თავიანთ ნიჭსა და გამოცდილებას.

ომიანობის ქარცეცხლში გახვეულმა ცხოვრების ნიადაგმა დაქსაქსა მძა-
რფიერულთა გზები. მაშინ, როცა გამბრიელ მელეტენე მოღვაწეობდა ოსმალე-



თის ფრონტზე. ბესარიონ მწერალი გაიტაცა ვგრედ წოდებულ ფეხქვეშა მუშაკის ასპარეზში. მათი ოჯახური ცხოვრება კი იმ თავითვე შეიფერსა და მწერლის ქორწილის ღამეს მომხდარმა მოულოდნელმა შენთხვევამ.

ამაოდ ახუგეშებდა მათ ცარიელ სიტყვებით ხელზეარიელი როსტომი.

ფიზიკურ შეურაცხყოფას რომ თავი დაეანებოთ, ის დანაკლისი, რაც მისმა სიძეებმა განიცადეს აღნიშნულ ღამეს, ნამზითვი ფულუბის დაკარგვის სახით, სამძიმო გახდა მათი ქალაქში გადასახლებასთან დაკავშირებით გამოწვეულ ხარჯებისაგან საგრძნობლად დაკლილი ჯიბეებისათვის.

ის იმედები, რომლებსაც ისინი ამ ფულებზე აწყარებდნენ, სანუდამოთ ჩაიშალა ხველა

მატერიალურმა სიღვიწროვემ ოჯახურ უსიამოვნებასაც მალე მოაკიდებინა ფეხი და მამის ოჯახში უზრუნველად ნაცხოვრებ ქაშაძის ქალებისთვის მალე აუტანელი გახდა ქ. ს-ში ოჯახის საზრუნავებით დაძინებული ატმოსფერო.

როსტომი ხშირი სტუმარი იყო სიძეებისა. თავის ქალებს იგი ხშირად მატერიალურ დახმარებასაც კი უწევდა, მაგრამ ყოველივე ეს წვეთი იყო ქალაქის ცხოვრების სოფელთან შედარებით უძირო ზღვაში.

ხშირი სტუმარი იყო აქ ივლიანე ყოცოჩაძეც.

მაგრამ ეს უკანასკნელი პირიქით მოითხოვდა მასპინძლებისაგან დახმარებას და პატოვისკემას.

აი, ასეთ პირობებში მოუსწრო ქაშაძის სიძეებს საერთაშორისო ომში იმით თვალ-წინ ისევე იელვა გამდიდრებისა და ცხოვრების კეთილად მოწყობის ნათელმა იმედებმა.

მკლავებ-მომარჯვებულ მცურავეებით გადაიშვენ ბესარიონ მწერალი და გაბრიელ მედუქნე ონიანობის აბოზოქრებულ ზღვაში, მხნედ უსობდნენ მხრებს და მიიწვედნენ წინ, სარგებლიანი, მყუდრო და სიამაღებლობით საესე სამშვიდობო აქენ...

მეტისმეტად მომხიბლავი და მომჯადოებელი იყო წინ გამიზნული ტკბილ-მოლოდინიანი მომავალი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ტანჯვა-წამების, უსიხარულო თრევისა და გაიცადენის მეტი ამ საიმიდო ასპარეზიდან დიდი არაფერი სჩანდა.

ჯიუტი მცურავეები კი მაინც წინ მიიწვედნენ, ზღვის უფრო შორეულ, უფრო ღრმა და მძაფრ-კუნაბეტოვან სიურცე-წიალისაკენ გამაღებით მიჰქროდნენ...

XXXXI

— „ამეამად ხამაღანნი ეღვევართ.

თუ მოგებრხება, ვადმომიგზავნე ხუთასი მანეთი“.

სწერდა დეკემვით არზრუმში ახლად ჩასულ გაბრიელს—ქვისლი.

ქვისლს კი საპასუხო არაფერი დარჩენოდა, რადგან თვითონ განიცდიდა დიდ მატერიალურს სიღვიწროვეს და არც არზრუმში მისი ყოფნიდან იყო მოსალოდნელი რაიმე ხეირი. იგი ეხლა პეიქრობდა ტრაპიზონში წასვლაზე, მაგ-



რამ, რადგან საგზაო საშუალება არაერთგვაროვანად არ მოეპოვებოდა, რეალურ სინამდვილის სახით, მხოლოდ ოცნებობდა ამ წასვლაზე.

ოცნება კი ხაზინდაზე ნაკლებათ არც აზრებში იყო შესაძლებელი. სახლში დარჩენილ ცოლებზე ასეთ ყოფაში, აბა, ფიქრიც ხომ ზედმეტი იყო.

როსტომი თავს მოვალედ სთვლიდა და ძალიანაც უწყობდა ზელს მარტოთ და თითქმის სრულიად უსახსროდ დარჩენილს თავის ქალებს.

უზიდებოდა სახლიდან ოჯახის ყოველგვარ სარჩოს, თუ, პირიქით. ქალები მიჰყავდა სახლში ხანგრძლივ მოსათავისახლებლათ.

როსტომისათვის ის უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ქალები სახლში ჰყოლოდა. მაგრამ ხალხის თვალში ეხტიბარს არ იტუნდა და დრო და დრო მაინც ჩაჰყავდა ისინი ქალაქ ს-ში, რათა, მკირე ბნის აქ მოთვეის შენდევ, ისევ ხანგრძლივად სახლში წაესხა თავისი ასულები.

ასე ერგებოდა დიდი ბნის წვეისა და დაგვის შედეგათ ოჯახიდან ძლიერ ერთხელ გასტუმრებულ თავის ქალებს როსტომი—სოფლიდან—ქალაქში და ქალაქიდან—ისევ სოფელში—სახიარო შეწველი ფურებივით.

ემდღუროდა თავის ბედს.

არც თავიანთ ქალების ხვედრით იყო მაინცა და მაინც დიდათ კმაყოფილი.

წუწუნებდა, სწუხდა, მაგრამ თავის მამობრივ მოვალეობას მაინც პირნათლად ასრულებდა.

შესაძლოა ბოლოს და ბოლოს ნოპებზრებოდა კიდევ შვილებისათვის ეს თავდადება, ხელი ეშვა მამობრივი ზრუნვისათვისაც, რომ სახლში არ ჰყოლოდა მამზილებულ-მარუხებელი. თავისი კეთილ მორწმუნე მეუღლის სახით, რომელიც „ბედ მომწიარ“ ქალებზე ფიქრით ვეღარ ისვენებდა და სულ კმარს ჩასჩინებდა მათ შესახებ: არ უსვენებდა, აიძულებდა, კმარს ამ თითქმის არა ბუნებრივს სამსახურს. თავის ვათხოვებულ ქალების წინაშე.

XXXXII

აუ საძებნ-საწოვარზე გასულ ქვისლების საქმე ასე ცუდათ იყო ომის პირველ წელს, მეორე და მესამე წელს მდგომარეობა უკვე სასიკეთოდ შეიცვალა და მწერალ-მედუქნის ოჯახში ასობით და ათასობით დაიწყეს ლაბარაკი.

სოფლად როსტომმაც აღუმაღლა კილოს და მის მეორე მხრით ბანს აძლევენ, კერს უკრავდენ და ძალღურს სიერთვულეს უმტკიცებდენ: ივლიანე ყოყო ჩა ძე და მისი ცოლი, ელუკი.

ივლიანემაც მოუხშირა ქალაქ ს-ში სიარულს. ხან როსტომთან ერთად და ხან კიდევ უამისოდ, ორ და სამ-ოთხ დღეობით, ხშირად კვირაობითაც რჩებოდა ქაშაძის სიძეების „მედურ“ ოჯახში, სვამდა, სქამდა და ლურჯასავით ვორაობდა იქ, ქაშაძის ქალების პატივისცემით ყელამდი აღსავსე.



თვითონ ოჯახის პატრონები კი მხოლოდ დრო-გამოშვებათ ინტერაქციონს ს-ში, მაგრამ ორი სამი დღისათვის არას დროს არ გადაუცილებელია დროგამოშვების დარბაზობისათვის.

ჩემად მოსულენი, ისინი ჩემადვე ჰქრებოდენ სახლიდან და მიეშურებოდენ თავთავიანთ საქმეებზე.

გაბრიელ მედღეჲს უფრო ხშირი სტუმარი იყო ოჯახის, რადგან მისი საიჯარო საქმე ბათომიდან ტრაპიზონს ახლად მიმავალ გზაზე იდო და აქიდან მას უფრო მეტი საშვალეა ჰქონდა ოჯახისათვის მალი-მალ მიხიდვისა.

ბესარიონ შწერალი კი სპარსეთის ფონტზე ინგლისელებთან იყო რალე ურთიერთობაში ჩაბმული და თან რუსის ჯარსაც „უმაგრებდა“ ზურგს.

ამ რიგათ, ოჯახსა და სერთოდ სამშობლოს უფრო დაშორებული, იგი იშვიათი სტუმარი იყო სახლში. მაგრამ, ინგლისური სტერლინგები და რუსული ხუთასიანები თუ კი რაიმე მოსახმარი იყო, იმათ ბესარიონ შწერალი თითქმის ფუჭჩოვით ჰხვეტდა და ეხიდებოდა სახლისკენ.

შინ კი ამ ფუჭჩოვში ქალები „ურევედენ ხელს“, და თანდათან მადა-ამლილ სურვილისა და ეინისამებრ აძლევდენ ამ ფერად ქალაღდებს ამა, თუ იმ მიმართულებას.

გაბრიელ მედღეჲს, რათა ჯიბე კიდევ უფრო კარგათ დაეტენა, მის ახლად აგებულ დუქანში მოკალათებულს ჩარჩს, რომელსაც დუქანი ომის დაწყებამდისვე ჰქონდა ნაქირავეები მეპატრონეებისაგან. რადგან ამ უკანასკნელთ შაშინ არავეთარი სახსარი არ გაანდათ მასში საკუთარი საეპტროს გახსნისა, უარი გამოუცხადა საიჯარო ხელშეკრულობის გამოცვლაზე და მოსთხოვა, საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ დუქნის, დაუყონებლივ დაეკლა.

გაბრიელს ახრათ: ჰქონდა, თვითონ გაეხსნა დუქანში საკუთარი საეპტრო და შესდგომოდა დიდა ხნის ნანატრ მშვიდ და უზრუნველს ცხოვრებას ქალაქს ს-ში.

მოუხედავით ასეთი წინასწარი თადარიგის დაქერისა, გაბრიელს მაინც არ მოუხდა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა, რადგან სწორეთ ამ დროს იფეთქა რუსეთში დიდმა რევოლიუციამ და ყველაფერი თავდაყირა დადგა: აირია დრო, აისეარა ათას წლობით ნავიარები ცხოვრება და არა ერთი გაბრიელის მიერ განსახორციელებლად განზრახულისთანა ვეგმა და იმედი ჩაიქცა და ჩაიშალა.

სამუშაოები, სადაც გაბრიელის იჯარა დღემდის ისე წარმატებით მიმდინარეობდა, რევოლიუციის თითქმის მეორე დღესვე შეწყდა, რამაც გაბრიელს არა ერთი ასეული მანეთის ზარალი მიაცენა.

მაგრამ ასეულ მანეთებს ახლა ვინლა სწიოდა?

მდგომარეობა ისე გართულდა, რომ საქირო და სახრუნავი გახდა საკუთარი ტყავის გადარჩენა და გაბრიელმაც, მიასწორ-მოასწორა რა პირადი ანგარიშები, დაუყონებლივ მოუსვა სახლისაკენ ისე, რომ საქართველოსკენ დაძრულ თათრის ჯარს ძლივს გამოუსხლტა ხელიდან.

მართალია, შემდეგ ამ ჯარის საქართველოში შემოკრას თითქმის ერთი წელიწადიც დააგვიანდა, მაგრამ მისი ნელი წინსვლა კი იმ თავიდანვე აღინიშ-

ნა ბრძოლის იმ ადგილებში, სადაც გაბრიელს უწევდა მოღვაწეობა ამასთან ჩაბნედილი ანგარიშების სწორებაშიც კარგა ხნით შეაჩერა გაბრიელი ზღვისათვის ამოზოგებულს უცხო ქვეყანაში, რომელიც დღით-დღით უფრო მოუსვენარი და ხიფათიანი ხდებოდა და ეს მოუსვენრობა მტკიცედ ტალღათაგან იფრქვებოდა და ფრთხილად მოსდევდა სამშობლოსაკენ პირ-შემობრუნებულს ჩვენს ჯარსა და გაბრიელ მდღევანდელსა საშოვარზე მყოფ პირებს.

არც სპარსეთის მხრივ იყო უკეთესი მდგომარეობა.

სიფრთხილისა და თავისი ინტერესების დროზედ შეგნებაში გამოცდილმა ბესარიონმა მალე აუღო ყოველივე ამის ალლო და აღრინაღვე შეუდგა აქიდან „ბარგის აკონჯას“.

სპარსეთიდან მგზავრობა გაცილებით უფრო ხიფათიანი და საშიში იყო. მაგრამ გამოცდილი ბესარიონი აეგვიტა ერთ-ერთ სამშობლოსაკენ დაძრულ რუსის ჯარის რაზმს და თითქმის საქართველოს საზღვრამდე ამ ჯარის ფრთებქვეშ განუყრელიდ მყოფმა მოატანა თავი, როგორც იქნა.

მიუხედავად ასეთი გაიცადებისა, სიმღიდრე და საშუალება ორივე შინ მშვიდობით დაბრუნებულს ქვისლს მაინც საკმაოდ მოჰყვიათ. ასე, რომ დროებით მაინც შესაძლო გახდა ტყბილი ოჯახური ცხოვრების მოგვარება.

კიდევ უფრო აიწია როსტომ ქაშაძე.

კიდევ უფრო მოუხშირა ქალაქ ს-ში სიარულს ივლიანე ყოყოჩაძემ.

XXXIII

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, თათრის ჯარის თავიდან მოშორება და ერობის ამოქმედება, მისი ბუშაობის გაცხოველება „სამშობლოს საკეთილდღეობით“, ეს ისეთი ნოვლები იყვენ ჩვენს ცხოვრებაში, რომელთაც ისეთი სამშობლოს მოყვარული და თანაც ახლათ გამამბულიშვილებული „ახალ თაობის კაცები“, როგორც იყვენ ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მდღევანდელი და, თუ გნებავთ, როსტომ ქაშაძეცა და ივლიანე ყოყოჩაძეცა, უეჭველად უნდა გამოხმაურებოდნენ და, რითაც შეეძლოთ, „დინარება უნდა გაეწიათ“ თავისუფლებისა და აღორძინების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის.

ყველა ამათ წინ გადაიშალა ახალი ფართო ასპარეზი სარგებლიანი მოღვაწეობისა.

გაბრიელ მდღევანდელსასათო საქმეებში ჩიფლო, ხოლო ბესარიონ მწერალმა ერობის ერაზო ირჩია და დაიწყო შიგ ბედნიერ ყველივით ცურაობა.

აქ მან შედარებით უფრო სუფთა საქმეს მოჰკიდა ხელი: იგი გაცხოველებულს ენერგიით შეუდგა „ფინანსების მოწესრიგების“ საქმეს.

ამ ორის მიხედვლი, როსტომიცა და ივლიანე ყოყოჩაძეც კი ლამობდნენ საქმეში ჩარევას, მკნაგი ბუნება ორივეში ახალგაზრდულის ტემპერამენტით იღვიძებდა და იწვედა წინ, მათთვის სრულიად უცნობი და შეუწყრებელი შრომისაკენ.

მაგრამ ჯერ-ჯერობით კეთილი სურვილები მხოლოდ სურვილებათა რჩებოდა და ზედმეტ საბაბათაც მწერალ-მდღევანდელს ოჯახში ხშირი და უაირა-



თიანი სტუმრობა.

ამას ზედვე წამოეწია 1919 და 20 წლის ამბებიც და ქ. სემეიოვსკის და ნაწილობრივად ფესმოკიდებულმა მკუდრო მდგომარეობამ აწიგნოთაჲ გილის დათმობა არგე-დარევისა და საზოგადოებრივი, სოლო აქიდან პირად თუ ოჯახურ ხასიათის უსიამოვნო ამბებსა და განცდებს.

ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა თედო ახალი შვილი, რომელსაც მიემხრო ომიდან დაბრუნებული, არსებულ მდგომარეობით უკმაყოფილო ელემენტები და დაიწყო გაბედული ძალთა შეჯიბრება, ერთის მხრით — ცხოვრების სრულიად ახალი წესწყობის მომხრეთა და წეორე მხრით — ძველის გამაგრებულთა და მისი შემონარჩუნების მცდელთა შორის.

— ვის მოსწრია, ბატონო, ყანალების წესწყობილება და სახელმწიფო?! გაწიწმატებით სძაბავდა კისერს და ხელების გასაქანებით გაჭიოდა როსტომ ქაშაძის უფროსი ქალიშვილი, ელპიტა, გაბრიელ მდელქნის მუღლუ.

— აბა, რაი, აბა!..

უკრავდა კვერს როსტომი, ან კიდევ ივლიანე ყოყოჩაძეც პირველ ხანებში.

შემდეგ კი, მდგომარეობის ცვალებადობისათვის ალღოს თავის დროზედ ართმევაში ხედმიწვენით დახელოვნებულმა ივლიანემ ქალაქ ს-ში სიარულს და მწერილ-მედელქნის ოჯახში სტუმრობას თანდათან უკლო და ბოლოს სრულიადც ამოიკვეთა აქიდან ფეხი, რის გამო, არა ერთი საყვედურიც კი დაიმსახურა შემთხვევით სადმე შეხვედრილ როსტომისა თუ მისი ქალიშვილებისაგან.

მაგრამ ოსტატმა ივლიანემ შესაქლიბავი უკვე კაი ხანია შეაქლიბა მათ და ამიერიდან სხვა ამოძაველი სიოს შესახვედრადაც იყო საჭირო მზადება.

გამოცილდ ივლიანეს ცხერი მუღამ ქარის მიწართულებით ეჭირა და მას მხედველობიდან სრულიადაც ვერ ეპარებოდა ჩვენში „ბოლშევიკური“ მოძრაობის მოსალოდნელი გამარჯვება.

XLIV

ძალიან ძვირად დაუჯდა ახალი შვილს 1919 წლის აჯანყება.

ბევრი მისი ამანაგო და მათ შორის მამოს ძმაც გოვიც ბელში ჩაიგდეს საგანგებო რაზმელებმა და სიკოცხლეს გამოსალმეს.

თვითონ ახალი შვილი კი სრულიად შემთხვევით გაუსხლტა მტერს ხელიდან და აქარაშა გადახვეწით თავს უწყელა.

საწმობლოდან გარდასვენებულ თედოს, თუშკა გულით უნდოდა, რომ მამოც თან ჰყოლოდა, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან სწორედ ამ დროს მამო ლოგინად იწეა თავის პირმშოზე.

თედოსა და მამოს, ერთი წლის შუღულების შემდეგ, ევოლათ ვაჟი.

მშობლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

უხაროდით, რომ პირველად ვაგი შეეძინათ, რაიცა მშრომელთა ამ სამკედრო — სასიკოცხლო ბრძოლის ხანაში ფსიქოლოგიურადაც იყო გამართლებული.



— რევოლუციას ერთი ჯარის კაცი მაინც ხომ შეეძინებოდა... კერძოდ სიცილით თედო, რაზედაც მაშოს თანხმობასაც იმსახურებდნენ. მაშოსთან სილა ჩემი ლამილით, რომელსაც იგი გარეშე შეხსწრეთავან საბნის თავზე წაგდებით, ან კიდევ თვალეზზე ხელის წაფარებით მძალავდა.

მხოლოდ მაშინ იმსახურებდა თედო მაშოსაგან პროტესტებსა და, წყენის ნიშნად, ზურგში ხელის უემაყოფილოდ ცეპას, როცა თედო ზოგჯერ განგებ, მაშოს გასალიზიანებლად, სიცილითვე დასძენდა ხოლმე:

— მე თუ „ნენშევიებმა“ მომკლეს, ჩემი ლადო მოკიდებს ხელს ჩემს იარაღს, განაგრძობს მამის დაწყებულ საქმეს და მამის სისხლს შვილი აიღებსა...

თედოს რჩევით, მაშომ ბავშვს მართლაც ლადო დაარქვა.

ეს იყო, ასე ესთქვით, შორიდან გულწრფელი სიყვარულის გამოცხადება და ხვედრით დაზიარება მშრომელი კაცობრიობის იმ დიდებულ მასწავლებლისა და ბელადის სახელთან, რომელსაც ჯერ კიდევ ათას ვერსობით მანძილი აშორებდა, ათასობით და ასიათასობით მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციონური ძალები შუა ელობებოდნენ და ფიზიკურად მიუწვდომელსა ხდიდნენ სულით და გულით მასთან მყოფ და შორიდან მის მიკერპებულ თედოსა და მაშოსაგან.

თითქმის თედოს სრული უშუალო ხელმძღვანელობით მოწყობილ გამოსვლებსაც ხომ ეს „ზორგული, მაგრამ საქმით მაინც ახლობელი კავშირი ედო საფუძველად.

მაშოს ძალიან სწყონდა, ერცხენებოდა კადეც, რომ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას ვერ ღებულობდა და, მისი წრძოდგენით, ტყვიების ცეცხლში გახვეულ თავის საყვარელ თედოს გვერდს ვერ უშეშენებდა. „შორიახლოდანაც კი ვერ ედგა მოდარაჯეთ საყვარელ საქმეს, რათა, გაქირებვის დროს, წყლულის შეხვევა მაინც შესძლებოდა დაჭროლ კმარისა, თუ სხვა იმისი თანამებრძოლი ამხანაგებისათვის.

თავის ამ უნებლიე „აეადმყოფობას“ საშინლად ემდუროდა მაშო, სწყლდა ნერვიულობდა, მოუსვენრობდა და მალი-მალ ეკითხებოდა დედას, თუ რა ამბები მოისმოდა ბრძოლის ველიდან.

მაშოს ეს მოუსვენრობა თითქმის მის პატარასაც გადაეღო და ისიც მოუსვენრობდა, სტიროდა, ანხლობდა, ხელეზსა და ფეხებს ასავსავებდა. ასე გასინჯეთ, დედის ძუძუც კი ველარ ირუმებდა ააზიზებულს ნორჩ ყმაწვილს.

საცოდავი მარიამა, აბა, ხომ სულ გაფთვრული კრუხივით წრიალებდა.

წამოივდებდა თავსა თუ ზურგზე თავმალს და ასე იალქან-აკიდებულებით მიაფრიალებდა სადღაც. ცოტახანს უკან იგი ისევ ბრუნდებოდა უკან, ამბებით დატვირთული. მაგრამ ეს ამბები ხშირად ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდა, რის გამო, ლოგინში მწოლი მაშო კიდევ უფრო ღელავდა და მოუსვენრობდა.

და როდესაც გამოიჩვენა ბრძოლის შედეგების უტყუარი ამბავი, დაითას ქონში ნამდვილი ჯოჯობეთი დატრიალდა.

საცოდავი მარიამა ლანის ჭკუაზე შესცდა, გოგის სიკვდილის ამბით ზარდაცემული.



ტანჯვას ის უფრო ართულებდა, რომ მთავრობამ მიტყუარებულნი აღარ დაუთმო დამწუხრებულ ოჯახს დასატირებლად და ამით უბედური შემთხვევისათვის გულის შესაჯერებლად.

დათია ცრემლების ღაპა-ღუპით ვეედრებოდა ყველას: „ერთად ერთი ვაჟიშვილი ესა მყაყდა, ქოხს ბურჯი გამოეცალა და ახლა ამ დამწუვარზე მდღელარეს ნულა დამასხამთ, ნუ დამლუპავთ, ხეზეურად ნუ ამიძალეებთ და შვილს პირუტყვივით „უკურთხ“ მიწაში ნუ ჩამილპობთო.“

საბრალო, გაუნათლებელი, ჯერ კიდევ ძველი წესისა და ადათის შემხედვარე გლეხისთვის შვილის „უკურთხ“ მიწაში ჩამარხვა თითქმის სიკვდილის მეორე შემთხვევას უდრიდა.

მაგრამ ანაო იყო დათიას ვედრება და „ხელზე კურცხლის ყრა.“ მთავრობის კაცები უღმობლები გამოდგენ და მოკლული გოგისა გვაში იქვე ჩაავდეს ნახევრად ამოკოკვილ ორმოში, სადაც იგი ვერაგულად მოჰკლეს.

ყოველივე ეს სიმშლინა თუ სიმოხუცებულობისაგან მიხრწნილმა და ამ რამდენიმე ხნის წინად ძლიერი ავამყოფობის გადანატანმა დათიას ცოლმა ვერ აიტანა და, რამდენიმე დღის სასიკვდილო აგონიასთან ბრძოლის შემდეგ, სული განუტევა.

მაგრამ დათიას დამწუხრებულ ოჯახს ესეც არ აქმარეს და „სიკეთეს“ — „სიკეთეს“ უდებდენ და უნატებდენ მთავრობის სავანგებო რახმელება.

თითქმის ღამე არ იყო, რომ დათიას ქოხს არ სტუმრებოდენ ისინი და ყველაფერი ძირბუდიანად არ გადმოებრუნებიათ.

ამის შემდეგ, სათემო კანცელარიისკენ, ხოლო აქიდან სამაზრო საპატიმროსაკენ მიერეკებოდენ ხან დათიას და ხანაც მაშოს.

ასეთმა განაწამებმა ცხოვრებამ საშინელი გავლენა იქონია მაშოს, როგორც ქალის, სათუთ აგებულებაზე. იგი გახდა, განოიფიტა და ძეჟუიცი რძე გაუშრა. დედა იძულებული შეიქნა ბავშვის ხელოვნურ კვებაზე გადასულიყო.

ამ გარემოებამ თავის მხრით სასტიკი გავლენა იქონია თვით ბავშვზეც, რომელსაც ხშირად ეს ძუნწი კვებაც აკლდებოდა, დედის აფორიაქებული ცხოვრების გამო.

მობდებოდა, რომ მთელი დღეობით რჩებოდა ბავშვი უქმელი და მხოლოდ გულკეთილი ვინმე თუ მიხედავდა უპატრონოთ დავდებულს ბავშვს, როცა მაშოს ეზოდან ვერაგულად გადაიტყუებდენ და შემდგ უკან გამოუბრუნებლათ უკრავდენ თავს წორველ საპატიმროში.

შედეგი კი ის იყო, რომ ვახაფხულზე, როცა საზოგადოთ ყოველი ახალი კვირტი იშლება და იფურჩქნება, მაშომ ყვილა ახლო ნათესავთა და დამწურეთა გულის დამწველ-დამკოდი ცრემლებით დაიტორა თავისი სიცოცხლის კვირტი, თავისი პატარა გულის ნაწყვეტი ღადო, რომელიც მთელი თემის და ბევრ გარეშეთა აღსაშფოთებლათ შიაბარა მიწას თავისი ძმის, გოგის გვერდით.

ისე უკელმა და უღმობლად ახდა „პატარა ღადოზე“ მამის გულუბრყვილო წინსწარმეტყველება.



ამას იწყებდა, ერთის მხრით, ის გარენობდა, რომ, ახსენებდა მკვლელების გარდახვეწის შემდეგ, რაღაც იმედ-მონაცემმა ქვრივმა, ერთხელ უკვე მოხდა ბესარიონ მწერალთან მისვლა, მისგან რაიმე განკითხვისა და დახმარების მიღების მიზნით, რადგან, თუ სხვებისთვის გართულდა და გაძნელდა ცხოვრება, ალათიასათვის ხომ ის ლამის ჯოჯობეთად გადაიქცა, ისე გამძაფრდა და გაქირდა ყოფნა.

მაგრამ იცოთ, რა მიიღო პასუხად?

ბესარიონი მეორე ოთახში შევიდა და იქიდან ვასცა ბრძანება: „გაგდეთ ეს დედაბერი ვარეთო“!..

მოსამსახურე ვოვამ უზრდელი სიტყვით გაისტუმრა ალათია სახლიდან და გულდაწყვეტით გამობრუნებული ქვრივის უკან ეზოს კიშკარი უდიერი შეხმაურებით მიიხურა.

ამ წუთიდან ალათიას შეჰხარდა ბესარიონ მწერალიც, გაბრიელ მედუნეცი, როსტომ ქაშაძის ოჯახიც და საერთოდ საზოგადოების მთელი ის ნაწილი, რომლის შესახებაც იმათთვის რისხვა-ბოლშევიკებისაგან ალათიას ბევრი რამისთვის ჰქონდა ყური მოკრული ამ უკანასკნელს ხანებში.

— აი, მაგი „ბურჯუები“, უნამუსოები და „წუწკი ძაღლები“.

იგინებოდა თავის გულში მწერლის ქცევით აღშფოთებული ქვრივი, რომელმაც, ბესარიონ მწერლის ოჯახში პურ-ღვინის მიღების იმედით, სრულიად უსაგზლოდ განვლო მთელი ეს გრძელი ვზა შინიდან ქალაქამდე და პირაქეთ.

ვზაზე კი ველიარ გასძლო, ერთ ქოხთან შეჩერდა და მქადი ითხოვა.

მხოლოდ მაშინ, როცა ქოხის დიასახლისმა თავახიანად მიიპატიჟა, და რითაც შეეძლო, გაუმასპინძლდა, ზოლო ალათიას მიერ გამოთხოვებისა და წასასვლელად გამზადების უამს, ლამის გათევის წინადადებაც კი მისცა გამოუთქმელი სიგულწრფელით, თითქმის თხოვნით, აი, მხოლოდ ამ წუთიდან მოხდა ალათიაში საშინელი გარდატეხა.

მას თვალწინ წარმოუდგა მთელი თავისი განვლილი სიცოცხლე, რომელიც თვითონობიერებასა და შესაფერ შეგნებას მოკლებულმა ქვრივმა ბესარიონ მწერლებისთანა გულქვა და უიხტიბრო არამზადებს შესწირა.

ქვრივს შეჰხარდა ის ხან-მოკლე მზიარული წუთებიც კი, რომლებიც მას ოდესმე განუცდია მთელ ამ შავი ბურუსით მოცულს ყოფნაში. ამ ბურუსმა ახლა მის წინაშე იწყო თანდათან გარღვევა, გარკვევა და დანანდა, საშინლად დანანდა საბრალო, ქვრივს უმიზნოდ ჩაბარჯული განვლილი წლები არა იმ მიმართულებით, საიხაც მას უნდა მიემართა ესენი.

მას თვალწინ წარმოუდგა ბესარიონ მწერლისათვის გაწეულ სამსახურთა მთელი საშინელება და ამისგან თავის თავს დატყეხილი მძიმე პასუხისმგებლობა, ისეთ უდანაშაულო და ყოვლად პატიოსან ადამიანების წინაშე. როგორც, ამჟამად უკვე მისი აზრით, იყენენ მაშო და თედო ახალიშვილები.

მასში გაიღვიძა ინსტიქტმა, რომელმაც, მთელი სიმპატიით ამ უკანასკნელებისადმი, გადაიყვანა ქვრივი—თედო ახალიშვილისა, მაშოსი, დათია



წვდადაგაძისა და მათ მსგავსთა, ანუ თავის მსგავსთა მხარეზე.

რა იყო ეს, ან საიდან იყო მასში ასეთი გარდატეხა? ალათიამ ეს არ იცოდა.

მან იცოდა მხოლოდ, რომ მასში ასეთმა გარკვეულმა და ნათელმა ახრებმა მოიპოვეს სათავე ბესარიონ მწერლის გაჩემულ სამყოფელიდან სამარცხვინო გამოძევებისა და გზაზე ღარიბი, მაგრამ უხეი მასპინძლობით მის წინ ვულ-ვახსნილს ქობში მიღებულ სტუმართმოყვარეობის დღიდან.

მოდიოდა ალათია თავის სახლისაკენ, მაგრამ მას უკვე რცხვენოდა ამ სახლისა, რცხვენოდა სოფლის, რცხვენოდა თავის თავის და კიდევ მეტად რცხვენოდა სოფლათ მისავით დანაგრულებს წინაშე განოჩენისა.

XLVI

იღგა წაისი.

ამ წელს მუშათა საერთაშორისო დღესასწაული და ძველი ქრისტიანული კულტურის გამარჯვების ემბლემა—აღდგომის უქმე—ერთსა და იმავე დღეს გათენდა.

იყო რაღაც მისტიური ამ სხედასხვა ხასიათის უქმეთა ერთ დღეს შეხვედრაში.

წელს ქალაქ ს-ს, და არა მარტო ქალაქს, მთელი ამ მხარის სოფლებს რაღაც არაჩვეულებრივი სადღესასწაულო ელფერი ედო.

ყველგან წითელი დროშები, ყველგან, რაღაც ძველ ქურდულ, ღამის სიბნელესთან დაკავშირებულ სააღდგომო ლიტანიების ნაცულად, ფართო და ხალვათი, როგორც ეა, გრძნობით მხურვალე და ელვარე, როგორც მზე. აშკარა სახალხო ნომრათა დღედა და პირს გადადიოდა.

ღამიზად მორთული ტრიბუნებიდან, თუ სხვა ხელოვნურ თუ ბუნებრივ მაღლობებიდან გაისმოდა თავისუფალი სიტყვა თავისუფალ მუშა ხალხზედ, მის დიად ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზედ.

იყო „შედაეებაც“ ამ გამარჯვებისა, ამ ძღვეა-მოსალი თავისუფლების წინააღმდეგ.

იყო გაზაფხული და გაზაფხულზე ხომ გველიც იღვიძებს და მერცხალიც. ქალაქ ს-ში საგანგებოთ მორთულ ტრიბუნისაკენ დილიდანვე იწყო ხალხმა დენა.

თავისუფლების მოედანი, სადაც აღმართული იყო ტრიბუნა, გზები, ეზოები და ვეებერთელა ბაღიც კი მოედნის ახლო მოედნილი იყო მოზღვავებული ხალხით. ხეები ყმაწვილ-აბალგაზრდობით იყო შელესილი. სახლის ბანები და მოაჯირები მაყურებელ ქალებითა და ბავშვებით გაქვდილი.

თავმჯდომარემ კრება გახსნა და ტრიბუნაზე გამოჩნდა გამხდარი შეხედულების, მაგრამ წამოსადევი სახისა და ტანის, საკმაოდ ხნიერი, მაგრამ მაინც მხნე და ხმაში სიმედგარის მჩენი ვაჟკაცი.

— ახალი შვილია.. ახალი შვილია..



გაისმა ხალხში, თითქოს გაზაფხულის სიომ დაჰქროლა ყვავილოვან ველს, სადაც შაშიც და ბალახიც ერთმანეთშია ხოლმე არეული.

— „ამანაგებო!“

გაისმა მკეჭარე ხმა:

— დღევანდელი დღის სიძლიერე თითქოს ბუნებაშიც კი შეიგრძნო, რომ მალლიდან ასეთი მშვენიერი მზითა და ფირუზისფრათ მოკიადე ციო დაუმშვეხება იგი. თითქოს კაცობრიობის ისე აზრათ იმგდები შავი წარსული და მასთან მისი სიამაყე—ისტორიული კულტურაც კი ქედს იხრიან დღევანდელი დიად მნიშვნელოვანი დღის წინაშე და უნდა მისთვის თვალის თვალში გასწორება იმით, რომ მუშათა განთავისუფლების დიად დღესასწაულს მოეგება თავისი საამაყო დღით, თავისი დიდების გვირგვინით, „ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომით“, როგორც მას ეძახოდნენ დღემდე, და იგი ჩვენს დღესასწაულს თითქოს ვეზ ქვეშ ფიანდაზად გაუნალა.

— უი, შენ კი გენაცვალე, როგორ კარგათ ლაპარაკობს!

გაისმა აქეთ-იქიდან ქალებში.

— ცოლიანია, ნეტაი?

ეკითხება ყმაწვილი ქალი ხანში შესულს...

ხანში შესული მხრებს უსიამოვნოთ იჩქეს, რითაც იჩენს აშკარა უკმაყოფილებას, რომ მას სასიამოვნო სიტყვის მოსმენა დაუშალეს.

მკეჭარე ხმა კი განაგობს და, როგორც ცის თაღებში ამეტყველებული ცეცხლის გრიგალი, ისე იწვევს ახალ-ახალ ცნობისა და ცოდნის მოყვარობას, ირგვლივ შემოკრებილ ხალხის ზღვაში.

ხალხი სდგას და ზოგი სოდომ-გომორის ცეცხლის სეტყვასავით, ხოლო ზოგიც—როგორც მანაღმერთის მკეჭარე, მაგრამ იმედის ცეცხლით ზოგიზგივ სინას მთიდან ზღაპრულ დაღადს, ისე ისმენს ამ ძლიერ ხმას.

ბევრი, ბევრი საგულისხმო ისმინა და ყურად-ილო ამ დღეს ხალხმა.

აქ იყო არა მარტო, ს-ს, არამედ მთელი იმ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები.

აქვე იყვნენ ბესარიონ მწერალიცა და გაბრიელ შედუქნეც, თავიანთი ცოლებითა და შვილებით.

და მათ საკუთარ თვალთ ნახეს დიადება იმ ადამიანისა, რომელიც მათ თავიანთ საშინელ მტრად მიაჩნდათ და რომლის წინააღმდეგაც მუდამ მზად იყვნენ გასალაშქრებლათ და რაიმე ზიანის მისაყენებლად.

ჭრება გათავდა.

სასიამოვნევი, თუ უსიამოვნო ხალხი დაიშალა და თავ-თავიანთი გზით წავიდ-წამოვიდა.

როგორც უტყვი, მაგრამ მაინც ბევრის მეტყველი, ქვის ან ლითონის ძეგლი, დაჰყურებდა ყვავილებითა და ფოთლებით შემოსილი დაცალიერებული ტრიბუნა თავისუფლების მოედანს, ხოლო აქედან—მთელს ქალაქს თავსუ, თითქოს ამ თავისი ცივი, მაგრამ მაინც ლამაზი დგომით ამოწმებს იმას, რომ ცხოვრებაში მართლაც დიდი ისტორიული გარდატეხა მოხდა და რომ ამ გარდა-



ტეხის საზღვარზე სდგას ავერ ის, როგორც ურყევი მიჯნა, ^{ტეხას რეპუბლიკა} ^{გენერალი} მაგრამ მისიხანე გუშაგი.

და მაღალი ხის ტარით მასზე მიმაგრებული წითელი დროშა კი ირხეოდა და ქანობდა, თითქოს ხელს უქნედა და მოუწოდებდა: ერთგულებს—ახალი, მონაველისავენ, ხოლო მტერსა და ორგულებს უიმედოთ ანიშნებდა და მრისხანეთ უთელიდა: „მიფრთხილდით! არ გაბედოთ და არ მომეყაროთ“-ო.

XLVII.

მაგრამ მაინც რომ გაბედეს?!

26 მაისი რალაც ნისლიან-მურუსიანი დღე გათენდა.

ბუნებაც კი წინათვარძობიანია ხოლმე ხანდახან.

თავიანთ სახლის ერთ ოთახში ისხდენ: ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მედუქვე, იმათი ცოლები და ამ უკანასკნელების მამა, როსტომ ქაშაძე, რომელიც წინადლით ჩამოსულყო სოფლიდან სხვადასხვა სანოვაგით დატვირთული ჯორით.

ისხდენ, ნოწყენილნი, თითქოს რომელიმე ახლო ნათესავის სიკვდილით არიან დამწუხრებულნი და ჩუპით რალაცაზე ბაისობდენ.

ჩუპით ბაისობდენ, რადგან მათი დიდი სახლის მხოლოდ ორი პატარა ოთახი-ლა ეყირა თითონ მათ. დანარჩენში კი მოთავსებული იყო რევოლუციონერ კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილება.

აქ ხშირად იყრიდენ თავს ადგილობრივი ხელისუფლების წყყრნი და მათ შორის თედო ახალი შვილიც, როგორც ამ ხელისუფლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ასრულდა ახალი შვილის და მისი ამხანაგების დიდი ხნის სურვილი: მუშა ხალხმა ნობოვა ის, რასაც ნან იმდენი მსხვერპლი და ენერგია შესწირა თავდადებულ შრომად თუ პარძოლად.

ბესარიონ მწერალს მშვენიერად ესმოდა, რომ მთელი მისი წარსული ბნელი მოღვაწეობა ახალმა ხელისუფლებამ, თუ საესეებით არა, დაახლოვებით მაინც უკვე იცოდა. ის არა ერთხელ მიიწვიეს, სადაც საჭირო იყო, და „ცოტა რამე“ გამოჰკითხეს კიდევ იმ წარსულიდან.

ბესარიონს ამ სამი წლის წინადაც მოუხდა ამ ნიადაგზე რამდენიმე არა სასიამოვნო წუთის განცდა, მაგრამ მაშინ სხვა იყო. მაშინ უფრო ადვილათ შეიძლებოდა თავის დაძვრენა, ვიდრე ეს დღესაა მოსახერხებელი, რადგან მაშინ ასეთ საქმე ბს უფრო რბილათ ჰკიდებდენ ხელს.

დღეს კი რალაც საქმის უფრო ერთგული და „კირკიტა“ ხალხი უდგას მართვა-გამგეობას სათავეში.

გარდა ამისა, მაშინ როსტომის ერთი ახლო ნათესავი, ნიკო მთეარაძე ედგა საქმეს ახლო, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა იმ დროში და რომელიც როსტომის ოჯახიდან ბევრი რამით იყო დავალებული წარსულში, თავისი მოწაფეობის ხანაში.

ნიკო თითქმის ძმასავით თანშეზრდილი იყო როსტომის ქალებთან და ამიტომ მათს ჭმრებს დიდ დახმარებას უწყედა იგი.



აი, რით აიხსნებოდა უმთავრესად ის, რომ როგორც ბესარიონმა, ისე გაბრიელ მეღუქნემ თბილად და ტკბილად მოიკალათეს ერობიჭკეტველდუხუა საკუქნაოებში იმ დროს.

სხვა და სხვა იყო ეს საკუქნაოები, ნხოლოდ გარეგნული შეხედვით. ნამდვილათ კი მათ შუა ისეთივე განუყრელი კავშირი არსებობდა, როგორც თვით ამ ორ მხად შეფიცულ პიროვნებას შორის. ცხადია, ამ კავშირსაც ისინი ისე იყენებდენ, როგორც „ხელი, ხელს რომ პბანს, ხოლო ორივე კი — პირს“.

ორივე ამ ხელს კი მაშინ მუვარველობდა მესამე, უფრო ძლიერი ხელი, ნიკო მთვარაძის, რომელიც ერთობ დიდი გავლენით სარგებლობდა როგორც ერობასა და მთავრობაში, ისე ხელმძღვანელ პარტიაშიც.

აი, სწორეთ ამ ნიკოს შეეხებოდა იმ ხუთ შორის ის ჩუმი ლაპარაკი, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

პირველ ხანებში ყველას ეგონა, რომ ნიკო თან გაჰყვა გახიზნულ მთავრობას პარიზში.

მაგრამ ერთ მშვენიერ საღამოს, როცა სოფლად ხმაურობა მიწყნარდა და სოფელი №-იც ძილისთვის განენზადა, როსტომ ქაშაძის აივანზე ფრთხილი ნაბიჯით აღიმართა ვიღაც ნაზადმოხურული და ყაბალახით თავ-შეხვეული კაცის ჩრდილი.

ის ერთხანს სარკმლებიდან იტვირტებოდა შიგნით და მძიმე, მაგრამ მაინც ფრთხილი ნაბიჯებით მიიპარებოდა აივანზე სახლის კედლის გაყოლებით.

ეხოს ძალი ერთი-ორი ხმამალალი ამოყუყუებით მივარდა უცნობს, მაგრამ მალე კუდის ქნევის და სასიამოვნო წკმუტუნს მოჰყვა, რადგან მოსულში მან იცნო ვიღაც ქაშაძის ოჯახთან დაახლოებული პიროვნება.

არც ოდიდან ეხმარებოდენ მოსულს დიდხანს და არც მოსული აძლევდა შესაფერს ნიშანს სახლში მყოფთ, თითქოს სტუმართა კი არა, გასაქურდავით სწევდია ვიღაც საღხსო.

მაგრამ მალე ეს გამოუჩვეელობა დაირღვა და კიდევ გაისმა სარკმლის მინაზე ხელის რიტმიანი კაკუნი.

სტუმარი მიიღო როსტომმა, რომელიც ერთ ხანს შემცფარი აკვირდებოდა ამ საფრთხობელასავით უწნოთ შებვეულ არსებას. ბოლოს ძლიეს იცნო მასში თავისი ნიკო, რამაც აუწყრელი სიხარული გამოიწვია მასში. მაგრამ მისმა ასეთ დროს აქ გამოსენამ თან კიდევ ჩაადიჭრა და დააშინა ისედაც საკუთარს ქერქში საბრალთ შემქერალი როსტომი.

ნიკომ შენიშნა როსტომში ეს შიში და ყოყმანი და უხერბულობის გასაფანტავად, დამშვიდებული ხმით, თითქმის ჩურჩულთ უთხრა:

„შე დიდხანს არ შეგაწუებ, ჩემო როსტომ, მხოლოდ ძალიან მომენატრეთ, გინახულეთ და მალე ისევ დაგტოვებთ“-ო.

როსტომი შეუძღვა სტუმარს თავის ცოლთან უყანა ოთახში, რითაც გამოაწვია იქ აუწყრელი სიამოვნება, უფრო გულწრფელი და თბილი, ვიდრე როსტომის შეხედრა იყო.

მასპინძელ-დიასახლისმა ნიკოს წასვლის ნება აღარ მისცეს და ისიც იქ დარჩა ღამის გასათევად.



ყოველი მოსალოდნელი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, ნიკოს სალომე ნალიაში გაუშალეს ლოგინი, რადგან გაზაფხულის უკვე დასრულებული დღეები იდგა და ნალიაში ღამის გათევას სიფრთხილის გულისთვის არც იმდენად უშავდა.

აი, ამ დღიდან იწყება როსტომის „წამბდარ დროში“ მანც მშვიდი ცხოვრების შეფორიაჭება.

ნიკოს აქ ყოფნა გახშირდა და როსტომ ქაშაძის ბინაც არა ერთხელ შეიქნა გაჩხრეკისა და ღამით შეფორიაჭების მსხვერპლი.

უწინდელ დაეღებათა გადახდას მოჰყვა ნიკოსათვის ახალი დაეღებების მიღება ქაშაძის ოჯახიდან. მაგრამ ეს მეორე ხანა შეიქნა როსტომისთვის უფრო მძიმე და ხიფათიანი, ვიდრე იყო პირველი, როცა შეძლებული როსტომი არც მოსწავლე კაცზე გაწეულ ხარჯს ჰგრძნობდა დიდ დანაკლისად და არც ამისგან მოსალოდნელ რაიმე ხიფათს ჰქონდა მაშინ ადგილი.

XLVIII

აი, ამ ნიკოს გარშემო ცნობების საიდუმლოთ განდობასა და ტკბილ-მწარე მუსიკაში იყვენ გართულნი ეს ხუთნი, რომ ქუჩებში რაღაც ხმაური და ღრიანცელი ატყდა.

აქ-იქ რევოლვერის კანტი-კუნტი გასროლა გაისმა; სადღაც შორს თოფების ხშირი ცემაც ასტყდა.

მოსაუბრენი სარკმელს ეცენ.

ქუჩებში ხალხი გარბოდა.

ვიღაცა ვიღაცას რევოლვერს უმიზნებდა.

რევკომის ეზოს ქვის გალავანზე სასწრაფოდ ტყვიისმურქვეველებს სდგამდნენ.

იქით, თავისუფლების მოედანთან ხალხის რაღაც ჯგუფ-ჯგუფად რევა და ჩოქოლი იყო ატეხილი.

სიდგანღაც სამფეროვანმა დროშამაც იელვა.

სკოლის გოგო-ბიჭები, მილიციელები, წითელარმიელები, ხალხი, კაცი და ქალი ერთმანეთში ირეოდნენ.

მოისმოდა, ერთის მხრით, მუქარა და ტუქსვა, ხოლო მეორე მხრით — არ შეგეშინდეთ, ბიჭებო“-ს და „გასწით წინ“-ოს ძახილი და სხე.

წინ კი არაიენ იძროდა.

სიანდა მხოლოდ დროშების ხელიდან გლეჯა და ამოშინველებული რევოლვერებისა და მჯიღების თავპირში ცემა. ყველა ამის შემდეგ, დატყვევებულებს ჯგუფ-ჯგუფად საითევენ-ღაც ერეკებოდნენ.

— რატომ ციხისკენ არ მიჰყავთ?

იკითხა გარეთ ქუჩაში ვიღაცამ.

— რა მაგათი წასაბილწავია ციხე?

დაცინვით შენიშნა მეორემ და გაუღდა გზას სახლისკენ.



— აგი ახლა მენშევიკების მოხერხება არ არის, ეს კყაბი ბალნები რომ გაუბრიყვებიათ.!

ჩაილაპარაკა პირველმა თავისთვის და განაგრძო გზა. ვინააღმოსიანა

— რა ამბავია?

ხმაბალა იკითხა გაბრიელ მედუნის ცოლმა, რომელიც ცნობის მოკვარეობაში ყოველთვის უფრო მეტ მოუთმენლობას იჩენდა, ვიდრე მისი უმცროსი და თუ ოჯახის სხვა წევრები.

— „მოწაფეები გამოსულან... ნენშევიკებს დემონსტრაცია მოუწყვათ 26 მაისის აღსანიშნავად“.

გაისმა აქეთ-იქიდან.

ქალაქის ვიწრო ქუჩებში აუარებელი მოსწავლე ახალგაზრდობა გამოყენილიყო და ზოგი ნელი, ზოგი აჩქარებული ნაბიჯით, ზოგიც სირბილით მიდიოდენ სკოლიდან სახლში უჩვეულო, ნადრევი საათით.

გამოირკვა, რომ ამ დღისათვის მთელ ამ მხარეში ხელოვნურად შეემაღლებიან და ზოგჯერ მოსწავლე ახალგაზრდობის გამოსვლა მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ მოძრაობას კი ხელმძღვანელობას უწყევდა ერობის დროს სწავლა-განათლების ყოფილი ხელმძღვანელი ს.-ს მახრაში და ჩვენგანაც კარგათ ცნობილი ნიკო მთვარაძე.

XLIX

მთვარაძესთან კავშირში აღმოჩნდა ბევრი სოფლის მასწავლებელი, მღვდელი, ყოფილი თავადანაური, პოლიციელი და ჩარჩი, თუ ცხოვრების სხვა დომხალი.

იღვა ივნისი.

ს.-ს გამასწორებელ სახლში სხვებთან ერთად ისხდენ ჩენი ნაცნობი პირებიც: ნიკო მთვარაძე, ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მედუნე, თავისი ცოლით, როსტომ ქაშაძე, ივლიანე ყოყოჩაძე და, ასე გასინჯეთ, ერილგ მამასახლისიც კი.

ისხდენ ესენი ციხეში: ზოგი ცალკე, ზოგიც ერთსა და იმავე საკანში და ელოდენ თავთავიანთ შესაფერს ხვედრს. თვითული მათგანი გარეგნულად თუმცა ნირს არ იტებდა, მაგრამ შიგნით, გულში კი ჩუმად გრძობდა მუწავეთ მჭევრავ სინანულს, ყველა იმ მოღალატური ზრახვისა და საქმის გამო ხელისუფლების მიმართ, რომელთა შესახებაც დაკითხვის დროს, რა თქმა უნდა, ისინი მხოლოდ ცივს უარზე იდგვენ და თავს, პირიქით, ასეთი სისულელის შეურაცხყოფილ მტრებადაც კი სახავენ. თუმცა ამ „სისულელეში“ ხელებიც საკმაოთ ჰქონდათ ვასერილი.

დადგა განკითხვის დღე.

ყველაზე მეტად მძიმე საგონებელში იყვენ ბესარიონ მწერალი და როსტომ ქაშაძე, რომელთაც ჯერ ზომ თედო ახალიშვილის წინააღმდეგ მიუძღო-

დათ აშკარა მტრული დანაშაული და, მეორეც, არც ნიკო მთავარაძის „კომპანიაში“ იყვენ მაინცა და მაინც ჩამორჩენილი წევრები.

თვითონ მთავარაძე კი, როგორც უფრო იდეალური თითქმის არავითარ შიშს არ განიცდიდა და თავი ისე ეჭირა, როგორც სახალხო გამირს, საქვეწმო საქმის გამო დიქანჯულს, რომელსაც დღეს არა, ზეალ იგივე ხალხი იხსნის თავის ტყვეობიდან და ნაწილებ მუბლსაც მას დაჟნის გვირგვინით შეფეკობსო.

თავისი უქმად ჯდომის სავანიდან იგი ციხის შენობისა თუ ამ უკანასკნელის მაღალი ვალეანის ყოველი ქუქუტანიდან ათვალეირებდა ქალაქის ქუჩებს და იქ ყველაფერს, თვით უმნიშვნელო ცვლილებისაც კი ქუჩის საერთო მოძრობაში აძღვედა შესაფერს ახსნა-განმარტებას, მსოფლიო საკითხებთან და კავშირებით.

მას ხშირად ღამათ დაეისხმრებოდა, ბოლო დილით მნიშვნელოვანი პათოსით აღწყებდა ამ მისი შორს-მჭკრეტელობით გაოცებულს თანამესაკნეთ, რომ პარიზიდან უკვე დაიპრენ, რომ გიბრალტარს გამოცილებულია გემები, რომ ისინი, საცაა, შავის ზღვის წყლებშიც შემოვლენ და სხვა ასეთებს.

საიდან იცოდა ყოველივე ეს ნიკომ?

ამის შესახებ საკითხის დასმასა და ზედ სერიოზული პასუხის მიცემისათვის არავინ თავს არ ეტკივებდა.

ნიკოს ისე უჯერიდენ, როგორც ქრისტეს,—უდაბნოს მშვიერები.

მართალია, მთავარაძის მორწმუნეთ ჯერჯერობითა მისგან თუმცა არავითარი სასწაული არ დაენახათ, მაგრამ ამ სასწაულს რატომღაც მაინც მოელოდენ.

იქ კი, გულის სიღრმეში, ყველა მათგანი გრძნობდა რაღაც გამოუთქმელ ტკივილებს, თუმცა ყოველი მათგანის გულში ეს ტკივილი თავისებური და ხშირად ერთი მეორისაგან განსხვავებულიც იყო იმავე დროს.

საერთოდ კი ყველა მოელოდა სასტოკ სასჯელს, რადგან, მათი აზრით, „განწირული ქვეყანა“ ჩავარდნილი იყო „ყაჩაღების“ ხელში“, რომელთა შეუბრალებლობისა და სისასტიკის შესახებ ყველას ყურები ჰჭონდა გამოქედლი, ხოლო თვალეები ფართოდ დაღებული შიშისაგან.

— მეორეთ მოსვლა დადგა, ბატონო, და მოვიდა იი „მკაცრი დამსჯელი“-ო, თუ რაც ხს რომ იტყვიან... თავების უიმედოთ ჩაქნევითა და მწუხარებით აცხადებდენ ძველი დროისი და წესწყობილების სარგებლობისგან უიმედოთ ზელებ-დაბანილები, ხოლო ახალი წესწყობილებების საშინელი მოწინააღმდეგენი...

ამიტომ იყო, რომ გამასწორებელი სახლის გარშემო ხალხი ყოველ დღე ბუზებივით ირეოდა. „ციხის“ კედლებიდან სახლში დაბრუნებულს თითქმის ყველა მათგანს ეგონა, რომ მეორე დილით თავის ნაცნობ-ნათესავს ცოცხალს ვეღარ იხილავდა.

მაგრამ წარმოიდგინეთ გაოცება, როცა ეს მათი მოლოდინი არასოდეს არ მართლდებოდა!..



ყველაზე მეტ ტანჯვას და შიშს განიცდიდა ბესარიონ მწერლის ცოლი, რომელსაც ციხეში იმდენი ცოცხალი ინტერესი ჰქონდა დამარხებული ვეფხველზე.

— მთელი ეს ღამეები რომ მარტო ვრჩებოდე, გადვირევეხარ ჩემთვის. გულს ამუწუნებელი სასოწარკვეთილებით ეტყოდა ხოლმე დესპინე (ბესარიონ მწერლის ცოლის სახელია) მასთან სოფელიდან სტუმრად ჩამოსულს თავის დედას, ედგის, ნიკოს ნათესაებს, ერმილე მამასახლისის ცოლს თუ სხვებს, რომლებიც მართლაც ხშირი სტუმრები გახდენ ქალაქ ს-სა მას შემდეგ, რაც იმათი ახლობლები შეიპყრეს და აქ, გამასწორებელ სახლში მოათავეს.

დესპინე ამას იმისთვის ამბობდა, რათა ერთი ნორით, დატყვევებულებზე დიდი მწარუნელობა ემტლავნებინა სხვების წინაშე, ხოლო, ნეორე მხრით, თავი ისე არ მოეწვენებინა თავისა ხშირი სტუმრებისათვის, რომ მათ რაიმე ცუდი აზრი გაეცლოთ გულში მისი სტუმართმოყვარეობის შესახებ.

არ შეიძლება იმისი თქმა, რომ დესპინე საკმაოდ დაშინებულიც არ ყოფილიყევს და ამ შიშს მასში საბუთიანად იწვევდა ბესარიონ მწერლის უნწყობა, მისი უზომო შიში თედო ახალშვილის მხრით მის წინააღმდეგ შეურის ძიებისა, რადგან, როგორც «ციხემდინაც» მიაღწია ხმებმა, იმ ხუთეულის თავმჯდომარეს, დაპატიმრებულთა ბედი რომ უნდა გადაეწყვიტა, უმაღლეს ხელისუფლების მიერ სწორეთ თედო ახალშვილი იყო დანიშნული.

ღიახ, შიში იყო და საბუთიანი შიშიც...

როგორც ციხეში მყოფთ, ისე მათ ჭირისუფლებს გარეთ მუდამ თვალწინ ედგათ ახალიშვილი, როგორც შეუბრალებელი, უკულო და მკაცრი დამსჯელი, რომლისგანაც არავინ არ გამოელოდა რაიმე უბრალო სამართლიანობასაც კი, არა თუ ლმობიერებას და პირუთვნელ სამართალს.

მაგრამ...

მაგრამ, ყველას გასაოცრად და ბევრ «ცრუ წინასწარმეტყველთა» გასაწმილებლათ, მოხდა მოლოდინის სრულიად წინააღმდეგის..

იენისის დამლევს, ერთ მწვენიერ დილას ს-ს გამასწორებელი სახლის კარები გაიღო და იქიდან სრულიად უჩენებლად დაიბადენ კვლავ ცოდეილ მიწაზე საბობდავთა: ერმილე მამასახლისი, როსტომ ქაშაძე, იელიანე ყოყოჩაძე, ბესარიონ მწერალი, გაბრიელ მეღუქნე, ამისი ცოლი, ელიტი, და სხვა მრავალი, სხვათა ფეხის ხმას განუსჯელად და განუკითხავად აყოლილი „წვრილფეხობა“.

«ციხეში» ჩარჩენ მხოლოდ ნიკო მთვარაძე და რამდენიმე მსხვილი ინტელიგენტი, რომელთაც აშკარად დაუმტკიცდათ უღირსი საქმის ღირსეული ხელმძღვანელობა.

შურის ძიების ნაცვლად, ადგილი მიეცა საქმის ჯეროვანს, ყოველთა პატიოსანს და მიუდგომელს გამოძიებას, ხოლო კერძოთ ბესარიონ მწერლის მიმართ კეთილშობილ ლმობიერებას და სულ-გრძელ პატივმსაც.

L

ამ რამდენიმე წლის წინად ქალაქ ს-ს ქუჩებში თქვენ ხშირად შეხედებოდით გახუნებულ ლეკური წალის ჩიხაში გახვეულს, მალალს, გამხდარ-ჩაყვით-



ლებული სახით, უდროით მოტეხილსა და თითქმის მოხუცებულსა მსგავსს, რომელიც შალისავე ყაბალახით ზამთარ-ზაფხულ თითქმის განუწყვეტელად ვეშევრული, რაღაც დამფრთხალი ლასლასით დაეხეტებოდა იქით-აქეთ, სრულიად უმიზნოდ და უხალისოდ.

მას თითქოს აწინებდა ყოველი შეხვედრილი ქუჩაში, თვით უმწიფნელო ხმაურიც კი. გულის სიღამბლით დაუსტებელი ავთიმყოფივით შესდგებოდა, დააკვირდებოდა შაშის აღმბერულ საგანს, თუ მოვლენას და ან გზას აღქცევდა მას, ან რომელიმე შესახვევს მიაწყდებოდა და ქალაქ ს-ში ხშირს ვიწრო ორლობებს მისცემდა თავს. ან არა და ხელ-ალებ უკანვე შემოტრიალდებოდა და გამფრთხალი ნადირივით გარბოდა, თუ კი შეიძლება სირბილზე ლაპარაკი, როცა რაიმე საგნის ჩრდილი თვით საგნის მოტრიალებამზე ადვილს სწრაფად იცვლის ხოლმე.

— ბესარიონს ვახლავართ!

მიმართავდა მას რომელიმე ნაცნობი, უფრო ცნობის მოყვარუბით მასზე ყურადღება-შეზერებელი, ვიდრე მისილმების გულწრფელად მსურველი.

პასუხად პირველი ზევეთა ტუნს რაღაც ავთიმყოფურის შეთამაშებით ოდნავ შეარხვედა ისე, რომ პირის ეს მოძრაობა მწარე მანქვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ღიმილს, და ოდნავის თავის გადაქანებით უხდიდა მადლს სიღამის მიმცემს.

ხშირად ისიც კი მოხდებოდა, რომ დამორებულს გამეღვლი მიუბრუნდებოდა და ზურგიდან ასე ბანგრძლივით ზომიედა თვალთ.

თავის მხრივ ბესარიონიც მოიხედავდა და, თუ ცნობის მოყვარის თვალს მისი თვალც შემოხვევით შეესწრებოდა, თოფ-ნაკრავივით ისევ სწრაფად მოტრიალდებოდა და, წელში კიდევ უფრო მოხრილი, გზას გამალებით განაგრძობდა; ზოლო, თუ ეს მოსახერხებელი იქნებოდა, სადმე იქვე, განითაც შეუბვევდა ხოლმე.

შეითხველი მიხედება და ამ არასვეულბრივს აჩრდილში იცნობს ბესარიონ მწერალს.

ერთი წელიწადია, რაც მას მოუცვდა ძმად-შეფიცული გაბრიელი და ოჯახური საქმეებიც სულ მთლად აეწეწა.

დაქვრივებულმა ელპიტომ მალე მოკონა თავისი თუ სხვისი ნაბაკ-ხუბაკი, მიაშურა სოფელს და თან გაიყოლია თავისი დაც—დესპინე, რომელიც უფროს დას თითქმის იმ თავიდანვე პირადი სასტიკი გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული.

გულკეთილმა როსტომმა ხელ-გაშლით დაიბრუნა თავისი ქალები ნამთავნით და ზედ-ნადებით, როგორც სოფელელები დაცინებით ამბობდენ ხოლმე როსტომის ქალებსა და მათ შეილებზე.

მართალია, როსტომის დიდი დარბაზი სასოფლო შრომის სკოლის ერთ-ერთ საელასო ოთახად იქნა გადაქცეული, მაგრამ დანარჩენი ოთახები მაინც კიდევ საესებით საქმიო იყო მათ თავ-შესაფარად.

ცოტას საქმეს აძწელებდა იმ ხორავის მოთავესა, რომელსაც დეპუტატ-ლაქს-დან თავიანთ გამგზავრების დროს ხელი მოხვიეს და თან გამოიტაცეს მაგრამ უმნიშვნელო ნივთები ამ ხორავისაგან ზოგი მოხერხებულად ეწაგნა-წილებული ბედელსა, სასიძინდესა თუ როსტომის სხვა რამ ბინა-კუთხაბეჭეუნი რის, ხოლო ზოგიც გაყიდული, ან გადაცვლილი სოფლად ცხოვრებისათვის გამოხადეგ სხვადასხვა საგნებსე.

ორი რბალი სკამი ივლიანე ყოყოჩაძესაც კი ერგო როსტომის ქალი-წვილების მიერ ამ "განაწილებულ" ხორავისაგან.

ახლა თქვენ შეგიძლიათ ეს სკამები საკუთარის თვალთ იხილოთ ივლიანეს ერთად-ერთ სამზად სახლში, წინა კარის ზღურბლთან იქით-აქეთ რომ მოუკალათებიათ. ისინი დაიძვრიან ამ თავიანთ საპატრიო ადგილებიდან მხოლოთ იმ შენთხვევაში, როცა ივლიანეს ოჯახს არანაკლებ საპატრიო ვინმე ესტუმრება ხოლმე, ვიდრე თვით სკამებია, ან მათი ყოფილი პატრონები იყვნენ.

ერთი ამ სკამთაგანი მალაღია, მეორე უფრო დაბალი და სიტყვიერად შედგენილ სიგელის თანახმად ყოყოჩაძის ოჯახურ ვიწრო წრეში ერთ მათგანს -ბესარიონს- ეძახიან, ხოლო მეორეს -„გაბრიელს“.

ზაფხულობით საჯაროთ თავს იწონებს ივლიანე და ეზოს ამშვენებს ამ სკამების გარეთ გამოშვეურებით, ხოლო ზამთრობით კერას ახარებს მათი ამ უკანასკნელთან მიახლოებით.

რალაც განსაკუთრებულის მოწინებით ამ უსულო საგნების წინაშე, რალაც დიდი სიფრთხილით და შიშით ხდება ეს მათი სადგომი ადგილის გადასვლა-გნება, და ეს გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ სოულის საერთო მდგომარეობას, ომიანობის შემდეგ მის ნივთიერად დაკუმას, თითქმის გადატყაქვას და ამასთან დაკავშირებით მის კულტურულად დაქვეითებასაც.

მხოლოთ ამ უკანასკნელ წლებში ედება ამ საერთო დაბეჩაქვებს სახლერი და სოფლის ცხოვრებაშიც ხდება ერთნაირი საიმედო და საკეთილო ვარდატეხი.

რალაც სხვა ახალი სიოს სისინი მოისმის სოფლად და სოფელი №-იც, როგორც სხვა მისი მებობელი სოფლები, განაგრძობს სიღარიბისაგან თავის ამოძვრენასა და მოზავლის იმედიანი მოლოდინით წელში გასწორებას.

ყოველ შემთხვევაში ივლიანე ყოყოჩაძისა და როსტომ ქაშაძის ოჯახებს თითქმის იმ თავიდანაც დიდი არაფერი დაჰკლებიათ; პირიქით, ემატათ კიდევ.

ქერივი აღათია კაი ხანია ამოუფარა №-ის გულესის ვალაენში ჯერ კიდევ ახალ გორაკით შეზღინულ საფლავს, თითქოს შერცხვა ჩაგრულების გამარჯვებისათვის ცოდვილი თელის გასწორებისაო.

მართალია, თედო ახალიშვილი და მამო მას კარგა ხანია შეურიგდენ, აპატისე ყველა ცოდვები, როგორც უმწეოსა და შეუძლებელს არსებას, ემარებოდენ კიდევ, რითაც შეეძლოთ, მაგრამ ეს კიდევ უფრო უარესათ მოქმედობდა მათ წინაშე ერთბელ და სამუდამით სახელ-გატეხილ და შებლ-შერცხვნილ ქერივზე.

აგური, ყოველი საშენი მასალა ამ ზოგიერთ თითქმის უშუალო მონაწილეობითაა მათი საკუთარი ხელით ედება ამ საერთო აღმშენებლობის კედლებს.

ამ საერთო საქმიანობით აზოპოქრებულ სინამდვილეში იზრდებიან უცნაურ-ანები, იზრდება თვით საქმე, იზრდება ჭალაქი, იზრდება ჯერ კიდევ ბევრისთვის გამოუცნობი, თითქმის სრულიად ახალი ყოფის მტკიცე კედელი.

დიახ, ეს კედელი იზრდება, მალდება და განიერდება... რა პატარეები მოსჩანან ახლა ამ უცვლელ საგრძნობლად გაზრდილ კედელთან ადამიანები! არა თუ ისინი, რომლებიც იმ თავიდანვე დაშორებულნი იყვნენ მას, არამედ ისინიც კი, ვინც პირველად ამ კედლის შენებას შეუდგნენ, მას ზედ პირველი ქვა თუ აგური დაადეს და, მასთანადამე, მის ზრდასაც ზედ შეეზარდნენ, ცოდნითა და გამოცდილებით გაივსნენ, დადიდდნენ და გაბაღდნენ, როგორც პიროვნებები, როგორც თავისუფალ მშრომელთა საზოგადოების სრულიად ახალი მოქალაქენი.

აქ იყო თედო ახალი შვილიც.

აქვე იყო მისი ცოლი და ერთგული ამხანაგი, მაშოც.

ეს უკანასკნელი ქალთა საქმეს მეთაურობდა მთელს ამ მხარეში მაშინ, როცა იმისი ენარი სათავეში ედგა ყველა სხვა აღსასრულებლად და ასაკებად წამოწყებულ საქმეებს.

„აღმ. სრულგებელი კომიტეტი“, აი, სახელი იმ დაწესებულებისა, რომლის წევრებიც და რომლისთვის საქმიანობის სულის ჩამდგმელნიც იყვნენ თედო და მაშო, სხვა ანბანაგებთან ერთად.

დღეს ესენი უკვე აქ აღარ არიან...

ერთი მათგანი...

მაგრამ ეს მოხდა 1924 წელს, ერთ აგვისტოს ღამეს.

ქალაქის ს-ის ღამის მყუდროებას თითქმის არაფერი არ არღვევდა. მდინარე—გიემაჯა, რომელიც ქალაქს გვერდით ჩამოუდის, რაღაც დაფიქრებულის ერთბოვანებით დასძახოდა ძილში ჩაძირულ ქალაქს: „შშიი-შშშიი“-ო, თითქოს აფრთხილებდა მას, რაღაც შიშისა და საფრთხეზე მიუთითებდა და ურჩევდა ძილისთვის არავის მიეცა თავი, რადვან ამას მოითხოვდა საერთო საქმის ინტერესი, მისთვის მუდამ ფხიზელ დარაჯათ დგომა.

მაგრამ ამ ერთ ღამეს ქალაქს მაინც ღრმა და უჩვეულოთ გაუფრთხილებელი ძილით ეძინა.

თავისუფლების მოედანზე დაცარიელებული ესტრადა ცივი და ობოლი სიმუნჯით აღწარათულიყო.

მასზე აღარ ფრიალებდა აღრინდულად წითელი დროშა, თითქოს ეს საიმედო დარაჯი ადამიანის ხელს განგებ გადაუტანია აქიდან თავისდა საეღალალოთ.

ეს დროშა ეხლა აღმასრულებელი კომიტეტის სახურავიდან დაკურებდა ქალაქს ამაყი ფრიალით. და ერთი შეხედვით, გვეგონებოდათ რომ, რამდენადაც უფრო მალღად მოსჩანდა ამ ეჰმად მისი მდგომარეობა, თითქოს იმდენადვე დაშორებული უნდა ყოფილიყვნენ იგი ამ წუთს თავის ნამდვილ სადარაჯოს, ყოველგვარ მოსალოდნელობით სავსე ამ ქვეყნის ზედა პარს.



და თითქოს სწორედ ამდენადვე ეძლეოდათ საშუალებები ამ დროშის მტრებს თავიანთი მოღალატური მოქმედებისათვის, თავიანთი ვერცხვითი ზრახვის სწორედ ამ ლამის კუნაპეტ სიბნელეში გარეთ გამოფენისათვის!

ლამის საიდუმლოებით მოცულმა სიღრმემ მალე გამოამჟღავნა ყოველივე ეს...

პირველმა მტრის ხელით გამოსროლილმა თოფმა სწორეთ იქ იქმქა, სადაც ამ დროშის საუკეთესო გუშაგს, დღიური სამუშაოებით დაღლილ, ეხლა ტკბილად და იმედიათ უდარდელობით ეძინა. ეს მოხდა აღმასკომის თავმჯდომარის ბინასთან...

თედო მყის წამოიჭრა ლოგინიდან, გამალებით ეცა იქვე ოთახის კუთხეში მუდამ გაზხადებულად მიყუდებულს თოფს და ანგარიშ-მიუტყვმლად ელვის უსწრაფესათ გამოეარდა გარეთ, თავისი ბინის აივანში.

მოულოდნელი შემთხვევით ძილ-გამურთხალი მასო, ჯერ კიდევ ტახტის კიდზე ჩამოგდარი, ტანისამოს ისწორებდა, რომ უეცრად ზედი-ზედ მოისმა ოთხი-ხუთი თოფის დაბლა, რასაც მოჰყვა ადამიანის მწარე და მძიმე ამოგმინება...

აივანზე ეილაც უცხო ადამიანები ახმაურდნენ. ქიაფს გაჰკრეს და მასოს თვალ წინ წარმოუდგა საშინელი სურათი:

აივანზე, სწორეთ ამოსასვლელი კიბის თავში, თავისი საკუთარი თოფის მკერდში ჩაბღვევით უძრავად გამოტილიყო სისხლში მოცურავე თედოს უსულლო გვამი.

რამდენიმე ჯოჯოხეთის ჩრდილი თავს დაჰყურებდა ამ სურათს და ასე იარაღებით ხელში ისინი მზად იყვნენ ყოველივე მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ამისი დანახვა და მასოს საზარელი შეკვივლებით გარეთ გამოვარდნა, ერთი იყო,

იგი ფრჩხილების მომარჯვებით ყელში ეცა ერთ წინ მდგომთავანს და კბილების მიშეკლებაც კი სცადა, მაგრამ ღონემ უმტკუნა, ძირში მოკვეთილ ძნასავით გაიშხლართა სისხლით მოლიპულ ხის იატაკზე და თედოს უსულლო გვამს მკრღლით მკერდში ჩაეწნა.

ქალაქის იქით-აქეთ უბნებში კი გაისმოდა თოფების ხშირი, თუ კანტიკუნტი ტაკანი.

— წაფიდეო, ბესარიონ!..

სათუღიდან რაღაც ყრუ ამოგმინებასვით ჩაულაპარაკა უკანა რიგში მდგომმა მოწინავეს და ისიც ხმის ამოუღებლივ მიტრიალდა აივანიდან ჩასაყვლელ კიბისაკენ...

მას სხვებიც მიჰყვნენ

მთელი ეს შაეი რაშით თოფებ-მოღერებულ უცხო მეომრებისა და იძრა წინ, ჩავლო კაბე, ჩაეშვა ეზოში და ყრუ და უსიტყუო მოჩვენებასავით მიიმალა შეფორიაკებულს ლამის სიბნელეში...

დიახ, ამ შაე-ბნელსა და გუგუნებულს ლამის სიბნელეში ყოუნის დუხკირმა ღვარძლია ერთხელ კვლავაც იხილა გამარჯვებული ბრძოლისა და ბრწყინვალე შრომის სიკეთით დამძიმებული იფქლის მხიურა ხვავხედა...

იხარა...

მაგრამ, განა, ხანგრძლივი კი იყო ეგ სიხარული?!

ო ბ ო ბ ა

I

ეხლა მე აქი ვარ, ამ ციქსა და მიუყარებელ სარდაფში. უაზროდ უყურებ ამ ოთახის სველსა და ნესტიან კედლებს. უაზროა და მძიმე ჩემი გამოხედვა. ამას კარგად ვგრძნობ და ვიცი, რომ ყველა უცაბედი მგზავრი, სიბრალულით აღვსილი, უცქერის ჩემს დაძაბუნებულსა და დამპალ სხეულს. ყველა მათგანი შეშინებული მიყურებს და ყველას ჰგონია, რომ ტუსადი მე-ასოცდამათხე ნომრით ზურგზედ. კჳუიდან შესცდა. რა უყოთ, განა სულ ერთი არ არის ეხლა გაბრიელ შაბურასათვის, ვინ რასა ფიქრობს, ან ვინ როგორ სკდილობს ახსნას მისი მძიმე და მხეცური დანაშაული?

ეს კედლები რომ დადუმებულან და კეზოს მზგავსად რომ შეუყრავთ ჰაეა, განა მათ მეტი არ იციან ჩემსა და ჩემი ტანჯვის შესახებ? უბედო ბედი ჩემი ვარსკვლავისა ხომ თავიდანვე დასციინოდა ჩემ უსუსურ ბრძოლას და ხომ მაშინვე იცოდა სად იყო ბოლო ამ გულამრევე ბრძოლისა.

მაგრამ რა! სასაცილოა ფიქრი იმაზედ, რაც იყო და აღარ იქნება. სასაცილოა შებრალებაც და სინანულიც. სასაცილოა ვედრებაცა და თხოვნაც. ყველაფერი მოგონილი ზღაპრებია, ყველაფერში მხოლოდ გესლი და შხამია. როცა წარსული შხამიან გველივით სისინებს, იქ ცოდვებზედ ლაპარაკიც ზედმეტია. კარგად მახსოვს: ჩემი გასამართლების უკანასკნელ დღეს მოსამართლე მომიბრუნდა და ცბიერი ღიმილით მომმართა.

— ბრალდებულო, უკანასკნელი სიტყვა თქვენია.

რა უნდა მეთქვა ჩემო კეთილო მოსამართლევე? არაფერი. რა საჭიროა თავის მართლება, როცა ყველაფერი ნათლად ამტკიცებს ჩემს დანაშაულს. განა საკმარისი არ არის თქვენთვის დაქირავებული დამცველის ყბელობა? იმისი სიტყვება თქვენთვის ხომ უფრო ადვილი გასაგებია, ვიდრე ჩემი. ის ხომ დაჩვეულია თქვენს ენაზედ ლაპარაკს, ჩემი კი, კეთილო ადამიანო, ჩემი ენა ხომ ბოღვაზედ მეტი არა არის-რა! თქვენ მაინც დაეინებით მეკითხებით, მსურს თუ არა საბოლოოდ გამოვსატევა ჩემი სურვილი. ჰოი, უზომელო კატამოყვარებობავ! დიდება შენდა, კეთილო მოსამართლევე! მაგრამ არა, მე მაინც არა მსურს რაიმე ესთქვა. თავს დამნაშავედა ვგრძნობ და ველიარებ.



შენს ტუჩებზედ, კეთილო ადამიანო, ამაყი ღიმილი ათამაშდა ჩემი მოკლე პასუხის შემდეგ, შენ ამაყად გადაავლე თვალი საესე დარბაზის უცხო ფენქსორი მას კანონიერი მსჯავრის გამოსატანად.

გ ი მ ლ ი ი თ ი ა ა

ზოგმა შენი ღიმილი სიბრალულის ნიშნად მიიღო და ამ სიბრალულმა ჰპოვა თანაგრძნობა. თვალი დარბაზს გადაავალე და ვიგრძენ, რომ იქ შენი ღიმილი მეფობდა. მაშინ მიუხედი აზრს შენს ღიმილისა და მეც გავიღიმე — ეს იყო და ეს, სასამართლოს გრძელსა და მკაცრს დარბაზში შენს დაბრუნებამდის მეფობდა რაღაც გამოუცნობი და ცივი ღიმილი. ის იყო ყველგან, ცივი დარბაზის ყველა კუნძულში. მეფობდა და ყველას ტუჩებზედ ათამაშებულა, ლივლივებდა როგორც წყალი შშირიან ტბაში. მაშინ კი, როცა გამარჯვებული კვლავ დარბაზში დაბრუნდი, ის უცნაური ღიმილი სქელი ფარდების ქსოვილებში გაიპარა და მისი ადგილი შენმა მტკიცე და მკაფიო ხმამ შეიპყრო. განჩინებას კითხულობდი და გულგრილი, ცივი თვალებით ათასში ერთხელ დარბაზს სერავდი; თანაგრძნობას თუ ეძებდი იქ?

მე მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ის ფარსი, რომელსაც აწ დამარადის გაბრიელ შაბუჩას ცხოვრება და დანაშაული ჰქვია, ასე დამთავრდა. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ მე ჩემს თავს უცოდველად ვრაცხ? დიე იფიქროს, თუ ასე სურს. ან იქნებ ვისმე ჰგონია, რომ პატრებას მოვითხოვდე? არა და არა, კეთილო შეგობრებო! პირველი მეტად მსუბუქი იქნებოდა ჩემთვის, მეორე კი — მეტად მძიმე.

თუ ვინმე თქვენთაგანი მოისურვებს გაეცნოს ჩემი ცხოვრების ისტორიას აღზად ისიც ვერ აუხვევს გვერდს იმ მწარე ღიმილს. რომელიც მე ჯერ ცხოვრებამ და შემდეგ კეთილმა სასამართლომ მარგუნა.

ადამიანს ბევრი მწვერვალი ჰქონია. ყოფილა ისეთიც, საიდანაც გზა მხოლოდ უკან ბრუნდება. უკანასკნელი მეტად ძნელი ყოფილა, რადგან იგი ცოცხალ სასაფლაოს უფრო ჰგავს, ვიდრე ბრძოლის ველსა და ფოლადის მდგარ ხმას. მისი ხილვაც ამ სატუხალოს კედლებიდან უფრო ადვილია.

დიახ, კეთილო მსაჯულნო, ხშირად ცოდვები აღიანალებენ კაცს და უფრო ხშირად უბსკირო ტანჯვანი აქარწყლებენ ცოდვებს. ამ სიტყვებს ეტყვით არა ვინ შეხედოს, არაეის ეგონოს, ვითომ თავს ვიპართლებდე.

მე კიდევ მახსოვს პირველი დღე ჩემი გასამართლებისა. კეთილი მოსამართლე ღმობიერად მეკითხებოდა.

— საჭმე ძლიერ დახლართულია. იქნებ თქვენ არც კი ხართ დამნაშავე? მაშინ მითხარით, ვისზედ გაქვთ ეჭვი? ვინ უნდა იყოს მთავარი გმირი ამ საქმისა?

ჩემო კეთილო მოსამართლე, მაშინ პირველად წამოვეცე თქვენს ანკესს, რომელზედაც ისე კარგად აგვევით ლამაზი ჭია თქვენიღიმილისა. კიდევ ერთხელ შემაცდინა ამ ღიმილმა და, გაბარებულმა, გიპასუხეთ.

— როგორ არა, მე ვიცნობ მას. ვიცნობ ნამდვილ დამნაშავეს.

— ვინ არის? — საჩქაროდ შემეკითხეთ კვლავდა თვალების ვიწრო რკალი გაათართოვეთ.

— ჩემი კუზი—გიპისუხეთ მე და ჩემს ზურგზედ დამაგრებულ, მნიშვნელოვან ხორცმეტზედ მივითითებ.

ოჲ... მაშინ კი თქვენი თვალთა ისეთი ბოროტი ცეცხლით აიწვინა, ისე დაგვეკიმათ, რომ შეგონა, მარწუხებს გიჭერდნენ ტანზედ. ცოფმორეული წამოვარდით და დარაჯებს უბრძანეთ, რომ მე კელაე ჩავევდეთ სატუსალოში. დღესაც ვერ გამოვიდა კეთილო მოსამართლე, რად გაჯავრდით მაშინ ისე ძლიერ? რა იყო მიზეზი თქვენი ასეთი აღელვებისა? განა რა გკადრეთ ასეთი საწყენი?

კოტა კიდევ რომ დაგვეცადნათ, ერთი რჩევა მიიღოდა მომეცა მიიღოდა თქვენი კანონების სქელ წიგნი ერთი კანონიც შეგეტანათ, კანონი მეტად მახინჯების შესახებ, რომელიც დაბატებასთან ერთად მოსპობდა მათ ტანჯულსა და უწნო ცხოვრებას. ვიცი, თქვენი ღმობიერება ამის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ვიცი, თქვენი გული სიბრალულით აივსებოდა მათდამი და ასეთ კანონს არ შეიტანდით თქვენი კანონების სქელ წიგნში და თუ ასეა, კეთილო მოსამართლე, სად არის აქ დანაშაული და დამნაშავე? მე ვეკითხებით, მსაჯულნო, რა შიამ დამნაშავე გაბრიელ შაბურა? დიახ, მე დავგეთანხმეთ, დავადასტურე ჩემი ცოდვა, რადგან მიიღოდა ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა, თქვენი შემწეობით, სიმამიმე ჩემს მიერ ჩადენილ ცოდვას. მაგრამ ამაოდ. კუზი თავისას ამბობს და არ მძღვეს საშუალებას მოვიყვანო ის ცოდვები, რომლებიც თქვენ მაჩუქეთ.

ეხლა კი ამ ბნელ სარდაფში ვარ და ვგრძნობ როგორ იხრწნება ჩემი დამბალი სხეული. უკაბელი მგზავრი, სიბრალულით აღვსილი, მორიდებით მიეყურებს კარების ხვრელიდან და ჰგონია: ტუსალი, მესაცდაოთხე ნომრით ზურგზედ, ჰკუდიან შესცდა.

საბრალო შაბურა, შენ არასოდეს არ იყავი დიდი მებრძოლი, მაგრამ სამაგიეროდ შენ არც გაიძვერა და ფლიდი ყოფილხარ. შენი ტანჯუანი ღირსია სიამაყისა და შენც ღირსი ხარ იმ მწვერვალის, რომელიც ნათლად მოსჩანს ამ სარდაფის სანათურიდან. ის სიცივე, რომლითაც ეხლა განვლილ გზას ვუყურებ, არც თუ ყინულია და არც თუ მასზე თბილი. ის სიმშვიდე, რომელიც შენ ეხლა დაგეფუფლა, არც თუ ისე ადვილად საპოვნია, როგორც ზოგიერთ შენს თანამგზავრსა ჰგონია.

ასე ფიქრობს, კეთილო მოსამართლენო, გაბრიელ შაბურა. ასე ეფიქრობ მე დღეს თქვენთვის ჰკუზზედ შერყეული ტუსალი მე-ასოცდაოთხე ნომრით. ეს სათნო სიმშვიდე, რომელიც გამეფებულა ჩემს ირგვლივ, ამ ბნელ სარდაფში, მძღვეს ნებას, ჩემს სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ მშვიდად გადავხედო გზას, რომელიც განვლო დღეს ჩემთვის თითქოს უცნობმა პარამ.

მე და ის თითქოს საშუალოდ დავმორდით ერთმანეთს: მე, ტუსალი მე-ასოცდაოთხე ნომრით, ის კი ვილაც გაბრიელ შაბურა. დავუვდით ყური მის მოთბობასაც, იქნებ ბოლოს მეც დავსცინო მას და დამნაშავედ ესცნა ან და სულაც გაეჭმდე, რადგან სიჩუმე ხშირად კეთილშობილება უფროა, ვიდრე სისუსტე.

დაუვდით ყური მას და გაევიგოთ ცხოვრება და სასჯელი გაბრიელ შაბურასი.



ბავშობა გავიდა ნისლში. ეს იყო დრო ტირილის დასრულების. მხოლოდ ორჯერ მახსოვს ბედნიერი დღე. პირველი: როცა ჩვენს სახლში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და როცა ამავე ხალხმა დაძინებული დედაჩემი წელის ტაატით წაიღო ქალაქის გარეულსა და ქუჩების ქუჩებზედ. მაშინ იყო, რომ ყველანი მიალურსებდნენ და ნახად მისვამდნენ თავზედ ხელს. ჩემთვის რომელმაც გაბოროტებული დედის ხელში ცემის შეტი არა ვიცოდი რა, ეს იყო ბედნიერი დღე. მე უყურებდი კეთილ ხალხს და მიკვირდა, რომ მძინარე დედას ყველანი ასე დასტიროდნენ. მხოლოდ მაშინ, როცა ერთმა მათგანმა ხელში ამიყვანა, დედის კუბოსთან მიმიყვანა და მითხრა, „გამოეთხოვეო“, მხოლოდ მაშინ ვიგრძენ ობლობა და შიში. ორივე მხოლოდ ინსტიქტიურად აღიძრა ჩემში და მას შემდეგ ორივე განუყრელი მეგობარი გახდა ჩემი.

დედის სიკვდილმა ქუჩაში დამიღო ბინა და მეც ავეყვი მის ფეხის ხმას. ჩემი არაჩვეულებრივი სიმახინჯე ქუჩამ მიიღო ჩვეულებრივი დაცინებითა და დამცირებით. ხშირად ვაქცევდით ამ დაცინვას, უფრო ხშირად შორჩილი ეყოფილვარ ბედისა და ამიტანია უსამართლო ტვირთი სასჯელისა. რამდენჯერ მიცინია მაშინ, როცა ჩემს გულს ტირილის შეტი არა სდომნი-რა. რამდენჯერ უოფილან ეს ნაცრისფერი ქალაქის ქუჩები მოწამენი ჩემის ტანჯვისა!

ეს იყო ალბად მიზეზი, რომ ჯერ კიდევ ბავშობაში შევიყვარე ღამე. მახსოვს, რა ბედნიერად ვგრძობდი თავს ღამის ბნელ კალთებში. ღამით, როცა ქალაქის ქუჩები ყრულ მიიძინებდნენ, გამოვძვრებოდი ჩემ სიაროდან, უცქერდი ვარსკვლავებს, გადაშლილ ცას და სახლების ჩრდილებს.

არ ვიცი, უბატრონობა სად მიმიყვანდა. იქნება იქ, სადაც ეხლა ვარ, იქნებ უკეთეს ადგილს, ან იქნებ არსად, რაც ჩემთვის მაშინვე ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ბედმა სხვა მარჯუნა და მეც ავეყარ მის ნაჩქარს. წყალწალებული ხავს დავეკიდე. მდორე მდინარე მისდევდა კალაპოტს, თან მიჰქონდა ქუჩები და შშორი, თან მიჰქონდა ათასი ნაფოტი და კიდევ სხვაათასი რამ.

მისდევდნენ მდინარეს ტალღები, ზვირობები და კიდევ რა-ენინ იცის რა არ მისდევდა მდინარეს!

ციგან გოგია, ქუჩის აკრობატი, სრულიად შემთხვევით გავიცანი იგი. ქუჩამ შეგვყარა ერთმანეთს, ქუჩამვე დაუღო ბოლო ნაცნობობას. კარგად არ მახსოვს, როდის დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ეს კი ვიცი, პირველად იმან მიპოვა ქუჩაში სიმშლისაგან ღონემიხილი და გულწასული. ეს იყო მეორე ბედნიერი დღე დედა-ჩემის სიკვდილის შემდეგ. ციგან გოგიამ დამაპურა და გამათბო. ეს იყო დიდი ბედნიერება. ჯერ კიდევ ბავშვა ვიგრძენ სითბო მეგობრისა, რომლის თმასაც ქალბარა უკვე კარგად შერეოდა და რომლის სიყვარულმა მამობაც აჩვენა ქუჩაში გაზრდილ ობოლ კუზიანს. საუკეთესო დღენი ჩემი ცხოვრებისა მასთან დავლოე, თუმცა ტანჯვის მაინც არ მოელო ბოლო, მაგრამ შედარებით წარსულთან ეს იყო ზღაპარი, რომელიც მე სიხშირადაც არ მენახა.



დავდედით მე და ციგან გოგია ქუჩებს და ქალაქებს. ის თავიკე ქუჩებს აჩვენებდა თოკზედ სირბილით, ხტომით და სხვა რამ ათასი ჯამბასლიყოფითურე კი, როცა ციგან გოგია თავისას გაათავებდა და უბიდან პატარა სტიერის ამონილებდა, მე უნდა დამეწყო ჩემი გიფური და უშნო ცეკვა.

გინახავთ თქვენ ოდესმე მახინჯის სასოწარკვეთილი ცეკვა? ბრბოს კი გავი-
ვებით უყვარდა.

ხარბად უყურებდა ჩემს უშნო კუზს, ელამ თვალს და თითქმის ყურებამდე ასულ პირის ნახევს. ის ჩემს ბუქნაზე და უშნო ტრიალზე დაუზოგავად ხარბარებდა და ბოლოს, კმაყოფილებით აღესილი, ან ფულს მაძლევდა ან და ლანძღვით მიშორებდა თავიდან. მე კი, ღონე-მიხდილი, თითქმის გულწასული, ქლოშინით მივდედი მის და ვთხოვდი კაპეკს ლუკმა პურისათვის.

ხშირად ცეკვის დროს ამტკივდებოდა კუზი, დამაწვებოდა ზევიდან და სუნთქვაა მიკრავდა. სასოწარკვეთილი ღრიალი ამომდიოდა პირიდან. ბრბოს კი ეს უფრო აქვებდა და ჩემს ცვენსას თავისი მზიარული ტრიამულით ჰფარავდა.

ასე დავდედით მე და ციგან გოგია ქალაქს მშრალ ქუჩებს. ასე ტრიალებდნენ ჩემს ირგვლივ დღენი. ასე გტრიალებდნი მეც. მტკიოდა ხორცი. მტკიოდა სული. და ჯერ კიდევ კვაბუკი ენატრობდა სიკვდილს, ვეძებდი მას. ასე გავიდა წლები. არ იყო ჩვენთვის დრო, არ იყო ჩვენთვის მზე. და თუ იყო, ისიც გეაწეალებდა, ისიც გეტანჯავდა, სულს გვიხუთავდა და ოფლიან ტანს იარებთა და ჩირქით გვიფსებდა.

ციგან გოგია! — ის იყო საყვარელი მამა! ის იყო ერთად ერთი კაცი, რომელმაც გაუწოდა ხელი უბედურ მგზავრს და მიიკვლია ბავში, რომელმაც არ იცოდა რა იყო ალერსი, რა იყო სითბო, რა იყო კეთილი.

ციგან გოგია, ქუჩის აკრობატი, თოკზე ადიოდა და იქ ცეკვავდა, ხტოდა ჰაერში და თვეზივით იზნიქებოდა. ასდევდა მაღალ კობეებს და ჰაერში ყირაზე ღებოდა. მე კი ამ დროს კანკალით ვიდექე კიბის ძირში და თვალდახუებული, ფოთოლივით ვართოდი. ვულაპავდი ცრემლებს და შეშინებული, გვანკალბდი.

დაბინდებისას სადმე ჩემად ბინას ვეძებდით და დაქანცულნი ენატრობდით დასვენებას. ღამით კი ციგან გოგია ფრთხილად მიახლოვდებოდა და ალერსიანად მკითხავდა.

— ხომ არა გტკივა რა, მეგობარო? ხომ კარგათა ხარ?

ოო, საყვარელო მამა! სადა ხარ ეხლა? მინდა გითხრა, ძვირფასო მეგობარო, რომ ეხლა მე ყველაფერი მტკივა...

ერთხელ, როცა ქუჩები სქლად დაუინა შემოდგომის ყვითელმა და ფერგადასულმა ფოთოლმა, მე და ციგან გოგია ციკს ქუჩებს მივდედით. ეს იყო საღამოს ეამს. ქარი მტრულად დაჰქროდა შშორიანსა და მყარალ ქუჩებში, გვაყრიდა პირში მტვერსა და კუპკს. ბოროტის უღმომბელობით ჰყინავდა გულს, ტანსა და აზრს. ქარი ობლობას გვიასკეცებდა, ჩვენს სიმარტოვეს ცხადჰყოფდა.

სად მივდიოდით მაშინ? ვინ იცოდა! სად იყო ბოლო ამ უაზრო ხეტიალის? ვინ გვეტყოდა! გარშემო მხოლოდ ქარი იყო, ყვითელ ფოთოლთა რკალში შეხვეული და უთვისტომო სიცივე იდგა.



რას ფიქრობდა მაშინ ციგან გოგია? დასვედიანებულ თვალებში რად იწვა უღმობელი აჩრდილი შავ ზრახვათა და ფიქრთა, ვინ იყო მაშინ ის უსუსურობითი აღესილი მონა, თუ ცხოვრების აბუნად ამგდები მეუწე, მეუწე, რომელმაც უარყო მთელი ზედნიერება ამა სამეფოსი და რომელიც ვიღოდა კარიდან კარს ქარიან ღამეში. ან იქნებ ის იყო მგზავრი, რომელიც მორჩილად მისდევდა წინ გაწოლილ უღვე გზასა და გრძობდა, რომ სტუმარია ის დროებითი, ყველგან და ყოველთვის.

არ ვიცი, რას ფიქრობდა მაშინ ციგან გოგია, რომელიც ნელი ნაბიჯით მისდევდა ჰუჭყიან ქერას და ათასში ერთხელ, ჩემთვის ოდნავ გასაგონად, ოხრადა. ნელა მივსდევდი და გულში მძიმედ წევბოდა დარღი და ბოღმა.

მე ეხლაც მიკვირს, რად იყო იმ დღეს ასეთი ქარი, ან რად იღვა ასეთი სიჩუმე? შიშით შეპყრობილი უკან ვიხევედი. გულდაკოდილი მივსდევდი გზას. ფიქრი და აზრი სულ ქარს მიჰქონდა, ორივეს ერთად ფოთლებში ჰხევედა. თბილად ჰხევედა ფოთლებში ორივეს და თან მიჰქონდა...

ასე მივალწიეთ ქალაქის მოედანს; იქ მეგობარი მომიბრუნდა და წყნარად მკითხა.

— გვაქვს რამე ფული?

— არა, ოსტატო, არაფერი—უპასუხე და ერთხელ კიდევ ჩაეხედე თვალებში ჩემს კეთილ პატრონს.

— მაშ დავიწყოთ. — მითხრა. ახედა ცას, მერე ჩემსკენ გადმოიხედა და სტვირი მომართა.

— ქარია, ოსტატო, ეხლა რა დროსია!

— არაფერია, მეგობარო, იქნებ დღესთვის მაინც ვიშოვოთ. — მიპასუხა და ორ ბოძს შუა ლარი გასკიმა. ხალხი თითქოს ცივში ქარმაც ვერ დააშინა. ჯგუფად მოგროვდა ჩვენს წინ ბრბო. მათმა ყრიაბულმა აავსო ქუჩის ფართე მოედანი. ციგან გოგიამ კიდევ შემომხედა, სტვირი გადმოშეცა და აპყვა ბოძს. გავიდა ლარზე და ცეკვა დაიწყო. ნელა აუყოლენ მეც სტვირი მის ცეკვას და თან თვალი მივაპყარ ლარს, ბოძებს და პატრონს.

ციგან გოგია თანდათან ჩქარობდა, ზედიზედ ჩაქრა ბუქნა ცეკვის დროს, შემოტრიალდა, ცალი ფეხი მალლა ასწია და ფეხის წვერზედ დაბზრიალდა. მე თითქოს ვიგრძენ სასოწარკვეთილი კენესა ჯამბაზისა ამ მხეცურ ბზრიალში. ვიგრძენ, რომ სწორედ მაშინ ციგან გოგიამ რალაც გადასწყვიტა. სტვირი შეეჩერე, აკანკალებული მივეყრდენ ბოძს და, როგორც ძველ დროს, ბავშობაში, თვალები დაეხუჭე. ქარი მოაწვა მავთულს, დაზნიქა ციგან გოგიის ტანი და ატორტმანებული დაანარცხა დედა-მიწაზედ.

ეს იყო და ეს. ქარმა წაიღო ციგან გოგია. ქარმა მომტაცა ძვირფასი მამა. სასოწარკვეთილი დავეყარ მის გემს. შეშინებული მივეყარ ცივ ტუჩებს. ციგან გოგია აღარ იძროდა. ციგან გოგია გაპყვა სხვა გზას. მე კი იქ დავრჩი, იმ ქალაქში, იმ მოედანზე, სადაც კონვა ცრემლს აშრობდა, სადაც არ სჩანდა არაფერი ყვითელ ფოთლებსა და მტვერის გარდა და სადაც ქარი ჰყინავდა გულს, ტანსა და აზრს.



მას შემდეგ დაედევდი ქალაქებს, ქუჩებს, სოფლებსა და ტყეს, მას შემდეგ დროც უფრო ზანტად და ნელა მიჰქროდა. მიჰქროდა დრო და მიჰქროდა მოგონებანი უმწეო დღეებზე, თითონ დღეები, თვეები და წლებიც. დაედევდი ქუჩებს და გულში დამქონდა ციგან გოგიას სახე —ხატივით. ის დრო და ის ხანა ნისლს უფრო ჰგავდა. ის დრო და ის ხანა დარდი უფრო იყო. შავი ნისლივით წვებოდა ბოლმა და ღრღნიდა გულს.

ასე მისდევდნენ დღეები დღეებს. ასე მიჰქონდათ დღეებს დღეები და ჩემი ბედიც მისდევდა მათ. მიჰქონდა თან ჩემი მძიმე კუზი, ელამი თვალი და პირი უშნოდ ვადალაშული. გადაედოდი სოფლიდან სოფელში. ვართოზდი ხალხს ცეკვით და კუზით. ვიტანდი სირცხვილს, რადგან დროთა სელამ ბედს მიმჩვიდა და ასე ჩემად ვკლავდი ჩემ დროს. ღამით მეძინა სადმე ღობის ძირას. ძილში ვხედავდი სიზმრებს; სიზმრებში კუნთმაგარ გოგოებს, დედაჯულებს, დევებს და ციგან გოგიას. ერთხელ მესიხმრა ჯვარცმული ქრისტე. კარგად დავაკვირდი და ვიცან —ის იყო ჩემი ძვირფასი ძმა, ის იყო ჩემი კეთილი პატრონი —ჯვარზედ ციგან გოგია ეკიდა.

მეორე დღეს განვიზრახე ეკლესიაში სანთლების დანთება და როცა ხატებს მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ ვიგრძენ უსუსურობა მათი. ვიგრძენ, რომ მე და ციგან გოგია ზღაპრებზე უფრო მეტის ღირსნი ვართ. და მხოლოდ მაშინ გადავსწყვიტე, რომ საჭიროა თეთრი ყვავილები მისი სამარის მოსართავად. გავედი მინჯვრად და მე, კუზიანმა, დაუწყე კრეფა ღამაზ ყვავილებს, ეკლებსა და ნარს. შეეკარ გვირგვინი საუცხოვო და მოყრთუ განმარტოვებული საფლავი მეგობრისა. გზად მიმავალი მგზავრები უყურებდნენ მიხინჯს და უყვირდით. არ იცოდნენ ვისი იყო ის საფლავი და, გაოცებულნი, დასცინოდნენ ჩემს ეკლის გვირგვინებს. მე კი საფლავს თანდათან ვამკობდი და ბოლოს იქ, სადაც წინად მიჩქალული სამარე ოღნავლა სჩანდა, აღიმართა დიდი თაიგული მინდვრის ფერადი ყვავილებითა და ნარეკლით შეხამებული. უყურებდი შემკულ საფლავსა და სიხარულის ტირილი მალრჩობდა. აღტაცებული მივუახლოვდი და ნარეკლით მორთულ თაიგულს გულს ჩავეყარი. ნარეკალი დაესო ტანს და სისხლმა დენა დაიწყო. მე კი აღტაცებული ვეკროდი საფლავს და, ნარეკლის გვირგვინს გადაფარული, ნეტარებით ვიღიმებოდი. ამ დროს გზად მიმავალი მგზავრები ერთმანეთს აჩერებდნენ და საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ. უყვირდათ უცხოვდ შემკული საფლავი და მასზე მტრიალი მიხინჯის სასოწარკვეთილება. გაოცებულნი მიყურებდნენ და, შეშინებულნი, პირჯვარს იწერდნენ.

ასე შევამეც მეგობრის საფლავი ჩემი სისხლით, ვარდებით და ცრემლით. მას შემდეგ კიდევ გავიდა დრო და კიდევ წაიღო დრომ დარდი დარდხედ. მას შემდეგ დაედევდი ქალაქებს, ქუჩებს, სოფლებსა და ტყეს. მას შემდეგ დრო უფრო ზანტად და ნელა მიჰქროდა. მიჰქროდა დრო და მიჰქონდა თან მოგონებები უმწეო დღეებზე, თითონ დღეები, თვეები და წლებიც. დაედევდი ქუჩებს და გულში დამქონდა ციგან გოგიას სახეხატივით.



III

ციე ქალაქს ნისლი შემოჰხვეოდა, სველი ქუჩები სწამლავენდნენ გულს და ნადრევი გაზაფხულის ნესტი აღჩნობდა ფილტვებს. მგაზერები ჩქარა მისდევდნენ ქუჩებს და წინ გაწოლილ სქელ ბურუსში იკარგებოდა მათი ტანი. ნისლი ჰელაპავდა ყველა მათგანს, და ყველაფერს თავის სავანში ჰხვევდა. ნესტი მეუბნებდა ყველგან და აესებდა ქუჩებს შპორით. მე ზანტად მიყვებოდი ვრძელ ქუჩას და ხარბად ველაპავდი ნისლსა და ნესტს. დამძიმებული თავი ვასკდომას ლამობდა. ანაზღად გამოქროლილი აზრი ღრღნიდა ტეინს. დილიდანვე თავს ცუდთა ვგრძნობდი. უძილობით ვატეხილ ღამეების ბრალი თუ იყო. მძიმედ ვიწვევოდა კუზი და მისი სიმძიმე გასრესას ნიქადდა. ფიქრი მაინც თავისას არ იშლიდა და განუწყვეტლავ ღრღნიდა გულს. იმ დღეს მეტად ნაღვლიანი იყო ჩემი ფიქრებიც და ჩემი გულიც. დილით კარის გატეხილ მინაში, თმაში ქალარა შევეპნინე და გამეხარდა. მოგონებამ მამცნო, რომ დღეს შემისრულდა ოცდა ათი წელი. ეს უბრალო ვახსენება საკმარისი ვახდა, რომ ჩემს წინაშე გადაშლილიყო განვლილი გზა, მკაფიოდ დახატულიყო წარსულის სურათები და კიდევ ერთხელ მეგრანო სიმწარე მათი უღმობელობისა.

ქუჩაში გამოსულმა მიესდიე ნისლს, რათა მოგონებანი, რომელნიც უწყალოდ დაღვენდნენ ისედაც დადაღულ გულს, აღესილიყვნენ ამ ნისლში და გაენთავისუფლებინად თავის კლანჭებიდან ჩემი ფიქრები. ამაოდ მივენდე მას, მან უფრო გაამძაფრა ჩემი წარსული და მეც უნებურად, რაც იყო, ნისლს შევადარე, გაზანტებულს და დაბურუსებულს, ნესტიანსა და აწმორებულს. მაგრამ ფიქრი მაინც ღამობდა სხვას და, მოუთმენელი, პასუხსა მონოვდა. ფიქრი წინ გაწოლილ ნაცროსფერი ბურუსისაკენ იშვერდა ხელს და დაეინებით მკითხებოდა— „რაც იყო-ყო! წინ რაღა იქნება, ჩემო მახინჯო მეგობარო?“—რა პასუხი მიმეცა მისთვის? რითი დამეკმაყოფილებინა მისი ცნობისმოყვარეობა? განა მე მეტის მცოდნე ვიყავ მასზე? და თუ არა, მაშ რა უნდოდა? რასა მკითხავდა მომავალზე, რომელიც თითქოს უფრო შავი უნდა ყოფილიყო, ვიდრე წარსული?.

ეს ფიქრები ღრღნიდა გულს, როცა ნისლმოდებულმა ქუჩამ მდინარის ნაპირს მიმიყვანა და, თითქოს განგებ მთელი ჩემი უსუსურობით აღჭურვილი, მისი უღმობელი სიძლიერის წინ დამაყენა. ამღვრეული იყო წყალი მდინარისა. ქაფმორეული ზვირთები შედგრად ებრძოდნენ ნაპირებს და აქაფებულნი მისდევდნენ ტალღებს, რომელნიც მდინარეზე გადაწოლილ ნისლში იკარგებოდნენ. დიდხანს დაეკეპროდი მათ სრბოლვას. მათი სიძლიერით და სიგვიით აღტაცებული მთელის არსებით მათკენ ვილტვოდი. მდორე მდინარე ანდამატრავით მიზიდავდა, შეპატივებოდა და ალერსიანად შებაასებოდა..

ჩემად დაგყურებდი მას და ვთრთოდი. ეალერსებოდნენ ტალღები ფიქრებს. ჩემი ფიქრებიც მისდევდნენ მათ და ვინ იცის, ფიქრთა სრბოლვა სად მიმიყვანდა, რომ ჩემ შრიალს არ შევეკრათ. მოვიხედე. შორიახლოს, ვილაც უცნობი ქალი იდგა და მდინარის ტალღებს აცქერდებოდა, ნისლი ნებას არ მამძღვედა გამეჩინა უცნობის სახე და ის მხოლოდ თეთრ სილუეტად მოსჩანდა, ბურუსში ვახვეული. მისმა ნერვიულად აკანკალბებულმა მხრებმა მამცნეს, რომ ქალი სტიროდა.



ვიგრძენ, რომ ეს უცნობი მძაფრად ებრძოდა თავის თავს და რაღაცაზე დაეყრდნობოდა. დაეინებით აცქერდებოდა ტალღებს და მათკენ ხელგაწედილი რაღაცას ეყვდებოდა.

„წუთის წინ მეც ასეთ მდგომარეობაში ვიყავ“. ამ ფიქრმა ელვასავით გამისრიალა და სიბრაღეღმეა შემიბყრო. ვის შეეძლო იმ წუთს, ასე ღრმად ეცნო სასოწარკვეთილება იმ უცნობისა, ჩემზედ ძლიერ. ვინ შეიბრალებდა ამ ნესტიან და ნისლიან დღეს ვილაც უცნობ ქალს, რომელიც, ვინ იცის, რომელ ცივიქარს გადმოეფდო აქეთ და ხელთ ერთადერთი იარაღი მიეცა სასოწარკვეთილებისა.

იქნებ არც ერთი ბოროტების მანევ ძეც კი არ შეჩერებულყო იმ წუთს, იქნებ უსუსურ ბავშსაც კი ეტაცნა ხელი სასოწარკვეთილი ქალისათვის და გადაერჩინა. მე ეს არა ვკენ, რადგან ყველა ბოროტების მანევ ძეზედ უკეთ ვიცნობდი სასოწარკვეთილებას და ვიცოდი საიდან მოდიოდა ის. მე შემეძლო ქალის გადარჩენა იქვე, მოაჯირთან. მაგრამ იკმარებდა ეს გადარჩენა? რა შეშეძლო მე, უძლურს, გამეკეთებინა შემდეგ და მქონდა თუ არა ძალა იმ სასოწარკვეთილების ამოსაშრობად, რომელმაც ქალი მდინარის მოაჯირთან მიიყვანა. და თუ არა, მაშინ რა საჭირო იყო შევლა? ხეალ ქალი ზომ ისევ იქვე მივიდოდა და უფრო მეტის სასოწარკვეთილებით ეკვეთებოდა მდინარეს.

ეს ფიქრები ელვასავით დატრიალდა თავში და მხოლოდ მაშინ გაწყდა, როცა ქალის სილუეტი მოაჯირს მოსწყდა და მდინარის ტალღებში ანაივდა. ქარმა გულშეშარავი ნელი კენესა მოიტანა ჩემს ყურთან და ამაკანკალა. აქ უკვე მოკვდა ფიქრიც და აზრიც. აქ უკვე გაჰქრა უაზრო ბოდეა, რომელიც ჩემში წლებმა გასჰედეს, და მეც მდინარის ტალღებს მივაშურე.

ცხოვრებამ ბევრი ბრძოლა მასწავლა. ცხოვრებამ მასწავლა ტალღებთან ბრძოლაც... ჭაუნარევ ზეირთებს მედგრად მივაპობდი და იქით მივილტოდი, საიდანაც ოდნავი კენესა მესმოდა.

მდორე მდინარე ნელა მიდიოდა, მე კი მედგრად ვაპობდი ტალღებს და გაშმაგებული ვებრძოდი მათ.



გაკვირვებული თვალები დაეინებით აცქერდებიან ჩემს უშნო სახეს და აღზად მისი სიმახინჯითა შეშინებულინი ისევ იხუკებიან.

ჭრაქი ოდნავ ანათებს ოთახს და ჩემი კოზის ანარეკლს ფართოდ ჰატავს მოშავო კედელზედ. ვდგევარ ჩემი საწოლის წინ და ხარბად დავყურებ ბურანში წასულ ქალს. მისი სახე გაფითრებულია და ტუჩები ღურჯად რკალავენ პატარა პირს. ოთახის და საწოლის სითბო თანდათან აღზობენ ქალის გაყინულ სისხლსა და სხეულს. ქალი ნელნელა იკრეფს ძალას, ახელს თვალებს და ისევ ჰხუკავს. მისი თვალები ღრმად ჩამსხდარან თვალის გუგებში და მოყვანილობით ნუშსა ჰკვანან. პატარა, თითქმის პავშური ტანი ზოგჯერ ნერვიულად თრთის და უშწყოდ ასავსავებს პაწია ხელებს. ეს მცხუთე ღამეა რაც მის საწოლს ვდარაჯობ და ნათლად ვხედავ, როგორ ებრძვის სიცოცხლე სიკვდილს. არც კი ვიცი, ვინ არის



ეს ქალი. ეჭიშს უთხარი, ჩემი დაა მეთქი. ნამდვილად კი ^{ნამდვილად} ჩემი ავადმყოფი სტუმრისა, რომელიც წყალმა გამაცნო იმ უგემურსა და ნისლიან დღეს.

დილით ეჭიშმა საბოლოოდ დამამშვიდა და გადაწყვეტით მითხრა, მორჩებაო. მადლობა გაიჩინეს, რომ ასე კარგად თავდება საქმე, რომ შენ, მეგობარო, ტვირთად არ დავაწვა შენს კუხთან ერთად სინიდისის ქვეწია და ამ ქალის საცოდევობა. უმწეო ჭია ხარ შენ, გაბრიელ შაბურა, მაგრამ მაინც პატიოსანი კაცი ხარ, — ასე ვფიქრობდი. უყურებდი საწოლზე მისვენებულ ქალის მკრთალ სახეს და მაგონდებოდა ის დღე ნესტიანი, რკინის მოაჯირი, მასზე მიჯაჭული ქალის თეთრი სილჟეტი და მდორე მდინარის მღვრიე ტალღები.

— სედა ვარ? — იკითხა შეშინებულმა ქალმა და გაკვირვებული თვალებით ვადმოხვდა.

დამშვიდდით უცნობო ქალბატონო, თქვენ უშიშარ ალაგას იმყოფებით. — ეუბასუხე და მის საწოლს მიუახლოვდი. შეშინებული ქალი თითქოს სცდილობდა რალაცის ვახსენებას და ოთახში გაუანტულ ავეჯს აცქერდებოდა. კარგა სიჩუმის შემდეგ კვლავ შემომხვდა და ჩემად მკითხა:

— როგორ მოხდა? მე არაფერი არ მახსოვს. მე ხომ წყალში გადავარდნა განვიზრახე.

სიჩუმით ეუბასუხე და გამეფებული უხერხულობა ხველით დავფარე. ქალი კი კიდევ დიდხანს სდუმდა და შემდეგ, აღელვებულმა, განაგრძო.

— აა, მესმის! თქვენ ალბად მოწმე იყავით ჩემი უბედურებისა და განიზრახეთ ჩემი გადარჩენა, არა?

— დიახ.

ქალმა უმადურობით სავსე თვალებით უბასუხა ჩემს ნაბასუხევს და კვლავ ღრმად ჩაღიქრა. ცოტა ხანის შემდეგ მისი ქვითინი და ოდნავ გასაგონი ლულული მომესმა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ატირებულ ქალს. პირველად ვგრძობდი, რომ ტირილის მიზეზი ჩემი თავგანწირვა იყო და ეს აასყევებდა ჩემს უხერხულობას. არ ვიცოდი, რით დამემშვიდებინა ატირებული ქალი, რით მეშველნა მისი დარდი სათვის.

შველა კი მთელის არსებით მინდოდა. ვეძებდი სიტყვებს, მაგრამ არც ერთი არ ეკარებოდა ჩემს გულს. ჩემად ვიდექ უცნობი ქალის წინ და მზად ვიყავ უკანვე წამყვანა, იქ სადაც რკინის მოაჯირია, და იქიდან კვლავ მდორე მდინარის ტალღებში გადამეშვა. ფრთხილად მიუახლოვდი საწოლს, იქვე ჩამოვვექ და წყნარად დაეიწყე.

— ნუ გამოიჯავრდებით, მეგობარო. მე არ შემიძლო მხოლოდ მოწმე ეყოფილიყავ მომხდარისა. მიგულეთ მეგობრად და, თუ ძალმიწს, ვეცდები შეგიმსუბუქოთ დარდი. მართალია, მახინჯი ვარ, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველად უძლური ლეში ვიყო. არა, ჩემო უცნობო მეგობარო, თქვენ შეგიძლიათ

თამამად დაეყრდნოთ გაბრიელ შაბურას მკლავს. თქვენ შეგიძლიათ ყოველთვის მეგობრად მივულოთ.

ქალი გაკვირებით მისმენდა. მე კი, გაოცებული ჩემივე ხმის მიმართ და ნებით, ვგრძნობდი როგორ მენატრებოდა ძალი და თანდათან იღვიძებოდა ჩემში დროთა მიერ მიძინებული და შეპკრთალი ძლიერება. ამ მოკლე სიტყვებში და იმედიანმა ხმამ თითქოს სულ გარდაჰქმნა ჩემი არსება და ჩემს სიცოცხლეში პირველად დაბადა სურვილი ბრძოლისა და გამარჯვების.

ცხადად ვიგრძენი ჩემს მოდუნებულ ძარღვებში მედგრად აქაფებული სისხლის დენა და ჩემს ბნელ სულში გაელვებული ნაკეთი სიხარულისა. უეცრივ, ჩემდა უნებურად, სიცოლი მომინდა. ჯანსაღი და მაგარი სიცოლი მომადგა ყელში და ფოთოლივით ამაკანკალა.

ქალს გაოცებული მიყურებდა და ღრმა თვალებს, ნუშის მაგვარ თვალებს მაშტერებდა. მე კი, მე ელამი გაბრიელ, გახარებული ვცახცახებდი და იმედიანად ექსტრელდები.

— მომენდეთ მე, ჩემო კეთილო მეგობარო. მივუღეთ მეგობრად.

მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა ისე იზრდებოდა, როგორც ხის ყლორტი. ვფიქრობდი მზებზე, ვარდებზე და სიყვარულზე. ჩემს ირგვლივ გაზაფხულის ნეტარი ლაგვარდი იყო და მზის სხივები ათასურად კიაფობდნენ ჩემი კარის გატეხილ მიხაზე.

პატარა ალლა წავიდა ჩემგან, მაგრამ მაინც ყოველდღე ვხვდავდი. ხშირი სტუმარი ვიყავი მისი და გაზაფხულის ღამეებს, მთვარეს და ჭუჭის კრიამულს ერთად ვხვდებოდით.

თავისა ძველი ამბების შესახებ არა მიფხარა. დღესაც არ ვიცი, რამ აიძულა იმ ნესტიან დღეს წყლისათვის მიკა თავი. საქციელს ხსნიდა მარტოობით, ობლობით და უპატრონობით. წინად ალლა ცირკის მსახიობად ითვლებოდა თურბე. იქ ყველას უყვარდა და ყველა „პატარა დედოფალს“ ეძახდა. შემდეგ კი თავი შიანება ცირკსაც, მეგობრებსაც, თავის ხელობასაც და ერთ ნესტიან დღეს წყალში თავის დაღრჩობა განიზრახა. ცნობისმოყვარეობა მიკლავდა გულს.

მინდოდა გამეგო რა იყო მიზეზი, მ. გრამ ალლა ამაზე სდუშდა. მხოლოდ ათასში ერთხელ თუ შეტყოდა, ისიც ნადვლიანად.

— რა საჭიროა, ჩემო გაბრიელ, ძველის გახსენება. საკმარისია გაიხსენო შენი წარსული, რომ ჩემიც ნათლად წარმოვიდგეს.

— მე მახინჯი ვარ, ჩემო კეთილო მეგობარო. შენ კი სილამაზით და ღონით აღსავსე. ვუებნებოდი მე.

— ზფრო უარესი. უპატრონო ღამეში ქალი, თითქმის ჭუნაში დარჩენილი. მაგრამ რა! თავი დავანებოთ წარსულს. ჩემი წარსული მეტად ღარიბია და უინტერესო...



ასე ათავებდა ბაას. თითქოს უარყოფდა რაც იყო წინად და წაოლოდ მომავლის ფიქრითლა სცხოვრობდა.

აღლა მართო არ იყო. მას ჰყავდა ძმა და მასზე ზრუნვა ქალის პირველი საქმე იყო. ალღას უყვარდა თავისი ძმა და თავს ევლებოდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ უყვთესიყ ყოფილიყოს, რომ ალღას ძმა სულაც არ ჰყოლოდა. იქნებ ეს ძმა იყო მიზეზი დის უბედურებისა. მაგრამ ალღა ასე არ ფიქრობდა. ქალს გამეტებით უყვარდა ის. შეიძლება უფრო იმიტომ, რომ საბრალო ჯუნო სულით ავადმყოფი ჰაბუჯი იყო.

— ჯუნო გივია. — მეუბნებოდა ალღა — ნან, რასაკვირველია, ეს არ იცის. ის ამაზედ არც ფიქრობს. მისი სადარდელი ერთად ერთია — მე ობობამ არ მომიტაცოს. ის ხშირად ხედავს საშინელ სიზმრებს და თურმე ყველგან მწვანე ობობა ელანდება. დარწმუნებულია, რომ მას გულში ობობა უჭის და ღრღინის მის შიგნულს. ის ხშირად მეკითხება, შეიძლება თუ არა გულიდან ამოიღოს მყარალი ობობა. მაგრამ როცა კი ვთხოვ თავისი განზრახვა შეასრულოს, უარზე დადგება და შეშინებული ჩურჩულებს.

„როგორ შეიძლება ობობას გულიდან ამოღება! რომ გამეტყვეს და შენ გიკბინოს, მერე რაღა ვქნა? არა! ისევ სჯობია ჩემი ობობა ჩემთან იყოს“. ასე ამბობს ჯუნო და გაბარებული, რომ ობობა ისევ გულში ჰყავს და ჩემთან მოსვლა არ შეუძლია, თავს ბედნიერად ჰგონობს.

ჯუნოს ძალიან უყვარს ხეტიალი ქალაქის ქუჩებში და მდინარეში ქვების სროლა. როცა სადმე საქმეზედ მივდივარ, ჯუნო უჩემოდ დადის ქუჩებში, ჰკრეფავს კენჭებს და ლაშაჰ ქალაღლებს, გაიყებს უბეს წიკომაკოთი და ბალის ხეივანს მიაშურებს, იქ, ხეივანის ბოლოზედ, წყალი ჩამოდის, გუბედ იქცევა და ნელა ტიეტეივებს. ჯუნო გუბეს ჩუმიად მიეპარება, ისე, რომ ბალის დარაჯმა არ დაინახოს და უბიდან თითო-თითოდ ამოღებულ, კენჭებს წყალში გადაჰყარის. ჯუნოს ყველაზე უფრო წყლის რგოლები უყვარს. ვადაგდებული კენჭი ჩამალევა გუბის ფსკერზე, რგოლები კი გუბის თავს ლი-ლიკით გადაჰყვება და დაიკარგება — ისიც ისე, როგორც კენჭი. გიჯა ეს მეტად ახარებს და მზად არის ღამეები ათენოს გუბის პირას.

მე გულმოდგინედ ვესმენდი ალღას ნაამბობს და კუთხეში ატუხულ ჯუნოს ეაკტრდებოდრ. მის თვალღებს აღმაცერი გამომეტყველება ჰქონდა. გამოხედვა — ქვასავით მძიმე და უნღო. თვალის კაკლებში შიში კრთოდა და ტუჩებს უაზრო ღმიღი სერავდა.

საწყალი ჯუნო! მალე დაუბლოვდი, ძმასავით შეეიყვარე. იმანაც ამით მიპასუბა და მას შემდეგ მე და ის — სიმახინჯე და საგიკე, ვანუყრელი მეგობრები ვავხდით. ჯუნომ მომანღო საიდუმლოებანი გულისა და ბეყრი რამ მიაბბო. მითბრა ამაღვი მწვანე ობობისა, რომელიც ღამობს ალღას დაღრობას, გუბისა, პატარა კენჭების და წყლის რგოლებისა. აღერსიანი ღმიღით ვესმენდი უნეო ბავშივით ვანებებებდი და ვცდიღობდი გამეკრთოთ ობობას

შიში, რომელიც გიგს დაჰბადებოდა. ის კი შეშინებული მანუშებდა ყოველთვის და აღელვებული ბუტბუტებდა:

— არა, გაბრიელ. ობობა საშიშია. ის ღრღინის გულს და თავისი გრძელი ფეხებით დალოდავს ფილტვებზედ. ის მწვანეა და მყრალი. მას გრძელი სისხმაკარტი აქვს და საშინლად უყვარს სისხლი. ობობა ყველას ჰყავს. ობობა შენცა ჰყავს. ის უხილავია, იმიტომ ვერ ხედავ. მე კი მშვენიერად ვამჩნევ მას. ამოიღე გულიდან მყრალი ობობა და გასრისე, უკეთესი იქნება.

ასე ბუტბუტებდა ჯუნო. მე კი ამ დროს შემკრთალი ვფიქრობდი:

ვინ იცის, შეიძლება ეს გიგი ამ წუთს ყველაზე უფრო მართალიც იყოს.

IV

ნეტარი ლოცვით ვხვდებოდი დილას. ბედნიერი ღიმილით ვხვდებოდი შხეს. უემური დღეთა რიგებიც გაჰქრა, წაიღო თან დარდი და ბოდმა. წაიღო თან შავი წარსული, და გული ჩემი აღივსო ნეტარებით. ყველაფერი ეს სისხმარი მეგონა. მოლოდინი გამოფხიზლებისა მიკლავდა გულს. მაგრამ დღეთა სვლა მარწყუნებდა წინააღმდეგში. განუზომელი სიხარული იპურობდა გულს და არა იყო რა ჩემში, გარდა მორჩილი მადლობისა! სად გაჰქრა დღეები ნესტით და დარდით! რად იყო შხე ესოდენ კეთილი, ამაზე თითქოს არც კი ვფიქრობდი. ჩემში შხე იყო, კიაფა შხე. სიხარულმა გადააქარბა აზრსაც, ფიქრებსაც. სიხარულმა მთლად დამიფულა. დიიბურო ყველა ნაკეთი გულისა და ნეტარების ზღუას მიმცა მე, მახინჯი და უშნო, ბედით ერთ დროს განზე გარიყული, ვინმე მათხოვარი — გაბრიელ შაბურა.

მე და ალლა დავდევდით ქუჩებს. მე დიდ არღანზე უკრავდი ნებადას, ალლა კი ცეკავდა, მღეროდა სიმღერებს უაჩაღზე, ვარდებზე და გახაფხულზე. ჩემი ნაბიჯი მტკიცე იყო იმ ხანს, გამოხედვა—სავსე სიამაყით. გადავდიოდით ესოდან ესოდან. უკან დავდევდა ხროვა ბიჭების, გვაცილებდა სიცილ-ხარხარით. მაგრამ აქ არ იყო აღარც დაკინვა, აღარც სიმოროტე. მე ამ სიცილში ვგრძნობდი სიხარულს. ეს ჩემ სიმტკიცეს აასკეცებდა.

ალლას შორუნველობა გულს მიხარებდა. მისი ღიმილი — ბედნიერება იყო განუზომელი. მისი აღერსი ბედნიერებაზე უფრო მეტი. როგორც მონა უკეთუროდი თვალვებში. უბრალო თხოვნას ისე ვასრულებდი როგორც ბრძანებას ხელმწიფისას. უბრალო ბეწვი მისი ოქროს თმისა უტვირფასესი საჩუქარი იყო ჩემთვის. მძღავრი ურუანტელი მივლიდა ტანში, როცა მის ბროლის ხორცს წარმოვიდგენდი. ღიმილი მისი ნაზი ტუჩებისა ჰკლავდა ანაზდად მოვარდნილ ეინს და სასოებით აესებდა გულს. ხშირად, გიჟური ვნებით შეპყრობილი, წამოვვარდებოდი ჩემი საწოლიდან. მივეჭრებოდი ღამით სახლში და ჩემი ხეწვნით ვევერდებოდი; წყნარი თვალეზი აშლილ ვნებას დამიმშვიდებდა, თბილი აღერსი მხეცურ ზრახვებს დაჰფანტავდა და უიარაღო, მოღუფებული, დამარცხებული ვუბრუნდებოდი ჩემს ცივ საწოლს. ვწყველიდი ბედს, გაჩენას და გამჩენს — მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავ.



მაგრამ!

ლიმილი ბედის — გახელება უფრო ყოფილა, უბედურების უფროსაინებად აღვსებული ყოფილა ბოროტება ქაშისა და დრო — ტანჯვებში დასჯილი. სხივები მზისა სიციხით დაყურსული, ზოგჯერ შვება ყოფილა და ნდობა უსაზღვრო, ზოგჯერ კი — ლობა და უბედურება. არაბა ყოფილა მასთან სიხარულიცა და სიყვარულიც; ნებაცა და ვედრებაც. ბორბალი იგი — უმიზნო ტრიალი ყოფილა მხოლოდ. სამსხვერპლო ხისი, მუდამ კრემლისა და სისხლის მიხოვნილი. აზრი მისი — გარი ჯაზრობის და სიყვარული მისი — არაბობა მტერისა და მტერად ქცევა ყოველის. თუ ზღაპრები ყოფილან ოდესმე — ისინიც ბედის გასხელებლად. თუ ვედრება ყოფილა სადმე, ისიც ზღაპარი ყოფილა ატირებულ ბავშვთა გასართობად. მდორე მდინარეც უნდო ყოფილა და სილამაზე ქაფნარეც ტალღათა სრბოლეცა — მოჩვენება ვავლახთა... ბევრს სხვათაც უთქვამთ თურმე ასე და დარჩენილა ხმა მათი, ხმად მალაღებლისა უღაბნოსა შინა. არ შეტყობა ანა სიღვემითა ტრიალი ბორბლისა და მტერად ქცეულა იგი სიტყვა, რომელიც პირველთაგან დასაწყისი ყოფილა იგავარაკისა ღმობიერი ღმერთის შესახებ. უძღვრება ყოფილა ღმერთი ერთპირი, და ათასი სხვა ღმერთებიც გახელება ყოფილა მხოლოდ.

მე კი მჯეროდა ამ გახელებისა და არ ვიცოდი უსუსურმა, რომ მოღრუბლული ცა მეხად გასკდებოდა ჩენს თავზე და მტერად აქცევდა ყველაფერს ჩემსას. სიზმარი, რომელსაც ვხედავდი, ცხადი მეგონა და ზღაპარი, რომელიც მესმოდა — ხამდვილი. მაგრამ დაბურა ორპირმა ქარმა და ისე, როგორც გემი იალქნებ-დანსხერეული, გამორიყა იქ, სადაც შიორია და წუმპე, სადაც ქარია და მტყვრი...

დრო შემოდგომის უახლოვდებოდა. მზე აღმაცურად გვაწვდიდა სხივებს დასავლეთიდან. ქუჩის პირუცხედ ჩრდილები წვებოდა. ქუჩის ბაქები ლანძღავდნენ ერთმანეთს, ყვიროდნენ და ლახლანდარობდნენ. ნიავს მოაქონდა ქალაქის ხმაური: სადღაც მატარებელი ყვიროდა, სადღაც ნახშირის მღვევები გწინავდნენ და იყო სუნის ნახშირის, ბოლისა და მყრალი თევზის.

მე და ალლა სახლში ვბრუნდებოდით. დაქანცულები უახლოვდებოდით ჩვენს ბინძურ უბანს. ალლას ტუჩებზე ღიმილი თამაშობდა. ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს ესროდა მის ოქროს თმას. მე ვუცქეროდი მის დაქანცულს, მაგრამ სიცოცხლეთა და სილამაზით საეყ სახეს, და საიდუმლო ღიმილი მეტად მაკვირვებდა. მართალია, დღე კარგი იყო; ფულებიც ბევრი ვიშოვეთ იმ დღეს, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ მოხდენილი ღიმილისა. თითქოს კიდევ მაზინებდა უცნაური სიფერმკრთალე მისი სახისა. ეს მარტო დალაღვის ნიშანი არ იყო. ეს უცხო ღიმილი და ფერმკრთალი სახე რაღაცას მიქადდა. მივდივდი ჩენს კეთილ მეგობარს და შიში მიტანდა უბრალო აზრი მისი დაკარგვისა განოუტატე შიშს იწვევდა, საშინელებას უქადდა ჩემს თვალში ყველაფერს და ყველას.

ჩემად, უსიტყვოდ მივედით სახლში. ყოველ საღამოს ამ კარებთან ვდგავდით, და ყოველ საღამოს ეს განოთხოვება აუტანელი ტანჯვა იყო ჩემთვის. ათასი შიში იღვიძებდა ჩემში, ათასი ეჭვი მიკლავდა გულს. ვფიქრობდი, რა უნდა მომეხდინებოდა, უმტკიცებელი უფულებობას, მაგრამ მაინც მიღრღნიდა გულს. გამოთხოვებისას ჩაგებდე თვალეში და იქაც იგივე იმედიანი და ბედნიერი ღიმილი დაეინახე.

ქუჩაში გამოველ. ჭეის ლობეს ავეკარ. უცნაური წინაგრძობა კარგს არ ნიქადდა. წასვლა მინდოდა, მაგრამ ფეხები არ ენორჩილებოდა ტანს. თითქოს ერთ ალაგას მივეჯავებე რალაც ჯადოქარს. გარშემო ბნელოდა. ცაზე შავი ღრუბლები ჰყლაპავდნენ ერთმანეთს. ეჭვი ჩემს ირგვლივ ელვასავით ისალტებოდა და მოსტყვევრობით მივსებდა სულს.

ცარიელ ქუჩაზედ გამოვინდა მგზავრი. ნოუახლოვდა გზას და ალაყაყის კარებთან შეჩერდა. სულგანაბული მივეყრდნენ კედელს. შეჩერებული შესწორდა მხრებში და შემდეგ ალღას კიბისკენ გასწია. მე საფარს მოვწყვდი, აჩრდილივითა უკან ავედევნე.

უცნობის კაკუნზე კარი გაიღო, შუქზედ ადვილად შევამჩნიე გახარებული სახე ალღასი. უცნობი შევიდა. ოთახის ფანჯრებს განაბული მივეუახლოვდი. არა სჩანდა-რა, სქელი ფარდები ფარავდნენ ოთახს.

ტუჩები ტუჩებს ძლიესლა მოსწყვდა. ცხელი კოცნა გადატყდა შუაზე და ალღას შემკრთალი გამოხედვა მე დამაშტერდა. შუა ოთახში ვიდექ-ხელში ქუდის ნაფლეთს ვკმეტქნიდი. მწარე ცრემლი მიწვავდა თვალებს. ალღა ფრთხილად მომიახლოვდა. თუ გინახავთ ოდესმე ფრთხილი ნაბიჯი ვეფხის მწრთენელისა, ასეთი იყო იმ წუთს ის ქალიც. მე თავდახრილი ვიდექ იმის წინ და ხელში ქუდის ნაფლეთს ვკმეტქნიდი.

ალღა მომიახლოვდა და ცივი ხმით მითხრა.

— წადი...

მორჩილებით დაეხარე ქედი და კარში გამოველ.

ქუჩაში ბნელოდა. ცაზე ღრუბლები სკამდნენ ერთმანეთს. წყნარი სიო სხებავდა პირს. სიჩუმე ღამის ლოდევით წვებოდა. ფიქრების ქაოსი ნელ-ნელა მიმაქანებდა. გზა-არეული მივედევდი ქუჩებს, გზა-აბნეული ფიქრები მიმტონდა. საით მეგობარო, საით მიდიხარ! ნაინდ უღრანი კლდეებია და სასაფლაო. საით მიილტვის შენი სული ბებერო გაბრიელ? რამ მოგხარა ეგრე წელში, რამ გახარდა შენი კუზი?! ნუ თუ დარდებმა! შენ ხომ ერთ დროს ბედნიერი იყავ, შაბურა. შენ ხომ ერთ დროს გჯეროდა ბედის. სულელი ყოფილხარ, ჩემო მეგობარო. შენ ხომ ბელში ხარ. რად დივიწყე შენი კუზი? ან ეგ თვალი, მრუდე ცქერით რომ იყურება; ან ეგ პირი, ყურებამდის რომ აგხეცია, საით მიდიხარ? გინდა გააკვირვო სიმახინჯით მთელი ქვეყანა? თუ გინდა კიდევ ერთხელ ერწმუნო ბედს და კიდევ ერთხელ დარწმუნდე შენს უკანონობაში?

არა, შაბურა! გულს ნუ გაიტეხ. შენი სიძლიერე მოგონილი ზღაპარი როდია. შენი ნება სასაცილო რამე კი არ არის...

სულელი ყოფილხარ ჩემო ძვირფასო მეგობარო!



ისევ შენს საფლავთანა ვარ, ციგან გოგია. მამატე, რძეჩემს შუქს დაევიწყე იგი და ზღაპრებს მივედდე. მე ხვალ კვლავ ყვავილებში და ველოთ მოერთავ შენს სასაფლაოს. მგზავრებს კიდევ ერთხელ გააკვირვებს შენი საფლავის მორთულობა. მე კი, ძვირფასო მამა, გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, ვიცი, ასეთ შეცდომას შენ არ ჩაიდენდი. ვიცი, შენი სიამაყე ამას ვერ აიტანდა, მაგრამ რა უყუო, ძვირფასო მეგობარო! რა ჩემი ბრალია, რომ იმ დღეს, იმ რკინის მოჯირზე ქალი გადავარდა. რა ჩემი ბრალია ციგან გოგია, რომ მე ტალღებს ებრძოდი მედგრად და მღორე მდინარეს არ მივეც საჩუქრად, იმ ნესტიან დღეს, ის უმწეო ქალი.

V

უგზო-უკვლოდ დავეხეტებოდი. გული—ტკივილი იყო. ყვეთელი ფოთლებით ნაფენი გზა აასკეცებდა მარტოობას, ჩემი უმწეობა ყვიროდა ნაყარ ფოთლებსა ჰგავდა. ხმელი ტოტების ნელი ჭრილი ტკივილებით ავსებდა ტანს. ჩემს თვალღებში მკვდარი ჩრდილები იწეა და მეც საერთოდ ჩრდილს უფრო ვგავდი. ლანდივით დადევდი ბალის ბილიკებს, დაეხეტიალობდი კუთხიდან კუთხეში. გამხმარი ხის ცივი კორძები მკვდრეთით ამდგარი ცხედრები მეგონა. ფიჭვები ხანტად მაწვებოდა გულზე, მიხუთავდა სულს და უღმობელი გესლით მივსებდა სხეულს. აღმაცერი სხივები მზისა მიწვავდა ტანს. ქუჭვი ხორცს სჭამდა. მგზავრები ექვიანის თვალთ მიყურებდნენ — სიგივედ თუ მიაჩნდათ ჩემი დადაღული გამოხედვა.

დარღმა და სევდამ გიჟს გადააქლო ჩემი სიყვარული. ბედმა სიგივე მიჩუქა მხოლოდ და ისიც, ვინ იცის რად!

უცნაური იყო ჩვენი მეგობრობა. ის უფრო შეეყარებულთა იგავიარაკს ჰგავდა. ერთმანეთს მხოლოდ ღამით ვხვდებოდით ბაღში, იქ სადაც ტბა და ვერხვის ჩრდილები ღრმათა ჰვარავდნენ ჩვენს საიდუმლოს. ფრთხილად მივდევდით დაჩრდილულ ხეივნებს, უახლოვდებოდით ტბის ნაპირს და იქ ვსხდებოდით. ტბა ნელ ნელა ტივტივებდა, აქანავებდა შიგ ჩვენს ლანდებს, ღრმად ჩამჯდარ ვარსკვლავებს და ბებერ მთვარეს. ჯუნო კენჭებს ესროდა წყალს და გულიანად ხარხარებდა. აცქერდებოდა ნელად მონანავე რგოლებსა და გაბარებულნი ბავშვით ცელქობდა. მშორად ჯუნოს ყურადღებას ტბის სიღრმეში ჩაძირული თავისივე ლანდი იბყრობდა. ესროდა ქვებს, ამტერდებოდა ტალღებისგან დამტვრეულ ლანდს, გაურკვეველად დაძმუოდა. მამინ მის თვალღებში უაზრობა და შიში კრთოდა პირს იგივე გამოურკვეველი ღამილი უსერდა, რომელიც შემდეგ მძლავრს ხარხარში გადადიოდა, მეხივით ასკდებოდა ვერხვის ჩრდილებს, ტბას, ტბის ტალღებს და ტალღიდან ამოვარდნილ მთვარის სხივებს. ამ სიცილხედ ერუანტელი მივლიდა და ვცდილობდი ვერხვის ჩრდილში დამეშალა ჩემი შიში. ჯუნო კი ამ დროს ციბრუტივით დასტრიალებდა თავის ლანდს, ესროდა ქვებს და გულშემზარავად ხარხარებდა. თუ სადმე ქოტი დაი-

კივლებდა, ეს კივილი შეაკრთობდა ვიეს. სიცილი სწყდებოდა და უძილებდა და შიში იბყრობდა მას. აკანკალებული, წელში ოთხად იხრებოდა, ცოცხვდა მიწაზე, როგორც დაკოდილი, ტკივილებით გაწამებული და სამდღეში შერჩობდა.

— ობობა...

ვცდილობდი დამემშვიდებინა. თრთოლვით ატანილი მიახლოვდებოდა, გულს მკეროდა, მკოცნიდა და მწარედ სტიროდა. ჩემი ალერსი და თბილი სიტყვა ამშვიდებდა. ჩემი ზღაბრები, როგორც გულბურჯილო ბავშს ისე ახარებდა. თითონ გამეტებით მიაღერებდა. გასაოცარი მზრუნველობით მეპყრობოდა.

საყვარელი ტყუებებივით გულს ჩაკრობილნი, ვხედებოლით დილის პირველ სხივებს, ღამის ბურუსს, დილის შუქი თეთრ ზოლებად ერტყმოდა და აშუქებდა. ტბის ტალღები გადამდნარ გერცხლისავით ღივლივებდნენ და ღრუბლებში იფლებოდა მზის სხივები — უანწებივით.

ნალელიანად ვმორდებოდი თრთინეთს, ქურდულად შევდედით ბალის ბილიკებს და დილის ნისლში ვიცროცებოდი.

ნალელიანად წევბოდა დღე, შემოდგომა და სიყვითლე შემოდგომის. დავდედი გზებს, გამოხრული დამქონდა გული და მოუთმენლად ვუცდიდი მზის გადასვლას. საცოდავ გლახასავით დაყოლივდი ტბის ნაპირზედ და ვეძებდი ვიყის ალერსს.

ზამთარი წევბოდა თეთრად, ათოვდა ქალაქს, ათოვდა ბაღს, ტბასა და გულს. ნელა ნივდედი ნაცნობ ბილიკებს, ვიციოდი, რომ გაეინულ ტბას, დათოვლილ ვერხვებს და ღამაზ კნკებს აღარა ჰქონდათ მიმიხიდელობა. იქნებ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მეგობარი აღარა სჩანდა. ექვსი დღე იყო აღარ შენახა. ექვსი დღე სთოვდა განუწყვეტლივ. ტყელიად ვუცადე დღესაც ამდენ ხანს.

ჯუნოს ბედი ძლიერ მაწუხებდა. მოუსვენარი ფიქრები მეგობრის ავადმყოფობაზე არ მასვენებდნენ. არ ვიციოდი, როგორ მენახა ან როგორ გამეგო მიზეზი მისი დაკარგვისა. ბოლოს ნასთან წასვლა განვიძრებე. იქნებ ამას სხეაც სანთლის შუქს რომა ჰგავს. არ ვიცი, არა. იქნება იყო, იქნება არც იყო...

ნაცნობი ქუჩები სწრაფად გავიარე. თეთრი თოვლისგან თეთრად ბნელოდა. ნაცნობ ვარებს მივჯახლოვდი, მოკონებამ კიდეე დამკოდა. გულში გაწვა მწარე ნალველი. ვადაეხედე პატარა ბაღს—დათოვლილს და გავერანებულს. მწარე ღიმილით, შემპარავად შევხედე სახლის პატარა ფანჯრებს.

ბაღის კლთხიდან ჩურჩული მომემა. ჩრდილი შევამჩნიე და ჩქარა ვიციან ჩემი მეგობარიც. ფრთხილად შევადე ეზოს კარები და შეუშნველად მივჯახლოვდი. ის ხელგაწედილი დარბოდა ბაღში და თოვლის ფიფქებს პაერში იქერდა. შემდეგ ხელი თელთან მოქონდა, ფრთხილად ხსნიდა მოკუმულ მუშტს, გავეირვებულა აშტერდებოდა ცარიელ ხელს და შემდეგ უფრო გაშმაკებით დასდევდა თოვლის თეთრ ფიფქებს. მის სახეს მეტისმეტი ვაბრაზება და მოუ-

სენრობა ეშჩოდა. ეტყობა გიეს ძალიან აწვალებდნენ თოვლის ბეწვლები. თავეამეტებით დასდევდა, დაქანცულ სახეზედ ოფლი ლეარად სდებოდა. ჩემი ძახილი ვერ გაიგო. შივედი ახლოს და მხარზე ხელი ფრთხილად დაეჭიკა. შივედი შიშობდა. ვერ მიცნო და გატყვევა დააპირა.

— ჯუნო, მეგობარო! — მოვალერსე ნე.

ხმის ვაგონებამ გამოაფიხლა. გახარებული აღუღლულდა, თითქოს ბოდიშის მოსახდელად მომიახლოვდა და აღერსი დამიწყა. მეჩუ თოვლის თეთრ ფიქვებზედ ნიშითითა და რაღაც მითხრა გაურკვეველად. დავაშვიდე. ვთხოვე სახლში შესულიყო. ჯუნო ადგილიდან არ დაიძრა. შეეატყვე რომ უჩემოდ სახლში წესვლა არ უნდოდა.

მე კი, რა ვიცი, იქ რაღა მინდოდა.

მაინც ვკითხე.

— ილლა სახლშია?..

— არა — მიპასუხა მან და ნაღვლიანად შემომხედა.

თავისუფლად ამოვისუნთქე. თითქოს სიმშინე ისევ მოსწყდა ტანს და მხოლოდ ჩვეული ტკივილი დასტოვა. ჩემი მეგობარი სახლში შევიკვანე, ლამპარი აუნთე და იქვე ჩამოვჯექი დასაცდელად, ვიდრე ჯუნო დაიძინებდა...

ნიეთები ოთახისა სიმწარით და ბოლოით მივსებდა გულს, თითქოს ყველა მათგანი ერთ ღროს ჩემი საკუთრება ყოფილიყოს და ყველა მათგანში დამარხულიყოს ბედნიერება ჩემი წარსულისა. ეს ოთახი იმ წუთის სასაფლაოდ მეჩვენებოდა, სადაც ყველა საფლავი გაგონებს ძვირფას სახეს საყვარელთა და მეგობართა, რომელთა ცხოვრებაც შენთვის გარდღეული სიყვარული და სიტკბო ყოფილიყოს მხოლოდ. საგნები დაშტერებით მჯერებდნენ უძრავი კუთხეებიდან და შორეული აღერსით მიიღერებდნენ. საიდუმლოდ იუბრებოდნენ და ყოველი მათგანი თითქოს გამოთხოვების ზარს რეკავდა. ოთახი თანდათან ივსებოდა ამ დაშორებული ზარების ნელი და ოდნავი ხმით. ის უჩუგეშოდ სწვდებოდა გულს და ავსებდა მას ცივი ტირილით.

საგნები ტორტმანებდნენ და ყველა მათგანი შავ სიერცეში იმალებოდა. თანდათან სწვდებოდა ზარების ხმა და ჩემი ათრთოლებული ხელი ჩემს ტანზედ დატკროდა, ჰკლუჯავდა მას...

ყველა საგნებიდან ერთიღა შერჩა თვალს. ის ნელის ნანაობით მიახლოვდებოდა, ჩემს წინ ნახად შეირხა და მუხლზე დამეცა. ჩემი ხელი ნერვიულად შეეხო მას და ვიკრძენ, რომ ის მაგიდიდან უცაბედად გადმოვარდნილი ბარათი იყო.. გაშმაგებით დავაკტკრდი, თითქოს უბრალო ნაგლეჯიდან ვეძებდი ხსნას. ასოები ხტოდნენ თვალეზში, მაგრამ ნებამ დასძლია და ბარათი გადავიკითხე. ამბობენ, რომ კუდია სხვისი ბარათების კითხვა. ოდესღაც ამას ციგან გოგიაც მეუბნებოდა. მაგრამ რა მექნა უძღურს. ჩემთვის ხომ ერთად-ერთი სურვილი იყო გამეგო, როგორ სცხოვრობდა ალლა, რასა ფიქრობდა, ვისთან იყო, ან სად იყო.



ჟუკაბედმა ბარათმა ყოველივე მანხილა და ისედაც მკრთალი იმედი სულ მთლად გააქრო. არ ვიცი, იმ წუთას რამ ამიტანა. თვალები თიმჭკისკის უფრო-მის ლამობდნენ. თავში თითქოს ქიები ისხდნენ და ღრღნიდენ ხსენდაც ვადაძა-ბრილ ტვისს. სუნთქვა მგეროდა და ტანი ისე მიკვნესდა, როგორც გაროზვილს. ოთახის სიღრმიდან ისევე მომესმა ზარების ხმა, მაგრამ ეხლა ის გრგვინეასა ჰგავ-და ჯოჯოხეთურს. ზარების ვაგიეებული ხმები ზღვის ღრიალივით სკდებოდა ყურთან. პირდაღებული საგნები უწნოდ ხარხარებდნენ. მათი კვილი სწევდებო-და ჩემს ყურს და, აცეცხლებულს, მაგიეებდა.

„ნება გაქვს, ნება გაქვს“... ყვიროდნენ საგნები ერთხმად და ისევე ხარხა-რებდნენ. არ ვიცი, ვის დასციხოვდნენ, მე თუ თავის თავს. გველნაკბენივით მი-ვიჭერ გივის ლოგინთან და მხრებში ხელი წაეაყელე.

— აღეკი, ჯუნო! ალლა ობობას წაუყვანია!..

გივი შეაკრთო ამ გამოძახილმა. ცოფნარევე მხეცივით ზე წამოიჭრა და აღრიალებული ჟუკან დამედეგა...

მივჭროდი სველს და დათოვლილ ქუჩებზედ. თავში არ იყო არც აზრი, არც ფიქრი. ცოფიან მხეცს უფრო ვგავდი. ყურებში მედგა ზარების ხმები. გულში — სიბოროტე, შხამი და ტკივილი. თვალებში ცეცხლის რკალებით ნაწყე-რი: „ნება გაქვს“..

VI

დერეფანში საშინლად ბნელოდა. მხოლოდ აქა-იქ მოსჩანდა შუქი სქელი დარაბიდან გამოპარულ სინათლისა. ჰაერი იყო ზანტი და ნოტიო. წყნარად მიედევდი გრძელ დერეფანს. უკან გივის მიმე სუნთქვა ისმოდა. მისი აკანკა-ლებული სხეული შიშსაც ამხელდა, ზოღმასაც. ბარათში წაკითხული ყველა-ფერი ნათლად მახსოვდა, იქ ეწერა: „შეუხევე დერეფნის ბოლოში, მარცხნივ გა-ჩირალდნებული ფანჯარა დაგხედება“. ჩვენც მივალწიეთ დერეფნის ბოლოს, მარცხნივ შეუხევიეთ, მართლაც ენახეთ განათებული ფანჯარა. გულის ფან-ცქალით ავეკარ კედელს. აკანკალებული, ჩემს თავს ვეღარ ვიმორჩილებდი, უხი-ლაყი ძალა მიზიდავდა მომხიბლელი სინათლე და სითბო ფანჯრისა აესებდა გულს გამოუცნობი სვედითა და უთვისტომობით.

ფრთხილად მივეცოკდი ფანჯრის რიდესთან და ოთახს გაეხედე. გამაკვირ-ვა მისმა მორთულობამ. მიმე ხალეხსა და ფარჩებში ჩაფლული, უფრო საზღა-პრო დედოფალს ჰგავდა. უამრავი სურათები: ზოგი ოქროს ჩარჩოვებში ჩასმული და კედლებზედ ახიდული, ზოგიც თითქოს ნახევრად დამთავრებული სამხატვრო იარაღში გაწყობილი, ამხელდნენ ოთახის პატარანის ხელობას. ოთახში მრავ-ლად გაფანტულ სურათებში მხოლოდ ერთი იყო აფარებული. მე ისევე ბარათში ამოკითხული მომაგონდა: „მე დავამთავრე შენი სურათი. ვფიქრობ, უნდა მო-ვეწონოს, და ეს იქნება ჩემი საჩუქარი შენდამი, მიძღვნილი ამ ბედნიერ დღეს“.

ოთახში სრულიად არაიენ იყო, მხოლოდ შუაგულში პატარა მაგიდა თეთრ სუფრან-ნაფარი და მრავალ საქმელ-სისმულითა და ხილით სავსე, ამტკიცებდა სტუმრების მოლოდინს. მის დანახვაზე ჟუკაბედი ყვირილი მოსწყდა გულს და მის-



ვე უფსკრულში ჩაიმალა. კიდევ მომაგონდა ბარათის სიტყვები: „მე ვინ ვარ? ჩემს დასაცემ მოხრილი ტანი ოთხად მოიხარა.“

„დღეს ხომ ჩვენი ქორწინების დღეა. ეხლა ხომ ყველგან კვავილები უნდა იყოს თოვლის მაგიერ“. კიდევ გაურკვევმა ვრუანტელმა დამარტყა თავში და გულს მწარე ცოვი მოჰქადა. ათროთლებული მიეწევე და ფანჯარას და ღონე-მოკრეფილმა ადვილად შეეხნივე, — თითქოს ბედი მწყალობდა ამ წუთს, ყველაფერი ჩემს გამხეცებულ ნებისყოფას ემონებოდა. ფანჯარაში ფრთხილად გადაველით. სად მივდიოდით? კარგი იქნებოდა, რომ მეკითხნა ჩემი თავისთვის, მაგრამ არ ვკითხე, რადგან ტკივილი მეტი იყო ყველა ფექრზე, ყველა აზრზე, ყველა კითხვაზე.

ფანჯარა ისევ ფრთხილად ჩავკეტე და ჯუნოს მივებრუნდი. გიჟის გაოცებული თვალები ისევ უახროდ იყურებოდნენ. ისევ ის ღიმილი სერავდა ტუჩებს, მაგრამ მაინც საშიში იყო ამ წუთს ჯუნო. მის აბურკგულ თმას, უახრო თვალებსა და ნამძინარევე სახეს ჯოჯობეთის ელფერი ჰქონდათ. მასში თითქოს ძლიერება იყო გაშოუცნობი და წარმტაცი. ტურის კანკალი უშხელდა შიშს და ხელების ნერვიული თამაში კი განზრახვის საშინელებას. გრძელი თითები ობობას ფეხებს უვადე და, ვინ იცის, იქნებ უფრო მედგარი და უღმობელიც ყოფილიყოს მასზე.

ოთახის დამრდილულ კუთხეს მივუახლოვდი, სადაც დატეხილი კარები სჩანდა და რომელსაც სქელი ფარდა ჰფარავდა. ამ ფარდულში დავმალე ჯუნო და მეც იქ დავიმალე. იქიდან მაგიდა კარგად სჩანდა. იქიდან ტილო-აფარებული სურათიც სჩანდა და ელექტრონის ღლიც იქვე იყო.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, იქნება ცოტა, იქნება ბევრიც. გასული წუთები საუკუნედ მეჩვენებოდა. ყველაზე საშიში ის იყო, რომ ჩენს თავს თანდათან ანგარიშს ეთხოვდი. ყველაზე მწელი ის იყო, რომ გულს გაურკვევი შიში იბურობდა და გასაქცევად ვეშაბდებოდი. კიდევ დავაპირე, მაგრამ დერეფანში მოისმა ხმები და ამან ისევ ჩემ ადგილს მიმაკრა. ცოტა ხანს შემდეგ ხმები მოახლოვდა და ოთახის კარებთან შეჩერდა. კარების გასაღები თითქოს ჩემს გულში გადატრიალდა, საშინელმა ტკივილმა გასერა სახე. გიჟს მივებრუნდი და ყურში ჩავმახე.

— ჩუმაღ, ჯუნო, ხმა არ ამოიღო!

სასტიკი იყო ალბად ჩემი ხმა. გიჟი შეკრთა და მოიკუმწა, ოთახში ჯერ მხიარული სიცილა შემოფრთხილდა, შემდეგ — ბუდნიერი წყვილი. ხელში თეთრი კვავილები ეჭირათ და ერთმანეთს ესროდნენ. ოთახში ვნებთ ამწვარი ხორციისა და ვარდის წყლის საამო სუნის მიმოიფანტა. ვარდებმა სითეთრე მოჰტანეს ოთახს და მხიარულად ააკიავეს.

ალლა თითქოს განგებ მოუახლოვდა ჩემს საფარსა და თავისი სურნელებით თავბრუ დამხვია. ასეთი ლამაზი ის არას დროს არ მენახა. მასში აღარ იყო ის პატარა გოგო, რომელიც მდინარიდან ამოვიყვანე. მასში აღარ იყო არც ის მეგობარი, რომელიც თავისი ლამაზი ცეკვით არსობდა ქუჩას, ეხლა უფრო



ანგელოზს ჰგავდა. ნაცრისფერ თვალებს თითქოს სიღრმე მოჰმატებოდა, ტუჩებს—სისხლი, პატარა ტანს—მოქნილობა და სინახე. ვუყურებდნენ და აღსაფასად და გულში გრივალღივით იზრდებოდა ჩემი ვნება, აწვევდა და სუნთქვას მიყრავდა.

ვაგი ნელა მიუახლოვდა ქალს და თვალებში ჩააშტერდა, ჩააკვდა. მერე ხელი მოჰკიდა და მაგიდასთან წაიყვანა. ქალის ტუჩებზე ღიმილი ათამაშდა,—გულღბრყვილო, ბავშვისებური, თანაც ჩემი ვნების მზილველი და წარმტაცო. ვაგის წერწევა ტანი ნელა დასწევდა ქალის ხელს და ნახად აკოცა. ღამაში იყო ეს გულღბრყვილო და სიყვარულის მეტად მამზელი, უბრალო კაცნა.

— მეგობარო, ხომ აასრულებ შენს დანაბირს? ვახსოვს პირობა? — მოისმა ქალის მოქნილი ხმა.

— როგორ არა, ჩემო დედოფალო, როგორ არა.

— სოქვი.

— უნდა გაჩენო ეს სურათი,—უბასუხა ვაგმა და ტილო-აფარებულ ხე-რათხედ მიუთითა.

ქალი მოსწყდა თავის ადგილს და ვაგის ტუჩებს დაეწაფა. ვაგმა მკლავები შემოარტყა ქალის ნახ ტანს და გულზედ მავრა მიიკრა, გადაუწვია ნახი მკერდი და ჩააკვდა.

მე ვიბიდან უბის დანა ამოვიღე და მკლავზედ დავისვი.

მაგრამ ტკივილი მაინც ეტაკა გულს და ვნების ცოფი მოეღო ტანს.

აღლას დანახვებზე გივი ატორტმანდა, სიხარულმა აუფსო სახე. მაგრამ, როცა ქალი ვაგის მკლავებში ჩახვეული დაინახა, თითქოს მოაგონდა რალაც საშინელი, აკანკალებულმა უკან დაიხია.

ხელის აწვევით შევაჩერე... ვივრძენ მთელი სხეულით ცახცახებდა, შიშით შეტერობილი ხმას არ იღებდა.



კიდევ კარგა ხანს ვაგრძელდა წამება. ისინი კი მაგიდასთან იხსდნენ და მათი სიხარული აესებდა ოთახს. თითქოს მოუწყენელი და უღვევი იყო მათი ბედნიერება. თითქოს დაუსრულებელი იყო მათი კაცნა. უბსკერო იყო მათი აღერსი, ხელიდან ხელში გადადიოდა ტიქები. თეთრი ყვავილები, კაცნა და აღერსი, უსახლერო თუ იყო მათი სიყვარული.

მაგრამ უსახლერო იყო ჩემი ვნებაც, რომელიც ცელში მწვდებოდა მძაფრად. უსახლერო იყო ჩემი სიყვარულიც. არა ჩემი ბრალია, რომ უბედო ვიყავ ერთ დროს ხომ სული რაინდისა მქონდა. ეხლა კი უფლება მაქვს. არ უნდა შედრკე, გაბრიელ შაბურა! არ უნდა გიმტყუნოს ძალამ და ნება! თუ სიკეთისთვის ტიაც არა ხარ, სიბოროტისთვის მაინც იყავ“.

ასე ვფიქრობდი მგონი იმ წუთს, როდესაც ვაგი მოსწყდა ადგილს და სურათისკენ გაეშურა, მოხია ტილო და სურათის სახე გამოაჩინა.

აღლა გაკვირებული უკმეროდა სურათს, სახეზე კი აღტაცება და შიში უკრთოდა. მხატვარმა თითქოს გაუგო ქალს.

— შენი ძმის შიშმა, ობობას შიშმა დაჰბადა აბრი ამ სურათისა.

სურათში მართლაც ობობა იყო დახატული. იმის ქსელში, ^{კე ქალის} ნახი ტანი იყო გაბმული და გადახლართული. სურათი ლამაზად ^{ყოფილი} და ცოცხალი ფერების სიმშრეალე ასკეცებდა აღტაცებას. ნახად ნაქსოვი ლურჯი ქსელი ობობასი ოდნავ ჰფარავდა ქალის ტანს. მიძინებული ქალის სინაზე კი ხიბლავდა ჭრელთვალა ობობას, კუთხეში მოკალათებულს და ვაუმადლარი თვალით დაჰყურებდა მსხვერპლს.

აღტაცებული ქალი სურათს თვალს ვეღარ აშორებდა.

— ეხლა კი, — შეჰყვირა ვაჟმა, — ეხლა მე მინდა ჩემი სურათი ცხადვეყო.

ამ სიტყვებით დასტოვა გაკვირებული ქალი და მეორე ოთახში გავიდა.

აღლა მარტო დარჩა. მისი ყურადღება სურათმა მისჯაჰკვა. ღიმილი ტუჩებზედ თანდათან გზრდებოდა.

მე თვალი მოქსწვევით სურათს და აღლას დაეცქერდი. იმ კუთხიდან დაჰყურებდი ქალს და მეთასჯერ მხიბლავდა მისი სინაზე. ვაუმადლარი თვალთ უყურებდი, ვაშტურდებოდი და პირზე მომდგარ ნერწყვეს ველაპავდი.

უჩუმრად შემიბრუნდა ვაჟით ოთახში. მას მწვანე სამოსი ეცევა, ობობას შგავსად შეკერილი და ტანზედ კობტად მომჯდარი. ატლასის სქელი ნაოქები ობობას ქსელს და უამრავ ფეხებსა ჰგაყდა, ხოლო საყელო სამოსისა — ლამაზ ბადეს, ობობას ნაქსოვსა და ნაჭარგს.

ქალს შეუმჩნევლად მიუახლოვდა, თავის ქსელი შემოახვია, დაჰფარა და აღერსი დაუწყო. ქალმა ვაჟის ხუმრობა მიიღო. აეკრო ნაოქებს, შიგ ვადაიზნიქა და აღერსს აღერსით უპასუხა.

ვაშმაგდა ენება, თითქოს ატყდა ქარიშხალი... აღარ შემქმლო მეტის ატანა. მეც კოცნა მინდოდა. მინდოდა აღერსი, მინდოდა სიციყე!..

სისხლადღებულნი ვეკეთე გიეს. კარგი დრო იყო. შეყვარებულნი ცალკე იყენენ. ქალი ვართული ვაჟის მორთულობით; ვაჟი — ცივი ღვინით, ჩამომჯდარი მავიდის ახლოს და ჩვენი ფარდისკენ ზურგშეკეული.

ფარდა ოდნავ ვაუწიე და მწვანე ობობა ვიეს დივანახვე. ვიეი აიმრიზა, აწითლდა, თმა ვალყხედ აუღვა და თითები ქორის კლანჭებევით ვადაეღუნა.

— ფრთხილად, შეუმჩნევლად! — წავსრთრჩულე ვიეს და შუქი ჰავაქტე.

დაბნულდა. ოთახში შეყვარებულთა ხმები მოისწა.

— რა დაემართა? — ჰკითხვლომდა აღლა.

— ასე იცის. — ამბობდა ვაჟი.

— აქ ბნულა საშინლად. — თრთოდა ქალის ხმა.

— ისევ ვანათდება. ცოტა დააცადე, — ამშვიდებდა მხატვარი.

ოთახი ფრთხანს სიჩუმემ შეიპყრო.

მოისმა სკამის ნელი ჭრიალი. შემდეგ მძიმე სუნთქვა... მერე ოდნავი ხრი-
ალი ყელში...



ეროვნული
კვლევის
ცენტრი

- თემურ, ნუ მაშინებ! — მოისმა ქალის შემკრთალი ხმა.
- ნუ გეშინია, მე აქა ვარ. — შესძახა ვაჟმა.
- საფარიდან გამოვეულ- კედელს ავეყარ. მუხლები მითრთოდა.
- ცივეც მაკანკალებდა, თან ცხელი ქრუანტელი მივლიდა ტანში.
- მანდ რად წახვედი?
- მინდა ვცაღო, იქნებ აინთოს. — კვლავ ვუპასუხე შეცვლილი ხმით.
- გეშინია, თემურ. აქ შგონი ვილაც უნდა იყოს. — შეჭკივლა ქალმა და ჩემსკენ გადმოხტა.
- ნუ გეშინია... — ვუპასუხე ათრთოლებულმა და ქალი ჩემსკენ გადავიხიდე.

თვალეზში ელვამ გაისრიალა. ტანი დამეშმაფრა. სისხლი გავიედა. გავვიედი მეც. ქალის სიახლოვემ დამათრო. სულ არია ახრიც, ფიქრიც, გონებაც. ათრთოლებულმა მიეყარ ვულზე და ვიგრძენ, როგორ ათამაშდა ჩემს უშნო ტუჩებზედ ღმილი გამოუოქმეული ნეტარებისა.

ქალი თითქოს ვერ გრანობდა უცხოს. შეშინებული თანდათან მეკროდა და მთელის ტანით მაკანკალებდა.

წუთიც ასეთი ბედნიერებისა და... ოთახის კედლები კვიღმა დასერა.
— კუზი! — შეჭკივლა ქალმა და გველნატენივით განზედ გადახტა.
ათრთოლებული, ოთხად მოვიხარე. ვიგრძენ, რომ აქაც კუზმა მილაღატა. ვიგრძენ, რომ კუზს ვერა დაჰფარავს-რა — ვერც სიკეთე და თავგამეტება, ვერც სიბოროტე და ავი საქმე, ვერც ლოცვა და დარდი ათასი.

ისევ მომესმა ზარების ხმა. მათი დამკინავეი ყვირილით აივსო ოთახის სიბნელე და თითონ ოთახიც. ჩემს ცარიელ თავს აღარა ღრნიდა-რა. სულში სიმშვიდე გამეფდა უძრავი.

მიუახლოვდი კედელსა და ლამპარი ავანთე. უცნობის გვაში იატაკზედ ვგდო. გადმოვარდნილი თვალეზი ბუდიდან, ამახინჯებდნენ ლამაზ სახეს. იქვე ახლოს ქალი იყო, ნუზხარე სახითა და შიშით თვალეზში. უძრავი იყო მისი გამოხედვა, თითქოს ღიდ სვედას ცრემლიც დაეწრო.

კუთხეში დადმგული სურათი მხატვადა — ობობას ქსელში შეხვეულ ქალს. თავისი კუთხიდან მწყანე ობობა ხარბად დაჰყურებდა მშვენიერ მხვერპლს. ოთახში ჩვენს მეტი არაფერ იყო. ჩემს გიჟ მეგობარსაც დავეტოვებინე. მიუახლოვდი ელსნენის ზარს და ნელა ჩამოვყარ.

ფეხდაფეხ მივდედი ახოვან დარაჯებს. მიუხედავად გვიანი ღროისა, ქუჩა საესე იყო ხალხით, ეტლებით. ბრბო ლინძღვით მომდედა, მესროდა ჭკებს, ჭკებთან ერთად ჭუჭყიან სიტყვებსაც.

— მოჰკალით! დააღრჩვეთ! — ყვიროდა ხალხი და ტალღასავით მოგორავდა.



სასაფლაოსთან უნდა გაგვევლო. ესთხოვე დარაჯს ნებეკიძე და მოვთხოვებოდი მეგობრის საფლავს. უარი მითხრა. შორიდან გავხიზვე: ჩვეთქვის საფლავი და, ხელგაწვდილმა, პატიების თხოვნით მივმართე.

ჩემი იყო თეთრი სასაფლაო. თოვლის ფიფქები ხარბად ათოვდა საფლავებს, ჯვრებს, ქვის ანგელოზებს.

ხიდზედ-ასულმა მდორე მდინარეს გადავხედე. ზანტად მიზღვედა თავის კალაპოტს. მიჰქონდა თან ქუქყი და შმორი, მიჰქონდა თან ათასი ხაფოტი და კიდევ სხვა ათასი რამ.

ს ა ლ ი *

არმანი

ჩაის შემდეგ ბავშვებმა დაკარგულ ინდოურებსავეთ იწყეს ოთხიდან ოთახში ყოილი. პაპაშა და მისი შვილები სამსახურსა და სასწაულებელში წასულიყვნენ: ავაფია სამოვართან დარჩენილიყო, შაქრის კვნიწყებით ლამბაქიდან ჩაისწრუპავდა, აქეთ-იქით თავს აქნევდა, მარჯვენა ხელით სუფრაზე ვითომ აკორდებსაც იღებდა, ზედ დაზნუკუნებდა. თუმცა ბავშვებმა რავდენჯერმე ცხვირწინაც ვაუარეს, მაგრამ ვერ შეამჩნია... პატარა ქალები ოთახების დათვალაერებას დიდბანს არ მოუნდნენ, სსადილოს, სტუმრის მისაღების და ავაფიას ოთახის გარდა ყველა დაქვტილები დახედათ... სტუმრის მისაღები მეტად მდიდრული იყო და თვითთული საგანი ბავშვებს თვალსა, სტაცებდა. თავახდილროიალთან მდგარი, ტოტებ გაშლილი ალენდრები და ლიმონის ხეები ახლამოსულებს მომხიბვლელად შეჰყურებდნენ, ანელებდნენ მძიმე შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენდა მათზე ეს ოჯახი. ღიზიკა და დარონალელიანად იყურებოდნენ; მათთვის პირველი შემთხვევა იყო, რომ დედ-მამის კერს მოშორებოდნენ. სალი, პირიქით, აქ უფრო თავისუფლად სწონავდა ნახულ-გაგონილს და თუ წუხანდელ უხერხულ საწოლის წყალობით ნეკნები სტკენოდა, დღეს ეს ტკივილი აღარ აოცებდა იმ ლაპარაკის შემდეგ, რაც „პაპაშასა“ და ანიას შორის მომხდარიყო.

სალის გღშინაც მიეტოვებინა სახლი, რომელიც დღევანდელზე უფრო მძიმე განცდებს აგონებდა: ქახოსრო ეანდარმებს წაეყვინათ, ეენია დაკარგულიყო, ვერიკო თვისის ზარაკინით, ნატო საიმედო მეგვიდრეებით, ყველა ესენი უკანა რჩებოდნენ. მარიაშაქვი განოთხოვების დროს თვალზე მომდგარი ცრემლსაჩქაროდ მოიწმინდა, ნატოს არ შეემჩნია; ეტყობოდა, შვილისგან აკრძალული ჰქონდა ჰყვარებოდა სალი. დიდდამ მანც ჩუნად მისცა ერთი თუმანი, ალთოქვა შემდეგ შიაც გამოეგზავნა. სალი ხედავდა, ნატო დღითიდღე მარიაშე იმარჯვებდა. ბავშვისა და მოხუცებულს შორის სათუთი ვრძნობა თითქო თანდათან იფერფლებოდა, მაგრამ სალის მანც უყვარდა დიდედა ნალელიანის და უიმედო სიყვარულით. მარიაშეც ამ დღეებში სოფელში წაყვილოდა, სალი დარჩებოდა თავის თავის ამარა...

ლიმონებით დახუნზლულ ხეების აბლო სკაშზე ჩამოხვდა. ბავშვი ორივე ხელზე თავით დანდობილიყო და ჩაფიქრებოდა ესლანდელ მდგომარეობას... ამავე დროს მძლავრი ნაცნობი ხმა თითქმის უბრძანებლად, უწინაშე ჩაშტერებოდა თვითუღელ დღეს, მისაღები მიეღო, მძულსკისთვის თამამად ხელი ეკრა, მიჰყოლოდა სიმართლის ცოტაოდნად მკრთომარე შექს, თუნდ ამ უკანასკნელს ტლანქ უბეშ ქურჭლიდანაც ჩამოეგონა.

სალის აგონდებოდა „პაპაშას“ სიტყვები, რომ ყველას საკუთარის შრომით უნდა ეცხოვრა. ბავშვი გულმოდგინებით თავის გუნებაში ჩხრეკდა ყველა ნაცნობ პირებს, არჩევდა რომელი მათგანი უდგებოდა ამ ზენოდალნიშნულ შრომელ პირს, მაგრამ სამწუხაროდ გარდა ისევე გლახებისა, ხელში არავინ რჩებოდა, თუმცა ანიას ლანდი ხანდისხან გამოკრთებოდა, მაგრამ სუსტი და ისიც მალე ჰქრებოდა...

* * *

— რას დაღონებულხართ მერცხლებო? გინდათ სტუმრობანა ვითამაშოთ? მოისმა ამ დროს სულ აბლო მინაზებული ხმა აგაფიასი. ბავშვებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს.

— სადილობამდის ბევრი დროა; ეიდრე ანდრეი პავლოვიჩი მოვიდოდეს, მანამ კიდევაც გაერთობით. თქვენ ამ სავარძლებზე დასხდით. მე კი როგორც სტუმარი ქეჩიდან ზარს დაგირეკთ. ერთ ერთი თქვენგანი, როგორც დიასახლისი, უბრძანებს მეორეს კარი გაძილოს. ამზობდა ღიმილით აგაფია და მოციმციმე თვალებით ბავშვებს ეხვეწებოდა, აესრულებინათ მისი სათხოვარი...

ბავშვები დათანხმდნენ, სტუმრის მისაღებად მოემზადნენ.

ლიზიკა, როგორც დიასახლისი სავარძელში გადაწეა, ამის ცხოვრებაში ეს წუთები უჩვეულონი იყვნენ, დედ-მამის ოჯახში არასდროს არ უგაძენია ასეთი დამოუკიდებლობა. ლიზიკას უნდოდა, რაც შეიძლებოდა, ეს წუთები გაგრძელებულიყვნენ, არ გამოჩენილიყო აგაფია, რომელიც თვის ოთახში წასულიყო.

ლიზიკას თავი ღირსეულად ეკირა და ხანდისხან კიდევაც გადაუბღვერდა დებს, რომლებიც აქეთ-იქით უსხდნენ და დრო და დრო სტუმრის მოლოდინში თავშემავრებით ხითხითებდნენ. ზარი დაირეკა. დარიკო კარის გასაღებად გაიქცა და „სტუმარი“ ძლივს იცნო.

— გამარჯობა, ლამაზო გვრიტო, დიასახლისი შინა ბრძანდება? ვინაზებით შეეკითხა ვარდისფერ ფარჩის კამაში მოსილი, თეთრ ბლონდებში შეხვეული აგაფია, რომელსაც ოდნე მხრებზე წამოედო მწვანე ხავერდის სათბუნი, ჩეფჩიკუნოდ თავზე დაეხურა სირაქლემის თეთრი ფრთებით გაწყობილი ამავე ფერის შლიაპა. ფეხებზე თეთრი ლაიკის საბალო ფეხსაცმელები წამოუცვა და სრულიად დაეიწყებოდა ზურგიდან ზამთრის ქარის ბერვა.

დარიკომ მთრთოლვარე ხმით ძლივს გააგებინა, — დიასახლისი შინა ბრძანდება, აან ეშინოდა, გულში ჩაბრუნებული სიცილი წუთით წუთს არ წასკდომოდა.



ძლივს ვლირსათ მოსამსახურის სიტყვა. სუფრა ხევადასხვა სწავლით უბ-
ვად იღვსილიყო, მაგრამ ყველანი მოწიწებით ისხდნენ. „პაპაშაქაძე“ ტყეშები ისევ
გვერდით მოიხსა, საღის ვილაც კაცის ახლო უჭევნეს ადგილად დასვა. შუახნისა
ყო, ვამბდარი, მოკრძალებული და თავაზიანი.

— ზახარი პაატოვიჩი! ემ პატარა ქალი თქვენთვის ჩამიბარებია, იმედი
მაქვს, სადილზე მფარველობას გაუწევთ, როგორც მე ამათ. ამ სიტყვებით ან-
დრეი პავლოვიჩმა ლიზიკას და დაროს თითო პანია ნაჭერი ხორცი თეთშზე
დანიანგლით წმინდათ დაუჭრა, როგორც ახლად გამოჩეკილ წიწილებს მაგრად
მოსარშული კვერცხის გული. ზახარი პაატოვიჩმაც მას მიბაძა, ხელიდან ყოველ
ამ დროს სადილას შესატყობინებლად დარინკა ჩემი ოთახის კარს დააკაკუნებს,
სალინკაც ასევე მოიქცევა ზახარი პაატოვიჩის შესახებ. კვალად გამოვიდა პაპა-
შასაგან ახალი ბრძანება.

პატარა ქალები გონს ვერ მოსულიყვნენ, თუ ვისთან, ან რა ხალხში იყ-
ნენ. ან ისეთი რა ჯადო დაპატრონებოდა ამ საქმელ-სასმელს. ყველასათვის პირი
აეკრა და ძლივ-ძლივით უხეიროდ იღეკებოდნენ?

პატარა ქალებმა მარტო დღეს იგრძნეს საქმელ-სასმელს რა მნიშვნელობა
ჭკონდა, დღევანდლამდე ეს საკითხი მათთვის არ არსებობდა, დღეს მეტად
მწვავედ იჭრებოდა წინ, სალი გაოცებით თვალს არ აშორებდა მეზობელს, რო-
შელიც დიდის გულმოდგინებით ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, წერილად დაე-
კვსა ისევ ციცნა ნაჭერი ხორცი, რომლის შექმნის სურვილი ბავშვს გუნებიდან
უკვე გადაუფარდა. სუფრაზე სიხუმე მეყობდა, აგაფიაც ჩვეულებრივის გარინ-
დებულის სახით სუფრის ბოლოს იჯდა.

ანდრეი პავლოვიჩის შემდეგ ანია ყველაზე თამამად იყურებოდა.

— პაპაშა! ამა თქვენი კახურის ქაშნიკი მიწვენეთ!

ანიამ მამას ჭიკა ვაუწოდა. თუმცა ანდრეი პავლოვიჩს სახეზე უკმაყოფი-
ლება დაეტყო, მაგრამ მაინც დასწვდა იქვე მაგიდის ქვეშ ფეხებთან მდგარ სა-
ლინეს, რომელიც განსაკუთრებით თავისთვის უნდოდა და დაუსხა წითელი
ღვინო. ანიამ გადაჰკრა, ალავერდს ისევ „პაპაშასთან“ მივიდა. ანია არა ჰგავდა
დილანდელ უნებისყოფო ქალიშვილს, ეტყობოდა, ახალი გევმა შეედგინა სამო-
ქმედოდ და ასრულებას კიდევაც შესდგომოდა. ბავშვებისკენაც ხშირად იხედ-
ებოდა, იღიშებოდა, მაგრამ ღიმილი დამკინავი იყო.

დასრულდა სადილი, სუფრაზე კი საქმელ-სასმელი თოთქნის ისევ ხელუხ-
ლებელი დარჩა, სუფრიდან აშლილნი ჯერში ჩამდგარიყვნენ და პაპაშასკენ სა-
კოცნელად მიიწვედნენ, მარტო ზახარი პაატოვიჩმა მაგრა ხელი ჩამოართვა. რა-
საკვირველია, პატარა ქალებსაც კოცნით მადლობა უნდა გადაეხადათ, რათა
მან განაღო ესენი. ეტყობოდა ოჯახს კოცნა ჰყვარებოდა, პატარა ქალები კი
ჩვეულებით არ იყვნენ.

სადილის შემდეგ აგაფიამ ბავშვებს ხელში საბონ-წყალი და ღრუბელი მი-
სცა, დაავალა, სკამებზე შემდგარიყვნენ, ალიანდრების ფოთლები გაერყვხათ,
სუფთა ტილოთი შეეშრალებინათ.

— უკაცრავად, დეიდა მაგისი შესრულება არ შემიძლიან!



უკმებად უთხრა სალიმ და შავ სათვალეებიდან გამობღვირა ავაფიას ავაფიამ გაოცებით შეხედა ამ უცნაურ არსებას, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა და ვდა... ლიზიკამაც ყური მოიყრია, საქმის ასრულება მართა დამსრულს უკმებამ და მორჩილებით მიიღო.

სალამოზედ ჩაამაც უგემურად ჩაიარა, წუხანდელ შაქარლამების ნაგივრად რამდენიმე დღის გამზმარი ფურწის მკავე პური და წყალწყალა ჩაი შაქრის თვითო კენიწით წინ დაუდგეს. ბავშვებს გამზმარი პურის ნაჭერი ნახუქად ეჭვენათ, ჩაის კურკლის ალაგებაც მათ დაეცისათ.

— სწავლას ერთი კვირის ადრე ვერ დავიწყებთ. მანამ თქვენც აქაობას შეეჩვევით.

მოსძახა ამათ წინ ცოტა ხანს შეჩერებულმა, ლამაზად მორთულმა ანიამ და საჩქაროდ კარები გაიხურა.

მეორე დღეს უკმე იყო. ავაფია და ლიუბა საყდარში წასასვლელად მოემზადნენ. ლიუბა დიდხანს მოუნდა გამოკოხტავეებას, მაგრამ, როდესაც თავის გახუნებულ, აქაიქ თავვისგან კბილით ვაკაწრულ სათბუნებელს და ქუდს შეხედა, ჩაფიქრდა... შემდეგ გაბღვირა იქვე ჩამოკიდებულ სამ ახალ პალტოს, რომლებიც თვალში ვასალიზიანებლად ეჩხირებოდნენ და ვაილიმა, ვამოზრუნდა ბავშვებისკენ, ფერაობა დაუწყა, მის ფერაობას გულწრფელად ისეც დარიკო შეხედა.

* *

ლიუბამ ახუქა პატარა ნაბატო, დარიკო ალტაცებით დაპყრებდა მშვენიერ ანგელოზს, რომელსაც ფრთები გაეშალა, ვარსკვლავებით მოქედით ლურჯ ცაში ვაფრენას ეპირებოდა, იმავე დროს ცის დასავალი ვაფერპკრთალბულიყო.

— დარინკა, ვინდა, ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში წავიკვათ?..

ალერსით შევეითხა ლიუბა დარიკოს, თავზე ხელი დაუსვა...

— იქიდან ალექსანდრეს ბაღში წავიდეთ, იქ ლამაზი ხეებია, ზამთრის ბუჩქები და მწვანე ხავსი...

განაგრძობდა ლიუბა და თან ცალის თვალით ლიზიკას და სალის შეპყრებდა...

— ვინდა?..

დარომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია...

— მაშ, თუ ავრეა, იქი რას გეტყვი, ჩემო გოგონავ? დღესთვის ჩემს ამხანაგებთან დანამტევებული ვარ ერთ ვირვანქა შაქარლამაზე, თუ ისინი მიცნობენ ახალ ტანისამოსში... მე კი მინდა, ვცადო.

თუ შეიძლება, შენ პალტოსა და ქუდს მე ჩავიკვამ, შენ კი ჩემსას. შენთვის ხომ სულერთია, ახალში იქნები, თუ ძველში, მაინც არავინ შეგამჩნევს... მიღებულ შაქარლამასაც შუაზე ვაგიყოფ...

მართალია ხნით შენზე უფროსი ვარ, მაგრამ სიმალით ერთის ტანისა.

დარიკოს ისე მოუნდა საყდარში წასვლა, ბალისკენ ვასეირნება, რომ ახალის ძველში ვაცვლა აღარ დავნანა და დათანხმდა.



ლიზიკა სასადილო ოთახში ტახტზე წამოწოლილიყო. ხეველებიდან თვის იტკიებდა, აქაურობა არ მოსწონდა, ფიქრობდა თავი როგორ დაეჭირებოდა.

სალი უშინისკის სახელმძღვანელოს ფურცლებსა შლიდა... ამ დროს ოთახში შემოვიდნენ სრულიად შეცვლილი ლიუბა და დარიკო. ლიუბას მეტად ლამაზად ადგა ტანზე ახალი პალტო, მისი რკვალი, ეშხანი შეგვერემანი სახე თეთრ ქუდში ლაბაბა გვირცხავით გამოიყურებოდა, მაშინ, როდესაც მის ძველებში გაბეული დარიკო შესაჩნვეად იჩაგრებოდა...

ლიზიკამ და სალიმ ერთმანეთს გადახედეს, არა სთქვესრა, რადგან ლიუბა და დარიკო ერთნაირად კმაყოფილები იყვნენ და წასვლას იჩქარებდნენ.

— ეჰ, სალი, რა ძნელი ყოფილა სხვის კარებზე ყოფნა!.. ორი დღეა აქ ვარ: ორი დღე წელიწადად მიჩანს... წუხელის მთელ ღამეს არა მშინებია, დაკეტულ შკაპიდან თავის ხრავუნმა თავი მომაბეზრა... თან იმე თავად გარდაქცევა მომანატრა... სალი, რაკი სუფრიდან ლავდება, სულ აქ ინახება, ჩვენი გვშიან... მეც თითქო განგებ შკაპის კედელზე მაქვს თავი მიდებული და ლორის სენი ცხვირთან მიტრიალებს, წუხელის ერთი პირობა კიდევაც ზეზე წამოვარდი, ვეცი, მინდოდა კარი გამომეღო, მაგრამ შკაპი დაკეტული დამხვდა... მომივალ კვირას, რომ სახლში წავალთ, ჩვენი შკაპის გასაღებს თან წამოვიღებ და... ხანდისხან ვევახშმოთ ხოლმე...

დაილაპარაკა ლიზიკამ ნაღვლიანად, როდესაც ლიუბა და დარიკო ოთახიდან გავიდნენ.

სალი ვერ შეზღუდული უსმენდა ლიზიკას, შემდეგ უცბად წამოვარდა ზეზე, შავი სათვალეები ხელით გაისწორა, თითქო მისი რკინის უღელი ცხვირსა სტკვენდა...

— ლიზიკა!... ეგ რა სთქვი?..

შესძახა მან ათრთოლებულის ხმით და სკამის ზურგს ხელი მაგრა მოუჭირა.

— აქ სხვა გზა არა ყოფილა, სალი, ან ქურდობა, ან ნიშნოლი... მე კი ნიშნოლი არ შემიძლიან!..

ამ დროს მოისმა „პაპაშას“ მძიმეუების ხმა და ბავშვებმა ხმა ჩაქმინდეს

— მაშ დიდი ხანია, რაც მოვიდნენ. შე კაი კაცო რატომ უფრო აღრე არ შემატყობინე?..

— რაკი ოთახში ჩაკეტული ბრძანდებოდით, თქვენი შეწუხება ვეღარ გაგებდე და ვარჩიე ისე იმათ ეცადნათ.

— ეგ კარგად ვერ მოგივიდა, მართალია სხვა დროს ბრალიან უბრალოდ ჩემი შეწუხება დასაშვები არ არის, თუნდ მთელ დღესაც ვაყვე შეკეტული. რადგან შე თვითონ უკვე მაქვს ყოველი წუთი სხვადასხვა საქიროებისთვის განსაზღვრული, მაგრამ რაკი უკვე დღეებში ამ ნაირი შენთხვევები აუცილებლად მოსალოდნელია, ამისთვის გამოანაკლისი უნდა მოხდეს თუ არა!.. ვგენიც კოდონი არიან, საწყლები შორი გზიდან მოსულან, ისეც დალაღულებსად შეუძლიან ჩემი დიდხანს ცდა? სინდისიც კარგი საქონელია!..



იმედია, დღის იქით შენი ასეთი საქციელი აღარ განმეორდება. შენდევნი ლაპარაკით ანდრეი პავლოვიჩმა და მოსაქსახელებმა მოსახლეობის წინაშე გამოიარეს, ანდრეი პავლოვიჩს თავი მალა აელო, უღუნებზე ხელეზის სწილთ ცვლილობდა, რაც შეიძლება, მედიდრობა განიხილა; ამასთანავე კარგ ვუნებაზე იყო, ბავშვებს გაუღიმა.

როდესაც „პაპაშია“ და მსახური ეზოსკენ წაიქცნენ, ბავშვებიც ფეხაკრებით უკან მიჰყვნენ. უნდოდათ ენახათ ახლად მოსულნი.



მზიანი დღია იყო, ნახევარი დღის ეზო საგანგებოდ დაგვეპილიყო. აქ ყოველი კუთხე განსაკუთრებულ სახეს იღებდა, შიგა და შიგ დარეხილი მესერებით დაყოფილი.

ქუჩიდან შემოსასვლელ რკინის კარების გასწვრივ მიდიოდა ეტლის გასაღვლელად დარჩენილი გზა, რომელსაც აქეთ-იქით გაშვებული კვიპაროზები ჩაბრუნდნენ, რათა მათ ხურგს უკან ფეხი არაღის გადასცდნენოდა.

ამავე სახით წინ მიიწვედნენ, ვიდრე გზა კალოსავით რგვალდებოდა და შენდევნი იწყებოდა ბაღნარი.

ბაღის მოსაწყობად არ დაზოგვილიყო არც ფული, არც შრომა. ბაღს გარშემო ქვიტკირის კედელი იცავდა. მასში ყოველნაირი მცენარე საშინაო-გან დაუურუსებულო მზის გატრიაგებულ სხივებზე იმედიანად იშუშებოდა. ბაღში ზამთრის მცენარეები ჰარბობდნენ, იქვე გვერდში საცოდავად ატუხულ ხეების ჩონჩხებს მომავლის იმედებით ამხნეებდნენ. იქით, საითაც ხშირდებოდნენ ვარდ-ყვავილები, ქონდრის კაცების სადგომებსავით სკები იქურებოდნენ...

როგორცკი ანდრეი პავლოვიჩი გაპოხნდა ეზოში, ხის სკამებზე ჩამწკრივებული სხვა და სხვა ჯურის კაცები მაშინვე ხეზე წამოცვიდნენ, დაბლა თავი დაუქრეს.

ანდრეი პავლოვიჩმა ყველას სათითაოდ ხელი წამოართვა, იქვე კაცების ახლო სხედასხვა ზომის, ნაგრამ საკმაოდ მოზრდილი თავ გადავისული ხის კასრებიც ახალ ნუგბარს ჰპირდებოდნენ...

— ბოდიშს ვიხდი, თქვენო აღმატებულბაბე, რომ ამ მცირედის ძღვენით დღემდის ვერ მოვებრზე თქვენთან ხლება.

წარმოსთევა ხანში შესულმა მალაკანმა და ხელი გააშვირა დიდ უშველებელ კასრზე, რომელიც თავლით სავსე იყო.

— ჩვენგანაც მიიღეთ ერთი კასრი ხიზილალა!..

მძიმედ თავი ძირს დაიღო, და გულზე ხელის დადებით. შემპარაეის ხმით დაილაპარაკა თავგაპარსულმა ადერბეიკანელმა.

— ჩვენგან გელაქნური და ზეთის ხილი!..

მათ უკან არა რჩებოდა ვრევეან თემირ-ხანშურა...

ბოწყებზე დაკეცილები ელაგა აგრეთვე რავენიმე ძვირფასი ხალიჩა და ფარდაგი.



და ანდრეი პავლოვიჩი გულმტკივნეულად ელაპარაკებოდა საკმელო საქმეებზე.

* * *

მასპინძელმა შეძღვევები პურის საქმელად სამზარეულოსკენ მიიწვია. გზავზა სტუმრები მოსამსახურეებთან ერთად დიდის ხუნვით მიაგორებდნენ ბოკეტებს საკუქნაოსკენ, რომელიც მათ ჩასანთქავად ელოდა.

— ლუარსაბ! ეგ ხალიჩები თეირანიდან გამოგზავნილ საფენთან დააბინავე!..

მისძახა, ანდრეი პავლოვიჩმა:

ბავშვებმა იგრძნეს, რა ძლიერი ჩანდა პაპაშა და ეინც ერთხელვე ხელში ჩაუღვარდებოდა, ძნელია იყო მისგან თავის დახსნა...

დალონებულები უკან დაბრუნდნენ, პაპაშაც თავის ოთახში შევიდა. დილიდანვე ანია არსადა სჩანდა. სასტუმროში გლეზიკი ვილაც ბიკს ელაპარაკებოდა, ბიკს ეტყობოდა ეს არის ეხლა საიდანაც მოსულიყო. მისი, შეკრული ლოგინი, წიგნები და ყუთი დერეფანში ელაგა.

— ეგეტ, ჩვენსავით, უბედურ წერას მოუგდია ატელ... ოხ, სალი, რა კარგი ყოფილა დედ-მამის ჭერქვეშ ყოფნა, როგორებიც უნდა იყვნენ ისინი...

მათთან რა სასიამოვნო სითბო გივლის მთელ ტანში, როგორც ბუდეში მჯდარ ჩიტის გამოუშუწავ ბარტყს მაშინ, როდესაც უცხოებთან მთლად იყინები...

დაილაპარაკა ისევ დამძიმებულის გულით ლიზიკამ.

სალის ლიზიკას სიტყვები არ გაუგონია, ამისი გონება სულ სხვა აზრებით იყო შეყვრობილი.

— „თქვენს პარტიისკემას ამ გადასახადით არ გავათავებ და შეძლებისამებრ ვეცდები კიდევ გასიამოვნოთ, სოფლიდან გამოგოგზავნით ჩემგან საგანგებოდ დაყენებულ ლეინოს შამპანიურის მიხედვით“, ვაახსენდა ოთარის სიტყვები. ანდრეი პავლოვიჩს ოთარი იმნიარადვე ელრიჯებოდა, როგორც ელრიჯებოდნენ დღეს ეს კაცები... ყველა ესენი ერთ და იმავე სიტყვა პრიკაზს მოწიწებით იხანციებდნენ, „როგორც მორწმუნენი „ქრისტეს“ და ვედრებით მუხლს უყრიდნენ...

— დაინახე, დღეს „პაპაშას“ რა ძღვენი შემოუვიდა?.. გუშინწინ მამაჩვენსაც ასი თუმანი ჩაუთვალა, ნაგრამ მაინც მშვირები ვართ... განავრძობდა ლიზიკა...

— მიძღრისად არც მაგისი შვილები ბრძანდებიან!..

უკმეხად უპასუხა სალიმ.

— ტყუილად გულს იკეთებ, საჭე არც ეგრეა... რაც მოვსულვარ, თავს ვადევნებ, ვიცი რაც აქა ხდება... მოკვივდებიან თუ არა მაგისი შვილები დიდ ან პატარიანად მაშინვე შკაპს ეცემიან... შკაპში რაც არის ეს ხომ თქვენც იცით. სადილობადის ქურდულად კარგად გამოიფერდებიან, შემდეგ სუფრაზე მთქნარებით და განაზებით უხვიორდ კენკავენ... მეც იმიტომა თქვი, აქ ან უნდა

იქნებოდა, ან შიმშილისგან კვძი დაგეშვას მე იქი. ერთად-ერთი ხსნა აქედან გატყვევა... კვირამდის ეუყუროთ, თუ ცოტათი მაინც არ შეეცვლო ჩვენი ცხოვრება; კვირას ხომ მაინც ისევ სახლში წავალთ, როგორც დავმცდარეთ, მაშინ ჩვენებს ყველაფერს ვეტყვით და კიდევაც სრულებით გაგვიყვანებ...

ამ სიტყვის გაგონებაზე სალი გველნაკბენსავით სკამიდან წამოვიარდა.

— შენ თუ გნებავს დღესვე მიბრძანდი, მეკი აქედან ფეხს არ მოვიცვლი! შესძახა მან.

ლიზიკა შეაჩერდა სალის, სალი ამ წუთებში წავის სათვალეებით აფხორილი, ბრაზმორყული იბღვირებოდა, ხშირ ხშირად სუნთქავდა...

— აგრე რადა ცხარობ?! თუ მართლა მე და დარიკაც წავალთ, არ მესნის აქ ვილასთან რჩები?! შინშილისა მაინც არ გეშინიან?... რად უნდა მოხდეს ასე როდესაც სახლში ყველაფერი თავზე საყარი გვაქვს, იქა გვევანან დედ-მამა და-მამა, ნათესაობა...

განაგრძობდა ილულებული ლიზიკა.

სალიმ თვალეზი მოხუჭა, ლიზიკის სიტყვები გულს ჯინჯარსავით, უსუსხავდნენ.

— გეუბნები აქედგან ფეხს არ მოვიცვლი!.. თუ აქ შიმშილი შემაწუხებს, მოსვენებული არც იქ ვიქნები...

— უმადურო, დედ-მამის უპატივცემულობა დავსჯის, ვახსოვს კია დღე, როდესაც მშობლების სახლში მოგშიფნოდეს ასე, როგორც აქა?...

— მახსოვს და აგრე!.. მითხარი, მამლარი როდის ვიყავი, თორემ შიმშილის დღეებს ათასობით ჩამოგიბოლო...

— მაგის შემდეგ რადა გელაპერაკო შე შტერო, როდესაც ვერა გრძნობ, თუ იდამიანების მავიურად რა მგლები ვახვევიან გარსა და დროს ელიან მთლად გადაგვალაზონ...

— კრავები არც იქ ნეგულეზიან... შენ თვითონ შტერო, არ იცი, ამათზე საშიში მგლები სწორედ იქ უფრო არიან?! კარგია, ბევრის ლაპარაკით გული ნე განიწყალე, უკანასკნელად გადაქრით ვაშობ, მე იქ არამც და არამც არ მოვიდივარ!..

— ბრძანდებოდე... თუ გინდა დიდი სიამოვნებით დავილოცავ მაგ ახალ „პაპაშა-დეიდას“, მე კი მაგათთან ყოფნისგან კი ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ მადლობას გეტყვი თუ შორიდან გამაგებინებ დედ-მამის მავიურობას როგორ გაგიწევინ...

— ომ, ლიზიკა, ნუ მამწვალბ... რომ შემძლებოდა ამ „პაპაშა-დეიდასაც“ იმ შენს დედ-მამასთან გამოგწავნიდი, ოღონდ ყველაზე შორს დავრჩენილიყავ... ნაღვილიან დანიჭრჩულა სალიმ.

— შენ მაინც თაობითაც სივანური იყავი და რა გასაკვირველია ეხლაც შენვან ნავანური ლაპარაკი მესმოდეს... გეტყობა ქვეა სადღაც ვავაპრეია, თვითონაც არ იცი რას ბედავ საცოდავო!..

სიტყვა საცოდავი ტყვიასავით მოხვდა გულში სალის. ხმა ჩაუწყდა. მავიურად მთლად მისი არსება ბასრად იქცა; მოუჩვენა, თითქო ნადირთ შორის



ჩავარდნილიყო და შხად იყო ლიხიკის მივარდნოდა, რომ ამ დროს ოთახში შე-
მოცვიდნენ ლიუბა და დარიკო. წინდა ჰაერზე გავლით ჩაჩუქნის ხმით წით-
ლად დატრუციდათ.

— მომავალი კვირა ლიხიკასია...

წარმოსთქვა ლიუბამ და უღარდელის ღიღინით დერეფნისკენ წავიდა.

— და იმ კვირის სწორიცი საღისა. ჰა! ჰა!.. ჰა!..

ოთახში გაიწკრილა ლიხიკის დაწმენდილმა, მაგრამ ამასთანავე გულის
ჩამწყვეტმა ხმამ.

სალი გაქვავებულსავეთ იღვა.

* * *

სალიმ მაინც თავისი გაიყვანა, რაკი რუსულში დებს უკან ჩამორჩენოდა,
საჯაროდ განაცხადა კვირა-უქმებშიაც ემაცადინა, რომ მალე მისწვოდა. ამ
მიზეზით დებს სახლში არ ვაპყვა. დებმა იკოდნენ, საქმე რაშიც იყო, მასპინ-
ძლებს კი უკვირდათ სალის ასეთი საქციელი.

სალი არავის ყურს არ უგდებდა. სასადილო ოთახში უშინსკის „შომოლი-
ური სიტყვა“ მაგიდაზე გადაეშალა, ფიქრიანად დატურებდა წიგნიდან გამოი-
ყურე კატისა და მამლის სახლს, მის სარკმელთან მიცუტულ მელას...

შეიდი წელი გასულიყო მას აქეთ, რაც იმ ნაბატით დაეწყო ქართული კი-
თხვა და დღეს რუსულსაც ამავე ნაბატით იწყებდა. მაშინ, როდესაც უკვე რაე-
დერჯერზე გადაეკითხა ვეფხვის ტყაოსანი, მის განსაკუთრებით იტაცებდა ნეს-
ტანის წერილი ტარიელთან, სალის ზედმიწევნით შეეგნო თუ აღამაინებინათვის
სიყვარულსა და სიძულვილს რა ბედნიერება და წამება მოჰქონდა, მეტადრე
უკანასკნელი გრძნობის წყალობით დღეს ნაგაზს დამზავებოდა, ეს არი, ეხლა
ლიუბა ცივად გაეტრიალებინა. მის ეთხოვა სასიეროდ გააყოლოდა სწორედ იმ
სახით რა სახითაც იმ დღეს დარიკო წაეყვანა.

— გმადლობთ... მე სეირნობა სრულიად არ მიყვარს, საყდრები და ბაღე-
ბიც ბევრჯერ მინახავს... ხაცხი კირიეთა მძულს, რადგან ქაობის ნიშანია და
ქაობი კი ციებას აჩენს...

უთხრა ცივად სალიმ და თავი დაუტრა, თითქო უსიტყვოდ ეუბნებოდა:

— შენგან მოსატყუებელი კბილი უკვე მოვიცვალეო.

ლიუბა მაინც არ მოწორდა და კარგა ყოყმანის შემდეგ ქუდი და სათბუ-
ნი სთხოვა...

— უკაცრავად!.. ზოდისშ ეობდი თქვენთან!.. ამ შემთხვევაში მეტად ცუ-
დი ხანიათი შვირს, თუ ვინზე ჩემს ტანისამოსს ჩაიცვამს, მის შემდეგ ველარ მი-
ვიკარებ და რადგანაც მაგის მეტი არა მაქვს, არ წემიძლიან შეგისრულოთ
თხოვნა...

სალი ფეხზე იღვა სარივით გაშენებული, როგორც სჩვეოდა სობრაზის
დროს.

— ამასთანავე ეხედავ არც დიდი საჭიროება მოითხოვს უსათუოდ ჩენი
სათბუნი თქვენ ჩაიცვათ. მადლობა ღმერთსა, თქვენცა გაქვთ. და თუ თქვენი



აღარ მოგწონთ თქვენ უფრო ადვილად შეგიძლიათ ახალი გარემოებებში
რე მე...

კრიალოსნის მარცვლებსავეთ სთვლიდა სიტყვებს სალი.

— გაჩნდი, შე ძუნწო თავვასულო გოშბიოე, არა სჯობდა დარინკას მა-
გვირად შენ წასულიყავი სახლში?.. რისთვის დარჩი?..

შეპყვირა ნწყრალად ლიუბამ და ფეხები დაუბარტყუნა.

— ეგ ჩემი საქმეა... ნუ ყვირით, მე ამ სახლში არავის მოახლედ არ მოე-
სულვარ და დღეს რისთვისაც დავრჩი, ამას თქვენცა ხედაეთ.

სალიმ დამკინავის ღინილით გაუშვირა ლიუბას გადაშლილი წიგნი, რო-
მელზედაც ასახული იყო დედაბერი ოქროს კერცხის მდებელი ქათმით... და
გულთანად გადაიკისკისა...

ლიუბა გოაცვებით შეაჩერდა მის წინ უწიშრად მდგარ სალის, შემდეგ შუ-
ბლი შეიკრა, უნდოდა რიდასიც თქმა, მაგრამ თავი შეიკავა, ვაბლევრილი, თი-
თქო დამოქრებულოც წაიფიდა დედისკენ, რომელიც საუდარში წასასვლელად ემ-
ზადებოდა...

სალიც მოწყვეტილ ფოთოლსაკით დაეშვა სკამზე, ორივე ხელები სახეზე
მიიფარა...

იცოდა, ეს საცქიელი ამაოდ არ ჩაუვლიდა, სამაგიეროს მიიღებდა და ფი-
ტრობდა, როგორ დახვედროდა. სამაგიეროც შემდეგის სახით უღგებოდა თვა-
ლწინ.

გვტი არ იყო, ლიუბა, ამ შემთხვევას ათას ნაირად გადაკუც-გადმოკციკე-
და და ტყუილებით შეზავებულს „პაპაწის“ ვადასცემდა. „პაპაწაც“, როგორც
დამნაშავეს, სახლში გავსაზინდა. სალის არა ერთხელ გაუგონია თურმე დამნა-
შავეებს გზავნიან ისეთ ადგილებში, სადაც სასტიკად ეპყრობიან... აქ სალის
ვაჯრეოლა, და წარმოიდგინა ნატოსთან დაბრუნება, ისიც მაშინ, როდესაც
მარიამი იქ აღარ იყო. რა თქმა უნდოდა, ნატაც დააცხრებოდა, როგორც სიკ-
ვდილი თავისის უღმობელის ბრკყალებით... ეს მოხდებოდა მარტო იმის გულის-
თვის, რომ სალიმ ლიუბას სათბუნი და ქუდი არ აფხოვა, მის ძველებში გახვე-
ული უკან არ გააჰყავა...

— სიკვდილი!..

— ძველები!..

ეს ორი ზმა ერთი მეორეს ეცილებოდა სალის არსებაში... ბავშვი ვაფიორე-
ბული იდგა, გულზე ხელი მიეფარა... ბოლოს მივიარდა თავის ახალ სათბუნებულს და
ქუდს... გადაშალა და ჩაფიქრდა... მოეჩვენა, თითქო ეს სათბუნებელი სხვისი იყო.
სალის მარტო შემთხვევით ჩავიარდნოდა ხელში. ცამეტი წლისა შესრულებული-
ყო და დღემდის ამისთანა სათბუნი არას დროს არ ღირსებია. დღესაც მარტო
იმისთვის შეუკერეს, რათა მშობლებად წოდებული ადამიანები კურგუზოვებთან
არ შერცხენილიყვნენ.

კურგუზოვებთან რომ არ მოსულიყო, სალი არც ეღიბსებოდა ამ ჩასა-
მელს... მაშ, ეს სამოსი უფრო ეკუთვნოდათ კურგუზოვებს, ვიდრე სალის, რო-
მელზეც მარტო ერთხელ, სწორედ აქ მოსვლის დღეს ჩაიცვა, რომ თურმე ლიუ-



ბასთვის მოეტანა... საღის ამ გაფიქრებაზე წინანდელზე უფროს დაუმსჯელებია. შეტორტმანდა, შენდევ გაბედვით წავიდა „დეიდას“ ოთახისკენ. ჩემს კარბას-თის გადაეცა მისი კუთვნილება... ფრთხილად კარი შეაღო, ოთახი ცარიელი დახვდა. წასულაუყვნენ. კედლის განჯინა ყურამდინ ღია იყო. საქაროდ ეცა მას, უნდოდა დარწმუნებულყო ღიუბას ზაეკვი თვისი ძველი სათბუნე, თუ არა... ძველი სათბუნე იქ აღარ დახვდა. მაგივრად საღიმ ოთახში შენიშნა არაყით საესე ბოთლები, თახჩა არაყის სუნით გაელენთილიყო, ეტყობოდა საყდარში წასვლამდე აგაფიას აჩქარებით დაელია და უცაბედად დაღვროდა. საღიმ გაბე-და თვის კუზაშეებულ ყუთს, რომელიც ანისი საწოლი იყო და თითქო ნასია-მოყვნები ღარჩა, რომ ისინი აღარ დახვდნენ. ოთახიდან ზარბაკით გამოვიდა: სსადილო ოთახში არაყინ იყო, საათის ხნაურობა შეაფიოღ ისმუდა... კედლი-დან გადმოიყურებოდა „პაპაშას“ სახე მოყარაყებულ ჩარბოდან. საღიმ ზიზლით შეხედა „პაპაშას“ გულზე მბრწყინავ აკადემიის ნიშანს...

— შეგიტყვეს თავი! შეგიტყვეს ცხვირი და ნიშანი!.. ესეც შენი!.. ესეც შენი!.. შესახა საღიმ დი ფეხი შავრა გაუსეა იატაკს, თითქო თავის პატარა ქუსლით სრესდა, ქვეყავდა, ქელავდა ამ ახალ „პაპაშას“...

— მე არაყისი მეშინიან!.. განაგდონ!.. დამითხოვონ!.. არამც და არამც ნატოსთან მიინც არ წივალ!.. არა!.. თუ აქედან წივალ, წივალ ისევე ჩემ საყვარელ სოფლისკენ, სხვაგან კი არსად! ეტყობა შარტო იქ ყოფილა ჩემი ხსნა!.. ღმერ-თი მოწყალეა, ჩემ სოფლამდე როგორმე მოყახერებზე მიღწევას... ქუჩაში გავალ თუ არა, ალბად წებვდები ვიამე კეთილ აღამიანს, მატარებლამდის წაეყევი, ზავჯდები მატარებელში და მალე თავს ამოღყოფ იმ სადგურზე, სადაც ჩვენე-ბური მეურმეები უეკველად იქნებიან...

საღის ჯერ თვალეში გაუბრწყინდა... მაგრამ ხანგრძლივი არ იყო მისი სიხარული, როდესაც გაახსენდა მატარებელში უფულოდ არ შეუშვებდნენ და თვალთაგან ცრემლები გადმოქედვარა... ჯიბისკენ წაიღო ხელი ცხვირსაბოცის ამოსაღებად, და ხელს მაგრად გამოკრული დიდი ნასკვი მოხვდა. საღიმ სიხარ-ულისგან კინაღამ შეწყვირა... ეს ის თუმნიანი იყო წამოსვლის დროს დიდდამ რომ მისკა... შრავალ ახალგანცდების გამო საღის სრულიად გადააფწყდა, თუ ამ ცხვირსაბოცში როგორ გამოკრა ეს ფული, ამ წუთებში კი მოწიწებით აეკოცა და გულზე მიიკრა როგორც ერთად-ერთი ნუგეში.

— საღინე, დედამ დაგიბარა ყავა გააკეთეო, ჩვენს მოსელამდე შეგი-ძლიან ერთი ქიჯა დალიოო, აი ფორთოხალიც, გარდა ამისა, დღეს თბილი დღეა ბალში შედი და იქაობა ცოცხით მიგაე-მოგავეო. ამ სიტყვებით გლებიქა სა-ღის წინ დაუდო ფორთოხლიდან ჩაკლილი ერთი კბილი.

— გმადლობთ!.. რაც შემძლიან გავაკეთებ და რაც არა ნურას უკაცრ-ვად... ეგ ფორთოხალიც შენვე მიირთვი, უფრო შეგერგება...

უთხრა უკმეხად საღიმ და წავიდა ყავის გასაკეთებლად. არცკი უყურებდა შუბლშეკრულ გლებიქს, რომელსაც მბრძანებლის იერი მიეღო. ბავშვი მარ-ტო იმაზედა ფიქრობდა, თუ პირველ შემთხვევაშივე პატარა ბოხით კუჩაშო-როგორ გაჩნდებოდა.



სწორედ მისთვის დაეკისრებინათ. დღეს სრულდებოდა სწორედ ერთი წელია, რაც ვადად დაუღო ბავშვებს ახალ ოჯახში გაჩვეულებას, ხანდახან კი მეცადინეობა უნდა უსათუოდ დაწყებულიყო. ანია კეთილი მოჩანდა, მაგრამ ცალკე სამსახურში შრომისგან დაღალვა, ცალკე მისი სიცოცხლეს მოწყურებული ნორჩი ბუნება სხვა გზებისკენ იტაცებდნენ... თეატრებსა და კონცერტებში სიარული, მათში მსურველ მონაწილეობის მიღება, მეგობარ-ნაცნობებთან კვლევულობა ყოველთვის შიშვე ბარგად უხდიდნენ ბავშვებთან მეცადინეობის გახსენებას. მაგრამ დღეს ანიას გულმა ბავშვებისადმი სიბრაღელი იგრანო. გადასწყვიტა ყოველდღე, რა დროც უნდა ყოფილიყო ერთი საათი ამათვისაც ერთუბნისა. პატარა ქალები თუ რუსულს უკვე ლაპარაკობდნენ, მაგიერად კითხვისა და წერაში სრულიად უეცნი იყვნენ. მაგრამ რაკი წლანდის ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო, უშვებელია მათს მომზადებას მიინც მოასწრობდა.

— სალინკა, ჩვენ ბეალიდან ვიწყებთ სწავლას.

უთხრა ლიპილით ანიამ სალის, როდესაც სუფრიდან იშვალენ.

მასწავლებელი ხმა ამოუღებლად წავიდა თავის ოთახისკენ, როგორც სარჩაულაპული. სალი გაოცებით უყურებდა ამ უცნაურ კაცს, რომელიც მარტოდ-მარტო სადილის დროს ჩნდებოდა და, მის გარშემო რაც უნდა მომზადიყო, სახის მეტყველება არ ეცვლებოდა, თითქო ანდრეი პავლოვიჩის გარდა ვერავის ხედავდა, არავის გრანობდა.. სალი თვალს არ აშორებდა ვალოდიას, როდესაც გლებიკს თავისკენ მიჰყავდა, პატარა ქალს გულში სასიამოვნო სითბო უვლიდა ამ მოულოდნელ მოსარჩლეს გამოჩენით, კარგად ახსოვდა, როდესაც მასწავლებელს კიჟა მიაწოდა წყალისთვის, კიჟა სრულიად მიველი იყო, არსად ხახგასმული. ეგვი არ იყო ვალოდიამ მოიგონა, რათა სალი ეხსნა გაქირებულ მდგომარეობიდან... სალის კვლავ საიამოვნების ნაკადმა დაუარა მთელ სტუდში და ვალოდიასთან ლაპარაკი მოუნდა. სწორედ ამავე დროს მეორე მხრიდან წამოდგა ანიას თეთრ ყირმიში სახის ლანდი, რალაც სვედით მოცული... ანიას იღუმალი სევედა აჯადოებდა. ხიბლავდა სალის და ვალოდიას მფარველობასთან ერთად იზიდავდა ეს ორი მოელეარე ხანი, ამ ორ არსებისკენ გამომქრთალი, სალის შეებას აძლევდა, თითქო გარემოების სასიკეთოთ შეცვლას ჰპირდებოდა...

— უუუ... ვასტენია ამ დროს შორს მატარებულმა, სალიც თითქო სიზმრებში შესული მსწრაფლ გამოერკვა, მატარებლის ხმამ გაახსენა ისევ უმწერო მდგომარეობა. შუბლი შეიკრა.

ხელი მოუჭირა ცხვირსახოცის ნასკეს და მიეარდა დიდ სარკელსა.

შორს, სადაც გორაკი ფერდობად მირს ეშვებოდა შავი კვალი კვშ-კვშ-შად ჩნდებოდა. შემდეგ კის სივრცისკენ მალლა იწვედა და ღრუბლებს ერთყოფდა... მატარებლის სტვენა სალის თითქო სამშვიდობო გზისკენ ახედებდა. სწორედ ისე, როგორც ამ სახლიდან ქუჩაში გასასვლელი კარები...

ბავშვებიც მალე დაბრუნდნენ. სალის ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა ლიპიკას დაღონებული სახე. თან ვერ გაბედა ეკითხა რამე იმ ქვეყნის შესახებ, რომელიც დაუნახებლად მიეტოვებინა.



— ეჰ, ზემო დაო, როგორცა სჩანს ჩვენ აქედან წლის დასრულებას გავალთ.

დედამ ჩემი სიტყვები ახლო არ მიიყარა, როდესაც ჩვენ გაჭირვებაზე მოვეხივებო.

პირიქით, ბრალი ჩვენვე დაგვდო, რომ სიზარმაცის გამო ამისთანა პატიოსან ნასწავლ ხალხს ცილი დავწამეთ, წამოსულის დროსაც დაგვემუქრა, თუ კიდევ გავბედავდით ამ გვარ შეუსაბამო სიცრუეს, ცვირაუქმეებშიაც სახლისკენ არ მივაგებდებოდა...

წარმოსთქვა ლიზიკამ, როდესაც დარიკოს ავაფთამ დაუძახა დი სალისთან მარტოდ დარჩა. კურგუზოვებისას ლიზიკა სალის უფრო დაუახლოვდა და თავის გულის პასუხს წინანდებურად აღარ უმაღავდა... ლიზიკას ლაპარაკიდან სჩანდა ნატოს თვითონვე არ უნდოდა ბავშვების სახლში დაბრუნება, რათა ვერიკოს ნებებრომა-ვინიანობისთვის ღონიერად ფრთები გაეშალა. ვერიკოს ამ გვარ პანგებზე წუწუნის გამო არჩილიც კი ფრანგის ოჯახიდან აღარ მიჰყავდათ, სალი გულმოდგინებით უსმენდა ლიზიკას, სჯეროდა ამ ქვეყნის კანონების უცვლელობა.. მაგრამ, როდესაც ლიზიკამ ისეც უთხრა, თუ ამ ორიდღის წინად ვენიას გვამი ქალაქს გარედ მტკვარს გავრთია, მახე ათასნაირი ხმები დადიოდა და ყველა ხმებში ერთი და იგივე დასკვნა იხატებოდა, რომ უბედური იყო, მამინაცვალსა და მეორედ გათხოვილ დედის ხელში გაწვალებული, ბედისგან დევნილი ქალიშვილი მიისწრაფოდა მტკვრის ტალღებისთვის ჩაებარებინა თავისი ნორჩი სიცოცხლე.

— მერე სიკვდილისა არ შეგშინდა?...

შეჰყვირა უცბად სალიმ და ტანში გააზრიალა...

— არა... მამ რა ეწნა, საბრალოს, როდესაც არსად არ ასვენებდნენ, სახლში თუ კარში?...

იკოდა მამინაცვალს ეჯავრებოდა, ცოლს დღე და დამ ჩასჩინებდა, თავიდან როგორნე მოეშორებინა და კარზედაც ყოველნაირ ზომებს ხმარობდენ. გულშემატკივრები შემოეთვანტათ. ზომ გახსოვს, დედა-ჩვენმა იმის დედისგან როგორი წერილი მიიღო? ვენიამ კი ყველაფერი იცოდა...

— რა ვუყოთ? მაინც თავი არ უნდა მოეკლა.. წასულიყო შორს, მატარებლით გაქცეულიყო ისეთ მხარეს, სადაც იმ საძაგლების თვალი და ხელი არ მისწვდებოდა...

აქა აგრე მოიქცა, მატარებლის მაგივრად წყალს გაჰყვა.. მაგრამ იქაც იპოვეს..

ჩაილაპარაკა ლიზიკამ და ღრმად ამოიხბრა..

— ხვალისა ჩვენც დავიწყებთ სწავლას, ნანამ დროც გავა... მერე სასწავლებელში შევალთ, სწავლულები გავბედავით, მაშინ ნულარადრისა შეგვეშინდება, ლიზიკა...

უცბად სიტყვა ბანზე შეუგდო სალიმ, რომ წმინდ შთაბეჭდილებიდან გამოეყვანა... მაგრამ ლიზიკა ისეც დაღონებული იყურებოდა..

— განა ეყენია ნასწაველი არ იყო?.. გათავებას ერთი წელიწადი-და უკლდა, თივი მიინც დაირჩო, ან ამათზე ნასწავლები სად გინდა ნახო, მაგრამ ხომ ხედავ რეები არიან!!.. დედა-ჩენი კი ქადაგად დაცემულ დედამამსწავლაზე იმდენს ლაპარაკობს, რომ სწავლის სურვილი გუნებიდან განსწავლდა.

ლიზიკას პასუხი საღის გულზე მწვევად მოხვდა და უცბად ხმა ჩაქმინდა... მეორე დღეს ანიამ დაპირება შეასრულა, ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ყმაწვილებმა დიდის ყრიამულით სახლამდის მოაკილეს. მოქანტულმა ქალმა ბავშვები ლოგინებიდან წამოშალა, სასადილო ოთახში მავიდასთან ნამძინარეები გაამწკრივა, პირველი გაკვეთილი ათის მცნებით დაიწყო, რადგან წიგნების და რეველების ვადაშლა დაეზარა, საზეპირო საადვილოდ ჩათვალა და ისიც ათი მცნება უმთავრეს საგნად გაიხადა.

ანი კითხვის დროს ხშირად ამთქნარებდა, თითქო ჯიბრზე ამ საღამოსგან გამოტანილი სხედასხვა შობებულებანი დატინებით თვალში ეჩხირებოდნენ და ყოველ მცნებას უკარგავდნენ...

ძილისგან გაბრუნებულ პატარა ქალებსაც ყველა ეს სიხმარში ნანახი ეგონებოდათ, რომ მეორე დღეს ლოცვანში ანიასგან წითელის ფანქრით აღნიშნული ადგილები არ ენახათ.

* * *

საღი შთელი დღე ჯლიყინებდა ვაუგებარ სიტყვებს, როგორც ერთ ადგილს ნანახი კაქკაკი არა ბუნებრივის ხმით დატინებით ვაიძახოდა:

— მათიყო, მათიყო!.. გშიიან, მათიყო? გშიიან არა?

1) Аз есмъ Господъ Богъ твой: да не будутъ тебѣ бози ими развѣ мене.

2) Не сотвори себе кумира, и всякаго подобия, елика на небеси горе, и елика на земли низу, и слика в водахъ подъ землею: да не поклониши имъ, ни послужиши имъ.

და რადგან ერთი და იგივე გაკვეთილი კვირისკვირობამდე რჩებოდა, ბავშვებმა მცნება კარგად გაიხეპირეს; მაგრამ რაკი ანიას მიინც გაუძნელდა ყოველ დღე გაკვეთილის ძლევა, მისი დავალებით ავაფია შეუდგა მასწავლებლობას...

ავაფია არა ჩქარობდა ფეხის წინ გადადგმას, სულ ამ ორ მცნებას უტრიალებოდა და მდაბიო სიტყვებითაც უხსნიდა...

და ბავშვების ილფრითოვანებაც სწავლის შესახებ ძირს ემყებოდა, საღი ღრმად უუიქრთებოდა ავაფიას განმარტებას, აგონდებოდა თითქო კიდევ ვიღას-განაც გაეკონა და, როდესაც ლიზიკამ პირველი სიტყვები ქართულად უთარგმნა, სიამოვნებისგან ვული აუტგერდა, დარწმუნდა, რომ ეს მცნება თურმე დიდხანია დიდედსგან ესწავლა და რაკი ქართული სიტყვები მოზღვავებულ ტალღებსავეთ მოჩქეფდნენ, საღიც სიამოვნებით თამამად იმეორებდა სიმთვრალისგან დარტყიანებულ ავაფიას წინაშე.



1) მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყენებ შენდა ღმერთნი...
 ჩემსა ვარეშე...

2) არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადე მგზავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა. არა თავყვანისცემად და არცა მსახურებდე მათ. — ამ მცნების გათავების შემდეგ სალი საწყურ პირჯვარს გადაიწერდა და თავს დაუკრავდა ავაფიას, რომელიც ის იყო სავარძელზე გადაშლართვის ამირებდა, ლიხიკა და დარიკოც გულინად ხარხარებდნენ.

ღილით შუადღემდე ავაფიასთან სტუმრობანის თამაშობა, სიღამოზე, ისევ იმასთან ლოცვების კითხვა, უწინსკის სახელმძღვანელოდან თითო ოროლა პატარ-პატარა ამბების დახსომება და დღეებიც ასე მიდიოდნენ.

X

— თქვენ ეი გომბიოებო, მოდით ჩექმები განხადეთ!..

შესდახა ერთელ ბატონკაცურად გლებიკმა, რომელიც ის იყო სასწავლებელიდან მოვიდა, ელოდიაც დერეთანში პალტოს იხდიდა, მაგრამ „გომბიოების“ გაგონებაზე უცხად მოტრიალდა, გაოცებით დაუწყო გლებიკს ცქერა.

დარიკო და ხალი ამ დროს ერთმანეთს რაღაცას ეჭურჩულებოდნენ, გულინად იცინოდნენ. თურმე დარიკო პაპაშას ოთახთან მისულიყო, რათა ჩვეულებრივად სადილზე გამობრძანება მოეგონებინა, დაენახა ლოგინზე უწნოდ გულაღმა გამშლართული, ანდრეი პავლოვიჩი ადამის ტანისამოსში, იქვე მაგიდაზე რგვლად მობარშული დედალი, ორი ბოთლი არაყი განახევრებული, სალისთვის ხელი დაეჭნია და ოთახში შეეხედებინა. პაპაშა ძალზე ხერხიყდა.

— არ გესმით, გომბიოებო?!.. ფეხიდან ჩექმა განხადეთ მეთქი!..

კვლავ მოისმა გლებიკის ბრძანება.

— შეგიძლიანთ თქვენ თვითონ გაიხადოთ, ხელი არ გეტკინებათ. უბასუხა შორიდან სალიმ, მაგრამ დარიკო მაინც დაწინაურდა და ჩექმას ხელი წააელო. ჩექმა ტალახისგან დამძინებულიყო, ადგილიდან ვერ დასძრა.

მოთმინება დაკარგულმა გლებიკმა ფეხი აიჭნია და უცაბედად დარიკოს წიგ ცხვირში მოხედა, სისხლი ოთხოტად წამოუვიდა.

— ეს რა ჰქმნ, შე საძაველო ბიჭუავე?!. დაიცა, თუ შეგარჩინო, და პაპაშასთან არ დავაბეზლო...
 შეტყვირა სალიმ. მივარდა დარიკოს, რომ როგორმე ტახტამდის მიეყვანა, ელოდიაც წამოეშველა და მთლად სისხლში მოსვრილი ბავშვი როგორც იყო გულაღმა მუთაქაზე დააწვინეს, ცხვირპირი მობანეს, შუბლზე ცივი ტილო დააფარეს.

გლებიკი ჯერ შეკრთა უცაბედის ქცევის შედეგით, მაგრამ სალის მკვახე სიტყვებმა იმდენად გააბრახეს, რომ ზეზე წამოიჭრა, გულზე ხელები დაიკრიფა, ერთი ფეხი წამოდგა წინ და ხმადაბლა თითქო ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— შენ, ეი, კიაყულავ!.. ემანდ ენა ნუ გაიტლიკე, თორემ ამ ტალახიანის ქუსლით გაგსრესავ, შე გრუხო გოლოპიატია.

— შენ თავს ბრავ, თუ ჩემგან რანე გაიტანო!!



შესახა სალინ და დაკუმშულის მუშტებით გადმოხტარქმამსოქენ, მაგრამ ამ დროს წინ აეყუდა ეალოდია.

— პატარა ქალო, ნუ ღელავთ! — უთხრა მან ლმოზიეროს ხნით, მაგრამ სალინ იმასაც ხელი ჰკრა...

— იქით! იქით!.. მე არავისი ჰკუის სწავლება არა მჭირდება!.. არც გამიკვირდება თქვენ მავას მხარი დაუჭიროთ და ერთმანეთთან ხმა შეწყობით გაიმეოროთ, რომ ჩვენ ვოლოპიატები ვართ!.. აბა შეიხედეთ პაპაშას ოთახში და მაშინ გაიგებთ ჩვენში ვოლოპიატი ვინცა ბრძანებულა!

სალის ჯერ სიტყვა არ გაეთაყებინა, ოთახში მუშებმა ოთხი დაღურსმული ხის დიდი ყუთები შემოათორიეს და შუშის დოქით ლალისფერად გამჭვირვალე ღვინო გვერდით მოუდგეს.

— ეს ამ პატარა ქალების მამას განოუგზავნია წერილით.

წარმოსტევა ლუარსაბინა და ანდრეი პავლოვიჩის ოთახისკენ წავიდა.

გლებიკი უცხად სავარძელში დაეშვა, მზად იყო შიგ ჩამქრალიყო, შეშინებული, აზრმოკლებული თვალები დახამამემბას ველარ ახერხებდნენ, როდესაც მას წინ უდგა შებლშეკრული ანდრეი პავლოვიჩი ჩვეულებრივის დინჯის სახით ხალათსა და ფლოსტებში.

ხელში ოთახის წერილი ეჭირა, ატყობინებდა ამ ყუთში რა მშვენიერი უნაღლესი ჯიშის ვაშლები ელაკა, ვარდა ანისა, ამაღამ ეპატიეზმოდა ოპერაში, სადაც „მეფისთვის სიოცხლე“ უნდა ემღერათ. ანდრეი პავლოვიჩის სიბრაზისგან უღვაშები უთრთოდნენ, თუმცა კრინტს არა სძრავდა, იქაურობას ჰორსავით თვალს აეღებდა, უკვე ყველაფერი იცოდა, რასაც ვერ უმხელდნენ. ანდრეი პავლოვიჩმა სალის თავზე ხელი დაუსვა, სალი მის წინ გაჭიმული იდგა. აღელვებული კაბის კალთას ხელით ქმუქნიდა...

— გლებიკ!.. ხომ არ დავაგვიწყდა, რომ დღეს შაბათია?!. წამო ჩენს ოთახში, თან წამოიღე შენი კვირეული დღიური და ენახოთ რამდენად გამატირებს იმ დანაშაულს, რომელიც ეხლა ჩავიდენია?.. უთხრა მან ცივად შვილს.

გაუფითრებული გლებიკი ფეხების ფრატუნით, თითქო სიუელს მუხლები ეცლებოდნენ, მორჩილებით და ხმა ამოუღებლად გაჰყვა მამას ოთახისკენ...

— არას დროს ასე ღირსი არ ყოფილხარ გამაბრახებისა, როგორც დღეს... წაილაპარაკა თავისთვის ვალოდიამ, მობრუნდა სალისკენ, დააპირა მისი დამშვიდება, მაგრამ, როდესაც დაინახა ნადირსავით გაღიზიანებული ქალი ველარ შეებდა და ნელნელა წავიდა თავის კუთხისკენ. მას სალის თვალები დაღონებით აცილებდნენ. თუმცა პატარა ქალს გულში უხაროდა, რომ ყველას აშინებდა, მაგრამ ანასთანავე უნდოდა ვალოდია არ წასულიყო.

დარიკოს სისხლი შეწყდა, გასიებულ ცხვირზე აგაფია მიინც სვლ ტილოებს აფარებდა, სალის არ უნდოდა სადილზე გასვლა, მაგრამ „პაპაშას“ ბრძანების წინ ვინ დაუდგებოდა. სუფრაზე ყველანი ცხვირდაშვებულები იხსდნენ ვარდა „პაპაშასი“, რომელიც თავისებურის გულგრილობით მასწავლებელს ახლნიღებულ ღვინოს სთაყაზობდა და თანაც ყურს იყრუებდა, როდესაც მეორე ოთახიდან გაწყვილი გლებიკის სლოკინი მოისმოდა... სადილზე იჯდა აგრეთვე



სტუმარი ქალი, სალის ეს კვლავაც უნახავს ავაფიასთან მოსული, მთლიან მკვებში, სახე მკქნარი, გაყვითლებული. სტუმარი მოლოზნობდა და განკარგულებული იყურებოდა. მის ფიჭით ცოტალა უკლდა ანგელოზთა გუნდში წყნებას იყურებდა მოლოზნები დიდედან ჩაგონებით წმინდანებად ჰყავდა წარმოდგენილი. «გუნდთ ანგელოზთა, თანახმავ, სახელი შენი რა არსო?». .

აი რასა ჰკითხავენ, როდესაც საკუროხებლად თეთრ პერანგ ვადაცმული წარდგება, ესეც ახალ სახელს იტყვის და სამოთხისთვის ხელმეორედ დაიბადება, ფიქრობდა სალი, როდესაც უყურებდა, მაგრამ რაც უფრო აკვირდება თითქო უტბად ანგელოზის მაგოვრად ამ ქალის სახით თვალწინ უდგებოდა რალაც უსიამოვნო ცხოველი, რომლის გამორკვევა ბავშვს ეძნელებოდა.

რადენდაც ნიქანებული ლაპარაკობდა მოლოზნანი, იმდენად მისს სიტყვებს ჩაიციბული, მძლავრად შეშარავი კილო უჩანდა, მშენებელს იმორჩილებდა. მოლოზანი ავაფიას უფრო ეტანებოდა, სწორად ყურშიაც რალასაც ეჭურჩულებოდა. კარგ ვუნებაზე ვერც ანია იყო, ეს არის ეხლა ოთახის ქირა ვადაცა „პაპაშას“, „პაპაშამაც“ შეატყობინა, რომ ამალამ თეატრში მიწვეული იყო გარემოშვილებისგან. ამ სიტყვებზე ანია შეკრთა, თითქო რალაზედაც დარცხვენილმა თვალები ძირს დაიღო, სახეზე ჩრდილებმა გადაურბინეს. სალი ამ დროს ყველას უბღეერდა, ჩჭარობდა სუფრიდან წალე ამდგარიყო, რომ პაპასა და დიდედსათვის ამათზე ყველაფერი დაწერილებით მიეწერა და ეთხოვა აქედგან წიყვეანათ.

მას აქეთ სალის გონება იმ მატარებელის ვარშემო ტრიალებდა, რომელსაც აღბად ამისი წერილი ნიქონდა საყვარელ სოფლისკენ, მეტისმეტ მოლოდინისგან ყურმახილობა შესამჩნევად ექანცებოდა, მაგრამ მატარებელი მატარებელსა სცვლიდა, ეტლი ეტლს, სალის მხსნელი კი მაინც არსაიდან ჩანდა.

ლიზიაც კვირის კვირობამდის სახლში რჩებოდა, ძვალსა და რბილში ციება გამჯდარი, სასნელ წამალს ჩემად პირიდან უკანვე ატყვევდა, რომ ეს საპატიო მიზეზი დიდხანს შეჩინებოდა და კურგუხოვეების სახე აღარ დაენახა. დარიკო ყურმოჭრილ მონად გარდაქცეულიყო მაშინ, როდესაც სალი ყველას პირში ებმობდა და ეს თავწაწყეტილი გომბიო შეჯავრებოდათ, ბოლოს მისს მოქმედებასაც თაველურის დევნება დაუწყეს. ერთხელ თვალი ნიქკრეს როგორის გაბრწყინებულის სახით დაპყრებდა რალაც ქალადღს, მაგრამ დაინახა თუ არა სალიმ ლიუბა, ქალადღი ნაშინე ბალიშქვეშ შემაღა. ლიუბას ცნობისოყვარება აღეძრა, თუმცა არ შეიმჩნია, დედას კი შეატყობინა. ავაფიამ და ლიუბამ გარდასწყიტეს სალი როგორმე გაეტყუებინათ ქალაქის ბალისკენ, ან სალდრისკენ და მისი საიდუმლოებანი გაეჩხრკათ.

სალი ვაოცებით ისწენდა ლიუბას აღერსიან დაპირებებს, თხოვნას, რომ უსათუოდ საყდარში გააყოლოდა, რასაკვირველია, თავის ტანისამოსში. ლიუბას ხეწნის კილო იყო იმდენად დაეინებული და აღერსიანი, რომ სალი დათანხმდა.

ქალებით გაბრღვიალებულმა ეკლესიამ და მრავალმა ხალხმა თუმცა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სალიზე, მაგრამ ახალი მაინც ვერაფერი გაიგონა გარდა იმ ძველისძველ ლოცვებისა, რომლებსაც უკვე დიდი ხანია ამის სოფელ-

ში ღვეღელ-დიაკვანი ჭხსოვარ დროიდან იმეორებდნენ. მაგრამ უკმაოდ თვალი მოჰკრა ანიას... ანიას ჩამოშორებოდა ნალველი და მოჰქანცულობა. რაც სახლში არა სცილდებოდა, მაგიერად ეხლა წინაუდგა ახალგაზდა ყმაწვილურ ვაჟს, ალერსით ელაპარაკებოდა. ანიაც თითქო ამ ყმაწვილის გარდა ცუცხარ-ცუცხარ შედავდა, აღარას ამჩნევდა. ამ უკანასკნელ შთაბეჭდილების ზეგავლენის ქვეშ მყოფი სალი ღიმილით მოსდევდა სახლისკენ ლიუბას, მაგრამ ლიუბამ მაშინვე ამხანაგებისკენ შეუხვია, როდესაც კარებამდის მიაცილა, სალის მოუნდა ეხოდგან შესვლა. მზიანი თბილი დღე იყო. ზამთრის ხეების მწვანე ტოტებზე დახტოდნენ ბელურები, ალბად უხაროდათ—მარტი ილეოდა და ბუდეების საკეთებლად მოხერხებულ ადგილებს ეძებდნენ.

* * *

— სალი!.. მოესმა ამ დროს პატარა ქალს; ბავშვი იყურებოდა მოკრიალვბულ ლავვარდისკენ, სუბუქი ფიჭვები, როგორც ჩაზი ღრუბლები ნისლსავით იგზავნებოდნენ ცისკენ, რომელიც ეჭვი არ იყო ასევე ჩამოსკინოდა კიაზოსადა მარიაშსაც, როდესაც კითხულობდენ ამის წერილს.

— სალი!.. კვლავ მოისმა ფრთხილი ძახილი.

სალი უცბად მოტრიალდა, დაინახა ვალოდია სკამზე, წიგნით ხელში.

— მე თქვენთან სათქმელი მაქვს რამე, პატარა ხანს აქ მოდიოთ!..

დაუშატა ნან და თავის გვერდით ადგილი უჩვენა. ვალოდიას დღეს უჩვეულო სითამამე ეტყობოდა.

— თქვენმა გაუფრთხილებლობამ კარგი ნაყოფი ვერ გამოიღო. როგორ შეიძლებოდა იმისთანა წერილის ისე უბრალოდ ლოგინქვეშ ამოდება, როდესაც აქ... როდესაც აქ ისეთი... ყმაწვილს ხმა ჩაუწყდა, წიგნს ფურცელა დაუწყო.

წერილის ხსენებაზე სალის ფერმა გადაჰკრა...

— წერილი?! რა წერილი?! ბოლოს ვითომ კიდევაც გაიოცა, როდესაც როგორც იყო გული მოიბრუნა.

ვალოდიამ ღიმილით შეხედა. ყმაწვილის ნაზი სახე ისევ კეთილი მოჩანდა. ცისფერი თვალები ნაპერწკლებს აბნევენდნენ, ნაპერწკლები არ იყენენ დასაწვავად, გასანადგურებლად მოშაადებულნი, პირიქით, აპირებდნენ სალის გაყინულ გულში ჩაღწევას და იქ კუთხის შეთობას, რათა მუდამ გაონაერებულ გრძობას ცოტა ხანს მაინც სული მოეთქვა...

— თუმცა თქვენ გაიკვირვით, მაგრამ... სიცხადე ასეთია: თქვენი წერილი მოლოხანმა სიტყვისიტყვით გადაუთარგმნა დეიდა აგაფიას, თქვენ თურმე დიდდა და პაპასთვის მიგიწერიათ, რომ ესენი წუწკები არიან, გაგიწროვებენ, არას გაქმევენ, არაფერს გასწავლიან, სთხოვთ აქედან წაგიყვანონ. თორემ გაიპარებოთ... და ამის შემდეგ განა თქვენს გაოცებას კიდევ ადგილი უნდა ჰქონდეს?!

სალიც ხმაგამენდილი ისმენდა როგორც ბრალდებული, რომელსაც ჩვენებას ართმევდნენ.

— მაგრამ რაც უნდა იფაფურონ სიმართლე მაინც თქვენკენა სალი. დარწმუნებული ვარ ეგენი ანდრეი პავლოვიჩის ყურამდე არ მიიყვანენ ამ



შემთხვევას, რომელსაც თავისთავად სიზუმე ჩაელოპავს. თქვენც ვერცხვდით, არ შემამჩნივით თუ იცით რამე, რაც უნდა მოიქმედონ არ შეუშინდეთ.

— თქვენ ყოველთვის კეთილი ხართ, ვალოდი და ჩვენი მოსარჩლე. მაგათ მარტო სახითა გვეხართ, სხვათრევი კი... საღიმ ველორ დაათავა სიტყვა და მოკრძალებით ჩამოჯდა სკანზე. ყმაწვილი გაწითლდა, გაიხედა იქვე მდგარ ნაძვის ტოტისკენ, რომელზედაც ბელურა ჭყრობინობდა.

— თუ მაგათში ცუდს რასმეს ხედავთ, მარტო მაგათი ბრალი არ არი. ყველა მდიდრების უმეტესი ნაწილი აგეთები არიან. უპასუხა მან, მაგრამ უცბად ხმა ჩაუწყდა, როდესაც წინაშე საღის სახეზე აჩენილი ორუბლები, ტუბებზე ღიმი გაქრობოდა.

— უკაცრავად!... სრულებით დამაიწყდა, რომ თქვენც მდიდრებთაგანი ხართ... სიტყვა გაისწორა ვალოდიან.

— თქვენა?.. თქვენ ვილა?..

ყრულ შეეკითხა საღი, ტუბების გარშემო ბაგე აუთრთოლოდა, ხელის თითებს თასნებსავეთ დაუწყო გრება, თითქო მათის ტყენით უნდოდა სხვა, უფრო მძლავრი ტკივილი გაეგრუბინა.

— მე?... ერთი საწყოლი კაცის შვილი. მამა-ჩემი სულ ახალგაზდა ყოფილა, როდესაც რუსეთიდან ბედის საძებნელად აქეთ გადმოვირდინლა. ქუჩა-ქუჩა დიდხანს უხეტიალია, ბევრჯერ მძინარესთვის ცას ზედ დაუთოვე-დაუწვიმია და სულ ბოლოს დიდის წვალუბის შემდეგ რალაც შემთხვევას ანდრეი პავლოვისთან მოუგდია. ანდრეი პავლოვისსაც მებალედ აუცნია...

მამა-ჩემს მებალეობა ბალე მოუტოვებია და რკინის გზაში ჩამდგარა, მას შემდეგ ათეულ წლებს გაუვილიათ და მამა-ჩემი ორთქლმავლის შემანქანედ დაუნიშნავთ, დღეს ის დახელოვნებული შემანქანეა. მამა-ჩემსა და ანდრეი პავლოვისის შორის კავშირი არ შეწყვეტილა, ეს თბილი გრძნობა ჩემზედაც გადმოვიდა. გავხდი თუ არა შვიდი წლისა, ანდრეი პავლოვისმა გემნაზიაში მიმანარა. მას აქეთ ბინათაც მასთან ვარ... წრეულს კი ძალიან ცუდი საქმე დამემართა, სოფლიდან ჩამოსვლის უმაღ მტკლის სახადით ავად გავხდი და რკინისგზის საავადმყოფოში დიდხანს მომიხდა წოლა. იმხანაგებს სწავლაში ჩამოვრჩი და რომ მოეწყო დიდი შრომა მქირდება.

— თქვენი სოფელი აქედან ძალიან შორს არი?

შეეკითხა თანაგრძნობით საღი, რომელიც დიდის ყურადღებით უსმენდა...

— პირიქით, სულ ახლო... ს.....ს სადგურიდან სამი ვერსია.

— როგორა?! თქვენი სოფელი და ს.....ს ახლოა?!!

საღი მთლად კითხვითი ნიშნად გარდაიქცა...

— აგრე რად ვაიოცეთ? ის სოფელი დედა-ჩემისაა, დედა-ჩემი კი იქაური გლეხის ქალია, მისი ძმები რკინისგზის მუშები იყვნენ, იქ მამა-ჩემს ვაცნობოდნენ, თავიანთ სოფლისკენ გაეწვიათ და ბოლოს მეგობრობა სიძეობით გაეთაყებინათ.

დედა-ჩემის მისადგეარს იმდენად გაუთვისიანდა მამა ჩემი, რომ ქართული ზედმიწევნით შეისწავლა და დღესაც, როგორც კი თავისუფალ დროს ხელში

ჩაიგდებს ხოლმე, სიამოვნებით ვარბის სოფლისკენ, სადაც ვგულისხმობ ცოლი და ხუთი შვილი, რომელთ შორის ყველაზე უფროსი მე ვარ. გვიხარიათ

— სოფელშიაც ვალოდიას ვეძახიან?

— არა, რაკი დედა ლადოს მეძახის, სოფელიც მის ხმას მისდევს...

— მაშ მეც დღეიდან ლადოს დავიძახებთ, ქართულად ვილაპარაკებთ, ქართული ხომ იცით?..

— როგორც თქვენ.

სალიმ უცბად ვალოდიასკენ ახლო მიიწია, მკლავში ორივე ხელები მაგრა ჩაავლო. მოეჩვენა, თითქო თვალუწყედენ ყინულით გათოშილ ფრიალოებში მყოფი უცაბედად მიაწყდა მწვინით შემოსილ მდელოს, რომელზედაც თავს იწონებდნენ სხვადასხვა სუნნელოვანი კვკლუცნი, ჩქერდნენ გამკამა მდინარენი და სახე გაბრწყინებულს სიხარულისგან გული აუფანტებოდა. ბელურაც ამ დროს ისევე ნაძებზე დახტოდა, ისევე ჭყრიპინით გაზაფხულს უბობდა.

ვალოდიამ სალის ნახად ხელი ხელზე დაუსვა და კვლავ გაწითლდა.

— მე მაგისი წინააღმდეგი არა მაქვს რა, რომ თქვენც ლადო დამიძახოთ, თუ კი ეგ სახელი უფრო მოგწონთ...

დაიწყო მან, ხმა მისი უფრო გაუბედავი, მორიდებული იყო, ვიდრე წინად.

— მაგრამ საქმე იმაშია, რომ ლადოს მარტო სოფელში მეძახიან, დედა ლადო ისევე დედასთან სოფელში დარჩეს, აქ კი ვიყვე ისევე ის ვალოდია, რა სახელითაც დიდი ხანია მიცნობენ. თქვენთვისაც სასარგებლო არ იქნება აქაც ქართულად ილაპარაკოთ: მაშინ რუსულს ვეღარ გაიბეჯითებთ და შეიძლება სასწავლებელში შესვლა უფრო გაგიძნელებდეთ. ისევე ბევრი დრო დავიკარგავთ. მეტადრე თუ გაიფეს, რომ ჩემთანაც ქართულს ლაპარაკობთ, დიდ წენიშენას მივიღებ და არ მინდა ასე მოხდეს...

ნუ ჯავრობთ სალი, ქართულად ლაპარაკი სოფელშიაც გვეყოფა, აქ კი ვილაპარაკოთ უფრო სავალდებულო და მიღებულ ენაზე.

დაუმატა ვალოდიამ, როდესაც ქალს ამრეზა დაეტყო, უნდოდა მის დასამშვიდებლად კიდევ ეთქვა რამ, მაგრამ შენიშნა ავაფია საბლიდან ბაღში გამოსსვლელ კარებთან ჩამდგარიყო, მოლოხანს ელაპარაკებოდა.

— ერთი შეხედეთ, რამოდენა ზოხჩა ამოუღვია ილიაში! დიდი ხანია დედა ავაფიას ეგრე ცანცლავს რალაც რალაცეებს, თან არწმუნებს, რო სულის გულისთვის ღარიბებისთვის უნდა, მაგრამ ნამდვილად კი ჭკიდის და დულს ჯიბეში იდებს... მე მაგისთანა აღაპიანი არ მომწონს ვინც უნდა იყვეს.

მაგისმა ქართველმა ქალობამაც არ გიპატივით და თქვენი წერილის შინაარსი მეტის-მეტის გამეტებით ხელის გულზე გადაშლილი დედა ავაფიას მძივებსავით ააკრეფინა. უნდა გენახათ რა კმაყოფილი სახე ჰქონდა მაშინ. მეც ვითომ და შემთხვევით ვანგებ იმ დროს წინ გაუარე, ჩემს დანახვაზე სახის მეტყველება წუთს შეეცვალა, გადმოამბლური და თუ ეხლაც თქვენთანა მნახა იმ წამსვე მიხედება, რომ ყველაფერი იცით. ეს კი ჩვენთვის საკეთილო არ იქნება.



ბმა გაკმენდილი სალი უსმენდა ვალოდიას, თან მოუსვენდა და მისი ხელები იხედებოდა და როდესაც შეამჩნია, რომ მოლოზანმა ამით მხარეც შეაღწია, მსწრაფლ ზეზე წამოვარდა, იქვე ახლო კვიპაროზის ხეებზე გასულ ფათალოს ამოეფარა, ვალოდიაც მეორე ბილიკით ოთახებისკენ წავიდა.

თავის საფარიდან სალი უთვალთვალეობდა მოლოზანს, რომელიც ნელ-ნელა მოდიოდა.

ბავშვს მოეჩვენა საშოვარზე გამოსულ ნადირად, მისი ორივე თვალები ეღვარებდნენ, თან ხელით ნადავლს ძლიერ მოათრევდა. სალის საფარი მკვიდრი არ იყო, არც სანდო, საკმაო იყო მოლოზანი ოდნავ ხელით შეხებოდა ფათალოს, მაშინვე სალი გამოინდებოდა თავისის დიდის სათვალეებით და მოლოზანის ყვითელი კბილები მარჯილებსავეთ უფრო წინ წამოიყრებოდნენ, დაიწყებდნენ ნიშნის მოგებით საშიშრად ღრეკას... სალის ტანში გაახრიალა. სწორედ ამ დროს მოლოზანიც ფათალოს გაღსწორდა და ბოხა ხელიდან გაუვარდა. სალიმ კინაღამ შეპყვია, როდესაც მოლოზანი ბოხის გვერდით ძირს ჩაჯდა, სახეზე მართოლფარე ყვითელი ხელები გადაისვა, ეტყობოდა ძალა დასდგამოდა, დალილიყო.

— ეგრე გინდათ!.. ჰე!.. სწორედ ეგრე გინდათ, თქვე წუწყებო თქვენა!.. მე ვინ მიწილავს, რომ სხვა დაეინდოს!.. მარჯვეთ იყავი, ეფეშა, მარჯვეთ!.. ვისაც სად მოასწრო, გლიჯე!.. წეწე!.. სიტყვით თუ ხელით!.. ჭართულად წაიბურტყუნა მან.

— თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ! ღმერთო, შემეწიე!..

დაუმატა მან, პირველადი გამოისახა, ვახეხით ზეზე წამოდგა, ბოხა აიღო ხელში, ისევ ბურტყუნით გზას გაუდგა. ბალიდან გარეთ გასასვლელ კარის ჭრილობა სალის საფრთხიდან გადარჩენა მიულოცა, ბუნაგიდან ფრთხილად გამოძერა ერთხელ კიდევ მთელ ბაღს დაკვირვებით თვალი შემოავლო და სკამზე ჩამოჯდა, სიამოვნებით გაიხორა. ხელის აქნევის დროს სალის ფათალო ცივად შეებო, თავისკენ მიახედა. სალიმ მოწყვიტა ფოთოლი, ფოთოლი ძარღვიანი იყო, მეტი მწეანე... წელიწადის ოთხი დრო მახე ისე მოქმედებდა, როგორც კომპოსტოს ფოთოლზე დადენილი წყლის ცვარი...

გახაფხულის და ზაფხულის მცენარენი სალის წარმოდგენაში ქორთა ბავშვის სათუთ სახეებად გამოჩანდნენ ამ ყოველ დროის ფოლადსავეთ მკვიდრ სიმწეანესთან. თუ თუთის კუძუბა ფათლის სინაზე, გახაფხულის ნიაფისგან მომხიბვლელად შეირბეოდა, არც მაშინ რჩებოდა ფათალო უკან. გახაფხულის ფრთა ამის ღრმად ჩაფიჭრებულ კუშტ სახესაც ახლად მონაბერის სიცოცხლით შეარბედა, შეუმჩნევლად ჩამოაცლიდა აქა იქ შეკვითლებულ ნაწილებს და იმავე დროსვე მაგიერის ახლად შობილის ფოთლით ზურმუხტად ააეღვარებდა... სალის უყვია, მოსწონდა მისი გამძლეობა!..

— გამაგრდით!.. არაფერს არ შეუშინდეთ! სიმართლე თქვენსკენაა!..

გაახსენდა ვალოდიას უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ოთახებისკენ მიდიოდა...

სალი შეელსავეთ მსწრაფლ წამოხტა ზეზე, სხეულში რალაც სიმბურვალე იგრძნო, მტკიცედ გადადგა ნაბიჯი, ძალზე ამკერებულ გულზე მაგრა მიიკრა



ფათალო როგორც ავგაროში და ისე შეალო სახლის კარები. პატარა ქალი ამ დროს რაღაც ძალამ შემოჭა, გაიტაცა როგორც დაღალული მხედარი-გლეხი წაყრილმა გაქანებულმა რაშმა, და თვითონაც არ იცოდა სად იყო, ძლიერ გულგვიფრთხილული იქ მყოფი როგორ ხედებოდა, როგორის დაცინვით შემოაქურებდა, ლიუბა, რომელმაც მოტყუებით ვითომ გაასეირნა, აგავია მოუსვენრად როგორ მიდამოდიოდა ბუზლუნებდა და ესეც დრო და დრო შეერთოვით შეხედავდა სალას... ვალოდია კი ამ დროს ღიმილში ჰკონავდა გულის საღბუნებელ ყვავილებს, ესროდა სალის, როგორც მზის ბრწყინვალე ჭიატად შემომდგარ შუქს მძიმე საკანში დატანებულ სარკმელს და ახედებდა იმ გზასკენ, საითაც მიჰქროდა ორთქლმავალი თავისის შემანქანეთი.

სალი ხედავდა, ამ სახლში მყოფნი როგორ უბოხოებოდნენ, მაგრამ ბოზოქი გულშივე უბრუნდებოდათ და მით თვითონვე იროზოდნენ... ანდრეი პავლოვიჩი ჩვეულებრივის გულგრილობით ასრულებდა თავის დანიშნულებას, და ვერ ამჩნევდა თუ მისი ოჯახი როგორ მოუსვენრობდა, მათი საერთო ნიშნება როგორ იმიზნებოდა სალისკენ, რომელიც შეუპოვრად და ამაყად უცურებდა.

ყველაზე მეტად შეშფოთებულიყო ანია, თვალებს მალი-მალ ახამამებდა, ნიდაყვებით სუფრას ებჯინებოდა, მდგომარეობას ხშირად სცვლიდა, შეშინებულსავით შეხედავდა ჯერ მამას, შემდეგ სალის, თითქო დაეიწყებოდა—სახლში იყო, ან სალი ვინ იყო, მისწერებოდა ღიზიკის და დარიკოს ცალიერ სკამებს, თითქო მას ამაშიაც ბრალი ედებოდა, რომ ბავშვები ირა დგებოდნენ, და სახლისკენ გარბოდნენ მაშინ, როდესაც ვადაშლის აქ უნდა ყოულიკენენ, ვადაც თანდათან ახლოედებოდა... ამ მძიმე ფიქრებისგან გაბრუებული ანია ლორწეტით უყურებდა სალის... მაგრამ მის ლორწეტს შავი სათვალე წინ ხედებოდა და ისევ საიდუმლოებაში ახვევდა ამ აბეზარ პატარა იდამიანს.

ქატიკონის დღეები

ირყვია ფრონტი.

მჭკნარი კუჭი შიმშილით იწვის.

ნისლიან მთიდან

როგორი დილა გადმოვა ხვალ...

ყინვის ჰაერში მოზანჭერე

ცივი სიცილი

ბარიკადებში დამუნძული ჩონჩხების ხმაა.

მეომრებს სძინავთ აქ თბრილებში

როგორც ნივარებს,

სტკივით თვალები

ჭაობებით ამობიდნილი;

დღეს მადიახად

სველ ბალახებს მოწოვეს იჯრა

და თვალწინ ჰქონდათ მშობლიური სოფლების ბინდა.

ნუთუ ეს ხალხი

მკერდგამხმარი განადგურდება!

ვინ ცდილობს,

რატომ

ფიქრთა ჯარებს გადაუკეალოს

გერმანეთისკენ,—

მიყოლოდნ ვრცელი ურდონი,

სად მხედრებს ქარში

ზარბაზანი სიკვდილს უგალობს.

ჯერ ნათელია,

მაგრამ ეაზე შეთარეც გაივლის,

წყვედიანი შავი

კოტის ხმებით თბრილებს დაჩქერავს,

დაძრულა თურმე დონ-ყაზანი,

ზაბაიკალელი



ქ. ჩოქნაშვილი
გ. ი. ლ. ი. მ. ი. მ. ი. მ.

და ენხადები საბჭოებზე გასალაშქრებლად,
აქ კი ველეზე
ქარი ფანტავს პროკლამაციებს
სად არის ზევი...
ან პიტერში რასა შერებიან...
თოფის კონდახზე დაყრდნობილი
ოხრავს ყმაწვილი,
ნისლში ჩაყურულ
მტრის ბანაკებს გასჩერებია.

* *

ამ დროს ამბავი
ელვასავით გამოსროლილი:
დეე დაბრუნდით
თოფებით და ტყვიისმფრქვევლებით,—
რომ საბჭოების გამარჯვებას
ზეიმობს სმოლნი
და თქვენ მოგელისთ
სიხარულით აფეთქებული.

* *

ხე ქშუის თუ ცა
ზღვაში თევზი
თუ ველზე ხარი...
ქარს მიაქვს თუ ტყეს
პირველს ღრუბელი
მეორეს ჩრდილი...
თუ ველს აგარდა
ბორიყი უდაბნო გველვის...
თუ წყლიდან გარბის
ნაცრისფერი ნისლეზი დილის?

არა, ეს ჯარი

ხრიოკ მინდვრებს
კვამლად გაპენტელს
მიყივის, მისდევს
ღამეებში თვალანთებული

ხელში მომართულ იარაღებს ალაპლაპებენ

და მთვარე აყრის ფარაჯებზე
ვერცხლის თებოებს.

გაიქცა ჯარი

სიმღერით და ბაიათებით,

ჩაქრენ თხრილებში

დაქრილების ჩუმი კენესანი.



მიკივის ჯარი
 მომარჯვებულ თოდის თათებით,
 რომ დიდ სატახტოს
 შეესიოს ჩონჩხის ტყესავით.
 და იმა ადგილს,
 სად პირქუში ტყეებით თოვდა,
 დარჩა საფარი,
 დაკოვრებულ ხელით ნაშენი,
 და გარიერაყით
 მოქანცული ცის მნათობები
 ცარიელ თხრილებს საამურად დაკაშაშებენ.

* *

რუსეთის ხალხნო,
 საფრთხეშია სამშობლოს ბედი—
 ყვირის კერენსკი ვატჩინიდან,
 გაკოტრებული;
 ნოვოჩერკასკში
 დამუქრული სღუმს კალედინი
 და ყაზახები ყორნებივით
 იკორტნებიან.

აჲ პეტროგრადი
 ისევ ღელავს განრისხებული,
 ღრიალებს ხალხი
 დამშეული და უჯებირო...
 და პეტრე დიდი
 წამომდგარი ბრინჯაოს ცხენით
 გაჭყურებს ნევას
 წყიმებისგან გალურჯებულო.
 სმოლნიც თვალივით ართებული
 დღეს უფრო შფოთავს,
 შიშველ რევოლვრით
 ყრუ ქუჩებში დიბენკო დაპქრის.
 შუა ნევაში
 დაყურსული სდგას ჯავშნოსანი
 მოელის ნიშანს
 რომ ატეხოს ზუზუნი მძარფი
 მოდის დებეშა:
 ფრონტებიდან ჯარები მორბის.
 აფრქოლებს შიში მღვრიე ქალაქს,
 ნისლით შებურვილს,



ზამთრის სასახლე,
აფუფული ბებერ ორბივით
შევეურებს სმოლნს,
გასაქვლელათ დამუქრებული.

* *
რამდენჯერ ხალხი
ბობოქარი ამობორცდება,
იმდენჯერ ქუჩა
ცეცხლს დაიყრის გაბრაზებული.
თითქო ცაზედაც
ამღვრეული ასულა ნეგა
და ყუმბარები
დაძვრებიან შიგ თევზებივით.
ღრიილებს ქუჩა,
სროლის ხმები მარჯენივ თუ მარცხნივ...
ბარიკადებში ჩაწყობილი
ჯართა წყებანი...

იქ ვინმე მუშას,
სმოლნის კედელთან მიბარბაცებულს,
კიდია სისხლი ბაგეებზე ნაწნავეებივით.

შორს კი
კერენსვის განწირული ისმის ძახილი,
ზამთრის სასახლე
დალუპვას გრძნობს აკანკალებით...
და საბჭოებზე წამოსული
ბრვე ყაზახობა
შოულოდნელად ვანდგომია სარდალ კალედინს.

გამხნეებულნი
კიდევ უფრო გუგუნებს სმოლნი,
აღმოსავლეთით ვარიერაგი
წითლად ენთება,
დელეგატები
ყოველ მხრიდან შემოსულნი,
სმოლნს და საბჭოებს უცხადებენ ძმობა-ერთობას.
სმოლნიც დაყვიის კაეის ხმებით
რუსეთს დარბელს
ეძახის სმოლნი მუშებს და ჯარს
გაშლილს ტყე-ველად
და რადიოდან გასროლილი ძღვევის ამბები
შორეულ სოფლებს დაადგება ცისარტყელებად.

* *

გღია ლეშები

დაფენილი მინდორს ძნებივით.

ხეიხვიენებს ცხენი. ცივად უბერავს ფინეთის უბე.

და შორ სოფლებში,

სად ნისლეები იკვანძებიან

მიატვთ დაჭრილი მეომრები

სისხლიან ურმებს.

ამ ტრიალოზე

ყაზახების გაიქცა ტვერი,

კაშრავდა მზე იარაღებს

სისხლში დაფერილს,

ეხლა სიმღერა მუშების და კრონშტადტელების

მხიარულ ბგერით

ახმაურებს ზეკას დაფივით.

ფიქრობს ნხედარი—

პიტერისკენ გზები ვიწროა,

აწ გვიანია დაბრუნება სამშობლოსაკენ,

გახსნილ თვალეში

გულის კენესა ცრემლად იწვოდა,

შუბლს უიმედოს

დამარცხების მწუხარი მოსაედენ.

სალამოს ბინდი ეუინება სისხლის მინდორებს,

ცის თალებიდან ვარსკვლავები იცრიცებიან.

— შვეიდობით სამშობლოვ,

ერკელ ბრძოლებით ამოზინდულო,

აწ შენი ხილვა ჩემთვის მხოლოდ საოცნებოა.

გტოვებ სამშობლოვ—

უკანასკნელად იტყვის მხედარი,

წინ ჩნდება სივრცე

საბედისწერო უგზო მინდვრებად,

და თეთრი ცხენი

მხედარზე უფრო ამბოხებული

ცის დასავალითან განწირულად იხვიხვიინდება.

ასე შორდება გულდაბდღენილი მშობლიურ მიწას,

დანათის მკრთალად გარდახვეწილს ცა გამთეარული

მიპქრის კერენსკი,

უკან მისდევს ხმანი წვევისა

და მილიონთა

ზიზლით სავესე მღერიე თვალეში.



პირქუში დღენი ჩაესვენენ გრიგალებს იქით, ^{***} პარკინსული
გინგლიჩიძე
გამწვანდა ველი

დაწერილი სისხლის წვეთებით.

შეჟურებ ცის ორივე თვალით და

ძლიერ გიკვირს,

რომ ლაქვარდებში ვარსკვლავები არ ჩაწყვეტილან.

ქავკასიონი

ისევ ისე სდგას შედიდური

რადიო ხმებით ცა გუგუნებს გადაჭულილი

საბჭოთა ქვეყნის ანთებული ყველა კიდური

და ძველ მცხეთაში

წყალიც კივის ცეცხლად ქცეული.

და თუ კი ერთ დროს

გადაინგრა ყველა ჯებირი.

ოქტომბრის ცეცხლმა

ჭრილობები მკერდს დაგვასია,

ებლა მოსკოვი

საბჭოებით გამარჯვებული.

გულში იხუტებს ვოლგას, ციმბირს

და ქავკასიას.

ს ი ს ხ ლ ი

რომანი

(დასასრული*)

XXXIII

ცაცასაგან მეგობრები პირდაპირ თავიანთ ახალ ბინაში დაბრუნდნენ.

არჩილს სახე რუხისფერად ჩაფერვლოდა და თვალების გუგა მინას მშრალი კრიალით ანთებოდა.

— მგონია, გაციებას მიპირებს... საშინელი დაღლილიცა ვარ... თითქოს ტანი შერღვევა... — ეუბნებოდა იგი შალვას ბოდის მოხდის სახით.

უცნაურად იცქირებოდა: თითქოს გზის ამცდარი თვალთა ბრმა ყოფილიყო, რომელსაც ორიენტაციის ძაფი დაჰკარგოდა უცნობ გარემოში და მყარ სავალისათვის ვერ მიეგნო.

ის მედიდური იერი აღარ ჰქონდა, ცაცასთან დაშორებისას რომ გამოაჩინა.

ოთასში შემოსვლისთანავე იგი მძიმედ ჩაჯდა სავარჯელში, თავი შებლით ხელის გულზე დაიკრძნო და ასე გახევებულივით დარჩა.

შალვასაც ხმა ჩაეკმინდა. აზრ-დაბნეულ პირისუფალს ჰგავდა. იგი ძალიან უხერხულად გრძობდა თავს, ეგონა, თვითონ იყო მიზეზი მეგობრის ავად გახდომის.

„ცაცასთან რომ არ წამეყვანა, იქნება, ეს არ დამართოდაო“, ფიქრობდა.

ცხადი იყო, არჩილი ისე გამოიყურებოდა, რომ მართლაც ძალიან ცუდად უნდა ყოფილიყო. მაგრამ შალვას ვერ გამოურკვია, უფრო ავადყოფობა სტანჯავდა მას, თუ სხვა ფარული რამ სატკივარი, ამ დილას რომ ცაცას კიბეზე ასე მოულოდნელად გამოუაშქარავდა.

თუმცა შალვასთვის სრულიად გაუგებარი იყო, რაც მის ბიძაშვილსა და არჩილს შორის მოხდა, და არ იცოდა რას წარმოადგენდა ის დაქუჰნილი ქაღალდი, რომელსაც მისმა მეგობარმა ცაცასაგან წამოსვლის დროს საიფექტოდ

*) იხ. „მნათობი“ № 10.

შემონახული სასცენო რეკვიზიტის როლი შესარულებინა, მაგრამ მაინც იგი მიიჩნდა „უბედურების“ მთავარ წყაროდ.—თავის ამ მიხედვლას, შედეგისე მალადა, როგორც არჩილი მის ნამდვილ „სატკივარს“. თავისი აზრების არ აძლევდა, ამ საგანზე სიტყვა ჩამოეგდო არჩილთან. კარგად გრძნობდა, თუ რა სათუთ მოვლენასთან ჰქონდა საქმე.

ამიტომ ვერ გადაეწყვიტა, ავადმყოფი მეგობარი მარტო დაეტოვებინა ოთახში, თუ მასთან დარჩენილიყო. წასვლა ვერ გაეებუნა: იქნება, მოვლა დასკირდესო. ხოლო დარჩენის რიდიც ჰქონდა: იქნება, მარტოობა ურჩენიაო.

როცა სადგურიდან ბარგი მოიტანეს, შალვამ ლოგინების გაწყობის თავდარიგი დაიჭირა. მერე არჩილს სთხოვა დაწოლილიყო.

მაგრამ არჩილი ლოგინზე გაუხდელად წამოწვა მხოლოდ.

— არა მიშავს-რა. თავი არის მხოლოდ, რომ ასე მტკივა. აღბად, ფოთის მალარიამ შემოიბიტია... არაფერია...—სთქვა რ ორივე მკლავი ჯვარედინად შეღებულ დაიწყო. ასე თავით ბალიში პირაღმა ჩაეფლა.

შალვამ ახლა სამუშაო მაგიდაც მიალაგა თავის გემოზე. ეითომ საქმე გაიჩინა. მერე გაზეტები მოატანინა, იფიქრა, მეგობარი ახალმა ამბებში, იქნება, გაართვასო.

მაგრამ სანამ გაზეთის კითხვას შეუდგებოდა, არჩილი გამოსცადა:

— დროა, არჩილ, ახლა ქვეყნის ამბებსაც დაუბრუნდეთ... გზაზე ჩვენმა ძველმა ისტორიამ შეგვიყოლია... მგონი, ახალს ვითარებას კი ჩამოვრჩით... ფნა-ხოთ, ამ ერთ კვირაში რა დატრიალებულა ქვეყნად!.. წინააღმდეგი ხომ არ იქნები?—შემპარაუად ჰკითხა.

— არა...—ყრულ წარმოსთქვა არჩილმა, თითქოს სხვა ქვეყნიდან გასცა პასუხიო.

შალვა მაგიდას მიუჯდა და სატახტო ქალაქის ზეწარივით ფართე გაზეთი გაშალა.

— ჰოჰოჰო... ეს რა ამბავია!—თითქოს ვისმესთვის შეეცაცხანებინოს, ისე გაიკვირვა, როგორც კი პირველი გვერდის დებეშების სათაურს თვალი გადააელა.

— აი, ვიგრძენი, ჩამოვრჩით მეთქი!.. აი, შენი ახლანდელი ერთი კვირა! რა შორს შეუტრიავეს! ა? შენ როგორ გგონია, არჩილ, ახლანდელი ერთი კვირა რამდენ წელს უდრის იმ დროისას... ჰმ... როცა ჩენი წინაპრები დიდ ისტორიას ჰქმნიდნენ... მსოფლიოში?.. საინტერესო გამოსაანგარიშებელია... მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ... მათემატიკაა... აი, ყური დამიგდე, რა ახალი ამბავი წაგიკითხო...

არჩილისკენ არც მიუხედავს, ისე კითხვა დაიწყო.

დებეშა, მართლაც, საგულისხმიერო აღმოჩნდა. იგი ებებოდა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე პოლიტიკური გართულების ამბავს და აღნიშნავდა დიდი „აფეთქების“ შესაძლებლობას მთელ ევროპაში.

— ჰაია... ამან კი, მგონი უნაყოფოდ არ ჩაიაროს... ა? შენ რას იტყვი, არჩილ?.. ვესმის, როგორი პერსპექტივის წინაშე შეიძლება დაგვაყენოს ამ გართულებამ?.. ომის სფინი ტრიალებს, მგონი!..

შალვა რამაძეს პოლიტიკის მკოდნე თურნალისტად მოქმედებდა არ უნდოდა უკომენტარიოდ დაეტოვებინა დემეშის მოტანილი საყრდენი ცნობა. კარგა ფართე მოსმით შეეხო თანამედროვე საერთაშორისო საკითხებს და ბალკანეთში მომხდარი გართულება ასე გააშუქა.

გარდა საკუთარი მოთხოვნებისა, მეგობრისათვის დემეშით აღძრული აზრები ვაენაწილებინა, შალვას ის საიდუმლო განზრახვაც ჰქონდა, რომ არჩილი საუბარში ჩაეთრია და ამ საშუალებით მისი უცნაური თავის ტკივილი და ფოთის მალარია მცირედ მაინც შეენელებინა.

მაგრამ მიზანს ვერ ეწია.

ლოგინზე პირაღმა წამოწოლილ არჩილს თვალების დარბაბები მაგრად დაეხურა და სახეზე ისეთი ინდიფერენტობა გამოეხატა, თითქოს არც დემეშისა და არც შალვას გრძელი კომენტარიის ერთი სიტყვაც კი არ გაუგონიაო.

როცა მეგობრის შეუწყვეტელი სიჩუმით გაკვირვებულმა რამაძემ, აყად-მყოფ მეგობრისკენ მიიხედა, მისმა სანახაობამ გააკვირვა.

— ხომ არ დასძინებია, ნეტავე?—გაიფიქრა. გაზეთი ფრთხილად განზე გადადგა, წამოდგა და ფეხაკრეფით არჩილის ლოგინს მიუახლოვდა.

— უთუოდ სძინავს.—დაიდესტურა გვეცი.—სჩანს, ბალკანეთი და ევროპა ამის ახლა არ აინტერესებს... დაიძინოს სჯობია... ეაცალოთ... ძილში გაუვლის.—ჩაილაპარაკა და თავისი ლოგინისკენ გაიარა.

საბანი აიღო და არჩილს გადაიფარა.

არჩილი არც შენძრეულა.

ერთი კიდევ დახედა მას შალვამ, მერე ცერზე შესდგა და ოთახიდან ქუროდის სიურთხილით გავიდა.

არჩილმა ახლა თვალები გაახილა. მიაყურა: მხოლოდ ოთახიდან გავიდა, თუ სულ წავიდაო.

დერეფანში შემოსავალი კარი გაიღო, ისევ დაიხურა და შიგნიდან ავტომატიურად ჩაიკეტა.

ცხადი იყო, არჩილი მარტო დარჩა ოთახში.

ერთხანს გარინდული და მიუჩნებული იწვა ლოგინზე არჩილი. იმის ვასა-აზრებლად ეშხადებოდა, რაც დღეს თავს გადახდა.

უფრო ის აწუხებდა, რომ უღირსად მოიქცა და შალვას წინაშე ასე შერცხვა.

მარტოდ დარჩენა იმისთვის უნდოდა, რომ ანგარიში მიეცა თავისთვის და შექმნილი მდგომარეობა გამოერკვია.

მაგრამ თავში აზრებს ვერ იკრებდა, ფიქრები სადღაც სიცალიერეში ეფანტებოდა და გრძნობების მაგიერ მკერდ ქვეშ ლიპიანი ზიზლის სისინი მიმოუქროდა.

თითქოს ტვინი დაეშალაო, ისეთი გრძნობა ჰქონდა. ქვეყანაც რალაც უცნობი, არეული და დაშლილი ეჩვენებოდა.

ახლა მარტოობა კეუაში არ დაუჯდა. შეშინებოდა კიდევაც მისი.

ნელა წამოდგა ლოგინიდან. ახალი სადგომი შეათვალერა. ზოგ საგანს განსაკუთრებით დააკვირდა, თითქოს მათი უსულობა საექვოდ მოეჩვენაო.



რცხვენოდა, რომ ასე უმწურო იყო.

პაპიროსი მოსწია. კომლმა ყელში მოახეხა. რამდენიმე წუთის შემდეგ და-
ახველა და თვალეზში სისხლი წამოაწვა. ოთახის კუთხემდის გაიარა. კიდევ და-
ახველა. თითქოს მკერდში რაღაც გაუწყდაო, ხელის გულით შეამაგრა გულის
ფიცარი.

იქნება მართლა, გაციებას უპირებდა და მალარიის მიკრობების ბრალი
იყო ყოველივე?

თავსბრუ დაეხვია და თვალეზში ობობას წითელი ქსელის შავვარი რალაც
შეეფინა.

არა... უთუოდ დაღლილია. მას შემდეგ ჯერ ხომ არც დაუსვენებია, რაც
დაიჭირეს და აქამომდე თავს ვადახედა..

ისევ ლოგინს დაუბრუნდა. ჩამოჯდა. პაპიროსი გადაავლო. მერე ისევ პი-
რალმა წამოწვა.

სული განაბა, ვითომ ვისვენებო.

მის წინ, პირდაპირ კედელზე, მოდიდო სურათი ეკიდა, მოვარაყებულ ჩა-
რჩოში ჩასული.

პირველად ახლა შენიშნა იგი. დააკვირდა. მაგრამ ისე, უმიზნოდ. შემდეგ
თვალის აქცევა რომ უნდოდა, რალაცამ შეაჩერა. წამით უცხო აზრმა გაუფლვა
თვალწინ.

ბალიშიდან წამოიწია და იმ სურათს შეაშტერდა.

თავის თავად სურათი დიდად უგემურად შესრულებული რამე იყო. მხატ-
ვრობისთან ერთად ყოველ აზრს მოკლებული. — ვითომ ზღვა და ხმელეთი იყო
ერთმანეთში არეული. წყლის სივრცეში აქა-იქ კუნძულები ნაფოტებივით ცა-
რენ. ერთგან ყინულის კლდე ამოზიდულიყო. მის წვერზე შიშველი ქალი იდგა,
ცალი ფეხის ცერზე შემდგარი. ცალი ფეხი მუხლთან მოელუნა. ერთი ხელი მა-
ღლა აეშვირა, რომელშიც მთვარის ნამგალი ეპყრო. მეორე კი ძირს ჩამოეშვა
და მისი გული სასირცხო ადგილზე მიეფარებინა. შებლის შეადგილას ბოციმ-
ციმე ვარსკვლავი ესვენა. ქალი ცბიერად იღიმოდა. ცაზე კიდევ მომლიმარი ვა-
რსკვლავები ეხატა.

— ა? ამას კიდევ რა უნდა? — ჰკითხა არჩილმა ვითომ ვილისაც, როცა კა-
რგად დაათვალიერა ეს სურათი, და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს
იმ აზრს მოეგოო, რომელსაც ეძებდა. კიდევ დააკვირდა იმ ვარსკვლავიან ქალს.
უცებ ყბა უცნაურად მოიქცია და ისე შეუღლია ქალის ღიმილს. ეს თითქოს
მისდა უნებურად მოუვიდა.

ქალს სახეზე უფრო აუციმციმდა ღიმილი.

არჩილს ის მოსწონდა ამ სურათისა, რომ რალაცას ადარებდა მას და ის.
რასაც ადარებდა, ნაწილობრივად თავის პირად ცხოვრებადაც ჰქონდა წარმო-
დგენილი.

უნდოდა გამოლაპარაკებოდა უცხო სურათს, მაგრამ უცებ სახე გამოეცვა-
ლა. ბალიშზე მიძიმედ დაეშვა და თვალეზი მინაბა, თითქოს მოულოდნელად აღ-
ძრულმა უცხო ფიქრმა გადაიყოლიაო.

დიდხანს იყო ასე.



დაღლილი ტვინში ხან ენთებოდენ აზრები, ხან უჭრებოდენ აზრები...
 დედაში.

„მაშ, ასე... — როგორც დაფაზე ისე ეწერებოდა საღლაც თავში. — შენი ცხოვრების ერთი პერიოდი ვათავდა, ძმაო არჩილ. კარგი იყო იგი. შენ თვითონ მაინც-და-მაინც დიდი არაფერი იყავი... ცხოვრება იყო რაც იყო. მხოლოდ ახლა ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. შენზე და მოკიდებული, თუ თავს არ შეირცხვენ. ეს იცოდე, უნებო და უმოქმედო კაცი არ ვარგა. უთუოდ დაიღუპება... არ ათქმევინო ვისმე: ტყვილა გაიღეს ამდენი მსხვერპლი მისი ციხიდან განთავისუფლებისათვის... ჰო-და, შენ რომ იწყებ, ასე არ ვარგა. რას გადაეკიდე ამ რამადის ქალს. ხომ გადასწყვიტე, თავი გაიანებო. შენ კი... ისევ უბრუნდები. თუ გიყვარს... მაგრამ თქვენი სიყვარული რაღაც წვლებაა და არა სიყვარული... არა, არ მიყვარსო, ამბობ. უცნაურია... მაშ, მოსკოვს რომ მოდიოდი, ნეტავი რა გედეა ვულში?.. არა, ნუ კი გრცხვენია, გამოტყდი, სთქვი... ხომ ცაცასთვის ჩამოდი აქ? მაშ, თუ არა ეს, რა საზღვარგარეთი იყო შენთვის მოსკოვი? პირველად ხდება, მგონია, რომ ციხიდან გამოქცეული საკატარლო კაცი იქ მიდიოდეს დასამალავად, საღაც მას ყველაზე უფრო შეტი საფრთხე მოელის... ნეტავი, ვისი მოტყუილება გინდოდა?.. უთუოდ გეგონა, რომ ცაცაც მოგელოდა და... ა? ხომ ასეა?.. გეგონა, რომ... ჰმ... შენს გარდა სხვა არავინ სწევს პაპიროსს და შენს გარდა სხვა ვაგი ქვეყნად არ არსებობს... სულელო შენი.. ახლა?.. ახლა იმ ქარაგმიანი ქალაქის შესახებ რას იტყვი, ცაცამ რომ თავის მაგიდაზე დაგახედრა?.. კლასთა ბრძოლას შეეხებოდა იმ ქალაქზე რომ წარწერა იყო, თუ ეროვნულ პრობლემას, რომელმაც შენ დაგაინტერესა აქ უკანასკნელ დროს.. ან, იქნება, შენი ციხიდან გამოქცევით იყენენ დაინტერესებულნი მისი ავტორები და იმაზე ფიქრობდენ, გადარჩი თუ დაიღუპე?.. იქნებ, გგონია, რომ ქალი და ვაგი ქვეყნად იმითამ არიან მხოლოდ, რომ... კიდევ სულელო შენი“...

მაგრამ აქ, ცაცას ოთახში აღმოჩენილი საიდუმლო წარწერიანი ქალაქის მოგონებაზე, არჩილის თავის ფარულ დაფაზე სიტყვების მაგიერ, რაღაც მინქანებით, ყინულის კლდეზე შემდგარი ქალის შიშველმა ტანმა გაიცილა და არჩილს შიგ ტვინში ცბიერი ღიმილით შეუქირქილა.

უცნაურად შექანდა ოთახი და არჩილს თვალთ დაუბნელდა. საღლაც რაღაც შეირყა და დაირღვა.

არჩილმა ვერ მოიხზრა, ნამდვილ ამბავთან ჰქონდა საქმე, თუ მოჩვენებასთან. უცნაურათ აირია.

ნამდვილისა და მოჩვენების მიჯნის შეცნობის უნარი დაქარგოდა.

ისიც ვერ გაერჩია, ზამთრის პირის მოკლე დღის მიწურვამ ჩამოაბნელა მის ოთახში, თუ სხვა რამ მოვლენამ.

იმ ვარსკვლავიანი ქალის შექირქილება კიდევ სერიდა ტანში. მაგრამ დროთ ესეც ციების განაევარდება ეგონა მის სხეულში.

ანაზღად, მოახლოვებულმა საღამომ ფანჯრებთან რამდენიმე უცნაური ლანდი შემოსირალა ოთახში და არჩილის პირდაპირ მაღლა ჳერში გაათამაშა. ფანტაზია ყალბზე შეუდგა არჩილს.



გარშემო უცებად ყველაფერი მოულოდნელად აირია: ჭაჭყუჭმუცელი საგნები სასწაულებრ ჰაერში შეყირაედნენ და სივრცესთან ერთად დატრიალდნენ.

ეს მოხდა ფიქრზე უსწრაფესად.

მალე ისევ გაჰქრენ ლანდები. მაგრამ ახლა იმავე ფანჯრებში ანთებული მუგულულების მსგავსება ორმა ფანქარმა მაშალასავით შემოანათა და არჩილს სახეში ნაპერწყლები შეაყარა.

მერე ფრინველებისური მოხდენილი მიმოხრით ეს უცნაური ფანქრები ოთახში შემოსრიალდნენ და კუთხიდან კუთხემდის გაინავარდეს. პერის შუა ადგილას, ჰაერში, შესდგენ და სწორი წრე შემოხაზეს. შემდეგ რამდენიმეჯერ გარს შემოუარეს, შიგაც შეიფრიალეს. ერთმანეთს შეეტყუპენ. ისევ განშორდნენ და წვერებით პერის პირს ქვემოდან მიებჯინეს. ზედ უსწორო ოთხკუთხედის ცეცხლის ხაზები გაავლეს და ის ადგილი სწორი ქაღალდის ნაგლეჯს დაამსგავსეს.

მერე ერთმა ფანქარმა ერთი მხრით, მეორემ კიდევ მეორე მხრით, საოცარი შეკუნტრუშებით, გამოხაზული ქაღალდის კუთხეებში ღრაცნილი ალის ასოები გამოჰქარავს და თვალის დახამამებმაში ის ქაღალდის ნაგლეჯი სიტყვების ჯოცონებით მოჰყედეს: „გიყვარს?“ „ჰო და არა.“ „მე კი რა გქნა?“ „არაფერი“. „რას მეუბნები?“ „არაფერს“ „რატომ?“ „ნიტომ“. „ხოლოდ ერთხელ... გთხოვ“.

უკანასკნელი სიტყვის გვერდით ცარიელი ადგილი დასტოვეს. შიგ წერტილები ჩასვეს და აქეთ იქით ბრწყალები გაუკეთეს.

ახლა ერთმა ფანქარმა მეორეს წვერი აჰკრა. უცებ იმას, რომელმაც წვერი აჰკრა ქალის ხელი გამოეხა. მეორე კი იმავე დროს ვაჟის ხელმა დაიჭირა. ხელებს ტანებიც მოჰყვნენ.—იატაკზე ცაცას მოწითალოდ განათებული პატარა მავიდა გამოჩნდა, რომელსაც ფანქრებით ხელში ცაცა და ლევან პატაშვილი მოსხდომოდნენ.

ფანქრების შეჭიდება ახლა ამათმა ხელებმა შესცვალეს. ვაჟის ხელმა ქალის დაიჭირა და არ გაუშვა, ქალმა განთავისუფლება მოიწადინა. ხელები მალე ავირდნენ. ვაჟის ხელი უცებ ქალის მაჯიდან მკლავით ბეჭისკენ ჩახსლტა და ცაცას ფართე სახელო დახვეტით გაიყოლია. ქალს მარჯვენა ხელი მთელ სიგრძეზე გაუშეშელდა. ეს უცაბედად მოხდა.

ცაცამ სახელოს გასწორება მოინდომა. პატაშვილმა არ დაინება. მათი ხელები ქალის მკლავის ორთავა კუნთზე შეჭვიდნენ ერთმანეთს, სადაც სახელო იყო დახვეტილი. ცაცა სახელოს წინ სწევდა, მაჯისკენ. ვაჟი არ ანებებდა.

ორსავე ფხენებული სახე ჰქონდათ. ერთმანეთთან ახლოს შეიტანათ, ნამიან თვალეებში იცქირებოდნენ მიზნედილად.

მჭიმედ სუნთქავდნენ. ერთის სუნთქვა მეორისას შერეოდა.

უცებ ქალს თმა ჩამოეშალა და ვაჟს სახეზე შეეფინა.

თითქოს მოულოდნელად იელვაო, ქალიც შეკრთა და ვაჟიც. ვაჟმა, თითქოს მისდაუნებურად, ხელის გული სალტესავით შემოარტყა ქალის მკლავს. პირისკენ მიიზიდა და ზედ მთართოდარე ტუჩებით დააკვდა.



გაიბრძოლა-ქალმა. მაგრამ ისე მოუვიდა, რომ ვაჟის მეორე უკეთეს მამულზე წელზე შემოერთყა და გასხლტომის მაგიერ გულზე მიეკრა. განსჯილხინა ასე შექიდებულნი ზეზე წამოდგენ.

ახლა ლერწამივით გადაიტეხა ქალმა ტანი, თავი უკან გადაიგდო, ხელუბი გაშალა და ვაჟის შეუკავებლად მისკენ ლტოლვილ გააღებულ ტურქებს ფარად შეიგება.

მაგრამ ამავე დროს მკერდზე ღილები შეეხსნა და გულის კორდი გადაეშალა. ზედ ორი ათქვირებული ძუძუს სიმკვარევემ ბრინჯაოს ფერად იელვა და ვაჟს მოჭნულ ხმალივით უკანასკნელი გონის ყური წაათალა.

სიგივის ალი მოსწყდა ვაჟის თვალებს. ტანი ვეფხვის მსგავსად შეეკრა. ვეფხვისავე თათვივით გაიშალა მისი ხელი. თითების ნაცვლად ბრქვალები გამოესხენ.

ჯერ გაშლით სწვდა იგი ქალის ღია მკერდს. ზედ მოურიდებლად გაითარემა, მერე გახელებით ჩაბლუჯნა და გადაჰქელა.

ქალი ახლა წინააღმდეგობას აღარ სწევდა. მხოლდ ჩიტვივით აფართხალებულიყო, სუნთქვა შეკროდა და თვალები დახუჭოდა. ოდნავ გაღებულ ტურქების გასწვრივ კბილების სითეთრე უციალებდა.

ვაჟმა აღარ დააყოვნა. გამარჯვებულის სიხარულით ქალის დანებებული ტანი ზე აიტაცა.

გამარცვა და შეეუმშა.

ხორცის ფერი და სამოსთა თეთრი ფერი წამით ერთმანეთს შეეცილენ ჰაერში და აირიენენ.

მერე თეთრი გაჰქრა.

და გაჰქრენ უცებ ქალიც და ვაჟიც.

ჩაჰქრენ ცეცხლის ალებიც ქერზე, და სიტყვებაც წაიშალნენ... ჯადოსნური ფანქრებიც სადღაც სიბნელეში მიიმაღენ.

თავის ადგილას მხოლოდ აღშეშოვლებული საწერ ქალაღდის ნაფლეთი დარჩა ქერზე და ზედ ბრქვალეში ჩამული ცალიერი ადგილი წერტილებით.

კარგა დიდმა პაუზამ განელო... წარმოდგენა ისევ გაგრძელდა.

ქერის ბნელი კუთხიდან ერთი ნაცნობი ფანქართაგანი ისევ მოულოდნელად შემოსრიალდა. მაგრამ იგი მუგუზალს არ ჰგავდა წინანდებურად და არც მაშხალასავით ანათებდა.

წამოსრიალდა და წვერი იქ მიიტანა, სადაც ქერში გამოხატულ ქალაღდზე ბრქვალეებით შეკრული ცალიერი ადგილი იყო დატოვებული.

აქ მას კვლავ ხელი გამოეზა. ხელს ტანი, და პატარა მავიდასთან თმავაშლილი ცაცა გამოჩნდა.

ის ახლა მარტო იყო. თვალეები ძირს დაიხარა, არ უჩნდა.

სახე ხანძრის ნაბუგვი კვალეებით ჰქონდა დასერილი. ხშირად სუნთქავდა. ტურქების კალაპოტი დახეოდა და პირის გარშემო სისხლისფერი ათასაღარით უწესრიგოდ მიმოდენოდა.

შეშველ მხრებზე დაბარდნილი თმა ეყარა.



კისერზე ლილის ფერი ნაწუნნი ხორცის ბეჭდები ასხდენ, და წაწულ ყანასავით გადათელილ მკერდზე ძუძუები ისე ეკიდენ, როგორც მწერული ტყვის ქერკი.

ის ქალად დასტკვროდა, რომელზედაც ისევე დანთებულიყვნენ ორი ფანქრის ამონაქარგი სიტყვის კოცონები. ცაცამ მათ სათითაოდ ფანქრის წვერი გააყოლა და ისე წაიციოხა. ბრძულებ შორის დატოვებულ ადგილზე შეჩერდა. თვალი არ გაუღია ისე რაღაც მოთენთილი შკვინანებით ბოლოში ერთი სიტყვა მიაწერა: „საძაგელი“.

წითელ ფერად აბრიალდა ის ადგილი.

მაშინ ქალის ხელმა სწრაფად შეშტქმნა ის ქალადი, მოიქნია და მაგიდის კუთხეში, წიგნებსა და რეფლუებს შორის მიაგდო.

და თვითონ უცებ საკვირველად გამოიცვალა. სურათად ნახატ შიშველ ქალს დაენსგაესა. გული ვაუმკერივდა. ზედ სასვე ტყენები შეესხენ. ერთი ხელი ცისკენ ალაპყრო, რომელშიაც ფანქარი გჳირა. ფანქრის ნაცვლად მთვარის ნამვალი ჩაუფდა თითებ შორის. მეორე ხელი ბუციელთან მიიფარა. შუბლზე ვარსკვლავი აუციმციმდა და ტუჭებზე ცბიერი ღიმილი. აიწია და მაგიდაზე შესდგა. მაგიდა ყინულის კლდით გადაიქცა და ფსქქვეშ შეებჯინა. ქალი ერთი ფეხის ცერზე შესდგა, მეორე მუხლთან მოღუნა... ამ სახით ჳერიდან ძირს რბევით დაეწეა და იმ მოვარაყებულ ჩარჩოში ჩადგა, რომელიც არჩილის პირდაპირ კედელზე ეკიდა.

ამ დროს საწინელში შუილიანში დასისინებამ შეარყია ოთახი, თითქოს ვილაცა დასტრეს და მკერდით გაღმონთხეულმა სისხლმა მიწაზე ითქრიალაო.

მყისვე ყველაფერი განოაცვია. სიჯრცის ტრიალი შეწყდა. ოთახი დადგა. ბნელი გაპჭრა და ფანჯრებით შენონასხლეტ ანთებული ქუჩის ღამის სინათლეზე თავიანთ ადგილას დილაგებულნი საგნები გამოჩნდნენ.

წარმოდგენა გათავდა.

ლოგინზე არჩილი ისევ პირადმა იწეა, დამბლა-დაცემულივით სახე მოქცეული. პირი დასაყვირებლად ვაეღო და, რაც ძალა ჳქონდა, ყელში მოეკრიბა, მაგრამ ხმის მაგიერ პირადან ზიზღის შხამით დაგესლილი დორბლი ამოუღიოდა...

კარგა ხანმა გაწელო.

არჩილი საბანში გაბვეულიყო. ზედ კიდევ პალტო წამოეხურა. თავი ბალიშქვეშ შეეჩარნა. მაგრამ მანც ცოვოდა და მთელი ტანით ძიგძიგებდა.

ტყინში ცივი არაფრის ნიაეი უსისინებდა. სისხლში კი ყინულის ნაკვეთები მიმოუსხლტოდნენ.

XXXIV

მთელმა კვირამ გაიარა. არჩილი მოკეთებულიყო, მაგრამ მანც ცუდად გრძნობდა თავს. უმეტეს ხანს იწეა. ოთახიდან არ გამოდისოდა.

შესამწნევით დასუსტებულიყო.

მაგრამ გულს რომ ცაცის სახით შხამი უწამლავდა, ის კი მოენელებინა ამ ხნის განმავლობაში და სულის საშიში ფორიაქისათვის თავი დაეხწია.— თით-

ქოს უმძიმესი სახადი საბოლოოდ მოიხადიო, ისეთი სულიერად დასუსტებულად შექმნილად.

ახლა მას უმთავრესად ის აწუხებდა, რომ მოსკოვის დატოვების იდეა თავიდან არ შორდებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ სად და როგორ წასულიყო.—რომ აქ დარჩენა არ შეეძლო და ეს მისთვის უკვე უმინოც იყო, ამისი ეჭვი არ ჰქონდა.

დღითი-დღე დედისაგან ფულს მოელოდა, ბათომიდან რომ მისწერა სასწრაფოდ მომავლევო, ხოლო დიდ-ვასოსაგან ცნობა უნდა მიეღო, თუ რა ბედი ეწია ციხეში მისს სიყრპის მეგობარს, ანდრო ქარივაძეს, რომელიც, ბათომელი ამხანაგების ინფორმაციის მიხედვით, უკვე განთავისუფლებულაც უნდა ყოფილიყო. როგორც ერთს, ისე მეორესაც მკიდროდ უკავშირებდა თავის მოსკოვიდან გაგზავრებას.

ერთი ფიქრით ისევ საქართველოში დაბრუნება უნდოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ დედა ფულს ვერ გამოუგზავნიდა და ანდროც თავისუფალი აღმოჩნდებოდა. მაშინ რალა რუსეთს დარჩენილიყო და უკბო ქალაქებში ეხეტიალნა სხვის ხარჯზე; უმჯობესი იქნებოდა ისევ საშობლოს დაბრუნებოდა და იქ ანდროსთან ერთად სადმე თავი შეეფარებინა, სანამ ამისი შესაძლებლობა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა ანდროს ჰირი ბოლშევის გაენაწილებინა.—მისი ოცნება, რომ ანდროს მოსკოვს ჩამოიყვანდა, თავის-თავად მტყუნდებოდა, რაკი ამ ქალაქიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

მაგრამ უფრო კი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე ფიქრობდა არჩილი. საზღვარგარეთი მას დიდი და სერიოზული მუშაობის შესაძლებლობით იტაცებდა. ხოლო ამ ოცნების განხორციელება უმთავრესად დედისაგან ფულის მიღებაზე იყო დამოკიდებული.

არასოდეს არ მოსწყურებია არჩილს ისე ცოდნის შეძენა, როგორც ახლა წყუროდა. მის შეგნებაში უკვე საბოლოოდ გამტკიცებულყო ის აზრი, რომ იგი ამდენხანს თავის მოწოდების გზაზე არ იდგა და გარემოებათა მიერ იყო რალაც უაზროდ აბურთავებული. ახლა სრულიად შეგნებული ჰქონდა, რომ უკვე დრო იყო გააზრებულ ცხოვრებას შესდგომოდა და წარამარა ენერგია არ ეხარჯნა.

ამისდა მიხედვით იგი ერთგვარ კმაყოფილებასაც კი განიცდიდა, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ საშუალება მისცა რამაძის ჯალს უკვე სამუდამოდ გაჰყოდა და მისთვის ერთი ფიქრიც კი არ გაეცთინა ამერიიდან. ამ გაყრას იგი, რალაც მოსაზრებით, თავისი ახალი ცხოვრების დასაწყისადაც სთვლიდა, რომელიც სულ სხვა გზით უნდა ყოფილიყო წარმართული, ვინემ აქამდე იყო.

არჩილის ფიქრებს მომავალზე, სრულიად მისდაუნებურად, ერთი ახალი მომენტი შემატებოდა, რომელსაც, შალეასთან გზად, გემში, საქართველოს საკითხზე გამართული საუბრის შემდეგ, მის აზროვნებაში ფარულათ განსაკუთრებული იდგილი დაეჭირა. ახლაც ამ მომენტის გარშემო დატრიალებულიყო მისი ოცნებაც მომავალ მუშაობასა და ცხოვრებაზე.



ეს იყო რამაძის „ისტორიული ფილოსოფიით“ მონაბერი სტოლისკეცება, ფრიად ძნელი გასამხილებელი რამ გულისთქმა, აზღენადეუ მარტოა, რომელშიც თვითონ არილიც ვერ კადეუ კარგად ვერ ერკვეოდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყუველთვის კი გულისხმობდა მას, როცა თავის მომავალს ითვალისწინებდა.

არჩილი იღუმალ ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა დამდგარიყო ის დრო, როცა ქართული რასის ძალა, თუ მას ისტორია მართლაც ვერ მორეოდა, თავის შესაძლებლობათ ჭეცენის სააშკარაეოზე გამოიტანდა და თავის ნამდვილ სახეს გამოაჩენდა.

და არჩილს სწორედ ის ეზმანებოდა საიდუმლოდ, რომ იგი ამ ძალის გამოაშკარაეების ერთ-ერთი იარაღი გახდებოდა, ხელისშეწყობი დიდი ხნით დადუმებული ქართული ისტორიის მშობიარობისა, ამ ურთულესსა და უძნელეს თანამედროვე პირობებში.

მისი ოცნება უფრო შორს გაფრენასაც ჰხედავდა.— ეზენებოდა, რომ „გარდასული დიდების მოსაგონარი“ სასწაულის ჯერის დრო უკვე დამდგარიყო, შალვა რამაძის წარმოდგენით საქართველოს რომ ერთხელ-ორხელ ევლინებოდა საუკუნის მანძილზე, ხოლო მის მიმრქმელად თვითონ არჩილი იყო მოწოდებული.

მაგრამ ეს არჩილს ძალიან შორს-გაქანებული ოცნების თვალშეუწევდენელი კამარა იყო, რომლისკენ თვითონაც ათასჯერ ერთხელ თუ გაიხედავდა.

მთელი დღე კი შეტწილად, როცა მარტო რჩებოდა, წიგნებს კითხულობდა. შალვა უნივერსიტეტსა და ბიბლიოთეკებში დადიოდა სამაკადინოთ. მხოლოდ სადილად ბრუნდებოდა სახლში. მას არჩილისთვის ბევრი საინტერესო წიგნი აღმოაჩნდა, როგორც საისტორიო, ისე სალიტერატუროც.

საკვირველი სიხარბით დაწაფებოდა ამ წიგნებს არჩილი.

ხშირად დაათენდებოდა ხალშე ზოგ წიგნზე, რომელიც განსაკუთრებით გაიტაცებდა. შალვასაც კი აკვირებდა, რომელიც ამ მხრით იშვიათად ბეჯითი იყო. ასე მიდიოდა დრო, რომელსაც არჩილი უკვე საათობით ანგარიშობდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩილის მოსკოვს ყოფნა საიდუმლო იყო, მისი ჩამოსვლა და ავადმყოფობა მაინც გაეგოთ მის ძველ ნაცნობებს. სანახავედ მოდიოდნენ.

მათ შორის მეტ წილად სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ზოგი მათგანი ხლაც, ამ რეაქციის დროსაც, აქტურ რევოლიუციონერ მუშაობას ეწეოდა.

ესენი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების ნაშთების აწინდელ მდგომარეობაზე ესაუბრებოდნენ არჩილს, შესაჩიოდნენ დაქაქიქას, რეაქციის მიერ შექნნილ ავტანელ პირობებს, პოლიოკატორების გამრავლებას, საზღუარგარეთთან ნდმივი კავშირის დაქერის შეუძლებლობას და სპ.

მოხებოდა ისე, რომ სტუქრებს ხშირად ერთმანეთში კამათიც აუტყდებოდათ არჩილის ლოგნთან.

ზოგი „ლიკვიდატორი“ იყო, ზოგი „პლუბანოველი“, „ლენინელი“ „მარტოველი“.



უბის ჯაბეებიდან წამდაუწყებ ამოჰქონდათ სხვა და სხვა გამრჩენილი საზღვარგარეთული, ზოგიც რუსეთული.

იყო ციტატების შეხლა-შემოხლა და პარტიული ლიდერების სახელების ხმლებით ტრიალი.

არჩილსაც ეკითხებოდნენ, თუ როგორ ფრაქციას ეკუთვნოდა იგი. ციხიდან გამოქცეული რევოლუციონერისაგან ბეერს რასმე გამოელოდნენ. — „პრესნიაში“ თუ მოსკოვის სხვა მუშათა უბანში იწვევდნენ, სადაც ფრაქციული კამათი „მასებში“ იყო გადატანილი.

მობსენების გაკეთებასაც სთხოვდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო „კაკასიაში“ და როგორი პირობები არსებობდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩასატარებლად.

სტუმრებს ძალიან აკვირებდა არჩილი. მათ ეგონათ, რომ აფრთოვანებულ და ავხნებულ რევოლუციონერთან მოვიდნენ, მაგრამ არჩილი თავისი გამოუცნობი ხასიათის დემილით მათ ყოველ მოლოდინს უტრუებდა. ისეთ სახეს უჩვენებდა, თითქოს მათი ამბავის ახლა არაფერი არ ესმისო.

ზოგი ავადმყოფებას მიაწერდა ამ გარეშობას, ზოგი — ჩამორჩენას ციხეში ჯდომის წყალობით. ზოგს კი, — ნამეტურ გამოკდილებს, არჩილის უადგილო სიჩუმის გარდა, ისიც მეტად საეჭვოდ ენიშნებოდა, რომ მის ლოკინთან გალავანივით ამართულიყო მათი წრის კაცისათვის არაჩვეულებრივი სახელწოდების წიგნების გროვა: რომელსაც კი ვადაშლიდნენ, სათაურიდან უთოვდნენ „საქართვე...“ ეტყობოდათ თეაღში, ხან რუსულად დაწერილი, ხან კიდევ ქართულად.

მაგრამ ამ გეგმებს ახლა არ უშხებდნენ არჩილს.

წასვლის წინ ერთ-ორ ახალ პროკლამაციას შიანიც დაუტოვებდნენ ახალ ჩამოსულ ამხანაგს. ზოგს ლიტერატურასაც ამოუღებდნენ ბალიშქვეშ. შეჰპირდებოდნენ: პარტიის უკანასკნელი ყრალბის „პროტაყოლებს“ ამ დღეებში შემოგიტანათო.

— არ ჩამორჩე, ამხანაგო... წააკითხე და მერე დაგეობრუნეო, — დაუბარებდნენ.

დალილი არჩილი სტუმრებს შეღიმებულ სახის მეტად თავაზიანი გამომეტყველებით გააცილებდა. თავს დაუქნედა მადლობის ნიშნად.

მაგრამ მისი ღიმილი რაღაც ღიმილს არ ჰგვანდა, ისეთი ნალულიანი რამ იყო.

XXXV

ერთ საღამოს არჩილის ბინის კარზე ჩამოირგვა, და შემოსავალში ქალის ხმამ ჯერ შალვა რამაძე იკითხა, მერე ვაბო გაბაშიძე.

არჩილი ჩაცმული იყო, მაგიდასთან ლამპის წინ იჯდა და წიგნს კითხულობდა. — დღეს პირველად გასულიყო ქალაქში. ესეირნა. დილიდანვე ისეთი განწყობილება ჰქონდა, რომ გულს რაღაც მოუთმენელი ლოდინი არ უსვენებდა. ისე ეგონა, რომ რაღაც უეტრად უნდა მომხდარიყო, რაც მის ცხოვრების გზას ერთხელ კიდევ სასწაულებრ ვარდატებდა. ქუჩაში რომ დადიოდა, ზოგი გამეღლი დიდი-ვასოს ან თოვას სახათ ელანებოდა. დროთ ნიკოსა და ანდროს



მოჩვენებას ხედავდა. მაგრამ ისე დაბრუნდა სახლში, რომ სასწაული არ მომხდარა. რაღაც ლოდინის მაწუხებელი გრძნობა კი ოთახშიც შენატოვდა.

როცა ბინაზე ჩამორევს და ქალის ხმა დერეფანში გაიშვილებოდა, ტკბობა უცებ ქალის ხმა ნაცნობი მოეჩვენა. საშიშმა ექვმა ტანში ელვასავით გაუარა. «ეს გაბაშიძე ვინ უნდა იყვესო?» ჩემად იკითხა, სანამ მისი პასპორტის გვარი მოაგონდებოდა.

გამორკვევა ვერ მოასწრო, რომ მისი ოთახის კარზედაც დააკაკუნეს. არჩილს პასუხი არ გაუკვია, ისე გაიღო კარი და ოთახში უცნობმა ქალმა ქუღღში შემაღული თავი შენთკყო.

— შეიძლება?

არჩილი წამოიღგა და უცხო სტუმრისაკენ ნაბიჯი გადადგა.

სანამ იტყოდა „მომბრძანდითო“, მოულოდნელი სტუმარი უკვე ოთახში შემოსულიყო და კარიც მიეხურა.

— არჩილ... უკაცრავად: ბატონო ვაბო... ასე მიმართეო, დამარიგეს... გამარჯობათ... ვერ მიცანიო?

— ჰა... ნუცა!! თქვენ აქ როგორ გაჩნდით?.. სასიამოვნოა თქვენი ნახვა... დაბრძანდით!

— ცაცა და მე ხომ ერთად წამოვედით ქუთაისიდან... მაგრამ თქვენ საიდან გეცოდინებათ: მაშინ ციხეში იყავით...

არჩილის წინ რამაძის ქალის ქუთათელი მეგობარი, ნუცა, იდგა, რომელიც არჩილის კარგი ნაცნობიც იყო.

არჩილმა მცდელი თვალების შევლებით დახვერა სტუმარი.

— მე მეგონა, იწყებო... თქვენს ავადმყოფობას ამბობდენ... არ შეგაწუხებდით, მაგრამ შალვა უნდა მენახა... ცაცამ გამომგზავნა... თვითონ ძალიან ავად არის ეს ორი დღეა... რაღაც გადასაცემი გამომატანა...— ამბობდა ცაცას მეგობარი ქალი და თან ძალიან ცნობისმოყვარე თვალეებით ათვალერებდა არჩილს. შემკრთალიც იყო რაღაც.

— შალვა ახლა აქ არის...— დინჯად უპასუხა არჩილმა და ცაცას შიკრიკს მძიმედ ჩამოხურული სახე დაანახა.

— დიდი ხანი არ არის, რაც წაიდა. სათვისტოში კრება უნდა ჰქონდეს. მალე დაბრუნდება. გნებაეთ, მოუყადეთ.

— როდი მკალია... აქედან ექიმს უნდა გავუარო და ცაცასთან წავიყვანო. თორემ თქვენთან საუბარი ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩემთვის...— უანასკნელ სიტყვებზე რაღაც ორპროვანად ჩაიციან და ისე შეხედა არჩილს, თითქმის კიდევაც მიახვედრა და არც მიახვედრაო, რა მხრით უნდა ყოფილიყო ეს საუბარი მისთვის საინტერესო. მაგრამ არჩილის მოლოდინი სახე რომ დაინახა, სიტყვა უკებ მოსჭრა:— არ შეიძლება, შალვას მაგიდაზე დაუტოვე გადასაცემი?... რომ წოვა, ნახავს... თქვენც ცაცამ დამავალა, პირდაპირ ხელში მიეციო, მაგრამ...განა სულ ერთი არ არის?

ეს რაღაც არტისტულად სიტყვა და დაფარული ცბიერებით ჩაიღიმა.

არჩილს ექვმა გაჰკრა, აქ რაღაც ოინიაო. რაღაცის მოლოდინის წინათგრძნობა რომ ჰქონდა, ის განუხებლდა.

— თუ ხელშია ჩასაბარებელი, ხელში მიიციო... რად უნდა დისტოკოთ?

— რაღაც წერილებია და კიდევ ფული, მგონი... აი, აქ არის გახეთში შეხვეული ყვალაფერო ერთად... ასე გამომატანა... აქ იდევს... რომ წოვა, ნახავს...— გაიმეორა ნუცამ.

— თუ რამე ექვი გეპარებათ...—სერიოზული გამომეტყველებით შეხედულად დაიწყო შალვამ, ვახუშტის კოლოზე.

— რას ბრძანებთ?...—გააწყვეტინა ნუცამ და ამანათი მაგდრაჟი ჩაითქვა — რას ბრძანებთ...—გაიმეორა კიდევ ერთხელ და იქვე განაგრძო: — ნამდვილად, ჩემი მიხედვით, ყოველივე ეს თქვენი უნდა იყოს, ბატონო არჩილ... მაგრამ... ცაცის რალაც არ უნდოდა თქვენი სახელი ეხსენებინა... ჰმ... ალბად არა-ლეგალური რომ ხართ იმით... იქნება, მე არ მენდო...—და ნუცამ კვლავ უცნაურად ჩაიციან.

აშკარა იყო: არჩილს დიდ და საშიშ დიპლომატიან ჰქონდა საქმე.

გაკვირება ვერ დაეუარა. მისთვის ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ ეს მისი ნაცნობი, გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი ასეთი პეტად დახლართული და თან ძალიან შორსაც დამიზნებული აზრის ასე მოხერხებულად და უბრალოდ გამოთქმას შეიძლებდა.

გაოცებულად შეხედა მან ნუცას. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ადვილად გაემხებოდა მახეში, თუ წინდახედულად არ იქნებოდა.

გაწმუდა და რკინის შეწვეალი ნილაბი სახეზე აიფარა.

სანამ ნუცა წავიდოდა, მის პატარა ცბიერ პირს ღიმილი არ ჩამოსცილებია. არჩილს ისე ეჩვენებოდა, რომ ამ ღიმილს ათასნაირი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ერთი, რომელიც სიბრაღეს გამოხატავდა, მის გულს განსაკუთრებით ხვდებოდა... მაგრამ არჩილს ვერ გამოერკვია, ეს სიბრაღელი მის შეეხებოდა პირადად, თუ... ცაცისა და მის განწირულ სიყვარულს.

მაგიდაზე ნუცას მიერ დატოვებული „გადასაცემი“ ჯერ შორიდან ფრთხილად შეათვალიერა არჩილმა. — დარწმუნებული იყო, რომ ის მას ეკუთვნოდა.

„იქნება, ეს იყო, რომ მთელი დღე მოლოდინი მაწლებდაო.“

შეკრული გაშალა. ნახა: შავ სამი წერილი იდგა. ცალკე კიდევ ქაღალდებში მრგვალად გამოხეული მძიმე რამე. ისიც გახსნა. — ოქროს თუმნიანებში თვალები მოსჭრეს.

მოულოდნელობით კანკალი აუვარდა არჩილს.

ახლა კონვერტებს დახედა. — სამივე წერილი მისი იყო.

ჯერ ის გახსნა, რომელიც პირველად ხელში მოჰყვა. იგი დედამისის აღმოჩნდა. იუროგლიფებით იცნო. მაშინვე კითხვას შეუდგა.

„საიმედო, წამდაუწუმ მოსაგონარო, ერთად-ერთო ჩემო შვილო და სიცოცხლო“...

არჩილმა თვალები დახუჭა. ნელ-მარილიანი ნაქერი რამ გულზე დადინდა და გზა მის თვალმისკენ გაიკაფა.

...და სიცოცხლო“. გაუგონრად ერთხელ კიდევ გაისმა საღლაკ.

არჩილმა წერილი ძირს დაუშვა. არ შეეძლო კითხვა განეგრძო. გაყურდა, გრძობა დაიმშვიდა, დაწყნარდა.

შერე ისევ შეუდგა კითხვას.

მოკითხვისა და ათასი კოცნის შემდეგ დედა სწერდა, რომ ამ გამად სამს მანეთს უგზავნიდა. ერთ თვეში კიდევ სამასს გამოუგზავნიდა. არჩილის მამის დიდი საჯინბო გაეყიდნა და ეზოს გარედ მდებარე ერთი ნაქერი მიწა.

გარიგებული ფასის ნახევარი მიეღო და ნახევარის გადასახდელი ერთი თვის ვადა მიეცა მუდგელისათვის. არჩილს სთხოვდა: „აქ ახლოს, ჩვენი დადგენი- შვილო, უცხოეთში წადი. ჩასაცემელი კაბაც რომ არ დამტყუებს, სწორედ მო- გაკლებო“.

წერილის ბოლოში ათზე მეტი ქალისა და კაცის სახელი იყო მოხსენებუ- ლი—ნათესაეები, შინაურები, მეზობლები—რომლებიც არჩილს გულითადი სი- ყვარულით მოიკითხავდნენ. მაიკოს შესახებ არჩილის დედა ცალკე იტყობინე- ბოდა: „თავისი სიგრძე სანთელი მაიკო მთავარანგელოზს შეჰპირდა, წყილო, შენი მშვიდობით გადარჩენისათვის“.

კერას კომლივით შემოეხვია მოგონება არჩილს. სკამის ზურგზე გადაწვა- კლავ თვალები დახუკა... სულ რამდენსაშე წუთში ზოიარა თავისი დავიწყებუ- ლი სახლი, ეზო... განსაკუთრებული ყურადღებით შამის საჯინბო დაათვალიე- რა, რომელიც დედას გაეყიდნა მის გულისთვის—გულს დააქლდა.

ქარგა ხანს იყო სოულით გართული.

მერე ისევ ნუცას მოტანილ ამბაათს დაუბრუნდა. ორი სხვა წერილიც უნ- და წაიკითხა.

მეორე კონვერტი გახსნა. შაგრამ შიგ წერილი ვერ იპოვნა. თითები შეა- ფათურა კონვერტში. წერილი მანაც არ იყო. მაშინ შიგნით ჩახედა. —წიგნში ნაღები ვარდის ფურცლის ოდნად დაკეცილ ქაღალდს მოჰკრა თვალი. გამოა- გდო. გაკვირვებით დახედა ზედ. გაშალა.

დაწერილი მის საკუთარ ხელს ჰკავდა. გაოცდა. პირველი ორი სიტყვა წაიკითხა.

უცებ ფერი ეცვალა: ეს ის, მისი მეხსიერებიდან ამოვარდნილი, წერილი იყო, რომელიც მან ქეთაისის ციხიდან შალვას ხელით ცაცას გაუგზავნა.

თვალებს არ უჯეროდა არჩილი. რამდენიმეჯერ წაიკითხა უცნაური დოკუ- მენტი. ეწერა:

„ცაცა, ციხეში ვზივარ და ცოდვებს ვინანიებ. ძალიან ბევრი მქონებია. უდიდესი ცოდვა შენს წინაშე მიმიძღვის. ახლა უნდა გაგიმღაენო: ამდენხანს სულ გატყუილებდი და სხვა მიყვარდა. შენ მხოლოდ შორეული ეჭვი გქონდა, თუ ფოთს რატომ თავს არ ვანებებდი. ახლა გთხოვ, ეს ცოდვე და შენი გზა მონახო. ჩემი სხვა მხრით მიდის. არჩილი“.

კი, ეს არჩილმა დასწერა, როცა ცაცას გაშორება გადასწყვიტა ციხეში.

ერთხელ კიდევ წაიკითხა.

უკებ გულთან რაღაც შეეწმრა და მის ცნობიერების კარზე საშინელი დანაშაულის გრძნობამ დააკაუნა.

მაგრამ ეს იყო ერთი წამის ამბავი. —მან ისევ ვადა-არა არჩილს.

—მერე რა? —თითქოს უნებლიე გრძნობის ამტყვევლება დაფარაო, ბრმის სიჯიფტით წარმოსთქვა მან. —ცაცამაც ხომ მეისევე სხვა გზა მონახა... —ალ- ბად, ვაგის მოყვარული ვინმე ქალი იყო... —ეპიფორი მოთხრობის დასასრულის მიუდგომელ კილოზე დაასრულა საკუთარი თავის დასაჯერებლად და წერილი გა- ნზე გადააგდო.

როგორც მაშინ, როცა ციხეში ამ წერილის ტყუილს თხზავდა, ვერ წარ- მოედგინა, თუ რა საშინელებას სწერდა ცაცას ტემპერამენტის მქონე ქალს, ისე ახლაც ვერ გაეთვალისწინებინა, თუ რამდენად დანაშაულები იყო იგი ცაცას

წინაშე. მაშინაც და ახლაც იქების ტყეია ესა გულის ყურში და მისგან არ-
ბიერება დახშული ჰქონდა...

ლუკანასკნელი წერილი გიხსნა. იგი დიდი-ვასოსივან იყო. *პარქენული*
ეს რა დიდი დღე გამოთენებია! — წარმოსთქვა ხმაალს *ლუკანასკნელ* კა-
სოს წერალის კითხვას შეუდევბოდა, ოთახში ვაიარ-გამოიარა, რათა მკითხედ
მაინც დაშვიდებულყო.

ვასოს წერილი დასაწყისშივე იყო დათარიღებული. არჩილი პირველად
იმან გააკვირვა, რომ დიდი ვასო ბაქოდან იწერებოდა.

წერილი ასე იწყებოდა: „აბა, ვაბო, დღეს რომ ამ ჩემ წერილს მიიღებ,
ხელ თუ არა, ხელზევით მაინც. მანდ შენთან; ბათომილამ მოწერილი მისა-
მართით, ჩვენი თონა გამოიელის. საზღვარგარეთ მიემგზავრება. არ გაგიკვირდე:
ბაქოს ორგანიზაცია გხაენს. შენთვისაც პასპორტი მოაქვს და გზის ფულიც
ცოტოდენი. გირჩევ, ძმაო, წახვიდე თომასთან ერთად. ახლა აქ საქმეა
არა ხარ“.

ქუთაზე არ შეეცდო, არჩილმა შებლი და მერე თავი გაისინჯა. თვალბ-
ზედაც ხელი შეისვა. — სიზმარს ჰგავდა ყოველივე.

მერე ვასო იმას იუწყებოდა, რომ ის იძულებული იყო ქუთაისი დროებით
დაეტოვებინა და ბაქოს წასულიყო. „ქუთაისში თქვენს მერე ძალღან ამიჩემეს
და უთუოდ დამიქრდნო.“

საერთო მდგომარეობის შესახებ ზოგადად სწერდა. მხოლოდ წერილის
ბოლოში აწვდიდა არჩილს მოკლე ცნობას ხიკოსა და ანდროს შესახებ.

„ეს არის, ბათომილან წერილი მივიღე. ამხანაგები შენდა საცნობებლად
იწერებინან. რომ ნიკოსა და შერს ძიძის ზვილს ადმინისტრაციულ წესით ციმ-
ბირში ასახლებენ, და ამ განაჩენს მთაურობას ევრაფრით ვერ შეაკვლივინე-
ბენ... უარესი იყო მოსალოდნელი. ნიკოს უთქვამს: რუსეთში არ ეყოფილვარ
და სიბოვნებით წავალო“.

არჩილმა ეს ადგილი რამდენჯერმე წაიკითხა.

— დანეკარგა ჩემი ანდროც... — ეს-ლა სიტყვა ბოლოს და იმდენი ნაღველი
ამოაყოლა ამ სამ სიტყვას, რომ მისგან თვალბების გუბე ტრემლით აეცხო.

გვიან იყო.

არჩილი ისევ მაგიდას უჯდა, გულზე ხელზე-დაკრეფილი. წინ მიღებული
წერილები გაეშალა და ზედ გადათვლილი ოქროს ფულები დაეწყო.

თითქოს ნერვებით ფიქრობსო, ისეთი სახე ჰქონდა.

შალვას მოსვლას მოუთქვნიდად მოელოდა, რომ დღევანდელი საკვირველი
ამბები მისთვის ეწვეებინა და თავის განცდებიც გაეზიარებინა. მაგრამ მისი მე-
გობარი აგვიანებდა.

ბოლოს, შუაღამე იქნებოდა, როცა ზარი ჩამოირეკა. ასე გვიან სხვა
მდგურებთავანი არაეინ არ ბრუნდებოდა. უთუოდ შალვა უნდა ყოფილიყო.
არჩილი თვითონ წავიდა კარის გასაღებად.

შერთალად განათებულ დერეფანში ორი კაცი შემოვიდა.

— აბა, თუ იცნობ ამ კაცს, არჩილ? — მიმართა შალვამ მეგობარს და წინ
ვილიც მაღალი, ევროპულად ჩაცმული, წვერულვაშებ-გაბარსული უჯნობი დაუ-
ყენა.

არჩილს მართლა ეგონა, რომ შალვას გარდა სხვა ყოველივე აქ მისი მო-
ჩვენება იყო, მოლანდებმა, რაც სრულიად არ უკვირდა ამ ხალამოს განცდების
შემდეგ.



გააკვირვა და შეაშინა მხოლოდ ამ მოჩვენების ნამეტანმა სიკვდილმა, რეალობამ.

— შემოდი, შალვა, ოთახში! — შიშ-დაკრული ხმით მუქარაღიქვანულ შალვას და თვითონ პირველი მიბრუნდა ოთახისკენ, თითქოს აქ არაფერი იყო და შალვას სხვა ვინმე სახლში წამდელიად არც შემოყოლიაო.

— კაცო, შენ უცხო სტუმარი ვიბატიყე...

როცა არჩილმა შესამოწმებლად ახლა პირი ისევ სტუმრისკენ მიიბრუნა, ის მოჩვენება ისევ მის ალაგას იდგა, არჩილს სახეში შესტკეროდა და უცინოდა. ვითომ თომა იყო.

— კაცო, არ გჯერა კიდევ?.. — გაცხარდა ახლა შალვა. — თომაა, თომა!

მოჩვენებამ ახლა ხელები ფართოდ გაშალა და ბავშვივით შეშინებულ არჩილს მკერდს მოხვია, გულში ჩაიკრა.

— არ მომელოდი, ბიჭო?.. ვასოს წერილი არ მიგიღია? — ეკითხებოდა იგი არჩილს.

— მეც დიდხანს არ დავიჯერე... გვიან იყო, ცაცხთან რომ შევიარე. უნივერსიტეტში შემატყობინეს, ავად არისო. მივედი: ვიღაცა ზის მისთვის მაგიდასთან. ექიმი მეგონა... როცა ვეცანი, ისე ვიყვირე, რომ ავადმყოფს კნალამ გული გაუსკდა... კარგია, გეყოფათ ხვეწა, ოთახში შემოდით. — და შალვამ ხელის მოსმით მეგობრები ოთახში შეიყვანა.

— მართლა, არ მიგიღია ვასოს წერილი? — გაუშეორა არჩილს კითხვა თომამ, როცა კიდევ შენიშნა, რომ მისი მეგობარი ახლა ლამის სინათლეზე კვლავ ეჭვით ათვალეირებს მას.

— სულ რაღღანიმე საათია მხოლოდ, რაც მივიღე...

— მაშ მე ხვალ უნდა გამოვცხადებულოყავი შენთან... კეთილი, წაგალ, ბატონო... ხვალ რომ მოვალ, ვასოს წერილი მაინც მიგახვედრებს, რომ თომა ვარ... — იოხუნჯა თომამ და თითქოს მართლა წასვლას აპირებდსო, კარისკენ დაიხია...

ის ლამე ისე გათენდა, რომ არც არჩილის და არც თომას თვალებს ძილი ახლოსაც არ მიჰკარებია. არ ეძინა შალვა რამაშესაც.

ნაჭირნახულევი მეგობრების ფიქრი და გონება მთელი ლამე იმას დასტრიალებდა შეუსვენებლად, თუ რა ბედსა და თავგადასავალს უშვადებდა მათ ახალი ცხოვრება, რომელიც წინ ედგათ.

ფიქრობდენ. ოცნებობდენ. ანგარიშობდენ.

— ამ ზაფხულს მეც იქ მომელოდეთ... უთუოდ გეწვევით. — ვერ მოითმინა შალვამ და ისიც ჩაერია მეგობრების ოცნებაში.

ისე გათენდა...

— მაშ, ძვირუფასო თომა, ვათაუდა ყოველივე, რაც აქამდე იყო?.. ამდენი ბრძოლა... ამდენი სისხლი...

— ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ, არჩილ... ბრძოლა და სისხლი ჯერ კიდევ მოგველის...

— ჩვენი სისხლიც ბოლოს თავისას გაიტანს, არჩილ... იცოდე, საქართველოს ისტორიის ცაზე სასწაულის წინამორბედები ერთებიან...

— როდის იქნება ჩვენი დაბრუნება, თომა?

— როცა ვაგიმარჯვებთ...

(დასასრული პირველი წიგნისა.)

ნიუ-იორკის ფარადები

ჩემი ოცნების ძალაში

იგი უხმო იყო, ჩემი ოცნების ქალაქი, სულ მარმარილოდან გამოთლილი და დიადი. შეიძლება ეს იმიტომ იყო, რომ მაშინ მე არაფერი ვიცოდი ადამიანთა მასების შესახებ, სილატაკეზე და იმ ქარიშხალზე, რომელიც ცხოვრების გზებს აფორიაქებს. ის ქალაქი საოცარი იყო—უზარმაზარი, მშვენიერი და მკვდარი. თუჯის სუბუქი ხიდები იქ ჰაერში დაკიდებულიყო. ქუჩები ხევებსა ჰგავდა. კიბის თვლები მშვენიერ მინდერებისაყენ გიტაკებდნენ, რომ შემდეგ ჩაეყვანებთ საოცარ სიღრმეებში, სილაც უსაზღვრო მდუმარება სუფევდა. იქ იყო ბილუბი, ყვავილ-ნარები და მდინარეები.

და აი, ოცი წლის შემდეგ იგი სინამდვილეში წარმომიდგა თვალწინ, თითქმის ისეთივე მშვენიერი, როგორც სიზმარში—მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მასში სდულდა და გადმოდიოდა სიცოცხლე. მასში შეერთებულიყო ოცნება, ალტაცება, სიტკბოება, საშინელება და წყევლა. მის ბილიკებზე, მოედნებზე, მიწის ქვეშა გზებზე მიჰქროდა, ჩქეფდა და წვეთავდა მრავალი ცოცხალი არსება, რომელსაც არ იცნობდა ჩემი ოცნების ქალაქი.

ნიუ-იორკში მე ყველაფერზე უფრო მაინტერესებდა მაშინ, მაინტერესებს ეხლაც—(როგორც ყველა სხვა დიდ ქალაქში, მაგრამ განსაკუთრებით ისეთ უზარმაზარში, როგორცაა ნიუ-იორკი)—ის მძაფრი წინააღმდეგობა, რომელიც არის ყოველდღიურსა და საზეიმოს, ძლიერსა და სუსტს, მდიდარსა და ღარიბს, ბრძენსა და უფიცს შორის. შეიძლება, ეს დაპირისპირება განსაკუთრებით მძაფრად შეჩვენებოდა მე მეტად მრავალ თვალსაჩინო მაგალითთა სიმრავლას გამო, რადგან, ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობა ყველგან ერთი და იგივეა. მაგრამ აქ ჩემ წინ მეტად უხვი არჩევანი იყო: აქ ძლიერი მართლაც ძლიერი იყო, სუსტი—მართლა სუსტი, მეტად სუსტი იყო... და ესენი მეტად ჰარბობდნენ.

მე ოდესღაც ვიცნობდი ერთს საწყალს, თითქმის ჭკუიდან გამოსულ, ბეჩავ მკერავ ქალს, რომელიც პაწაწინა, სიგრძით სამადლიან „ღგამით მოწყობილ“ ოთახში ცხოვრობდა, მივარდნილ ჩიხში და სადილს თითონვე ამზადებდა სპირტის ქურაზე.

— მე მირჩენია ამ ბოსელში ცხოვრება ოღონდ ნიუ-იორკში გიყო, ვიდრე ხუთმეტი ოთახი მქონდეს სადმე პროვინციაშიო, — მიიქრქვინებოდა და მის უფერულ პატარა თვალეზში ანთო ისეთი ცეცხლი, ხმამაღლა მისი მინახავს მითში არც მინამდე, არც შემდეგ. იგი ცოტა რამეს კიდევ შოულობდა ქალღმრთელ მარჩიელობით, ჩაის ფოთლებზე და მოდულბუღ ყავაზე ბედის დაკითხვით და სიყვარულზე და სიმდიდრეზე მოუთხოვობდა ისეთსავე საცოდავ ქმნილებებს, როგორც იყო თითონ და რომელთაც თავის სიცოცხლეში არ ეწყრათ არც ერთის და არც მეორეს გამოცდა. ქალაქის ფერადები, მისი ხმაური და ბრწყინვალეობა საქმარისი ჯილდო იყო მისი სიცოცხლის ყველა სიმწარისათვის. და განა მე თვითონ არ ვგრძნობდი მთელ ამ დიდებულებას? ან ესაა კი არ ვგრძნობ? ბროდვეი და ორმოცდა მეოთხე ქუჩა გაზაფხულის საღამოებზე, როცა მოსერიანეებით სავსეა ქალაქი, როცა ყველა მაღაზიების კარი ღიაა, და რესტორანების ფანჯრები ისე ფართოთაა გამოღებული, რომ გამეღელეს შეუძლია თავისუფლად შიგ შეიხედოს...

აი ის — დიდი ქალაქი, მათრობელი და საოცნებო! მისისს ან იენისის მთვარე ვერცხლის დისკოსავით გადმოკიდებულა მაღალ კედლებ შუა. ასი ათასი ელექტრონის რეკლამა ბრწყინავს და კაფობს. საზაფხულოდ გამოწყობილ თეთრ ქულა მოქალაქეთა და ჩამოსულთა ნიაღვარი. მიდის ტრამვაები და დაუღალავათ გადააქვთ თავისი ტვირთი. ტაქსი და კერძო ავტოები ბრწყინავს ბუზბივით რომ მიჰქრან. გაზოლინის მაგარი სუნია... ცხოვრებას ქაფი ასდის, იგი ბრწყინავს და მხიარულ სისულელეს ტიეტეებს. ასეთაა ბროდვეი.

და მეხუთე აგენიუ, ეს ბრწყინვალე, მომღერალი ქუჩა — ზამთრის, ზაფხულის, შემოდგომის ან გაზაფხულის საღამოებზე? რას შეუძლია ისე ცხოვლად მოგაგონოთ გაზაფხულის მოახლოება, როგორც მეხუთე აგენიუს ვიტრინებს, რომელიც იანეარში, თებერვალში და მარტში გესაღმებათ თქვენ ყველა ფერის და ნახატის უმსუბუქეს ამბრეშუმის ქსოვილთა სიუბვით?

ნოემბერში კი მეხუთე აგენიუ გიმღერებთ თქვენ პალ-ბიჩის და ნიუპორტის, ტროპიკების სიხარულის და თბილი ზღვის წესახებ. ენკენისთეში ბეწვეულის, მაუდის და ბალის ტანისამოსების გამოფენა გეუბნებთ მოახლოებულ თოვლზე, ქარიშხალზე და ყინვებზე, რომლებიც დადგება ათი დღის შუქდევ იმისა, როცა თქვენ დაბრუნდებით საზღვაო ბანაობიდან და მთაში სეირნობიდან. როდესაც ამ სურათებს შეყურებ, შეიძლება იფიქრო, რომ ყველა ცხოვრობს სიმდიდრეში, სიხარულში და უკლებლობაში. მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ საზოგადოების დიამეტრი — რსი — გამარჯვების მაღალ ხეების ძირში დარდილულ მცენარეთა საშინელი ბრძოლა, ლატაკი ოთახები, სადაც ბინადრობენ მეოცნებენი და მოწყურებულნი...

მე ხშირიად ვფიქრობ პატარა აღმართების მასებზე, იმ ახალგაზრდა ვაჟებზე და ქალებზე, რომელთაც არაფერი გააჩნიათ გარდა სიყმაწვილისა და პატივ-მოყვარეობისა და რომელთა გულის-ყური უოველ დღე, ყოველ წუთში მიმართულია ნიუ-იორკისაკენ და ეძებს მოწვეულ დიდების აჩრდილს, სიმდიდრეს და სულ ცოტა კომფორტს და უზრუნველყოფილ ცხოვრებას მაინც. ო, ეს

ახალგაზრდა ხარბი მზერა, რომელშიაც ჩაქსოვილია ქალაქის სახარბილო დაპირებები. მე ვფიქრობ ქვიცნად გაზნულ ყველა კაცზე და ქალზე, რომლებიც მოხს დუქნებში, მაღაროებში, ბანკებში, კაბინეტებში—სადღაც, ნიუ-იორკიდან შორს... მათი ერთად ერთი მისწრაფებაა—როგორმე იშოვონ ადგილი და იმდენი ფული, რომ საშუალება ექნეთ გადავიდნენ ნიუ-იორკში და დააჩვენონ იქ—ქალაქთა შორის ამ საუკეთესო ქალაქში, ფუფუნების და განცხრომის ამ საკურთხეველში.

რანდენი ილიუზია, რა ღრმა და წარმტაცი ჰიპნოზია! უძლიერესი და სუსტი, ბრძენი და ბრიყვი—ყველა მოწყურებულია შესვას ეს მომჯადოებელი სასმელი, რომელნიც ნეტარებას და დავიწყებას უქადის. მე ყოველთვის მაკვირვებდა ეს მზად ყოფნა რაც გინდ დიდი ფასის ვალებსა ამ მოწხამულ სასმისიდან ერთი უღაპის შესასვამად. სილაპაზეცნადაა შესწიროს მთელი თავისი მოხიბულის ძალა, ძალა-უფლება ჰყიდის, რაც შეუძენია და რაზედაც ბატონობს, სიყმაწვილეს არ ენანება თავისი საუკეთესო წლები, ოცნება და იმედები დიდებისა, დიდება და ძლიერებას დავიწყებია მთელი თავისი ღირსება, სიბერეს—არ ახსოვს მოსვენება—ოღონდ მიიღონ ამ სიმდიდრის პაწია ნაწილი მაინც, ეზიარონ ამ სიცოცხლის ათრთოლებულ რიტმს, დასტკბენ მის მშვენიერ სანახაობით, ნუ თუ თქვენ არ გესმით მათი ვალობა, რომლითაც ისინი ქებას უმღერიან ქალაქს?

წ ა ლ ბ ა

მე რომ წინადადება მომცენ ავირჩიო თემა, რომელიც იზიდავს ჩემს შინაგან თვალთახედვას, უსათუოთ შეგწერდებოდი ნიუ-იორკის ღოკებსა და ნავთსადგურებზე. თქვენ ვერსად ვერ იპოვით უფრო აფერადებულ და გამამხნეველ სიცოცხლის სურათს და მასთან საოცარ სილაპაზის ჩარჩოში ჩიყენილს.

მე ყოველთვის წრფელი გულით მქონდა წარმოადგენილი, რომ მეშები და საქმის ხალხი, რომელიც თავისი პროფესიით დაკავშირებულია ნიუ-იორკის ამ ნაწილთან, ბედნიერი აღამიანები უნდა ყოფილიყვნენ. უფრო საფიქრებელია ალბათ, რომ ეს ასე არაა, მაგრამ რა შეიძლება იყოს იმაზე საინტერესო როგორცაა ეს გრძელი, საქონლით სავსე ნავთსადგურები, რომელსაც ძირს ეფინება დაულაღავი ტალღები მდინარისა? უისტლერს განსაკუთრებით უყვარდა ასეთი სცენები. ისინი მომეძებებს ახდენდენ მის ოცნებაზე, მისი ხაზის და უკანა არეს შეგრძნობაზე. შეხედეთ მის პატარა ნავების სადგურების ეტიუდებს ლონდონის ტუშაზე და თქვენ მიხედებით, თუ რა ღრმად გრძნობდა ის სილაპაზეს იმისას, რასაც ასახიერებდა, თოკების და იალქნების ხლართი. უსაქმო შენავეების წარმოსადეკი ფიგურები. მომხიბლავი ნახაზები სახლებისა უკანა არეზე და წყალი.

რა რიგ ჩქევს და ლელუნებს რგი, როცა ხიდის ბურჯებს, წყალში დასობილ სვეტებს და გემის პირებს ღოკავს! თქვენ ნაპირზე თლილი ქვის ნავთსადგურზე დგებართ, რომელზედაც მიჰქრიან ეტლები და აეტოები და გრძნობთ, რომ ეს სადგურის ნაპირები მგვარ მასალიდანაა შეკრული და მრავალ წელს



გაძლებენ. თქვენ ფეხქვეშ კი წყალია, ეს ბნელი უხმოდ მიჭრჭრეულნი დალიარი, რომელიც არხვეს დიდ და პატარა გემებს, მიღის და ისევ სტეპეში იხრება. აი მან გემი მოიტანა, აი კიდევ — ბურბუშელა. პომიდორის ტომატის ვესტის ცარიელა კოლოფი ზანტად დახტის ტალღებზე და მას შემდეგ თქვენი თვალის ხედვის არეში გამოჩნდება ბროტინით და ქოშინით საბუქსირო გვი და უკან კიდევ — დიდი „საოკეანო“, დოკნი მიმავალი, უკრო ახლოს — დაბმული ნავები; რა სიმშვიდით ირხვეიან ისინი ზაფხულის მზის სხივებში. არც სინქარე, არც ალელევა. მხოლოდ წელი რხევა. და მაინც მიუხედავად ამისა, ყველაფერი რასაც თქვენ ხედავთ, თანდათან წავა. ერთი საათის შემდეგ თქვენ რომ გემი დაინახეთ ორი-სამი მილით დაბლა იქნება. ერთი თუ ორი დღის შემდეგ თქვენი „საოკეანო“ ატლანტიდის ოკეანეს ტალღებში გაიკურვებს, და კიდევ რამოდენიმე დღის იქით — წყნარ ოკეანეში იქნება; საბუქსირო, რომელიც თქვენ ეხლა დაინახეთ რომელიმე სხვა ბარჯას წაათრევს ან და ნავთსადგურთან გაჩერდება და თავის ბრტყელ ცხვირს მიაბჯენს ტეის ნაპირს — საკვირველ კოთხიდან მომდგარი. ნუ თუ ეს მომხიბვლელი და რომანტიული სურათი არაა? ნუ თუ მასში განსახიერებელი არაა გარდამავლობა ყოველივესი: თქვენი, ზემი, ყავლაფრის? რაც შეეხება დიდ ნავთსადგურებს გულშონზე, ისტრეიერზე, დერესში ბრაუკლინზე და სტენტენ-აილენდზე, სადაც საოკეანო გემები ისვენებენ — მე არ შემიძლია წარმოადგენა სხვა უფრო კოლორიტულ რამესი. ეს უზარმაზარი გემები ქვეყნის ყველა პორტებიდან მოდიან აქ. იმათ სასწაულისებური ტვირთი მოაქვთ და მათ ემსახურება აუარებელი ხალხი, იმათ გარდა ვინც სკლიან და ტვირთავენ. თქვენ რომ ნავთსადგურიდან თვალი ადევნოთ ამ გემებს, არ ვაგიჭირდებათ იმის თქმა, თუ როდის ტვირთავენ მათ ან როდის სკლიან. ნავთსადგურთან ახლო ფართო მოედანი მთლად სავსეა ხალხით, რომელიც ემებს სიმუშაოს და ელის დაძაბილს. ეს ბრბო, დროგამოშვებით მეტად სქელი, ძალიან სინტერესოა. იგი სულ მუშებისაგან შესდგება. უდიდეს შემთხვევაში იმათ უხეში, დაუნძრეველი ტანი აქვთ, მგარი ხელები და სახე, ზოგი მათგანი გაშავებულია ნახშირის მტვერით — ისინი ტვირთავენ ნახშირს ან გემის მუკელში მუშაობდნენ, სხვები შენურულია მტვერით და დაჰყრია თივა — ესენი ათრევენ ტომრებს და ყუთებს. ეს ადამიანები მოკლებულნი არიან ანალიზის უნარს და სავნებს ითვისებენ ისე, როგორც ხედავენ. ისინი არც მონები არიან თავის ხელობის, რადგან ხომ არ შეიძლება ხელობა დაერქვას ტომრების, ყუთების თრევას „სტაროსტა“ თვალ-ყურის ქვეშ: ალბათ, იმათ წარმოდგენა არ აქვთ ცხოვრების სოციალურ და ეკონომიურ წყობილების და იმ ადგილის შესახებ, რომელიც მათ უჭირავთ ცხოვრებაში. იმათ იციან მხოლოდ, რომ ისინი მღუშები და, როგორც ასეთები, სრულიად დამოკიდებული არიან დამჭირაველის ყოველნაირ სურვილისაგან. ისინი სხედან ან დგანან მოედანზე, როგორც ჯოჯი, და ელიან, როცა ბედნიერი შემთხვევა მოიწვევს მათ საშუაოზე. თქვენ დაინახავთ იმათ წვიმიან და მზიან დღეებში, ცივ და ცხელ ამინდში. ხანდახან ისინი გაეხმაურებიან ურთიერთს, ხან ლაბარაკშიც ებნებიან, ან კიდევ სხედან და სხედან ლოდინში. და წყალი კი, რომელთანაც ისინი ასე მიქიდროდ არიან და-

კავშირებული და რომელიც აძლევს მათ ცხოვრების საშუალებას, მინდინარეოსს. მე ხშირად ვხედავ, როცა ჯანღონით სავსე, თავის თავის ფასის მკაფიანად უსტა-როსტა“ გამოდის რომელიმე შენობიდან ნავთსადგურში და კვირის-ღერადეში უსტა-ლის ქნევით გამოუძახებს ბრბოდან რამოდენიმე კაცს. თორმეტობდ მუშა წა-ზოდგება და კითხვის ნიშნით შეურებებს მას, უხმოდ და ზორჩილად, როგორც პირუტყვი. ის კი მათში არჩევს, უკუ ავადებს ერთს, რომელიც არა საკმაოდ ღონივრად ეჩვენა მას, ან და მოხდენილად და თან წყალობის ნიშნად ხელს ადებს მხარზე მეორეს. შემდეგ მოტრიალდება და მიდის. დარჩენილები სდუმან. როგორც ეტყობა, ისინი იმედ გაცრუებულნი სდგანან. მე ყოველთვის შემინი-შნავს, რომ იმათ ნაწყენი და დაბეჩაყებული გამოხედვა აქვთ. ისინი სველიანი არიან, რადგან არაფრით არ შეუძლიათ თავის შევლა, მაგრამ მზად არიან ელოდონ და ელოდონ.

მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ეს სცენა ყოველთვის აღტაცებას მგერი-და მე. დილას მზე ტყდება ტალღებზე, ჰქრის თავისუფალი ქარი, ყვირი-ლით ჰქრის თოლიები, წყალზე დარბიან თეთრი ცხვრები, თავს იყრის აუარე-ბელი ურშები და ფურგუნები ტვირთით, ცხოვრება იღვიძებს და სჩქეფს წყა-როსაგით. შეუდღისას—მრავალი ხალხი ლურჯ ხალათებით და შავი პირისახით უქმად სდგას შვის სხივების ქვეშ და ნავთსადგურის ბნელ არეზე ცხოველფერა-დებით იხატებიან. ღამე—სანათურები ირხვეიან და კიაფობენ. მალლა თავზე—ბნელეთი და ვარსკვლავები.

ხან და ხან მე მგონია, რომ არც ერთ ადამიანს ისე მოხდენილად, სწო-რედ და დახვეწილად არ გადმოუტია წყლის სიჯადოვე, როგორც ინგლისელ ტერნერს. როცა უყურებ მის ტილოებს მათი ოქროს შვის ჩასვლით, ლურჯი ცით და ნისლის კვამლით, იგივე წყლის ნამდვილ არსს, ეს ადამიანი ზედადა მას ისევე, როგორ უისტლერი, მაგრამ ის გადმოგვეცემდა თავის გრძნობებს უფრო მდიდარ ფერადებით—ოქროს, წითელი, ვარდისფერ, მწვანე და ლურ-ჯით. და მას უისტლერზე უფრო უყვარდა ჰაერი. თქვენ, ალბათ, იცით მისი სურათი „The Fighting Temeraire“. ნიუ-იორკის ნავთ-სადგურში თქვენ შეგიძლიათ ყო-ველ მზიან დღეში იხილოთ იგი. ქარი დამცხრალია, მზე ოქროს ნიაღვარივით ასხამს თავის სხივებს აღმოსავლეთის ჯებირს, ელექტორის მალალი შენობები და ქარხნის საკვამლე მილები დასავლეთის ნაპირებზე ჰქმნიან ისეთი სილამაზის ხაზებს, რომელსაც ვერც ერთი მხატვარი ვერ გაუძღვება. მოლივლივე წყალზე, ოქროთი და ვერცხლით იხატება საღამოს სინათლეზე და მოდის დიდი გემი. მისი საკვამლე მილები და ანძები, დაფერილი ოქროთი იწვიან და ბრჭყვილე-ბენ. იგი მიტურავს საკვირველ და აბრწყინებულ ცის არეზე, რომელზედაც უსწორო ნაქრებათ გაბნეულა სისხლის ფერი და ოქროს ღრუბლები. ეს არის „The Fighting Temeraire“ თქვენ იმ წუთშივე იცნობთ მას. მხოლოდ ესლა იგი მიტურავს არა ტეშაზე, არამედ გუდზონზე.

ცის არე, გემის ანძები, მზე, წყალი—სულ იგივეა. და თვით გემიც, ვგო-ნებ იგივეა, და მზე ისე ფერავს მას, როგორც იმ დღეს, როცა იხატებოდა ის სურათი. ინათებიან ვარსკვლავები, მოსჩანან ანძები, რომელზედაც კიაფობენ



პატარა სინათურები, წყალი ბუტბუტებს და ევლება ბურჯებზე და მკვებებს. გრილი ქარი ჰქრის, სიზმე მეფდება დილაშდ, პერი წყობის სიკრზე კვლავ ხდება სურნელოვანი და სუბუქი. კვლავ სიახლე და შეება. ასე მიმდინარეობს და მიდის წყალი, ასე მიმდინარეობს და მიდის მისი სიციცხლე, ასე მიმდინარეობს და მიდის ჩვენი სიციცხლეც.

მ რ ხ ე ბ ე ე ბ ი

ყოველთვის, როდესაც მე მოხეტეებზე ვფიქრობ, უთუოდ მომაგონდება წარსული დროის გენიალური კომიკოსი ნატ უილსი. იგი ყოველთვის საშინელ ძონძებში შემოსილი გამოდიოდა, გაშიშვლებული მკერდით, სრულიად არ ეცვა თეთრეული და ფეხებზე ვეებერთელა დაგლეჯილი ჩექმები ეცვა. თავზე დახვრეტილი ჰილოფის ტუდი ეხურა, რომლის ნახვრეტებიდან იზურძვებოდა თმა. შარვალი თოკით ჰქონდა მიმაგრებული. მაგრამ მის სახეს უნეტარესი ღიმილი ამშვენებდა. და ორატორის პოზით იგი წარმოსთქვამდა ხოლმე:

— ხუთმეტი წლის წინათ მე საცოდავი, ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული, იმედდაკარგული მოხეტე ვიყავი. ღამეს ვათევდი პარკში, არ მეცვა არც პერანგი და არც ჩექმები, ჩემი ტუდი ნაფლეთებათ იყო ქცული. არც გასაპარსი, არც აბანოსთვის, ან ღამის გასათევი გროში არ მომეპოებოდა. არც საქმელი! არც სახლ-კარი!—დაგლეჯილი და გაცვეთილი შარვალი თოკით მეჭირა. მაგრამ (აქ, ის დრამატიულად გულში მუშტს დაიკრავდა)—შემომხედეთ ეხლა, — ხელს მაღლა აწევდა: რა საოცარი ცვლილებაა.—

აქ სისაცილო იყო არა მარტო ის წინააღმდეგობა, რომელიც მის სიტყვებსა და გარეგნობის შორის არსებობდა, არამედ მისი ცხოველი და თან საკმაო გრძნობით გამთბარი აღწერა მოხეტესი, როგორც ასეთის, იმ ადამიანის, რომელიც მუდამ ხმალი იწვევს საზოგადოებას მთელი მისი ჩვეულებებით და წყობილებით და რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზმის მიმართ წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ მოვლენას.

და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მოხეტეები ყოველთვის მაინტერესებდნენ და მიტაცებდნენ კიდეც. და ეს გასაგებიცაა: ერთი ჯიშის ცხოველს აინტერესებს მეორე ჯიშის ცხოველი, აქ, დიდ ქალაქში მე დრო და დრო შეებედრივარ მოხეტეებს რომელთა გარეგნობა იმდენათ სიღარიბეს და გაჭირებას არ ამხელდა, რამდენათ თავზე ხელაღებულ გულგრილობას და თითქმის ზიზხს ყველაფერისადმი, რაც ასე შალდადა დაუნებული ეგრედწოდებულ საზოგადოებაში — წესი, სისუფთავე, მუშაობა, კარგი ჩაცმა-დახურვა, ქორწინება, ბავშვები, სარწმუნოება, პოლიტიკა და სხვა რაც გნებაეთ. მაგრამ მე მაინც მაინტერესებდნენ ისინი.

რადგან რაც გინდათ ის თქვით—მაგრამ აზროვნების თუ ტემპერამენტის დიდი დამოუკიდებლობის პატრონობაა საჭირო, რომ ასე უტიფრად დასცინოდე ყველა დაწესებულ კანონს, ჩვეულებას და წესწყობილებას, რომელიც ადამიანთა შორის აღიარებულია შეურყეველად და სამუდამოდ. ხანდახან მე ფიქრობდი, რომ ამ გამჭურულ სახიან, ტალახიან ძონძებში გახვეულ, დაგლეჯილ ფეხ-



არ ვიცი მემკვიდროებით გადმოცემული და არ ვიცი ყოველგვარად შეძენილი, მიღრეკილება აქვთ მოხეტიალე ცხოვრებისადმი, რისთვისაც ხსნი წინ აყენებენ არსებობის ყველა სხვა ფორმებთან. წამთარ და ზაფხულში მე იმათ ვნახულობ დიდ ქალაქში—სადაც გნებავთ, მაგრამ არასოდეს იმ უბნებში, სადაც ლარიბები ცხოვრობენ. და ყოველთვის იმათ სრულიად კმაყოფილი შეხედულება აქვთ, თუ ნიეთიერის მხრივ არა, ფიზიკურის მხრივ მაინც. ძონძები. სიბინძურე. და, მიუხედავად ამისა, მე ზევრჯერ ზაფხულის საღამოზე მინახავს ისინი შესავალ კარებთან ჭვის კიბეებზე ან სახლების ხის სახურავებზე და ბეტყის ეზოებში რომ ნზეზე თებობდენ და ხმამალა ხვრინავდენ, თითქოს იმათთვის უცხო იყო ყოველივე მიწიერი ზრუნვა და ვარაში.

რამდენჯერ მინახავს მე ისინი ქალაქის მთავარ ქუჩებზე მოსივრნეთ, ბრბოში არეული, დამოუკიდებელ და ან ჩაფქურებულ იერით რომ ათვალთვრებდენ მდიდრულ მალაზიების ვიტრინებს. ვინ იცის რა იყო ამ დროს იმათ ფიქრში ან რა გვეგებთ უტრიალებდენ თავში. მაგრამ მათი წრე არ იძლევა არც ჯიბვირებს და არც კარის გამტენ ქურდებს—არ დაუჯეროთ პოლიციას, როცა ის ამას ამტკიცებს. არც დიდი ქალაქები იზიდავს მათ, თუმცა სიახლით და ცნობისმოყვარობით გატაცებული ისინი ხან და ხან იქაც მოხედებიან ხოლმე. აქ თქვენ შემთხვევით თუ დაინახავთ იმათ, ისე როგორც მე დამინახავს. თქვენ დაინახავთ თუ რა „სათამაშოთ“ გამზდარან ისინი იმ ქალაქის უსაქმო ხალხის ხელში, რომელთა შეუბრალებელი მსხვერპლი ხდებიან ისინი, ხან და ხან რომელიმე მსთვანს ჩამოგლეჯენ თავიდან ქუდს და მის თვალის წინ ნაფლეთებად აქცევენ, წვერით და თმით ათრევენ მას, საყელოში უყრიან თივას და ქალაქს და ერთმანეთს ესერიან ამ საწყალს, როგორც ფუტბოლის ბურთს, სანამ არ მოწყინდებათ. რისთვის? ნხოლოდ იმისთვის, რომ ის არის ის, რაც არის. მაგრამ უკარგავს თუ არა იმათ სულიერ წონასწორობასს და ცინევა, შეურაცყოფს თუ არა ასეთი მოპყრობა მათ—ამის თქმა მე არ შემიძლია, მე მგონია, რომ ამ მოხეტრეებს გამოუმუშავებული აქვთ შინაგანი შეუვალაობა ყოველივე იმისადმი, რასაც შეუძლია დაამციროს, მორალურად მიწასთან გაასწოროს შეურაცყოს ყოველივე სხვა იდამიანი.

მათი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი ამოწურება ყოველნაირ საზოგადოებრივ პროცესებისადმი უღრმესი ზიზლით, რაღაც ნაირ პარაზიტულ გაურჩევლობით ყველაფრისადმი, გარდა საკუთარი მოწყობისა და გასაკვირველი სიყვარულით თავისუფალ ჰაერზე ცხოვრებისადმი და ხეტიალისადმი. მე უკვე ესთქვი იმის შესახებ, თუ რა ხშირად მინახავს მე ისინი დაძინებული მივიწყებულ შესახვევების გრილ კუთხეებში, ეზოებში და სხვაგან, სადაც არაფერს არ შეუძლია დააფრთხოს მათი მოსვენება. და ჩემმა დაკვირებამ იმ დასკენამდე მიმიყვანა, რომ ისინი სულ სხვაგვარად განიციდიან ყოველივეს, ვიდრე სხვა უფრო მგრძნობიარე ხალხი და, მაშასადამე, არ იტანჯებიან ისე, როგორც ისინი. ისინი არ არიან დაინტერესებული ნიეთიერ კეთილდღეობით, როგორც ასეთით, არ სურთ მუშაობა. და რომ ვინმესაგან გავიგონო, რომ უნახავთ მათში ნაწამებ ნხეცის გამოხედვა, რომელიც ლაპარაკობდა ცხოვრების სერიოზულ და

ავადმყოფურ შეგრძობაზე—და ტანჯვის განცდაზე—ეს იქნება მისი უკიდურესი ლიად ახალი რამ.

რამდენ საინტერესო რამეს ნახვა შეიძლება, თუ მათ დააკვირდებით! რა საოცარი რამე გადაატყდებთ ხოლმე მათ! ერთხელ მე ჩემის თვალთ ვნახე, რომ რამოდენიმე უსაქმო ვინმემ—იმათ რიცხვიდან, ვინც დღემდის ამშვენებენ ნიუ-იორკის ყველა ქუჩის კუთხეებს—გადაახსნა ერთ მოხეტეს, რომელიც სადღაც მძინარე შეესწროთ, სპირტაანი საღებავი და მოუკიდა ცეცხლი, რომ დამტყდარიყვნენ თავისი მსხვერპლის სანახაობით და განცდით, როცა მას ალ მოკიდებულს გაეღვიძებოდა. შემდეგ ისინი დასდევდნენ იმ უბედურს ქუჩებში სიცილ-ხარხარით და ღრიანცულით. მეორედ, ეს იყო გულზონ-სტრიტზე, მე დავინახე შეიდი თუ რვა ახალგაზრდა, რომელიც „თავს იტყვედენ“ რომელიც მოხეტებზე. ისინი აბურთავებდნენ მას, ხელ-ფეხით ათრევდნენ, ჰაერში ისროდნენ—სანამ ერთმა რიგიან გარეგნობის მოქალაქემ, აღშფოთებულმა ამ სურათით, არ აიძულა ისინი თავი მიენებებიათ მსხვერპლად გამხდარ კაცისათვის. ამ საყვარელ ქალაქის მეორე ნაწილში—საზღვაო უბანში სამხრეთით ფულტონ-სტრიტიდან მე მოწმე გავხდი იმისა, რომ ათი „მოთამაშე“ ვინმე დამდგარიყო თავის სახლების წინ ქუჩის ორივე მხარეს და ეესტის კასრებიდან და დოკებიდან წყალს ასხამდნენ ერთ მოხეტეს, რომელიც ცდილობდა გაქცეოდა მათ, როცა მოხეტემ თავი დაახწია იმათ, მე უკან დავედევნე, რომ მენახა, თუ როგორ იმოქმედა მასზე ამ „თამაშობამ“ და დავრწმუნდი, რომ მას მაინცადაშინც გულზე არ მოხვედრია ყველაფერი ეს. როცა განათვისუფლდა მღვერები-საგან, იგი მივიდა დოკებთან, ჩამოჯდა რალაც ყუთზე, მზის გულზე და ტანისამოსის გაშრობას შეუდგა: როგორც ეტყობოდა, ის ძალიან ცოტას—სწუხდა მომხდარ ამბავზე.

ამ შემთხვევამ მე მომაგონა ერთი საოცარი ტიპი, რომელიც მე ვნახე ბორანზე ნიუ-იორკსა და ჯერსის შუა, რომ დადიოდა ოდესღაც, დამდებოდა და პირველი მოწინავეები სახლში დაბრუნებულ მოქალაქეთა ჯარისა უკვე გამოჩნდნენ ბორანზე, ჩემი მოხეტე მეტად დასერილი, დაგლეჯილი და აყრალებული იყო, მაგრამ ცუდი გუნება ან აშლილობა მას არ ეტყობოდა. პირიქით!—ნიუ-იორკის შეუპოვალეებმა პოლისმენმა დასვა იგი ბორანზე და დატუსაღების მუქარის ქვეშ აუკრძალა მას ქალაქში დაბრუნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მშვენიერ გუნებაზე იყო. სწორედ—ეს ქვეყანა არც ისე ცუდია, როგორც ზოგიერთებს გონიათ!—ფეხის თითები უჩანდა მას ფეხსაცმელებიდან, დაგლეჯილ ხალათის კალთებს ქარი ათამაშებდა, ხელში ქუდის საცოდავი პაროდია ეჭირა, მაგრამ იგი მხნედ დასეირნობდა წინ და უკან ბორანზე, მხიარულად და ეშმაკურად იხედებოდა იქეთ იქით და ილიმებოდა, როგორც ჯოკონდა. იგი შეზოგვეტეროდა ჩვენ, მესაკუთრეთა კლასის კარგად დავარცხნილ და რიგიან წარმომადგენლებს—ისეთი გამომეტყველებით, თითქოს უნდოდა ეთქვა, ეი, თქვენ! რა რიგიანი და სულულები ხართ თქვენ! რა იცით თქვენ ვატყებნილ გზების და ქალაქის ბორკილების მეტი. თქვენ როგორც ნაძირალას და გაუსწორებელ არამზადას მიყურებთ მე!—და მე კი არც ისე უბედური და უიმედო ვარ,

როგორც თქვენ გგონიათ, ბრძოლებში—და თითქოს ამ სიტყვების დასადასტურებლად იგი გამოიწვევის იერით დადიოდა ბორანზე, თვალს ჩაუქრთდა ხოლმე მგზავრებს და ხან ერთთან მივიდოდა და ხან მეორესთან. ყველა უკან იწეოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმას ისეთივე არა სასიამოვნო სენი ასდიოდა, როგორც შეხედულება ჰქონდა.

როცა შეატყო, რომ მას ერიდებიან, აღშფოთებული ასეთი ბოიკოტით ის წავიდა ბორანის წინა ნაპირისაკენ და რამოდენიმე წუთი მარტოობაში დაჟყო. მაგრამ ეს სულ ცოტახანს გაგრძელდა. ალბათ, მან გადასწყვიტა, რომ ასეთი ყოფაქცევა მის დამარცხებას უდრიდა და გამოდიოდა ისე, რომ მან ნება მისცა ამ საზიზღარ ადამიანებს თავის წრიდან გაეგდოთ ის. ის უცრად შემოტრიალდა და პირი იბრუნა ბრბოსაკენ, რომელიც გარს შემოაგებდა მას, როგორც ცხერის ფარა უნახავ სურათით შეშფოთებული, დრამატიულად ცისკენ ხელები აღმართა და წარმოსთქვა:

— მე ლაფში გასერილი, ლოთი, ცხვირ გაწითლებული მოხეტიალე ვარ, მაგრამ გაფურთხებთ თქვენ! გესმით!—გაფურთხებთ!

და მან რაღაც სიმღერის სტვენა დაიწყო, გვიჩვენა თითები სასირცხოვესტი, რამოდენჯერმე მზიარულად შემოტრიალდა და შემდეგ მოიკრიფა ხალათის კალთები და ზიზღით და გამოწვევით დაგვიქნია ხელი.

რა თქმა უნდა, ორმა-სამმა პატიოსანმა ქალწულმა დაიწვილა და საჩქაროთ მიიმალა იქვე მყოფ ბუფეთში. რამოდენიმე კარგათ გამოწყობილი, დინჯი მოქალაქე მოიღუშა—და ისე დააჭირეს თავი, თითქო ვერაფერს ვერ ამხნევდნ და გული მოდიოდათ იმათზე, ვინც უკრადლება მიაქციეს. რამოდენიმე ახალგაზრდა კაცმა და ჩემსავით უმნიშვნელო პიროვნებებმა გაუბედავით ჩაიციინეს, რომელიღაც გაურკვეველ გარეგნობის მოქალაქეებს ხმა მაღალი სიცილი აუტყდათ: ალბათ, იმათ რაღაც იცოდნენ.

დასასრულ, თითქოს დასამტკიცებლად იმისა, რომ იგი მართლა აფურთხებს ყველაფერს და ყოველივეს და ცხოვრობს თავის განცალკევებულ სამეფოში—როგორც კი მივადექით ნაპირს, იგი ცეკვით ჩავიდა ძირს და უდარდელის ნაბიჯით გაჰყვა დოკებს და მალე მიიმალა. და როგორც მე მომჩვენა, მთელ მის მოქცევაში იყო რაღაც ისეთი, რამაც გვითხრა ჩვენ, დარჩენილებს, რომ მისი და მის მზგავსთა არც შეცოდებაა საჭირო, არც გაკიცხვა. ისინი ისეთები არიან, როგორიც არიან საზოგადოების წინააღმდეგი, მათი დაურკვება შეუძლებელია. ისინი გულგრაღი არიან იმ გამოზომილ, მომჭირნე დაფთხილ ცხოვრებისადმი, რომლითაც ცხოვრობს ადამიანთა უმრავლესობა და მიჰყვებიან თავის გულის განწყობილებას და სურვილებს. იმათ არ უნდათ და მე ეჭვი მაქვს—რომ არც შეუძლიათ ჯოჯოში სიარული კიდევ რომ მოინდომონ. და უეჭველია, რომ ამისაგან ისინი ისეთივე ძალის სიხარულს და კმაყოფილებას გრძნობენ, როგორიცაა ის განცდები, რომელიც ახასიათებს იმ ადამიანებს, მათ რომ არ გვანან და მათ შეცოდების ღირს საზოგადოების ნაპირალებად რომ რაცხავენ. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია.

მ ძ ვ ს ი ს ა ა თ ი

გ. კ. კ. კ. კ.

მრავალი და მომზობლავია ის საათები, შრომისათვის რომ მუშაობდა. ყანას. არა მარტო ღამეს, შაბათ დღეს ან დასვენების დღეს აქვს მნიშვნელობა. ყველასათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამუშაო დროს—იქნება ეს სახელმწიფო მოღვაწე თუ ჯარისკაცი, პოეტი თუ მუშა. როცა დღე იწურება, საათი განსაზღვრულ დროს აჩვენებს და ჩვეულებრივი ზომის სამუშაო დღე სრულდება—გაისმის საქმის გათავების მომასწავებელი ნიშანი, საყვირი ან ზარი.

პირადად ჩემთვის არც ერთი დრო არ შეედრება იმას, როდესაც დღიური სამუშაო თავდება. მე ვიცი, რომ სხვა დროსაც თავისი მნიშვნელობა აქვს—როცა ადამიანი ფეხზე დგება ან დასასვენებლად დაწვება. მაგრამ სულ სხვაა დღიური მუშაობისათვის ხელის გაშვება, მომზობლავია ის წუთი, როდესაც ჩვენ ძირს ვუშვებთ ხოლმე ნაჯახს და ხერხს, ფანქარს ან კალამს, გავაჭრებთ ჩვენს მანქანას, მოვიხსნით ჩვენს წინაფარს და მივატოვებთ საქმეს. მაგრამ ყველა ერთ ღ იმავ დროს კი არ ათავებს საქმეს. ვეპოლს, ვაჭარს ღ ბანკირს შეუძლია ერთი საათით აღრე მორჩეს საქმეს. უმაღლეს ხარისხის კლერკს ან მოხელეს დაუყონებლივ შეუძლია ხუთის ნახევარზე ან ხუთზე მორჩეს საქმეს, კვალიფიციურ მუშას კი ჩვეულებრივ ექვსის ნახევარამდე უწევს მუშაობა. მაგრამ ექვს საათზე ყველა ჯურის მუშა გამოდის, ყველა „დიადი დაუბანგლნი“, მამა-კაცები და ქალები. ეს იმათთვის რეკავს ექვსს საათზე ზარი და გაისმის საყვირი, მილიონ სადგომებში მათთვის ენთება ცეცხლი და ქუჩებში მათთვის გრიალებს ომნიბუსები.

ექვს საათზე ავსებენ ისინი ქუჩებს. ისინი მოძრაობენ ბინდში შემოსული ტალღისავით. ისინი მიდიან და თან მიაქვთ კალათები, ხელსაწყო და ვედროები. მათი სახეები დამტვერილია. იმ დროს, როდესაც მე და თქვენ მოსვენებით ვტკებოდით, ისინი მუშაობდნენ უკანასკნელ საათს და, თუ ჩვენ ცხრაზე დავიწყეთ მუშაობა, ისინი უკვე შეიძლება იქ იყვნენ. იმათ მთელი დღე იმუშავეს, რვის ნახევრიდან ექვსის ნახევრამდე ან ცხრიდან ოთხამდე კი არა, შეიდიან ექვსამდე. და დალილი არიან...

თქვენ ამას უთუოდ შეამჩნევთ იმათ სახეებზე და მოღლილ გარეგნობაზე: თითქოს ცუდად უკამათი ან და ძლიერ დაღალულან. ზოგიერთს რაღაც მხოვსენარო გამოხედვა აქვს, თითქოს ბინის, კვების და ტანსაცმელის საკითხი ვერ მოუგვარებია და ამაზე ფიქრობსო. ზოგიერთი ჯერ კიდევ ჯანსაღი და ახალგაზრდაა, რადგან მსოფლიო სამუშაოს ახალგაზრდები ასრულებენ, მაგრამ იმათ არ იციან სად მიიყვანს მათი ნამუშევარი. თითქმის ყველა შეუპყრია ოპორტიუნიზმის სულს: რა არა აქვს მომარაგებული ქვეყანას? განა ზარები არ რეკენ, არ ლევის ცეცხლი? განა ახალგაზრდობა, ჯანი და სიყვარული არ გვიადილებს პირვარამს?

საყვირის ხმასთან ერთად მუშათა გუნდები შეუჩერებლივ ზღვის ტალღისავით მიგორავს დიდ გზაზე. ისინი წყალივით მოედებიან გზას. შეხედეთ დიდ ქარხნის შესავალს ღ თქვენ დაინახავთ, თუ რა სისწრაფით ისხმის შიგ ეს შავი და ცოცხალი ნიავლვარი, რა ზომიერად ნაწილდება იგი ყველა გზებსა და ბი-



ლოცებს შუა თან და თან შენელებულ დიდ ზარის ხმაზე. ეს შენელებული ხმა განტანი ხმა ყველაფერს ედება და ბოლოს, აწეულ ჰანგზე წყდება.

ერთ ერთ ჩვენ დიდ სამრეწველო დაწესებულების შესავალთან რომ დადგები თქვენ უთუოთ შეამჩნევთ რომ იგი მაღალ, ბნელ და მრავალფანჯრიან ციხის კედლებს მოგაგონებთ. თითქოს ერთი დიდი ნიაველვარი უფსკრულში ეშვებოდ, ათას და ასი ათას საკეტავების რაზუნნი ისმის და აღამიანების ფიგურები აქეთ იქით დაფუსფუსებენ. თქვენ შეგიძლიათ იმათი დანახვა ზამთრის საღამოს გაჩაღებულ ფანჯრებში. ათეულ და ასეულ სირენის ხმა ამცნობს შესვენებას და მინუტების დიად სამეფოს მოძრაობა ჩერდება. კედლის სიღრმეებში პატარა კარები იღება და იქედან სიჩქარით გამოდიან გაფითრებული და შავ ხელსახოცებში გამოხვეული კაცები და ქალები, ბიჭები და ბავშვები. ისინი ჩქარის ნაბიჯით მიდიან ამ წყვილიაღში და თან სამო ქარი დატრიალებს მათ. ეს მხოლოდ ერთი ქარხანაა და მთელ ქვეყანაზე ხომ ბევრია გაბნეული ასეთი, — ყელგან მუშაობის შებდეგ გაისმის საყვარი, რომელიც შევბას ამცნობს ყველას — და მუშები გზებზე გამოეფინებიან.

აი ამ შეუძმწველ ფიგურებზეა დაყრდნობილი ჩვენი ცხოვრების მთელი მოხერხებულად გაბმული ხლართი, ყველა ჩვენი გამოგონება და მთელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. მეფეები სასახლეში სხედან, სახელმწიფო მოღვაწეები მშვენიერ დარბაზებში თათბირობენ მხოლოდ იმიტომ რომ, ეს მუშები არსებობენ. არ დაიფიქროთ ეს თქვენ, ვინც ეკონომიკას სწავლობთ! მმართველობის შეცნირება მხოლოდ მათთვისაა გაჩენილი. წარმოება და განაწილება მათ ებება. ჩვენ მიერ ყველა სათუთად შეთხზულ მორალის, სიმდიდრის და საკუთრების თეორიებს მხედველობაში ისინი ჰყავთ და უმათოდ ვერ იარსებებენ.

ჩვენ დროში ცხოვრება ფართო ნიაველვარივით გადმოდის კალაპოტიდან. ქვეყანა შემოჭმედების ნამდვილი გრიგალითაა შეპყრობილი. აღამიანები მილიონებით იზადებიან და უამრავ მასებით უსიტყვოთ იხოცებიან. დღეს ისინი აქ არიან და ხვალ კი აღიგვებიან აქედან. მაგრამ ამ მუშათა ბრბოებში ჩვენ ეხედეთ სიცოცხლის საუკეთესო ფერს, სიყმაწვილეს, აღფრთოვანებას, ფერადებს. აქ სიცოცხლეა და არა სიკვდილი. აქ ავადმყოფები არაა — ისინი გაყვანილია, კოჭლი არაა; ან თუ არის ძლიერ კოტა, არც დამბლა დაცემულებს აქვს აქ ადვილი. ყველა სუსტები გაყვანილია შორს, რომ ამ ჩქარს, აბრწყინებულ ნაკადში შენახულ იქნას ენერგია, ძალა და იმედი მსოფლიოსი. რომ ისინი უნდა დავზოგოთ — ეს, თავისთავად ცხადია, რადგან სხვა-ფერ სიცოცხლე მოისპობა. არ შეიძლება უხეში მოპყრობით მათი პირუტყვით გადაქცევა, რადგან მაშინ თვით ცხოვრებაც უხეში ხდება და მისი ატანა შეუძლებელი იქნება. მათი შორს გარეკაც არ შეიძლება, ისინი ნაწილ-ნაწილად უნდა წაიყვანო — ეს ხომ მატერიალური ტრუფშია. ამისათვის არსებობს წესი: „აქამე შენ ცხვარს“.

მაგრამ ცოცხალ არსებათა შორის არაა მეორე ამასთან შესადარებელი სურათი. ყველაფერი რაც კი არის ცხოვრებაში ენერგიული, მოწყურებული და ეშხიანი — აქაა. ესაა მსოფლიოს იმედი, ყველა მის მისწრაფებათა კვანძი, ვნება, სურვილი და უსუქცეული სასოწარკვეთილება. გაბმული ხმა საყვირისა მთელ

ქვეყანას ამცნობს მათ არსებობას ლამით. მზის ჩასვლა ნიშნავს ეჭვქვეშ დატოვებას...
 ექვსი საათია, თავდება დღიური მუშაობა—იწყება ლამის.

ჯ უ რ დ მ უ ლ ე ბ ი ს მ მ რ ო მ ე ლ ნ ი

ნიუ-იორკის სიტის ასი ათასი მცხოვრები ჰყავს, რომელიც ცუდ პირობებში ეწევა ხელით სამუშაოს და იმდენათ მცირე შემოსავალი აქვს, რომ საქმეში ჩაუბნედავი ხალხიც კი მათ განსაკუთრებულ კლასათ სთვლის. ზოგი მათ საკრავ მანქანებზე მომუშავეებს უწოდებს, სხვები დაქირავებულ სახლებში შინა მრეწველებს ეძახიან ან ისეთ სახელოსნოების მომუშავეებათ ნათლავენ, სადაც გამეფებულია „ოფლის მღვრელი“ სისტემა. საერთო სახელწოდება „საიჯარო სახლებში მომუშავეთა“ აი რა გააერთიანებს ყველა ამათ. ზოგ ალაგას ესენი ცალკე განყოფილებებს წარმოადგენენ, ზოგან კიდევ დაქსაქსული არიან პატარა ჯგუფებათ, რომლებსაც განაგებენ საწყობების მეთვალყურეები და სავაჭრო აგენტები. ამათაც ისეთივე პატარა ხელფასი აქვთ და ისევე ბევრს მუშაობენ.

შეიარეთ ამ ადგილებში და თქვენ წააწყდებით აქ ისეთ ახირებულ და არა ამერიკულ ცივილიზაციას, თითქო იგი სადღაც ჩვენი ქვეყნის გარეშეა. აქაური განმასხვავებელი ნიშანია ხელით სავორებელი პაწია დროგი, საბაზრო დაზგები, პატარა დუქნები და უსინათლო ფანჯრები. მოსახლეობის სისქე და სილარიზე აქ ხელი-ხელ ჩაკიდულა. მაგრამ ყველა შეამჩნევს, რომ ეს ხალხი ენერგიულ ცხოვრებას ატარებს და რომ მისი ცხოვრების დენა კიანჭველებს მოგავგონებთ.

მაგრამ თუ თქვენ შეჩერდებით და აქ გაბატონებულ მოძრაობას თვალს აარიდებთ, თქვენ უზრადლებას მიიპყრობს აქაური სახლები. თითქმის ყველა ოთხ ან ხუთ სართულიანი შენობებია, მაგრამ აქა იქ შეგხვდებით ექვს ან შვიდ სართულიანი სახლია არსად არ მოიპოვება ლიფტი და, თუ არის ძველია. ყველგან ვიწრო შესასვლელი კორიდორებია, მტვერიანი და უსინათლო, ბნელი და დასუსტებული კიბეებით. ვიწრო გვირაბივით შესახვევები უკანა სადგომებისა და დუქნებისაკენ გადიან. რკინის სახანძრო კიბეები სახურავებიდან პირველ სართულისაკენ ეშვებიან, როგორც ამას კანონი მოითხოვს, მაგრამ ზოგან რკინის კიბე მიდგმულია როგორც ერთად ერთი ასასვლელი საშუალება. უკვე მოძველებულ მილებს მაღლისაკენ წყალი მიიპტეთ, მაგრამ კეთილ-მოწყობა რომ მოითხოვს ისე საწვიმე მილს თქვენ ვერ დაინახავთ. შესასვლელ კარებთანაც იშვიათათ სჩანს ვაზის სანათი. ათ სართულში თქვენ ვერ იპოვით გაყვანილ ცხელ და ცივ წყალს. სხვა უბნებში საციებლები, საპირფარეშოები და აბაზანებია მოწყობილი, მაგრამ აქ არაეის ვაგებაც კი არა აქვს თანამედროვე კეთილ-მოწყობის შესახებ. ამ ოლქში არასოდეს არ ჰქონიათ ორთქლის სათბურები, გაყვანილი ცხელი და ცივი წყალი ან საწვიმე მილები.

თითქმის ყოველი სახლი უსახო წითელი ფერითაა შეღებილი და ყოველგვარ კეთილ-მოწყობას მოკლებულია. წინად თვითველ სართულში ორ-ორი

ზინა იყო, მაგრამ ეხლა ისენი გაუყვიათ და ხშირად ორი, სამი, ოთხი და ხუთი ოჯახიც კი მოთავსებულია და შრომას ეწევა იმავე არსებულ წინაღობაში. ერთ ოჯახს ჰქონდა მიკუთნებული. არიან ისეთი ღარიბი ან მომჭირნე და უსუფთაო ოჯახები, რომ შვიდი და რვა სული სხვა ოჯახების წევრებთან ერთად დგანან ორ ოთახში არეული. რკინის დასაკეცი დაზეგები მათზე გადებული ფიტრებით საწოლის მაგიერობას უწევს ამ ხალხს. მასთან სურვილის მიხედვით შეუძლიათ ამგვარ საწოლის გაგანიერება და დავიწროებაც. დამე ოთხი, ხუთი და ექვსი კაციც კი იძინებს ასეთ საწოლზე. დილას კი ქვეშავეებს, თუ კი ასეთი მოიპოება, შეინახავენ და საწოლი მაგიდის მაგიერობას სწევს. ერთ და იმავე ოთახში მოთავსებულია კერა, სამზარეულო, ხელსაწყო, სკამები და საკერავი მანქანა. მეორეში სდგას საწოლი და ქვეშავეებთან ერთად ინახება იქვე სხვა მასალებიც. აქვე სკამენ, იძინებენ და იბანენ კიდევც.

მე აქ უკიდურესი მაგალითები მომყავს, მაგრამ საუბედუროთ ისინი ისე ხშირად გვხვდებიან, რომ ჩვეულებრივ რამედ იქცენ. ზოგ შემთხვევაში სამი ან ოთხი ოჯახიც კი ბინადრობს ორ ოთახში. ძნელია იმისი თქმა, თუ რამდენი ოჯახი ცხოვრობს უფრო თავისუფლად. საშუალოდ კი ორ ოთახზედ მოდის ხუთი კაცი. პაწია, ხელით დასატარებ ტანკით მოვაკრე აქეთ ეშურება, რომ დიკაოს ორი ოთახი და თუ მისი ცოლი და ბავშვებიც მუშაობენ—იგი უზრუნველყოფილია. დედ-მამა, ვაჟი და ქალები ყველა სამუშაოზეა გასული, თუ მამა შრომის უნარმოკლებულია, სამუშაოზე დედა მიდის. თუ დედ-მამა სამუშაოს იპოვნის და მათი ქალი კი ვერა, მაშინ ქალის ვალია სახლზე იზრუნოს და ქრაკრავსაც ხელი მიჰყოს. თუ გოგო ან ბიჭი ჯერ კიდევ იმ ჰასაკში არ შესულია, რომ სახელმწიფოში შევიდეს—ის სახლში წარმოებულ საცალო მუშაობაში ემზარება თავისიანებს. ამა თუ იმ სახის მუშაობა კი აქ დიდიდან სალამომდე სწარმოებს.

რაც შეეხება ამ ოლქის მოსახლეობას—იგი ყველა სარწმუნოების და ხალხების აბირებული შენაერთია. ბეტტერის საიმინგრაიციო სადგურზე ახალ ჩამოსულ ვადმოსახლებულთა გუნდები სავსე ვაგონებით და დროგებით აქეთენ ეშურება და ყოველ დღე ავსებენ ამა თუ იმ კოლონიის ამ ისედაც სკლად დასახლებულ ოლქისას. აქ ნახავთ ბერძენს, იტალიელს, რუსს, პოლონელს, სირიელს, სომეხს და უნგრელს, ებრაელი კი იმდენია, რომ იმათ ჰყოფენ იმ ერთა ენის მიხედვით, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ. მაგრამ ყველა კი ღარიბია და გადმოსულან ამ ახალ ქვეყანაში, რომ ლუკმა პური იშოვონ. მეტ ნაწილს არაფერი არ გააჩნია იმ ათი დოლარის მეტი, რომელიც მას თან უნდა ჰქონდეს იმიგრაციის ინსპექტორის მოთხოვნისთანავე.

ამ ასი ათას ხალხის რიცხვში და იმავე საბინაო პირობებში ცხოვრობენ არა მარტო იმიგრანტები, არამედ ამერიკის მკვიდრნიც. მე პირადად ვიცნობდი ამერიკელ მამაკაცებს, რომლებიც იძულებული იყვნენ ამ უცხოელებივით ემუშავნათ. აქ არიან სახლში გაზრდილნი ამერიკელი დედები, თავი რომ ვერ დაუხწყევიათ ცხოვრების იმ პირობებისაგან, რომელშიაც დღეს იმყოფებიან.



— მაშ ასე!—ჩაილაპარაკა ინსპექტორმა და დოინჯ-შემოყრდენი წამოიწია.—შარვლების კერას ათავებთ, ა? სამნივე? ნებართვა! გაშადარი უნგრული კითხვის ნიშნით შეკუთრებს მას.

— სადაა თქვენი ნებართვა?.. ქალაქი? განა თქვენ არა გაქვთ ნებართვა? უნგრულმა, რომელიც აქ მუშაობს, ჯერ არ იცის ყველა წესი. იგი დაეყრდნო მაგიდას და შეშფოთებული შეკუთრებს მოსულს სახეში. რა უნდა ამ ჯენტლმენს? ცოლიც ისევე შეკუთრებს მას და ეკითხება თავის ქალს.

— რა უნდა?—ეკითხება ქალს მამა.

— იგი ქალაქის თხოულობს, —უნგრულად უპასუხებს ქალი.

— ქალაქს? —იმეორებს უნგრული და უარის ნიშნად თავს აქნევს. —არა!

—ოჰ, მაშ თქვენ ნებართვა არ გქონიათ? მეც ასე მეგონა! ვისთვის მუშაობთ?

მამა კვლავ ქალს მიაჩერდა. ინსპექტორი ხედავს, რომ მას არ ესმის მისი ლაპარაკი და დაეინებინა იმეორებს:

— პატრონი ვინაა, პატრონი? ის, ვისთვისაც თქვენ მუშაობთ?

— აჰა!—ამბობს ქალი, რომელიც ყველაზე უკეთ ერკვევა.—პატრონი?.. ხომ?.. და იგი უცხო ენაზე უხსნის მამას:

— მას უნდა გაიგოს—ვინ მოგვცა ჩვენ ეს სამუშაო.

— უთხარი მაგას,—უნგრულად ეუბნება დედა,—რომ მას სტრაკოვს ეძახიან.

— სტრაკოვ.—გაიმეორა ქალმა.

— ჰო, სტრაკოვი?—სთქვა ინსპექტორმა. კარგი, მე ენახე იმას, უთხარი მამაშენს—მიუბრუნდა იგი გოგოს და ხელით თავისაკენ მიიზიდა მისი სახე,—რომ მან ხელი გაუშვას ამ საქმეს სანამ ნებართვას არ მიიღებს. მედიკონის აფენიუს № 1-ში უნდა წაეიდეს და ნებართვა აიღოს. არ ვიცი მისცემენ თუ არა ქალაქს, ეს შეუძლიან იქ გაიგოს. შემდეგ ამისა იატაკი გასაწმენდი და ჭერი შესათეთრებელია. გაიგეთ?

გოგომ თავი დაუქნია.

— თქვენ არ გაქვთ ნება აქ იქონიოთ საწოლი, —დაუმატა ინსპექტორმა. —იგი სხვა ოთახში უნდა გაიტანოთ, თუ შესაძლებელია. არც მუშაობა შეიძლება აქ. აქ უნდა იმუშაოს ერთმა, ორმა კი სახელოსნოში უნდა იაროს.

არგული და შეწუთებული მშობლები სცდილობენ აზრი მაინც დაიჭირონ იმ სიტყვებისა, რომელიც მათ არ ესმით. და მათ გააწყვეტინეს სიტყვა ინსპექტორის უნგრულად: „რა ამბავია“. მათი ქალი კი ცდილობს ცოტა რამე გაარკვიოს და ბოლოს ეუბნება მშობლებს:

— ის აცხადებს, რომ ჩვენ ყველას არ შეგვიძლიან აქ ერთად მუშაობა.

— როგორ თუ არ შეგვიძლიან?—გაიკვირვა მამამ.

— არა, —უპასუხებს ქალი.—სამს ერთ ოთახში მუშაობა არ შეუძლია. ეს კანონის წინააღმდეგია.—მარტო ერთს შეუძლია. ის ამბობს, რომ ამ ოთახში მარტო ერთმა უნდა იმუშაოს.

— ოჰ!—წარმოსთქვა მამამ, როცა ქალის განმარტება მოისმინა. მას სახე ეკვლება. ცოლი კი ქვარს თანაგრძნობით და შიშით შეკუთრებს.

— არ შეიძლება მუშაობაო?—გაიმეორა მოხუცმა.—მე არ შემიძლია ვიმუშაო?

— არა,—თავისაზე სდგას ინსპექტორი.—სამის ერთ ოთახში შემიძლია ვიმუშაო?

უნგრელმა მარჯვენა ფეხი წინ წამოსწია და ეხლა თვალსაჩინო გახდა, რომ იგი დასახიჩრებული ყოფილა. მან საჩქაროდ რაღაცა უთხრა თავის ქალს და უკანასკნელმა კი განმარტა, რომ იგი ტაჩის დამტარებელი იყო, დიდად დაუწავდა ფეხი და ეხლა სიარული არ შეუძლია. და კერის დროს მიხმარების მეტი არა შეუძლია რა.

— ჰო,—სთქა ინსპექტორმა, როცა მოისმინა ეს განმარტება.—ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ მე არაფრით არ შემიძლიან დაგეხმაროთ.

ქალმა გაიმეორა მისი სიტყვები. ისინი ისხდნენ გაკვირვებული და მოშლილი. მას შემდეგ, რაც მამა ამ საქმეს შეეწვია, ისინი წყვილში ხუთ ცენტს იღებდნენ და დილის ხუთიდან ღამის თერთმეტამდე მუშაობაში მათ შეეძლოთ დაემზადებინათ მხოლოდ ოცდა ოთხი წყვილი, და მაშასადამე, იშვინდნენ მხოლოდ შვიდ დოლარს და ოც ცენტს კვირაში. თუ ეხლა მათ შეაჩერეს მუშაობა მათი შემოსავალი ექვს ან ხუთ დოლარამდე დაიწვეს. ბინის ქირა კი კვირაში ორი დოლარია.

— მამ ასე!—იმეორებს მამა. იგი ღრმად აღელვებულია და სულ დაიბნა, არ იცის რა ჰქნას. დედა ნერვიულად ხელებს იმტვრევს.

— თქვენ გესმით?—ამბობს ინსპექტორი, იღებს ქალადის ნიშნებს და საქონელს აწებებს.—მუშაობა არ შეიძლება. მიმართეთ დეპარტამენტს.

— რა ექნათ?—კითხულობს მამა და შეჰყურებს თავის უმწეო ოჯახს, მას შემდეგ რაც ინსპექტორმა კარი გაიხურა და გავიდა.

მართლაც რა უნდა ჰქნან?

იმავე შემოვლის დროს, მაგრამ კოტა უფრო გვიან ინსპექტორმა იმ დუქანშიაც შეუხვია, საიდანაც უნგრელი სამუშაოს იღებდა. ყველა ეს ადგილები სულ მის ძალა-უფლებაშია. ჯიბეში მას ერთგვარი პაწია ბილეთები აქვს და ერთი მათგანი მას უნგრელის შეჩერებულ სამუშაოსაც დააწება. ამ ბილეთის მოგლეჯა სისხლის სამართლის დანაშაულს შეადგენს. ეს ბილეთი უნდა დარჩეს საქონელზე მანამდე—სანამ ნარდად სამუშაოს მიმცემი სათანადო ახსნა-განმარტებას არ წარუდგენს საქარხნო ინსპექტორს იმის შესახებ, თუ რა უფლებით მისცა მან სამუშაო იჯარით აღებულ სახლის ისეთ მობინადრებს, რომელთაც ამის ნებართვა არ ჰქონდათ. მის მხრივ ეს ბოროტმოქმედებათ ითვლება. ეხლა მას უფლება აღარ აქვს ხელი ახლოს მათთვის გაგზავნილ ტანისამოსს. მოხუცმა კადეც რომ დაუბრუნოს მას შარვლები, მან არ უნდა გამოართვას ისინი და არც ფული უნდა მისცეს.

ეს სამუშაოს მიმცემი და მისი კლიენტები თავის თავადაც შესწავლის ღირსი არიან. მისი სახელოსნო უკანა შენობის მესამე სართულშია, იქ სადაც წინათ სადგომი ბინები იყო და ეხლა კი მხოლოდ ტანისამოსის სახელოსნოებია და ქარხნები, სადაც ოჯლის მღვრელი სისტემაა გამეფებული. ბნელ, თვლებ დან-

ჯღრეულ და აყროლებულ კიბეს მიყვებართ იქითკენ. იქედან ადამიანის და საკერავე მანქანების ერთმანეთში არეული ხნები მოისმის. შეაღებთ თუ არა კარს, იმ წუთში თქვენ შემოგებეჩებათ პატრიარქალურ შეხედულებას კარმდე. კლარა წვერებით ებრაელი, რომელიც აგურის სათბურთან უთრას ანუ უბრუნებს. შემოგებედავენ აგრეთვე სხვებიც, ამ დროს საკერავე მანქანებზედ და საუთოო ფიცრებზე რომ გადახრილან. სადგომი ჩაბნელებულია და ძალიან გახურებული. იატაკი საესეა ნაჭრებით.

— აძლევთ თუ არა თქვენ გასათავებ სამუშაოს ვინმე კოზლოვსკის? — ეკითხება ინსპექტორი გაბრწყინებულ თვალება და ვახუშტარ სირიელ ებრაელს, რომელსაც უნდა ეკუთნოდეს ეს სახელოსნო.

— კოზლოვსკის? — გაიმეორა მან შემპარავე კილოთი. — ვინაა ეს კოზლოვსკი?.. არა, არ ვაძლევ.

— მე თქვენ „სამუშაოს გამოთავებელზე“ გელაპარაკებით.

— გამოთავებელზე — ჰოო? იგი ჩემთვის არაფერს არ აკეთებს... ისე ხანდახან.. ერთ წვეთს შარვალს თუ გამოიკეთებს.

— იცოდით თუ არა თქვენ, რომ მას ნებართვა არ ჰქონდა, ა?

— არა, არა! ეს მე არ ვიცოდი. როგორ, იმას არა აქვს ნებართვა თუ?

— თქვენ ეს უნდა გცოდნოდით. ამაზედ მე წინათაც გუუბნებოდით. ამის შესახებ თქვენ სამმართველოს უნდა ვასცთ პასუხი. მე ბილეთიც კი დაეაწებე მის საქონელს. აღარ მიიღოთ აწი, გესმით?

— კარგი, — სიჩქარით მიუგო პატრონმა. — იმას მე საქონელს აღარ გამოვართმე. ის ჩემგან სამუშაოს ველარ მიიღებს, როდის ჰქნით ეგ?

— სწორედ ამ დილას, თქვენ საქონელს მთავარ ბინაზე გადაგზავნიან.

— კარგი, — ზორცხვად უპასუხა პატრონმა. — ეს სწორია, ასეც უნდა იყოს მობრძანდით აქეთ.

და ინსპექტორი გაჰყვა მას მაგიდისაკენ.

— არ შეგიძლიათ, რომ რაღე რიგათ თავი დაეახწიო ამ ამაზეს? — შეეკითხა პატრონი მეტად შესანწინვე ებრაულ კილოთი. — მე ეს არ ვიცოდი. თქვენ კარგი ადამიანი ხართ. აი თქვენი საჩუქარიც. სასაცილოა, როგორ მომივიდა მე ასეთი შეცდომა!

— არა, — თავის ქნევით უპასუხა ინსპექტორმა. — წაიღეთ თქვენი ფული. მე აქ არაფერი არ შემიძლია. საქონელს ვადალა ადევს. თქვენ უნდა ვრიდოთ სამუშაოს გაცემას ისეთ პირებზე, რომელთაც ნებართვა არა აქვთ.

— სწორია! — სთქვა პატრონმა. თქვენ მაინც კარგი კაცი ხართ. წაიღეთ ფული.

— რისთვის უნდა ავიღო მე ფული? თქვენ განმარტების მიცემა დაგვირდებათ. მე არაფერი არ შემიძლია.

— ძალიან კარგი, — თავისაზე იდგა ებრაელი. — წაიღეთ მაინც. მომავალში ნუ შემიშლით ხოლმე ხელს. აი...

— არა, ჩვენ ეს არ შეგვიძლიან. ფული არაფერს არ გიშველის, დაიცავით კანონი, — აი რა მინდა მე.



აი თითქმის მთელი ამბავი. ეს აგრე რიგად შემოთავაზებულია მანდნად მონდომილი ქრთამის შერჩევაში სამუშაოს მიმცემი სულ ცხატანის ქვეყნისათა ცხოვრობს ვიდრე ისინი, ვინც მისთვის მუშაობენ.

სხვა იჯარით აღებულ შენობებში და სადგომებში არის ქარხანა—სახელოსნოები, მაგრამ ისინიც ზემოთ აღწერილს ემსგავსებიან. ჭალი, კაცი თუ ბავშვები ნიდავგ კერავენ იქ შარვლებს, ცილეტებს, სერთულებს და სხვა, ზოგიერთები ქამრებს, ტანისამოსებს, ჭვედა ტანს, ლიფებს, პერანგებს და კაბებს ჰკერავენ, სხვები კიდევ საფულეებს, ფრთებს, ბეწვის გასაწოებს, ხელოვნურ ყვავილებს, ქოლგებს და ბეწვის საყვლოებს აკეთებენ. მთელი ეს დიდი ვაერთიანებული სამუშაო საკერავ მანქანებით უნდა გაკეთდეს, რომ შემდეგ ხელით მოთავდეს. ამ ხელობაში დაბანდებულნი ასი ათასები საქმეს აძლევენ აგრეთვე სხვებსაც, ამით გარდა დახმარებას იღებენ მოხუცი მშობლები, შრომის უნარმოკლებული ნათესავები, ბავშვები და მოსწავლეები. როდესაც კი არ უნდა გაიაროთ ბრუკლინში და ნიუ-იორკში, ყველგან, სადაც სახლობენ ლარბ-ლატაკნი თქვენ ამ მუშაკებსაც დაინახათ. იმათ ყველზედ ცუდი, ნახევრად დანგრეული სადგომები უჭირავთ, გაჭილი იტალიელები და ისინი, ვისაც „სახლის პატრონებს“ ეძახიან,—მთელ სახლებს ჭირაობენ ისეთ ადამიანებისაგან, როგორცაა ვილიამ ვალდორფ ასტორი, შემდეგ ჰყოფენ თვითველ სადგომს ორად ან სამად, რომ ამ რიგად ეს ბინის მსგავსება შინა-მრეწველ მუშებს მიაქირაონ. და ასე იმართება მოსახლეობა.

თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ეს სადგომები წინეთაც საკმაოთ ცუდი ყოფილან. ასე მაგალითად, ყოველ წინა და უკანა ოთახ შუა თქვენ ნახეთ უთუოდ პატარა ფანჯარას, და ყოველ უკანა ოთახსა და შემოსავალ შუამეორე ფანჯარას. ამ ფანჯარების გაჭრა კანონის მიხედვით აუცილებელი იყო, რადგან ერთი ბინის ორად ან სამად გადაკეთება მოითხოვდა შემაერთებელ კარების და ბუნებრივ მიმოსვლის დახშვას. და ამის გამო მთავრობამ გადაწყვიტა, რომ შემოსასვლელში ფანჯრის გაჭრა ერთგვარ გაუმჯობესებას შეიტანდა და გაჭრეს ფანჯარები, მაგრამ რადგან იმათ არავითარი სარგებლობა არ მოიტანეს—ხელახლა დაყრუებულ იქნენ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი გარემოების გამო კანონის ეს ცივი და ძალდატანებითი ჩარევა თუ ცოტა შემზღუდველია, უმეტეს შემთხვევაში მას მაინც მოაქვს სარგებლობა. მართლაც ოთახები არ უნდა იცხებოდეს ხალხით ისე, რომ ადამიანი შიგ ამოიხზოს და კვდებოდეს, და ერთი კაცისათვის დაწესებულ სიერცებე შვიდი კაცი თავსდებოდეს. არც მეპატრონეები უნდა აძლებდეს ამას და იმ სილარბებს კი, რომელიც აიძულებს ამის ჩადენას, საზღვარი უნდა დაედოს. სანამ კანონი სავალდებულოთ არ გახდის, რომ იატაკი სუფთათ უნდა ინახებოდეს და ჭერი კი მუდამ შეთეთრებული უნდა იყოს. არაეინ არ იფიქრებს ამის ასრულებას—სანამ საწოლის დადგმა არ იქნება ალკვეცილი სამუშაო ოთახებში და რამოდენიმე კაცს უფლება არ ექნება ერთად შექუჩულმა იმუშაოს, მანამდე „ოფლის სიმწარით მღვრელ“ მუშას ყოველთვის ეყოლება თავის გვერდით ხუთი თუ ექვსი მსახიობი

დატანჯული ამხანაგი. შემოიღეთ ასეთი კანონი და მუშებიც შეეგუებიან მას და მეტ ხელფასს მოითხოვენ თავის შრომაში. მექარხნე—„ოფლის მხდელები“ ვერ იპოვიან კარგ ჭირის გარეშე მუშა-ხელს და სახლის მეპატრონეებიც ვერ იპოვიან ოთახის მოჭირავეებს მანამ, სანამ ოთახები არ იქნებიან ისე სუფთა, როგორც გათვალისწინებულია არსებულ წესით. აქ ნაკლები სიმძიმე სახლის პატრონს აწევება, თუმცა არა ყოველთვის.

სამუშაოს მიმცემი ან პატარა სახელოსნოს პატრონი, რომელსაც ასე ეწინაა კანონის დარღვევის და ცდილობს მოხელის მოსყიდვას, არაფერს არ წარმოადგენს თავის თავად—ის უბრალო აგენტია მთავარ მეპატრონის ხელში. ისინი ვერ ჩაითვლებიან თავიანთ მოძმეების ბოროტ მყვლეფელებათ. მისი უფროსები არიან—გამზადებულ ტანსაცმელით მსხვილი წარმოებები ბრუკლინის და სხვა უბნების. გარდა მცირე მოგებისა, რომელსაც ესენი თავისთვის იტოვებენ, მთელი უფროსებისაგან მიღებული თანხა გადადის სხვების ხელში. კანონმა რომ მათ დაეკლდებოდა უფრო მცირე დრო იმუშაონ ან უფრო შემავიწროებელ პირობებში, ისინი შიმშილით დაიხოცებიან, მაგრამ სხვილ ქარხნებსაც დაუშვებლად მიაჩნიათ მათი შიმშილით ამოწყვეტა. თუმცა ესაა ისინი უფრო ახლოს არიან ამ მდგომარეობასთან, ვიდრე ოდესმე, მაგრამ მათ იმდენს მაინც მისცემენ, რომ სიცოცხლე შეინარჩუნონ და აი სწორედ აქ ხდება გასაგები კანონის ჩარევა.

ასეთ პირობებში მომუშავე ხალხს ძალიან ცოტა დრო რჩება აღმზრდელობაზე ზრუნვისათვის. აქ ლუკმა პურისათვის გაშვებული ბრძოლა სწარმოებს და, თუ ოჯახებს მეთვალყურეობა არ ექნა, ბავშვებს თორმეტი წლის ჰასაკამდე ვაგზაინიან სამუშაოზე. ერთხელ მე მოწმე ვიყავი ისეთი შემთხვევისა, რომ ერთ-ერთ ხელსაბევეების ქარხნიდან გააძევეს ხუთი ბავშვი, რომელთაც არ მოეპოვებათ საბუთი იმისა, რომ ისინი უკვე თოთხმეტი წლისანი იყვნენ. ამას გარდა პირადად ვნახე ისიც, რომ თორმეტიოდე სახელოსნოდან დაითხოვეს ასეთივე მცირეწლოვანი მუშაკები.

— რატომ დაბრუნდი შინ?—ეკითხებიან საღამოს გაკვირებული მშობლები.

— პოლიციამ გამოამაძვია.

აქ, ამ კუთხეში, პოლიცია ყველაფერი იკა აწესრიგებს ყოფა-ქცევას, არიგებს მოჩუბრებს, ხელს უშლის ბოროტებას; პოლიციის შიშითაა მრავალი მოსწავლე, რომ სკოლას არ სტოვებს, თორემ ეს რომ არ იყოს, ისინი ოთახში ან სახელოსნოში მუშაობას მიჰყოფდნენ ხელს. მაგრამ არსებობისათვის ბრძოლა იმდენად მწვავეა, რომ უმეტესი ნაწილი ამ ბავშვებისა ისე გაიზრდება, რომ ვერც ერთ იმ უპირატესობით ვერ ისარგებლებს, რომელიც სხვების ჩვეულებრივ კუთვნილებას შეადგენს.

ამავე დროს ბევრი სპეციალურად ამ ადამიანებისათვის მოწყობილი დაწესებულებაა დაარსებული. დიდი, ბუმბერაზი შენობები უჭირავთ ებრაელთა (სასამართლოს დამხმარე საზოგადოებებს, აარსებენ სარეკრეაციო ლიგებს, სათამაშო მინდვრებს, სკოლებს უნივერსიტეტებს, ყველაფერი ეს არსებობს, მაგ-



რამ ძლიერ პატარა პროცენტი სარგებლობს ამითი, რადგან მშობლებს მტკიან უჭირთ ცხოვრებასთან ბრძოლა და ამათთან დიდა მათი შავაზრდული გაფრთხილება შეეძლება.

მე ვიცნობ ერთ ვექილს, რომელმაც თელსაჩინო ადგილი დაიჭირა და სწორედ ამ წრიდან გაიკაფა გზა. სხვა ქუჩებზე რომ არაფერი ვსთქვათ, ბროდვეის ნაწილი ოკდა თოთხმეტი ქუჩის სამხრეთიდან მოყოლებული სავსეა იმ ხალხის აბრებით, რომელიც ასეთ სიბნელეს ებრძვის ნიადავ. მაგრამ ერთხელვე გადაწყვეტილი პრობლემა ფულის შოვნისა არ შეადგენს ცხოვრების მთელ შინაარსს, ამ ადამიანებმა უკვე მიიღწიეს ისეთ მდგომარეობას, როცა მათ შეუძლიათ ოქროს ბრელოკები ატარონ, იყოლიონ ავტოები და სხვა კმაყოფილება ცხოვრებისა, მაგრამ მათი ყოფა უსათუოო საცოდავია. ხშირად, ადრე გადატანილ გაჭირვების გამო, ისინი სამუდამოდ დასახიჩრებული რჩებიან. ფულის საშოვნელად გაწეულ მწარე ბრძოლის გავლენით ისინი თითონვე გაუმძღარ და ზნედაცემულ მყვლეფელებათ ხდებიან.

ამ სფეროში მომუშავე მებრძოლისათვის მხოლოდ ერთად-ერთი იდეალი არსებობს—ფულის შოვნა. და ასი ათას მუშათა შეილებს, რომელთა სიცოცხლეც ისეთივე მწარეა, როგორც ჩვენ მიერ აღწერილ უნგრელის ყოფა, თავიდანვე უნერგავენ იმ აზრს, რომ ყველაფერი სიმდიდრეშია, —ამ ადამიანის მიერ გამოგონილ ყველაზე უფრო საზიზღარ და დამამკირებელ შეხედულებას.

რკინის გზების დარაჯი

თუ თქვენ არაფერი საქმე არ გექნეთ იმ დროს, როცა გასეირნება მოგიხდებოდა ნიუ-იორკიდან ყველა მიმართულებით მიმავალ მიწის ქვეშა და ჩვეულებრივ დიდ რკინის გზის ხაზებისაკენ, გაიხსენეთ ის ადამიანი, რომელიც თქვენი გულისთვის წინ და უკან გადადის ამ ლიანდაგებზე და რომლისგანაცაა დამოკიდებული თქვენი უშიშროება, განსაკუთრებით ამ ალაგას.

ეს ახიჩრებული ვინეა. მისი სამუშაოც სხეანაირია და ბევრად განსხვავდება თქვენი საქმისაგან. იმ დროს, როდესაც თქვენ დამშვიდებული ზიხართ და ფიქრობთ როგორ უფრო სიამოვნებით გაატაროთ საღამო და წახვიდეთ თუ არა თეატრში ან და ანგარიშობთ, იქნება თუ არა ისე ხელსაყრელი ის საქმე თქვენ რომ წამოიწყეთ, —ეს კაცი მიჰყვება რკინის გზის გრძელ ლიანდაგს, სადაც თქვენ მიჰქრინართ ხოლმე, და დამშვიდებით ათვალეიერებს იმ მუხრუჭებს, რომლითაც მიმავრებულია ეს ბრჭყვიალა ლითონის ზოლები, ვერც ყინვა და ვერც წვიმა მას ვერ შეაჩერებს. დიდი სიცხე და სიციფე, ან ტალახი და სინესტი ვერ შეუშლის მას მუშაობას, ყოველ დღე, ყოველ საათში და ყოველნაირ ამინდში თქვენ დაინახავთ მას მოსიარულეს ამ რკინის ხაზებს შუა იარაღით ხელში და ან მიწის ქვეშა გზაზე ღამით ხელზე დაკიდულ სანათურით. ის თავაუღებლად ჩასჩერებია რელსებს და ყურადღებით ათვალეიერებს—ხომ არ შესუსტებულია რომელიმე მათგანი, ხომ არ მოვარდნია მათ ხრახნილები. მიწის ქვეშა გზაზე, თუ ნიუ-იორკის ცენტრალურ გვირაბში, ოთხ თუ ათ ხაზიან გზებზე იგი ყოველ დღე შემოიარს თავის უბანს, რომ ბოლოს მიიღოს უბრალო მუშის ხელ-

ფასი. იგი რომ საქმეს უყურადღებოდ ეკიდებოდეს, კარგად და გულმოდგინეთ არ მუშაობდეს ან გულში ბოროტება და შური ჰქონდეს—მას ადგილად შეუძლიან თქვენი მატარებლის დაღუპვა და თქვენი განიაფება—*ფიქრით მუშაობელი იქნებოდა მისი დანაშაულის ცხადყოფა.*

მიწის ქვეშა გზაზე და რკინის გზის ხაზებზე, ყველგან საითაც კი მიდის მისი საველი გზა—სიკვდილი უდარაჯებს მას. ის აქვეა მიმალული გვირაბებში და მიწის ქვეშა გზებზე გუგუნის გამო, სქელი კეზლის წყალობით, რომელიც ფარავს ყველა საგნებს და მოხეტიალე ცეცხლივით მბეჭტავ არა საკმარის და სუსტ განათების მიზეზით ძალიან ცოტაა იმისი იმედი, რომ დროზე მოჰყრა ყური მოახლოებულ მატარებლის ხმას, ზოგ ადგილებში გვერდის ნიშნები და კედლის შეღრმავებებია გაკეთებული, ვითომ კაცის თავშესაფარავად, მაგრამ ხშირად როცა უკვე მატარებლის რახუნის მოისმის ადამიანი ვერ ასწრებს იმ ადგილებს. თუ ყურადღებით ჩააჩერდებით სიბუნელს მატარებლის სვლის დროს ერთ-ერთ ამ შეღრმავებულში თქვენ შეამჩნევთ მიკრუნჩხულ ადამიანს. იგი ისე ახლოა მატარებლის მოგრიალე ბორბლებთან, რომ ორთქლი და კვამლი შხაპუნით ეხება მას.

და ასეთ მუშაობისთვის ეს ადამიანები მათხოვარის გასამრჯელოს იღებენ. მათი საქმე მაინცა და მაინც არ ფასდება. ყოველ დღე ათი ან თორმეტი საათის მუშაობაში ისინი იღებენ ოცდა ათიდან ოცდა ხუთმეტ ცენტამდე საათში. და რომ მათი სიცოცხლე მუდმივ განსაცდელში იმყოფება, ამას ანგარიშს არ უწევენ. ფიქრობენ, რომ ისინი ხალისით ასრულებენ თავის საქმეს. და თუ რომელიმე მათგანს გაათარევეს და დაამტერევეს მატარებელი, მაშინ ჩამოაგდებენ ლაპარაკს იმ საშინელ მსხვერპლის შესახებ, რომელიც მან დასდო, მაგრამ ყველაფერი ეს ერთი წუთით. ვახეთებიც ორ სტრიქონს თუ უძღვნიან ასეთ უბედურ შემთხვევას.

რას იტყვით თქვენ იმ ადამიანზე, რომელიც ისეთ სამუშაოს ასრულებს ასეთ მცირე ჯილდოსათვის? როგორ შეაფასებთ თქვენ მის გონების ძალას? შეგიძლიათ თქვენ სთქვათ, რომ მას მეტი არ ეკუთვნის? ერთმა ამათგანმა, ინტელიგენტ მუშის ტიპმა, არა ლოთმა და, წარმოიდგინეთ, თამბაქოს არა მწვემა, მიიპყრო ჩემი ყურადღება იმ ზედმიწევნითი სისწორით, რომლითაც იგი გადაჭრიდა ხოლმე ერთხელ არჩეულ ადგილს ლიანდაგზე. ის საშუალო ხნის, ცოლიანი და სამი შვილის პატრონი კაცი იყო. ყოველ დღე იგი ერთ და იმავე ადგილას იყო და თითქოს ინსტინქტით გრანობის მატარებლის მოახლოებას. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მე ვკითხე მას,—რატომ არ მოიძებნის ის სტვა უფრო ხელსაყრელ სამსახურს, მან მიპასუხა: „მე ხელობა არ ვიცი და სად მომცემენ მეტსო“.

და ეს კაცი გაიტანა მატარებელმა. როგორი შორსმჭვრეტელი არ იყო მისი თვალი და შეუცდომელი მისი ინსტინქტი, მას მაინც მოუსწრო მატარებელმა ერთ საღამოს და სწორედ იმ ალაგას, სადაც ის ყოველთვის ასე უწებლად თვლიდა თავის თავს. მას სრულიად გატყუებული აღმოაჩნდა თავი და მხოლოდ ტანისამოსით გამოიცინეს. როცა მკვდარი წაიღეს, მისი ადგილი იმავე

წუთში მისცეს სხვა მსურველს და ეხლა იმავ გვირაბში სხვებთან ერთად იგოც დაიარება. თქვენ რომ შეგკითხოთ ამ ადამიანს, იგივე პასუხს მიიღებთ, მას არ უნდა ამ საქმეზე იყოს, მაგრამ სულ არარაობას ეს მაინც სჯობს. ^{ნიუ-იორკის} მოვალეობის გრძობა რკინის აუცილებლობა გვიბრძანებს და ჩვენ ავტორიდან ქვად უნდა გავხდეთ. ჩვენი თავი სადაც გნებავთ იქ შეგიძლიათ ჩაჩხიროთ: კედელში, ბალავერის ბსკერზე, ბნელეთში ან ნათელ მწვერვალზე, ვის სცალიან ჩვენი არჩევანისათვის?

ბ ა რ ძ ი ა ნ ი კ ა ს ი

ქალაქის და, უმთავრესად, დედა ქალაქის (როგორცია ნიუ-ორკი) ცხოვრების ერთ-ერთ საინტერესო, დამახასიათებელ და მასთან შემხარავ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ხელით დასაბარებ ტაჩქაზე მოვაკრეები. ეს სხვა და სხვა ეროვნების, უბრალო და თან საყურადღებო ადამიანები ავსებენ დედა ქალაქის ქუჩებს. ისინი არსად არ არიან დამკვიდრებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისტ-საიდის რამოდენიმე ქუჩას. მათი უმეტესობა გარჯის მოყვარე და დაუღალავი მოსიარულეა. მათი ტაჩქა საცოდავი რამაა, საქონელიც სულ ერთფერი. დიდი ენერჯის გამოღება დაკვირდება ზოლმე ასეთ დამტარებელს, რომ ცოტათ თუ ბევრათ საგრძნობი თანხა ივაჭროს. ამისათვის არ კმარა მარტო გარჯა, საჭიროა ბედნიერი შემთხვევა, რადგან კანონის მეთვალყურე მათში ყოველთვის სახარბიელო შემოსავლის წყაროს ხედავს. ამათ სძარცვავენ და ატყუებენ ისე, როგორც არც ერთ წევრს ვაჭრობის მრავალ რიცხოვან ძმობისა.

მიყვარს მათი ცქერა, როდესაც ისინი ქალაქში მიავარებენ თავის ორ ბორბლიან ტაჩქებს. მიყვარს, როცა ეხედავ, თუ რაოდენი სიფრზილით და მოთმინებით ეწევიან ისინი თავის თითქმის აუტანელ ხელობას. მათი დანახვა შეიძლება ყველგან. საერთოდ ისინი ხილით, ბოსტნეულით, წაბლით მოვაკრენი არიან, მაგრამ ისტ-საიდში ქსოვილებს, თიხის ტურტლებს, ბეწვეულს და ტბილელულობასაც ჰყიდიან. ზოგ ადგილებში ასეთივე მოვაკრე ბერძნები ჰყიდიან ყვავილებს, საყელურებს და ზღვის გაღმიდან მოტანილ ისეთ წვრილმანებს, რომელთაც გონიერი ადამიანი კარგი თვალთ არ შეხედავს, მაგრამ ნაკლებათ კულტურულ მყიდველთა შორის ამ ნივთებსაც დიდი გასაველი აქვს.

ღამის ორ-სამ საათზე მე მინახავს, თუ როგორ გადადიოდნენ ისინი ვილიამსბურგის ხიდს და ესწრაფოდნენ ბრუკლინისაკენ. მინახავს, როდესაც საქონლით დატვირთულ დროგებზე ისინი ცდილობდნენ საუკეთესო საქონელი აერჩიათ. ბაზრის ვაჭრები მათ ანგარიშს არ უწევენ. და მათთან საქმის დაკავებას ერიდებიან.

მასოეს ერთხელ, ზაფხულის დახუთულ დღეს, დღის პირველ საათიდან საღამოს შვიდ საათამდე უთვალყურე ერთ ასეთ გამყიდველს. უკვე მოხუცმა, მან გამაოცა ისეთი ღირსებების გამოჩენით, რომელთა წყალობით ცხოვრებაში გამარჯვება უზრუნველყოფილი უნდა იყოს—და მართლაც მოთმინება, სულ კარგ გუნებაზე ყოფნა და ყველაფრის იოლად ატანა მეტად იშვიათია, როგორც ამერიკაში, ისე ალბათ, ყველგან.



იგი მეექვსე ავენიუს და ოცდა მესამე ქუჩის კუთხეში იდგა—ნიტ-იორკის იმ დროინდელ ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრულ ვაჭრობას (მეცხრე).

მაგრამ უმჯობესი იქნება რომ ესთქვათ: იგი ცდილობდა ამ კუთხეზე დგომას და ეს ცდა ყოველთვის არ იყო გამარჯვებული. იგი შეაგვრებანი, ჰალარა „დაგო“ იყო, ეს დამკინავეი სახელი უწოდა მას პოლისმენმა—ირლანდიელმა, რომლისაგანაც მოხუცს სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული. მოხუცს ცოცხალი თვალები ჰქონდა, სწრაფი მიხვრა-მოხვრა, და საერთოდ მიუხედავად ხანშესწლობისა (ორმოცდა ათზე მეტის იქნებოდა) მეტად ცოცხალი იერი შერჩენოდა.

— ესეც არის რაღა, —სხვათა შორის გადმოისროლა სიტყვა პოლისმენმა როცა შემატყო რომ მე მოხუცი მაინტერესებდა.—ძელა ნამდელი, რა მოუხერხო არ ვიცი.

მოხუცი—იტალიელი უთუოდ მიხვდა, რომ ჩვენ მის შესახებ ელაპარაკობდით: მან ნერვიულად ცოტა წინ წასწია ტაჩქა და რა დარწმუნდა, რომ მას არ ერჩოდენ, ვაჩრდა. მაგრამ ამ დროს დასავლეთის მხრიდან ყინულით დატვირთული დროვი გამოჩნდა. მან ისე მიუხვია, რომ ეტყობოდა, არაფერ ანგარიშს არ უწევდა იქ დამდგარ მოვაკრეებს და მათ საქონელს. ახალგაზრდა მედროვგემ, ირლანდიელმა ამერიკელმა, რაც ძალი ჰქონდა, დაიყვირა:

— გათორიეთ აქედან! გაინძერიეთ! გზას რას აკავენთ!

გადასწია მოსართავეები და, ვითომც აქ არაფერიყო, ტაჩქების და დალაგებული საქონლის შიგ შუა გულში შეიჭრა, თითქო ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ზარალი მიაციენოს ამ ხალხს და მით თავისი ტინი მოიკლასო. სამივე გამყიდველი მივარდენ თავის ტაჩქებს და მე უნებლიეთ თვალში მეცა—ისე მკვირცხლად შეასრულა თავისი საქმე ამ მოხუცებულმა, ისე დამწვიდებით სამშვიდობოზე გაიყვანა მან თავისი ტაჩქა, წარბიც კი არ შეხრია მას. ყოველი იმისი მოძრაობა მოწმობდა, რომ იგი შეჩვეულია ყოველგვარ გაჭირვებას. მას არც ერთხელ უკან არ მიუხვია, არც შეკუმბენილა, არც ჩივილი წამოცდენია. სამაგიეროდ, მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო იმისაკენ, რათა გამოერკვია თუ სად იყო იმ დროს პოლისმენი. ამ მიზნით იგი გარშემო ხალხს ათვალერებდა კისერ გაშვარილი. რა კი დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო, მან ტროტუარისაკენ მიაჩოჩა თავისი ტაჩქა და მყიდველებს დაუწყო ლოდინი.

ეტყობოდა, რომ მთელი მისი გულის-ყური მიპყრობილი იყო საქონელზე და იმ საშიშროებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო პოლისმენის გამოჩენასთან. რამოდენიმე ატამი გადმოგორდა—მან იმ წუთშივე თავის ალაგას დაალაგა ისინი. ერთად შეგუნდებული ატამების გროვა შესამჩნევად შემცირებული იყო (ეს საქონელი „შაურათ ორი იყო“). მან კალათიდან შეავსო ისინი. თითველ ატამს პაწია ცოცხით მტვერს აცლიდა, რომ უფრო ლამაზად და შნოიანად დაეწყო და მიეზიდა მყიდველის თვალი. იგი გადაპყრებდა ხალხს და ხანდახან დრამატიულად ხელს გაიშვერდა და გადასძახებდა:

— ატამი! კარგი ატამი!

თუ მყიდველი ახლოს მოვიდოდა, იგი ამ სიტყვებს ნელა და დამაჯერებელი კილოთი იტყოდა. მოხდენილად წინ გადახრილი, იგი ხელში დაიჭერდა



ატანს—თითქო ეს იმოქმედებდა მყიდველზე—ამოიღებდა ქალაქის კაპიტალს ისე ვითომდა ყველაფერი გათავდაო და შემპარავად თვალში წაეჭრა და წაიღო მყიდველს. თუ უკანასკნელს მართლა უნდოდა ატმის ყიდვა—საქმარისი იყო ერთი სიტყვა ან გადმოხედვა, რომ მოხუცი მიმხედარიყო, რაშია იყო საქმე.

— ხუთი-ათი—წარმოითქმოდა ფასი.—აი ესენი—და თქვენ იმ წუთში მიიღებდით, რაც გინდოდათ.

ყოველივე მისი ქცევა მოხდენილი იყო—აი ნამდვილი სიტყვა, მისი გამოხატველი.

პირველ საათიდან შეიდანვე ამ დახუთულ დღეს მას ერთი წუთის მოცალეობა არ ჰქონებია. პოლიცია ხელს უშლიდა მას ლუკმა პურის შოვნაში. იგი მუდამ ადგილიდან ადგილზე ერეკებოდა მას. და ამას ჩადიოდა არა მარტო სადარაჯოზე მდგომი და კუთხეში მოძრაობის მომწესრიგებელი პოლისმენი, არამედ შემთხვევით ქალაქის სხვა უბნებიდან გამვლელი პოლისმენებიც—ყველა მის წინ აიტუზებოდა და ერეკებოდა მას.

— აღარ გაეთრევით აქედან?—უხეში და სასტიკი ხმით უბრძანებდნენ მას.—დაიძარით! კიდევ ერთხელ რომ დაგინახოთ, ციხეში ჩაგსვამთ!

ბებერი იტალიელი თავს დახრიდა დამზის გულზე გაათრევა თავის ტაქსის.

— და მეტი აქ აღარ მოხეიდეთ,—უყვიროდა პოლისმენი. შემდეგ მომიბრუნდა მე და ამიხსნა: თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ადამიანები ძვირფას პატენტს იღებენ, ლუქანს იჭერენ და ეს დაგოები სწორეთ მათი კარების წინ დადგებიან და ვაჭრობას ართმევენ.

— ნუ თუ მათ ერთი წუთით არ შეუძლიანთ დამშვიდებით იდგენ საღმე, —დავეკითხე მე?

— რატომ არა, ნება აქეთ—მომიგო პოლისმენმა.—მაგრამ არა იმ დუქნის წინ, რომლის პატრონი ამის შესახებ უსიამოვნებას აცხადებს. მოთმინებიდან გამომიყვანენ ხოლმე. მაინც ყველა აქეთ მოეთრევა, დაეხოცავ მაგათ როდესაც იქნება.

მე გარშემო მიმოვიხედე, რომ გამეგო—მართლაც დაზარალდებოდა თუ არა ვინმე მით, რომ ეს საწყლები აქ დამდგარიყვენ და ხილი გაეყიდათ. მაგრამ ირგვლივ მხოლოდ დგამის, ქსოვილების და სხვა დიდი მალაზიები იყო. შეიძლება როდისმე ვინმემ იჩივლა კიდევც, მაგრამ აქ უფრო საქმე გვექონდა სულელურ გადაჭარბებასთან მოვალეობის აღსრულების საქმეში.

იმ დროს მე მაინტერესებდა ასეთი ტიპები და გადაესწყვეტე სახლამდის თვალყური არ შემეწყვიტოს მისთვის, რომ შეძლება მომცემოდეს მისი შინაურ ყოფა-ცხოვრების დაკვირვებისა. ეს არ იყო ძნელი საქმე.

თანდათან პოლისმენის მიერ დეენილი ტაქსა ნაწილობრივ უკვე გაყიდულ საქონლით მიგორდა ისტ-საიდის ბოლოში, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ელიზაბეტ-სტრიდთან. აქ მას და მის ოჯახს—ცოლს და სამ თუ ოთხ ბავშვს—ორი უსინათლო პაწია ოთახი ეჭირა.—ეს ისტ-საიდის ტიპური ბანა იყო. ნამდვილათ ვერ ვიტყვი, თუ რა განწყობილებაში იყო ეს კაცი თავის შავგვრემან, პირსახე დანაოკებულ და ბებერ ცოლთან, მაგრამ მგონია ისინი თანხმობით ცხოვრობდნენ.



უკვე წამოზრდილ ბავშვებთანაც კარგათ იყო. ორი ბავშვი — ბიჭი და გოგო სიხარულით მიეგებნენ მას, როცა ის შინ მივიდა და შემდეგ, რამდენიმე წუთის შემდეგ, რომ მე დანიტრესებული ვიყავი და სახლამდე მივაცილე მათი მამა, სიამოვნებით ამიხსნეს, თუ რა მოხელე იყო მათი მამა...

— ხილს ატარებს და ამით ვაჭრობს, — მითხრა ბიჭმა.

— სად ზოულობს ხილს? — დავეკითხე მე.

— იქ, ბრუკლინში. ყოველ დილას იქ დადის მამა.

მე მომავლენა, რომ როგორღაც ზამთარში, დილის ორ-საათზე მე დაეინახე მწკრივში მიმავალი შოვაჭრეთა გუნდი — რომ გადადიოდა იმ ხილზე, რომელიც აერთებს ისტ-საიდს და დელანსისტრიტს. ნუ თუ ეს მოხუციც გაოთენებამდე ასწრებს იქ მისვლას და დაბრუნებას?

— თქვენ ვინდით გაიგოთ, დადის თუ არა ის იქ ყოველ დღე?

— დიან.

— ბებერი ჯენტლმენი უკვე წინა ფანჯარასთან იყო მოკალათებული სადილის მოლოდინში და მზისაგან ვადამწვიარ ქუჩას გადაწყურებდა ქვევით. უკვე საღამო იყო. მაგრამ ჰაერი მაინც არსადიან არ იძროდა. მან შემხედდა მე და გაიღიმა. მე შეგონი რომ მან ჯერ კიდევ დღისით შემამჩნია. მას არ ესმოდა რას ელაპარაკობდით, მაგრამ დაახლოებით მიმხედარი კი იყო. შეიძლება ისიც, რომ ეს გაღიზება მისთვის ბუნების შინაგანი გამოძახილი იყო.

მე ვისარგებლე შემთხვევით და ვინახულე მათი ოთახიცა და სამზარეულოც. ყველგან სიღარიბე და სინათლის ნაკლებობა იყო, მაგრამ სუფთა ხელი ემზნეოდა ყველაფერს. ტაჩიან ადამიანის მუშაობა ვახშამს ამხადებდა, გარშემო ისმოდა მადლობა, შენიშვნები, სიცილი.

— რამდენს იშვით მამა თქვენი დღეში? — შევეკითხე მე ბოლოს მთელი რიგი კითხვების შემდეგ.

ამ კითხვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სათანადო გამოძახილი ჰყოფა. შეიძლება იტალიანურად მამას მიმართა. მამამ ზრდილობით მხრები ასწია და ხელები გაშალა, ცოლს გაეცინა და მხრები ასწია.

— ერთ-ორ დოლარს, — სთქვა ბიჭმა.

მე საკამათო არა მქონდა რა. შეიძლება, ის მეტსაც ივაჭრებდა, მაგრამ რატომ უნდა გააგებინოს მან ეს ყველას. მე ავდექი და წავედი.

მაგრამ, მე შეგონია, ეს შემთხვევა ბევრს სხვა რამეს ახასიათებს ამ ჩვენ უზარ-მაზარ ქალაქში. ყველას წინ ერეკება, თუ სიღარიბე არა, პატივ-მოყვარეობა მაინც მაგრამ ნამდვილ ამერიკელში წინააღმდეგობას იწყებს და მის ყოველივე ინსტინქტს და გრძობას მოსვენებას არ აძლევს ცხოვრების სიდუბჭირის წინაშე ასეთი თავდახრილი მორჩილება. ზეენ უფრო ვჭქარობთ, უფრო ვდღეავთ, მეტ ძალას ვხარჯავთ და მეტი დამოუკიდებლობა გვსურს. მაგრამ ვართ კი ჩვენ ნამდვილად დამოუკიდებელი? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა-კლერკების და სხვა წერილ მოსამსახურეთა უამრავ ჯარს რომ დაუკვირდეთ, რომელიც რაღაცას იგონებს, ტრიალებს და თავის სოციალურ ყოფას უიმედოთ ეჭიდება, რათა გახდეს იმით, რათაც გახდომა მათ არ შეუძლიათ, და რომ ამისთვის არ ზოგავს გულის და ტვინის ძალას; — ამათ რომ დაუკვირდეთ — თანდა-თან იგებ, რომ ბედი არაა იმათზე უკეთესი და გინდა ამათ უსურვო იმ მოთმინების და გამძლეობის მცირედი მაინც, რომელიც ასე უხვად მოეპოება ხელით სარგებელ ტაჩიან ადამიანებს.

თარგ. ალი არსენიშვილის.

კრიტიკა მხატვრობა
და
კუბლიცისტიკა

სუმბათაშვილი - იუჟინი*

I

„ველაფერი უბრალოა, თუ უბრალოდ მიუდგები. სიკვდილიც უბრალოა, ხომ ვეღა კედება, მაგრამ ამის გამო სიკვდილი არ ხდება უფრო კარგი და მიზიდველი, და მე ვფიქრობ არაფერს უარს არ იტყოდა მის სრულიად მოსპობაზე“. სწერს ა. ი. სუმბათაშვილი თავის „პირად წენიწენებში“.

და, აი ეხლა, სიკვდილმა გაამარტივა თვითონ ის. გაამარტივა კი? თუ უფრო გაართულა?

განა ის მარტივი არ იყო სიცოცხლეში, სანამ ჩვენ არ შეუდგებოდით მის შეფასებას, რადგან თვით ის მიგვანდა ცოცხალ ღირებულებათ.

რუსეთისათვის მთელი მისი მოღვაწეობა მართლაც „უბრალოა“, ესე იგი ნათელი. ვინ არის ა. ი. სუმბათაშვილი? იგი არის იუჟინი. იუჟინი კი დიდი ღირებულებაა.

რა არის სუმბათაშვილის ცხოვრება? ეს არის მცირე თეატრის ისტორია უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში. ეს უკვე ჯამია მთელი მისი ცხოვრებისა. საქართველოსთვის კი ეს ასე უბრალო არ არის.

საქართველოსთვის სუმბათაშვილი უფრო მეტია, ვიდრე იუჟინი.

და ამასთანავე უფრო ნაკლები, ვიდრე იუჟინი.

იუჟინზე უფრო მეტია, რადგან იუჟინი არის ფსევდონიმი, რომელიც სუმბათაშვილმა მხოლოდ ოცდა ორი წლისამ მიიღო. სუმბათაშვილი კი ქართველი იყო, უცვარდა სამშობლო მთელი თავისი სიცოცხლე, და სიკვდილიც საქართველოში უნდოდა.

საქართველოს მიწათ-მოქმედების კომისარიატში იციან, თუ როგორ ცდილობდა სუმბათაშვილი ერთი ნაჭერი მიწის მიღებას მშობლიურ თელეთში, თფილისის ახლოს. 1923 წელს მიწათ-მოქმედების კომისარიატმა ანგარიში გაუწია კიდევ მის თხოვნას, და ა. ი. ალბათ გაათავებდა თავის სიცოცხლეს იქვე, სადაც დაიწყო, რომ არ მომხდარიყო (როგორც მან აღნიშნა თავის ნათესავისადმი გამოგზავნილ წერილში) „რეპერტუარის“ ხელახალი განაწილება.

1924 წ. — გულის ნეკროზი, 1925 წ. — წამლობა საზღვარ-გარეთ, 1926 წელს — ფილტვების ანთება, 1927 წელს — წამლობა საზღვარ-გარეთ, სადაც

* ეს წერილი დაწერილია ჟურ „წათობი“-სათვის.

17 ენკენისთვის გარდაიცვალა კიდევ. იგი გარდაიცვალა ფეხშედგმული შერევე ათეულ წლებში—70 წლისა. სუმბათაშვილი, თუმცა საქართველოში არ დაბადებულა, თბილისში განსაკუთრებული როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ისე როგორც გორკის ცხოვრებაში. თფილისში დააყენა ის სწორ გზაზე, შეაგნებინა თავისი თავი, გახადა მწერლად, და შემდეგ მსახიობად.

თბილისში, დედისაგან შეითვისა მან შილერის, ვიქტორ ჰიუგოს და ვალტერ-სკოტის სიყვარული.

საქართველოს თეატრის მუზეუმში შემოვიდა მეტად საინტერესო დოკუმენტი: გარდაცვალებულ სუმბათაშვილის ფეოტოზიოგრაფია, მის მიერ ნაქარნახევი, ჩაწერილი კი ვასო აბაშიძის მოხუცი აკანკალებული ხელით.

— „1857 წელს მამა ჩემმა—თავადმა ივანე ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილმა შეირთო ცოლად ბარბალე ივანეს ასული კოლოგრივოვა—ნედზვიცკაია. დედა ჩემი აღზრდილი იყო თავისი დედის ელისაბედ კოლოგრივოვას მიერ. უკანასკნელი საკმაოდ ცნობილი მწერალია, მთარგმნელი დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ რუსულ ენაზე. ის სწერდა „ფონ-დიმ“-ის ფსევდონიმით.

პეტერბურგში და პარიზში, სადაც მან გაატარა თოთქმის მთელი თავისი სიცოცხლე, მასთან იკრიბებოდა საუკეთესო ლიტერატურული და არტისტული წრე. ამ „წრემ“ მოახდინა გავლენა დედა ჩემის გემოვნებაზე, შეხედულებაზე, სიმპატიებზე, ვინაიდან ის იყო ფაქიზი და მგრძობიარე ბუნების ადამიანი.

ვიქტორ ჰიუგო, გეინე, ბერნე, ბლფრედ მიუსე, მთელი ის პლეადა თავისუფლად მოაზროვნეთა და პოეტებისა, რომელნიც ხასიათებენ ამ საუკუნის პირველ ნახევარს, იყვნენ და არიან დედა ჩემის რჩეული და საყვარელი მწერლები.

ვალტერ სკოტი თავისი ძლიერი ისტორიული სურათებით, შამილი სეფინი მახვილი და მკვეთრი კუთით, შექსპირი, საფრანგეთის კლასიკები მეიერბერი როსინი, ბელინი, სიცოცხლით სავსე და მსუბუქი ოპერი, საუკეთესო რუსეთის მწერლები იმ ეპოქისა, რომელიც მდიდარი იყო ძალებით, ნიჭით, და შთაგონებით.

ამ ის სამყარო, რომელშიაც სცხოვრობდა დედა ჩემი, და რომლის გავლენა მისი შემწვობით ჩემზედაც გადმოვიდა.

არ შემიძლია არ გავიხსენო მთელი რიგი დღეებისა და ღამეებისა, როცა მე ბავშობისას, 6 წ. — 15 წლამდე, დიდი ყურადღებით და აღტაცებით უსმენდი დედა ჩემის ნაამბობს ან წაკითხულს.

შემიძლება ამ საუკეთესო საათებმა ჩემს ცხოვრებაში გადასწყვიტეს ბედი ჩემი მომავლისა და მიმართულებისა.

მე დაიბადე 1857 წ. 4 ენკენისთვის, სოფელ კუჭუვეკაში (ტულის გუბ.) შემდეგ ჩვენი ოჯახი გადასახლდა დედა ჩემის მამულში მურავლეკვაში (ტულის გუბერნია, ოდოევსკის მაზრა).

ხუთმეტი წლისამ მე პირველად გამოველი სცენაზე, სოლოგუბის პიესაში— „Вѣда от нежного сердца“.

ჩემს გამოსვლას შეხედნენ დიდის ალტაცებით, რასაკვირველია ჩემს „ქვეყანა-ქვეყნის“ წყალობით, მაგრამ ჩემი გამოსვლის არტისტულმა მხარემა სწორედ ჩემს გამოსვლას ასეთი ალტაცებული შეხედრა. თუმცა ყველაფერი ვსთქვი, რაც კი საჭირო იყო როლის მიხედვით, მაგრამ, ამის შემდეგ არაფრის გულისათვის არ მოვიხდომე სცენიდან ვასვლა. ამაღ, რასაკვირველია, დიდი აურ-ხაური და სიცილი გამოიწვია საზოგადოებაში.

დღემდე მკაფიოდ მახსოვს ყველა წერილობანი ამ გამოსვლისა. ისიც მახსოვს, როგორ ვადმომიგდეს ხალხიდან კოლოფი კამფეტებით, ისიც, როგორ წამატანა ხელი კისერში მსახიობმა, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა და გარედ გამავლო, ისიც მახსოვს, როგორ დავბრუნდი და აკრეფა დავიწყე გავანტულ კამფეტებისა, საზოგადოების გომერიულ ხარხართან ერთად. გქვსი წლისა ვიყავი, როდესაც ჩვენი ოჯახი საქართველოში ვემგზავრა, და დასახლდა თელთში, ნანა ჩემის მამულში. ცხრა წლისამ, ალტაცებულმა პოეტ მემს „სერვილი“-ს გავლენით დავწერე ჩემი პირველი ტრაგედია „კორნელი“.

შემდეგ ამას მოჰყვა ნოთხობები, რომანები, და ღრამები, რომლებშიაც მე ვებამედი ვალტერ-სკოტს, შექსპირის ქრონიკებს, რასინის და კორნელის ტრაგედიებს. ტფილისში გიმნაზიის მასწავლებელმა რილევემა პირველად აღიარა მისი ნიჭი, როდესაც სუმბატოვმა წაუკითხა მას ჩაქვის მონოლოგი.

ტფილისში მან იპოვა პირველი ნეგობარი და თანამოღვაწე თეატრის—გიმნაზიელი ვალოდია ნემიროვიჩი-დანჩენკო—მომავალი ბურჯი მოსკოვის სამხატვრო თეატრისა.

ტფილისში, ანუ ჩელურეთში 1875 წელს, შესდგა სცენის მოყვარება მცირე დასი, სადაც გარდა საშა სუმბათოვის და ვალოდია ნემიროვიჩის მეგობრებისა იყვნენ წევრებად ვასო აბაშიძე, ჩერნიკოვი, შუსტევი... ამ თეატრმა გავზარდა შემდეგ იუჟინი—მსახიობი და სუმბათოვი—დრამატურგი. ვიმეორებ—ის პირველად იყო მწერალი და შემდეგ მსახიობი.

გადასწყვიტეს დაედგათ ჩელურეთში გრიგორიევის კომედია „გონიერი ქალწული“. იყო ერთი დაბრკოლება: ვერასვხით ვერ იშოვეს პიესის ლიტოგრაფიული ეგზემპლარი. მოვპრიანათ სწორედ ამ „ქალწულის“ დადგმა, რომელიც საშა სუმბატოვს სადაც ენახა და ძალიან მოსწონებოდა:—„აი რა... მე საერთოდ მახსოვს პიესა და თვითონ აღვადგენ მის შინაარსს. და გრიგორიევის ქარგზე—ახალგაზრდა სუმბატოვმა „ლალიტის“, და „დაისის“ მომავალმა ავტორმა ამოქარგა საკლთარი ნაქსოვი. ეს იყო პირველი დრამატული ნაწარმოები სუმბათაშვილისა, რომელმაც დაინახა რამზის სინათლე.

II

ტფილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ს-ი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ეს არ მომხდარა მაინცა და მაინც იოლად.

წინააღმდეგ ჩვეულებრივ შეხედულებისა ს-ის მამა, მიუხედავად აზნაურულ მთამომავლობისა, იყო ღარიბი მემამულე. ის მუდამ ვალებში იყო და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც წაავო პროცესი თა-

ვად-აზნაურობის მაშინდელ წინამძღოლთან, არა კეთილსინდისიერ, ანგარიან მუხრანსკისთან. ეს დავა იყო აღმამყოფი ბასილათისა და კერძო სტუმრობის ძმამ ვლადიმერმა ვერ მოითმინა უსამართლობა. სასამართლომ: დაწმენა მან ესროლა მუხრანსკის. ის დაიჭირეს. ვასამართლეს. მიუსაჯეს ციხე.

ა. ი. ს-ის მამას იმდენად უჭირდა, რომ არ ჰქონდა საშუალება გაეგზავნა შვილი უნივერსიტეტში.

მას მოეწევა სუმბათოვების ოჯახის ძველი მეგობარი დ. კ. ყიფიანი (მა-მა ტფილისის ცნობილ ჟურნალისტისა), რომელმაც მეგობრებში შეაგროვა ფული, დაუმატა თავისი და საშას საშუალება მიეცა წასულიყო პეტერში და პირველი თვეები რამენაირად ეცხოვრა ამ ფულით.

პეტერში ა. ი. ცხოვრობდა ძალიან ღარიბად. მას ეჭირა მეტად მცირე ბინა პეტერბურგის მხარეზე და მუდამ შიმშილობდა. ამიტომაც ახალგაზრდა იუენი არავითარ სამუშაოზე არ ამბობდა უარს. ა. ი. ორჯელ დაბრუნდა ტფილისში და აქ მონაწილეობას იღებდა სცენის მოყვარეთა საპეტაკლებში იმავე ნემიროვიჩ-დანიჩენკოსთან, ასრულებდა ბევრ როლებს სხვა და სხვა კომედიებში. (ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“—იუზოვი). სტუდენტობის დროს ის უნივერსიტეტზე უფრო ვატაცებულია თეატრით.

რომ ამხანაგებს არ გაეფაფრებიათ—გამოიგონა ფსევდონიმი—იუენი. არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ ეთამაშნა. მანეთიან პონორარზეც კი უარს არ ამბობდა. არ იწუნებდა არც ერთ როლს—ვოდვეილებშიც კი გამოდიოდა (ვოდვეილი—„პარიკები“).

ძალიან მალე სცენის მოყვარეთა წრეებში იუენი გაითქვამს სახელს, როგორც კარგი შემსრულებელი „მოზუცისა“. მისი კეთილსინდისიერება სჩანდა როლის ცოდნაში. როგორც არ უნდა ყოფილიყო როლი, იუენი სწავლობდა მას ზედმიწევნით.

გაიყინა მსახიობი კოსტიუკოვი. ჩვენთან გაყინულებს ეძახდნენ იმ მსახიობებს, რომელნიც ვერ დაბრუნდნენ თავის დროზე კრონშტადტიდან ზღვაზე მიმოსვლის მოულოდნელი შეწყვეტის გამო. თეატრალი და ჟურნალისტი პლეშჩევი (შვილი სახელოვან პოეტის) მოვარდება ჩემთან პეტერბურგის მხარეზე.—თუ შეგიძლიათ გასწოთ კოსტიუკოვის მაგიერობა და ითამაშოთ გორე გრადიშჩევის როლი „დღის კირვარამში“? მპირდება სამ მანეთს. მესიამოვნა! ფულის გარდა ჩემთვის საამაყოა ნამდვილ წარმოდგენაში, ნამდვილ მსახიობის მაგიერობის გაწევა.

— „მივდივართ?“. — „მივდივართ!“ მე სახელდახელოთ ვითამაშე როლი თა-ვიდან ბოლომდე. უცბად გორინ-გორაინოვი—დიდი მსახიობი, რომელიც თამაშობს „დღის კირვარამში“, ამბობს:

— „ავტორი დაბაზშია!“

— ვინ არის ავტორი?

— „თვით პოეტებნი“.

მე ენა ჩამვიარდა.

— „აი თვითონ ის! რად ვეშინიათ, თქვენ მშვენიერად თამაშობთ!“



პოტეხინი ჩვენთან გაჩნდა:

— „სპეციალურად იმიტომ მოვედი კულისებში, რომ თქვენს ხელი ჩამოგართვათ! თქვენი გვარი?“

— „იუჟინი!“

— „საჭიროა ამ გვარის დამახსოვრება!“

— „და მე ჩავეწერ მისამართს ყოველ შემთხვევისათვის!“ — ამბობდა გორინ-გორაინოვი.

დამწყებ მსახიობის ცხოვრებაში ყოველი შემთხვევა მთავარი რეჟისორია. და გორაინოს არ დასჭირვებია დიდი ლოდინი ამ შემთხვევისათვის.

თავის ბენეფისისათვის მან აირჩია შილლერის „მეშანური დრამა“ — „ცბიერება და სიყვარული“, რომელშიდაც პრეზიდენტის როლს ასრულებდა ცნობილი კისელევსკი. კისელევსკიმ მოატყუა, არ ჩამოვიდა. გორაინოვი მიგზავნის წერილს: „დაუყოვნებლივ მომეშველეთ! ისევ საჭიროა იმპროვიზაცია“.

შილერი ჩემი საყვარელი მწერალია ბავშობიდანვე. როლი მე არ მისწავლია, მაგრამ პიესა ვიცი. ვთამაშობ დაახლოებით. და ისევ გამარჯვება. ბენეფიციანტი მადლობას მეუბნება. ხუთ მანეთის მიგივრად მძღღეს ათ მანეთს. ამის გარდა კულისებში მოვიდენ რეჟისორები, თეატრში რომ იყენენ. ოხოტინი (კონონატის თეატრიდან), ბაზაროვი, სტრეკალოვი და შგონი სანსოვსკი — მეგობრები გორინ-გორაინოვისა.

ის კი ეუბნება მათ:

— „აი, დაიმახსოვრეთ: იუჟინი! ახალგაზრდაა, მაგრამ არ გიღალატებს. თქვენ წარმოიდგინეთ — ექსპრონტათ თამაშობდა.“

დაიმახსოვრეს, და როცა საჭირო იყო „მოხუცის“ როლის შესრულება — დამეძებდნენ.

რად თამაშობდა მოხუცებს? ეს არის ყოველად შემძლე შემთხვევის ერთ-ერთი კარიზი.

ამ ხეტიალის დროს იუჟინს უხდებოდა თამაში ბევრ გამოჩენილ მსახიობებთან. მოხუცის როლების გარდა ის ასრულებდა აგრეთვე ბევრ სხვა და სხვა როლებს: კომედიებში — საყვარლებს, მელოდრამებში — გმირებს.

ის თამაშობდა აგრეთვე ურიელ აკოსტას, და ჩაცკისაც კი — თავის პირველ ბენეფისზე! მას უკვე კარგათ იცნობს საშოილოვი, რომელსაც ის შეხედა „კრეჩინსკის ქორწილის“ წარმოდგენაზე, ერმოლოვა, რომელთანაც ერთად თამაშობდა „ტყვე ქალსა“ და „უბედურ ბედში“. თვით ლენსკიც: თამაშობდნენ „უჩალებში“, ლენსკი — ფრანცს, იუჟინი — კარლოს.

სავინა, და ფედოტოვაც იცნობენ მას, განსაკუთრებით კი დრამატურგი — პოტეხინი, რომელიც აღტაცებული იყო სკეორცოვის როლის შესრულებით სუშბათაშვილის მიერ, მის პიესაში „Выгодное предприятие“.

შემდეგ, პოტეხინის წინადადებით მოიწვიეს სუშბათაშვილი „მცირე თეატრში“.

ერთი სიტყვით ყოველივე რიგზე მიმდინარეობდა.



III

ესხედვართ ერთხელ, ლიტერატურულ-სამხატვრო წრეში მისცემს კელი ვერ-ნალისტები ს. ბ. ლიუბოშიცი (მაშა თფილისის სახალხო მსახიობისა), ნ. ე. ეფროსი (ცნობილი თეატრალი), და მე.

ლაპარაკი ჩამოვარდა იუჯინზე, რომელიც ამ წრის დაარსებისთანავე იყო მის თავგდომარეთ.

„აი, თვითველი ჩვენგანი იცნობს იუჯინს თითქმის 30 წელიწადი, სთქვა ლიუბოშიციმა, სამივენი ერთად მაშასადამე თითქმის 100 წელიწადი, მისი ცხოვრებიდან რომელიმე ამბავის მოთხრობას კი, ვერაფერ ჩვენგანი ვერ შესძლებს.

იუჯინი უანგდლოცო ადამიანია.

თვითველი ბიოგრაფია მოითხოვს თვალსაჩინო და ხელშესახებ მომენტებს, რაღაც ადამიანური დოკუმენტებია საჭირო.

სწორედ ანგდლოტებია საჭირო! სთქვა ეფროსმა.

მე პირადად ერთი ანგდლოტის თქმა მოვახერხე. ეს შემთხვევა მოივონა თვითონ სუმბათაშვილმა, და აი როდის.

ერთხელ ვზივარ სამხატვრო წრეში და ვმუსაიფობ ერთ ახალგაზრდა მსახიობ ქალთან, ამ დროს შემოდის ა. ი.

— „რა ამბავია, რათა ხარტ ასეთი გაფითრებული? ივად ხართ? თუ გაწყენინათ ვინმემ?“

— „მაწყენინეს ა. ი.! ძალიან მაწყენინეს თეატრში!“ უპასუხებს აღელვებული მსახიობი, და ცრემლები ადგება ფეხებზე.

— „რასაკვირველია, რეჟისორი იქნება დამნაშავე... ალბათ, არა შესაფერისი როლი მოგცათ?“

— „დიახ, დიახ, აბა, თითონ თქვენ განსაჯეთ ა. ი.“

მსახიობმა დაიწყო იმის განმარტება, თუ რამდენათ არ შეეფერება იმას როლი, და ბავშვსავით ტირილი დაიწყო.

— „ნეტავი რას იტყოდით ჩემო კარგო ქალო, რომ მოეცათ ჩემთვის სოფიას როლი კომედიაში „ვაი კქუისაგან“.

მსახიობმა ვერ შეიკავა ღიმილი.

— „აი, თქვენ იცინით! მე კი არ შეცინებოდა, როდესაც 1872 წელს რეჟისორმა სოფიოს როლში დამნიშნა!.. იმ დროს გიმნაზიელი ვიყავი. რეჟისორათ კი რუსული ენის მასწავლებელი. წარმოდგენა მოწაფეებისა. შეურაცყოფა კი დიდი იყო.

გულახდილათ ვეტყვი, ჩვენს შორის კი დარჩეს, მეც თქვენსავით ვტიროდი. საკვირველიც არ არის, ეს ხომ ჩემი პირველი როლი იყო!.. მე, ჩაკციზე ვოცნებობდი.

დაზებრებული მქონდა მონოლოგი „Французик из Бордо, надеживаясь грядь!“.. და ამის შემდეგ სოფიას როლი!.. მაინც ხომ მივალწიე ჩემს მიზანს!

აბა! გაიმშრალეთ თვალები! და თავის დღეში ნუ იტყვიო უარს არცერთ როლზე, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მეფე ლირს გათამაშებენ... მაშინ თქვენც მივალწიე მიზანს!..



— „ეფროსსაც ჰქონია გაგონილი ა. ი.—დან, რომ პირველ კოლეჯში მელიც მის მიაწოდეს, იყო სოფიას როლი, მხოლოდ მას უარი ვერცხადეს, ამ დროს ჩვენ მაგიდას მოუახლოვდა იუენი.

ლიუბოვიცმა მოპართა მას.

ა. ი!. ჩვენ ეხლა ვლაპარაკობდით თქვენზე, რა იღბლიანათ მოეწყო თეატრალური თქვენი ცხოვრება, არავითარ მარცხს, ან უბედობას არ ჰქონია ადგილი თქვენი კარიერის დასაწყისშიაც კი.

— რამდენიც გინდათ! როცა მე 1878 წელს ემსახურობდი მოხეტიალე დასში, რომელიც აწყობდა წარმოდგენებს პიტერის ახლო-მახლო ადგილებში, ეს განა გაუთავებელი უბედობა და მარცხი არ იყო, რამდენჯერ დავბრუნებულვარ პეტერბურგის მხარეზე ფეხით, შპალეებს გამოვცოლივარ, ახლა, რამდენი უსიამოვნობა შემხვდა მცირე თეატრში სასახურის პირველ წლებში. ამხანაგი მსახიობები ექვის თვალით მიეყურებდნენ, ეგონათ, რომ მე პოტეხინის პროტეკციით შემოველი თეატრში, რომ მე მისი ფავორიტი ვარ, და ვაბეზღებ მათ. თუ კი მსახიობი უნდობლათ გიყურებს, მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე. ერთხელ ვთამაშობ თეატრში პეტერბურგის მხარეზე „უბედურება და ცოდვა“. მე არ ვიცოდი, რომ დასში არის კიდევ ერთი პრეტენდენტი კრასნოვის როლზე. მე მეგონა, რომ დასში მეტის პატივისცემით მეპყრობოდნენ, მაგრამ ნოვტყუფდი. ერთი მსახიობი იმდენად თეაზიანი გამოდგა, რომ თითონ გამიკეთა გრიმი. პიესის ბოლოში გამოვედი—დარწმუნებული, რომ დიდ შთაბეჭდილებას მოვახდენდი ეფექტიანი ფინალით, დარბაზმა კი, როგორც ერთმა აღამიანმა დაიწყო ხარხარი. მსახიობნიც კვდებიან სიცილისაგან. თურმე მსახიობი, რომელმაც მე გრიმი გამიკეთა, ყოფილა გულნატკენი პრეტენდენტი კრასნოვის როლისა, მან მოახერხა,—მე თითონ არ ვიცი როგორ, ჩემი ცხვირი, რომელიც როგორც თქვენ თითონ ხედავთ საკმაოდ ნიზრდილი მაქვს, სრულად გაეთეთრებია, ეფექტი იყო საშინელი.

როდესაც, შემდეგ სარკეში ჩაეხედე, მე თითონ გულიანად გადაეხარხარე. თუმცა მეტის-მეტად შეწუხებული ვიყავი.

როლი გაეაფუქე! რას იზამდი! გრიმს ეიშორებ, ამ დროს საპირფარეშოში შემოდის „პეტერბურგის ფურცლის“ რეცენზენტი შჩერბაკოვი, მთერალი, როგორც ყოველთვის. წარმოდგენაზე მას ეძინა, და ვერაფერი ვერ შეუძინევია, მე თითონ უამზე მას ჩემი უბედურება, ძალიან შევეცოდე.

ემუქრებოდა ჩემს შეურაცყოფელს, მოითხოვდა, რომ დამესახელებინა. რასაკვირველია უარი უთხარი. შჩერბაკოვი გამყუა მე, და ლამე ჩემთან ეძინა, დილას გავიღვიძე, ეხედავ ზის შჩერბაკოვი ჩემს მაგიდასთან, ჩემ ქალაღზე, ჩემი კალმით, ჩემი ნაამბობიდან სწერს რეცენზიას ჩემს გამოსვლაზე. მეორე დღეს ვკითხულობ—თმები ყალყზე დამიდგა—მლანძღაედა, იწასთან მასწორებდა! თქვენ კი ამბობთ: ყოველივე რიგზეა, განა თქვენთან, რეცენზენტებთან შეიძლება „ყოველივე რიგზე“ იყოს.

ერთი სწერს:—არაფერს არ უმატებ.—„ულამაზო სიარული, საძაგლიდ მოყვანილი ტანი, უსიციოცხლო სახე“.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მეორე: „ყოველივე მოძრაობა—სილამაზე“.

ერთი: „ხმა დიდი, მაგრამ უხეში, და მოუდრეკელი“.

მეორე: „ხმა ძლიერი, მოქნილი, სასიამოვნო“.

ერთი თუ სწერს, რომ მე განვაცადე როლი, მეორე სწერს რომ მხოლოდ წარმოვადგინე.

ერთისთვის თუ მე ჭკვიანი მსახიობი ვარ, მეორესთვის—ტემპერამენტია. ისე სწერენ მხოლოდ უბრალო ღამის რეცენზენტები კი არა, ხშირათ კრიტიკოსებიც დიდი სიხელით.

ეს ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. გინდა მართლაც დაუგდო ყური, ანგარიში გაუწიო ამ რეცენზიებს, მაგრამ ამ ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო აზრთა ქაოსში იბნევი და გული გიტყდება. ა. ი. სუმბათაშვილი მოგვიჯდა ჩვენ, ისე როგორც თითქმის ყოველ დღე, და განაგრძო ლაპარაკი, იმის ხმაში მოისმოდა სიმწარე, და საშინელი გულისტკივილი რუსული სცენისადმი სიყვარულით გამოწვეული. ამ უროს ჩვენ მაგიდას მოუახლოვდა ა. რ. კუგელი, რედაქტორი, „თეატრისა და ხელოვნების“, ჩამოსული რამდენიმე დღით პიტერიდან. ისიც დაინტერესებული შემოგვივიროდა.

— ყველაფერი რიგზე მიდის? რუსულ თეატრში ყველაფერი ურიგოა, ყველაფერი ამაოებია! „მუზეუმის სამსახური არ ითმენს წვრილმანობას“, როგორც სოტკვა პუშკინმა. ყველაფერი უსწორია: რამდენი სიმძიმე აწევბა ჩვენს თეატრს! ცენზურის სიმძიმე—ზედპეტია იმის განმარტება, თუ როგორია ეს სიმძიმე! ცენზურის გავლენით ბეჭდვითი სიტყვა მიიღტვის უმცირეს დაპრკოლებს ხაზისაკენ, ესე იგი ხელოვნებისაკენ საერთოდ და განსაკუთრებით თეატრისაკენ. აქ სიტყვის სრული თავისუფლებაა. შეიძლება თქმა და თქვენ იცით, ვინ როგორ ამბობს. ეს თქმები კი დამაჯერებელია ასი ათას მკითხველთათვის, რომლებიდან ორი პროცენტიც არ ყოვილა წარმოდგენაზე. და აი: მეორე სიმძიმე არის პრესა. მესამე ტვირთია—საზოგადოება. მეტის-მეტად მკირება მათი რიცხვი, ვინც გაზეთებს შეგნებულად კითხულობს. მათზე გაველენას ახდენს პრესა. მეოთხე ტვირთია—მოდა.

მესამოცე წლებში მოდა მოითხოვდა უსათუოდ „იდეურ“ პიესებს, „მომართულებით“. მე-70 წლებში იმავე მოდამ დგენა დაუწყო „ტენდენციურ“ პიესებს. მოითხოვს „რეალურ“ პიესებს. ხუთი წლის შემდეგ იგივე მოდა მხოლოდ ფსიქოლოგიურ პიესებს მოითხოვს. და კიდევ ხუთი წლის შემდეგ „ფსიქოლოგიური“ პიესები დაგმობილი იქნა. არის მოთხოვნილება საერთოდ „ლიტერატურულ“ პიესების. თეატრალური პიესები მოდას არ სერს. შემდეგ მოდას მოენატრა მხოლოდ სიმპოლიური პიესები. შემდეგ პიესები „გუნებით“ (с настроением). ბალე „გუნების“ პიესებიც განკიცტეს.

მსახიობი ამბინჯებს თავის თავს. უნდა ემსახუროს ორ ბატონს. ორს კი არა—ოცდა ორს. რეპერტუარის მიხედვით დასი სხვანაირად თამაშობს.

„აი თქვენ, ა. ი. უნდა დასწეროთ ამის შესახებ „თეატრში და ხელოვნებაში“, და პუშკინიდან ეპიგრაფიც გამოგადგებათ“.



— დაეწერ, უთუოდ დაეწერ. თქვენი ფიქრით ეს ყველაფერზე უკეთესი და დეე აღმინისტრაციის სიმძიმე, რომელიც მოითხოვს თეატრიდან, უნივერსიტეტის მაგიერი კათედრა, ტრიბუნდა პროპაგანდისათვის, ესტრადა პიესების წასაკითხავად, გამოფენა სურათების გამოფენისათვის, მუზეუმი ისტორიულ და ეტნოგრაფიულ კოსტიუმებისათვის, სილიზაზის სალონი, სადაც ეჩვენებოდა კარგ მანერებს და მოხდენილ გამოწყობას. განა ეს უშეგავსობა არ არის, რომ ახლა თეატრა გატაცებულია ბრივეს „წამხდრებით“. ამ დროს დიდ მოდაში იყო ეს პიესა, რომლის გმირია სიფილიტიკი, განა დასაშვებია თეატრი გადააქციო სიფილიდოლოგიის კათედრად? მე ვერ შევრიგებოვარ ამ ფრანგულ პიესას ფრანგულ ავადმყოფობის შესახებ! მაგრამ ეს სიმძიმეც არ არის უკანასკნელი. სიმძიმე პაშაღურების, რომლებსაც ნიშნავენ ჩვენთან! განა ჩვენთან დანიშნავენ გამგედ სპეციალისტს, მსახიობს, რეჟისორს, დრამატურგს? მაგრამ ამის შესახებ სიტყვის თქმაც არ შეიძლება, — კედლებსაც ყურები აქვს. არის კიდევ სიმძიმე პროტექციონიზმის, რომელიც მთელ დასს აესებს უნიკობით — ეს ყველაფერზე უარესია. არის კიდევ ტეირთი მსახობთა შორის ერთმანეთის დალატისა, რასაც დირექცია უფრო აძლიერებს და რეჟნის მსახიობებს... თქვენ კი ამბობთ, რომ ჩემი ცხოვრება უეკლოა, სწორია. მე სახე მაქვს ასეთი, და არა ცხოვრება. მე არასდროს არ მინახავს ა. ი. ასეთი მწუხარე და აღშფოთებული. მის წერილებიდან, რომელნიც დაბეჭდილი იყო „თეატრსა და ხელოვნებაში“ შესდგა მისი წიგნი „პირადი შენიშვნები“ თანამედროვე თეატრის საერთო საკითხებზე. ახლა ეს წიგნი იშვიათია. ის იშოვება ტფილისის თეატრალურ მუზეუმში.

IV.

სახე და ხასიათი სუჰმათაშვილს მართლაც სწორი და წმინდა ჰქონდა. მუდამ აღურსიანი. თავდაჭერილი. თავაზიანი ყველასათვის კეთილის მოსურნე, ყველასთან ერთნაირი. მაღალი ტანისა, ოდნავათ მზრებში მოხრილი (სცენაზე სრულიად არ ეტყობოდა), თვალები დიდის ურადლებით გიცქერიან, მაგრამ არ კი გცდიან, არაფერი არ უკვირს.

ჯენტლმენი ყველგან და ყველაფერში.

კლუბი უყვარს როგორც ნამდვილ ინგლისელს. რაც უნდა ყოფილიყო, წარმოდგენის შემდეგ მაინც შემოვიდოდა კლუბში, რომლის თავმჯდომარეთ თავიდან ის იმყოფებოდა. უსაზოგადოებოთ ის ვერ სძლებდა. ჩვენ, ეურნალისტებმა ვიყოლით, რომ დღისით იუფინი თეატრშია, ღამე კლუბში, და ამიტომ სახლში მასთან ჩვენ არ დავდიოდით.

1) შემდეგში, როდესაც ა. ი. დანიშნა მკარე თეატრის გამგედ, ის შეუდგა საინტერესო სტატისტიკის შესწავლას. მან შეისწავლა „შეკრების წიგნი“ 65 წ. განმავლობაში. „და კეთილსაგან“ 1886 წ. — 1901 წ. დაიდგა 250. ეს პიესა არც შეტკინისა და საშარინის დროს არ აესებდა თეატრს. ამ პიესით ყოველწლიურად დაინტერესებული იყო, თუ მცხოვრებთა რიცხვი იყო მოლიონი, ერთი ორას ორმოცდამათე ნაწილი მოსკოვისა. ასეთ პიესას პარიზში ნახავდა მცხოვრებთა მესამე ნაწილი, ჩვენთან კი 0,4 პროც. ესე იგი ჩვენ საზოგადოება კი არა გვეყვს, არამედ უგულო.

(„პირადი შენიშვნები“).



მე, როგორც უფროსი, ვიყავი ერთ-ერთი დამაარსებელი კულტურულ-სამხატვრო წრისა და ამიტომ მეც მუდამ დაკვირვებოდი კლუბში ყოფილ ბევრი წლების განმავლობაში, ვიდრე ლენინგრადში გადაესახლდებოდი, ყოველ ღამე ეხედებოდი იუჯინს. ბევრი წერილები „Русское Слово“-ში შთაგონებულია სუმბათაშვილის მიერ. რამდენი შეხვედრა, რამდენი მოგონება თითქოს, მაგრამ მოგონება იუჯინზე მცირე თეატრას გოლიათზე — ისეთი მონოლიტურია, რომ ვერ ჩასკიდებ ხელს.

— ამიტომ არის, რომ მე დაწერილებით ეძებები ამ ლიტერატურულ წრეს. წრე, რომელიც აერთებს სუმბათაშვილის სახელს მაქსიმ გორკის-პეშკოვის სახელთან.

35 წლის წინათ, ტფილისმა, როგორც ვიცით, ითამაშა პეშკოვის ცხოვრებაში. ისეთივე დიდი როლი, როგორც სუმბათაშვილის ცხოვრებაში. ტფილისში აებილა გორკის თეატრები საკუთარ ნიჭზე.

ტფილისში პეშკოვმაც და სუმბათაშვილმაც შეიგრძნეს თავიანთი თავი.

ტფილისში გამოვიდა პირველი ნაწარმოებნი როგორც პეშკოვისა ისე სუმბათაშვილისა. ერთი სიტყვით, ორივენი „ტფილისელები“ არიან.

აი, სწორედ ეხლა, კარგი იქნება მოვიგონოთ, როგორი თავგანწირულებით, და გულითადი სიყვარულით მიიღო სუმბათაშვილმა უმცროსი „თანამემამულე“ თავის მოსკოვის კლუბში.

ამ კლუბს, მოსკოვის პოლიცია მუდამ აღმატებულად უყურებდა. ვასაგებიც არის, ყოველ კვირა, ხან და ხან უფრო ხშირათაც, წრეში იმართებოდა ლიტერატურული საღამოები. ამ საღამოებზე კითხულობდნენ მოხსენებებს. იმართებოდა დისკუსიები. მომხსენებლები თითქმის ყოველთვის გაღებულდნენ ვიწრო ლიტერატურულ ბილიკიდან ფართო პოლიტიკის და საზოგადოებრივობის გზაზე.

ამ ცხარე დებატების დროს ისეთი სიტყვები წამოგვედებოდა ხოლმე, რომ ალბათ მის უდიდებულესობას „უავესტოეს ბატონს“ სერგეი ალექსანდრეს-ძეს ხშირათ ასლოკინებდა. ყოველივე მემარცხენე და მწეავე ლიტერატურაში მისწრაფოდა ამ საღამოებზე. ჩვეულებრივ თავმჯდომარეობდა ვალერი ბრიუსოვი, რომელიც სპეციალურათ ამისათვის გზიყვანეთ წრის დირექტორათ. ხშირათ დაგვესწრებოდა ა. პ. ჩეხოვი, ივდა და სდუმდა. მრავალი სტატიები ჟურნალების „Весы“-ს, „Золотое руно“-სი, „Мир искусства“-სი დაბეჭდვამდე იკითხებოდა ჩვენს წრეში, როგორც შორივი მოხსენება.

ახალგაზრდა ავტორების მოთხრობებიც ჯერ ჩვენი წრის კრიტიკულ ტარეცხლში გაივლიდნენ ხოლმე. ნამეტნავად ლექსები. პოეტები ზომ განცხრომაში იყვნენ.

ახალგაზრდა კრიტიკოსებს შორის ყველაზე ცნობილი იყო მაქსიმილიან შიკ და მშები კოორანსკები. შიკ გარეგნობითაც ამართლებდა თავის გვარს, მუდამ ლამაზად გამოწყობილი, გულზე მიბნეული ყვავილი, თვალში მონოკლი, ინგლისურად გაყოფილი თმა. იმ ახალგაზრდობას, რომელიც ამ კრიტიკოსის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ ჩვენც, და ვაზეთებიც „შიკებს“, ანუ „შპიკებს“ ვეძახდით.

მაქსიმ გორკის მიმდევრებს კი „პოდმაჟიმკებს“ ანუ „მობოსტანის მკვირ-ველს“ ყოველსა პოდმაქსიმკები გარეგნობით განიორჩეოდნენ „აშჩეკებისაგან“: უბრალო ხალათი, a la მაქსიმ გორკი, მოგრძო თმები, წილებიც გორკისებური, წალებში ჩატანილი შალვარი და სხვა.

ამ ახალგაზრდობის ტიპიურ წარმომადგენელი იყო სკიტალეც-პეტროვი.

„პოდმაჟიმკები“ შორის, რასაკვირველია, ბევრი იყო სრულიად უნიკო ახალგაზრდა, რომელიც მხოლოდ მიეტმასნა უზომოდ კეთილს და ამასთანავე უნებისყოფო გორკის.

ეს უნიკო ხალხი, გორკის წყალობით „კარიერას“ იცეთებდა, ბოროტად იყენებდა მის სახელს, უსიარცხელივ უყეთებდნენ თავიანთ თავს რეკლამას, და ზოგიერთი სკანდალებით ჩირქს სტებდნენ მწერალს.

მაგრამ სკანდალი სკანდალისგან განიარჩევა.

მათ შორის იყო რამდენიმე მართლაც ბრწყინვალე ტალანტი (სამწუბაროდ მე არ ვიცი, სად გაქრნენ ისინი) და მათი შეტაკება „პოეზიან“ (მათშიაც ზოიძებნებოდა ენა მახვილი და ნიჭიერი ყმაწვილი) ცხარე ხასიათს იღებდა, და დიდ ინტერესს იწვევდა.

თუნდაც სკანდალი, მაგრამ ეს სკანდალი აზროვნებას აღვიძებდა და პოლიტიკურ „სიმწვიდეს და სიწყნარეს“ არღვევდა.

ეს საღამოები გვაცხოველებდა, სახე გვენთებოდა, თვალები გვიბრწყინავდნენ, ხან და ხან აღარც კი გვეჯროდა, რომ ეს რუსეთში ხდებოდა, რომ ჩვენ მოსკოვში ვიმყოფებოდით.

ბრიუსოვის მაგივრათ ხშირათ თითონ გორკი თავმჯდომარეობდა.

მაშინ ყველაფერს კიდევ უფრო მძაფრი და მნიშვნელოვანი ხასიათი ეძლეოდა. რასაკვირველია ამ წრის საღამოებზე გავლენას ახდენდნენ ლიტერატურული დღის სხვადასხვა დამახინჯებული მიმდინარეობანი, მისტიციზმიც, ფოტიზმიც, სკიტალეცის გმირები, ბოჰემობანადე. მაგრამ, უკანასკნელად, არაფერი არა რჩებოდა უპასუხოთ.

საერთოთ, არ შეიძლება უარყოფა იმისი, რომ იუეინის წრემ ითამაშა დიდი როლი ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიაში მოსკოვში და, მასადაამე; მთელ რუსეთშიც.

ვალერი ბრიუსოვი გაიზარდა. გაძლიერდა ამ საღამოებზე.

დროგამოშვებით ის აცნობდა საზოგადოებას თავის კაბინეტურ შრომებს დასავლეთ ლიტერატურაში. დასავლეთ ევროპის მწერლები რუსეთში ჩამოსვლისას არ უშვებდნენ შემთხვევას წაეკითხათ მოხსენება საზნატერო წრეში. ყოველივე ეს, ერთათ აღებული, ვიმეორებ ძლიერ არ მოსწონდა „მოსკოვის ბატონ პატრონს“, მის უდიდებულესობას სერგეი ალექსანდრეს-ძეს. წრის ბედი ბეწვზე ეკიდა. ა. ი.-ის ყოველ კვირას აფრთხილებდნენ, რომ „თუ ბოლო არ მოელო ამ უმსგავსოებას, წრე უთუოთ გაუქმებული იქნება“. მაშინდელ ხელისუფლებასთან ხუმრობა საზიფათო იყო. ამისდამიუხედავათ ა. ი. მაინც ხუმრობდა: გორკი დადიოდა წრეში, იუეინი კი ხვდებოდა მას ალტაცებით, და ისევ თავმჯდომარის ადგილს უთმობდა.



ეს ერთხელ კიდევ ბედავდა მთავრობის გამოწვევის ^{გარდა} ^{მთავრობის} ^{გამოწვევის} ^{გარდა} ^{მთავრობის} ^{გამოწვევის} მეორე დილით სუმბათაშვილს იწვევენ „გარდანაჩაღნიკის“ კანცელარიაში, რამერპო-ლიცმეისტერთან, ან ენდარმერიაში.

ა. ი. ხმარობდა მთელ თავის გავლენას და ავტორიტეტს, რომ გადაერჩინა თავისი საყვარელი პირწმო. ამას უბასუბებდნენ:

„გორკი იქ არ უნდა იყოს, თუ არა და პასუხს თქვენ აგებთ“.

გადიოდა ერთი თუ ორი დღე, და გორკი ისევ გამოჩნდებოდა, მას უმართავდით ახალ ოვაციებს, რომელიც უკვე დემონსტრირებულ ხასიათს იღებდა. ასე გრძელდებოდა გორკის მოსკოვიდან წასვლამდე. რა აკავშირებდა ამ ადამიანებს, რომელნიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან რწმენით, გემოვნებით, შთაბოძავლობით? შე ვეფიქრობ—რომანტიზმი. რომანტიზმი გორკის ბოსიაკებისა და რომანტიზმი შილლერის ყაჩაღებისა, თუ ამას დაუკვირდებით, ენათესავებიან ერთმანეთს. და საერთოთ შილლერის „მეშინურ დრამაში“ ისეთივე გამოწვევაა, როგორც გორკის ბოსიაკურ დრამაში. რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის დრო, როდესაც ცხოვრობდა შილლერი და გორკის დრო, მათ ფესვები ბევრი აქვთ საერთო—ამ ორ რომანტიულ დრამას. იუჟინს არ შეეძლო არ შეეყვარებოდა გორკის რომანტიზმი. საერთოდ დიდ გამოკანად უნდა ჩაითვალოს—რად იღებდა ა. ი. მემარცხენე მიმდინარეობათა, ანუ თანამედროვე ერთ რომ ვთქვათ—მემარცხენე ფრონტის წარმომადგენელს.

ყველა სთვლიდა სუმ-ლს ძალიან ზომიერად და თითქმის მემარჯვენედ ლიტერატურაში და ხელოვნებაში. ხომ ყველამ იცოდა, რომ სუმბათაშვილი მზად იყო ყოველთვის დაეძახნა:

„უკან, ოსტროვსკისაკენ“!

სანამ ამას დაიძახებდა ამხ. ლუნაჩარსკი. თავისი გამოსვლებით მცირე თეატრში ის იძახოდა:

უკან შილერისაკენ!

და მოულოდნელად ვალერი ბრიუსოვი, თედორე სოლოგუბი, მაქსიმოლიან ვოლოშინი, ანდრეი ბელლი, ვიანესლავ ივანოვი. მაქსიმ გორკი, „პოდმაქსიმკები“ და „პშიკები“!

სუმ-ლს არ შეეძლო გაემარგებია თავისი წრე ამ ლიტერატურული საღამოებით, პირიქით—უბრალო წრე ლოტოთი, კარტით, პტი-შეოთი უფრო იოლად იქნებოდა ნებადართული, ვიდრე წრე ლიტერატურული პტი-შეოებით.

ერთი სიტყვით შეუძლებელია არ მოიგონო. მისი მოღვაწეობა ამ წრეში, რომელშიდაც იმან გაატარა მესამედი თავისი ცხოვრებისა.

V.

თავაზიანი, ნიკიერი ეფროსი მართალი იყო, როცა ბოდიშს იხდიდა იუჟინის 40 წლის საიუბილეოთ გამოსულ—მოსაწყენ წიგნისათვის.

ის ამბობდა: „რა ვქნა, რომ ეს კაცი ანგედოტის ვარეშე სდგას!“

არც მე მინდა ვიყო მოსაწყენი და არ ჩამოვითვლით იმ როლებს (179), რომელსაც თამაშობდა იუქინი მცირე თეატრის სცენაზე ორმოცდაათწლიან წესს განმავლობაში, რომ გავიგოთ, რაოდენი ოქენე სილაშიზისა ვადმირსის შისს კოუზ ს—მა 3200 წარმოდგენით, დაეუშვათ, რომ საშუალო რიცხვი მაყურებელთა უდრიდა 500 კაცს, და მაშინ უნდა დაეასკვნათ, რომ მარტო ამ სცენაზე ის უნახავს 1600000 მაყურებელს. ნამდვილად კი ეს აუდიტორია უნდა გამორავლოთ ორჯერ. რითი ჰქეუბავდა იუქინი ამ აუდიტორიას სულიერად? 50 პროცენტით არა იმით, რაც თვითონ უნდოდა, როლების ნახვეარი არ იყო ღირსი ამ დიდი ხელოვანისა, ვინაიდან 50 პიესა 180-ან დაღვპული იყო შოდის წყალობით, უფიც დირექციის თვითნებობით და კიდევ უფრო უფიც საზოგადოების მოთხოვნით. ძალიან ხშირად საზოგადოება იწონებდა სრულიად უფარგის პიესებს. დანარჩენი 90 როლი იყო რუსული და დასავლური. იუქინის დიპაზონია—შექსპირის ტრავედია, რომანტიული დრამა და მაღალი კომედია.

უდიდეს მწვერვალებს მან მიაღწია რომანტიულ დრამაში, რომელიც ბევრშიდან უყვარდა.

მეტად დამახასიათებელია, რომ ამ ყველაზე მეტად ეგროპიელს რუს მსახიობთა შორის, ყველაზე უფრო დამთავრებულს თანამედროვეთა შორის, რომლის როლები ყოველთვის დამუშავებული იყო დეტალებამდე—(თეატრალურ მეცნიერების მიხედვით) არაა დროს არ ჰყავდა არც ერთი თეატრალური მასწავლებელი.

მისი ერთად ერთი მასწავლებელი იყო თვითონ ის. და მისი დედა, რომელმაც შეაყვარა რომანტიკოსები.

იუქინი მართლაც „საპოეტკა“. ის გადააგდეს ხიდიდან წყალში და დაუყვირეს:

„იფორთხილუ და ისწავლე ცურვა!“

და სუბმატოვი ფორთხილებდა, რომ ესწავლა იუქინისთვის ცურვა.

და როცა ის მცირე თეატრში მოვიდა, მან იკოდა ჩინებული ცურვა, ის გამოვიდა დებიუტანტად ჩაიკის როლში, რომელშიდაც უნდა გამოსულიყო გიმნაზიელობის დროს. მხოლოდ არა ჩაიკის, არამედ სოფიას როლში.

ფამუსოვს თამაშობდა სამარინი, სოფიას ერმოლოვა, ხლესტოვას—მედვედევა,—ლიზას ნიკულინა, რეპეტელოვს—რემიშოვი, მოლჩაინს—სადოვსკი, სკალოზუზს—ვილე.

ს—ლი თამაშობდა ამ როლს 1882 წლიდან 1910 წ.

ეს იყო ჩაკი დიდი პოტენციალური ძალის, პაბუკური აღწვფოთების და გულწრფელი ენტუზიაზმის, არა უბედი.

ეს იყო თეატრალური სკოლა მომავალი ჩაკებისათვის: ისე გამოკვეთილი ჰქონდა ყოველივე დეტალი, გამახვილებული დეკლამაცია, სრულიად ახალი და მოსწრებული ინტონაციები, მოძრაობის ისეთი არტისტიული სიძენწე.

იუქინის შემდეგ სირცხვილია ჩაკის შესრულება ნევრასტენიკად. მაგრამ კიდევ თამაშობენ. სირცხვილია მისი თამაში ჰამლეტისებურად, ან კიდევ ჩეხოვის ზედმეტ ადამიანად (და მაინც თამაშობენ).



ჩაცვი სახეც უნდა იყოს სიჭაბუკით. სირცხვილია ითამაშო ჩიცვი, როგორც მოხუცებული, ან კიდევ საშუალო ხნის რეზონიორი. თვითონ მრეკვეთს უნდა მოცდა ათი წლის შემდეგ დაიანება თავი ჩაცვის როლს, მაგრამ არა! დასუბეჭებო! თავი საყვარელ პიესისათვის, ჯერ გადავიდა რეპეტილოვის და შემდეგ 1917 წ. ფიშუსოვის როლზე.

იუენის შემდეგი ნილაბები, რომელნიც მაგონდებიან, როგორც დიდებული მარმარილოს ქანდაკებანი—ეს არის ურიელ აკოსტა, დიუნუა („ორლენის ქალწული“), მორტიმერი („მარია სტიუარტ“—შილერისა), ევმონტ (გოტე), ბოშელ („მარია შოტლანდიელი“—ბიერსონისა), ორტის („სევილიის ვარსკვლავი“—ლოპე დე-ვეგასი), ჟან ვალეან (პიუგო), იარლ სეულე („ბრძოლა ტახტისათვის—იხსენისა), ტუმელიკი („რავენელი მეომარი“), რუი ბლავ (პიუგო), კარლოსი მეხუთე („ერნანი“—ვიქტორ ჰიუგოსი), მარკიზი პოზა („დონ კარლოსი“—შილერისა) და ყველა ისინი გარდაიკვალენ! დაიხურა წიგნი—მშენიერად დასურათებული გამოცემა in situ ჭვირვას ქალაქზე ოქროს ყდით—გამოცემა იუენისა—ტომი პირველი, მსოფლიოს რომანტიკოსები“. ხსოვნა ამაოდ მოინდომებს ამ წიგნის ფურცლების გადაფურცვლას! ყველაფერი დაფარა სახურავმა.

სამარადისო ხსოვნა! არაფერი არ არის ამ ხსოვნაზე უფრო წუთიერი. თავს ნუ მოვიტყუებთ: შექმნილი ლეგენდები, რომლითაც ასე ამაყობს მსახიობი, კვდება მასთან ერთად. ეს მართლდება ნამეტნავად იუენის მაგალითზე. ის იმდენად ამახვილებდა თავის ხელოვნებას, რომ ზოგჯერ შენი თეატლების არა გჯეროდა.

და მე ხშირად ვამიგონია გამოხიბლული პროვინციალურ მსახიობებისაგან, რომელნიც ჩამოსული იყვნენ რომ მოესმინათ იუენის დეკლამაცია და ენახათ მისი მაღალი ხელოვნება.

„სად არის იუენის ნაქები დეკლამაცია? მის სიტყვას ტემპერამენტის ხასიათი აქვს, და არა გონების. სად არის მისი ხელოვნება? ის კი არ თამაშობს, ის განიცდის!“

და ხშირად პრესაშიც გაისმოდა ასეთი ხმა: „ის თამაშობს შინაგანი პათოსით“.

ეს შეცდომაა: ნამდვილ ხელოვნებას უნდა შეეძლოს ისე კარვად დამალოს თავისი თავი, რომ ტეხნიკა არ სჩანდეს, როგორც კარკასი ქოლგის გახეულ მატერიისაგან.

პრესა მარკიზ პოზას როლის შესახებ ყურადღებას აქცევდა დიდ მიღწევას, რომ მან შესწავლა ყოფილიყო ერთ და იმავე დროს დიდებული და გულწრფელი, ბუნებრივი პათოსის მწვერვალებზე, აზროს ენტელხისტი, როგორც სიჭვა ლიუბოვიცმა. შეიძლება მთელ კარლოს მეხუთედან დარჩეს სცენა საფლავთან, სადაც მრავალფერადი დეკლამაცია აღწევს პათოსის მწვერვალს, სადაც სიმართლე აღარც სიმართლეა, მაგრამ არც სიცრუეთი იქცევა.

და კიდევ დაიხურა მეორე ტომი იუენის ბრწყინვალე გამოცემისა, რომლის ძეგლებურს ყდაზე გამოკვეთილია: „შექსპირის ნილაბები“. ისინი უამრავია: ჰამლეტი, ოტელო, მაკბეტი, კორიოლან, რიჩარდი, შეილოკი, პოსტუმი (ციმბელინი).

და კიდევ მესამე ტომი: „დანარჩენი მასკები იუენისა“.

აქ უმთავრესად არის მაღალი კომედია: ბოლინგბროკი (ყველაფერ უღრვი ქიქა*). კავერშანი („იდეალური ქმარი“), ფამუსოვი, ნილაბები: პრესტრეპნიკოვსკი პოტეხინისა, სუმბატოვისა, მოდესტ ჩაიკოვსკისა. მთელი ჯარი რეზონიორებისა, საყვარლებისა, გმირებისა, კეთილშობილ მამებისა და არა კეთილშობილ არშოყებისა. ამ სამ ტომში თითქმის ორასი როლია. და ყველა ეს როლები იყო შედეგი მხოლოდ ჯავაიჩის შემოქმედებისა.

გადიოდა ერთი, თუ ორი დღე, და ჯორჯი ისევ გამოჩნდებოდა, მას უმართავდით ახალ ოვაციებს, რომელნიც უკვე დემონსტრაციულ ხასიათს იღებდნენ. ასე ვრძელდებოდა, გორკის მოსკოვიდან წასვლამდე. რა აკავშირებდა ამ ადამიანებს, რომელნიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან რწმენით გემოვნებით, ჩამოშავლობით? მე ვფიქრობ—რომანტიზმი, მთელი ჯარი რეზონიორებისა, საყვარლებისა, გმირებისა, კეთილშობილი მამებისა და არა კეთილშობილ არშოყებისა. ამ სამ ტომში თითქმის ორასი როლია. და ყველა ეს როლები იყო შედეგი მხოლოდ ჯავაიჩის შემოქმედებისა.

მასსოვს ერთხელ ა. ი. გამოვიდა ჩემთან გაზეთით ხელში: „აი შეხედეთ—მე ისევ „ნუტრიკადა“ (НУТРИКА) გამოადეს! რეცენზენტი ამბობს, რომ მე მაქვს ტემპერამენტიც, შთაგონებაც, ცეცხლი, განცდა და ყველა ეშმაკები! იმის მაგიერად, რომ დაეწერა: „აი, მსახიობნო, წაბაძეთ იუენის, მას არა აქვს არც ტემპერამენტი; არც შთაგონება, არც განცდა, არც შინაგანი ცეცხლი („нутра“*) მაგრამ თამაშობს და ძალიან კარგად თამაშობს! აი რას ნიშნავს შრომა, როლის შესწავლა, აი რას ნიშნავს გონებრივი შრომა და ტენიკა! მე ვიცი საკუთარი თავის ფასი. მე არ ვფიქრობ გაუტოლდე ლენსკის. მე არა მაქვს ის ღირსებები, რომლითაც დაჯილდოვებული იყო ის ბუნებისაგან. მაგალითად მე ვიცი, რომ ჩემი ხმა არ არის სასიამოვნო, და მე ვეთანხმები რეცენზენტებს, რომელნიც ჩემ ხმას ასე ახასიათებენ: ძლიერი და გაშეშებული. მაგრამ ეს ხმა დიდი შრომით მე გავამახვილე და ის დეკლამაციის დროს ბევრს მოსწონს. მე ვიცი, რომ სახე არ მაქვს მეტყველი და ჩემი ტიპიური ცხვირი, რომელიც არავის არ ავიწყდება, ყველა როლებში მიჰყვანებს ერთ და იმავე გმირს. მე ბევრი ვიმუშავე, და კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო, რომ ჩემი სახე იყოს იმდენად მეტყველი, რამდენად ეს საჭიროა პარლემენტისათვის, პოზისათვის, ბოლინგბროკისთვის, და მე ვიცი, რომ ბევრ რამეს მივალწვე. მე ვიცი, რომ ჩემი ტანი უხეშია, ვეროსმა ტყეოლად კი არ შემადარა ბელტს,—თუმცა მაღალი ვარ, მაგრამ მოხრილი ვარ. სიარულიც არა მაქვს ლამაზი. მე შევიმუშავე მეტყველი სიარული, მოხრილობაც დაემალე. განა ეს ნაკლი სჩანდა სცენიდან? მე იმით ვამაყოფ, რომ თუცა ცოტა მაქვს ბუნებრივი ღირსებანი, მე ისინი იმდენად გავაწვითარე ხელოვნურად, რომ ბევრი სცდება და ფიქრობს. თითქოს ყოველივე თავის თავად დაყოლილი მაქვს!

*) нутро — პარულიარული მამის სიტყვა, ახასიათებდა მსახიობს, რომელიც თამაშობს ესკოლოდ, როლის დაუმუშავებლად, მხოლოდ შთაგონებით და ტემპერამენტით, შინაგანი განცდით.



ხანდახან მე მინდა ამის შესახებ დაეყვირო მთელი მსახიობების გასაგონად! არის როლები, რომელთაც მე ესწავლობდი რამდენიმე წელსწინ. მაგალითად იაგო. რანოდენიმე წლის განმავლობაში მე ვერ ვებედავდი საზოგადოების წინაშე გამოსვლას, ვინაიდან შესრულება არ მაქმარავდა. და მე ჩემი გავიტანე მაინც. არავენ იცის, რომ მე ათი წელი ვიპუშავე ამ როლისათვის. მაგრამ ამაშია ბოლოს და ბოლოს მთელი ამოცანა მსახიობისათვის: რომ არ სჩანდეს მუშაობა, რომ პიესას ოფლის და ნავთიან ლამფის სუნი არ უდიოდეს! განა საზოგადოება მიხვდება, რომ იაგოში უფრო მეტს ვემუშაობდი იმაზე კი არა, სადაც უნდა ვლაპარაკობდე, არამედ იმ ადგილებზე, სადაც უნდა ვდუმდე.

არ დაათვაო პაუზა—ეს ისეთივე მარცხია, როგორც ეს პაუზა ზედმეტად გაავრძელო. რითი ან როგორ ამოავსო ეს პაუზა, ან საერთოდ თუა საჭირო ამ პაუზის ამოვსება,—აი საკითხი! დიხს!—პაუზით სარგებლობის ხელოვნება მოითხოვს დიდ მუშაობას. იცის კი ეს საზოგადოებან? ესმით ეს მსახიობებს?

VI.

და კიდევ მეოთხე, უკანასკნელი ტომი—„ა. ი. სუმბათაშვილის პიესები“. 14 დრამა, 2 კომედია, 2 ვოდვეილი („ახლოა ნიდავეი, მაგრამ ვერ უკუნა“—ვოდვეილი (1877 წ.), „ერთი მეორეზე“—ვოდვეილი (1877 წ.), „სიკოცხლის უფლება“,—დრამა (დაკარგულია ვ. ა. ტიხონოვის მიერ), „ნებამცდენი“—დრამა (1878 წ.), „ბნელი ძალა“—დრამა (1879 წ.), „საუქუნის ასული“—დრამა (1880 წ.), „ფუტლები შრიალებენ“—დრამა (1881 წ.),—გადაკეთებულია „საუქუნის ასულიდან“), „სერგეი სატილოვი“,—დრამა სოფლის ცხოვრებიდან (1883 წ.), „ჭმარი სახელოვანი ქალის“,—დრამა (1884 წ.), „მეფე იოანე IV“, დრამატული ქრონიკა (1884 წ.), „მიმინოები და ყორნები“—დრამა (1885 წ. გადაკეთებული ვ. ი. ნემიროვიჩ დანჩუკოსთან ერთად „მეხამცდენიდან“), „არკახანოვები“—დრამა (1886 წ.), „ბორკილები“—დრამა (1886 წ.), „ძველი წრთობა“—დრამა (1895 წ.), „ჯენტლმენი“—კომედია (1897 წ.), „დაისი“—(1899 წ.), „ლალატი“—რომანტიული დრამა (1903 წ.), „ბადე“—დრამა (1905 წ.), „ბელადები“—დრამა (1908 წ.), „ლამის ნისლა“—დრამა (1916 წელი), „რაფაელი“—დაუმთავრებელი დრამა ლექსით). პიესები—„ბორკილები“, „დაისი“. „ლალატი“ და „ძველი წრთობა“ გადათარგმნილია ქართულ, სომხურ, პოლონურ, ჩეხურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. „სერგეი სატილოვი“ არ ყოფილა დადგმული, ვინაიდან აკრძალული იყო ცენზურის მიერ.

ეს ტომი დაიხურა. მაგრამ მას ხშირად გახსნიან. ა. ი. ხომ პირდაპირი გავრძელებაა ოსტროვსკის (შემთხვევითი არ არის, რომ მისი „ჯენტლმენი გეოსურათებს ახალი ფორმაციის ვაჟის ცხოვრებას), პოტეხინის, გნედინის, ილექსეი ტოლსტოის (იოანე IV ჰაბუკობა“) და შილდერის.

„ლალატის“ პრემიერის შემდეგ ე. მ. დოროშევიჩმა სთქვა:

—თუთონ შილდერი მოაწერდა ხელს ამ პიესას!

შეიძლება აგრეთვე მესხეთე ტომის შედგენა თეორეტულ წერილებიდან, ჟურნალებში მოთავსებულ შენიშვნებიდან, მოხსენებებიდან, რომელთაგანაც შეიძლება ჰქონდა მცირე თეატრის რეფორმა, დრამატულ და საოპერო კავშირის რეორგანიზაციიდან, მისი საქმიან წერილებიდან, არა საქმიან წერილებს ის არ სწერდა.

ამ ტომში შევა აგრეთვე მისი პოლიტიკური წერილი „რკინის მკლავებში“.

ამ ტომში უფრო დაჯინებით ისმის ა. ი. სუმათაშვილის ხმა მსახიობის დასაცავად.

მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ს—ა იმას, რომ აემალღებია მსახიობის სახელი და ცოდნა. ის იყო პირველი ინტელიგენტი მსახიობთა შორის, და პირველი მსახიობი ინტელიგენტებს შორის. ის განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო მსახიობის რეგისორისგან დამონავეებისა, როგორც სამაატერო თეატრში.

წინააღმდეგი იყო იმ სენების, რომელნიც აფერხებენ მსახიობის განვითარებას, ის უარყოფდა ხელოვნურ ტრიუქებს, რომელთაც უნდა შეექმნათ გუნება („Настроение“) თეატრში. ა. პ. ჩეხოვის ს—ი აფასებდა და უყვარდა, მაგრამ მის „გუნებას“ უყურებდა თავისებურად. მის „პირად შენიშვნებში“ მოცემულია იმის სინტეზი, რაც იმან განიცადა და იფიქრა მთელი თავისი სიცოცხლეში. ის თვითონ უწოდებდა ამ ნაწყვეტს „ალსარებას“, ამიტომ ს—ის დასახასიათებლად საჭიროა მისი მოყვანა.

„ძნელი წარმოსადგენია, რომ აეტორი, რომელიც მთელი თავის არსებით ჰქმნის თავის პიესას, უგუნებოთ სწერდეს. ერთი სიტყვაც არ იწერება თავის თავად. ყოველთვის არსებობდენ სხვა და სხვა სულიერი განწყობილებანი—იუმორისტული, ღირიული, სატირიული, სატრფიალი, გმირული, მათი ურიცხვი ნაჩრდილები.

ბოლოს და ბოლოს გოგოლი, შილლერი, გრიბოიედოვი უთუოდ „გუნების“ დრამატურგები არიან. მაგრამ მათ აქვთ ბევრი სხვა თვისებები გარდა ამ აუცილებელ თვისებისა, რომელიც ახასიათებს ყოველ ნიჭიერ ნაწარმოებს. იმაზე მეტი გუნება, რომელიც ოსტროვსკისა აქვს „უმზითოში“, ძნელი წარმოსადგენია თვით იმსენის პიესებშიც. არ შეიძლება უარყოფა მათი რეალიზმისა, იდეურობისა და ლიტერატურულობისა. მაგრამ ეს მათი ისეთი თვისებებია, რომელიც აქვს სხვა მწერლებსაც, არა დრამატურგებს, არა დრამატულ ნაწარმოებში, მაგრამ არც ერთი ამ თვისებებიდან, არც მათი ჯამი არ ხდის გოგალს, შილლერს, გრიბოიედოვს, ჰიუგოს, ოსტროვსკის და უკანასკნელად შექსპირს არც გენიალურ მწერლებათ, და არც უდიდეს დრამატურგებათ.

მათი შემოქმედება მედიდურათ იპყრობს თეატრს და უკავშირდება მის კანონებს და მის არსებას. ესენი არიან—დრამატურგები „ღვთის წყალობით“, და თავიდანვე დაყოლილი აქვთ იმის გაგება, რომ დრამა არ უნდა იყოს მოთხრობა, რომ კომედიას არავითარი საერთო არა აქვს ტრაქტატებთან. შექსპირი და მოლიერი მსახიობები იყვნენ, გოგალს კი უნდოდა ყოველიყო მსახიობი, ვინაიდან ამ დიდ დრამატურგებს ესმოდათ მთელი თავისი უსახლვრო ბუნებით,



რომ სცენა არის საგანგებო, რთული აპარატი, რომლის გზავნილს მსჯელობა ვიდრე წიგნის გზა, თუმცა მათი მიზნები და მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

მათ ესმოდათ, რომ თეატრის შესწავლელად შეუძლებელია დრამატურგობა, როგორც შეუძლებელია ბრძოლა, თუ არ იცი იარაღის ხმარება, თუნდაც მებრძოლი აღფრთოვანებული იყოს უდიდესი იდეით, გატაცებული უღრმესი პათოსით, იცოდეს მთელი ფილოსოფია და მნიშვნელობა ომის, კიდევაც რომ ჰქონდეს მებრძოლის ყველა თვისებები. არც შექსპირი, არც შილლერი და არც ჰიუგო არ ერიდებოდნენ ტრაგიულ ვეფექტებს, დიალოგის ზედმეტ ფერადებს, მკვლევლობას, სიგიჟეს, გრგვინვას და მოჩვენებებს. არც მოლიერი, არც გოგოლი, არც გრიბოედოვი და არც ოსტროვსკი არ ერიდებოდნენ კომიკურ ხასიათის სიტყვებს, გაბედულ სურათებს, სახიფათო კომიკურ მდგომარეობებს, თავის სახეების ზედმეტ სიცხადებს და ტიპიურობას. ისინი ნდობით ეპყრობოდნენ მსახიობს და მსახიობს საშუალება ეძლეოდა განეხორციელებია დაეალებული ამოცანები.

თუ მათ უნდოდათ გადაესროლათ საზოგადოებაში თავისი სახეები და განზრახვები, თავისი ფილოსოფიური დასკვნები და სოციალური შეხედულებები. შეეპყროთ საზოგადოება თავისი განცდებით, თავისი იდეებით, ისინი ყოველივე ამას აკეთებდნენ სცენის საშუალებით მხოლოდ: იღებდნენ ცოცხალ ადამიანებს მათი ენებით, ღირსებებით, სენებით, დაატაკებდნენ მათ ერთმანეთს და თეატრალურ სიჩქარით მიყავდათ ისინი ამა თუ იმ შედეგამდე.

მათთვის თეატრი იყო ადგილი, სადაც პიესა მხატვრულ განხორციელებას ნახულობს, სადაც არის ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა, ბრძოლა, რომელშიაც ჩნდება ადამიანის ხასიათი, სადაც ისახებიან და იღუბებიან იდეები, არსდებიან და ჰქრებიან დაწესებულებანი და ცნებები. და ამ ასპარეზზე იბრძოდნენ არა ფრაზები და აბსტრაქციები, იბრძოდნენ ადამიანები თავის დროის თვისებებით.

ყველა ამ დებულებებმა მოახდინეს გავლენა ნიჭიერ დრამატურგზე ი. პ. ჩეხოვზე. მისი ძალა და საიდუმლოება იმყოფება არა „გუნებაში“. მისი გუნება იმიტომ სჩანს ასე ინტენსიურად, რომ მისი სახეების სიცოცხლე, მთელი მათი კოლორიტი გარმონიულად შეხვევებულია მის შინაგან შემოქმედებასთან; ის იმდენად საესეა თავისი გმირების სიცოცხლით, იმდენად უერთდება მათ სახეებს, რომ უნებლიეთ აძლევს მათ იმ ფერს, რომელიც არსებითად მათგან მიიღო.

რადგან მასში ფეთქავს დრამატურგის ძარღვი, მას არ შეუძლია იყოს „გუნების თეორიის“ წარმომადგენელი, როგორც ეს უნდათ მის მოწაფეებს, რომელნიც უფრო მდიდარი არიან შემთვისებელი ნიჭით, და არ შესწევთ ძალა შექმნან ჩეხოვის თავისებურ მანერიდან ახალი კატეხიზმი.

ყოფილი თანამოღვაწე იუენისა ვ. ი. ნემიროვიჩი-დანჩენკო გახდება ხელოვნებაში მისი მოწინააღმდეგე. ის მიიპატივებს დისპუტებზე სალიტერატურო-სამხატვრო წრეში. თემა დისპუტისა იყო: მსახიობის თავისუფლება, და სამწუხაროდ ყველა სიმპატიები პრესისა და საზოგადოებისა, „მშვიკების და პოდმაქსიმელების“ იყვნენ საშხატურო თეატრის მხარეზე.

ყველანი აგრეთვე წინააღმდეგი იყვნენ მორიგი რევისორობის, რომელიც ტელიაკოვსკიმ შემოიღო მცირე თეატრში იუქინის წინააღმდეგობით.

და ასეთი მოხუცი თეატრალეები, როგორც პ. დ. ბობოროკინი და ეტიხი კარპოვი, და ასეთი დამწყვდენი, როგორც მაქსიმ გორკი და ა. პ. ჩეხოვი იყვნენ წინააღმდეგი მორიგ რევისორობისა!

ა. ი. ს-ი ჩავარდა არა სასიამოვნო და ყალბ მდგომარეობაში. პროექტი იყო მისი. პრესა კი ლანძღავდა ტელიაკოვსკის. ბობოროკინმა დაბეჭდა ვეებერთელა ფელეტონი, კარპოვმა მოითხოვა გაენთავისუფლებიათ ეს სამსახურისაგან, ვინაიდან არ სურდა რევისორობა მორიგ რევისორ-მსახიობებთან.

ჩეხოვსა და გორკის არ შეეძლოთ მხარი არ დაეჭირათ ნემსოვიჩი— დანჩენკოსათვის, ისე მხურვალეთ უყვარდათ მათ სამხატვრო თეატრი. როგორ შეეძლოთ კრიტიკა გაეწიათ იმ სისტემისათვის, რომელმაც მოგვცა ისეთი უნაკლო დადგმები, როგორც „ძია ვანია“ და „უფსკრულზე“. რა მოგვცა დადგმის მხრივ მცირე თეატრმა?

ა. ი. ს-ი იტანჯებოდა, ვინაიდან თვით მსახიობებს—ერმოლოვას, საეინას, ფედოტოვას არ ესმოდათ მისი ჩუქორმა. ს-ლს არ შეეძლო დადგმება და ის იცავდა თავის იდეას. და ვარდებოდა უფრო ცუდ მდგომარეობაში.

მის შეგობრებსაც ეგონათ, რომ ის იცავს ტელიაკოვსკის, იცავს ყველასგან მოძღვლებულ ადმინისტრაციას. ის არ იყო გუნებაზე და დროებით დაკარგა თავისი ტონი და სიმშვიდე. და ყოველივე ეს იმიტომ, რომ ა. ი. ს-ი გამოვიდა მსახიობთა ვექილად, მისმა იდეამ მორიგ რევისორობის შესახებ გაასწრო თავის დროს. ის უფრო შეეფერება თანამედროვეობას.

ა. ი. მართალი იყო. მისი დროის დიდი ნაკლი და ბოროტება იყო ის, რომ ბევრი რევისორი სცენის მოყვარე იყო და არა სპეციალისტი თავისი საქმისა. მდიდარი ვაჭარი თავისი ქისის წყალობით ზღებოდა თეატრის მბრძანებელი და სტანჯავდა მსახიობს თავისი კაპრიზებით.

რომელიმე შტალმეისტერი და მანქიკა კამერგერი ინიშნებოდა ზვედან სახაზინო თეატრში და სწევდა რევისორობას კანცელიარულ ბრძანებების საშუალებით. რევისორიდან არ მოითხოვდნენ რაიმე სპეციალურ ცოდნას, მაშინ, როდესაც თეატრის დარგი ზედმიწევნით სპეციალურია.

და ს-მა აღმაშალა ხმა და მოითხოვა, რომ რევისორად ინიშნებოდეს უთუოდ თეატრალური სპეცი—თუნდაც მსახიობი.

„რა არის ახლა მსახიობი თეატრში? „აღმასრულებელი“—და არა მარტო როლების, არამედ ყველა იმ პირთა განკარგულებების, რომელნიც განაგებენ და სწყვეტენ თეატრის ზედ-იღბალს.

ვინ უნდა იყოს მსახიობი თეატრში? „ხელოვანი“, თავისი საქმის ბატონი. ის უნდა ემორჩილებოდეს სასტიკ დისციპლინას, ისეთ ხელოვანს, რომელმაც იცის, როგორ წაიყვანოს საქმე, რომელმაც იცის სცენის რთული და უსაზღვრო მცენიერება, როგორც იციან თავისი მცენიერება ექიმებმა, სამხედრო პირებმა, ტენიკოსებმა, იურისტებმა. ეს თითქოს მარტივი, ანბანისებური კომპარტიტება! მაგრამ ის დღემდე არ არის განხორციელებული ცხოვრებაში!



ვინ არის დამნაშავე?

— თვით მსახიობი! — დაჯერებით გვიპასუხებს იუტონი მთელი თავისი წარსულით, აწყმითი და მომავალით. პირველი, რასაც უნდა ცდილობდეს რუსი მსახიობი, ეს არის მეტი დაახლოება ცხოვრებასთან. თუ ცხოვრებას არ იცნობ, ვერ წარმოადგენ, ვერ ითამაშებ მას!

... „იქ, სადაც მსახიობი ხედავს ცხოვრებას რეეისორის თვალებით და მისი კარნახით ასახიერებს ამ ცხოვრებას. იქ ხელოვნება აღარ არის!“ ... „თავისი მოღვაწეობის შინაგან. პირად დარგში მსახიობი უთუოდ თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ ძალდატანებიდან, თუნდაც ავტორის გავლენისაგან“.

„ეს თავისუფლება მხოლოდ მაშინ გუუენის მსახიობს, როდესაც მან თავისი ნიჭი გაანვითარა თავისი სახეების შექმნის ხარისხამდე.“

წინააღმდეგ შემთხვევაში „არავითარი ძარღვი, არავითარი შინაგანი ძალა, ტემპერამენტი ვერ უშველის მსახიობს და ვერ დაიცავს რეეისორის ბატონობისაგან“.

ამის გარდა მსახიობი უნდა ზრუნავდეს თავის განათლება-განვითარებაზე.

... „რად უნდა გადავატეოთ თეატრი — ხელმძღვანელი დაწესებულება — უფიცობის ბუდეო და ყველა უიმედო და გამოუდევარ ხალხის საფანეთო“

... „სასურველია, რომ ახალ და ძველ შეხედულებათა ქარიშხლიან და აუცილებელ ბრძოლაში მსახიობი იღებდეს მონაწილეობას არა როგორც ზარბაზნის ხორცი, არამედ როგორც შეიარაღებული და შეგნებული მეომარი, რომელმაც იცის, რისთვის იბრძვის.“

მესამე ამოცანაა — „მუდმივი განვითარება ჩვენი საქმის ტექნიკისა“.

... „ჩვენმა მსახიობებმა ნაკლებად იციან სცენაზე ლაპარაკი, დუმილი და მოძრაობა. და ეს ყოველივე დამოუკიდლებად ნიჭის რაოდენობისაგან.“

სუბმათაშვილი იყო ყველაზე უფრო დიდი ინტელიგენტი რუს მსახიობთა შორის — რუსული სცენის დაარსების შემდეგ. და აი როგორი მინიმუმი საჭირო მსახიობისათვის! რას მოითხოვენ მსახიობიდან ნაკლებად განვითარებული, ან სრულიად გაუნვითარებელი მსახიობები? ისინი არაუფერს არ მოითხოვენ არც სხეებისაგან და არც თავის თავისაგან. ისინი კმაყოფილი არიან „თავისი თავით, თავისი სადილით და ცოლით“, ხდებათ მოხელეები და ემორჩილებიან რეეისორის ბრძანებას. მეორე შემთხვევაში ისინი უქმყოფილო არიან ყველაფრით და წუწუნებენ საზიზღრათ.

იუტონს, ისე სწამდა „მორივი რეეისორების“ ინსტიტუტი, რომ წერილებში თბილისის ჟურნალისტ ლევან ყიფიანისადმი ის იძლეოდა რჩევას დაუყოვნებლივ შემოეღოთ ტფილისის თეატრში ასეთივე პრინციპი. რეეისორებიდან ა. ი. უთითებს შალვა დადიანზე, და ვალერიან გუნიაზე.

შალვა დადიანს, ა. ი. გაეცნო მოსკოვში 1903 წელს. დადიანი ჩამოვიდა მოსკოვში, რომ, შესულიყო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტზე უფრო მას იზიდავდა თეატრის უნივერსიტეტი, როგორც მაშინ იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრი.

ეს იყო „იული ცეზარის“ დადგმის სეზონი. დადიანი ისე ემზადებოდა, რომ ოცნებობდა რეჟისორის ასეთივე გამარჯვებაზე ქართულ თეატრში. ეს იყო ის ხანა, როცა ეასო ამაშიძე და კოტე შესხი სტოვებდნენ სკენას. მათ ღირსეულ მაგიერობას კი ვერაინ სწევდა, ახალგაზრდობაში არავინ იყო დიდი ნიქის პატრონი. იქლებულნი იყვნენ ყველაფერი ანსაბლზე დაემყარებინათ.

თავის შთაბეჭდილებას შ. დადიანი უზიარებს თფილისელ მეგობრებს (წერილით). განსვენებული რეჟისორი შალიკაშვილი, უპასუხებს ასეთივე გატაცებით. ახალგაზრდები: ა. წყნუნაე და ა. ფალავა შევიდნენ კიდევ სამხატვრო თეატრის სახელოსნოში, თეატრის საქმის შესასწავლად. ამ გატაცებამ ვერ მოიტანა დიდი შედეგები. თფილისის თეატრი სპეციუიური იყო, რეპერტუარს ეკლექტიური ხასიათი ჰქონდა. ამ პირობებში ცდების, გაკეთება, მთელი თეატრის გარდატეხა შეუძლებელი იყო. მაგრამ, უკველია, ამ გატაცებამ შეიროდენი ნაყოფი მაინც მოიტანა.

შალვა დადიანს მცირე თეატრი იმ ხანაში დახედა, ოცა ლაპაოაკი არც კი იყო რეჟისორების მორიგეობაზე. ამ დროს ლენსკი მეფობდა, გამგეობა იყო კონდრატიევის ხელში.

სუჰბათაშვილი ჯერ როგორც რეჟისორი გამოჩენილი არ იყო. ამისდა მიუხედავად სამხატვრო თეატრის პოლიტიკასთან პერსონალურათ ა. ი. იბრაძი. შ. დადიანი მოგვითხრობს დისკუსიაზე, რომელიც გამართა სტუდენტობამ მაშინდელ სათავადაზნაურო საკრებულოში. დისკუსიაზე მოპატიუებული იყო აგრეთვე სუჰბათაშვილი.

ის მხურვალეთ იცავდა მსახიობთა ინტერესებს, რომელნიც შეეწირობებულნი იყვნენ რეჟისორის თვითმწყობელობით.

ის განსაკუთრებით წინააღმდეგი იყო „სამხატვრო თეატრის“ ტრიუფებისა. ის ამტკიცებდა, რომ ვენერა მილოსელის ქანდაკება მოტეხილი ხელით უფრო საინტერესოა, ვიდრე თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით შესრულებული ქანდაკებები.

ის იცავდა თავის პირობითი დადგმას და უარყოფდა სტანისლავსკის თეატრის კრიტიკებს და სხვა ფიგურებს.

შ. დადიანმა გაიცნო იუჟინი ქაროველ სტუდენტების საღამოზე.

წლიდან წლამდე ა. ი. იღებდა დიდ მონაწილეობას ქართულ სტუდენტობაში. არც ერთ ქართველ სტუდენტს, მისულს მასთან, არ გამოისტუმრებდა ისე, რომ რაიმე დახმარება არ გაეწია, ან ალერსიანი სიტყვით მაინც არ ენუგეშებინა. მოსკოვის, მრავალრიცხოვან ქართველთა კოლონიის ცხოვრებაშიც სუჰბათაშვილი მუდამ ცხოველ მონაწილეობას იღებდა, და ქართველ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა.

„ალოატის“ პირველი წარმოდგენის შემდეგ (ერმოლოვას მონაწილეობით), სადაც იუჟინის როლს ასრულებდა რიბაკოვა, და ოთარბევის მაგიერათ ვილაც მახუბა წარმოგვიდგინა, სუჰბათაშვილთან გაიმართა ბანკეტი. ამ ბანკეტზე კოტე შესხმა აიღო ჰიკა ერმოლოვას სადღეგრძელოთ „რუსი ქალის, ატირებულის



ქართული ცრემლებით, და იუენის, რომელმაც თავის „ლანტერნს შუამოიხსი-
და ლალატი სამშობლოსადმი.“

ს—მა ცხარედ უპასუხა, რომ არას დროს არ უღალატნია სამშობლო-
სათვის. უყვარდა, უყვარს, და ეყვარება საფლავის კარამდის.

მე შემეძლო შეცხოვრა და მენსახურა არა თუ მოსკოვში, ამერიკაში და
იქაც კი საქართველო მეყვარებოდა. რაც უფრო დაშორებული ხარ სამშობლოს,
მით უფრო ნადვლობ და გიყვარს ის.

ქართველ სტუდენტობის წარმომადგენელმა ჰკითხა იუენის, რატომ არ
აიღო „ღალატში“ ერთი რომელიმე განსაკუთრებული ისტორიული ეპოქა.

— „ეს მე შემზოვავდა. ჩემი მიზანი იყო მიგვეჩვენებინა სული საქართველო
სი. მომავალში ვაპირებ ისტორიული პიესის დაწერას“.

შ. დადიანს ახსოვს, რომ სუმბათაშვილს განზრახული ჰქონდა დაეწერა
მხიარული კომედია ყოველდღიურობის სიუჟეტზე: სომეხს შეუყვარდა ქართვე-
ლი ქალი, და რა გამოვიდა აქედან?

განსვენებულის ქალღღებში ამნაირი დაწყებული პიესა არ აღმოჩენილა.
სამაგიეროთ არის რამდენიმე ვარიანტი პიესის „რაფაელისა“ თეთრი ლექსით.

თუკმა სუმბათაშვილი დიდი ავტორიტეტი იყო ქართველი მსახიობისათ-
ვის, მაგრამ ზაინც უკანასკნელ დრომდის იმარჯვებდნენ სანხატვრო თეატრის
იდეები. მოსკოვში იყო დაარსებული ქართული თეატრის სტუდია, რომელსაც
ხელმძღვანელობდა მკედლიშვილი.

მკედლიშვილის გარდაცვალების შემდეგ ვ.-ლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ
ჩააბარა სტუდია სამხატვრო თეატრის მსახიობს დემიდოვს.

ამ სტუდიამ მოგვცა 10-12 კარგი მსახიობი, და ორი ახალგაზრდა ნიჭი-
ერი რეჟისორი: ასხაბაძე და გომიაშვილი.

VIII.

უკვე გამოჩენილი მსახიობი მკირე თეატრისა, სუმბათაშვილი სამჯერ ეს-
ტუმრა თფილის: 1902 წ., 1916 წ. და 1923 წელს.

1916 წ. სუმბათაშვილმა ჩამოიტანა „ღალატი“, და დადგა რუსულ ენაზე
ლევინას მონაწილეობით.

ქართველებმა უპასუხეს მას „ღალატის“ დადგმით ქართულ ენაზე. მის
როლს ასრულებდა ვალეო გუნია, რომელთანაც ძალიან მეგობრულ განწყო-
ბილებაში იყო. ისინი განუყრელნი იყვნენ. თბილისში ჩამოსვლისას გაიერდა
კიდევ გუნიასთან—განოვის ტუჩაზე. წარმოდგენის წინ სუმბათაშვილმა წარმოს-
თქვა სიტყვა რუსულ ენაზე. ქართული ენის უცოდინარებმა ძალიან სწყინდა,
ყოველგვარ ზომებს იღებდა, რათა იმდენათ შეესწავლა ქართული, რომ საჭირო
შემთხვევებში სამშობლო ენის ცოდნით თავი გამოეჩინა.

ერთხელ რეჟისორმა ახმეტელმა დაუწერა რუსული ასოებით სიტყვა, რო-
მელიც უნდა წარმოეთქვა. გამოსვლის წინ მთელი დღე იზებირებდა სიტყვას.
მაგრამ საკმე საკმეზე რომ მივიდა, ვერ გაბედა. პირველი ორი სიტყვა ქარ-
თულად წარმოსთქვა და შემდეგ ისევ რუსულზე გადავიდა.

— მე ბევრი საპატივებელი მიზეზი მაქვს—ჯერ ერთი, დედამ ჩემს მამას, მეორე, პატარაობიდანვე შემასწავლა ყველა კლასიკები რუსულ-რუსულად, ესწავლობდი გიმნაზიაში და უნივერსიტეტში რუსულად, მეოთხე, 40 წელიწადი ვთამაშობ რუსულ სცენაზე—და ყველა ამ მიზეზების მიუხედავად ვერ მიპატივბა ჩემ თავისთვის, რომ არ ვიცი სამშობლო ენა!

ენა ძალიან მოსწონდა, იცოდა კიდევ ბევრი სიტყვები, მაგრამ თავისი გამოთქმით ვერ იყო კმაყოფილი, ეშინოდა სასაცილო არ ყოფილიყო. ზედმეტი არ იქნება მოვიფიქროთ, როგორც „კურიოზი“, რომ სუბსტანციალა იღბდა მონაწილეობას ქართულ პიესაში—„მზის დაბნელებაში“, ის ასრულებდა რუსი მოხელის როლს, რომელმაც ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართულად. ყველა თამაშობდა, რასაკვირველია, ქართულად, სუბსტანციალა კი თავისი კომიკური როლი რუსულად ჩაატარა.

„ლალატი“ დადგმული იყო ბრწყინვალეთ, ვალიკო გუნიას გარდა მონაწილეობდნენ ვასო აბაშიძე, თავისი ასულით ტისოთი, და ნუცია ჩხეიძე (ზეინაბი). დადგმა წუწუნავასი. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. წარმოდგენის შემდეგ—ბანკეტი 120 კაცისაგან. ბანკეტზე დიდი სიმზიარულე შემოჰქონდა განსვენებულ ვასო აბაშიძეს, მის ჩაეძინა სწორედ იმ დროს, როცა ლაპარაკი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ჩამოვარდა.

მცხოვანმა მსახიობმა იმითი გაიმართლა თავი, რომ სულ ერთია—ცხადლივ დამოუკიდებელ საქართველოს ვერ ენახავ, სიზმარში მიიწე მენახაო! რას წარმოიდგენდა ვასო, რომ ჩამოდენივ წლის შემდეგ სიზმარი აუცხადდებოდა.

მთელი თვე ვაატარა სუბსტანციალა თფილისში. „ერთი ქიქა წყალი“ წავიდა მ-ჯერ, „ლალატი“ მ-ჯერ, დანარჩენი პიესები თითოჯერ.

მისი სიტყვებით „ჩემი თფილისში ყოფნა“, ეს იყო განუწყვეტელი „ბანკეტი“, ეს იყო, ჩემი „медовый месяц“. ა. ი., რომელიც მოსკოვში ნაკლებათ ეტანებოდა ღვინოს, თფილისში სვამდა, როგორც ქეშმარიტი ქართველი და არაფერში ჩამოუვარდებოდა ვალიკო გუნიას.

თფილისის გარდა სუნბ—ლი ესტუმრა ბაქოს, ბათუმს და ქუთაისს. 1923 წ. ა. ი. ერთხელ კიდევ ჩამოვიდა თფილისში, რომ თავის თვალთ ენახა თავისუფალი საქართველო. 40 წლის იუბილეს გადახდის შემდეგ მცირე თეატრში, მან მოისურვა გაემეორებინა ეს იუბილე თავის სამშობლოში. მას მოუხდა თამაში სხვა და სხვა რუსულ დასებების ნარჩენებთან.

მათ შორის აღმოჩნდნენ კარგი მსახიობნი, როგორც მაგ. დიევესკი, ბუტკეიჩი, ერანოვი, კრუჩინინი, ვოლხოვსკაია.

„სამშობლომ“ სუბსტანციალაზე დაუფიქარი შთაბეჭდილება მოახდინა.

„აი გავიხიდი მცირე თეატრის ასი წლის იუბილეს, ყველა ჩემს საქმეს მოვათავებ და საცხოვრებლად თფილისში გადმოვსახლდები, რომ აქვე მოვათავო ჩემი სიცოცხლე.“

სწორედ მაშინ შუამდგომლობს ა. სუბსტანციალა—ლი მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე მიწის მიღებისათვის თელეთში.

1) მცირე თეატრის გასტროლები.

არამც თუ მიწ.-მოქმ. კომისარიატი, განათლების კომისარიატიც მიიღება მის სურვილს.

ამბ. კანდელაკის დაეაღებოთ შალვა დადიანმა წინადადება მისცა სუბმათაშვილს, აეღო თავის თავზე გამგეობა საქართველოს ყველა სამხატვრო ნაწილებისა.

—არა, სამსახური არ შემოძლიან, მე აქ დასასვენებლად მოვდივარ. ვიცდები, რასაკვირველია, რომ ჩემი გამოცდილებით რაიმე სარგებლობა მოუტანო საერთო საქმეს. რჩევის მიცემაზე უარს არ ვამბობ. მხოლოდ ვერაფრითარ ვალდებულვას ვერ ავიღებ ჩემს თავზე.

ვინც იცის, როგორ უყურებდა სუმ—ლი ყოველგვარ სამსახურს, გაიგებს ამ უარის მიზეზს.

ის ყოველივე საქმეს მოეკიდებოდა ხოლმე თავდავიწყებით, გატაცებით, და დასვენების მაგიერ, ისეთი შრომა დააწეებოდა კისერზე, რომელიც კიდევ უფრო ადრე მოუსპობდა მის სიცოცხლეს.

მართალიც იყო: რაღა დროს სამსახურზე ფიქრი იყო.

ერთი წლის შემდეგ უკვე სერიოზულად გახდა ავად—დამბლა დაეცა ერთბეღ, მეორეთ. მან ვერ მოასწრო სამსახური გაეწია საქართველოსთვის.

ახლა დროა ეთქვა—რად არის სუბმათაშვილი ქართველებისათვის იუფინზე უფრო ნაკლები. ქვეშარიტი იუფინი, მთლიანი იუფინი, მთელი მისი სიძალით საქართველოს არ უნახავს. თავის საუკეთესო როლები, სადაც ის მართლაც დიდებული იყო, როლებში რომანტიულ დრამისა, შილდერის და ვიქტორ ჰიუგოსი, მას არ უჩვენებია ტფილისისათვის.

ტფილისმა ნახა იუფინი გასტროლიორი მხოლოდ, გარეშე მცირე თეატრისა, რომლისაგან ის დაუშორებელი იყო.

იმდენად დაუშორებელი, რომ მცირე თეატრის ასი წლის იუბილე ფაქტიურად გადაიქცა იუფინის დღესასწაულად! დადგენილია—დიდი პალაშოვის ქუჩას, სადაც ორმოცი წელიწადი ცხოვრობდა ა. ი. სუბმათაშვილი, დაერქვას „იუფინის სახელობის ქუჩა“.

სამართლიანი იქნებოდა, რომ თვით მცირე თეატრს, რომელსაც დაქანკალეზბდა იუფინი, დაერქვას იუფინის სახელი. დადგენილია მისი ყოფილი ბინის ორი ოთახი გადაიქცეს იუფინის სახელობის მუზეუმად.

სამართლიანი იქნებოდა ტფილისის თეატრალურ მუზეუმის გახსენება, რომ გამოგზავნილ იქნას ამ მუზეუმისათვის სუბმათაშვილის სამშობლოში რაც შეიძლება მეტი პორტრეტები, ავტოგრაფები, ბიუსტები და ნივთები, რომელნიც მოგვაგონებენ მას.

თარგმანი: გ. გ.—ლიხ.

თანამედროვე ლიტერატურის ვითარება*)

საკითხი, რომელიც მე მაინტერესებს, არის იდეოლოგიური ფრონტი. მართალია, პარტიამ და ხელისუფლებამ ეს ფრონტი დასახა მესამე ფრონტად. მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში, სხვადასხვა ფრონტებზე საგულისხმო გამარჯვების შემდეგ, ამ მესამე ფრონტს თანდათან მტეი მნაშენელობა ეძლევა.

ჩვენი იდეოლოგიური ფრონტი, ასე იქნა შეფასებული ემიგრაციაში: „ბოლშევიკების სურვილია, რომ ბოლშევიკურად სწორედ ამ ბარნოემა და სწორედ ამ იბაშელმა სწერონ, მაგრამ ბარნოეი არ სწერს და აბაშელი სულ სხვასა სწერს. აი, სად არის „იდეოლოგიური ფრონტის“ კრიზისი და ეს კი ბევრსა ნიშნავს. ოდესღაც „ცისფერი ყანწების“ პოეტებმა ლენინის სიკვდილზე ლექსი სთქვეს, დღეს ისინიც არავის არ ებუებიან და ხმაილი ლაპარაკობენ—სოფელი გვირგვინია, ჭალაკი მოგებებრდაო, რა უნდა ვიგულისხმოთ ამ მობურებაში? სწორედ ეს ბოლშევიკური „ინდუსტრია“... რა დასაჯერებელი იყო, რომ ქართველი პოეტი, რა ჯურისაც არ უნდა იყოს იგი, ვახტანგ გორგასლანის „მგელ-ლომ“ გამოხატულ მუზარადს დაივწყებდა და ლენინის პატარა კეკს დაუნებდა სამუდამო ტრფალეზას“.

აი, მენშევიკური ემიგრაციის შეხედულება ქართველ მწერლობაზე. მენშევიკები აზრობენ, რომ მთელი საქართველოს მწერლობა და ინტელიგენცია მთლიანად მენშევიკების მხარეზეა. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. შეიძლება მწერლობა დროებით ჩამოსცილდეს მართლაც თანამედროვე ეპოქას, როგორც მარქსი ლაპარაკობს, მაგრამ ეს „ჩამორჩენა“ დიდხანს ვერ გასტანს და შემდეგ მწერლობა შეესისხლხორცება ცხოვრებას.

ჩვენ, ეს „ჩამოშორების“ ეპოქაც განვლეთ. ეს იყო 1921—24 წ. მაშინ გამოდიოდა ანტისაბჭოთა ხასიათის ჟურნალები და გაზეთები. ესლა კი განა აქვს ვინმეს უფლება გვითხრას, რომ ძველი მდგომარეობა უცვლელია? არა, ძველი მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა, — შეიცვალა ჩვენ სასარგებლოდ.

ჩვენში არის სამი ტიპი მწერლებისა. პირველი—არასაბჭოთა ჯგუფი. ამ ჯგუფშია, მაგალითად, ეარლამ რუხაძე, ი. გრიშაშვილი, ოზოლი მუშა და სხვ.

*) წერილი წ. რნადაენს იმ სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა ამა. გ. მუშიშვილმა საქ. კომპარტიის V ყრილობაზე.



მეორე ტიპი მწერლებისა არის **საბჭოთა მწერლები**, მესამე ტიპის მწერლები. პირველი ტიპის, პირველი ჯგუფის მწერლები „ბრძოლის“, უკეთ—„განმარტობის“ ნიადაგზე. მათი პლატფორმაა ლექსი—რომელიც ოდესღაც ვარლამ რუხაძეს დაუწერია. მოვიყვან ამ ლექსს:

„ჩვენ ხომ „ერთობას“ ვეძახდით, ქვეყნის ხსნა გესურდა,
მაგრამ ქვეყანა ჩაუვარდა სისხლის მსმელ „გმირებს“
თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით კვლავ დაგვიბრუნდა,
თავისუფლების ობოლ საფლავს ვინ დაიტრებებს“.

აი რას ლაპარაკობს ეს ლექსი საბჭოთა „თვითმპყრობელობაზე“. შეიძლება დღეს ასე კატეგორიულად ეს „ჯგუფი“ არ ფიქრობდეს, მაგრამ ძირითადი, რაც ამ ლექსს ახასიათებს, ამ ჯგუფისათვის ძალაში რჩება და ეს „ჯგუფიც“ განზე სდგას საბჭოთა თანამედროვეობისაგან. საბედნიეროდ, ლიტერატურის ბაღანსში ეს სრულებით უმნიშვნელო „მახივია“. მას დღეს არა აქვს არავითარი ღირებულება, მის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართულ მწერლობაში საგულდინსმომ გარდატეხა მოხდა. მოვიყვან დამახასიათებელ ლიტერატურულ ფაქტებს. რა იყო წინეთ, რა გვაქვს დღეს? ყანწელი პოეტი ტიციან ტაბიძე წინეთ სწერდა:

„ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც საღმე მალე ჩაგვაძალღებენ“.

მაგრამ შემდეგში მისი „აზრი“ თანდათანობით იცვლება. გადის დრო და ტაბიძე სწერს ლექსს სტალინზე. სტალინს იგი კახაბერს აღიარებს!!! ეს ლექსი ასე თავდება:

„ახალ ბრძოლებისათვის დროშებია გამოტანილი
და ამ დროშების მთავარსარდალი არის სტალინი!“

ამავე დროს ეს პოეტი სწერს მეორე ლექსს—„ახალი მცხეთა“:

„ვინ დახრის დროშას მაღალ ტარიანს,—
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს“.

კარგია ეს ლექსი, რასაკვირველია, თუ ის მართლაც გულწრფელად და გულახდით ენტუზიაზმით არის დაწერილი და არა შემთხვევით, როგორც ზოგიერთს სჩვევია ხოლმე.

„ციციფერი ყანწების“ მეორე, გამოჩენილი პოეტი, პაოლო იაშვილი უფრო შორს მიდის, არ ზოგავს თავის ძალღონეს, რომ „რევოლიუცია“ მოახდინოს. წინეთ ისიც პესიმისტურად გაჰქოდა და მოუწოდებდა თავის ორდენის მწერლებს:

„ყველა მზისკენ, ყველა მზეში,
მიწა ველარ გაგვახარებს“.

მაგრამ ამ მწერლის „ფრონტიც“ თანდათან იცვლება. ის უფრო რადიკალურად და გადაჭრით სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ქართველი პოეტი ახალ გზას უნდა დაადგეს, მან უნდა უარჰყოს „ერემლებს პოეზია“-ო. აი, ახლა რა ლოზუნგს აძლევს ის თავის „თანამებრძოლებს“:



საქართველოს
კომუნისტური
პარტია

ამხანაგებო! ნუ გვეზარება
ჩამოცილება ძველი ფესვების,
დროა გადიქცენ ოქროს ზარებათ
აერემლებული, ჩვენი ლექსები“.

ამხ. კახიანმა აქ წაგვიკითხა გ. ცეცხლაძის ლექსები და ამ ლექსებით ბე-
ვრი გვაცინა, ამ ლექსების მიხედვით შეიძლება ვითქვით, რომ ეს მწერალი
ანტისაბჭოთა ელემენტია. ეს არ იქნება სიმართლე. მართალია, მისი ლექსი
მიუღებელია, მაგრამ ცეცხლაძე, როგორც ის თვითონ ამბობს ერთ-ერთ წე-
რილში „საბჭოთა მოქალაქე“, ის ვერ მოსცილდა დეკადენტურ სიმბოლიზმის
ნიადაგს. აი, ამაშია მისი უბედურება.

ახლა ავიღოთ ჩვენი ცნობილი პოეტი — გალაქტიონ ტაბიძე. ეს პოეტი ჩე-
ნში პირველ თანამგზავრ პოეტად ითვლება. წინეთ მენშევიკების დროს, გალაქ-
ტიონ ტაბიძე ცნობილი იყო უიმედო პენიზიზმით. „საშველი არ არის, არ არის,
არ არის!“ — გაიძახოდა ის. მაგრამ დღეს ამ პოეტმა მოახდინა „შემოტრიალება“,
ამას მოწმობს მისი უკანასკნელი ნაწერები: „ჯონრიდი“, „აღმოსავლეთი და
სხვ. ეს პოეტი აშკარად აცხადებს, რომ ის მზადაა მიიღოს „ქარიშხალი“ (რე-
ვოლიუცია):

„დავდექი იქ, სადაც ქარიშხალი და სისხლიანი სდგას ანგელოზი,
ახლა გრივალებს ეწირავთ სიცოცხლეს ჩვენ პოეტები საქართვე-
ლოსი“.

რა არის ეს გრივალი? ეს გრივალი ოქტომბრის დიდი რევოლიუციაა.
გ. ტაბიძე მზადაა „შესწიროს სიცოცხლე“ ამ გრივალს! გაბედულათაა ნაო-
ქამში. ენახოთ, შერჩება თუ არა ეს მწერალი აღებულ გეზს და სიტყვას გადა-
აქცევს თუ არა საქმედ. აჰსა მისი შემოქმედების შემდეგი განვითარების გზა
გვაჩვენებს. ამ შემთხვევაშიაც, ვამბობ, დიდი ცვლილება მოხდა ამ პოეტში —
ცვლილება ჩვენ სასარგებლოდ. ეს არის ერთ-ერთი ნიმუში იმისა, რომ იდეო-
ლოგიური ფრონტის „კრიზისი“ ჩვენში ისე მწვავედ როდი სდგას, როგორც ეს
ჩვენებურ ემიგრაციას ელანდება.

ფუტურისში, რომელიც დიდ მემარცხენეობას იჩენს და მემარცხენეობაში
გვეჯიბება ლიტერატურულ ფრონტზე, დიდ ვარიაციას განიცდის. პირველ
ბანებში ფუტურისში ენა სრულიად გაურკვეველი და გაუგებარი იყო. ამის
შესახებ თავის დროზე ილაპარაკა ამხ. ფ. მახარაძემ ქართველ მწერალთა ყრი-
ლობაზე. მე წაგვიკითხავთ, როგორ სწერდენ ისინი წინათ. აი, მათი პროზის
ნიმუში:

— „გულზე, გულზეობა, გულზევი — გულწყარომა გულწყარო გული და
გული-გულჭა გაქვავდა. გულა გული, გიგულე წყნარ გული გულ და
გულ გულმშრალი“ და სხ.

გაივებთ რამეს? — არაფერს! აი, ასე სწერდენ. ეს იყო ანტისაბჭოთა გან-
წყობილების დროს, 1921—23 წლებში. ახლა კი ფუტურისში იცვალა ფრო-
ნტი, ის იბულებულია გაუწიოს ანგარიში ეპოქის მოახოენილებას. თუ წინეთ
ფუტურისტები მყინვარს ეუბნებოდენ „არ მინდა ვაკედე შენ სამოვარსო“, ე. ი.

რუსეთსო, დღეს სულ სხვა მოტივზე ალაპარაკდენ. - ფუტურისმის ერთ-ერთი პოეტთაგანი—სიმონ ჩაქოვანი აშკარად აღიარებს:

დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი სამშობლოს
დიდო მინდერებო დამძირაო ქართა პორბლებიქ
ოითჳს შრომა გაქვს შენ ოფლივით გამოშვეული
და მე შენთან ვარ, ჩემი მითთ და ჩემი ორბებით!

აქ მოხდენილადა ნათქვამი: შენ, საბჭოთა კავშირო—სამშობლო ხარ ჩემი სამშობლო საქართველოსიო. შინაარსიც გასაგებია, მოსაწონი. ფორმაც—მარტივი. ან კიდევ:

ვით ჭიქებისაგან თლილი მავრები
ღამე იმტერევა ჭჭრის კბილებზე
ელექტრონია გამრავლებული
კოჳნიზმსა და სინამდვილეზე.
მუდამ ეანზობდი ნიეთი ავაგოთ
რათ გეინდა ლექსი სულის ზნეობა
შრომის ბრძოლაში გული წაგვავოთ
გვეანხის ქვეყნის მეურნეობა...
ჩემი ლექსები ხალხში გარბიან
როგორც სხივები დილის მდელოზე,
გზები მე უკან არ მგეგულება
და პოეტი ვარ დღევანდელობის".

აი, როგორ ლაპარაკობს ქართული ფუტურისმის წარმომადგენელი! არის თუ არა ეს ჩვენი იდეოლოგიის, თანამედროვეობის გავლენის შედეგი? ამის პასუხი თავისთავად იგულისხმება.

დაბოლოს, მე მოვიყვან პოეტ აბაშელის ნაწერებს. უნდა ითქვას, ბოლო ხანებში ამ პოეტში ფეხს იკიდებს პესიმიზმი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას არ სწამს დღევანდელი სინამდვილე, არამედ იმიტომ, რომ მისი ძალა ხუხტია ამ სინამდვილის „მოსანელებლად“. აბაშელი ხედავს, რომ მეშები ცხოვრების სათავეში დგანან. მას არ შეუძლია ეს არ დაინახოს. კიდევაც ამბობს:

გული გაათბო და გ ახარა
სისხლიან დღეთა ჩამოშორებამ,
მღერის ორკესტრი რთულ მანქანათა,
დგანან მუშები დირიჳორებათ.

ეს ასეა. ფაქტების წინაშე თვალის დახუჭვა დაბრმავებას უდრის. აბაშელი სცდილობს ფაქტს „თვალი გაუყაროს“. მაგრამ აქ იწყება ტრადიციული მომენტი აბაშელის შემოქმედებაში. მას არ შეუძლია ჩადგეს მებრძოლთა რიგში და „ძველებურად“ იბრძოდოს. მისი „გულიც სტირის“, აბაშელიც არ მალავს ამას და მართლაც გულწრფელად მოსთქვამს:

მახარებს გრანოზა ფესვიან ძირის
და მონავალსაც ცუდს არ მოველი,
მაგრამ ხანდახან გული რად სტირის,



საქართველოს
წიგნების კავშირი

მოულოდნელის კრემლის მთოველი!
მწორდება ჩრდილი, თვალთ რომ მებურა
თითქოს არა ვგრძნობ სიმძიმეს წელთა.
მაგრამ ეს ვიცი, რომ ძველებურად
ხმალს ვერ ავიღებთ ბრძოლისთვის ხელთა.
დალბა სიმტკიცე ძველი ქვეტკირის
და აღარ არის ბრძოლის უნარი!
და თუ ხანდახან ეს გული ტირის—
გული არ არის გასამტყუნარი...

აი, სწორედ ეს არის დამახასიათებელი აბაშელის ტიპის მწერლებისა. აბაშელს სწამს რომაეალი. თვალს რომ მენშევიკური ჩრდილი „ებურა“ ჩამოეცალა მაგრამ მას არ ძალუძს აქტიურ ბრძოლის რიგებში ჩადგეს. რა გაეწყობა, ეს მისი საქმეა. ამაში ბრალს ვერ დავსდებთ. მაგრამ „გული არ არის გასამტყუნარიო“ რომ ამბობს აბაშელი, ვერ დავეთანხმებით. ბრძოლის უნარ დაკარგულ გულს ჩვენ ვამტყუნებთ... ასეთი გული თანამედროვეობას არ გამოადგება. ჩვენმა მწერლობამ ეს კარგად უნდა დაიმახსოვროს.

ახლა ავიღოთ პროზა. მენშევიკები ამბობენ, მართალია ლექსებს სწერენ ჟურნალებისათვის და „პონორარისათვის“, მაგრამ ამა ერთი დიდი მწერალი ბელეტრისტი თუ „გასაბჭოვდაო“. მართალია, ბარნოვი ვერ დასწერს ჩვენთვის მისაღებ რომანებს. საერთოდ, ის არც მენშევიკური მწერალი იყო. ის წარბუღლი ეპოქის მწერალია, რომლის კალამი რკინისა და ელექტრონის ეპოქისათვის არ გაკეთებულა. ასეთი ბედი ეწია პოეზიაში გრიშაშვილსაც. მისი თემა არის სიყვარული, — არისტოკრატიული ეროტიზმი. არისტოკრატია თავიზივრთიკით მოიხპო და მასთან ერთად ეს პოეტიც გაირიყა ცხოვრებიდან. ეს გასაკებია. სამაგიეროთ, მიხეილ ჯავახიშვილი ხომ დღეს დიდი ბელეტრისტია, რომელმაც დასწერა „ჯაყოს ხიზნები“. ეს არის გამათრახება ფეოდალური არისტოკრატის. ერთი გმირი — თეიმურაზი ქართველი ფუქსავატი, სისხლ გამოღეულ არისტოკრატის წარმომადგენელია, მეორე გმირი — ჯაყო-კი გაკულაკებულ მაგარ ძარღვიან გლეხობის. აქ ჯავახიშვილი შეეცადა მოეცა რევოლიუციის პირველი ხანების სინამდვილე. სხვა საქმეა, თუ როგორაა ეს „ცდა“ შესრულებული. აქ ამაზე არ ვილაპარაკებთ. გაძევებული მენშევიკები კი გაიძაზიან — ჯავახიშვილი მოყიდულიაო და სხვ. გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ ეს ვაებატონები სწერენ: „მის ჯავახიშვილი განზორციელებული ბოროტებაა. მან იცის მხოლოდ ნაკლი და ადამიანის არც ერთი ღირსება. შეიძლება თეიმურაზი სუსტი ყოვილოყო ჯაყოსთან და ბოლშევიზმთან ბრძოლაში, მაგრამ „ციტ მონაბერი სული“ მასაც ჰქონდა, იეტორმა ესეც დაიშურა მისთვისო“. ვიქტრობ განმარტება არ უნდა ამ ამონაწერს. მგონი, მენშევიკები კვლავ ვერ გაიშეორებენ ჰორებს იმის შესახებ, რომ ბელეტრისტიკა აბსოლუტურად გაურობის საბჭოთა ცხოვრებას. ამ მხრივ, შედარებით, ცოტა მიღწევა გვაქვს. მაგრამ რაც გვაქვს, მოწმობს იმას, რომ მომავალში სავსებით არ იქნება ცუდი. ამის რეალური ნიშნები ჩვენ მოგვეპოება.

ჩვენში თანამგზავრული მწერლობა შესამჩნევად ძლიერდება. ამ ტიპის მწერლები ორგანიზაციულად ყალიბდებიან საბჭოთა თანამედროვეობის ნიადაგზე. ამ ჯგუფმა „არიფონის“ სახელით, უკვე წარმოგიდგინა ლიტერატურული „დეკლარაცია“, ამ დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი მწერლები: გალაქტიონ ტაბიძე, შანშიაშვილი, ჯავახიშვილი, კაპანელი, ლეო ქიაჩელი და სხვები, აშკარათაა ნათქვამი:

„ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიღვა ფესვები ხალხის ბუნებაში და უზრუნველყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის, ვითარდებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა. არიფონიც ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას—ლიტერატურას. ხელოვნებისა და აზროვნების განახლებას“.

როგორც ხედავთ მწერალთა ეს ჯგუფი გარკვეულად ლაპარაკობს ჩვენს მიღწევებზე იდეოლოგიურ სფეროში, მთლიანად იზიარებს საბჭოთა წყობილებას, საბჭოთა პლატფორმას. სხვა საკითხია, თუ რამდენად გაანადგებს ცხოვრებაში ეს ჯგუფი თავის „განცხადებას“, ეს საკითხი ჩვენთვის და მისთვისაც მთავარია. ამას დავგანახებებს ამ ჯგუფის ლიტერატურული მუშაობა. **ნიშნები კი ცუდი არ არის.**

ასეთია „ბრძოლის მანძილი“ ლიტერატურულ ფრონტზე. ქართულ ემიგრაციაშიც სცემს ცხვირში ეს ფაქტები და მენშევიკური ემიგრაცია იძულებულია აღიაროს: „ვის ინტერესებს რა საქმეველს უკმევენ კომუნისტურ ხელისუფლებას ეგემი ღორთიფანიძე და პოეტი აბაშული... ჯუანასკნელის ლექსს არაეინ კითხულობს... ხალხი ერთ მხარეზეა. ინტელიგენცია მეორეზე—გამარჯვებულისაკენ“. „ბრძოლას“ ეს აღსარება საგულისხმოა. აბა ახლა ილაპარაკონ ამ წყალწალბულ ემიგრანტებმა ბოლშევიკურ საქართველოში „იდეოლოგიურ კრიზისს შესახებ“. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილიც—მწერლობა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიდის. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს მსვლელობა მტკიცე ნაბიჯებით მოხდეს და ქართული ლიტერატურა საბოლოოთ დაუმორჩილოთ კომუნისტურ იდეოლოგიას.

მე ესლა თქვენ უფრადლებას მივაჭყვე დეფექტებსა და შეცდომებზე. აქ ამხ. სანდრო ეულმა სთქვა, რომ ჩვენში ოპერა არ არის მუშურ-გლებური და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ის უნდა დაიწვას. არა, ჩვენ დასაწვავი თეატრი არა გვაქვს! ამხ. სანდრო ეულს კი ურჩევთ უფრო მტკიცეთ დადგეს თავის სადარაჯოზე და გასაქანი არ მისცეს ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. მას შეუძლია შეუდგეს ასეთ ნაწარმოებთა წვას, მაგრამ პეროსტრატეს როლის შესრულებაზე კი ხელი უნდა აიღოს.

განათლების კომისარიატთან არსებობს ერთი „დაწესებულება“, რომელსაც ეწოდება „მეთოდ-ბიურო“. ის უშვებს სახელმძღვანელოებს სკოლებისათვის.

გამოსცა, სახელგამის საშუალებით, სახელმძღვანელო ი. რუბაძის „საქართველოს გეოგრაფია“. ჩვენ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ა. კეჭელაძის მიერ გამოცემული, რომელიც ამავე დროს ითვლება თავის ქვეყანაში საგარეო საქმეების კომისრად“. მაგალითად: ა.-კ. ფედ. ცაკის ერთ-ერთი თავმჯდომარე არის აშხ. შიხა ცხაკაია. ამ „სახელმძღვანელოს“ ავტორის აზრით, ის ითვლება თურმე ჩვენში საგარეო სახალხო კომისრად! ეს წიგნი დაეკვირეთ და არ გამოუშვით.

არის კიდევ მეორე შემთხვევა იმავე მეთოდ-ბიუროს „მოღვაწეობიდან“. გამოიცა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე დაწერილი სახელმძღვანელო ვინმე „ცნობილ პედაგოგის“ დ. თოდუბრიასი—„საბჭოთა კონსტიტუცია“. „პატივცემული“ ავტორი ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი კონსტიტუციისა—საარჩევნო ნორმას. რატომ არის განსხვავება—საარჩევნო ნორმებში ქალაქად და სოფლად? ამ კითხვას ასე განმარტავს ეს ავტორი:

„აქვე ვასარკვევია კითხვა, თუ რითი აიხსნება ის გარემოება, რომ განსხვავებაა ქალაქისა და სოფლის ამომრჩეველთა; ნორმებში, ეს იმით აიხსნება, რომ ქალაქად წარმოებებში ჩაბმული არიან საწარმოო ასაკისანი, რომელნიც საარჩევნო უფლებამოსილნი არიან, უმთავრესად თავისი ასაკურ მდგომარეობის გამო, მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობიდან უნდა გამოირიცხონ მცირეწლოვანნი—საარჩევნო უფლებას მოკლებულნი და, მეორეს მხრით, ის გარემოება, რომ ნაკლებად სწორი ცნობები მოგვეპოება ულარიბეს და მშრომელ გლეხობის შესახებ“.

როგორც ხედავთ, „ქასაკის“ არგუმენტაციით უბრალოდ, კალმის ერთი მოსმით გადაჭრილია პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი მომენტი—განსხვავება ქალაქისა და სოფლის ამომრჩეველთა ნორმებში!!! ვულგარიზაცია, უტენიობა და იდიოტობა ამაზე შორს ვერ წაეა. ეს არის სრული უფიცობა, საბჭოთა კონსტიტუციის ბუნების სრული უცოდინარობა.

ეს წიგნიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაიჭირა. არც პირველი, არც მეორე არ გამოსულა, სახელგამმა კი რამოდენიმე ათასი მანეთი იხარალა.

მე არ შეეხებები მრავალ საინტერესო მომენტებს ლიტერატურულ ფრონტიდან. ამისათვის დრო არ მაქვს, მაგრამ მაინც მინდა ვილაპარაკო აშხ. რაფდენ კალაძის შესახებ. მე ვეხები მას, არა როგორც ოპოზიციონერს, არამედ, როგორც ლიტერატორს და მოგიყვანთ ერთ მის წერილს, რათა სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ამბანაგებზე, რომელიც იჩენს ულტრა-მემარცხენეობას. მან დასწერა წერილი ანტონ ფურცელაძის შესახებ, ალბათ, ამ წერილს თქვენ წაიკითხავდით „მნათობში“, მაგრამ ვერ წაიკითხავდით იმ ადგილებს, რომელიც ჩვენ ამოვიღეთ. ამოღებული ადგილები პირწაყარდნილი ნაციონალისტური იდეოლოგიის ხასიათისაა. აშხ. კალაძე ამბობს, რომ „ერი“ „ეროვნულობა“ მარადიული კატეგორიაა და არა ისტორიული. მე მოვიყვან ამ სტრიქონებს. ავტორი სწერს:



„რამი გამოიხატება და რაში მდგომარეობს ის ძელი, რომლის მეოხებით კოლექტივი-საზოგადოება თავის ინდივიდუალურ ინარჩუნებს და არ კვდება?...“

მე მგონია რომ ასეთი ძალი არის ეროვნება ანუ ეროვნულობა, ეროვნულობა აძლევს კოლექტივ-საზოგადოებას საშუალებას: საზოგადოებრივ განვითარების ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლის პროცესში, ერთ რიგ თაობების მეორე რიგ თაობების შენაცვლების დროს შექმნას ინდივიდუალური თვისებები და, თუმცა ახალი სახით, ახალი წყობით, ზაგრამ მინც თავისებურით!—ეროვნული ინდივიდუალობით განაგრძოს სიცოცხლე!..

ეს არის მოდგმის, ტომის ან, ერის შემადგენელ ინდივიდთა ერთგვარი შეგუება შეცვლილ საზოგადოებრივ პირობებთან.

ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ „მონათმფლობელი საზოგადოება“ თავისი „ანტიური“ ცივილიზაციით სამუდამოდ მოკვდა, გაჰქრა.

მაგრამ არ მომკვდარა, არ გამქალა, პირიქით ვითარდება და იზრდება კიდევ ახალ პირობებში ზერძენთა ხალხი (ერი).

ეს იმას ნიშნავს, რომ ზერძენთა მოდგმა, „ნათესავი“ (ხალხი ანუ ერი) შეეგუა შეცვლილ ახალ საზოგადოებრივ პირობებს და თავის კოლექტიურ ინდივიდუალურ სიცოცხლეს ისევ განაგრძობს, იგივე ითქმის ქართველ ხალხზედაც“.

მე ვფიქრობ, ცხადია, თუ როგორ „ასაბუთებს“ ამხ. კალაძე ნაციონალისტ-იდეოლოგების ძირითად დებულებას საზოგადოთ „ეროვნების“ შესახებ, ერის „უცდავების“ შესახებ. ერი არის მარადიული კატეგორია და მისი „მოსაპობა“ შეუძლებელია! ბერძნების ისტორიის გარდა, ამას ამხ. კალაძე სენათის მაგალითზე ასაბუთებს. სენათში თუმცა გზები ვაიყვანეთ, მაგრამ სენები მაინც შეინარჩუნებენ „ახალ ქართულ სახეს“.

საინტერესოა, რომ რაეღენ კალაძე სწერს ისე, როგორც სწერდა ილია ჭავჭავაძე, აი, რას სწერდა ჭავჭავაძე თავის ცნობილ ნაწარმოებში—„აი, ისტორია“:

„თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილია დედაპიწის ზურგიდან, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს. საჯრანგეთის და გე-მანიის ერნიც სიბერეს გადაყოლიან, დაიხოცებიან. ეს შესაძლოა მოხდეს, თუმცა ძნელია წარმოსადგენი კი, მაგრამ თუ მოხდა, ექ სიბერე არაფერ შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე და სიკვდილი ერისა, არამც თუ ბუნებრივი მოვლენაა, არამც თუ არ არსებობს, წარმოადგენაც კი ყოველად შეუძლებელია“. (გვ. 6).

როგორც ხედავთ, ილიაც ლაპარაკობს იმე, როგორც რაეღენ კალაძე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჭავჭავაძე ამ ფილოსოფიას უფრო მოხდენილად ანვითარებს და მკაფიოდ ასაბუთებს.

ამხ. კალაძე თავის „ეროვნულ ფილოსოფიის“ დაცვაში უფრო შორს მიდის, ნუ იტყვათ, თურმე „ეროვნულ საზოგადოების თვისება ამოძრავებს მთელ ისტორიულ განვითარების პროცესს!“

სანამდე მიიყვანს კაცს „ეროვნულ საზოგადოების“ სიყვარული? ასეთია ამხ. რ. კალაძე — ულტრა-მემარცხენე კომუნისტურ პარტიაში, კომუნისტურ იდეოლოგიაში. შეიძლება იფიქრო, ამხ. კალაძე თავს „უდანაშაულოდ“ გრძნობს. არა „მნათობის“ რედაქციისადმი წერილში ის თვითონ სწერს: ჩემს წერილში „საეჭვო და სადავო ადგილები ამოღებულია“—ო.

ამხ. რაედენს ჰყავს პოეტი შეილი — **კარლო კალაძე**. ოპოზიციური და ნაციონალისტური მოტივები არის შეერთებული ამ პოეტში. მან დასწერა „ძახილი აღმოსავლეთის“, ძახილი ფერეიდანს და არა რევოლუციონერ ჩინეთს. მე მოვიყვან მხოლოდ წინა სიტყვას, რომელსაც ავტორი უკეთებს თავის ნაწარმოებს.

„... აღმოსავლეთში მრავალი მოდგმა ამოშრა, მათ შორის ბევრი იყო ნათესაეი ჩვენ სისხლთან. საქართველოს ხსოვნაც ჩაქრებოდა დროთა სვლაში, რომ არ ყოფილიყო ქედ მაღალი კავკასიონი,—და ჩვენი სწრაფვა მოპაელის მიზნით ანთებული...“

ჩვენ დაეპარულეთ უქანასქნელი ბრძოლა საკუთარ სახის შესანარჩუნებლად.—და გამარჯვებული საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი ჩაუქრობელი გული ვართ.

მაგრამ, გვეოლია თურმე სხვა ძმა—აზიის მხურვალ ქეიშახე დაცემული, როგორც სისხლის წვეთი.

ეს თქვენ ხართ—შორეულ ფერეიდანის ქართველები.

და ეს ლექსი თქველია თქვენს შესახებ—ეს ლექსი მოგვიპობთ თქვენ დამონებულ ერთი მზის ხალხებს“...

როგორც ხედავთ აქ კარლო კალაძეს ნაციონალისტური განწყობილება მოხერხებულად გადააქვს პოეზიაში. ეს არის ამხ. რაედენ კალაძის „ეროვნული ბაზის“ უშუალო გავრცელება. მეორე მხრივ, პოეტი კალაძე სწერს ოპოზიციონერ ლექსებს—მაშის გავლენით.

მან ამას წინათ დასწერა ერთი ლექსი, რომელიც ჩვენ არ დაუბეჭდეთ „მნათობში“, ამ ლექსში ის სწერდა: „რიგიდან მარჯენიე ნუ გადაუხვევთ“

ვინ უხვევს მარჯენიე რიგიდან? პარტია! ასეთია ეს ლექსი. ჩვენ ის არ დაუბეჭდეთ, კალაძემ მეორე ლექსი დასწერა, სათაურით—„მუშების საუბარი“. რაზე საუბრობენ მუშები ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში? პარტიის სწორ ხაზზე, სოციალიზმზე, წარმოების გაუმჯობესებაზე? თურმე, არა. მოუსმინეთ:

„დღესაც ვერ სდუმდენ და

მერე კი უცებ

ბაგეებს ხმა მოხსნეს და სამღურაეი!..“

— ერთმა სთქვა:

მეგობარს ერთივე დახვიდან

თანდათან შორდები და ვერ ცნობ რაც არი,



საქართველოს
წიგნების კავშირი

გულზე რომ მიუდგამს საწერი მაგიდა
და კალამს ვერ აცლის ხელს კანდამწერი,
— ნეტავ რა ფიქრი აქვს?

ერთ მშენიერ დღეს
რომ გადაბრუნდეს და მოკედეს საბრალო,
ვაი, რომ ხსოვნაც კი ვერ შეიერთებს
რომ საწყალ კაცადვე მაინც ჩავთვალოთ!..

შემდეგ ავტორს მოყავს მუშა-ბოლშევიკი: ამ ძველ ბოლშევიკ-მუშას აი
რას ათქმევენებს კალამდ:

„წამოიშალა კრებული მუშების—

მათ შორის წამოდგა

ვინმე ტანშალალი

და დინჯათ გადისწორა თეთრი უღვაშები

ჭეჭირობდა:—თვალ გაღმა ცეცხლის დასანთებათ

ფეხი რომ დამიკრავს, წამსვე გავსულვარ!

და ცხრაას ხუთიდან ოც და ერთამდე

ბრძოლების შედეგათ,—

ნუ თუ ეს ასრულდა!..

დააკვირდით უკანასკნელ სტრიქონებს: „ცხრაას ხუთიდან ოცდა ერთამდე
ბრძოლების შედეგად ნუ თუ ეს ასრულდა?“ არა, ძველი მუშა—ბოლშევიკი
ისეთ პესიმისმისაგან შორსაა. ეს განწყობილება არის თვით მამის—რაფდენის
განწყობილება. შეილი ცდილობს მამის განწყობილება გადაიტანოს პოეზიაში,
„გამშენიეროს“. აი, ცოცხალი მიგალითი იმისა, თუ როგორ იგუება ჩვენ-
ში მკვდარი ნაციონალიზმი უღტრა-მეზარცხეობას.

მე ვათავებ. იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა სწარმოებს ორგვარი მი-
მართულებით—მარჯენიდან და „მარცხნიდანაც“. ბრძოლის შედეგათ ჩვენ
გვაქვს შეტად მნიშვნელოვანი მიღწევები. ეს მიღწევები სრული არ არის და
არც შეიძლება იყოს მოკლე ხნის განმავლობაში. მარჯნი ამზობდა: ყოველ
ეპოქაში ბატონობს იდეები, რომელსაც გაბატონებული კლასი ატარებსო.
ჩვენში გაბატონებული კლასია პროლეტარიატი. პროლეტარული იდეოლოგია,
დღეს თუ არა ხვალ,—საბოლოოდ და მთლიანად გაიმარჯვებს ჩვენი ცხოვ-
რების ყველა დარგში.

ემილ ზოლა¹⁾

გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების გამო

ემილ ზოლა დაიბადა 1840 წ. პარიზში. მაგრამ ბავშვობა გაატარა ექსში, სადაც მისი დაბადების შემდგომ გადასახლდნენ მშობლები.

შვიდი წლისას გარდაეცვალა მამა. დედა, მეტად მძიმე მატერიალურ მდგომარეობის მიუხედავად, ყოველ ღონეს იძიებდა, რომ შვილისათვის მიეცა კარგი განათლება. ექსში სკოლის დამთავრების შემდგომ, ზოლა 1858 წ. მიემგზავრება პარიზს. მისი განათლება უნდა სრულ ექმნა წმ. ლუდოვიკის ლიცეუმს, სადაც დიდი ვაიფვალაზით მოახერხა შესვლა; მაგრამ „რუგონ მაკარ“თა— მომავალ ავტორის ცოდნამ ჰუმანიტას საგნების სფეროში ვერ დააკმაყოფილა განთქმულ სასწავლებლის პედაგოგები. დასამთავრებელს გამოცდებზე ზოლამ ბრწყინვალედ ჩააბარა მათემატიკური და საბუნებისმეტყველო საგნები, მაგრამ ჩაიჭრა ისტორიასა და სიტყვიერებაში. სიტყვიერების დარკში გამომცდელებს პასუხი მეტად გაბედულადა და პარადოქსალურად მოეჩვენათ, ისტორიის გამოცდაზე კი ზოლას შეეშალა კარლოს დიდის გარდაცვალების წელიწადი.

მასწავლებელთა განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა.

შეცდომა იყო ხუთასი წლით.

დიპლომი ვერ მიიღო.

მომავალ რომანისტის ცხოვრებაში შემდეგ ეტაპად უნდა აღინიშნოს ჰაშეტის წიგნის ფირმაში შესვლა.

მაგრამ ეს ფაქტი ვერ ჩაითვლება მის სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისად. ახალგაზრდა ზოლას მოვალეობას შეადგენდა სხვათა მიერ დაწერილ წიგნების შეხვევა და სხვა წვრილმანი დავალებანი. სამაგიეროდ ეს სამუშაო მისთვის უთუოდ იყო პირველი გამოსვლა საარსებო ბრძოლის ასპარეზზე. ვებებრთელა, ღრიანცელიანს პარიზში ეს ბრძოლა სახუმრო არ იყო. გამარჯვებულნი მხოლოდ მძლავრნი გამოდიოდნენ. სუსტთათვის ადგილი არ იყო. ზოლამ ეს საკმაოდ ადრე და კარგად შეიგნო. და ამ გაცხარებულმა ბრძოლამ, რომელშიაც

¹⁾ დაწერილია ეურნალ „ნაი ობი“-სათვის.



ძალისძალად უნდა გადაგედგა ყოველი ნაბიჯი მორყეულ სოციალურ კლასებზე, გარკვეული დღი დასვა მთელს მის შემოქმედებას.

1866 წ. გამოდის მისი პირველი წერილი Evnément-ში. მას მოსდევს მთელი წყება სხვა წერილებისა, რომლებიც მაშინვე მიიქცევენ საზოგადოების ყურადღებას სტილის ორგინალობათა და დასნულ საკითხთა სიმახვილით.

საზოგადოება საგონებელში ჩაეარდნილიყო, საზოგადოება დაინტერესებულ იყო.

რალაც მიუხედავარ სამტროსა გრძნობდნენ ახალ გამოსულ მწერლის გერ კიდევ გაუბედავს სტრიქონებში.

ამის შემდეგ გამოსულმა პირველმა რომანებმა—„ტრეზ რაკენ“მა და „მადლენ ფერა“მ საბოლოოდ აამბედრეს საზოგადოება ემილ ზოლას წინა-იმდეგ.

მეტად მოულოდნელად ახდინდა ფარდას ახალგაზრდა რომანისტი ვაბ-რწინილების გზაზე შენდვარ ფრანგულ ბურჟუაზიის სხეულს, რომელიც მანამდე მჭირხნედ იყო პირდაპურული. საზოგადოებრივი აზრი თანდათან უკმაყოფილო ხდებოდა, საზოგადოებრივი აზრი საგონებელს მისცემოდა.

დაახლოებით ამ დროს ეკუთვნის საკმაოდ ორიგინალური ვიზატი ემილ ზოლასი გამომცემელ ლაკრუასთან.

ზოლას აზრად ჰქონდა დაეწერა რომანების სერია, რომელსაც უნდა იესა-ხა „ერთ ოჯახის ბუნებრივი და სოციალი ისტორია მეორე იმპერიის ეპოქა-ში“; დახატა ამ ოჯახის საგვარეულო ხე, მივიდა ლაკრუასთან და წინადადე-ბა მისცა შეეკრა შემდეგი ხელშეკრულება: ზოლა ვალდებული იყო ნაგარაუდევ სერიიდან წარმოედგინა წელიწადში ორი რომანი, ლაკრუას კი სამაგიეროდ უნდა გადაეხადა 500 ფრანკი ყოველთვიურად. პირობა მოწონებულ იქნა და ხელშეკრულებაც დასდეს.

ასე წარმოიშვენ რუგონ მაკარნი.

და ამ მომენტიდან იწყება ის დიგეშილი დევნა, რომლითაც სავესე იყო ემილ ზოლას ცხოვრება და შემოქმედება.

საზოგადოებას უყურადღებობას ის ვერ შესჩივლებდა თავის უკანასკნელ დღეებამდე. ყოველი მისი ახალი რომანი თავაღებულ დაციწვისა და გაკილეის საგანი იყო ფართო საზოგადოებისა და მის მორჩილ კრიტიკოსთათვის. ამ ხვედრს ვერ აშორდა ვერც ერთი თეორეტიულად გამოთქმული აზრი და ვერც სხვა რამ პუბლიცისტური წერილი.

„რუგონ მაკარნი“ კი მეთოდურად გამოდიოდა, ახალი და ახალი ტომი, რაც აცხოველებდა თანამედროვეთა უკმაყოფილებას, ხოლო ლამაზ ფრაზებს, რომლითაც ჰფარავდა ბურჟუაზია თავის გაზრწნილებას, დაუნდობლად ამეღა-ნებდა.

ქორწინება, ოჯახი, პოლიტიკა, მეცნიერება,—ყოველგვარი მოკლენა, ყო-ველგვარი უბადრუკობა, იმდროინდელ სოციალ სტრუქტურის ყოველი გამოხა-ტულება, გულგრილად იშლებოდა საზოგადოებისათვის საძულველ მხატვრის შე-მოქმედს ლამბორატორიუმში.



ემილ ზოლა ამ ხნის განმავლობაში უკვე მდიდარი კაცი გახდა. სიძულველი-
 ლითა და წყევა-კრულეთი, კრიტიკამ თავის სურვილის წინააღმდეგ მიმართა.
 არაჩვეულებრივი პოპულარობა.

მისი რომანები ათიათასეულ ეგზემპლარებად იბეჭდებოდა, ითარგმნებოდა
 ყველა ენაზე, სწედებოდა დედაშიწის ყოველს კუთხეს.

ემილ ზოლა ცნობილი მწერალი შეიქმნა.

მის მოვარაყებულს სასახლეში rue de Bvuxelles-ზე თავს იყრიდნენ საფრან-
 გეთის უდიდესი მწერლები და მხატვრები. არსებობისათვის ბრძოლაში ის გამა-
 რჯვებული გამოვიდა. დაცხენითა და უკმაყოფილებით ვარსშემორტყმული, იგი
 მტკიცე ნაბიჯით ადიოდა სოციალურ კიბეზე და მალევე მოექცა.

და აი, როცა სახელი უკვე მოიხვეჭა, როცა მის რომანებს უკვე პატრის-
 ცემითა, ხანდახან ალტაცებითაც კი, გამოუხმაურნენ, ემილ ზოლამ უყოყმანოდ
 დასთმო ყოველივე, რაც კი ასეთის სიძნელით მოეხვეჭა და საზოგადოებას
 სტყორცნა ახალი ბრალდება, რამაც განიწვია წარმოუდგენელი ვახულება.

რა თქმა უნდა ყველასათვის გასაგებია მისი მონაწილეობა დრეიფურის
 საქმეში.

სასახლე rue de Bvuxelles-ზე ლიტერატურულ სალონიდან გარდაიქცა პო-
 ლიტკურად.

გროვა ვეჭილთა, მოწმეთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა, ათასეულ წერილთა
 და დიპეშათა, ავსებდა მოვარაყებულ დარბაზებს. ბრძოლა სახუმრო აღარ იყო.

და ეს პერიოდი ტეშმარიტად რომ გვირულ ნაკვთად აღიბეჭდა დაულა-
 ლაე ნებრძოლისა და მეოცნების ცხოვრებაში, როგორც იყო მთელ თავის სი-
 ცოცხლეში ემილ ზოლა. და ესეც, როცა წაიკითხავ მის ცნობილს „მე ბრალ-
 სა ვსდებ“-ს, განცვიფრებული რჩები ტეშმარიტების იმ დაუშრეტელ წყურვი-
 ლით, არსებულ წყობილებისადმი, იმ შეურიგებელ სიძულველით, რომელთაც და-
 აწერიენს სიმართლის შეგნებით ამაყი სტრიქონები.

ეს შეტაკებაც მოიგო. ცილშეწამებულ ადამიანის სეინდისი აღდგენილ
 იქნა. სამინისტრო დაეცა. დრეიფუსი გამართლებულ იქნა.

ამ დროს „რუგონ მაკარნი“ დამთავრებული იყო. საზოგადოებრივმა მო-
 ლეაწეობამ შეაჩერა ზოლას სამწერლო მოღვაწეობა.

ახლა ის კვლავ ჰკიდებს ხელს მწერლობას. განიზრახა რომანების
 ახალი სერია—„ოთხი სახარება“. აი მათი სათაურები: „ნაყოფიერება“,
 „შრომა“, „ტეშმარიტება“ და „სამართლიანობა“, მათში გამოხატავდა არა იმ-
 დროინდელ საზოგადოებრივ მორყეულ სტრუქტურას, არამედ საზოგადოებრივ
 მშენებლობის მის მიერ შექმნილს ახალს თეორიას. „რუგონ მაკარნი“ იყენენ
 ნგრევისანი, „ოთხი სახარება“ კი იყო აღშენება. ეს ცდა, როგორც ტეშმოდ
 დავეინახეთ, ვერ გამოვიდა მოხდენილი.

სამი უკანასკნელი რომანი მის მიერ დაწერილთაგან ყველაზე მეტად სუს-
 ტი გამოდგა. სერიის უკანასკნელი რომანი „სამართლიანობა“ დარჩა დაუმთა-
 ვრებელი.



1902 წელს ემილ ზოლა გარდაიცვალა.

მისი დასაფლავება გარდაიქვა პოლიტიკურ დემონსტრაციად და მთელი კულტურული კაცობრიობა მიჰყვებოდა წყნარ პროცესიას კუჩინსკის, ცრანელშია ც განასრულებდა თავის სიცოცხლის გზას იმ დროინდელი უმატიონისეი და უგულადესი წყურალი.

* * *

მეტყობენ საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთისათვის მისი რომანები იყო უწვეულო, უცნაურ.

თანამედროვეთა გონებაზე ჯერ კიდევ შერჩენილიყო ვიქტორ ჰიუგოსადმი თავიანისცემა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ეს გახელმეული მებრძოლი რომანტიზმისა. ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი უნდობლობა გარეგნულად მიჯერებულ დამკვირვებელ—ფლობელისადმი, რომლის ფრაზა ისეთის სიფრთხილით იყო დახვეწილი და სავსე სიმარტივით, რაც მოულოდნელი იყო რომანტიკოსთა შემდეგ. თავშეკავებით ხედებოდა საზოგადოება მოპასხანის ბრწყინვალე ირონიას, ჯერ კიდევ ვერ მიმხდარიყვნენ თანამედროვენი, თუ ვის წინააღმდეგ იყო ის მიმართული. მიუღებელი იყო ბალზაკი, ცხოვრების ეს ქეშმარიტი მხატვარი, რომელიც წინა დეჟორაჟი პაწია სხდის ერთს მტკრიანს ოთახში.

რომანტიზმი ჯერ კიდევ არ შეცვლილიყო რეალიზმით. პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო.

საერთოდ ჰფიქრობენ, რომ რომანტიზმი და რეალიზმი ორი მტრული ცნებაა, — ერთი მეორის მოწინააღმდეგე. საერთოდ ჰფიქრობენ, რომ მეტყობენ საუკუნის საფრანგეთში, ერთდენ მეორეზე გარდასვლის პერიოდი, იყო პერიოდი ბრძოლისა, შეჯახებისა, ლიტერატურულ სტილთა გარდატეხისა.

იმ ცოტაოდენს მარქსისტულ ისტორიკო-ლიტერატურულს ნაწარმოებში, სადაც განიხილავენ ამ საკითხს, ტენდენციაა რეალიზმის რომანტიზმისადმი ანტი-თეზად აღსარებისა.

ეს ცდა, გარდასვლის შექანიზმის დიალექტურად აღსნისა, უეჭველად მართებულია. ეს პროცესი სწორედ რომ დიალექტურად ხდებოდა. მაგრამ ჩვენის აზრით, თეზისა და ანტი-თეზის ადგილას რომანტიზმისა და რეალიზმის დასმა, იმ თავითვე გაუმართლებელია.

სიტყვიერების ისტორიკოსთა შეცდომა, რომლებიც ამ თვალსაზრის ადგანან, მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ ერთი, ლირსულად ვერ შეიფასებენ რეალიზმის წინამორბედ კლასიციზმის როლს, მეორეც ის, რომ სავსებით ვერ შეისწავლიან რომანტიზმის რეალიზმში გარდასვლის პირობებს; რეალიზმის ტექნიკა კი სრულმართად არ არის მებრძოლ დასაწყისთა ტექნიკა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თეზისის როლს ამ პროცესში სთამაშობდა კლასიციზმი — არისტოკრატის სტილი თავის ისტორიულ გზის მიწურულზე; კლასიციზმის მიმართ უდაოდ ანტიგონისტი იყო რომანტიზმი — სტილი გარდაშველ ეპოქის, საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა, სტილი ქართველისა, რომელიც თანდათან ცვლებოდა და ზოლოს რეალიზმად გარდაიქვა, — ეს კი იყო უკვე



აი ჩვენის აზრით როგორია რომანტიზმის რეალიზმისაგან გარდასვლის მექანიზმი. სწორედ აქა სწამს ამ გარდასვლის ქეშმარიტი დანაშაულებრივობა.

მაგრამ დაუბრუნდეთ ემილ ზოლას, შევეცადოთ მის რეალიზმს გარკვევას, ავხსნათ მისი შემოქმედება და მის თანამედროვეთა მიდგომა, წინამორბედ ლიტერატურულ მიმართულებათა ფონზე, რომლებიც წარმოიშენენ საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლებადობით.

ზოლა იყო არა უბრალო რეალისტი.

მის სახელთან დაკავშირებული მიმართულება სხვაგვარად იწოდება. ეს იყო ნატურალიზმი.

ვიქტორ ჰუგოს ჯერ კიდევ პატივცემულ [ნაძალადევი დიდაქტიკის გვერდით დაემკვიდრა მხატვარ-ექსპერიმენტატორის ჰეგემონია.

ამგვარ ტენდენციის წარმოშობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო.

თავის ზრდისა და დამკვიდრების პროცესში ბურჟუაზიამ ყოველგვარ მისტიკურ რისა და ბუნდოვანისადმი მტრობით, — ყოველივე იმასთან ბრძოლით რაიც ახასიათებდა მის წინამორბედ არისტოკრატობას, გამოიწვია ცდისეულ მეცნიერებათა არაჩვეულებრივი აღორძინება.

ფრანგულ სიტყვიერების ისტორიკოს გუსტავ ლომსონის თავისებურ მტკიცებით — „მეცნიერულ პოზიტივიზმის უპირატესობა რელიგიურ რწმენათადმი, მატერიალ-ინტერესთა ზნეობრივთადმი და პოლიტიკურ საკითხთა უპირატესობა სოციალურთა წინაშე“, — იყო სული ამ ხანისა *).

იგივე ლომსონი აღნიშნავს, რომ 1850-ანმა წლებმა საფრანგეთში მოიტანეს მრეწველობის განვითარება, მართალია იგი არ აკავშირებს ამ ორ მოვლენას, არ აღნიშნავს ერთის მეორეზე გავლენას, მაგრამ ჩვენ ადვილად შეგვიძლია აღვნიშნოთ ის აუცილებელი დამოკიდებულება მატერიალისტურ ტენდენციებისა მრეწველობის განვითარებაზე, რომელიც მისთვის შეუშინვეელი დარჩა. და ასე, განსაზღვრულს დრომდე მატერიალიზმი იყო დროშად ბურჟუაზიის ნელინელ მსვლელობისა თავის ისტორიულ გზაზე.

და ეს მეცხრამეტე შეასაუქუნის მატერიალიზმი შეუძლებელი იყო არ შეპრილიყო ხელოვნების დარგში.

და ამ თავისებურ მხატვრულ მატერიალიზმის განხორციელება იყო ემილ ზოლას თეორია და პრაქტიკა.

მაგრამ იყო ერთი დარგი, სადაც მატერიალიზმის შესვლა უსასტიკესად იყო აკრძალული. ეს დარგი იყო სოციალური მეცნიერებანი, სადაც დაუთავებელ გამოთქმათა ხერხებით, დადუმებითა და გამოფიტულ სოფისტიკით.

და ბურჟუაზიის ამ წმიდათა წმიდაზე შეტევა გაბედა ემილ ზოლამ. მობარდ კაპიტალიზმის ამ წინააღმდეგობებით დაპირქვებულს იარაგს მიუდგა იგი მატერიალისტურად და უქადაგა ხელოვნების ცოცხალი ქეშმარიტება.

რა იყო მოსალოდნელი, თუ არ თანამედროვეთა გახელებული პროტესტი, მტკიცების შემდგომ, რომ ზელოვანს კავშირი აქვს სოციოლოგთან, რომლისა-

*) გუსტავ ლომსონ, ფრანგულ სიტყვის ისტორია, თავი ნატურალიზმის შესახებ.

თვისაც უნდა დაამზადოს მეცნიერულ მეთოდებით შემოწმებული და დაუბრუნებელი ცხოვრების მასალა.

განა შეეძლო უმეცაოფილების გარდა სხვა რამის ვარაუდები ^{გაქონებული} ^{ქართული} ხოვდა წმიდა მეცნიერულ მეთოდების გამოყენებას ამ მასალის გამოსაძებნად და გამოსაყენებლად; თვითონ ხომ პრაქტიკულადაც განახორციელა თავისი პროგრამა ერთი მეორეზე გამოსულ რომანებში.

იგი მიდიოდა ამ გზით, დაუნდობლადა და გარეგნულად მიუდგომლად ანალიზს უშვებოდა ყოველ გამოვლინებას იმ სოციალ პარადოქსისა, რადაც უკვე იქცეოდა იქამდე პროგრესიული სპირწველო კაპიტალიზმი.

და ეს განსაკუთრებით გმირულსა ხდის მის შემოქმედებით გზას და განსაკუთრებით ძვირფასად მის შენამოქმედს.

როგორიღაა არსებითად ნატურალიზმი, რომელმაც ეგოდენ დიდი როლი ითამაშა სიტყვიერების ისტორიაში, რომლის თეორიამ ისეთი თავშეუკავებელი შტოთი გამოიწვია თანამედროვეთა შორის, და რომლის დანწყები და ბელადი იყო ემილ ზოლა.

ზოლას გარდა, ნატურალიზმის თეორეტიკოსი იყო ფრანგი სწავლული იპოლიტე ტენი.

მის ლექციებში ხელოვნების წესებზე მკითხველი იპოვის განმარტებასა და მრავალ დამტკიცებას ნატურალისტურ ხელოვნების თეორიის აუცილებელ მიღებისა.

მაგრამ მისი ნაშრომი უმეტესად შეეხება სახვით და პლასტიურ ხელოვნების დარგს.

ნატურალიზმის თეორიამ სიტყვიერებაში კი, პირველად და ამომწურველ სისრულით, განმარტებულ იქნა ემილ ზოლას მიერ მის „ექსპერიმენტალ რომანის თეორია“-ში და მთელ რიგ წერილებში სიტყვების შესახებ.

აი რას ამბობს ზოლა მის მიერ ხელოვნებისადმი წარდგენილ მოთხოვნებში: „თუ ნაწარმოები არ შესდგება სისხლისა და ნერვებისაგან, თუ იგი არ არის დაწურული, მთლიანი და მიმზიდველი გამოხატულება მსოფლიოს ნაწილად, მე უარვყოფ ასეთს ნაწარმოებს, თუნდაც ვენერა მილოსელი იყვეს“.

შევეცდებით გაეაშუქოთ და გაეაფართოოთ ეს დებულება ემილ ზოლას მიერ ამ საგნის გარშენო გამოთქმულ სხვა აზრთა დახმარებით, თან კი ზენი წერაილ არ დატვირთოთ ციტატების ზედმეტ სიმრავლით.

ზოლას აზრით, ხელოვანის უმძიმეს ცოდვად უნდა ჩაითვალოს სინამდვილის დამახინჯება ნაწარმოებში.

უნარი დაკვირვებისა და ნახულის მიუდგომლად ასახვისა, აი რომანისტის ძირითადი შემოქმედებითი ამოცანა.

შეკოწიწებულ შემოქმედებით თვალსაზრისთა ნაცვლად, ხელოვანი უნდა იქნეს ექსპერიმენტატორი, რომელიც მეთოდურად უნდა აპირსპირებდეს და აერთებდეს თავის შემოქმედ ლაბორატორიუმში ყოველივეს, რისი დანახვაც შესძლებია გარე სამყაროში.



მხოლოდ ფაქტები, მხოლოდ რეალურად არსებული ცხოვრების კალიზი-
ები შეიძლება იყვნენ მხატვრულ განსახიერების ობიექტად. მხატვრის მეთო-
დები უნდა გახდნენ ხელოვნების მეთოდებად.

ხელოვანი არ უნდა იყვეს აღფრთოვანებული ან უკმაყოფილო, ცხოვრების
ყოველგვარი გამოვლენა მასში უნდა იწვევდეს მხოლოდ დამკვირვებლის ინტე-
რესს და შეფასებულ იქმნას იმის მიხედვით, თუ რაოდენად მნიშვნელოვანია
მისი როლი ცხოვრების ამ ა თუ იმ მოვლენაში.

ხელოვანი არ უნდა ასწავლიდეს, მისი საქმეა მხოლოდ ჩვენება. მისი ფუნ-
ქციაა სოციალოგ-თეორეტიკოსისათვის მხოლოდ მასალის მოშაბდება.

ზოლა და მისი მომხრეები განირჩეოდნენ მეტად უტილიტარისტულ შე-
ხედულებით ხელოვნების არსისა და დანიშნულებაზე: — ჩვენ არ გამოგვყავს დანა-
სკენი — ამბობს ზოლა — ჩვენ ვქმნით პრაქტიკულ სოციალოგიასა და ჩვენის მუ-
შაობით ვებმარებით პოლიტიკურსა და ეკონომიურ მეცნიერებათ“.

ასეთია ძირითადი დებულებანი ემილ ზოლას მიერ წამოყენებულ ნატურა-
ლიზმის თეორიისა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რომანტიზ-
მიდან რეალიზმზე გარდასვლა თითქმის უკვე დამთავრებული იყო და რეალიზ-
მი გაბატონებულ მიმართულებად ზდებოდა ფრანგულ სიტყვიერებაში.

რა თქმა უნდა, ნატურალიზმი არ იყო საფესებით დამოუკიდებელი ლიტე-
რატურული მიმართულება, როგორც ფიქრობს სიტყვიერების ზოგი ისტორიკოსი,
რეალიზმთან შემავრთებელი ძაფები არ იყვნენ, და არც შეიძლებოდა ყოფილი-
ყვნენ გაწყვეტილნი.

იმ დროინდელ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის რომ შევეცადოთ
მისთვის ადგლის გამოჩვენებას, ჩვენის აზრით, ნატურალიზმი უნდა ჩაითვალოს
თავისებურ შტოდ რეალიზმისა, რომელმაც განიცადა ბუნების მეტყველურ მე-
ცნიერებათა იმ დროინდელ მიღწევებს გაელენა: ეს მიღწევანი თავის მხრივ გა-
მოწვეულნი იყვნენ საწარმოო ძალთა უჩვეულო წარმატებასთან დაკავშირებულ
საწარმოო კაპიტალის ზრდითა და განმტკიცებით.

ამ საზრისით უნდა განვიხილოთ ემილ ზოლას შემოქმედება, რომელიც იყო
სიტყვიერებაში ნატურალიზმის უცხადესი გამოშაბტველი.

საკითხი იმის შესახებ, თუ საერთოდ რამდენად მისაღებია ეს თეორია
პრაქტიკაში და რაოდენად შესრულებული იქმნა ეს ემილ ზოლას მიერ, უნდა
გადასწავდეს მხოლოდ კონკრეტ მხატვრულ მასალის შესწავლით, რაზედაც გადავ-
დივართ ესლა.

ემილ ზოლას მთელი შემოქმედება შეგვიძლია დავეოთ სამ ძირითად მო-
მენტად: დაყოფის პრინციპად მივიღებთ სამ ძირითად შემოქმედებით მეთოდს,
რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით დაწერილი რომანი მკვეთრად განირჩევა
მის დანარჩენ რომანებისაგან.

ამ მეთოდებს პირობით უწოდოთ ხერხი დაკვირვებისა, ხერხი აღშენებისა
და დამტკიცების ხერხი.

გავარკვიოთ ჩვენი აზრი. დაკვირვების ხერხით დაწერილი რომანები წარ-
მოადგენენ ხელოვნების ცხოვრებაში გამართლების მტკიცებას. ამ სფეროში

ზოლა უძლიერესია. მისი უნარი ცხოვრების გადმოხატვისა — უჩვეულოა. მისი „და-
მიანი მზეცი“ დაკვირვებითი ხერხით დაწერილი — არაჩვეულებრივად ძლიერია.

ხანდახან არა ნაკლებ ძლიერია აღმშენებითი ხერხით დაწერილ უძველეს ნაწარმებს. აქ უკვე ასპარეზზე გამოდის ხელოვანი-ექსპერიმენტატორი, რომელიც დაწერილ უფრო მოხდენილ რომანთაგან დაეასახელოთ „შემოქმედება“ და „ქიმი პასკალი“, რომლებიც ნათელ მაგალითს წარმოადგენენ მშვენიერად აგებულ ხასიათთა და დებულებათა. დამტიციებითი ხერხით დაწერილი „ნაყოფიერება“, „ზრომა“ და „კეშმარიტება“. ეს ნაკლებ მოხდენილი რომანებია ზოლასი. დამახასიათებელია, რომ ზოლა აქ ღალატობს ერთ-ერთ თავის თეორეტულს დებულებას მის შესახებ, რომ ხელოვანმა ხელი არ უნდა მიჰყოს მტიციებასა და დანასკვთა გამოყვანას; ამიტომ არის, რომ ამ შემოქმედებაში ზოლა უმწეო ხდება. რაკი ერთხელ გა-დასკდება თავის მიერვე დადებულს საზღვარს, ჰკარგავს ზომიერების გრძნობას, ეარდება დიდაქტიურ ტონში, და რაც ყველაზე უარესია, გამოჰყავს უმართებულო დანასკვნი. ამის მიზეზები, რა თქმა უნდა, უფრო ღრმაა, ვიდრე ამდენ ხანს აღვნიშნავდით. ისინი მის სოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ, რომლის ანალიზს ქვემოთ შეუდგებით. ეხლა გადავიდეთ იმ ხერხებზე, რომლებიც ნათელსა და მნიშვნელოვანს ჰხდიან ზოლას შემოქმედებას როგორც მის თანამედროვეთა თვალში, ისე თანამედროვე მკითხველის თვალსაზრისითაც.

ზოლა ხედავდა როგორც არავინ, და ეს არა იმის გამო, რომ შეეძლო მოკლენათა სიღრმეში ჩაწვდომა და იმ მალულ მექანიზმის გამოხატვა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ ნიადაგის რყევასა და ცვლას, რამდენადაც არაჩვეულებრივ ფართო შემოქმედებით დიაბაზონის წყალობით, რაც მხოლოდ მას ახასიათებდა.

მის რომანთა სამოქმედო არედი თანაბრად გვევლინება პაპის სასახლეც, უსაქმრობითა და უსარგებლო ნივთებით სავსე დარბაზები პარიზულ კურტი-ზანკისა, ქვა-ნახშირის მადარობებიც, რომელთა შესახებ მოგვითხრობს თითქმის როგორც საჭმის პროფესიონალი მკოდნე, და გარდამავალ რომაელ არისტო-კრატთა ჩაბნელებული პალიცოც; უნივერსალურ მალაზიასა და პარიზის სამრეც-ხელოში, მხატვრის სახელოსნოსა და ლამორატორიუმში, კათოლიკურს ტა-ძარსა და მეტალურგიულს ქარხანაში, ზოლა თავს ყოველგან თანაბრად გაბე-დულიადა ჰგრძნობს და მკითხველს თანაბარის სიფრთხილით აცნობს მის მიერ არჩეულ სოციალ კუთხის დეტალებს და აქ ავითარებს თავის გმირების აზრთა და გრძნობათა რთულ ქარვას.

საერთოდ, დეტალების მხრივ მისი რომანები წარმოადგენენ განსაკუთრე-ბულ ინტერესს.

რა დარგშიაც არ უნდა იშლებაოქვს რომანის მოქმედება, ზოლასათვის მიუღებელია დეტალების ნაკლი. საკანი მის მიერ ზედმიწევნით შესწავლილია. არ გამოაპარვია არც ერთი თავისებურება მის მიერ არჩეულ ზნე-ჩვეულების სფეროში. და ისევე კარგად, როგორც ამ დარგში იცნობს ხალხსა და მათ

ზნე-ჩვეულებას, იცის ამითთან დაკავშირებულ საგანთა სახელწოდებაც, დანიშნულებაა და როლიც.

მის რომანებში საგნები არ თამაშობენ ისეთს მომამბეჭობელ როლს, როგორც ეს სჩვეოდათ მის წინაპართა რომანებს.

ზოლა სრულიად თავისებურად გამოიყენებს საგნებს თავის გმირთა ფსიქიკისა და ჩვეულებათა ორგანიზაციაში.

მის რომანებში ნივთები სტოცხლდებიან, გამოკვეთილნი, ხელშესახებნი ხდებიან.

იგი მათ ხდის თანასწორ უფლებიან მოქმედ პირებად და ადამიანებთან თავისებურ დიალექტურ ურთიერთობით ყოველ მათ მოქმედებას აძლევენ დასრულებულ ფსიქოლოგიურ გამართლებას.

მაგრამ თუ ნივთები ზოლას რომანებში ხდებიან თანასწორ-უფლებიან მოქმედ პირებად, მოქმედების ადგილიც ნაწილობრივ ღებულაობს მთავარ მოქმედ პირის ყველა თვისებას.

ასეთია მაღაროსის როლი რომანში „შემაღაროენი“, ორთქლმავლისა, რომანში „ადამიანი მზეცი“ და სხვა.

მაგრამ განსაკუთრებულის სიციხადით ეს ზერხი შეგვიძლია შევამჩნიოთ იმ რომანებს, რომელთა მოქმედება იწლება დიდ ქალაქში.

აქ ზოლა უკვე მოექცევა თავის ჭეშმარიტ სტიქიონში.

ამ დარგში იგი საეკუბით განირჩევა თავის წინამორბედთაგან, როგორც ფრანგულ, ისე საერთოდ ევროპულს სიტყვიერებაში.

რა თქმა უნდა, ქალაქი მოქმედების ადგილად რომანებში ზოლამდეც იყო, მაგრამ მისი როლი და მისდამი მწერალთა მიმართება სულ სხვანაირი იყო.

ქალაქს ვხედებით დიკენსთან და ბალზაკთანაც. მაგრამ ბალზაკი ჯერ არ იცნობს ქალაქს და არც უყვარს. იგი დეტალურად აღწერს სხვადასხვა სახლის ჩუქურთმასა და ბინების მორთულობას, ვერ იწინევს კია ქუჩებსა და მოედნებს, ბულვარებსა და სანაპიროებს.

დიკენსი კი თითქმის მტერია ქალაქისა. ის მისთვის სიმბოლოა სიგლახაქისა და ბეჭაობისა, მის გმირებში ახშობს კარგ სწრაფეთა და ზრახვით. ველთა და ტყეთა სივრცე—აი დიკენსის მოქალაქეთა სწრაფვის მიზანი. ქალაქი მათთვის უცხო სტიქიონია.

სულ სხვაა ზოლასთან. მისი გმირები შეეხარდნენ და შეეთვისნენ ქალაქს. ისინი სტებებიან მზის ციმციმით წვიმისაგან დანასველებ სახლის სახურავებზე, ესაიშოვნებათ ეტლის ცხენების თქარა-თქური ქვაფენილებზე, მაღაზიების, თეატრების და ჭურჩის ლიფთოფათა შუქი ადვილად შესცვლის მზეს,—ივანი ქალაქის ჭეშმარიტნი შვილნი არიან, მისგან ტუტუნაწოენი და მასთან მტკიცე ნათესაურად მიჯაჭულნი.

სწორედ ზოლას შეგვიძლიან უწოდოთ ურბანიზმის მამათმთავარი. მაგრამ არა იმ დათენთილ, ავადმყოფ ურბანიზმისა, რომელიც ასე აჰყვავდა თანამედროვე დასაცლეთ ევროპის ხელოვნებაში. ცეცხლებით გადაბარწყინებული კიფეები, მაგიდისა და მაგიდის შუა მპრანჭველ გამოწყობილ წყვილებით, არ

იბყრობენ მის ყურადღებას. საფარდულო, სადგური, თეატრული მანქანების მხარე-
რად მდაბალნი, მაგრამ კაპიტალისტურ ქალაქის ნამდვილი მამობრავებელნი,
განუწყვეტლივ იბყრობდნენ მის ყურადღებას და იყენენ მისი გამოხატულების
საგნად.

პარიზის უბინძურეს კუნძულებში ზოლას შეეძლო თავისებურ სილამაზის
პოვნა და დანახება, მკითხველს იტაცებდა თევზეულისა და ბოსტნეულის ფარ-
დულთა, ბინძურ ნავთსადგურისა და დიდ თეატრის მტერიან კულისების აღწე-
რით; ასუნთქებდა პარიზის მიდამოთა დახშულ ჰაერს და მთელი საათობით ახე-
ტებდა მუშათა უბნების მრუდე ქუჩებსა და შუკებში.

ქალაქის აღწერაში ზოლა სწორუმოვარი იყო. რაგინდ როგორ გაშუქე-
ბული, რაგინდ რა დარში, ზაფხულსა და ზამთარში, მზით გავარვარებული
თუ წვიმიტ პირდაბურული ქალაქი მის რომანებში ძლიერია და ლამაზი. როცა
ქალაქს შესახებ მოგვითხრობს, ზოლას იბყრობს თავისებური აღმწერლობითი
პათეტიკა, აღფრთოვანებულია და იტაცებს მკითხველს თავის საყვარელის მა-
რად სიმშვენივით. რაგინდ რომ ფერი, რა გინდ რა სუნი, თუ კი ისინი ქალაქის-
სანი არიან, სჭირდება მას და ძვირფასია.

ადამიანთა ამ დიდ კინკველისებურ საბუღარში არ არის არც ერთი მოვ-
ლენა ცხოვრებისა, რომ მის რომანებში არა პოვოს ადგილი.

და ხშირად, როცა კითხულობ მის წარმტაც, უწვეულოდ ნათელ აღწე-
რას რომელიმე ქალაქის ბინძურ კუნძულისა, საიდანაც სიყვარულით ამოუწერნია
სარეცხ ორმოებისა და აყროლებულ ნაგვის სურათები, უნებურად შეგაერგო-
ლებს ზიზღითა და აღტაცებით.

ქალაქისადმი დიდ სიყვარულს უნდა მიეზიდნა ამ ხელოვანის კალამი და
დიდი ხელოვანი უნდა ყოფილიყო ის, ვინც ასე დაეფულა ამ კალამს.

და რამდენი თავდასხმა უნდა აეტანა ზოლას, ასეთ „უხემ ნატურალიზმის“
წყალობით.

სასამართლომ, რომელამდისაც მივიდა ერთხელ საქმე, მისი რომანები
უზნეოდა სენო.

კრიტიკა გახელებული იყო და ზოლას აესებდა საყვედურებითა და შე-
ურაცყოფით.

საზოგადოება კი, რომლის სიწრფელე და მიზნდარობა მას ხანდახან თი-
თქოს სჯეროდა კიდევ, გამკილავედ ჰხითხითებდა და მის რომანთა ცოცხალ
ქეშმარიტებას აღითქვამდა როგორც ბინძურ ანეკდოტს, ფართო გემოვნების
დასაკმაყოფილებლად დაწერილს.

მეტად საინტერესოა კიდევ ერთი მხარე ზოლას შემოქმედებისა.

პირობით უწოდოთ მის ავტორის უპიროვნება.

ეს ზერხი, როგორც ზემოდაც დავინახეთ, უშუალოდ გამომდინარეობს
აბსოლიუტ მიუდგომლობის მოთხოვნილებიდან, რომელსაც უყენებს ხელოვანს
ნატურალიზმის თეორია.

გასავებია, რომ ამ მოთხოვნილების ას პროცენტით დაკმაყოფილებას ვერ
შესძლებდა ვერც ერთი ხელოვანი, არც ზოლას ემარჯება მუდამ. მაგრამ ის



მთელის ძალ-ღონით ისწრაფის ამ იდეალის მისაღწევად და ზოგჯერ უფლებს კიდევ ცხოვრების უსასაცილოეს, ყველაზე ნაკლებ მიზიდველ მსაჩინებას აღწერის დროს იგი ხანდახან აღუშფოთებელი რჩება. მის ხმაში არ გამოსკვივის არც ირონია, არც უკმაყოფილება. იგი მხოლოდ გვიჩვენებს ცხოვრებას ისე, როგორც არის, მკითხველს კი უტოვებს უფლებას გადაიხარხაროს ან და მუშტები მოჰკეოს.

მაგრამ ამას იგი მეტად იშვიათად აღწევს და მისი აღუშფოთებლობა ასეთს შემთხვევებში წმინდა ფორპალერია. თავის ცნობიერების სიღრმეში კი ზოლა ემოციონალიად აღივსება და მკითხველსაც გადასდებს ამას.

იგი ზედმეტად ტემპერამენტანია იმისათვის, რომ გულგრილად მოეკიდოს კაცთა ვერაგობის, პირფერობისა და მლიქვნელობის სანახაობას, რაც ისე ხშირია მის გარშემო საზოგადოებაში.

სერიოზულ ყურადღების ღირსია ზოლას შემოქმედებაში მანერა მომქმედ პირის შექმნისა და ინდივიდუალობის მისი პროფესიით ჩვენებისა.

კაცი ზოლასათვის წარმოუდგენელია უპროფესიოდ.

მთელი მისი ფიქიკა დამოკიდებულია იმ სამუშაოზე, რომელსაც ეწევა. მთელი მისი ქცევა განისაზღვრება ამ სამუშაოთი.

ზოლას გმირთა გარეგანი სახეც კი მუდამ პროფესიონალია, დაწკებული მათი სამოსელით და ლაპარაკის მანერით გათავებული.

როგორ მართლად არის, მაგალითად, ანატ ფრომანის ფიგურა რომან „პარიზ“-ში, როცა იხდის მღვდლის ანაფორას და იცვამს ჩვეულებრივ სამოსელს როგორ ტიპურია შემადაროვლთა ფიგურები რომანში „შემადაროვლი“, რამდენი პროფესიონალი მანკიერებაა რომან „მახე“-ს გმირი—ზეინჯალის განსახიერებაში.

ზოლამ მართებულად და თავის დროზე გაიგო, რომ სიტყვიერებაში კაცი პროფესიის გარეშე ზდება აბსტრაქტი, მკრთალი და არადამაჯერებელი, პროფესიონალი თავისებურებანი კი მისცემენ მას გამოკვეთილობას, სიცოცხლეს და ფსიქოლოგიურად გაარკვევენ მის ტემპერამენტსა და საგანთადმი მიმართებას.

აქ უკვე ზოლას შემოქმედებაში საფსებით ნათლად სჩანს ის თავისებური მხატვრული მატერიალიზმი, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ზოლასათვის, მისი შემოქმედების ეს თავისებურებანი, ეს სწრაფვა ცხოვრების ბნელ, ზოგჯერ ბინძურ მხარეების ჩვენებისა, ეს ცდა მიუღვამლად დარჩენისა მათი ასახვის დროს, იყენენ არა მხოლოდ ფორმალნი ბერებები; არც ჩვენ უნდა განვიხილოთ ასე.

ცხადია, რომ ეს მისი სოციალ არსების გამოვლინებაა, მეტად ღრმა და მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ წერის მანერაში გამოხატულიყო.

მან იცის, რომ „საზოგადოებრივი წყობილება მორყეულია და ძირმომპალი, რომ უნდა დაინგრეს და ჩაუარდეს ტალახსა და სისხლში“.

და თავის მხატვრულ დანიშნულებას ზოლა ჰხედავს იმაში, რომ ამ მორყეულ საზოგადოებრივ წყობილების აღწერითა და კრულვით დააჩქაროს მისი დანგრევა.

მაგრამ, თუმცე კი წათლადა გრძნობდა კაპიტალისტურ წესებში მისი ნგრევის აუცილებლობას, ზოლამ მაინც ვერ შესძლო მისი და მისი ნაწილის წინაშე წამოჭრილ საკითხთა მართებული გადაჭრა.

კაპიტალისტურ ჩიბიდან გამოსავალს არ ხედავს იგი სოციალ რევოლუციამი, ახალ საზოგადოებრივ წყობილებისაქენ გზას არ ხედავს კლასთა ბრძოლაში.

მისი აზრით—„შოლოდ საპართლიანობის დიდებული აქტი შესძლებდა ძველ, დახანებულ სამყაროის განწმენდასა და კელაე გადახალისებას“.

მეტად მტკიცე იყვნენ ძაფები, რომლებიც აერთებდნენ ზოლას მის წარმომზობ კლასთან.

და ამიტომ იყო, რომ ის იშვიათი სიძლიერე, რომელსაც აღწევდა იგი საქულველ ბურჟუაზიის სასიციოცხოლო გამოზატულეზათა აღწერაში, აღგილს უთმობდა ერთგვარ დაძაბულობას, ალაგ-ალაგ სიყალბესაც კი, როცა სცილილობდი დაეხატა ის უკეთესი მოზავალი, რომლისაქენაც ისე წრფელად და მზურველედ ისწრაფოდა.

ბურჟუაზია წუთითაც არ უშვებდა მას თავის მტკიცე მკლავებისაგან. იგი სწყველიდა ბურჟუაზიასა და სძულდა, მაგრამ სიციოცხლის უკანასქენელ დღემდე მაინც მის ერთგულ შვილად დარჩა.

რ ე მ ი პ ა ს უ ხ ი

„ნათობის“ მეოთხე ნომერში მოთავსებული იყო პროფ. შ. ნუცუბიძის რეცენზია ჩემს წიგნზე „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლთმხედველობა“. თუმცა რეცენზიის დასაწყისში აღნიშნულა, რომ ჩემი წიგნი „მეტის სისტემატიურობით“ ეხება თავის საგანს, ვიდრე დასავლეთ ევროპის მეცნიერთა ნაშრომები, და ის „მეცნიერული გამოკვლევის სიმაღლეზე დგას“, მაგრამ როდესაც რეცენზიას ბოლომდის წაიკითხავთ, არ შეგვიძლიათ არ იფიქროთ, რომ ეს შეკვეთა ალბათ იმისთვის თუ დასკირდა რეცენზენტს, რათა უფრო თამამად დაეგმო ჩემი გამოკვლევა, ვინაიდან რეცენზიაში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ის თვისებები ამ გამოკვლევისა, რომელნიც ამტკიცებენ მის „სისტემატიურობას“ და „მეცნიერულ სიმაღლეს“; სამაგიეროდ იქ უხვად არის გაბნეული ასეთი შენიშვნები: „ავტორს შეეძლოა შეეძლიაზე მოსდის“, „ავტორს გაუგებრობა მოსვლია“, „ავტორი ნაძალადეგ კონსტრუქციას აშენებს“ და სხვა. თუ ყველა ეს ნაკლულევიანება მართლაც თან ახლავს ჩემს ნაშრომს, როგორ შეიძლება გარეშე შინაგანი წინააღმდეგობისა ითქვას, რომ ის მეცნიერული გამოკვლევის სიმაღლეზე დგას? უკვე ეს შინაგანი წინააღმდეგობა გვაიძულებს ფრთხილად მოვეკიდოთ ამ რეცენზიას, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო ნაკლულევიანებათა აღწესხეას წარმოადგენს, ვიდრე სწორს კრიტიკას.

კრიტიკა შეიძლება იყოს, მრავალგვარი, არის, სხვათა შორის, კრიტიკა სუბიექტიური და ობიექტიური. სუბიექტიური კრიტიკა უფრო ადვილად საწარმოებელია: ის გარედან ეხება ვასაკრიტიკებელი ნაწარმოების დასკვნებს და აფასებს მთელს ნაწარმოებს მხოლოდ იმის მიხედვით, მოსწონს თუ არა კრიტიკოსს ეს დასკვნები. ასეთი კრიტიკა არ სარგებლობს მეცნიერებაში დიდი პრესტიჟით. მეცნიერული კრიტიკა უნდა ობიექტიური იყოს: ის ნაწარმოებს უნდა აფასებდეს არა იმის მიხედვით, მოსწონს თუ არა კრიტიკოსს მისი დასკვნების შინაარსი, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ არის შიგ ამ ნაწარმოებში ეს დასკვნები მიღებული. ობიექტიურმა კრიტიკამ უნდა გასინჯოს კავშირი ნაწარმოების საფუძვლებსა და მის შედეგებს შორის და შეაფასოს, რამდენად სწორია ეს კავშირი.

ჩემი გამოკვლევის საფუძვლებია ქსენოფანეს ფილოსოფიის წყაროები. მეცნიერულს ან ობიექტიურს კრიტიკას სწორედ აქედან უნდა დაეწყო: მას უნდა

გამოერკვია, სწორია თუ არა ჩემი ანალიზი ქსენოფანეს ფილოსოფიის წყაროებისა; და ამართლებენ თუ არა ეს წყაროები იმ დასკვნებს, რამაც ჩემი მათზე გამყარებ. მაგრამ რეცენზენტი სრულიად არ შეხებია ჩემს წინადადებას, რომელიც წყაროების ანალიზს შეიცავს. ის უშუალოდ ეკამათება ჩემი გამოკვლევის დასკვნებს.

ერთი დასკვნა ამ გამოკვლევის აის არის, რომ ქსენოფანე რადიკალურად გაემიჯნა მილეტის ფიზიკოსთა ტრადიციას და სრულიად ახალი, მილეტელებისათვის უცნობი ნაკადი შემოიტანა ფილოსოფიაში. ეს დასკვნა არის ჩემი მთავარი დებულება, რომელიც იძლევა საშუალებას გადავფასოთ ჩვეულებრივი სქემა წინასკრატული ფილოსოფიის განვითარებისა. რეცენზენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას შეუწინავეია ეს უკანასკნელი გარემოება, და ამიტომ თავის რეცენზიის მომეტებულს ნაწილს ის ამ დასკვნის გაკრიტიკებას ანდომებს. მაგრამ, იმის მაგივრად, რომ გაესინჯა საბუთები, რომლებიც მე ჩემი დასკვნის დასამტკიცებლად მოვიყვანე, და შეემოწმებია ამ გზით, მართებულია თუ არა თვით **პროტეხი ჩემი კვლევისა** (სწორედ ეს იყო სავალდებულო რეცენზენტისათვის). უკანასკნელი ცდილობს დაამტკიცოს ამ დასკვნის საწინააღმდეგო დებულება, სახელდობრ ის, რომ ქსენოფანეს არ დაურღვევია მილეტის ფიზიკოსთა ტრადიცია და ხაზი და „ახალი რამ არც ცნების შემოშავების სახით და არც ახალი გზის გამოწახვის თვალსაზრისით არ უთქვამს“. ¹⁾ როგორც ვხედავთ, რეცენზენტი იმას, რაც მისთვის სავალდებულო იყო, სრულიად არ აკეთებს; სამაგიეროდ აკეთებს იმას, რაც მისთვის პირდაპირ სავალდებულო არ იყო. განვიხილოთ მაინც, როგორ აკეთებს რეცენზენტი ამ არა-სავალდებულო საქმეს: გავეცნობთ, რა საბუთებით ამტკიცებს ის თავის დებულებას, რომელიც მან ჩემს დასკვნას დაუპირდაპირა.

სამი მოსაზრება მოყავს რეცენზენტს იმის დასამტკიცებლად, რომ ქსენოფანეს „არ დაურღვევია მილეტური ფიზიკის ტრადიცია და ხაზი“. ა. „საწყისის ცნება არ ებრძოდა არსების ცნებას“, სწერს რეცენზენტი: „საგნების არსებასაც ის შეადგენდა, რაიც მათი წარმოშობის ძირი იყო და ამდენად მილეტელებს ცნების ჩასახვის ელემენტიც გააჩნდათ“. „პრიმიტიულად, მაგრამ მაინც შესძლეს იონიელებმა ცნების ერთი მომენტი—არსების—შემოშავება“ ²⁾ ბ. „ქსენოფანემ მისი (ე. ი. ცნების) მეორე სახე შეიმუშავა—მრავალსახიანობის ერთობლივობაში დაიღვია“ და ეს იყო „მხოლოდ დაწყებული საქმის წინ წაწევა და არა ჯერ უცნობ და უხილავის მხილება“ (იქვე). გ. რომ ეს ასე არ უოფილიყო და ქსენოფანეს მილეტელთა საქმე არ ვაგვერძელებია, ის ვაუგება-რი იქნებოდა: „ბუნების გააბსრულდება, რომელსაც აეტორი იონიელ ფიზიკოსებს მიაწერს, იმაში კი არ იყო, რომ მილეტელებმა მოვლენის საზღვარი ვერ განასხვავეს (?). საქმე რომ ასე უოფილიყო, რაღა ვააკეთა მაშინ ქსენოფანემ ამ ნაკლის თუ შესაგებად არა... შესასწორებლად მაინც? რაღა აზრი ექნებოდა ქსენოფანეს მიერ შემჩნეულ საზღვარს მოვლენებსა და თვითარსს ბუნების შორის,

¹⁾ მნათობი 1927 წ., № 4, გვ. 179.

²⁾ მნათობი, № 4, 179 გვ.



თუ ქსენოფანეს ფილოსოფიის პერსპექტივები ქვეყნის ირრეალობით, ე. ი. არარაობით უნდა დათავებულყო? ცნების შემუშავება განაჩრჩხნს უნდა, რომ უნდა მოსპობილიყო ის, რის შესახებაც ცნება მუშავდება (მსჯელობა).

დავიწყოთ რეცენზენტის ამ უკანასკნელ მოსაზრებათა ანალიზიდან. რეცენზენტი სწერს, რომ ქსენოფანე იმიტომ აგრძელებდა იონიელ ფიზიკოსების საქმეს, რომ მან თურმე შეამჩნია „სახლვარი მოვლენებსა და თვითარსს ბუნებას შორის“ და ამით მოხსნა დაბრკოლება, აღმართული მიღებულთა ფიზიკალური კლევის წინაშე, რომელმაც ვერ დაძლია ერთი საწყისის მრავალ მოვლენებად გაშლა (178). რეცენზენტს არ მოყავს საკმაო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ქსენოფანეს შეემჩნიოს „სახლვარი მოვლენებსა და თვითარსს ბუნებას შორის“, და ეინაიდან ასეთი შეხედულება ქსენოფანეზე გავრცელებულია ლიტერატურაში, საფიქრებელია, რომ რეცენზენტი აქ უბრალოდ ტნდობა სხვა ავტორებს და არც კი სთვლის საჭიროდ მოიშველიოს საკუთარი დაკვირვება იმის გამოსარკვევად, ითქვინ თუ არა ქსენოფანეს შესახებ, რომ მან „შეამჩნია სახლვარი მოვლენებსა და თვითარსს ბუნებას შორის“. დაკვირვებად ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს ერთი-ერთი საკუთარი მოსაზრება რეცენზენტისა, რომელიც სარჩულად უდევს შემდეგს მის შეკითხვას: ცნების შემუშავება განა იმას ნიშნავდა, რომ უნდა მოსპობილიყო ის, რის შესახებაც ცნება მუშავდებოდა? ვინც ასეთს კითხვას აყენებს, ის შემდეგნაირად მსჯელობს: ქსენოფანეს ლოგიკურად არ შეეძლო ისეთი ცნების შემუშავება, რომელიც ბუნებას ირრეალობად აქცევდა (მაშასადამე, „თვითარსს ბუნებას“ *contradictio in adjecto*-დ გახდიდა) და იმიტომ ქსენოფანეს ნამდვილადაც არ ვაუკეთებია ასეთი რამ: ლოგიკურად არ შეეძლო და იმიტომ ნამდვილად არ ვაუკეთებია. ასეთი წესი მსჯელობისა, რომელიც მოსწავს რეცენზენტის შეკითხვაში და რომლის ძალით ისტორიული ფაქტი მყარდება მხოლოდ განყენებული ხასიათის ლოგიკურ მოსაზრებათა საშუალებით, მამხილებელია იმ არა-მეცნიერული თვალსაზრისისა, რომელსაც ძალიან ეადვილება ისტორიული სინამდვილის შეცვლა საკუთარი ფანტაზიით. თავი რომ დაეანებოთ ქსენოფანეს, რომლის უმაღლესი მიზანი იყო არა ბუნების ახსნა, როგორც ეს რეცენზენტს უმართებულოდ წარმოუდგენია, არამედ მისი შეფასება, პარმენიდემ ხომ შეიმუშავა ცნება არსისა. მაგრამ ვანა ამით ის იბულებული არ შეიქმნა ბუნება ირრეალობად გამოცხადებისა? რამდენია კიდევ ფილოსოფიის ისტორიაში იმის მაგალითი, რომ მოაზროვნის მიერ შემუშავებული ცნება ბუნების მოვლენებს მოსპობილად აქცევდა! გაიხსენოთ აქ პარმენიდეს გარდა დემოკრიტე, რომლის მიერ შემუშავებულმა ცნებამ ატომისა, მას მრავალი მოვლენა ბუნებისა ირრეალობად გამოაცხადებია¹⁾. რომ რეცენზენტის მეთოდს ვაჯყოლოდით, ჩვენ ასე უნდა გვეაზროვნა: რაკი არსის ცნება პარმენიდეს ფილოსოფიაში და ატომის ცნება დემოკრიტეს მოძღვრებაში ბუნებას სპობენ — პირველი სრულიად, ხოლო მეორე ნაწილობრივ — არც პარმენიდეს შემუშავებია ცნება არსისა და არც დემოკრიტეს შეუქმნია ცნება ატომისა. ასეთი მსჯელობა იქნებოდა სწორედ „ისტორიული პერსპექტივის შებ-

1) იხ. ჩემი წიგნაკი „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, გვ. 261.

ლალვა“, რეცენზენტის ენით რომ ვილაპარაკოთ. — თუ ასეა, მაშინ რეცენზენტის ერთი მოსაზრება იმის დასამტკიცებლად, რომ ქსენოფანეს „ბასილუტურად ახალი რამ არც ცნების შემუშავების სახით, არც ახალი ვაჭარისა და მისი თვალსაზრისით არ უთქვამს“ — მიუღებელია უკვე ფორმალურად, რადგან ის არაფრით არ მტკიცდება. მაგრამ ეს მოსაზრება მიუღებელია არსებთანადაც, რადგან ის შეცდომაა: ბუნება ქსენოფანესათვის იყო მხოლოდ მოვლენათა ჯამი, მოკლებული სუბსტანციულობას და ამაშია მისი კარდინალური განსხვავება მილეტელებისაგან. „თვითარსი ბუნებაც“ ქსენოფანეს აზრთა წრეში შეუძლებელი რამ იყო, როგორც ეს საქმეაოდ ცხადყოფილია ჩემს გამოკვლევაში.

ბ. განვიხილოთ რეცენზენტის მეორე მოსაზრება. რეცენზენტი ფიქრობს, თითქმის ქსენოფანეს იმისათვის არ ეთქვას ახალი სიტყვა, რომ მთელი მისი ფილოსოფიური ღვაწლი ყოფილა თურმე „მრავალსახიანობის ერთობლივობაში დაძლევა“. ჯერ ვიკითხოთ, რას ნიშნავს, რომ ქსენოფანეს ფილოსოფიური ღვაწლი იყო „მრავალსახიანობის ერთობლივობაში დაძლევა“, შემდეგ კი გამოვარკვიოთ, მართლა ისეთი იყო საგნის ვითარება თუ არა. რომ ქსენოფანეს ღვაწლი იყო „მრავალსახიანობის ერთობლივობაში დაძლევა“ ნეიძლება გავიგოთ მხოლოდ ასე: ქსენოფანეს მრავალი პოლითეისტური ღმერთები (ძეუსი, ჰერა, აპოლონი და სხვ.) გაუერთიანებია ერთი ღმერთის ქვეშ და პირველი გამოუცხადებია უკანასკნელის ან ლოგიკურ სახეებად (ისე როგორც პეტრე და პავლე არიან ერთი ადამიანობის სახეები), ან რეალურ ნაწილებად (ისე როგორც ფესგები და ტოტები არიან ერთი ხის ნაწილები). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქსენოფანეს, რეცენზენტის გაგებით, უნდა ეთქვას, რომ ძეუსიც ღმერთია, (ან ღმერთის ნაწილია), ჰერაც ღმერთია და აპოლონიც ღმერთია. რით ასაბუთებს მერე რეცენზენტი, რომ ქსენოფანეს სწორედ ასეთი შეხედულება ჰქონდა? სრულიად არაფრით. მართალია, ამგვარი გაგება ქსენოფანეს მოძღვრებისა ძალიან გაფრცხვლებულია, მაგრამ მე ფაქტებით ვცადე დამემტკიცებია, რომ ეს გაგება არ არის სწორი. რეცენზენტს უნდა განეხილა ჩემი საბუთები, მაგრამ ის გვერდს უხვევს მათ. თუ რეცენზენტი არ გააჩევედა ჩემს საბუთებს იმ კონცეპციის წინააღმდეგ, რომელიც მას მართებულად მიიჩნია და რომელსაც ის უპირდაპირებს ჩემს გამოკვლევაში დამყარებულს შეხედულებას, მას საკუთარი საბუთები მაინც უნდა მოეყვანა თვისი კონცეპციის სასარგებლოდ: რეცენზენტს არც საკუთარი საბუთები მოუყვანია. მაგრამ ამ ფორმალურ ნაკლულევიანებას რომ თავი დაგინებოთ, არსებითადაც რეცენზენტი არ არის მართალი: თუ ქსენოფანე, როგორც რეცენზენტს წარმოუდგენია, იმას ქადაგებდა, რომ ძეუსიც ღმერთია, ჰერაც ღმერთია და აპოლონიც ღმერთია, მაშინ ის დარჩენილა პოლითეიზმის ფარგლებში. ქსენოფანე კი იყო მონოთეისტი, რომელიც ძეუსს და ჰერას არამც თუ არ სთვლიდა ღმერთებად, არამედ კიცხავდა ყველას, ვინც ასე იტყვევდა, რასაც ყოველი გქვის გარეშე ამტკიცებენ, ქსენოფანეს ფილოსოფიის წყაროები, განსაკუთრებით კი De Melisso Xenophane Gorgia, რომლის შესახებ რეცენზენტს ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავის რეცენზიაში.

ბ. მესამე მოსახრება, რომელიც მოყავს რეცენზენტს იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ქსენოფანეს არ დაურღვევია იონიური ფუნქციის სარწმუნოება, შეიცავს მიღებულთა მოძღვრების ინტერპრეტაციას. რეცენზენტის სწავლის საწყისის ცნება არ უბრძოდა*) არსების ცნებას: საგნების არსებასაც ის შეადგენდა, რაც მათი წარმოშობის ძირი იყო და ამდენად მიღებულებს ცნების ჩასახვის ელემენტიც გაიზნდათ“ (178). „პრიმიტიველად, მაგრამ მაინც შესძლეს იონიულებმა ცნების ერთი მომენტის—არსების—შემუშავება“, ამიტებს კიდევ რეცენზენტი (179). ასეთი გაგება მიღებულთა მოძღვრებისა, რეცენზენტის აზრით, საკმაოდ ამტკიცებს იმას, რომ ელევატიზში უბრალო გაგრძელება იყო იონიური ფიზიკისა, რადგან პირველი ყოფილა თურმე ანალიზის საშუალებით მიღწეულ განსაზღვრა არსების ცნებისა, რომელიც „ჩანასახის“ გვარად მიღებულებსაც ქჷონდათ თავის „საწყისში“. მთელი ეს მსჯელობა რეცენზენტისა შემდეგს დებულებას შეიცავს: არსების ცნება მიღების ფიზიკისა და არსების ცნება ელვას მეტაფიზიკისა ერთი და იგივე იყო, ოღონდ მიღებულებს ეს ცნება ბუნდოვანად ქჷონდათ შეგნებული (რადგან ის დამალული იყო საწყისის ცნების ქვეშ), ხოლო ელევატებს უფრო გარკვეულად. რითა საბუთებს მერე რეცენზენტი თავის შეხედულებას, რომელიც უბრალო განმეორებაა ლიტერატურაში გარკვეული კონკრეციისა? სრულიად არაფრით. მაშასადამე, რეცენზიის ფორმალური ნაკლებეინება ამით ცხადყოფილია.

მაგრამ არსებითადაც რეცენზენტი შემკლარია ამ მუხლში: „არსება“, რომელიც ჩანასახის გვარად მოცემულ იყო, მისი აზრით, მიღებულთა „საწყისში“, არ არის სრულიად ის „არსება“, რომელიც ელევატებმა აღმოაჩინეს. მიღებულთა მოძღვრების „საწყისი“ (ἀρχή) იყო ფიზიკალური კატეგორიის, ხოლო ელევატების მოძღვრების „არსება იყო მეტაფიზიკური კატეგორიის. საიდან ვიცით ეს? სხვა რომ არ იყოს რა, უკვე არისტოტელის ვადმოცემიდან. არისტოტელი ამბობს, რომ იონიელ ფიზიკოლოგების პრინციპი იყო ἀρχή κατὰ τὴν ἐστὴν, ხოლო უუდიდესი ელევატის (პარმენიდეს) პრინციპი იყო ἀρχὴ κατὰ τὴν ἐστί, რას ნიშნავს მერე ეს? იმას ნიშნავს, რომ მიღებულთა „არსება“, მოცემული მათ „საწყისში“, იყო კონკრეტული ნივთიერება (ἐστὴν) და ამიტომ ის მხოლოდ ფიზიკურ-მიზეზი იყო საგნებისა, ისე როგორც ქჷნი და ცილი არიან მიზეზი ადამიანისა. როგორც ადამიანს არ შეუძლია ფიზიკურად ან ნივთიერად არსებობა, თუ ის ქჷნით და ცილით არ საზრდოობს, ისე საგნებსაც არ შეუძლიათ არსებობა, რომ არ ყოფილიყო ის ძირითადი ნივთიერება, რომელსაც თვით იონიელები ფასავს: (ბუნებას) უწოდებდენ და რომელიც აჩენდა ან „ბადებდა“ (γεννᾷ) ამ საგნებს. სულ სხვა იყო ის „არსება“, რომელიც ელევატებმა აღმოაჩინეს: ის კონკრეტული ნივთიერება (ἐστὴν) კი არ იყო, არამედ იყო ცნება (ἐστὴν, ἔστιν), რომელიც ფიზიკური (მატერიალური) მიზეზი როდია საგნებისა (ისე როგორც ქჷნი და ცილია ვინმე პეტრეს მიზეზი), არამედ მათი ლოგიკური საბუთია (იდეალური მიზეზია), ისე როგორც, მაგალითად, ადამიანობა ლოგიკური საბუთია პეტრესი. პეტრე იმ საბუთით არის ნამდვილი ადამი-

*) ე. ი. არ ეწინააღმდეგებოდა, არ განსხვავდებოდა.

მიანი, რომ მასში არის ადამიანობის ნიშნები (და არა იმ საბუთით, რომ ის ქონასა და ცილის შემცველ ნივთიერებით იკვებება). სწორედ ამგვარად მასზე ბიცი იმდენად არიან ნამდვილი, რამდენადაც მათში არის არსების ნიშნები. აქ მისი, როგორც ვხედავთ, მილეტური ფიზიკის „არსება“, რომელსაც რეცენზენტი გულისხმობს „საწყისის“ ჭეშ, არ ყოფილა ელვატური მეტაფიზიკის არსება: თუ პირველი იყო მხოლოდ ნივთიერება (მსგ), რომლისაგან ჩნდებოდა ან იზადებოდა საგნები, მეორე იყო ცნება, (მსგ), რომლის ლოგიკური პირობის ქვეშ საგნებს (= წარმოდგენებს) ჰქონდათ თავისი ნიშნები. ამიტომ, მე ვფიქრობ, დიდ შეუსაბამობად უნდა ჩაითვალოს რეცენზენტის ვანცხადება, რომ მილეტელები-სათვის „საგნების არსებასაც ის შეადგენდა, რაც მათი წარმოშობის ძირი იყო“, თუ ამ არსებას ჩვენ ელვატების არსების (ძნა) მსგავსად წარმოვიდგენთ. თაღისისათვის, მაგალითად, წყალი იყო საგნების წარმოშობი ძირი. მაგრამ განა მისთვის ყველაფერი წყლის ნიშნების ქვეშ არსებობდა? რა თქმა უნდა, ასეთი უცნაური აზრი თაღესს არ მიეწერება, რადგან ამ შემთხვევაში მას ცეცხლიც წყალსავით სველ ნივთიერებად უნდა გამოეცხადებია! თაღესი იმას კი არ ასწავლიდა, რომ წყალი არის უცვლელი ლოგიკური არსება საგნებისა, არამედ იმას, რომ წყალი არის განუსაზღვრელად ცვალებადი ნივთიერება, რომელიც ფიზიკურად აქვს საგნებს. და რამდენიც არ უნდა ეტრიალებიათ თაღესის წყალი და საზოგადოდ მილეტელთა „საწყისი“, მათგან ახალიზის საშუალებით ელვატური „არსება“ ვერ განჩნდებოდა, როგორც ეს რეცენზენტს უმართებულოდ წარმოუდგენია. აქ საჭირო იყო ახალი თვალსაზრისის შემოტანა და ფილოსოფიური ძიების სრულიად ახალს წრეში გადატანა.

სწორედ ეს საქმე გააკეთა ქსენოფანემ, რომელმაც ფილოსოფია გამოიტაცა პილოძონიტების ემპირიულ-ფიზიკალური ძიების მოჯადოვებულ წრიდან, მისცა მას ზეგრძნობიერი დასაყრდენი და ამით ხელი შეუწყო (არა-პირდაპირ) ფიზიკალურ კვლევის განაყოფიერებას, რაზედაც საკმაო სიცხადით მოწმობს უმცროს ფიზიკოსთა თაობა. ამას ვაიგებს მხოლოდ ის, ვისაც კარგათ ესმის განსხვავება ფიზიკისა და მეტაფიზიკის შორის, რადგან საფუძვლიანად შეუსწავლია მეტაფიზიკის ხასიათი მის განვითარებულ ფორმებში. ვისაც კი ვერ შეუთვისებია კარგად, რა არის ფიზიკა და რა არის მეტაფიზიკა, ის ვერც იმას შეამჩნევს, თუ რაში მდგომარეობს ელვატური მეტაფიზიკის პრიციპიული თავისებურობა, რადგან აქ პირველად ჩნდება მეტაფიზიკა, და როგორც ახალს წამოწყებას, მას მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ უკვე გამოთქმის ტენიკური რესურსების სახით. მაგრამ საქმის მცოდნე მით უფრო მეტის უტრადღებით მოეპყრობა ამ ახალს წამოწყებას და შეეცდება უმართებულა მიმსგავსებით არ დაჩრდილოს მისი ბუნება. ამით ის ანაქრონიზმს კი არ ჩაიდენს (როგორც ეს რეცენზენტს წარმოუგენია), არამედ შეასრულებს მკვლევარის მოვალეობას *).

* ჩემს წიგნში მე მილეტის ფიზიკოსებს, რომელთაც მეტაფიზიკური თეორია არ ჰქონდათ, შეუგნებელი მეტაფიზიკა მივაწერე. რეცენზენტმა აქ წინააღმდეგობა აღმოაჩინა: თუ მილეტებს ჰქონდათ შეუგნებელი მეტაფიზიკა, მათ ავად თუ კარგად ერთგვარი მეტაფიზიკონები იქნებოდათ*.



ზევით ჩვენ გავეცანით ყველა იმ მოსაზრებებს, რომელთა საშუალებით რეცენზენტი ფიქრობდა გაებათილებია ერთი დასკვნა ჩემი *გაყოფილებისა*, რომ ქსენოფანემ ახალი ნაკადი შემოიტანა ფილოსოფიაში: იმის *საგანისა* კრიტიკულად გაერჩია ჩემი საბუთები და ამ დასკვნის სასარგებლოდ, რეცენზენტმა დოგმატიკრიად დაუპირდაპირა უკანასკნელს წინააღმდეგი დებულება, რომლის დამტკიცება მან ვერ შესძლო.

განვიხილოთ დანარჩენი ადგილები რეცენზიისა, რომელთაც მეტი კრიტიკული ნიშანი ეტყობათ. ჩემს წიგნში, სხვათაშორის, მტკიცდება, რომ: ა. ქსენოფანეს მოძღვრება შეიქმნა ქსენოფანეს ზნეობრივი შეგნების ნიადაგზე; ბ. ის არ იყო პანთეიზმი; ც. ღმერთის ნიშნები ქსენოფანეს მოძღვრებაში ზნეობის ნიშნების უარყოფას წარმოადგენენ; დ. ქსენოფანეს ფილოსოფიაში მოცემულია გნოსოლოგიის ჩანასახი; ე. ქსენოფანეს ფიზიკა არ გავს შილეტელთა ფიზიკას. რეცენზენტი უარყოფს ამ დებულებებსაც, მაგრამ საკმაო საბუთი ამისათვის ვერ მოყავს, როგორც ამას ეხლავე დავინახავთ:

ა. ისტორიკოსის გამოცანაა გაიგოს ფილოსოფიური თეორია, როგორც ისტორიული მოვლენა, ე. ი. მისწვდეს მის წარმოშობ მიზეზებს. ასეთი მიზეზია უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფოსის პიროვნება, რომელსაც (რათქმა უნდა) კავშირი აქვს მატერიალურ გარემოსთან, პიროვნების არსების მისი ზნეობრივი შეგნება შეადგენს. უმაღლესი მიზანიც ისტორიკოსისა არის აღმოჩენა იმ დამოკიდებულებებისა, რომელიც არსებობდა ფილოსოფიური მოძღვრების შინაარსსა და მისი

სწორს ის (175). მე ვფიქრობ, რეცენზენტმა გაუშვა მხედველობიდან, რომ „ერთგვარი მეტაფიზიკა“ ჩვენს დღერასაბ თათკარმესაც კი ჰქონდა, მაგრამ მეტაფიზიკურ თეორიას დღერასაბ თეთთან რეცენზენტიც არ მიაწერს; მოლიერის გმირიც ხომ ღაპარაკობდა პროზით, მაგრამ პროზის თეორიის მას არაფერი არ გაეგებოდა, ელვატებმა რეულესისის საგნად აქციეს შილეტელთა შეგნებელი მეტაფიზიკა და ამით პრინციპულად გაეპაუჩნენ მათ, ისე როგორც გამიჯნულია გრამატიკის მცოაუნ იმასაგან, ვისაც გრამატიკის სკოლა არ გაუფლია და მხოლოდ შეგნებლად ვერდნობა ენის კანონებს. განსწავლება მილეტელების შეგნებელ მეტაფიზიკასა და ელვატების შეგნებულ მეტაფიზიკას შორის პრინციპული ხასიათია არის. მილეტელები მოქცეული არიან უფვე ჰესითიდეს მიერ გარკვეულად გამოთქმული დებულების ორბიტაში: *ἕως αὐτῶν παρὰ τοῦτα ἕως ἐν εὐρα* („თავდაპირველად იყო ქაოსი“). ისინი გველენიან კაცობრიობის წარმართულს ნაწილს, რომელსაც საგნები ქაოსიდან ან უწესრიგო ნითიერებისაგან გამოაყვან და რომლისათვის გრძნობისებური და გარჯნული ნითაფრება იყო გონებრივი ან ახრიანის *priusquam*, რაც შეგნება ელვატებს, ისინი წინამორბედნი არიან იმ მთოფლმხედველობისა, რომლის პრინციპია: *ἕν ἀρχῆ ἦν ἅπαντα* („პირველად იყო სიტყვა“), მილეტელები არ ამაღლებულან იმის შეგნებამდის, რომ გრძნობით საწვდომი და ნითიეროვნად *ἕν ἀρχῆ, mundus sensibilis*) პირობითია, რომ მას თავიც აქვს და ბოლცა. ამიტომ ისინი არც კი აყენებდენ საკითხს მის პირობების შესახებ, და ამრიგად გამოდიოდა, რომ პირობითი და წარმავალი ნითიერი მიფლენა მილეტელთათვის აბსოლუტური და დაუსაბამი სინამდვილე იყო დაქტურად თუმცა გარკვეული და ნათელი წარმოდგენა აბსოლუტურ ნით არ გააჩნდათ. ელვატები პირველად მისწვდენ აბსოლუტის იდეას, რაზედაც მოწმობს მათ მიერ შემოღებული ტერმინი *ἕν ἄρτι καὶ πᾶν*, და შეიტყეს, რომ გრძნობისებური და ადამიანური არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, ვინაიდან მისი პირობაა გრძნობით საწვდომი ახრინებული (რე *ἕν ἄρτι mundus intelligibilis*) ან ღვთაებრივი.

შემქნელი მოაზროვნის ზნეობრივ შეგნების შორის. მე ვცადე ცხადმყოფად განმარტოებულად კიდებულება ქსენოფანეს ფილოსოფიურ მოძღვრებასა და მისი ზნეობრივების შორის, რეცენზენტი ფიქრობს, რომ ეს ცდა უნაყოფოდ დარჩა.

„საერთოდ ცნობილია“, სწერს ის: „რომ ქსენოფანეს არაერთიანი ზნეობრივი ფილოსოფია არ შეუმუშავებია. ეს ავტორმაც კარგად იცის. ის სრულიად გარკვეულად ამბობს: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქსენოფანეს ზნეობის ფილოსოფია ჰქონოდაო“. ამის მიუხედავად მას შესაძლებლად მიიჩნია განაცხადოს, რომ თუმცა ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი ფილოსოფიის საზღვარს ვერ აღწევენ, მათ მიიჩნევა „გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქსენოფანეს მსოფლმხედველობის შექმნის პროცესში“. ეს ორი განცხადება სრულიად არ უდგება ერთი მეორეს“ (179).

როგორც ამ ამონაწერადან ჩანს, რეცენზენტის აზრით, დებულება, რომ ქსენოფანეს ზნეობის ფილოსოფია არ ჰქონდა, არ უდგება ან ეწინააღმდეგება დებულებას, რომ ქსენოფანეს ზნეობრივმა შეხედულებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ მოაზროვნის მსოფლმხედველობის შექმნის პროცესში. თუ ქსენოფანეს ზნეობის ფილოსოფია არ ჰქონდა, მას ზნეობრივი შეხედულებანიც არ ექნებოდაო და ამიტომ ესენი გავლენასაც ვერ მოახდენდნენ ქსენოფანეს მსოფლმხედველობაზედო— ასე მსჯელობს, ცხადია, რეცენზენტი. ზოგადი დებულება კი, რომელზედაც ის აქ ეყრდნობა, შემდეგია: ვისაც ზნეობის ფილოსოფია არ აქვს, მას ზნეობრივი შეხედულებანიც არ აქვს; თუ კი ვისმე ზნეობრივი შეხედულებანი ჰქონებია, მას ზნეობის ფილოსოფიაც ჰქონებია. — მართალია მერე ეს უკანასკნელი დებულება, რომელსაც გულისხმობს რეცენზენტი? არ არის მართალი: ბევრს აქვს ზნეობრივი შეხედულებანი ან ის, რასაც ზნეობრივი შეგნება ეწოდება, მაგრამ იშვიათს თუ აქვს ზნეობის ფილოსოფია. აქვს თუ არა, მაგალითად, შილერის კარლ ბოთრს ზნეობრივი შეგნება? უმკველად აქვს. აქვს თუ არა მას ზნეობის ფილოსოფია? არ აქვს. მე ვფიქრობ, რეცენზენტი ვერ არჩევს ზნეობის ფილოსოფიას ზნეობრივი შეხედულებებისაგან ან ზნეობრივ შეგნებისაგან. ზნეობის ფილოსოფია არის თეორია ზნეობრივი შეგნებისა და არა თვით ზნეობრივი შეგნება. ქსენოფანეს მე მივაწერე არა ზნეობის ფილოსოფია, არამედ ზნეობრივი შეხედულებანი ან ზნეობრივი შეგნება (რომელსაც შეუძლია უმკველად გავლენა მოახდინოს მოაზროვნის მსოფლმხედველობაზე) და იქვე აღვნიშნე მკითხველის გასაფრთხილებლად, რომ „ქსენოფანეს ზნეობრივი შეხედულებანი ფილოსოფიის საზღვარს ვერ აღწევენ“, ე. ი. ისინი ფილოსოფიის გარეშე რჩებიან ან მათ არ შეიძლება ფილოსოფიის სახელი ეწოდოს. საკვირველია, რომ ეს გაფრთხილება უქმად დაკარგულა და რეცენზენტს მაინც წინააღმდეგობა დაუნახავს იქ, სადაც წინააღმდეგობა არ არის.

b. მრავალი ფაქტით მე ვცადე დამემტკიცებია, რომ ქსენოფანეს ფილოსოფია არ არის პანთეისტური. ეს არის ჩემი გამოკვლევის ერთი დასკვნა, რომლითაც მე რადიკალურად გავემჯღნე თითქმის საყოველთაოდ ვაზიარებულს შეხედულებას ქსენოფანეზე. თუ მივიღებ მხედველობაში რეცენზენტის კრიტიკული მეთოდი, რომელსაც უფრო დოგმატიკური სახელი შეფერის, მოსალოდნელი უნდა



იყოს, რომ ის ჩემს დასკვნას აქაც უარყოფდა და ლიტერატურაში გამარჯვებულს შეხედულებას მიემხრობოდა. მართლაც, რიცენზენტი უფროსს კომისსა რომ ქსენოფანე არ იყო პანთეისტი, მაგრამ არავითარი საბუთი ქსენოფანეს პანთეისტობის სასარგებლოდ მას არ მოყავს და არც იმ საბუთებს არჩევს, რომელნიც მე ქსენოფანეს პანთეისტობის წინააღმდეგ წამოვაყენე. «ვერც ისტორიული განხილვის მხრივ—იყო თუ არა ქსენოფანე პანთეისტი— და ვერც ლოგიკური დედუქციით—შეეძლო თუ არა ქსენოფანეს პანთეისტი ყოფილიყო, ჩვენის აზრით, ავტორი მიზანს ვერ აღწევს», მოკლედ სკრის რეცენზენტი (184) და ამით ათავებს ამ მუხლის ვარჩევას, საკუთარი აზრის რწმენა კარგი საქმეა, მაგრამ რეცენზენტს მაინც მოეთხოვება საბუთები ამ აზრისათვის, როდესაც უკანასკნელი ეწინააღმდეგება იმას, რაც სარეცენზიო წიგნში მტკიცდება მრავალი არგუმენტით. მაგრამ, ეს ფორმალური ნაკლი ურადღების გარეშე რომ დაეტოვოთ, არსებითადაც რეცენზენტი აქ შემცდარია. რომ ქსენოფანეს მოძღვრება პანთეისტურია ყოფილიყო, როგორც ეს რეცენზენტს და მრავალ სხვას წარმოუდგენია, მაშინ იქ ღმერთი იმმანენტური მიზეზი იქნებოდა ქვეყნიერებისა: გავისხნოთ ტიპოური პანთეისტის სპინოზას დებულება „Deus est omnium rerum causa immans, non vero transiens“. ქსენოფანეს ღმერთი კი ტრანსცენდენტურია ქვეყნიერებისათვის: ის არის εχθρὸς ἢ ἀποψάσασα კი არა მხოლოდ (როგორც ამბობს ერთი მოწმე), არამედ εχθρὸς ἢ ἀρ φάσασα. განა შეეძლო პანთეისტი ყოფილიყო ისეთს კაცს, როგორიც იყო ქსენოფანე, რომელიც ასე მწვავედ განიცდიდა ცხოვრების დისთანონებს?

გ. ცნობილია, რომ ქსენოფანემ ერთი ღმერთის ცნება პოლითეისტური ღმერთების გაკრიტიკების საშუალებით აღმოაჩინა. ჩემს გამოკვლევაში მე გავაფართოვე ეს წარმოდგენა ქსენოფანეზე და ვცადე უფრო ღრმა თეალსაზრისი დამემყარებია მასზე და დამემტკიცებია, რომ ერთი ღმერთის ცნება ქსენოფანემ ბუნების (და არა მხოლოდ პოლითეისტური ღმერთების) გაკრიტიკების საშუალებით მიიღო. სწორედ ამიტომ ქსენოფანეს მოძღვრებაც ბუნების შესახებ არის, ჩემი გამოკვლევით, არა ფიზიკალური თეორია, რომლის უმაღლესი—მიზანია ახსნას ბუნება, ე. ი. აღმოაჩინოს ბუნებრივ მოვლენათა მიზეზი, არამედ ის არის ბუნების კრიტიკა, რომლის უმაღლესი მიზანია ცხადჰყოს ბუნებრივ მოვლენათა ღირებულება: ბუნება, რომელსაც თაყვანსა სცემდა წარმართი კაცობრიობა, არ არის ქსენოფანეს შეხედულებით თაყვანისცემის ღირსი, რ ნამდვილ ღმერთსაც არ შეიძლება ბუნების ნიშნები ჰქონდეს. ღმერთი არ გავხ ბუნებას ან ღმერთის ნიშნები ეწინააღმდეგებია ბუნების ნიშნებს—ასეთია ჩემი გამოკვლევის დასკვნა.

რიცენზენტმა უარჰყო ეს დასკვნა. მისი აზრით, მე ამ მუხლში ჩამიდგენია „ძირითადი შეცდომა“, რომელიც თურმე, როგორც ამას ცოტა ქვევით ვტყობილობთ, „მთელი თხზულების დაუმტკიცებლობის ბედს სწყვეტს“ (184). „ძირითადი შეცდომა“, სწერს რეცენზენტი: „იმაშია, რომ არ-მზავსება წინააღმდეგობას არ ნიშნავს. თეთრი და წითელი ერთი მეორეს არ ჰგავს, მაგრამ განა ისინი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებები არიან: ისინი ერთი მეორის

მოპირდაპირე ცნებებიც კი არ არიან, როგორცაა თეთრი და შავი. ვინაიდან დაივიწყდა, რომ წინააღმდეგობაში ყოფნა მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებული ცნებების შეუქმნა და ლეთაების იდეაც უკვე ასეთი ცნება უნდა ყოფილიყო იმ თა- ვით, ე. ი. ის მხოლოდ ეხლახან კი არ უნდა ყოფილიყო უარყოფის საშუალე- ბით მისაღები. მაგრამ მაშინ ავტორის მთელი კონსტრუქცია ირღვევა* (180).

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, რეცენზენტი ჩემი გამოკვლევის „ძირითადს შეცდომას“ იმაში ხედავს, რომ მე იმ გარემოებას, რომ ღმერთი არ გავს ბუ- ნებას, ვუწოდებ წინააღმდეგობა მათ შორის. კიდევ რომ ყოფილიყო აქ ჩემ მიერ შეცდომა დაშვებული, ის იქნებოდა არა ძირითადი შეცდომა, არამედ შეცდომა მხოლოდ სიტყვა-ხმარებაში. რეცენზენტმა გაუშვა მხედველობიდან, რომ სიტყვა-ხმარების შეცდომას არ ეწოდება ფილოსოფიაში ძირითადი შეცდო- მა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საკითხი ეხება გარჩევას ლოგიკურ წინააღმდეგობასა ლოგიკურ მოპირდაპირობის შორის, ვინაიდან ეს გარჩევა ხაკმაოდ დასაბუთებული და უველას მიერ ერთნაირად ცნობილი არ არის. მაგრამ ვცადოთ მაინც არსებითად გავერკვეთ რეცენზენტის ნათქვამში.

რატომ ფიქრობს რეცენზენტი, რომ ჩემი კონსტრუქცია ირღვევა? რამ- დენადაც შეიძლება მისი სიტყვების გაგება, რეცენზენტი არ მეთანხმება იმაში, რომ ლეთაება და ქვეყნიერება ქენოფანეს მოაღვრებაში წინააღმდეგობითაა და- მოკიდებულებაში იმყოფებიან: არ მეთანხმება 1) უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ღმერთის და ბუნების არ-შგავსება არ ნიშნავს თურმე მათ წინააღმდე- გობას; 2) შემდეგ კი არ მეთანხმება იმიტომ, რომ ღმერთს არ შეეძლო თურმე წინააღმდეგობითს დამოკიდებულებაში ყოფნა ბუნებასთან (რომელიც ქენოფა- ნეს გამოსავალი წერტილი იყო), რადგან: ა. ჯერ ერთი, ეს ცნება ღმერთისა მხოლოდ მისაღები იყო; ბ. მეორედ კი თურმე „განსხვავებული შეიძლება იყოს მხოლოდ რაობა და რაობა“. — არც ერთი მოსაზრება რეცენზენტისა არ არის სწორი.

1 არ-შგავსება რომ წინააღმდეგობას არ ნიშნავს, ამას რეცენზენტი არ ამტკიცებს და ვერც დაამტკიცებს. ცნებათა ურთიერთი წინააღმდეგობა არის ამ ცნების ნიშანთა დამოკიდებულება. ნიშანი კი არის ის, რაშიდაც ერო- თი ემსგავსება ან არ ემსგავსება მეორეს: მშგავსება — განსხვავებაა ნიშნების სა- ფუძველი. ამიტომ ცნებათა წინააღმდეგობა არის მათ ნიშანთა არ-შგავსება ან განსხვავება, რაც შეეხება ცნებათა მოპირდაპირობას, ის არის ხახე ცნება- თა წინააღმდეგობა: მოპირდაპირეთა წრე (non—A + B) მოწინააღმდეგეოა (non—A) ჯგულის ნაწილია თავისი მოცულობით. თეთრი და წითელი (რეცენ- ზენტის მაგალითს რომ მივმართოთ) არ ემსგავსებიან ერთი მეორეს და სწო- რედ ამდენად, როგორც არა-მშგავსი ცნებანი, ისინი ლოგიკურად კიდევ ეწი- ნააღმდეგებიან ერთმანეთს, ვინაიდან წითელი, რამდენადაც ის თეთრს არ ემ- შგავსება, არ არის თეთრი, წითელი თეთრის უარყოფაა ან წითელი არის არა- თეთრი; თეთრი და არა-თეთრი კი წინააღმდეგობითს დამოკიდებულებაში იმ- ყოფებიან ან მოწინააღმდეგე ცნებები არიან. ¹⁾

¹⁾ თეთრი და წითელი, რეცენზენტის განცხადებით, არც მოწინააღმდეგე ცნებები არიან



2 ა. რეცენზენტი მართალია, თუ ის ფიქრობს, რომ ლოგიკური წინააღმდეგობა შეიძლება გაცნობიერებულად არსებობდეს მხოლოდ „მსხვერპლ“ ან გაცნობიერებულ ცნებათა შორის. მაგრამ ნიშნავს განა ეს ტერმინები დადებულია აუცილებლად იმას, რომ ღმერთის ცნებას არ შეეძლო ქსენოფანეს მოძღვრებაში წინააღმდეგობით და მოკიდებულებაში ყოფნა ბუნებასთან? სრულიად არ ნიშნავს. თვით ცნება ბუნებისა ქსენოფანესათვის საბოლოოდ ღმერთთან დაპირისპირების გზით გამოირკვა ყველა თავის ნიშნებში. თავდაპირველად კი ქსენოფანესათვის ცხადი შეიქმნა, მხოლოდ შემდეგი: პოლითეისტური ღმერთები, რომელთა კულტი გავრცელებული იყო გარშემო, და თვით ის ბუნებაც, რომლის პერსონიფიკაციას ეს ღმერთები წარმოადგენდნენ, არაფერს ღირსეულს არ შეიცავენ. მაშ, ის, რაც ღირსებით არის სავსე, არ უნდა გავდეს არც პოლითეისტურს ღმერთებს და არც ბუნებას¹⁾. რა უნდა ეწოდოს ამ ღირსებით სავსეს? ლეათება (შეძახვა). როგორი უნდა იყოს მისი ნიშნები? ბუნების ნიშნების საწინააღმდეგო. რა არის აზრთა ვითარების ამ სურათში გაუგებარი? გაუგებარი აქ არაფერია, თუ რეცენზენტის მსგავსად არ მოვიტყვევით. რეცენზენტის ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ ის ვერ არჩევს ცნებათა წინააღმდეგობის გაცნობიერებულად არსებობას ცნებათა წინააღმდეგობის თავის თავად არსებობისაგან. თუმცა დებულება, რომ ლოგიკური წინააღმდეგობა შეიძლება გაცნობიერებულად არსებობდეს მხოლოდ „მიღებულ“ ცნებათა შორის, სწორია, მაგრამ სრულიადაც არ არის სწორი, როდესაც რეცენზენტი ფიქრობს, თითქო წინააღმდეგობაში ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ „უკვე ჩამოყალიბებულ“ ცნებებს, რომელთა ყველა ნიშნები საბოლოოდ ცხადყოფილია ან, რეცენზენტის ტერმინით, „მიღებულია“, რომ რეცენზენტი ამ უკანასკნელ შემთხვევაში მართალია ყოფილიყო, მაშინ წინააღმდეგობითი დამოკიდებულების შეგნება არასოდეს არ შეიძლებოდა ჯერ კიდევ გამოურკვეველ ცნებათა გამოსარკვევი საშუალება გამხდარიყო. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს არ არის ასე? ვინ არი ცის, რომ შეგნება ცნებათა წინააღმდეგობისა არის ძლიერი იარაღი ამ ცნებათა მთელი შინაარსის გამოსარკვევად ან „ჩამოსაყალიბებლად“? როგორ მივიდა, მაგალითად, ლეიბნიცი თავის მეტაფიზიკურ თეორიამდის? როგორც თვითონ ლეიბნიცის სიტყვებიდან ჩანს, ის მიხვდა, რომ სწორი ფილოსოფია უნდა იყოს მექანიკური მსოფლმხედველობის ცალმხრივობის უარყოფა, ე. ი. მისი საწინააღმდეგო და, ამ წინააღმდეგობის შეგნება იქცა ლეიბნიცისათვის საშუალებად მონადოლოგიის შესაქმნელად, როგორ მოახდინა კანტმა თავისი კაპერნიკანული გადატრიალება? როგორც თვითონ კანტის სიტყვებიდან ჩანს, მან შეიგნო იუმის ზეგავლენით, რომ სწორი ფილოსოფიური თეორია უნდა იყოს დოგმატიზმის უარყოფა, ე. ი.

¹⁾ როგორც ვხედავთ, შედარების საფუძველი იყო აქ ღირებულება, რომელიც შეფასების აქტს გულისხმობს.



მისი საწინააღმდეგო, და ამ შეგნების საშუალებით ააგო კრიტიკისტული მსჯელობა (თუ კრიტიციზმს საზოგადოდ შეიძლება „მსოფლმხედველობის“ დოს). ასე იყო მრავალს სხვა შემთხვევაში არა მხოლოდ ფილოსოფიის, არა-როვნების, არამედ მეცნიერებისა და საზოგადოდ ყოველი იდეოლოგიის ვითარების ფართო ასპარეზზე: ყოველგან წინააღმდეგობა იყო მამოძრავებელი ძალა პროგრესისა. და ეს გარემოება, რომ წინააღმდეგობის შეგნება განვითარების მამოძრავებელ ძალად იქცევა, იმ ზომამდე გავრცელებული რამ არის, რომ ჰეგელმა ის ფილოსოფიურ პრინციპამდის ააპაღლა და ყოველი ვითარების საფუძვლად გახდა: „der Widerspruch ist das Fortleitende“. რიცენზენტს თითქო დავიწყებია ყველაფერი ეს, როდესაც ის სწერს, რომ ქსენოფანეს მოძღვრებაში ღმერთის ცნებას არ შეეძლო წინააღმდეგობით დამოკიდებულებაში ყოფნა ბუნების ცნებასთან, რაკი ის იყო მხოლოდ მისაღები და არა უკვე „ჩამოყალიბებული“ ცნებაო.

2 ბ. შეგებოთ კიდევ ერთს მოსაზრებას, რომელიც მოყავს რეცენზენტს იმის დასამტკიცებლად, რომ ქსენოფანეს მოძღვრებაში ღმერთს არ შეეძლო წინააღმდეგობით დამოკიდებულებაში ყოფილიყო ბუნებასთან, რეცენზენტი სწერს: „განსხვავებული შეიძლება იყოს „რაობა“ და „რაობა“ და არა „არარაობა“ და „არარაობა“ (184). რას ნიშნავს ეს ადგილი? მე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, ვინაიდან ჩემს წიგნში მტკიცდება, რომ ღმერთი იყო ქსენოფანესათვის ერთად-ერთი რეალობა, ხოლო ბუნება იყო არარაობა. მაშასადამე, ქსენოფანესათვის განსხვავებაც ღმერთისა და ბუნების შორის იყო, ჩემის აზრით, განსხვავება რეალობასა და არარაობის შორის, და არა არარაობისა და არარაობას შორის“, როგორც ამას რეცენზენტი უმართებულად მომაწერს. — მაგრამ დავუშვათ, რომ აქ კორექტურული შეცდომაა და რეცენზენტს უნდოდა ეთქვა, რომ ქსენოფანეს არ შეეძლო ეფიქრებია, რომ იორეალური ბუნება (ე. ი. არარაობა) განსხვავდება რეალური ღმერთისაგან (ე. ი. რაობისაგან), რადგან „განსხვავებული შეიძლება იყოს მხოლოდ რაობა და რაობა“.

გავარჩიოთ ეს უქანასკნელი დებულება რეცენზენტისა, რომ განსხვავებული შეიძლება იყოს მხოლოდ რაობა და რაობა (ე. ი. რეალობა და რეალობა). რეცენზენტი არაფრით არ ამტკიცებს ამ ორიგინალურს დებულებას და, კიდევაც რომ მოენდომებია, ის მას ვერ დაამტკიცებდა, ვინაიდან ეს დებულება ყალბია. განსხვავება არის ლოგიკური ფუნქცია, რომელიც შესადაარებელთა რეალობისაგან სრულიადაც არ არის დამოკიდებული. „ოქროს მთა“, ხომ იორეალობაა, რამდენადაც ასეთი მთა დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. მაგრამ მსჯელობა „მთაწმინდა არ არის ოქროს მთა“ მაინც ამყარებს განსხვავებას ამ იორეალურს „ოქროს მთასა“ და რეალურ მთაწმინდის შორის. რეცენზენტის ლოგიკას რომ გავყოლოდით, შეუძლებელი იქნებოდა გვეთქვა, რომ მთაწმინდა არ არის ოქროს მთა. ცხადია, რომ ეს ლოგიკა თავისებური რაღაც ყოფილა, და არაერთარი კონსტრუქციის დამრღვევი ულოგიკობა არ უნდა იყოს იმ მოსაზრებაში, რომ ქსენოფანეს შეეძლო ეთქვა: „რეალობით საცეც ღმერთს არ გავს რეალობისაგან დაკლებულს ქვეყნიერებას“.



დ. ჩემი წიგნის ერთი თავი (183—200 გვ.) მე მოვეწოდებოდი უმეცნეობაზე ქსენოფანეს შეხედულებათა გამოკვლევის და ვცადე დამეწინააღმდეგებინა რომ კოლოფონელის მოძღვრებაში მოცემულია გნოსეოლოგიის ჩანასახი. ამით მე შევასწორე ჩვეულებრივი შეხედულება ქსენოფანეზე. რეცენზენტი, აქაც უნდა შევკამითებოდა. ის სწერს: „ავტორის ცდა ქსენოფანეს გნოსეოლოგიის შესახებ რაიმე აზრის დამყარებისა, ვერაფერს ვერ ამტკიცებს“ (179). ეს გადაწყვეტილად ვაკეთებული განცხადებაა, მაგრამ რეცენზენტი ერთი პუქარიტაც არ ცდილობს დაასაბუთოს თავისი განცხადება. რეცენზენტს მხოლოდ მაშინ ჰქონდა უფლება ეთქვა, რომ ჩემი ცდა ქსენოფანეს გნოსეოლოგიურ შეხედულებათა აღდგენისა ვერაფერს ვერ ამტკიცებს, თუ ის გააჩრგვდა ამ ცდას და გააბათილებდა ჩემ მიერ მოყვანილ ფაქტებს და მოსაზრებებს ან მოიყვანდა საკუთარ საფუძვლებს მაინც იმის სასარგებლოდ, რომ ქსენოფანეს გნოსეოლოგიის ჩანასახი არ მიეწერება. არაფერი ამის მსგავსი რეცენზენტს არ გაუფეთებია. ამიტომ ზემოყვანილი მისი განცხადება მეცნიერულ მსჯელობას არ გაეს, რადგან მეცნიერული მსჯელობა ეწოდება მხოლოდ დასაბუთებულ მსჯელობას.

ე. ჩემს გამოკვლევაში მტკიცდება, რომ ქსენოფანეს მოძღვრება ბუნებაზე არ იყო, როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოდგენილი, უბრალო ახსნა ბუნებრივ მოვლენებისა (იონიელთა ფიზიკის მსგავსად), არამედ ის იყო ამ მოვლენების კრიტიკა. ამიტომ თავისი დებულებით, რომ ყველაფერი მიწაა, ქსენოფანეს ის მხოლოდ კი არ სურდა ეთქვა, რომ ყველაფერი მიწისაგან წმდება, არამედ მისი უმაღლესი მიზანი ამ შემთხვევაში იყო აღენიშნა, რომ ბუნება არ არის თავყვანისცემის ღირსი, ისე როგორც არ არიან თავყვანისცემის ღირსი მტვერი და ტალახი. ამ აზრის **გასათვალსაჩინებლად** მე მოვიყვანე ნიცშეს აფორიზმი: „ადამიანი ტალახის ღვარია“.

რეცენზენტი, რომელიც აქაც ჩვეულებრივ შეხედულებებისაკენ იხრება, არ ეთანხმება ჩემს დასკვნას, მაგრამ გაუგებრობის მსხვერპლი ხდება: მისი აზრით ნიცშეს მაგალითი **არაფერს არ ამტკიცებს** ქსენოფანეს შესახებ. რეცენზენტი ვერ ხედავს, რომ ნიცშე ნახსენებია ჩემს წიგნში მხოლოდ, როგორც გამათვალსაჩინებელი მაგალითი, და არა როგორც ჩემი ინტერპრეტაციის დამამტკიცებელი საბუთი: **მას ილღუსტრაცია დემონსტრაციისაგან ვერ გაუჩნდვია**¹.

109 გვერდზე მე ვსწერ: „ქსენოფანეს მიწა მხოლოდ ნივთიერება კი არ არის, არამედ ამავე დროს ის **ცნებაა**, ე. ი. ნივთიერებაზე მეტი. ამიტომ ეს მიწა გაგებულ უნდა იქნეს ფიზიკალური მნიშვნელობით მართო კი არა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ეთიკური მნიშვნელობით“. რეცენზენტს მოყვას ეს ადგილი ჩემი წიგნიდან და ის შენდევს შენიშვნას უკეთებს მას: „აქ, ერთი მეორეზე გაუგებარია ლოგიკური გარდასვლები: ე. ი. ნივთიერებაზე მეტი და „ამიტომ““.

¹) აი მოვლი ადგილი: „αὐτὸς γὰρ γὰρ τὸ εἶναι καὶ τὸ ἔχειν ἕνα ἔστιν ἄλλο“. ამბობს ქსენოფანე დაასლოვებით იმავე აზრით, რომლითაც, მაგალითად, პესნიმოსტურად განწყობილს ზარათუშტრას ნიცშე ათქმევინებს: „ღიას, ადამიანი ტალახის ღვარია“.— ყველასათვის ცხადო უნდა იყოს, რომ ნიცშეს მაგალითი აქ მოყვანილია არა დასამტკიცებელ საბუთად, როგორც რეცენზენტს ზოგნია, არამედ გამათვალსაჩინებელ ილღუსტრაციადა.

ორჯერ ხაზგასმული კავშირი, არ კავშირობს, თუ იგი უაზრობაა“ (183). თუ ზემოყვანილს ჩემს წინადადებებში უაზრობაა,—ეს მხოლოდ რეცენზენტისათვის. საქმის მკოდნემ კი იცის, რომ თალესისათვის წყალი იყო მარტო „ნიკიტრონი“¹ და ამატომ, როდესაც თალესი ამბობდა, რომ ყველაფერი წყალისაგან წმდება, ის მხოლოდ ხსნიდა მოვლენებს, ე. ი. ასახელებდა მათ მიზეზს. ამისგან განსხვავებით, როდესაც ქსენოფანე ამბობდა, რომ ყველაფერი მიწაა, ის აფასებდა მოვლენებს და აღნიშნავდა, რომ არაფერი, რასაც კი ვხედავთ, არ არის თაყვანისცემის ღირსი, სწორედ ამიტომ მიწაც ქსენოფანეს შიშველებში იყო არა მხოლოდ ნივთიერება (მიზეზი მოვლენებისა), არამედ ის იყო ნივთიერებაზე მეტი რაღაც: სახელდობრ, მოვლენათა შესაფასებელი ცნება. რომ ქსენოფანეს შეეძლო ფიზიკალური ტერმინი „მიწა“, რომელიც უშუალოდ კონკრეტულ ნივთიერებას აღნიშნავს, ეხმარა ასეთი არა-ფიზიკალური, აბსტრაქტული მნიშვნელობით, ეს იცის ყველამ, ვინც იცნობს ანტიკურ ფილოსოფოსებს. მაგრამ მხოლოდ ანტიკური ფილოსოფოსები კი არა, სხვებიც არა-იწვეითად სარგებლობენ ამ ხერხით, და არც კი შეიძლება სხვანიარად რომ იყოს, ვინაიდან ასეთია აზროვნების ბუნება: ჩვენ ყოველთვის ეცდილობთ განყენებული ცნება კონკრეტულ წარმოდგენას მივაბათ და უკანასკნელი პირველის ნიშნად გამოვიყენოთ. მეც ამის გასამაგალითებლად მოვიყვანე ნიცშეს აფორიზმი: „ღიამ, ადამიანი ტალახის ღვირია“. მხოლოდ განუვითარებელი მკითხველი იფიქრებს, რომ ამ აფორიზმით ნიცშეს ის უნდოდა ეთქვა, რომ ადამიანი ნერვებისა და კუნთების ნაცვლად ტალახისაგან შედგება, და არა ის, რომ ადამიანი ბინძურია ტალახისაგან. ამის დაგვირად, მხოლოდ ის, ვინც ზერულედ იცნობს ქსენოფანეს, იტყვის, რომ ქსენოფანესათვის „მიწა“ იყო მხოლოდ ნივთიერება და არა ცნება მოვლენათა შესაფასებლად. თუ ასეა, მაშინ არავითარი „უაზრობა“ არ ყოფილა ჩემ მიერ ჩადენილი, როდესაც მე დავწერე, რომ ქსენოფანეს მიწა იყო ნივთიერებაზე მეტი და ამიტომ ის იყო ცნება. „ორჯერ ხაზგასმული კავშირი“ აქ, წინააღმდეგ რეცენზენტის განცხადებისა, ძალიან კარგად კავშირობს, თუ საქმეს დავაჯივრდებით.

ქ. ჩემს გამოკვლევაში მე შევამჩნიე, რომ ქსენოფანეს ნაწვევებში არ გვხვდება სიტყვა, რომელიც სწორათ შეეფერება ჩვენებურს სიტყვებს „სამყარო და ქვეყნიერება“. ქვეყნიერების აღსანიშნავად ქსენოფანე ხმარობს სიტყვებს *παῦσα* ან *παῦσα*, რაც უდრის გართულს „ყველანი“ და მრავლობის მარცხენაგვითა. ეს ფაქტი დამატებითი საბუთი იყო იმის დასამტკიცებლად, რომ ის, რასაც ჩვენ სამყაროს ან ქვეყნიერებას ვუძახით, ქსენოფანეს წარმოუდგენია, როგორც უამი მრავალსაგანთა, რომელნიც ორგანულ მთლიანობად შეკრულნი არ არიან: გრძობათა საშუალებით შესაქნობი ქვეყანა, ქსენოფანეს აზრით არის მრავლობა, მოკლებული შინაგანს კავშირს,— ასეთია ჩემი დასკვნა.

რეცენზენტი ეყამათება ამ დასკვნებს. „უნდა ხაზგასმით აღინიშნოს“, სწერს ის: რომ არც ერთი ფრაგმენტი არ ამტკიცებს აეტორის აზრს. ასე რომ ფრაგმენტების შემდეგ მოყოლებული: „აქედან ცხადია“ და სხვა, სრულს გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. 34 ფრაგმენტი არამთუ არაფერს არ ამტკიცებს,



არამედ ნახმარია, როგორც გრამმატიკული ელემენტი¹⁾ მთელი ფრაგმენტის წაერთხევა ნათელჰყოფს იმ აზრს, რომელიც ციტატაში დამახინჯებულია²⁾ და ისე ისმის, როგორც ეს ავტორს უნდა (?). სხვა შემთხვევებში უნდა ხთარგმნებოდეს „ყოველი“ და არა „ყველანი“. ავტორი ამჯობინებს უკანასკნელს, რადგან ჰგონია, რომ ეს აღლიერებს მის თეზას — უკავშირო კრებადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა — რატომ არ მოიყვანა ავტორმა 29 ფრაგმენტი, რომელიც დაცული ჰქონდა იმავე სიმბლიკიოს, რომელსაც ის ძალიან ხშირად იმოწმებს სხვა შემთხვევებში: ყუ აქ: აბა აზა: აბა ბა აზა: აბა აზა: აბა აზა: აბა აზა: „მიწა და წყალი, ყოველი, რაც არსებობს და იზრდება“. ცხადია ეს ფრაგმენტი ავტორს არ გამოადგებოდა, რადგან ის მისი კონსტრუქციების წინააღმდეგ ლაპარაკობს“ (183 — 184).

ახე სწერს რეცენზენტი. თუ სისტემაში მოვიყვანეთ მისი ნათქვამი, გამოირკვევა, ვგონებ, შემდეგი: 1) დებულება, რომ ქვეყანა იყო ქსენოფანესათვის რეალურ მთლიანობას მოკლებული მრავლობა, არ მტკიცდება ქსენოფანეს ფრაგმენტებით; 2) ერთი ფრაგმენტი (29) კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩემს კონსტრუქციას; 3) ჩემს გამოკვლევაშიც სწორედ ამიტომ არ არის განზრახ ეს ფრაგმენტი მოყვანილი, რითაც დარღვეულია ისტორიკოსისათვის საჭირო ობიექტიურობა და მთელი კონსტრუქცია ნაშალადევიდ არის აშენებული.

უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ ვაქვს ერთად-ერთი ადგილი მთელს რეცენზიაში, რომელიც ფორმალურად სწორი კრიტიკაა, ვინაიდან რეცენზენტი ცდილობს ჩემი დებულება მისი საბუთების გარჩევით შეამოწმოს: ასე უნდა ის სხვა შემთხვევებშიც მოქცეულიყო. მაგრამ, თუ შემოყვანილი ადგილი რეცენზიისა ფორმალურად სწორია, არსებითად ის იმ ზომიზედ სუსტია, რომ ადგილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა, რომ რეცენზენტს მოენდომებია ჩემი გამოკვლევის ნამდვილი გარჩევა.

განვიხილოთ სათითაოდ რეცენზენტის მოსაზრებანი:

1. რეცენზენტი ამბობს, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ფრაგმენტები (34, 33, 27) არ ამტკიცებენ იმ დებულებას, თითქო ქვეყანა იყო ქსენოფანესათვის რეალურ მთლიანობას მოკლებული მრავლობა. თუ დამტკიცების ქვეშ ვიგულისხმეთ აქ სრული დასაბუთება, რეცენზენტი მართალია: ფრაგმენტები საბოლოოდ არ ამტკიცებენ ზემოყვანილ დებულებას. მაგრამ რეცენზენტი უმართებულოდ ფიქრობს, თითქო ფრაგმენტები ჩემს გამოკვლევაში მთელი საბუთი იყოს ამ დებულებისა: ეს მე მათგან არ მომითხოვია, ვინაიდან საზოგადოდ ასეთი რამ ფრაგმენტს იშვიათად თუ მოეთხოვება, რაც იცის ყველამ, ვისაც ისტორიული გამოკვლევის მეთოდოლოგია ესმის. ფრაგმენტები მხოლოდ ნაწილია საბუთისა და არა მთელი ან სრული საბუთი იმ დებულების სასარგებლოდ, რომ ქვეყნიერება ქსენოფანესათვის იყო რეალურ მთლიანობას მოკლებული მრავლობა. სრულიად კი ამ ფრაგმენტებს მართა ის უნდა დაემტკიცებიათ ჩემს გამოკვლევაში,

¹⁾ რას ნიშნავს „34 ფრაგმენტი... ნახმარია, როგორც გრამმატიკული ელემენტი?“ ეს ზომ უაზრობაა.

²⁾ რას ნიშნავს, რომ ქსენოფანეს ციტატაში დამახინჯებულია აზრი ესეც ზომ უაზრობაა.

რომ ის, რასაც ჩვენ ქვეყნიერებას ვეძახით, ქსენოფანეს აღნიშნული აქვს მრავლობითი ფორმის სიტყვებით: ამას ეს ფრაგმენტები, მართალიც, ~~სარწმუნოდ~~ ~~აქვს~~ ტყუილებენ.

2. რეცენზენტი სწერს, რომ 29 ფრაგმენტი უფრო ეწინააღმდეგება ჩემს კონსტრუქციას, ვიდრე ჩემ მიერ მოყვანილი სხვა ფრაგმენტები. ეს განცხადება შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ შემდეგს: თუ ჩემ მიერ მოყვანილ ფრაგმენტებში ქვეყნიერების აღსანიშნავად ხმარებულია მრავლობითი ფორმის სიტყვები, 29 ფრაგმენტში იმავე მიზნით ნახმარია არა მრავლობითი ფორმის სიტყვა. მართალია მერე ეს? არ არის მართალი. 29 ფრაგმენტი ამბობს: *γῆ καὶ ἄνω πατρῶν* *ἕως οὐρανόθεν* *ἔρχεται ἄνεμος*. სიტყვა *ἄνεμος*, როგორც ჩანს, რეცენზენტს ან ჰგონია მხოლობითის ან ორობითი რიცხვის ფორმაში **ძალიან საკვირველი კი არის ეს, უძველესად**: მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში მიუწევდომელია, როგორ შეეძლო რეცენზენტს წარმოედგინა, რომ 29 ფრაგმენტი ამბობს სხვას რასმე ჩემ მიერ მოყვანილ 33 ფრაგმენტთან შედარებით!. მაგრამ ის არც მხოლობითი რიცხვია და არც ორობითი, არამედ მრავლობითია: *ἄνεμοι* არის ლექსთა წყობის მიზნით შემოკლებული *ἄνεμοι*. სხვა პირობებში ასეთი განმარტების მიცემა ჩემი წიგნის რეცენზენტისათვის არ უნდა ყოფილიყო საჭირო.

3. იმის შემდეგ, რაც ითქვა ბოლოს, ცხადია, რომ რეცენზენტის არც ის აზრია მართალი, ვითომ მე 29 ფრაგმენტი იმიტომ არ მომიყვანოს განზრახ, რომ ის არღვევდა ჩემს კონსტრუქციას: ჩემს კონსტრუქციას 29 ფრაგმენტი სრულიად არ ეწინააღმდეგება.

ამით გავათავოთ: თქმვა კიდევ ბევრის თქმა შეიძლებადა პროფ. შ. ნუცუბიძის რეცენზიის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია იმის დასამტყიცებლად, რაც საჭირო იყო. რეცენზენტი აკრიტიკებს ჩემს გამოკვლევას, მაგრამ არ შედის საკმაო სიღრმით ამ გამოკვლევის შინაარსში. ის ებება ჩემი გამოკვლევის დასკვნებს და უკუაგდებს მათ. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს ხდება არა იმიტომ, რომ რეცენზენტმა წინასწარ დაარღვია ამ დასკვნების სასარგებლოდ ჩემ მიერ მოყვანილი საბუთები, არამედ იმიტომ, რომ ეს დასკვნები არ შეეფერებოდა რეცენზენტის შეხედულებებს ქსენოფანეზე—შეხედულებებს, რომლებსაც ის თვითონ არ ასაბუთებს და რომლებიც არსებითად არ განიჩივნიან სახელმძღვანელოებში გაერკვლეული შეხედულებებისაგან. რეცენზენტი აკრიტიკებს ჩემს გამოკვლევას სახელმძღვანელოების ნადავზე შემდეგადა. რომ ჩემი წიგნი არ იყო ვალდებული სახელმძღვანელოებს დასთანხმებოდა, ეს იმ თავითვე ნათელი იყო, ვინაიდან ის არის გამოკვლევა ან საკუთარი ძალებით ახალის ძიება. რეცენზენტს თითქო დავიწყებია ეს გარემოება, და რაც მას ჩემს გამოკვლევაში ნაკულევანებად მოჩვენებია, არის ნაკულევანება არა გამოკვლევისა, არამედ თვით რეცენზენტის თვალთახედვისა.

კაიზერლინგის უკანასკნელი სივრცე

ამ ერთი წლის წინად გამოვიდა კაიზერლინგის ახალი წიგნი^{*)}. როგორც უკვე სათაურიდან სჩანს მისი მიზანია, მკითხველს დაანახოს ის ქვეყანა, რომელიც დღეს გაჩენისა და ქცევადობის პროცესშია.

ამ წიგნში თვალსაჩინო გამოხმაურება დაიმსახურა ევროპაში; აკადემიზმის სიმკაცრით დაშინებულნი, პუბლიცისტიკითა და პოეტურ პათოსით გატაცებული ლიტერატორნი კაიზერლინგში ახალ მესიას ხედავენ; მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანელი მოქალაქე, ტევტონური აღრზაურით მოქანცული ნაციონალისტი თუ ნეოპატრიოტიზმის მესიტყვე გერმანელი „სოციალისტი“ ხშირად ერთიანდებიან იმაში, რომ კაიზერლინგი მათ ეუბნება ახალს და საინფორმაციოს.

ლიბერალურად მოაზროვნე და ყოველ დილას ეფექტების კურსის მკითხველ მოქალაქეს კაიზერლინგში მოსწონს ის ამბავი, რომ კაიზერლინგი წინააღმდეგია წმიდა გერმანული კარჩაკეტილობისა, გერმანელს მსოფლიო ასპარეზზე სამოქმედოთი მოუწოდებს და ამით შუალობით თუ უშუალოთ დარშშტატიდან ფრანგურტის ბირჟის განმტკიცებას და ეფექტების კურსის მალლა სვლას ემსახურება.

ნაციონალისტისათვის კაიზერლინგი მისაღებია იმიტომ, რომ კაიზერლინგის სიბრძნის თანახმად, რა წამს გერმანული სული თავის სიმტკიცეს და მძლავრებას ინგლისურ „ინტერნაციონალიზმს“ შეუთვისებს, იმ წამსვე ევროპაში იშობა ახალი ადამიანი, რომელიც იქნება მისი მხსნელი და ახლად მქნელი. ტევტონელს მთელს ამ სიბრძნეში აინტერესებს მხოლოდ ერთად ერთი ადგილი, სახელდობრ ის, რომ ეს ახალი კაცი უსათუოდ გერმანელი იქნება, სხვას ამის არც უფლება აქვს და არც უნარი.

ხოლო სოციალ-პატრიოტიზმის პსიხიკისათვის კაიზერლინგი ზედ-გამოჭრილი მოაზროვნეა. კაიზერლინგი ხომ ასწავლის, რომ ევროპის დღევანდელი მდგომარეობა

^{*)} გრაფ ჰერმან კაიზერლინგ: Die neuenstehende Welt—ქვეყანა, რომელიც ახლად ჩნდება.



როგოა უნდა შეიცვალოს, კაპიტალისტურმა ცივილიზაციამ ფერხად უნდა შეცვალოს. კაიხერლინგი ხომ იმისაც ასწავლის, რომ მთელი ეს ამბავი მოხდება ყოველივე რევოლუციების და მასიური ნგრევის გარეშე, წელა და მწყობრად ახალი გმირის და მესიის მეოხებით. აბა რა სჯობია ასეთს იდილიას, ქვეყანაც გამოიცილებოდა და არც არაფერი „დაიმტკრევა“!

ერთი სიტყვით, კაიხერლინგი დღევანდელ გერმანიაში ძალიან მისაღები კაცია. წინა მდებარე წიგნის მიზანია—ეს „ყველასათვის მისაღები აზრები“,—რასაც კაიხერლინგი თითქმის ათი წელია ეტრნალ-გაზეთების, ლექციებისა და მოხსენებების საშუალებით აქვეყნებდა,—ერთ მთლიან და თავისებური „სიბრძნით“ შემკულ ნაშრომში ჩამოაყალიბოს. მაგრამ სანამ შეუდგებოდეთ წიგნის იდეებისა და მისი კრიტიკის დალაგებას, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება იკოდეს, თუ ვინ არის წიგნის ავტორი, ე. ი. კაიხერლინგი.

ჩვენში კარგად ვიცნობთ ოსვალდ შპენგლერს—ევროპული ცივილიზაციის აუცილებელი დაღუპვის მთაწვებელს—მაგრამ საშუალო მკითხველი არ იცნობს მის თანამემამულეს კაიხერლინგს, რომელიც თავის სამშობლოში გაცილებით უფრო პოპულიარული პიროვნებაა ვიდრე იმავე ყადით მოაზროვნე შპენგლერი.

გრაფი ჰერმან კაიხერლინგი სცხოვრობს ქ. დარმშტადტში. აქ მან დააარსა თავისუფალი „ბრძენთა სკოლა“. „სიბრძნის სკოლის“ პირვანდელი მიზანი იყო, თავი მოეყარა ყველა იმისათვის, ვისაც ფილოსოფოსობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ უნივერსიტეტსა და აკადემიებში გაბატონებული, ემპირიულ ზუსტი კვლევა-ძიების მეთოდი სძაგდა.

სულ მალე კაიხერლინგის საფილოსოფოსო „სიბრძნის სკოლის“ შინაგანი სახეც გაირკვა. მისი მიზანი შეიქმნა სულთმძლეობის სწავლება და არსებული გერმანულ-კაპიტალისტური კულტურის განმტკიცება.

კაიხერლინგი ყველა საშუალებით ებრძვის აკადემიურ ფილოსოფიას, მისი აზრით მან ხელიდან გაუშვა სულის მქნადი და აღმზრდელი აღვირი. ამიტომ მისი აზრით საუნივერსიტეტო ფილოსოფია უნდა მოკედეს და განთავისუფლებული ადგილი სულის სიმტკიცისა და მძლეობის აპოლოგეტებმა დაიკირონ.

კაიხერლინგი ძალიან კარგად ხედავს, რომ თანამედროვე ევროპის ცივილიზაცია ნგრევისა და აურზაურის ეპოქაში შედის, ფილოსოფიის მიზანი უნდა იყოს მისი სულიერად გადარჩენა და საიმედო სანაპიროს გაყვანა.

ფილოსოფია მისი აზრით შემეცნების ნორმებს კი არ უნდა ეკორკმობდეს, ან სინთეტიურ სისტემებს კი არ თხზავდეს, არამედ ის უნდა აშხადებდეს მომავალ ადამიანს და ზრდიდეს პიროვნებას. ისე როგორც დაგვიანებული უიდანისშის იოჰანეს წინასწარმეტყველნი ხალხს ამზადებდნენ მესიის შესახებდრად, ასე ფილოსოფიის ქურუმნი თვითეულ მოქალაქის სულში უნდა ზრდიდნენ ახალ ადამიანს, რომ ამით დაბოლოს მოვიდეს მართლაც ნამდვილი ახალი ადამიანი და დაამკვიდროს ახალი ქვეყანა. ამიტომ ფილოსოფია, რომელიც ანას შესრულებს, ფილოსოფია აღარ იქნება, არამედ ის იქნება სიბრძნე,



ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით—აი ის იდეები, რომლებიც საზოგადოებრივ დარშობადტის „სიბრძნის სკოლას“ და მის ჟურნალს ჰერმან კაიზერლინგს.

თავისთავად ეს აზრები ძალიან ძველია. mutatis mutandis ის გამოჩნდება ყველა დავიანებული კულტურის მიჯნაზე და შორით მყურებელისათვის, მათ სწორად რევოლუციონური ელფერიც აქვთ. ასეთი იდეას მატარებელი მეტაწილად მკაცრი კრიტიკოსები არიან თავის დროისა, მაგრამ თავისი შინაგანი ლოლიკით მათი კრიტიკა არის უაღრესად რეაქციონური. კრიტიკას ეწვეიან მხოლოდ იმიტომ, რომ მომავლადეს ბუნებრივი სიკვდილი არ დაანებონ და უაზრო ნარკოზების საშუალებით მათი არავისათვის საჭირო სიცოცხლე გააგრძელონ.

თანამედროვე ევროპის ყველა ეს კაიზერლინგები და მძანი მათნი სრულ განმეორებაა იმ თეთრწვერა მოხუცი სტოელებისა, რომლებიც იმპერატორების ეპოქის სასიკვდილოდ დაავადებულ რომის არისტოკრატების კარბზე სცხოვრობდენ, საშინელი მკაცრი სიტყვებით გარყენილებასა და უზუნოვან ჰეი-ცხადედენ, მაგრამ ისტორიის სინამდვილეში რჩეული ჰეთერების დროის მომკვლე-ლი მისხრების როლს ასრულებდენ.

ძველს რომში იყო დრო, როცა თვითეული მდიდარი ბანკირის საყვარელს ერთი თეთრწვერა ფილოსოფოსი კარის კაცად უნდა ჰყოლოდა და ყოველ დი-ლას მისგან ზნეობისა და სიკეთის შესახებ ტრაქტატები მოესმინა.

ჰეგელის თქმის არ იყოს, ისტორიის უცნაური განმეორება უყვარს. კაი-ზერლინგის „სიბრძნის სკოლის“ თავმჯდომარე ესენის ყოფილი დიდა ჰერ-ცოგი ბრძანდება, გამოიცივლა მხოლოდ გარეგანი სახე. ძველად თეთრი წვერე-ბით დადიოდენ. დღეს კი ყველანი წვერ გაპარსულნი არიან. მათი ისტორიული მო-ვალეობა კი დარჩა ერთი და იგივე...

ნათქვამის გაუთვალისწინებლად მკითხველისათვის თითქმის შეუძლებელი იქნებოდა კაიზერლინგის ახალი წიგნის შინაარსისა და აზრის გაგება. ამ წიგ-ნით კაიზერლინგმა ჯამი გაუკეთა თავის ახალ იდეებს. უწინ კაიზერლინგი კაპიტა-ლისტური ჰეგელის განახლებისათვის საჭირო ელემენტებს აღმოსავლეთიდან სეს-ხულობდა, ბოლოს მან აღმოაჩინა, რომ დასავლეთის კულტურულ ახალ გზებს თვით დასავლეთი გამოსკედს, საჭიროა მხოლოდ ახალი ადამიანის აღზრდა.

წიგნს სათაურად იმიტომ ჰქვია „ჰეგელის ახლად ჩნდება“, რომ აქ ნაჩვენებია ნიდაგი, რომლისგან ახალი ადამიანი იზადება და ეს ახალი ადა-მინი ვახდება თავდები ახალი ჰეგელისა.

კაიზერლინგი პირველ თაბრს თავის წიგნისა იწყებს განცხადებით, —შენ-გლერის იდეების მიღება არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ ყველა ტრა-დიციული კულტურა უსათუოდ დაიღუპება. კულტურა სულიერი ორგანიზმია, მას აქვს ერთგვარი კოლექტიური სული, რადგანაც „კულტურის სულს“ ადგენს კოლექტივი, იმიტომ ძალიან ადვილია კულტურული ღირებულების გადაცემა და ვადანერგვა. თვითოეული კულტურა შეიქმნის თავის საკუთარ კოლექტიურ სულს და კერძოებლმა მოჭლაქემ რა რივ არ უნდა მოისურვოს, თავი დაახწიოს ამ ზოგადსა და კოლექტიურს, ეს მას არ ძალუფს, ის მის ძარღვებში გააქვდარია.

თანამედროვე ევროპის კულტურული პაროლია მასიურობა, ურთულესი თეორია ევროპაში მოდისა და „ყველას“ საგანაა. აინშტაინმა რამე მსგავსსავე თეორია გამოაქვეყნა, მიუხედავად მთელი მისი სირთულისა და სისწრაფისა თოვლულ საცეკვაო საღამოზე ამის შესახებ ბუზბდენ და კამათობდენ. რა რიგ მაღალი კატეგორიის არ იყოს რაიმე ცოდნა და უნარი, დღევანდელი ევროპიელი მას მყისვე მასის მოსახლეობელ მასალად აქცევს. ამიტომაც რომ დღევანდელ ევროპაში სქელ ტანიან წიგნების მწერალი ზოდაში არ არის. ასეთს არავინ არც კითხულობს და არც უცდულობს, გასაეალი აქვს მხოლოდ ტურნალისტს. ტურნალისტიკა უტყუარი სახეა თანამედროვე ცივილიზაციისა. ტურნალისტიკის კაცია, რომელსაც უნარი აქვს უზნელესი იდეა და ურთულესი თეორია სულ რამოდენიმე სიტყვით ასწეროს; მასიურ-კოლექტიური სულის წარმომადგენელს, თანამედროვე ადამიანს სხვა წიგნი და ფილოსოფია არ სჭირია.

თუმცაღა საესებით გარკვეულად არ ამბობს, მაგრამ საკმაო საბაბს იძლევა ავტორი, ვიფიქროთ, რომ რაც თანამედროვე ევროპიულ კულტურას ყველა სხვა ისტორიაში არსებული კულტურისაგან განასხვავებს—ეს არის—ორი რამ: ბუნებათმეცნიერება და ტეხნიკა. ცნობილია, რომ ერთი და მეორეც მასიური შემოქმედების ნაყოფი არ არის, მაგრამ მათი დანიშნულებაა გახდეს მასიური. განსაკუთრებული თვალნათლობით სჩანს ეს ტეხნიკის მიმართ. ტეხნიკის თეორიულ პრინციპიული საფუძვლები შეიძლება ნაყოფი იყოს რომელიმე სულიერი არისტოკრატიისა, მაგრამ თვით ტეხნიკა როგორც ასეთი, საერთო ტეხნიკური ნიჭი და უნარი მასიური მოვლენაა. ტეხნიკა იმდენად მასიური და უბრალო საქმეა, რომ ის ველური ადამიანის ორიენტაციის ნიქს მოგვაგონებს.

კინ არის ამ ტეხნიკურად აღზრდილი მასიური სულის წარმომადგენელი თანამედროვე კულტურის ფონზე? Es ist der Chauffeur—ეს არის შოფერი! უპასუხებს კაიზერლინგი.

„შოფერი ტეხნიკური პრიმიტივია“.

ის მასების ბატონობის ეპოქაში ისე გამოთქვამს კულტურის შინაარსს, როგორც მღვდელი და რაინდი სულის არისტოკრატიზმის წარმომადგენლები იყვნენ. შოფერი მასიურად დახურდავებული ტეხნიკური შესაძლებლობაა. დღეს თვითოველ სასკოლო ასაკის ბავშს უნდა უსათუოდ ინიწინერი გახდეს. თავისი სულის სიდრმეში კი მას შოფერობა სურს.

თანამედროვე ევროპაში ორმა ძალამ სთქვა ახალი სიტყვა, ეს არის ბოლშევიზმი და ფაშისმი. ბოლშევიკი რუსული შოფერის ტიპია, ფაშისტი კი იტალიურის. და თუ დღეს სადმე კიდევ ახალი რაიმე წარმოიშობა, უსათუოდ ახალი შოფერი დაეუფლება მოძრაობას. ერთი სიტყვით, ძველი კულტურა კვდება, ახლის გაჩენისათვის აუცილებელია ახალი ადამიანი და ამ ახალი ადამიანის დღევანდელი რებრეზენტანტი შოფერი არის.

შეხედეთ თანამედროვე ევროპის ახალგაზრდობას, რა დამართია მას, როგორ მოხდა, რომ მას უნარი დაუკარგავს იმის მოსასმენად და გასაცნობად, რაც ჯერ კიდევ მათ მამებისათვის სულიერი ცხოვრების საფუძველი იყო? რის ბრალია, რომ მათ სულში გამჯდარა დაუშრეტელი წყურვილი პრიმიტივისა და



უბრალოსავენ ტრფილისა? ეს იმიტომ, რომ ძათში თეორეტიკოსანს უფლებად გამოგონი ინენერის გენია დიდი ხანია მომკვდარა და ვეღარასათვის დასაძლეე შოფერის ხელობას დაუკავებია თავისუფალი ადგილი. საუცხოეო ილიუსტრაციას ნათქვამის დასამტკიცებლად, კაიზერლინგის აზრით, წარმოადგენს ბოლშევიზმი. მოვიყვანთ კაიზერლინგის თავისებურ პარადოქსებს მისივე სიტყვებით:

„ბოლშევიზმს რუსეთში იმიტომ კი არ გაუმარჯვებია, რომ ის კომუნისტური თეორიების წარმომადგენელი იყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლშევიზმის საშუალებით შოფერის ტიპი სათავეში მოექცა. და სწორედ ის (ე. ი. შოფერი) რუსეთში პრაქტიკულად ყველაზე უფრო ძლიერია, ის არავის არ დემორჩილება და დარჩება სათავეში, მიუხედავად იმისა, რომ ის მსოფლმხედველობა, რომლის შემწეობით მან გამარჯვებას მიახწია, შეიძლება გამოსაცვლელიც კი შეიქნეს, და ამ შემთხვევაში მდგომარეობა დაემსგავსება იმ რენესანსის ეპოქის პაპებს, რომლებიც მიუხედავად პერსონალური ურწმუნოებისა, მაინც ქრისტიანობას ამშვენებდენ. სწორედ ამიტომ რუსეთი არსებითად ყოველთვის ბოლშევიკური დარჩება; რომ სხვა რომელიმე მსოფლმხედველობამ, ან ხელისუფლების სისტემამ დღეს არსებული როდესმე განდევნოს, ბოლშევიკური ტიპი დარჩება მაინც სათავეში“ (გვ. 30).

ახალმა ადამიანმა შოფერის სახით გაიმარჯვა არამც თუ მარტო რუსეთში და იტალიაში, არამედ ის სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ნიუანსებით იმარჯვებს ყოველგან. ძველი კულტურა კვდება, ადამიანთა უკანასკნელი გენერაციის ფსიქიური კონსტიტუცია ისეთი გახდა, რომ გამოსაცვლელი ელემენტი სქარბობს გამოუცვლელს და ეს ელემენტების გამოცვლა არის ძველი სულიერი ორგანიზმის გამოფიტვა, და სასიკვდილოთ მომზადება; მაგრამ სიკვდილი განადგურების არ ნიშნავს. ძველის დასასრულის მიჯნაზე ახალის დაბადების დღეა აღნიშნული. ძველი კვდება, მაგრამ ახალი იშობა და ეს ახალი ადამიანი არის თავისებური ინტელექტუალური პრიმიტივი, ე. ი. შოფერი.

ის მდგომარეობა, რაც დღეს მეფობს არის უდიდესი გარდამავალი ეპოქა, რომელსაც / კაიზერლინგი, ეკუთმენიურ მდგომარეობას უწოდებს. პოლიტიკურად ამ ე. წ. ეკუთმენიურ მდგომარეობას ახასიათებს ის, რომ დემოკრატიის ბატონობის ერა უკვე წარსულს ეკუთვნის, დღევანდელი დღის განვითარებას ორი ძალა მართავს, ბოლშევიზმის მეთაურნი და მესოლინი პლიუს თანამედროვე ევროპის მეურნეობის ბატონ-პატრონი.

ეკონომიურად კი ეს ახალი მდგომარეობა უპარველეს ყოვლისა, აქარწყლებს პატარა ერების დამოუკიდებლობას, დამოუკიდებლობა მათთვის მონობის ზრდილობიანი სახელწოდებაა. ის კი არა, ევროპის დიდი სახელმწიფოების ეკონომიური დამოუკიდებლობაც ისტორიის ჩაბარდა. მომავლისათვის ეკუმენია ისე შეუძლებელს გახდის ყოველივე ნაციონალურ ომს, როგორც უკვე დიდი ხანია რელიგიური ომები შეუძლებელია. დღეს ყველანი ამერიკის საბანკო კონცესიებიდან არიან დამოკიდებულნი. მაგრამ მეორე მხრით ეს მდგომარეობა ჰქნის ისტორიაში ჯერ არ ნახულ შეზღავანების საფუძველს. „ეკუმენიური მდგო-

მარეობა მეტი კონფლიქტებისა და ნერვიულობის საბაზს იძლევა, რომელიმე მდგომარეობა. მისი მომზადებულნი შეთანხმების პოლიტიკის მომზარეები კი არ არიან, არამედ რაინდულად განწყობილი უნივერსალისტები, რომელთა ნამდვილი პროტოტიპები ბოლშევიკები არიან“ (გვ. 72). უმკაცრესი ნაციონალისტები უფრო ამზადებენ ეკუმენიურ მდგომარეობას, ვიდრე პატიოსანი ლიბერალები და შემთანხმებულნი.

რომელ მსოფლმხედველობის წარმომადგენელი ხარ, ეს ამ ახალი ორგანიზული მდგომარეობისათვის სულ ერთია. მთავარია, რომ მის უღელში ხარ ვაბნული და მის საქმეს აკეთებ.

ეკუმენიური მდგომარეობის ადამიანს სძულს ძველი კულტურის მაღალი იდეები, მის ბუნებას შეეფერება ტექნიკურად გარჯილი პრიმიტივი; შეხედეთ აბა დღევანდელ ახალგაზრდობას და თუ მათში მომავალი ეკუმენიური ეპოქის შვილები არ დაინახოთ. მათი კულტურული ასურათების ფანტაზია ისე დაჩლუნგებულია, რომ მათი იდეალი მოუფერის მდგომარეობას ვერ გასცილებია. და ეს ასეც უნდა იყოს. არც ბოლშევიზმი და ფაშიზმი კულტურის და განათლების ნიმუშები, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის იყვენ თანადროულობას საუკეთესო წარმომადგენელნი.

შეიძლება, მომავალი კულტურული ადამიანი შოფერის არც შეილი დარჩეს და არც შეილიშეილი, მაგრამ ახალი კულტურა რომ დაიბადოს კაცობრიობაში თავისი სულის გამოფერება უნდა განიცადოს. ეს აუცილებელი გზაა.

ასე მიდის კაიზერლინგის აზრთა წყობა. დალაგების დროს ჩვენ კაიზერლინგის ერთი ღირსშესანიშნავი აზრი აღუნიშნავი დავტოვებთ. კაიზერლინგის ისტორიოსოფია დიდი ქათინაზრებით ეპყრობა ორ ახალ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენას—ბოლშევიზმსა და ფაშიზმს.

ბოლშევიზმში საუკეთესოდ აულო ალლო თანადროულობას, მას აქვს მომავალი და სიმტიცე. მკითხველი იფიქრებს, თუ კაიზერლინგის ისტორიული კონცეპციის მიხედვით ბოლშევიზმი ჯანსაღი და ისტორიულად აუცილებელი მოვლენაა, თუ ის თავისი შინაგანი ბუნებით ჯანსაღია და თანამედროვეობას გამოხატავს, მაშინ ცხადია, რომ ის დაავადებული ევროპის გამოსაჯანსაღებლად გამოდგება. კაიზერლინგი წინააღმდეგი არ უნდა იყოს ევროპის ბოლშევიზაციის და ამ რიგად ისტორიის ლოლიკის სისრულეში მოყვანის. მაგრამ ნურას უკაცრავად! კაიზერლინგი ამ ამბავის სასტიკი წინააღმდეგია. ბოლშევიზმი ძალიან დადებითი მოვლენაა, მაგრამ ის იქამც იყოს, სადაც არის,—აცხადებს დარმშტადტელი ბრძენი. ათასნაირად მოკიბულ სიტყვების საშუალებით გეარწმუნებს კაიზერლინგი, რომ რუსეთიდან გამომდინარე ეკონომიური იდეების საფრანგეთსა და ინგლისზე გადატანა შეუძლებელია, რომ დასაველეთ სხვა შინა სული აქვს და აღმოსავლეთს კიდევ სხვა.

წარმოიდგინეთ თქვენ, რომ მატერიალიზმა დასაველეთშიც ისე გაიმარჯვოს, როგორც მან რუსეთში გაიმარჯვა.

რა მოდებდა ამ შემთხვევაში? ეს იქნებოდა უდიდესი საშინელება.

დასაველეთული თავისი ბუნებით ამ ქვეყნიური ადამიანია, მისი უშუალო



იდეალი, ბილწი და მიწიერია, იდეალიზმი და სპირიტუალიზმი მისთვის უცნობის გამფაქიზებელი იარაღია.

სულ სხვაა აღმოსავლეთელი, ის თავისი ბუნებით სპირიტუალისტია, მას რეალი ქვეყნის გზება აბსოლიუტურად აკლია და მისთვის მატერიალიზმი სხვა კი არაფერია, ვიდრე საზარება და წმიდა სპირიტუალიზმიდან ქვეყნიერებისკენ საჭირო პირის ბრუნება.

მოსკოვი უდიდესი ისტორიული საქმე შეასრულა, აღმოსავლურ სპირიტუალიზმს მატერიალისტური მსოფლგაგება დაუმატა და ამით ახალი ევანგელიუმის დონეს მიახწია, და ნამდვილად—დასძენს კაიზერლინგი—მომავალ საუკუნეებში აღმოსავლურ ხალხთა სმენაში რუსულ სიტყვას ისეთივე ფსიქიური განცდის გამოწვევის უნარი ექნება, როგორც დასავლეთისათვის ებრაულ სიტყვას ჰქონდა.

„მოსკოვი ცხოველყოფილი სახეა აღმოსავლეთის დასავლეთურ თანადროულობაში ახალი დაბადებისა“ (გვ. 39), ე. ი. მოსკოვი ამბადებს აღმოსავლეთს იმისთვის, რომ მან დასავლეთი გაიგოს და დასავლეთს დაუმორჩილდეს.

რა რიგ გასაკვირი არ იყოს მკითხველისათვის, კაიზერლინგის დასკვნა მაინც ასეთია. მოსკოვს მან ანდენი ქათინაურები მხოლოდ იმიტომ უბოძა, რომ თურმე ის აღმოსავლეთს დასავლეთის დასამორჩილებლად ამზადებს.

და თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა უნდა ვადაწყდეს ის მსოფლიო ისტორიული ჭიდილი, რომლის მოწამენი ჩვენ ვართ? ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ? მართლაც მოკვდება დასავლეთის კულტურა? აი საკითხები, რომლის ასეთს თუ ისეთს გარკვევას ჩვენ კაიზერლინგიდან კიდევ უნდა ველოდეთ.

ამ საკითხების პასუხის ვაკემისათვის კაიზერლინგს აუცილებლად მიაჩნია გააღრმავოს თავისი ისტორიის ფილოსოფია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ისტორია მას ესმის, როგორც სულის წარმომადგენლობა სინამდვილის ხორციელ ტანში. სულის იდეა კი არავითარ ჭეშმარიტების დოგმას არ ემორჩილება, მისთვის მთავარია, თუ როგორია მისი წარმომადგენლობითი ხასიათი.

იდეა იცვლება, როგორც ქალების ტანისაცმელის მოდა.

არც ერთი იდეოლოგიის და არც ერთი „ჭეშმარიტების“ საქმიანი კრიტიკის საშუალებით უარყოფა არ შეიძლება, მუდამ უნდა გამოსცვალოს ის, და რადგან მდგომარეობის რებრეზენტანტი ახალი იქნება, ძველი უსაქმოდ და უსაგნოდ გახდება. რა რიგ ლოგიურ კანონებს არ ექვემდებარებოდეს ისტორიული იდეოლოგია, მას მაინც შესცვლის ისტორიული სინამდვილე.

ვისაც ისტორიის მსვლელობის კანონების გაგება სურს, მან ისტორია არც მართლ უაქტების და არც მხოლოდ იდეების კრებულად არ უნდა ჭგანიხილოს, არამედ მან უნდა შესძლოს ჩაიხედოს ისტორიის სულში, გაიგოს ისტორიის „ფსიხე“. სული ისტორიისათვის რეალი ორგანიზმია, შეგნებულად არის ისასეთი, თუ შეუგნებლად, ეს დაბოლოს სულ ერთია. ადამიანი უაღრესად სულიერი არსებაა და ადამიანის ისტორია, ცხადია, რომ სულიერ ასპექტს ქვეშ უნდა იდგეს. ამიტომ, რომ თვითოველი იდეა სულის წარმომადგენლობაა და თვითოველი ჭეშმარიტება სიცოცხლის გამართლებაა. არავითარი ჭეშმარიტი და მცდარი ისტორიის



სარბიელზე არ შეგვხვდება, აქ გვხვდება ფაქტი და სულის წარმოდგენლობა; თუ რაა ქეშმარიტება არაფერ არ იცის და არც მაინც და მაინც საჭიროა მისი ცოდნა. არაა საჭირო იმითომ, რომ ისტორიული მოვლენები რა რიგ ირრაციონალურად—და ამ რიგად ქეშმარიტების კატეგორიის გარეშე,—არ იყოს შესრულებული, მათ აზროვნება შემდეგში, როგორც უკვე შესრულებულ ფენომენებს, ძალიან ადვილად დაალაგებს ერთ ლოგიურ ხაზზე და ამით გაიგებს მათ როგორც ლოგიურობას.

და როდესაც ისტორიის ლოგიკის შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ, ნაფულისხმებია, სწორედ ეს შეორებითი მოქმედება და არა ის პირველი შემოქმედებითი ზეგავლენა ისტორიის მსვლელობაზე, რომელსაც ისტორიული ადამიანი მოქმედობს, როგორც სულიერი არსება, როგორც პიროვნება და გმირი.

ისტორიის გაგების სიძნელე წარსულის ხაზების დალაგების სიძნელე კი არ არის, არამედ აწმყოსთან ანგარიშის გასწორების სიძნელე.

ისტორიაში მთავარია არა უკანხედვა, არამედ წინხედვა. უკანხედვის დროს ისტორია იშლება, როგორც კრიზისებისა და აღორძინების შეუწყვეტელი ჯაჭვეული. წინხედვის დროს კი ის გადაშლილია, როგორც სამოქმედო ასპარეზი.

აი კაიზერლინგის ისტორიის გაგება და თეორიული გასამართლება.

როგორ გამოიყურება ჩვენი დროის კაცობრიობა ამ სიბრძნის ასპექტიდან? „დღეს კაცობრიობა ახალი კრიზისის ხანას განიცდის, განვითარების იდეა მისების სახარებად არის გადაქცეული, რომლის იდეალი სურათი არის შოფერი, ე. ი. ტეხნიკური უნარის მქონე ველური“ (გვ. 95). შოფერების სახელმწიფო იტალიაში, შოფერების სახელმწიფო რუსეთში, შოფერების თარეში და სულიერი ბატონობა დასავლეთში,—აი სურათი თანამედროვეობისა, მაგრამ—და აქ ჩნდება კაიზერლინგის ნამდვილი სახე—ეს შოფერების ბატონობის ეპოქა არის, ერთ-ერთი ისტორიული კრიზისი და სხვა არაფერი.

რადგანაც დღევანდელი დასავლეთის კულტურა წარმოდგენილია ამ კრიზისის სახით, ცხადია, რომ ეს კულტურა მოკვდება, ე. ი. მოიხსნება კრიზისი და დაიწყება ახლის აღორძინება. თანახმად კაიზერლინგის კონცეპციისა კრიზისის აღორძინება მოსდევს და თუ დღეს შოფერების კულტურის სიკვდილის აუცილებლობა ნათელი ხდება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხეალ აღორძინების ხანა დაიწყება და დასავლეთი სხვა სახეს მიიღებს.

ზოგადად გამართლებულია კაიზერლინგის წიგნის პაროლი: „სიმპტომები დალუპებისა ამავე დრს ახალი აღორძინების სიმპტომები“.

თუ ევროპის დღევანდელი კულტურა ილუპება ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი კულტურა უკვე აღორძინების პროცესშია.

მაგრამ როგორ? თუ შოფერის სულს ჩაუკვირდებით, ვაივებთ, რომ მის ხმენას ზერულე ხმა ახმაურებს, ქვეყნის სრული განთავისუფლება და გაგება მის არ შეუძლია, ის მხოლოდ სულის დაავადების მაჩვენებელია. და როდესაც სული უფრო საფუძვლიანად შეირყევა, მაშინ დაიწყება მისი გაჯანსაღება. გაჯან-



საღება პრიმიტივისკენ არ მიდის, არამედ იმ უცნობი და უკრძკუ დენდრისკენ რომელსაც მეტაფიზიკური, თუ კიდევ სხვა რომელიმე სახელწოდებით ვხვდებით.

ამიტომაც რომ, ე. წ. თანამედროვე ცივილიზაციიდან, მისი ნგრევისა და რეკოლიუციების საშოდან ახალი კულტურა იბადება.

საჭიროა მხოლოდ, რომ ადამიანი რაც შეიძლება ღრმად შეიგნოს თავისი დანიშნულება, ე. ი. წყურვილი შემოქმედებითი სულის პატრონობისა. შემოქმედი სული დასძლევს ყოველივე კრიზისს და უზრუნველყოფს ნამდვილ წინსვლას.

თუ რა უდიდეს ისტორიულ როლს ასრულებს შემოქმედებითი სულის მებატონე, ამის უდიდესი მაგალითი არის იესო ქრისტე და ლენინი. ვინც ამ ორი კაცის უდიდეს ისტორიულ საქმეებს გაიგებს, ის გაიგებს შემოქმედების სიძლიერესაც ისტორიის სარბიელზე.

„ლენინმა და ქრისტემ გვასწავლეს, რომ ქვეყანა სულიერი საგანია და სულიერი მადგომა უნდა მას. „ლენინის სულმა რუსეთის ცხოვრებას მისცა ისეთი ფორმა, რომლის გარეგნობა ზეციური სამყაროს ქვეყნიურ ანარეკლს უნდა დაემსგავსოს“ (გვ. 115). ლენინმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა რუსეთში, მაგრამ მას დასავლეთისათვის ახალი არაფერი უთქვამს. ახალი არ ყოფილა ის, რომ პირველად მწყობრად ამოშავდნ დასავლეთელი შოფერები. ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ რაც გააკეთეს ის არ განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რა მდგომარეობაც იყო ხმელთაშუა ზღვის განაპირა ქვეყნებში ამ ორი ათასი წლის წინად, ე. ი. კიდევ მანამდე, სანამ ქრისტეს იმპულსმა ამ ქვეყნებს ახალი სული შთაბერა.

ბოლშევიკებმა საუცხოვოთ აჩვენეს, თუ როგორ უნდა იმოქმედო დღეს, მაგრამ მათი მოქმედება არ არის სავალდებულო ხვალისათვის. ეს ხვალე კი ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა ეკუმენე დაძლეული იქნება, კრიზისი გადალახული და შემოქმედი სული ახალ აღორძინებას შეუდგება.

დღევანდელობა მატერიალისტური, მიწიერი და ბოლშევიკურია, მაგრამ აქედან იბადება ხვალინდელი სული, რომელიც თავისი ბუნებით ამის საწინააღმდეგო უნდა იყოს; ახალმა სულმა უნდა წარმოშვას ადამიანის ახალი ტიპი; ეს ახალი ტიპი უნდა უყოს ჩქარი და ღრმა, ფსიქოლოგიური და მეტაფიზიკური, რეალპოლიტიკოსი და გზნებით მხილველი. ერთი სიტყვით, ის უნდა იყოს იდეალი ქვეყანაზე მაღლა დგომისა.

ამ ტიპის წარმოშობის მოვალეობა ხვალინდელი დღის საქმეა. დღევანდელი შოფერების კულტურა და მისი ტენიკის უნარის მქონე ველურის ტიპი მოკვდება და მის ადგილს ეს ქვეყნიერებაზე მაღლა მდგომი დიკავებს.

ასეთი კეთილი სურვილით მთაერდება კაიზერლინგის ისტორიოსოფია. საკითხია მხოლოდ, საიდან უნდა მოვიდეს ეს ახალი ტიპი?

„ამ ტიპის მოშენება არის ევროპის (ე. ი. დასავლეთის, მ. გ.) ისტორიული მოვალეობა“ (გვ. 120). გვიპასუხებს ავტორი.

ან კიდევ:

„ევროპა მოვალეა კიდევ ერთხელ ახალი და მომავალი კულტურის ტიპი მოაშენოს“.

„დღევანდელი ევროპა იმავე ისტორიულ როლს ასრულებს, რა როლს პალესტინა რომის მსოფლიო იმპერიის ფარგლებში ასრულებდა.“ (დღევანდელი ევროპის სინათლეს აღმოსავლეთიდან აღარ უნდა მფარველი ვეძებოთ.)

„დღეს მხოლოდ დაპატარავებულ და დასუსტებულ ევროპაში ამოვა სინათლე. მხოლოდ აქ დაისწება საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები. მხოლოდ აქ შეიძლება ახალი საზრისი ისტორიული შალის სახით დაიბადოს.“...

ტენნიკურ-ინტელექტუალური მხარე აქ საესეზით განვითარებულია და ის საკითხს აღარ შეადგენს, ამით კი სხეული ახლად ვასულაოვნებისათვის შზადაა, ეს მდგომარეობა კი არ არის რუსეთში და ცხადია მით უფრო ნაკლებ დანარჩენ აღმოსავლეთში“.

„So ist denn Europa das Palästina der neuentstehende Welt— და ამრიგად ევროპა ახლად მომავალი ქვეყნის პალესტინაა“ (გვ. 121).

ამით კი ამოწურულია კაიზერლინგის აზრთა წყობის მთელი ვასაქანი. ზოლო ამზაცში ზენ მისი სიტყვებით ვესაუბრეთ მკითხველს, რადგან ეს სიტყვებია დასაბამი და საფუძველი კაიზერლინგის სიბრძნისა. კაიზერლინგი აქ პირბადე ახდელი გვევლინება; მისი სიტყვა მკაფიოა და აზრი ნათელი.

ეს არის იმპერიალისტური ევროპიელის საყვარელი რეფლექსი. ევროპა, რომლის მეთაურობით წარმოიშვა კაპიტალისტური კულტურა და ამასთან ერთად უპირატესობა და ბატონობა აღმოსავლეთზე და დანარჩენ ხალხებზე, ცდილობს ამ კომანდირის პოსტის შენარჩუნებას. მაგრამ პატივცემულ „ევროპიელს“ არ შეუძლია არ შეამჩნიოს, რომ რუსეთის დიდ რევოლუციის შემდეგ საშინელი სიძლიერით ამოძრავდა აღმოსავლეთი და ამ მოძრაობის, თუ რელი ანგარიშის არა, იდეოლოგიური ანგარიშის გასწორება მაინც სჭირდება.

და კაიზერლინგიც უბრალოდ ასწორებს ამ ანგარიშს. ის ამტკიცებს, რომ დღევანდელ კრიზისით შეწუხებულ და დაუძღვრებულ ევროპაში იბადება ახალი ადამიანი, ახალი მესია, მაუწყებელი ქვეყნიერების ახალი ეპოქის დაწყებისა, რომ ეს ადამიანი ძირიან-ბუდიანად გადაახალისებს ქვეყნიერებას, ის დაარწმუნებს დასავლეთს, რომ აღმოსავლეთიდან სინათლე არ მოვა—და, ე. ი. დასავლეთის მსოფლიოებელი შეუძლია დარჩეს. აი მიხანი კაიზერლინგის ამ ახალი წიგნისა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ინტერესს მოკლებული მოვლენა იყოს. საინტერესოა ის, თუ გინდ იმ მზრითაც, რომ ის ჩაყენებულია კაპიტალისტური კაცობრიობის იმ ელემენტებისა, რომლებსაც თავისი თავი არ მოსწყენიათ და მომავლის იმედი არ დაჰკარგვიათ.

კაპიტალისტური ქვეყანა უდიდესი კრიზისის ჩიხში შეიყვანა მსოფლიო ომმა. დიდ კრიზისსა და განადგურებას კატერილ-დოვლათის სუეროში, მოჰყვა იდეოლოგიური კრიზისი. ამ კრიზისის სარკე იყო შპენგლერის ცნობილი შრომა, დასავლეთის აუცილებელი დაღუპვის შესახებ. მსოფლიო ომის ბოლოში, როცა ახლოვდებოდა ქვეყანაზე უძლიერესი მილიტარისტული ორგანიზაციის დაღუპვა, შპენგლერის თავში ის რელი მნიშვნელობის მქონე ამბავი, მთელი დასავლეთის კულტურის სიკვდილის აზრდილის სახეს ღებულობს.

დღეს ეს პერიოდი ვაელილია, გერმანელი ბიურგერის ოცნებას ქვეყნის დაღუპვის ამბავს სიკოცხლის შენარჩუნების ამბავი ურჩევია. ცნობილია, რომ იდეებიც დროის მოთხოვნილებით ჩნდებიან. კაიზერლინგის იდეათა კრება ამ ახალ მდგომარეობას ვამოხატავს.

დასავლეთმა მსოფლიო ომიდან ნაანდერძევი კრიზისი თუმცაღა შეანელა. მაგრამ ის მას ჯერ არ დაუძლეია. და კაიზერლინგიც თავისი აზრთა წყობის პირველნახევარში ამ მდგომარეობის, ან და დღევანდელი დასავლეთური კულ-

ტურის სასტიკი კრიტიკოსის როლში გამოდის. ის უღმობელია აქ მას მოსწონდა „შოფერების“ ცეკვა-თამაში. მაგრამ კაიზერლინგს არა ეჭვს ეს, რასაც ის ვითომც დაეძებს, ე. ი. ხამდეილი პროგრესიული და შენობაშენი უწოდებდა. ის დაეძებს ვილიც ახალადამიანს, რომელმაც დასავლეთი უნდა განაახლოს. ალახმა უწყის საიდან უნდა მოვიდეს ეს ადამიანი.

ადამიანის ძებნა ისტორიული უკულმართობის გამოსასწორებლად საერთოდ სახიფათო საქმეა. მართლაც ახალი იდეებით გატაცებულ ადამიანს ასეთი სურვილი სოციალურ უტოპიით ეტყევა, კაიზერლინგის ტიპის მოაზროვნესთან კი ის რეაქციისა და ძველის გადართინის წამალია.

კაიზერლინგს ის ამბავი დაევიწყდა, რაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსმა აღმოაჩინა; კერძო ადამიანის ზრახვების შეკოწიწებიდან ისტორია არ კეთდება. და თუ უკვე „გაკეთებულ“ ისტორიაში ადამიანის პიროვნება შებოკილია, მაშინ ამ უკულმართობის გამოსასწორებლად უნდა მოიხაზოს არა ახალი და უკეთესი ადამიანი, არამედ ადამიანთა ახალი ისტორიული კლასი, რომლის არსებობის ფაქტი უკვე ასეთი რეეოლიუციისა და პიროვნების ემანსიპაციის აუცილებლობას თავისთავად გულისხმობდეს.

ნუ თუ კაიზერლინგი ვერ აჩინებს, რომ ევროპის კულტურის შინა ასპექტში წარმოიშვა საზოგადოების მთელი კლასი. ის კი არა, ანავე საზოგადოების წინაშეწინააღმდეგე უმრავლესობა, რომელთა თვითველ წევრს არსებობას უბოკავს ეს „კულტურა“ და ამიტომ ამ კლასის არსებობის ისტორიული საზრისი დასახელებულ უკულმართობის გასწორებას მოითხოვს.

კაიზერლინგი მართალია იმაში, რომ ევროპაში ახალი სინათლე ევროპიდანვე მოვა, მაგრამ ეს სინათლე ამოვა არა რომელიმე მესიანური უნარიით დაჯილდოვებულ ადამიანში, არამედ იმ ისტორიულ კლასში, რომელსაც კაიზერლინგის აღმოჩენა არ სჭირდება და რომელსაც დღევანდელ ევროპაში უძლიერეს რეალ-სოციალურ ელემენტს წარმოადგენს. ამ კლასის არსებობის ისტორიული საზრისი აღმოაჩინა კ. მარქსმა. მაგრამ კაიზერლინგი ცოცხანაპნივით გაღრმის მარქსის სახელს. ის ქებათა-ქებას ასხამს ლენინის საქმეს, მაგრამ მას ძალიან გასაკვირად მიიჩნია, რომ ლენინი იყო მარქსისტი.

ერთი სიტყვით, კაიზერლინგს ახალი სიტყვა არ უთქვამს. მან ძველი მეთოდით მოძველებული აზრი ხელახლად განიმეორა.

მისი წიგნი ერთგვარ რეაქციას წარმოადგენს შენგლერის უიმედობის წინააღმდეგ; კაიზერლინგმა კანონიერად შეამჩნია, რომ დასავლეთის კულტურამ რაღაც ისეთი რამ შექმნა, რომ ის განსხვავდება ისტორიაში არსებული სხვა კულტურის საბისაგან, რომ ის თავისი ე. წ. „სიკვდილით“ ახალ სიცოცხლეს დაიწყებს.

მაგრამ კაიზერლინგმა საგნებს თავიანთი სახელი ვერ დაარქვა. მან ვერ სთქვა, რომ დღევანდელი მდგომარეობა მომასწავებელი კი არ არის დასავლეთის კულტურის რეალი შინაარსის (ე. ი. იმის, რაც ამ კულტურას იმანენტურად ახასიათებს, ბუნებათ-მეცნიერება და ტექნიკა და აქედან ადამიანის პერმანენტული გამარჯვება სინამდვილეზე) სიკვდილისა, არამედ დღევანდელი კულტურული კრიზისი, ამ კულტურის გარეფორმის და მოხმარების დაღუპვის მათუწყებელია.

დასავლეთი კულტურა, როგორც ადამიანთა განწყობილების რეალი შინაარსი გააგრძელებს თავის არსებობას, მოკვდება მხოლოდ ის საზოგადოებრივი კლასი, რომელმაც ერთხელ ეს კულტურა შექმნა.

ვეფხის-ტყაოსნის საკითხის გარშემო

ინტერესი ვეფხის-ტყაოსნის საკითხისადმი ამ ეპოქაში (იხე როგორც ეს იყო 1913 წელს) კვლავ გაცხოველდა და გარდა ცალკე გამოცემათა¹ მან ჰპოვა გამოხმაურება უკვე კრიტიკისა და პოლემიკის სახით ჟურნ. „მნათობის“ ფურცლებზე². ეს ინტერესი შოთას პოემისადმი, რომელიც ქართველ საზოგადოებაში დროგამოშვებით იღვიძებდა წინა დღე და იღვიძებს ესაუც, აიხსნება, როგორც ეს ჩვენ აღნიშნული გვაქვს ვეფხის-ტყაოსნის ჩვენს მეორე გამოცემაში (გვ. XXVII), არა მარტო იმით რომ ვეფხის-ტყაოსნის უჭირავს ფრიად მაღალი ადგილი ჩვენს ძველს ლიტერატურაში, არამედ იმითაც, რომ შოთას პოემის საკითხის გარკვევის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ისტორიული მცნებებისათვის. ვეფხის-ტყაოსნის საკითხთან დაკავშირებულია მთელი რიგი სხვა ისტორიული საკითხებისა, რომელთა სწორი დაყენება საჭიროა საშუალო საუკუნეების საქართველოს კულტურის სათანადოდ გაგების თვალსაზრისით. მაგ., საკითხი საშუალო საუკუნეების ქართულ საზოგადოების შინაგან განცდათა და იდეურ ლტოლვათა შესახებ, საკითხი იმავე საზოგადოების სოციალურ იდეოლოგიის შესახებ, კულტურულ და ლიტერატურულ განვითარების გზების და მოცულობის შესახებ და სხ.—ყველა ამ საკითხებისათვის ვეფხის-ტყაოსნის თავისთავად აქვს დიდი მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს ამასთანავე, რომ ჩვენი საისტორიო მასალების ვითარების გამო ვეფხის-ტყაოსნის საკითხი თავისთავად ვერ გადასწყდება მარტო, ასე ვსთქვათ, სოციოლოგიური მიდგომით. პირიქით, ვერ უნდა გამოირკვეს, თუ როდის და რა პირობებში გაჩნდა ეს საშუალო საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ შემოქმედების ფენომენი და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მისი გამოყენება ქართული კულტურის, ამ სიტყვის ფართო მნიშვნე-

¹ ვეფხის-ტყაოსანი ს. ქაჯაბაძის რედაქტორობით მეორე გამოცემა (მე-25 გამოცემა) ტფ. 1927 წ.; ვეფხის-ტყაოსანი ი. აბულაძის რედაქტორობით (მე-26 გამოცემა) ტფ. 1926 წ.; ვეფხის-ტყაოსანი ს. ქაჯაბაძის რედაქტორობით (მე-27 გამოცემა) ტფ. 1927 წ.

² კ. ავალიძე—„რუსთველიანა“, მნათობი, 1927 წ. № II, გვ. 181—204; პ. ინჯოიანი—რუსთველიანაზე პროფ. კეკელიძის წერილის გამო, მნათ. 1927 წ. № III, გვ. 192—220, № IV გვ. 186—223; კ. ავალიძე—კიდევ ვეფხის-ტყაოსნის გარშემო, მნათ. № V—VI, გვ. 167—188.

ლობით, ისტორიის ცალკე საკითხებისთვის: ამით აიხსნება, რომ კეკელიძის უოველის მხრივ ცდილობენ ვეფხის-ტყაოსნის საკითხისთვის მიფიქსებას, ამით აიხსნება, რომ ცნობილი მეცნიერი აკად. ნ. მარრი ქართულ-საქართველოს საკითხებს შორის თავიდანვე ერთ-ერთ მთავარ ყურადღებას აქცევდა ვეფხის-ტყაოსნის პრობლემას, რამოდენიმეჯერ სხვადასხვა მხრივ მიუღდა ამ პრობლემის გარკვევას, ზანდაზან ასწორებდა ან უარყოფდა კიდევ წინა დის მიერვე გამოთქმულ აზრებს, მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს ნ. მარრის მიერ წარმოებულ ძიებათა შემდეგ მეცნიერებას მაინც შერჩა მის გამოკვლევებში ახლად წამოყენებული პირველ ხარისხოვან მნიშვნელობის საკითხები ქართული კულტურის ისტორიის შესახებ.

აეილოთ ეხლა სხვა ცდები, თუნდაც ჩვენ მიერ წარმოებული ცდები (1913 წ. 1924 წ. და უკანასკნელი კიდევ 1926 წ.), თუმცა რასაკვირველია ჩვენ ჩვენს თავს ნ. მარრს ვერ შევადარებთ. ნ. მარრი დიდი მეცნიერია, სხვათა შორის, თანამედროვე ქართული ფილოლოგიისთვის საფუძვლის ჩამყრელი, ჩვენ კი ყველანი ადგილობრივი მუშაკები ვართ, ზოგი მეცნიერულ მუშაობის მხრივ მეტი ობიექტიურ თუ სუბიექტიურ და ზოგი კიდევ ნაკლებ შესაძლებლობის მქონე. აეილოთ კიდევ პ. ინგოროყვის ცდა „რუსთველიანას“ სახით. მკითხველი ქვემოთ დიინახავს, რომ, ჩვენის აზრით, ამ ცდის ყველა მთავარი დებულებები შემცდარი უნდა იყოს. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ პ. ინგოროყვის „რუსთველიანას“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? როდესაც თქვენ პ. ინგოროყვის გამოკვლევას კითხულობთ, თქვენ გრძნობთ, რომ თქვენს წინაშე არის ცოცხალი წიგნი, რომელიც იკითხება ყურადღებით და ინტერესით და ეს უკვე თავისთავად დადებითი ფაქტია. სამწუხაროდ კ. კეკელიძეს, რომელმაც „რუსთველიანას“ კრიტიკა წარმოგვიდგინა, ამ წიგნისათვის ასეთი კვალიფიკაცია არ ემეტება შეიძლება იმიტომაც, რომ მას საზოგადოდ პრობლემის ახლად დაყენება მისივე სიტყვით (მნათ. V—VI, გვ. 169) „თავსბრუს ასხამს“ და სიმშვიდეს უფურთხობს, ამიტომ რაიმე ძიების ახალი ცდაც მასზე, როგორც სწანს, დადებით შთაბეჭდილებას არ სტოვებს.

კ. კეკელიძე კრძალდ ჩვენ გვისაყვედურებს, რომ ს. კაკაბაძემ რამოდენიმეჯერ გაპოიცვალა თუ შეასწორა აზრი ვეფხის-ტყაოსნის შესახებ და რა გარანტია იმისი, რომ ის კიდევ არ შეიცვლის აზრს მომავალში (მნათ. V—VI, გვ. 168—169). რასაკვირველია ამისი გარანტია არ არის, შეგვიძლია ეხლავე განვუცხადოთ კ. კეკელიძეს და ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს. კ. კეკელიძისთვის უცნობია ჩვეულებრივი რამ, სახელდობრ ის, რომ ისტორიულ აზროვნებას სწევს წინ ახალ-ახალი ძიებანი, და არა ამ ძიებაზე უარის თქმა. ყველა ის სტადიები რომელიც გაიარა ვეფხის-ტყაოსნის პრობლემამ, ამ უკანასკნელს უსათუოდ უნდა გაეარა და რა სტადიებს გაივლის ეს საკითხი მომავალში, ამისი წინასწარმეტყველება ეხლა შეუძლებელია. კ. კეკელიძეს მოვაგონებთ უკვდავ გიოტეს სიტყვებს (ფაუსტი): *Es irrt der Mensch, so lang' er strebt* (ადამიანი სცდება, სანამდის ის რამესაკენ მიისწრაფისო). კ. კეკელიძისთვის ეს გარემოება, როგორც სწანს, გაუგებარი უფილა. კ. კეკელიძის მიხედვით აზრის შეცვლა ამა



თუ იმ საკითხის ან პრობლემის შესახებ დიდი მომაცდინებელი ცოდნა მკვლევარმა ყველაფერი უნდა თქვას საბოლოოდ და ექვემდებარება, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში ნობითი ევოლუციაც დაუშვებელი რამ ყოფილა!

კ. კეკელიძეს, როგორც აქედანაც სჩანს, სურს ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება ერთ ადგილზე ტკეპნის გზით წაიყვანოს, მაგრამ რა ექნათ, რომ ვერ დავეთანხმებით. ფართო მკითხველი საზოგადოება ცხადად ხედავს, რომ კერძოდ ვეფხისტყაოსნის პრობლემის რამოდენადმე მიზნც და ისიც თანდათანობით გარკვევას ხელს უწყობდა და ესლაც უწყობს სწორედ ეს პეტერბურგ-ლენინგრადსა თუ ადგილობრივ წარმოებულ ძიებათა ახალი ცდები. ასეთ ძიებებზე უარის თქმა ეს იქნებოდა ქართულ საისტორიო აზროვნების შეჩერება და ერთ წერტილზე გაყინვა.

ასეთია საქმის მდგომარეობა და ეხლა კი შევეუდგეთ, იმდენად რამდენადაც ადგილის სიმცირე ნებას გვაძლევს, პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ გარჩევას.

პ. ინგოროყვას დასახელებული წიგნი შინაარსის მიხედვით შეიძლება გაყოფილ იქნას სამ ნაწილად: პირველი ნაწილი შეიცავს ესკიზს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესახებ, ისე როგორც ეს ავტორს აქვს წარმოდგენილი (გვ. 1—98), მეორე — ძიებას შოთა რუსთველის ვინაობის და ბიოგრაფიის შესახებ (გვ. 101—326), ხოლო მესამე ნაწილი შეიცავს ესკიზს — „შოთას იკონოგრაფიას“.

პირველი ნაწილი ყურადღებას იპყრობს უპირველეს ყოვლისა იმ მეთოდის მხრივ, რომელსაც ავტორი მიმართავს თავისი ძიებათა საწარმოებლად. ავტორი ადგას ვეფხისტყაოსნის ტექსტის განცხრობის დროს უკიდურეს სუბიექტივიზმის გზას, რომელიც იძლევა ფრიალ ფართო შესაძლებლობას როგორც ვეფხისტყაოსნის, ისე ყველა სხვა ნაწარმოების საკუთარ ნებაზე შემოკლებისა და გადაკეთებისას. ეს მეთოდი, რომლის უფარვისობა კერძოდ ჩვენში და სწორედ ვეფხისტყაოსნის მაგალითზე საკმაოდ კარგად დამტკიცდა ამ ოცდაათიოდე წლის წინად აღ. სარაჯიშვილის ვრცელი ნაშრომით — „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ (ქრნ. „მოამზის“ ნომრებში), დრო არის საბოლოოდ უარყოფილ იქნას, მით უმეტეს რომ მასზე დამყარებით ყოველს მკვლევარს ეძლევა საშუალება თავისებურად და ზშირად წინად აღებულ აზრის მიხედვით გამოიყვანოს ამა თუ იმ განსაკუთრებით პოეტურ ნაწარმოების ტექსტიდან ის, რაც მას თვითონ მოეპრიანება. ეს მეთოდი სრულებით უარყოფილია რეალისტური კრიტიკის მეთოდოლოგიით, რომელიც მოითხოვს ტექსტის გარჩევისას უმთავრესად სტილის, ტერმინოლოგიის და რეალიების შესწავლას დაწყარებას.

ამას უნდა დაემატოთ ისიც, რომ ავტორის მიერ წამოყენებული გენეალოგია ვეფხისტყაოსნის ტექსტებისა შემცდარ საფუძველზეა აგებული. მაგ., პირველი პლასტად ავტორს მიაჩნია ეგრ. წოდებული ვახტანგისეული ტექსტი, მეორე პლასტი — ეს არისო პოემის სამი დამატება (გაგრძელება). მესამე პლასტი კიდევ მისი აზრით არის ნართაული ადგილები (12 შემატება).

¹ ქვემოთ მოყვანილი გარჩევა „რუსთველიანასი“ ჯემ მიერ დასაბუქდით განზადებული იყო ამავე სახით ა. წ. იანაერში, მაგრამ მაშინ მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა.



უკვე ეს სქემა ამტკიცებს, რომ ავტორი ვერ გარკვეულა ხელნაწერებითი მასალებში. ვფხვ.-ტყაოსნის გაგრძელება არის არსებითად ერთი და იგივე ნაწილად შემატებათა რიცხვი, რომელიც მას, როგორც სჩანს, ეფუძნის-ტყაოსნის ჩვენი პირველი გამოცემის მიხედვით აქვს (არსებითად მაინც) გამოანგარიშებული, ნამდვილად დანატებითი ძიებათა მიხედვით, რიცხვით ბევრად უფრო ნაკლებია. მაგრამ ეს შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია.

უფრო მნიშვნელოვანია მთავარი შეცდომა პ. ინგოროყვისი, თითქოს ვახტანგისეული რედაქცია პოემის პირველ პლასტს წარმოგვადგენდეს. ნამდვილად კი ვახტანგისეული რედაქცია არის ვრცელი რედაქციიდან წარმოშობილია შეუმოკლებული ტექსტი. ამ დებულების სასარგებლოდ, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნულიც იყო ლიტერატურაში (პოემის ჩვენი პირველი გამოცემასა და მეორე გამოცემაშიც), საკმაო ამტკიცე მოსაზრებანი მოიპოვება. დაწერილებით ამ საკითხზე ეხლა აქ არ გავჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რადგანაც ვახტანგისეული რედაქცია არსებითად „პირველ პლასტს“ მაინც არ წარმოადგენს, მაგრამ ვინაიდან იმავე დროს ვახტანგისეული რედაქცია, ექვს გარეშეა, თუმცა მცირედ, მაგრამ მაინც შეიცავს ყალბ ტაეპებს და ავრეთვე შეუსაბამობას ვ.-ტყაოსნის შესავლის ტაეპების დალაგებაში, ამიტომ პ. ინგოროყვა შეუდგა ამ ყალბ ტაეპების ძიებას. მაგრამ იმის მაგიერად, რომ ვ.-ტყაოსნის ტექსტის მოცულობის გამორკვევისას დაყრდნობოდა ხელნაწერებითი მასალებს—ეს არის ერთად ერთი სწორი მეთოდოლოგიური გზა,—ავტორი შესდგომია თავისი საკუთარ ვ.-ტყაოსნის შედგენას. სხვათაირად არ შეიძლება გვგებულ იქნას ავტორის ცდა, მაგ., პოემის შესავალში ნამდვილ ტაეპებთან ერთად შოთას წინააღმდეგ მიმართული პოლემისტური ტაეპების დანახვა. ნამდვილად კი არაფერს ამის მზგავსს პოემის შესავალში აღვლილი არა აქვს და ან ვისთვის რა საჭირო უნდა ყოვილიყო პოემის შესავალში ტაეპის ჩართვით პოეტთან ისეთი პოლემიკის გამართვა, რომლის შემწვევა არვის შეეძლო, რადგან სტილით, ლექსიკით, და ლექსის ღირსებით ეს ვითომდა პოლემისტური ტაეპები არაფრით განირჩევა შესავალს სხვა ტაეპებისაგან. ასეთ პოლემიკას შოთასთან არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა თვით პოლემისტისთვისაც. გარდა ამისა, პ. ინგოროყვისი მიერ ხმარებულ ასეთი მეთოდით პოემის შესავალში ყველაფრის დანახვა შეიძლება—პოლემიკის და არა-პოლემიკის, სიყვარულის გრძნობის იდეალიზაციისა და ამ იდეალიზაციის უარყოფისაც იმისდა მიხედვით, თუ მკვლევარი რომელი წინად აღებული აზრით მიუდგება საკითხს.

ასევე არა სასურველ შთაბეჭდილებას სტოვებს ავტორის ცდა, პოემის დასაწყისში მოთავსებულ ნადირობის სცენის შესამოკლებლად მიმართული. აქაც იგივე განუსაზღვრელი სუბიექტივიზმი, რომელიც ავტორს შესაძლებლობას აძლევს ნადირობის სცენის ტაეპები სანახევროდ შეამოკლოს.

ავტორის მუშაობის მეთოდის შესაფასებლად იმ შემთხვევებში, სადაც ავტორის სუბიექტივიზმი ფინტასმაგორულ მსჯელობიდან რამოდენადმე მაინც ხელმოსაყიდებელ მასალებზე გადადის, შეიძლება მოვიყვანოთ პ. ინგოროყვის მიერ წარმოდგენილ ტექსტის აღდგენის მაგალითები.



ასე, პოემის პირველ თავში მოთავსებულ ერთი ტაგების ბოლო სტრიქონში, რომელიც ჩვეულებრივ იკითხება შემდეგნაირად:

„შე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვკვრეთ, ღამესა ჩვენ უმთავროსა“
 სიტყვას („უმთავროსა“) პ. ინგოროყვა ასწორებს როგორც „უმთენაროსა“ და ამას ვრცლად ასაბუთებს მოვლი გვერდის სიგრძეზე. ეს შესწორება დამყარებულია მე-17 საუკუნის ერთი ხელნაწერის (№ 461, საქ. საისტ.-საეთნ. მუზ.) წაკითხვაზე. ამ ხელნაწერში საბედლობრ „უმთავროსა“-ს მაგივრად იკითხება „მომთენაროსა“. უნდა ითქვას რომ ხელნაწერი № 461 წარმოადგენს თვალსაზრის რედაქციულ ცვლილებათა შემცველ ტექსტს ვეფხის-ტყაოსნისას. უცნობ რედაქტორს მძლავრად ვაუჯრავს თავისი ხელი პოემის ტექსტისათვის, ცალკე ადგილები ლექსში შეუსწორებია, ზოგი კიდევ პირდაპირ დაუმაზინჯებია. ტექსტის ზოგიერთი დამაზინჯება ვ.-ტყაოსნის ამ ხელნაწერის რედაქციაში შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ვადამწერს თუ რედაქტორს, როგორც სჩანს, ხელთ ჰქონდა ვ.-ტყაოსნის დიდად დეფექტიანი ხელნაწერი, რის გამო ლექსის შესავსებად რედაქტორი ხშირად თავისს ფანტაზიას მიმართავდა¹. ასეთ ხელნაწერს ემყარება პ. ინგოროყვა, მაშინ როდესაც № 461 ხელნაწერის პროტოტიპ რედაქციაში, რომელიც წარმოდგენილია ორი ხელნაწერით (№ 4499 წ. კ. სახ. ქოლექტ. და № 1117 საქ. საისტ.-საეთნ. მუზ. კოლექტ.) და რომელიც № 461 ხელნაწერთან ერთად შეიცავს ცალკე კატეგორიის ნართათულ ტაგებს (ჩვენი პირველი გამოცემის მიხედვით ტაგებს ვ კატეგორიისას), ზემოდ დასახელებულ ადგილას იკითხება სწორედ სიტყვა „უმთავროსა“, როგორც ეს არის წარმოდგენილი ყველა სხვა ხელნაწერებშიც. ხოლო ხელნაწერი № 461 შეიცავს პოემის ისეთ რედაქციას, რომელიც ცხადად წარმოშობილია ამ ორს ხელნაწერში წარმოდგენილ რედაქციიდან, რადგან მათ აერთებთ ნართათული ტაგები ვ კატეგორიისა (სხვა ხელნაწერებში ეს ტაგები არაა წარმოდგენილი) და ვარდა ამისა ხელნაწერი № 461 შეიცავს უნიკალურ ნართათულ ტაგებს (ჩვენი პირველი გამოცემის მიხედვით ზ კატეგორიისას). სრულიად აშკარად ცხადია, მაშასადამე, რომ № 461 ხელნაწერის წაკითხვა „მომთენაროსა“ თვით ამ ხელნაწერში დაცულ რედაქციის თვისებას წარმოადგენს, პოემის ნამდვილ ტექსტთან მას არაფერი საერთო არა აქვს და ამიტომ შეუძლებელიც არის, რომ აქედან მიღებულ იქნას სწორი წაკითხვა „უმთენაროსა“².

მაგრამ ავტორის მუშაობის არა თუ მეთოდოლოგიური საშუალებანი, არამედ თვით ძიების ხასიათი განსაკუთრებით ცხადი ხდება, როდესაც ვინუსახლერულ სუბიექტივიზმის სამყაროდან, სადაც ყველაფრის თქმა შეიძლება, ავ-

¹ ვეფხ.-ტყაოს. ჩვენი პირველი გამოც. ტფ. 1913 წ. და წერილი ვეფხ.-ტყ. პრობლემის გარშემო საისტ. მოამბე, 1924 წ. წ. I.

² შეად. კიდევ იქვე ავტორის შესწორება ვ.-ტყაოსნის ეპოლოგის ერთი ტაგში თამარის სახელის გამოსაყვანად:

„... არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარგბლად“
 ნაცვლად წაკითხვისა „ხართა მარგბლად“, როგორც ეს ხელნაწერებშია.



ერეკლესიის

ტორი ისტორიულ ფაქტების და მასალების ანალიზს მიმართულებულია. რუსთველიანას* მეორე ნაწილი, რომელიც წმინდა ისტორიულ ხასიათის გამოკლევას შეიცავს, წარმოადგენს ფრიად დამახასიათებელ ნარკვევს. აქ დაგროვილია ბლომად საისტორიო მასალა, ძლიერ კარგად ერთ მეორეზე ასხმული, მძლავრი დაბეჯითებით ლამაზი თხრობად წარმოდგენილი. ავტორი სათუთი გრძნობით ადევნებს თვალს თავისს საკუთარ ძიებებს და, როგორც სიანს, დიდად დარწმუნებულია მიღებულ შედეგების სისწორეში. ვნახოთ ეხლა, რას წარმოადგენს კრიტიკის თვალსაზრისით „რუსთველიანას“ ეს მეორე ნაწილი, რომელიც ეხება შოთას ეინაობის გარკვევას.

საკითხი შოთა რუსთველის ეინაობის შესახებ არის მთავარი საკითხი „რუსთველიანაში“. ამ საკითხის გარკვევისას ავტორი ცდილობს უკვე ცნობილ ისტორიულ ფაქტებს თავისებურად გამოყენებას და სწორედ ამ გამოყენების ცდაში ის ამშკარავებს მრავალ ძირითადი ხასიათის შეცდომებს და გარდა ამისა ხშირად თვით ისტორიულ ფაქტებისადმი მეტისმეტ თავისუფალ მოპყრობას. მიეკვეთ ავტორს კვალდაკვალ.

ავტორი ფიქრობს, რომ შოთა, ვეფხისტყაოსნის დამწერი, არის იგივე შოთა ჰერეთის ერისთავი (კუპრად წოდებული) და ამ დებულებას ასაბუთებს რამოდენიმე მოსაზრებით, რომელიც ისტორიულ მასალების ვერ-გაგებაზეა დამყარებული. ავტორს, მაგ., ჰგონია, რომ რუსთავი და ტინეანი, რომელიც თამარის მეფობის პირველ წლებში ქართლისა და ტფილისის ამირას აბულასანს ჰქონდა, გადაეცა ჰერეთის ერისთავს გრიგოლისძე ისათს, როდესაც მან ითხოვა „არიშიანსა იდგილსა დაჯდომა სასთაულთი“ (თამარის პირველი მატეიანის ცნობა). ავტორი ვრცლად ამტკიცებს, რომ არიში იგივე რუსთავია და არიშიანი კიდევ რუსთავის პატრონს ეწოდებოდაო.

ნამდვილად კი ცნობილია, რომ ციხე არიში, მატეიანე ქართლიანს ერთი ცნობით, რომელიც მოყავს პ. ინგოროყვასაც, გავაზის ახლოს მდებარეობდა¹. და მართლაც კახეთში ეხლანდელს ქვემო და ზემო გავაზის ხაზის აღმოსაელვებით დაახლ. 8 კილომეტრზე რუკებზე აღნიშნულია არიშის-წყალი (ალაზნის შენაკადი), რომლის ნაპირზე ძველად, ცხადია, მდებარეობდა არიშის ციხე. სოფ. ზემო-გავაზთან, აწინდელ ახალ-სოფელთან ახლოს მართლაც ეხლაც მდებარეობს სოფელი არეში, ამ ეხმად აგარელებით, დასახლებული. არიშიანთა სამფლობელოც მაშასადამე ამ რაიონში იყო. პ. ინგოროყვა შეცდომაში შეიყვანა რუსთავის ეხლანდელმა თურქულმა სახელმა რიშა-კალა (რიშას ციხე), მაგრამ ცხადია, რომ რიშა აქ არის ტერმინის რუსთავის პირველი ნაბეგარის - (რუს) თურქულ ნიადაგზე გადაკეთებული ფორმა. ცხადია ამიტომ, რადგანაც პ. ინგოროყვა ჰერეთის ერისთავებზე რუსთავის მფლობელობის გიდასკელს ამ „არიშიანთა

* „მოსცა (ადარნასე პატრიკმა, ჰერეთის მფლობელმა, კონსტანტინე) აღხაზთა მეფეს მე-10 ს-ნის დასაწყისს) არიში და გავაზნი და ყერიყეს (კახთა ქორიკოსს) ორჭობი და ესრეთ დაიხაუნეს“ (ქ. ცხ-ბა I, 196).



ადგილის“ საკითხს უკავშირებს, რომ ავტორის მთელი კონცეპცია ეჭვქვეშააა
ვაში, როგორც ნიადაგ გამოკლილი, ჰაერში რჩება.

ასევე ჰაერში რჩება, ამის შემდეგ, პ. ინგოროყვას კონცეპცია კიაბერის
ცნობილ სიგელზე ხელისმომწერი შოთას ვინაობის შესახებ, თითქოს ის იყოს
ჰერეთის ერისთავი, რომელიც, ავტორის თქმით (გვ. 185), რუსთავის „მაიო-
რატის“ მიღების შემდეგ ხელახლად ამტკიცებს კიაბერის სიგელს. კიაბერის სი-
გელზე ხელისმომწერი შოთა რომ ჰერეთის ერისთავი ყოფილიყო, ეს (ყოველს
შეზომვევაში მისი ერისთავობა) აღნიშნული იქნებოდა ხელისმომწერაშიც და
თუნდაც ეს არ იყოს, გინვანის ციხე ეახუშტის მიხედვითაც მდებარეობდა
არაგვეზე (ანანურთან ახლოს და მისი სამხრეთით) და საქართველოს ისტორიულ
გეოგრაფიის დიდი უკოდინარობა იქნება, რომ გინვანი თუნდაც მე-12—13
ს-ნეში ჰერეთის ერისთავთა სამფლობელოს მივაკუთნოთ, როგორც ამას სჩადის
პ. ინგოროყვა.

მაგრამ პ. ინგოროყვას, თავისი კონცეპციის წარმოჩენის დროს, სრულიად
არ აბრკოლებს ის გარემოება, რომ შოთა კიაბერის სიგელს ერისთავად არ
აწერს ხელს: „აქ ჩვენ გვაქვს-ო, ამბობს ავტორი (გვ. 187), ნიშნობლივი ჩვე-
ნება იმის შესახებ, რომ შოთა ჰერეთის ერისთავის ძე, ვიდრე იგი მთელი ჰე-
რეთის ერისთავი გახდებოდა, ჯერ ყოველა რუსთველი, ე. ი. რუსთავის მაიო-
რატის მფლობელია“. საკითხის ასე დაყენება თავისთავად უნდა მოიხსნას, რად-
გან, როგორც ვნახეთ, ავტორის მთელი დებულება რუსთავის და გინვანის ჰე-
რეთის ერისთავის სახლზე გადაცემის შესახებ მე-12 ს-ნის დასასრულს, რა-
გორც უნიადაგო, ჰაერში რჩება. ეს სჩანს კიდევ შემდეგი გარემოებიდანაც.

საზოგადოდ ავტორის მთელი კონცეპციისთვის საბედისწერო მნიშვნელობა
ჰქონდა ერთს მსხვილ შეცდომას, რომლის გარკვევა მარტო თავისთავად, სხვა
შეცდომების გარეშეც, პ. ინგოროყვას შრომას, სამწუხაროდ, საფუძვლიანად
არყვეს. ავტორი შოთას სთავის ჰერეთის ერისთავის შეილად და აგრეთვე ჰე-
რეთის ერისთავადაც („შოთა კუპრი“) რომლის მფლობელობაში არის რუსთა-
ვიც. ავტორი დარწმუნებულია, რომ ჰერეთი მტკვრის და რუსთავის ხაზის
აღმოსავლეთით მდებარეობდა. მაგრამ ეს არის დიდი შეცდომა.

მე-5 ს-ნეში, როგორც ეს სჩანს მამათა და ნათესავთა ცხოვრების აღმწე-
რელის თხზულებიდან, ჰერეთი იყო (ამ ფარგლებშია მოხსენებული ჰეროსის
ხედრი მხარე) „ქუყყანა მტკვარისა ჩრდილო, მცირისა ილაზნისა შესართავით-
გან ვიდრე ტყეებადმდე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა“¹. იმავე ავტორისავე
სიტყვით, კახოსის წილი კვეყანა იყო „კავასისა და კახეთის შთას შორის არა-
გვიდან ვიდრე ტყეებადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“². ხოლო კუხო-
სის წილი მდებარეობდა „არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე შთასა
კახეთისასა და მტკვარს შუა“³. ბოსტან-ქალაქი, იგივე რუსთავი, კუხოსის

¹ კ. ცხ. I, 17.
² კ. ცხ. I, 20.
³ იქვე.



წილ ქვეყანაში (კუხეთში) იყო¹. ამ ცნობებიდან უძველეს ხეობებზე უძველეს ხანაშივე კუხეთი და ჰერეთი მდებარეობდა კახეთის სამეფოს² კუხეთი — არაგვ-მტკვარის ხაზიდან აღმოსავლეთით კახეთის მთამდე (ე. ი. აწინდელ ცივ-გომბორის ქედამდის), ხოლო ჰერეთი — ამ კახეთის მთის აღმოსავლეთით. ეს გეოგრაფიული საზღვრები ხსენებულ პროვინციებს ძლიერ დიდხანს შერჩათ. მე-10 ს-ნეში მაგ., ვეერნი ჰერეთში ირიცხებოდა,³ თუმცა უნდა ითქვას, რომ მე-10—11 ს-ნის ცნობებში გეოგრაფიული საზღვრები ხშირად არეულია პოლიტიკურ საზღვრებთან (კახეთის და ჰერეთის დამოუკიდებლად არსებობის გამო) და მატიაწევრის ცნობებით სარგებლობა ამ ხანებისთვის ერთგვარ წინდახედულს ზას და სიფრთხილეს თხოულობს. სამაგიეროდ მე-12—13 ს-ნის ცნობებით კახეთი კუხეთით და ჰერეთი, საქართველოს სამეფოს ფარგლებში მყოფობის გამო, უკვე თავისი გეოგრაფიულ ფარგლებში იგულისხმება. დავით აღმაშენებლის მებატონის არსენის ერთი ცნობიდან, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი II-ის ხანას მიეკუთვნება, სჩანს, რომ მე-11—12 ს-ნეთა მიჯნაზე იორის პირი კუხეთად იწოდებოდა⁴. ამავე ხანებში არიშიანი ჰერეთის დიდებულად ითვლებოდა⁵ და რადგანაც არიშიანის საგულისხმებელ სამეკიდროს — არიშის ციხის — მდებარეობა ცნობილია⁶, ამიტომ ცხადია, რომ ჰერეთის გეოგრაფიული საზღვარი ამ დროს ალაზანს ვალმა ჩრდილოეთით წინანდებურად არის საგულისხმებელი. ამასთანავე ველის-ციხე, როგორც ეს სჩანს გიორგი ლაშის შესახებ ეპითა-ალმწერელის თხრობისაგან, კახეთში ითვლებოდა⁷. ხოლო ველის-ციხე უკვე ძველი დროის კახეთის სამხრეთით მდებარეობდა. გარდა ამისა საჭიროა აღინიშნოს, რომ მე-12—13 ს-ნეში კუხეთი ფრიად იშეიათად იხსენიება და საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციად თამარის დროს კახეთი და ჰერეთი არის ჩვეულებრივ დასახელებული. ეპითა-ალმწერელი მე-13 ს-ნისთვის ასახელებს ჰერეთს, კახეთს და კამბეჩანს⁸. იგივე ეპითა ალმწერელი ამბობს კიდევ, რომ ზერქა ყაენმა ააოხრა „ქვეყანა შარვანისა და ჰერეთი და კახეთი და ყოველი იორის პირი“⁹.

ამ ცნობების მიხედვით საკმაოდ ცხადად სჩანს, რომ მე-12—13 ს-ნეში კახეთად ითვლებოდა ტერიტორია უფრო სამხრეთით, ვიდრე ამას უძველეს ხანისთვის ვხედავთ (ველისციხე ამ დროს კახეთში ირიცხებოდა). კახეთის სამხრეთით არაგვ-მტკვარის აღმოსავლეთით მდებარეობდა კუხეთი, რომლის ფარგლებში შედიოდა ივრის-პირი. კუხეთის აღმოსავლეთით ვიდრე ალაზანამდის მდებარეობდა კამბეჩანი, ხოლო კამბეჩანის აღმოსავლეთით ალაზანს ვალმა იწყებოდა უკვე ჰერეთი.

¹ იქვე.

² ქ. ცხ. I, 196.

³ ქ. ცხ-ბა I, 289.

⁴ ქ. ცხ-ბა I, 242.

⁵ ზემოდ, 83, 244.

⁶ ქ. ცხ-ბა I, 341.

⁷ ქ. ცხ-ბა I, 371: „დაჩსლანს მათვალესო „დაშქარი ჰერეთ-კახეთისა, კამბეჩანისა“.

⁸ ქ. ცხ-ბა I, 400, შეად. კიდევ იქვე 413.



ამის შემდეგ უკვე ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი შექცევითი მოქმედება იყო ინგოროყუცის, როდესაც რუსთავეს ჰერეთში ათავსებს და სწორედ რუსთავეს ჰერეთის ერისთავების კუთვნილებად აცხადებს. ვასაოცარი კიდევ ის არის, რომ პ. ინგოროყუცის, როგორც ვნახეთ, ეჩვენა იც თითქოს ჰერეთის ფარგლებში მოთავსებულად ჰგონია, ნამდვილად კი ყველაფერი ეს ისტორიულ ფაქტების ვერ-გაგებაზეა დამყარებული. ავტორი, როგორც სჩანს, შეცდომაში შეიყვანა თვითმურაზ ბატონიშვილის ცნობამ შოთას წარმომავლობის შესახებ ჰერეთის რუსთაველიდან¹, მაგრამ თვითმურაზს აქ (რუსთავეის მოთავსების შესახებ ჰერეთში) დამყარებული აქვს ცხადი შეცდომა და ამიტომ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ამ შეცდომაზე მთელი თეორიის აგება.

ასევე უნდა დავაგაო — დებულება ჰერეთის ერისთავების და აქედან თვით შოთას ბაგრატიონობის შესახებ. ჰერეთის ერისთავთა გენეალოგიას ავტორი იწყებს „აღმოსავლეთ-ჰერეთის (sic) მე-XI ს-ნის დამოუკიდებელ მეფის“ გრიგოლ I-დან. ჯერ ერთი ამ გრიგოლის, რომლის შვილები ასამ და შოთა იხსენიებიან დავით აღმაშენებლის დროს, „მეფედ“ მოხსენება უსაბუთოა. ასეთი „მეფე“ ნამდვილად არ არსებობდა, მაგრამ გარეშე ამისა ბაგრატიონთა ერთი შტო მე-XI ს-ნემდის ჰერეთში კი არ იყდა, არამედ კამბეჩანში. ამასთანავე კამბეჩანში მობინადრე ბაგრატიონთა ერთი შტო ხორნაბუჯის ბატონები იყვნენ, როგორც ეს გარკვევით სჩანს სუშბატ დავითის ძის ცნობიდან², ხოლო პ. ინგოროყუცის მიერ დასახელებული „აღმოსავლეთ-ჰერეთის მეფე“ (!) გრიგოლი და მისი შვილები გიშლები იყვნენ³.

ხორნაბუჯი კამბეჩანში იყო და ჰერ-კახთა სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო ჰერეთი და კახეთი დავით აღმაშენებელმა დაიპყრო 1103 წლის ახლოს. ამ დროიდან მაშასადამე ხორნაბუჯის ბაგრატიონები საქართველოს სამეფოში შედიოდნენ.

გიში კი დაპყრობილ იქმნა მხოლოდ 1119 წელს და ის, როგორც სჩანს, ჰერ-კახთა სამეფოში ამ დროს არც შედიოდა. ცხადია მაშასადამე, რომ გრიგოლ გიშელის შვილები ასამ და შოთა, რომელნიც დაიპყრნა დავით აღმაშენებელმა 1119 წ., ბაგრატიონები არ იყვნენ. მე-1170 თუ მე-1180 წლებში ამ გვარის მეთაურმა გრიგოლის ძემ ასათმა „მოსტაცა მძლავრებით და მორყევით“ ჰერეთის ერისთავთა საღირს კოლონკელისძეს. ეს გრიგოლი იხსენიება შარვაშას და ამირ-ამირმანის დარბაზობის დროს (1198 წ.). ამის შემდეგ ჰერეთის ერ-

¹ ასე აქვს თვითმურაზს ეს რუსთავე დასახელებული ვეფხის-ტყაოსნის თავის განმარტებაში (E. Takahshi, „Tunc. pykon... II, 586). ჰერეთის ტერიტორიის შეცდომით განუსაზღვრადეთ ზენც (წმ. ნათა და მისი მნიშვნელობა საქართვ. ისტორიაში, ტფილ. 1912 წ.)

² სუშბატი გადმოგვიცემს, რომ გვარამ ბაგრატიონის (ქართლის ბოლო ერისთავის) ორი ძმა ასამ და ვაჟა-ახვარად „წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სასახლარი და დაიპყრეს კამბეჩანი და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამ კამამდე შვილი მათი მთავრობენ შას შინა“ (მარ. ეარ., 333). ამ გვარად მე-11-ს-ნის პირველ ნახევარში, სუშბატის დროს, ხორნაბუჯის ბატონები ბაგრატიონთა სახლის შვილები იყვნენ. თამარ მეფის დროს ხორნაბუჯის ბატონი იყო საღირ მანბატელისძე (ქ. ცხ-თბა).

³ დავით აღმაშენებლის მემკვიდრე არსენი გადმოგვიცემს „მეორესა წელსა (1119 წ.) დაიპყრნა (დავითმა) გრიგოლისძენი ასამ და შოთა და აღიღო ციხე გიში“ (ქ. ცხ. I, 245).



სთავი 40 წლის სივრცეზე წყაროებში არ იხსენიება და შესაძლებელია წლის ახლოს ჰერეთის ერისთავად ვხედავთ შოთა კუპრს.

შესაძლებელია
შეიძლება

რა ნათესაობითი კავშირი იყო გრიგოლსა და შოთა კუპრს შორის, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. მაგრამ ანალოგიისდა მიხედვით (რადგანაც ამ დროს ერისთავობა საერთოდ ცალკე გვარებში იყო შემკვიდრებული ვან-მტკიცებულებული) შესაძლებელია დაშვებულ იქნას, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი იყო გრიგოლ ჰერეთის ერისთავის გვარის წევრი, შეიძლება მისი შეიღობა. მაგრამ რა კავშირი აქვს ამ გვარმოებას რუსთაველის ვინაობის საკითხთან? რასაკვირველია არავითარი, რადგან, როგორც დაეინახეთ, დებულა ჰერეთის ერისთავის სახლისთვის თამარის დროს რუსთავეს გადაცემის შესახებ ჰაერში ჰქვიდა. ჰაერშივე რჩება, მაშასადამე, შოთა კუპრის მიერ რუსთავის მფლობელობის საკითხიც და მით უმეტეს ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია საკითხი რუსთაველის ბაგრატიონობის შესახებ, რადგანაც ეს პ. ინგოროყვას მიერ ნაძალადევიად რუსთაველის ვინაობასთან დაკავშირებულნი პირნი თითონაც არ იყვნენ ბაგრატიონთა წარმომავლობის. ამცს შემდეგ, ცხადია, უნდა მოიხსნას პ. ინგოროყვას განცხადება: „ისტორიული წყაროებისა და ვეუხის-ტყაოსნის რეალიების შედარებითი ანალიზის შემდეგ, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩვენი გამოკვლევის შეთხვევაში ნაწილში, დამტკიცებულია შემდეგი ფაქტით. შოთა, ჰერეთის ბაგრატიონი (1169—1245 წ.), ცნობილი ისტორიული პოლეციე მე-12 საუკუნის დამლევისა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევრისა, არის იგივე შოთა რუსთაველი, ვეუხის-ტყაოსნის ავტორი“-ო (გვ. 201).

მაგრამ პ. ინგოროყვა არ კაყოფილდება ამით. ის განაგრძობს თავისი თეორიის განვითარებას და თავისი ნაშრომის მეხუთე ნაწილში წარმოგვიდგენს ცნობას შოთას ქრისტიანობიდან განდგომილობისა, მისი მანიჭეველობისა და ორდენის მანის მეთაურობის შესახებ. რაზედ აქვს დამყარებული ეს ცნობა პ. ინგოროყვას?

მას მოყავს ორი ციტატა ეპიმა-აღმწერელის ნაწარმოებიდან. პირველი ტექსტი: „ჰერეთისა ერისთავი შოთაი, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უკომბდეს“. — მეორე ტექსტი: „არა რათა ნიქთა და ზნეთა სამამაკატოთა მქონებელი შოთა კუპრი“. ეს ორი ციტატა მოყვანილია მარიამ დედოფლის ვარიანტის მიხედვით, რომელიც (თეიმურაზის ვარიანტთან ერთად), როგორც ცნობილია, სიტყვების დამწერლობის მხრივ ძლიერ კუდს ვარიანტს წარმოადგენს, რადგან შეიცავს აფარებელ შეცდომებს. ეს ცნობილია და ცხადია მაშასადამე, რომ ამა თუ იმ ადგილის წაკითხვის შეცვრება სხვა, უფრო კარგ (წაკითხვის მხრივ) ვარიანტების შემცველ ხელნაწერებთან აუცილებელი საქმეა. სხვა ყველა ხელნაწერების მიხედვით კი ცხადია, რომ, როგორც ეს აზრის მიხედვითაც სჩანს, მარიამის ვარიანტის გამოთქმა „მანისი ფერობისათვის“ ნამდვილად უნდა იკითხებოდეს— „შეისა ფერობისათვის კუპრობით უკომბდეს“¹. ფერის დაკავშირება სპარსულ კ-თან, როგორც ეს პ. ინგოროყვას მოსდის, ყოველად შეუძლებელია, რადგან სპარსულ კ-ის შესატყვისი ძველს ქართულში იყო სრულიად გარკვეული სიტყვა— ბერ ი².

¹ ბროსეს გამოცემაში ეს ადგილი იკითხება ამ გვარად: „რომელსა სიშავისათვის კუპრობით უკომბდეს“.

² მაგ., მე-11 ს. ნეში ტვილისის „ქალაქის ბერნი“ (გ. ი. უფროსნი: კ. ცხ. I, 224) და სხ. ბერ ი იმპარებოდა მოწვეუბულის მნიშვნელობითაც (სპ. კ).

რაც შეეხება მეორე ციტატის წაკითხვას—„შოთა კუპარი“, ესეც გუგებრობაზეა დამყარებული. შატრიანის მარია დედოფლის ვარიანტი¹ სიტყვა კუპარი წარმოადგენილია ზედმეტია-ს ხმარებით, რაც მხოლოდ რიგ მოვლენას წარმოადგენდა ზოგი ეპოქის ქართულ დაწერლობაში. ანაირად პ. ინგოროყვას რწმუნება, რომ შოთა კუპარი იყო მანის ფერი, ე. ი. მანის სექტის (მანიქველები) უფროსი, ტექსტის ფალსიფიკაციაზეა დამყარებული, და ასეთივე ფალსიფიკაციით არის გამოტანილი ტერმინი კუპარი, მართლაც, კუპარი რომ არაბული სიტყვა იყოს, მაშინ ის ქართულად იწებოდა კაფარი ან ქაფარი² და არა კუპარი. საერთოდ შატრიანის ეს ადგილი—ვერეთის ერისთავს შოთას სიშავისათვის კუპრს ეძახდნენო,—იმდენად ცხადია აზრის მიხედვით, რომ ნახზე რაიმე თეორიის აგება ყოველად შეუძლებელია.

მაგრამ გარეშე ამისა, რა კავშირი აქვს შოთა კუპრს — მე-1240 წლებს მოღვაწეს—შოთა რუსთველის პიროვნებასთან? როგორც ზემოდ ვნახეთ, — არავითარი.

პ. ინგოროყვა თვითონ გრძნობს, რომ ტექსტში მართა ერთი ადგილის (და ისიც შეცდომით) განმარტებაზე არ შეიძლება მე-13 ს-ნის პირველ ნახევარში საქართველოში მანიქველების ძლიერი სექტის არსებობის დადასტურება და ამიტომ ის ჩადის მეორე შეცდომას. ის ახდენს ახალს აღმოჩენას, სახელდობრ თვით გიორგი ლაშას მანიქველეობის შესახებ და მოყვას (გვ. 229) სათანადო ადგილი შატრიანდან შემდეგი სახით: „ოდესმე (მეფე გიორგი ლაშა), მსმელ ფრიადისა ლუჩისა თაფლუქისა წარიყვანეს რინდთა თანა, ხოლო რინდნი მან[ნი], მეფისა მისელისა არა მგონებელნი და ლუჩინთა უცნობო ქმნილნი, ზედა მოეტყვენს“³. ნამდვილად კი ეს ადგილი შატრიანე (მარიამის ვარიანტის ვრცელ ვარიანტებთან შედარებით) იკითხება შემდეგნაირად: (გიორგი ლაშამ) „შეიყუარნა თანა მოჰასაკენი მსმურობითა და დედითა უწესობითა თანა აღრეგითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია. ოდესმე მსმელი ფრიადისა ლუჩისა ტფილისს მყოფი წარიყვანეს რინდთა⁴ თანა, რათა მუნ განიძლონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი, მუნ მეფისა მისელისა არა მგონებელნი და ლუჩინთა უცნობო ქმნილნი, ზედა მიეტყვენს და ძლიერად გვემეს, ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯვენე ზედვისაგან დააკლეს“⁵.

ქ. ცხ-ის მარიამის ვარიანტში, სადაც საზოგადოდ ცალკე სიტყვები და-მწერლობის მხრივ ძლიერ გადაშინებულად არის გადმოცემული, ამ ციტატის ცენტრალურ მნიშვნელობის ადგილი იკითხება ანაირად... „ოდესმე მსმელ ფრიადისა ლუჩისა ტფილისს მყოფი წარიყუანეს რინდთა თანა, რათა მან განიძლონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი მან მეფისა მისელისა არა მგონებელნი და ლუ-

¹ ფარსადან გიორგიჯანიძე, მაგ., ხმარობს ქაფარი-ს, იხ. მისი ისტორია, საისტ. მ-ზე 25 წ. 11, 298.

² რინდი, სპ. კრ.—გარყენილი, ლოთი ადამიანი.

³ ქ. ცხ. I, 341: მარ. ვარიანტი, 544. ტექსტი აქ ზედ აღფენილად ვეაქვს წარმოგვიჩინო. შეად. ვ-ტყაოსანი, ზეფნი ვამ., CXII.



ნით უცნობ კმნილნი ზედა ზოგთენეს... აქ ორს აღვიღას სიტყვა მუჟ დამახინჯებული ფორმით არის მოყვანილი (მან), კონტექსტის მიხედვით უცნობია, არავითარი მანის სექტაზე აქ ლამაზაკი არ არის. პ. ინგოროყვას მანის კმნილნი დანწევლობის შეცდომის (მან, ნაცვლად მუნისა) თავისებურად გადაკვამ (მანნი) და თვით ისეთი სრულიად გასაგები სიტყვა, როგორც არის ტფილისი, ვადაკეთა თაფლუქად!

ასევე ფრიად დამახასიათებელია პ. ინგოროყვას მიერ კიდევ ერთი მანიქველ პოეტის ბარამან მანი-ს ენიაობის შეთხზვა. სითანადო აღვიღას ჩახრუხადის შესხმაში იკითხება:

„მარა მარმანმან მკლანი მოგზეიენეს, სიხარულითა სული იწოდის“... (ტ. 58). აქ უნდა იგულისხმებოდეს ამირ(-მარ) მირმანი, სულთან ყიზილ-არსლანის (†1191 წ.) ერთი ძმისშვილთაგანი¹. და სწორედ რომ ძალიან დიდი ფანტაზიაა საჭირო, რომ აქ ბარამან მანი-ს სახელი იქნას ამოკითხული, მით უმეტეს რომ ამ სახელის მატარებელი პირი არსად არ იხსენიება და შთლიანად პ. ინგოროყვას მიერ შეცდომით შეთხზულ პიროვნებას წარმოადგენს.

ყოველ ამის შემდეგ ცხადია, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რუსთველიანს მიეძქვე თავს (ძიებანი შოთას ბიოგრაფიის აღდგენისათვის), რომელიც შეიცავს შემდეგ აბზაცებს: ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი მე-12 საუკუნეში (იგულისხმება, ასე ვთქვათ, გრიგოლის შვილების გვარი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ბაგრატიონისა არ იყო); ჰერეთის საერისთაო მე-12 ს-ნეში, ჰერეთის ბაგრატიონთა (?) და კოლონკელისძეთა გვარის მეტოქეობა, კოლონკელისძეების ლალიტი, ჰერეთის ბაგრატიონები (?) თამარის დროს და სხ. — ყველა ამ აბზაცებს, რომლებიც შიგადაშიგ წარმოგვიდგენენ ავტორის მიერ ფაქტების დამახინჯებას², არა აქვს საკითხისთვის არავითარი მნიშვნელობა. მთელი გრძელი მსჯელობა ავტორისა შოთას ვითომდა საქართველოდან განდევნის შესახებ (გვ. 303—322), აგრეთვე შოთას ცხოვრების უკანასკნელ პერიოდის შესახებ (1213—1245 წ.) დამყარებულია: პირველი ამ დებულებათაგანი — ავტორის ფანტაზიაზე, რადგან არავითარი საბუთი ამ შოთას ვითომდა განდევნის შესახებ პ. ინგოროყვას არ მოყავს, მეორე დებულება კიდევ რუსთველის და შოთას კუპრის იგივეობაზე, მაგრამ ეს აზრი, როგორც დავინახეთ, თავის თავად სრულიად უნიადგაოა.

ავტორის მუშაობის მეთოდს რამოდენადმე ახასიათებს მე-7 თავში მოთავსებული მსჯელობა შოთას ჭანდაკების შესახებ საორბელო ბარელიეფზე (მე-13 ს-ნისა) და შოთას პორტრეტის შესახებ მე-15 ს-ნის ერის თავისუფლ (როგორც ის ეძახის) ხელნაწერში (გვ. 327—374). პირველს შემთხვევაში ავტორი გულის-

¹ ამის შესახებ იხ. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის მეორე გამოც., 1927 წ. გამოკვლევა.

² მაგ., ავტორის მოყვას (გვ. 251) კოლონკელისძეთა გენეალოგია და ბერი ზორანუჯელი, რომელიც მე-13 ს-ნის ნახევარში იხსენიება (ტ. ცხ. I, 385), საღორ მახატელისძის შეილად გამოყვას, ხოლო ამ საღორს უკავშირებს კოლონკელისძეთა გვარს, რისთვისაც არ არსებობს არავითარი საბუთი, რადგან კოლონკელისძეთა გვარს, როგორც სიანს, სხვა იყო და მახატელისძეთა კიდევ სხვა.



ხმობს აძიკვის ბარელიფეს, რომელზედაც გამოქანდაკებული არააქვს მუხურნი ელიქატმონი, შოთა, გამრეკელი, ავაგი. ამ სახელებს შორის პირველი მსგავსებაა — აეტორის გადაკეთებული აქვს ელიქატმონ-ად, რათა ამით პარალელი გაატაროს ორბელითა¹ გვარეულობაში მიღებულ სახელთან ელიგუმ-თან. სახელის ასეთი გადაშინებაზეა დამყარებული აეტორის დებულება აძიკვის ბარელიფეში მოხსენებულ გამრეკელის ორბელად გამოცხადების შესახებ. აეტორს სახელდობრ მოყავს ეამთა-ალმწერელის თხზულებიდან ორი ციტატა და იქიდან გამოყავს სათანადო დასკვნა გამრეკელის ორბელობის შესახებ. ნამდვილად არააფერს ამისი მსგავსს ადგილი არა აქვს. ეამთა-ალმწერელის ერთს ადგილის ქართველი წარწინებულნი წამოთვლილნი არიან ამ სახით: „შანშე და ძე მისი ზაქარია ამირ-სპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, უფარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი, ორბელი, შოთა კუპრი და ყოველნი მთავარნი“². პ. ინგოროყვას ისე გამოყავს, თითქოს აქ მოხსენებული გამრეკელი ორბელი იყოს, ნამდვილად კი მატთანში იქვე მოყვანილია ცნობა, რომლის მიხედვით ეს გამრეკელი თორელი ყოფილა. „...შეკრბეს შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, კაცი მკციერი და ფილისოფოსი დარიტორი, სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი, თორელი გამრეკელი, ორბელნი და მრავალნი ერისმთავარნი და ძიება ყუეს ლაშას ძის დავითისთვის“³. თორელი გამრეკელი ფრიად ცნობილი პიროვნებაა და მატთანში ამ ხანაში რამოდენიმეჯერ იხსენიება⁴. ამ გვარად ცხადია, რომ გამრეკელი იყო თორელი, ხოლო იქვე ზემოდ ეამთა-ალმწერელის ნაწარმოებიდან მოყვანილ ციტატაში მოხსენებული ორბელი სახელით უნდა ყოფილიყო სუმბატ⁵.

ამგვარად პ. ინგოროყვას დებულება — თითქოს აძიკვის ბარელიფეს გამრეკელი იყოს ორბელი, ჭავრში რჩება⁶. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, რისთვის დასჭირდა პ. ინგოროყვას ამ გამრეკელის ორბელად გამოყვანა. იმიტომ რომ, მანდატურთ-უხუცესის კიბაბერის ეინენის სიგელს შოთასთან ერთად ორი ორბელი აწერს ხელს და საქირა იყო აძიკვის ბარელიფეს შოთას გადაბმა კიბაბერის სიგელის შოთასთან ორბელთა გვარეულობის შესწევით. პ. ინგოროყვა ადგას მეტად უცნაურ ტაქტიკას, სახელდობრ, თუ სადმე მე-12 — 13 ს-ნეთა მიჯნაზე ან მე-13 ს-ნის პირველ ნახევარში შოთა იხსენიება, მატანეთა ეს (შოთა კუპრი), სიგელი (კიბაბერის სიგელი), თუ ბარელიფე (აძიკვისა), ყველა ისინი შოთა რუსთველი ყოფილან, მიუხედავად იმისა, რომ ერთი 1240 — 1245 წლებში პერეთის ერისთავია და კუპრის სახელწოდებას ატარებს, მეორე 1195 — 1196 წლის ახლოს ეინენის (ნათელეთში) პატრონია, მესამე კიდევ თრიალეთში იხ-

¹ პ. ინგოროყვა ორბელებს ყველგან თვის წიგნში უწოდებს ორბელიანებს. რაც შეცდომით უნდა იხსენიას. ამ გვარისაგან წარმოშობილია სტეფანოსი სიკელი მთავარეპისკოპოსი, რომელიც სომხურად იწოდება ორბელუანად (ორბელებისაგან წარმოშობილად).

² ქ. ცხოვრება I, 378; მარ. ვარ. 647.

³ ქ. ც-ბა I, 377; მარ. ვარ., 638.

⁴ ქ. ც-ბა I, 362, 371, 375.

⁵ სუმბატ ორბელი იხსენიება მატთანში ამავე წლებში, ქ. ც-ბა I, 373, 383, იხ. კიდევ იქვე ვა. 390.

⁶ არც ისაა ცნობილი, თუ აძიკვის ბარელიფე მართლა მე-13 ს-ნის პირველ ნახევარ-ეკლონის და არა სხვა დროს. ამას კიდევ დამტკიცება ესაჭიროება.

სენიება ისეთ პირობებთან ერთად, რომელნიც არც არიან არსად ცნობილი. ამ ამგვარად ყველაფერი არეულია, ეპოქაც, ტერიტორიაც და პირობებზეც ასეთივე ძირითად შეცდომებს, როგორც რუსთველიანის შემთხვევაში (შოთას ვინაობის შესახებ), შეიცავს პ. ინგოროყვას წიგნის შესახებ ნაწილი — შოთას იკონოგრაფია. ამ ავტორს გრძლიად აქვს გაბმული საუბარი შოთას ცნობილ ძველი პორტრეტის (თვით მინიატიურის) შესახებ, რომელსაც ის მე-15 საუკუნეს მიაკუთვნებს. საბუთად მას მოყავს თვით მინიატიურის ზურგზე მყოფი მინაწერი, რომელშიდაც რამაზი (პ. ინგოროყვას წაკითხვით — რამაზ ერისთავი) არის მოხსენებული. ეს რამაზი მისი გამოკვლევით არის მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრები რამაზ ქსნის ერისთავი. რომ მკითხველს ამ აღმოჩენის სინამდვილეში არავითარი ეჭვი არ დაეხადოს. პ. ინგოროყვა იქვე ათვსებს (გვ. 357) ამ რამაზის შესახებ მინიატიურის ზურგზე მოთავსებულ ცნობის ფაქსიმილეს და რამოდენიმეჯერ იმეორებს, რომ პალეოგრაფიულად ეს მინაწერი მართლაც ცხადლევ მე-15—16 საუკუნის არისო. ნამდვილად კი ქართულ პალეოგრაფიის ელემენტარული ცოდნაც სრულებით საკმარისია, რომ ეს მინაწერი მე-18 საუკუნის ხეობისად იცნოთ. მართლაც, ეს რამაზი იმავე მინიატიურის ზურგზე კიდევ არის მოხსენებული როგორც რამაზ მდივანბეგი. იქვე მოხსენებულია ისიც, რომ ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელშიდაც ეს მინიატიურა იყო მოთავსებული, ამ რამაზ მდივანბეგის ასულის მარიამის მზითვას შეადგენდა. ცნობისთვის კიდევ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს რამაზ მდივანბეგი ერეკლე II-ის თანამედროვეა, ის იხსენიება იესე ოსესძის მემუარებში (და საბუთებშიც) მე-1760 წლებში და სწორედ რომ დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ერეკლე II-ის დროინდელ მინაწერის მე-15 საუკუნის მინაწერად მიღება და მე-1760 წლების მოღვაწის რამაზ მდივანბეგის მე-15 ს-ნის რამაზ ქსნის ერისთავად მიჩნევა. ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ ავტორი ქართულ პალეოგრაფიას სრულად არ იცნობს. ავტორს ამ საკითხის გარკვევისას, როგორც სჩანს, ხელი შეუშალა იმ გარემოებამაც, რომ მას მინიატიურის ყველა მინაწერები არ ჰქონდა გადმოწერილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაინახავდა, რომ დასახელებულ მინაწერებში რამაზის მდივანბეგად მოხსენების ფაქტიც კი ცხადად გვიჩვენებს რამაზის მე-15 ს-თვის მიკუთვნების შეუძლებლობას (მდივანბეგის თანამდებობა მე-15 ს-ნში ქართულ სახელმწიფოებში დადასტურებული არ არის).

ვიმეორებთ, რომ იმ საბუთებით, რომელიც ავტორს მოყვანილი აქვს, მე-1760 წლების მოღვაწის რამაზ მდივანბეგის მე-15 საუკუნის. პიროვნებად მიჩნევა, თუმცა ამ საკითხს თავისთავად ფრიად ცოტა მნიშვნელობა აქვს, უნდა ჩაითვალოს ძლიერ სამწუხარო მოვლენად, რადგან ეს გარემოება თავისთავად წარმოგვიჩენს „რუსთველიანის“ ავტორის სისუსტეს მუშაობის დონეს მხრივ. მიუხედავად ამ სამწუხარო შეცდომისა, მთელი დანარჩენი მსჯელობა პ. ინგოროყვისი შოთას დაჯილდოების შესახებ სეფე-პოეტის (პოეტთა მეფის) წოდებულობით, რისი მაჩვენებელი, მისი აზრით, უნდა იყოს ხსენებულ მინიატიურაში შოთას ქუდზე მოთავსებული ოქროს კალამი, წარმოდგენს საგულისხმიერო ექსკურსს, რომელიც თუნდაც ჯერჯერობით საკმარის დამაჯერებლად არ სჩანდეს, მაინც სძრავს მომავალ ახალ ძიებათათვის. საყურადღებო საკითხებს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თუმცა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“¹ თავისი ძირითადი დებულებების მხრივ, ჩვენის აზრით, მიუხედავად „როგორც შემთხვევაში კიდევ მას ახასიათებს მეთოდოლოგიურად მტკიცედ დასაბუთებულად“² მიიჩნევა, მაინც აქ ვხედავთ აზროვნების ერთგვარ სიკბოვლეს და ამასაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. მიდგომა საკითხებისადმი არის სრულებით ახალი და მასალურად გამოყენებაც საკმაოდ ამომწურავი, კ. კეკელიძე ოლიოზურად აღნიშნავს (მნათ. II, 192), რომ აზრი შოთას პერეოთის რუსთავეთან დაკავშირების შესახებ არ ახალია, ძველია: პირველად ის გამოხატეა თეიმურაზ ბატონიშვილმა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, მერე ამ აზრს ასაბუთებდნენ ს. კაკაბაძე და აბულაძე-ო³. მაგრამ კ. კეკელიძე აქ მართალი არ არის. თეიმურაზი თუმცა ამბობდა, რომ რუსთველი არის იგივე შოთა კუპრი, პერეოთის ერისთავი, მაგრამ პ. ინგოროყვამ თეიმურაზის მიერ შემთხვევით გამოთქმულ მოსაზრებას ხორცი შესახა, დააყენა საკითხი ფრიალ ორიგინალურად და ამ დებულების დასამტკიცებლად მობილიზაცია უყო ყველა საისტორიო მასალეს. პ. ინგოროყვას ცდა, ჩვენის აზრით, დამარცხებით გათავდა, მაგრამ ეს დამარცხება მეტო სიმძინით აწვება უფრო თვით დებულებას, რომელიც თეიმურაზიდან მომდინარეობდა, ვიდრე „რუსთველიანას“ ავტორს. მართლაც, თუ შესაძლებელი იყო როდესმე თეიმურაზის მიერ წამოყენებულ დებულების—შოთა რუსთველის და შოთა კუპრის იგივეობის შესახებ—გაღვიძება, „რუსთველიანამ“ მთელი თავისი საბუთიანობით უკვე ცხადად დაგვანახა, რომ ეს დებულება მისაღები არ ყოფილა. მაგრამ ამ დებულების, ისე როგორც სხვა დებულებათა, დასაბუთების დროს „რუსთველიანა“ წარმოგვიჩვენებს ბევრი კერძო ისტორიული საკითხის დეტალურად გარკვევის და გარჩევის ახალს ცდას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ხშირად შემცდარია ან შეცლომით გ-გებულ მასალეზე არის დაყრდნობილი, მაინც ყურადღებას იპყრობს თავისი სიახლით.

დაუბრუნდეთ ეხლა კ. კეკელიძის კრიტიკას „რუსთველიანას“ შესახებ (მნათ. II, 181—204).

კ. კეკელიძის კრიტიკას „რუსთველიანას“ შესახებ ახასიათებს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება, რომ ავტორი ანგარიშს არ უწევს პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილ მთლიანად ჩამოყალიბებულ ფაქტების და დებულებათა კომპლექსს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ძირითად მნიშვნელობის ხაზებს და დებულებებს და ჩერდება წერილმანებზე. „რუსთველიანა“ არის სასურაღღებო იმიო, რომ ის არის შევეთრად ჩამოყალიბებული ვრცელი გამოკვლევა, რომელსაც, როგორც ყველა სხვა გამოკვლევას, ახასიათებს როგორც ძირითადი მომენტები, ისე წერილმანებია. დაუშვებელია, რომ კრიტიკოსმა ნება მისცეს თავის თავს დამაყოფილდეს მთლიანი სისტემიდან მგორე ხარისხოვან საკითხების გამოკრებით და მითი გარჩევით, მთავარი ხაზებს კი შედარებით ნაკლები ყურადღება ნიაპყრას. სამწუხაროდ, კრიტიკის ეს მოთხოვნები კ. კეკელიძეს შესრულე-

¹ ი. აბულაძეს ამ შემთხვევაში გადმოღებული ჰქონდა ეს ახრი ჩვენზე გამოცეიდან ამის მოუხსენებლოვ, არგუმენტაციაც ჩვენი გამოცეიდან იყო გადმოწერილი (შეად. ვეფხ. ტყ. ჩვენი პირველი გამ. ტფ. 1918 წ. გვ. 64 და მე 2ჯ გამ. ი. აბულაძისა; ტფ. 1914 წ. სვ. VI—VII)



ბული არა აქვს, რის გამო მისი კრიტიკული წერილი (ორიოდე ცალკე უაქტის განხილვის გარდა) მოკლებულია სერიოზულ მნიშვნელობას. უნდა მნიშვნელობა აქვს, მაგ., ზეპირ მსჯელობას იმის შესახებ, არის თუ არა სტრუქტურის მნიშვნელობა პ. ინგოროყვას მიერ აღიარებულ პლასტების დათარიღება მთლად სწორი. ვეფხის-ტყაოსანს, როგორც ცნობილია, აქვს გაგრძელებები და ნართაული ადგილები. პ. ინგოროყვამ წარმოადგინა მათი ერთგვარი დათარიღების ცდა¹. შესაძლებელია ამ დათარიღებაში საჭირო იყოს ჩვენის აზრით ასეც არის შესწორებების შეტანა, მაგრამ ამ თარიღებს თავისთავად აქვს მეორე და მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა. პ. ინგოროყვა არსებითად ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ვეფხის-ტყაოსანის პროლოგი და ეპილოგი, რომელნიც შეიცავენ ისტორიულ ხასიათის ცნობებს, პოემის უძველეს ვერსიის შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ. ამ ძირითადი დებულების მაგივრად კ. კეკელიძემ იერიში მიიტანა მეორე ხარისხოვან საკითხებზე, თუმცა აქაც უმეტეს ნაწილად მისი არგუმენტაცია, ვ. ტყაოსანის ხელნაწერებითი მასალების მის მიერ არა-საკმაოდ შესწავლის გამო, მეტად მოისუსტებს.

მთავარი საყურადღებო ნაწილად კ. კეკელიძის კრიტიკულ წერილში „რუსთაველიანას“ შესახებ უნდა ჩაითვალოს ექსკურსი შოთას მანიქველობის წინააღმდეგ, რაც კ. კეკელიძეს სწორადაც აქვს წარმოადგენილი.

3. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ გარდა კ. კეკელიძე ცალკე წერილში² შეეხო ვეფხის-ტყაოსანის ჩვენს მეორე გამოცემასაც, ყოველი ახალი ძიების კრიტიკული განხილვა სასურველი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა თვით მკვლევარისთვის თუ ავტორისთვის, ასეა ყოველს შემთხვევაში ყველაგან ნორმალური პირობებში. მაგრამ ჩვენში კრიტიკა ძლიერ ხშირად ექვემდებარება პირად ანგარიშებს და ზრახვებს, რის გამო მეცნიერულ აზროვნების ამ ფრიად საჭირო და მამოძრავებელ ძალას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

კ. კეკელიძე იწვევს ჩვენი შრომის კრიტიკას მეტად უცნაურად. მკითხველმა იცის, რომ წინა-ხანებში წარმოებულ ძიების დროს ვეფხის-ტყაოსანის დამწერად ჩვენ ვთვლიდით მე-13 ს-ნის მეორე ნახევარში თუ ამავე საუკუნის დასასრულს მცხოვრებ სარგის თმოგველს, ხოლო თვით შოთას, არსებითად პოემის გაგრძელების ავტორს, მივაკუთვნებდით პირველად მე-15 ს-ნის დასაწყისს, ხოლო შემდეგ მე-14 ს-ნის პირველ ნახევარს. საკითხის ამგვარ დაყენებას ჰქონდა თავისი საკმაოდ ღრმა მიზეზები. ერთის მხრივ ამას ხელს უწყობდა, სხვა ძირითად ხასიათის მომენტებს რომ თავი დაეანებოთ, ვეფხის-ტყაოსანის ბოლო-შივე მოცემული ცნობა³, რომლის მიხედვით რუსთაველი არის მოსე ხონელის და სარგის თმოგველის შემდეგ მცხოვრები მწერალი, ხოლო შავთელი იხსე

¹ ამგვარი ცდები ვეჭონდა ჩვენც: ვეფხ.-ტყ. პირე. გამ. 1918 წ. და მეორე გამ., 1927 წ.

² კიდევ ვეფხის-ტყაოსანის გარეშე, მნათ. V—VI, გვ. 161—188.

³ ამირან დარეჯანისძე მოსეს უკმა ხონელსა,

აბფულმესია—შავთელსა, ლექსი მას უქვს რომელსა.

დილარგეთ—სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელ სა

და ტარიელ მასა რუსთაველსა, მისთვი ს ერემდ შეუშრობელსა.



ნიება მატიაწეს მიერ გარკვევით მხოლოდ თამარ მეფის დროს დასარქვის თხოველი, „ფილასოფოსი და რიტორი“, მხოლოდ მე-1230—1260 წლებში შეიძლება პირთენებად. მეორეს მხრივ მე-14—15 საუკუნის საქართველოში ისტორიის გაურკვეველობა და წყვედიადით მოცულობა შესაძლებლად ხდისა საქარო ძიებათა დროს ისეთი ახალი ფაქტების მიგნებას, რომელთა სისწორით გაგება ყოველთვის მაშინვე არ ხერხდებოდა. ამიტომ ვ.-ტყაოსნის ჩვენს ახალ გამოცემაში (გვ. XL) ჩვენ ეამზობდით, რომ მე-14—15 საუკუნეთა შესახებ წარმოებულ ძიებებით გატაცებამ (რაც ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-14—15 ს-ნის საქართველოს ისტორიის ყურძო საკითხების შესახებაც წინად თრთქმის არავითარი გამოკვლევები არ იყო) გამოიწვია თავის დროზე ვეფსიან-ტყაოსნის საკითხის სხვაგვარად დაყენება, ვიდრე ეს ტრადიციული აზრით მიიწეული იყო. მაგრამ ესა, როდესაც მე-14—15 ს-ნის შესახებ უკუავერესად ჩვენ მიერ წარმოებულ (ნაწილობრივ დაუბეკდავ) ძიებათა შემდეგ ბევრი რამ უკვე საკმაოდ გამოკვლეულად სწანს, შესაძლებელი ვახდა ვეფსიან-ტყაოსნის შესახებ დაშვებულ შეცდომათა შესწორებაც. კ. კეკელიძემ კი (მნათ. V—VI, გვ. 169) მომაწერა, თითქოს მე ვწერდუ, რომ განგებ და წინადავე აკვიატებული აზრით მე გადავიტანე ვეფსიან-ტყაოსნის დაწერის თარიღი თამარ მეფის ეპოქიდან და ასევე განგებ ესა ვთხზავ ახალს თეორიას. შეათხველვა თერთ დასდვას მსჯავიო კ. კეკელიძის ასეთ მოქმედებას¹). საქაროდ ვთვლით მხოლოდ აღენიწნოთ რომ კ. კეკელიძესთვის ასეთი ხერხით (ე.ი. სხვისი აზრის არსებიათად გადასხვაფერებით) კრიტიკის წარმოება პირველი არ არის. რომ ეს მართლაც ასეა ეს სწანს, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტებიდანაც. ჩვენ იძულებული ვართ ამ წერალმანებზე შეეჩრდეთ, რადგანაც კ. კეკელიძე თავისს „ქრატაკას“ ამ ფაქტებთა იწყებს და მათ, როგორც ეტყობა, მთავარ მნიშვნელოზას აძლევს.

კ. კეკელიძე ამზობს (მნათ. V—VI, გვ. 170), თითქოს მე „ერთი სიტყვითაც“ არ ვიხსენიებდუ იმ პირთ (ნ. მარის ვარდა), რომელთაც გარკვეული ლეწლი მიუძღვისთ ვ.-ტყაოსნის შესწავლაში. შეითხველვა კ. კეკელიძის ამ სიტყვების სიმართლის შესამოწმებლად კეთილ-ინებოთ და გადაშალოთ ჩენი გამოცემის მე-XXXI—XXXIX გვერდი, სადაც მთელი მ¹/₂ გვერდას სიგრაქზე სათაურით — „შებედულებათა განვითარება ვეფსიან-ტყაოსანზე“ — მოთხრობალია საკითხის შესწავლის ისტორია და მოკლედ გადმოკვმულია ყველა მნიშვნელოვანი აზრები ვ.-ტყაოსანზე (არჩილ მეფის, ვახტანგის, ანტონ კათალიკოზის, თეიმურაზ ბატონიშვილის, დ. ჩუბინაშვილის, მ. ბროსესი, დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, ალ. სარაჯიშვილის, ალ. ხახანაშვილის, დ. კარაქაშვილის, ნიკ. მარკას

¹ სამწებროდ, ადგილის სიმეირის გამო აქ ვერ მოკვდავს ტექსტუალურად ჩენი და კ. კეკელიძის ნათქვამი, რომ შეითხველი თითონ დაჩწმენებულაუ კ. კეკელიძის მოქმედების ნასიათო.

და ბოლოს ჩენიც¹. კ. კეკელიძეს, როგორც სწანს, თავისი თავისი საქარია-
ნის და ი. აბულაძის მეტი ვეფხის-ტყაოსნის მკოდნედ არაეინ მიაჩნია. ჩვენ კი
მოეისწინეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მკოდნე მკოდნე
ნის შესახებ და თუ ხსენებულ პირთა აზრებიც ამიტომ დარჩა მოუხსენებელი,
ეს ჩვენი ბრალი არ არის.

კ. კეკელიძეს ამის შემდეგ მოყავს კიდევ 6 ბრალდება ჩვენს წინააღმდეგ-
განებილობათ ისინი სათითაოდ.

1. ს. კაკაბაძის ახალი ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომ
შოთა იყო მანდატურთ-უხუცესის ქიაბერის შვილი, პირველად გამოსთქვა მ. ჯა-
ნაშვილმა, რასაც ს. კაკაბაძე არ იხსენიებს და ესაა თავისი შეხედულებად
ასაღებსო.

ეს აზრი პირველად გამოსთქვა არა მ. ჯანაშვილმა, არამედ თ. ჯორდანიამ
(ქრონიკ. I, 278), რომელმაც პირველმა დაბეჭდა ქიაბერის სიგელი და ამ სი-
გელზე შოთის მოთავესებულ ხელისმოწერას შემდეგი განმარტება მისცა: „ეს
შოთა უნდა იყოს რუსთველი: სხვა შოთა ისტორიულ პირთ შორის არ სწანს
თამარის დროს“. მეტი არაფერი. როგორც შეითხველი ხედავს, არავითარი არ-
გუმენტაცია თ. ჯორდანიას (არც მ. ჯანაშვილს) აქ არ მოყავდა, ეს იყო შემ-
თხვევით გამოთქმული მოსაზრება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს სა-
კმაოდ რთულ კონცეპციასთან. შემთხვევით გამოთქმულ მოსაზრების მოუხსენებ-
ლობა კი, საერთოდ მიღებულ წესის მიხედვით, როგორც ცნობილია, სრულიად
დასაშვებია.

2. ს. კაკაბაძის აზრი, რომ ვეფხის-ტყაოსნის პროზაული ამბავი დაბუშა-
ვებულია სარგის თმოგველის მიერ მოხსენებული აქვს ი. აბულაძეს მის ახალს
გამოცემაში ს. კაკაბაძეზე აღრე და ეს მას მოხსენებული არა აქვსო, ამბობს კ.
კეკელიძე.

ერთი რომ სარგის თმოგველის მიერ პროზაულ ვეფხის-ტყაოსნის დაწერის
შესახებ მოსაზრება პირველად სწორედ ჩვენ მიერ იყო გამოთქმული ჯერ კი-
დეც 1913 წ.² გარდა ამისა, ჩვენში საკმაოდ ცნობილია ი. აბულაძის ლიტერა-
ტურული სეხებების თავისუფალი მიდრეკილებანი და ეს კ. კეკელიძემაც კარგად
იცის.

და რომ მართლაც ეს მოსაზრება (პროზაულ ვეფხის-ტყაოსნის დაწერის შე-
სახებ სარგის თმოგველის მიერ) ი. აბულაძეს ჩვენგან აქვს გაგებული და დამოუკი-
დებლივ არა აქვს დამუშავებული, ეს სწანს ამ მოსაზრების შესახებ ი. აბულა-
ძის მიერ მოყვანილ უცნაურ არგუმენტაციიდანაც, რომელიც ისე უდგება შთელს
დებულებას, როგორც ძროხას უნავირო. სახელდობრ ი. აბულაძე ვ-ტყაოსნის
ბოლო ტაეპის ერთს ცნობილ ლექსს

„დიღარგეთ (უჭია) სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“

¹ კ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ ამ დროს ჯერ გამოსული არ იყო.

² ს. კაკაბაძე, ვინ იღო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი, გვ. 1.



სრული თვითნებობით ასწორებს შემდეგ ნაირად: „[ავთანდილს] სწავლის თმოგველსა“ და სხ., ე. ი. სარგის თმოგველს დილარგეთ გმურულ-ჟეჯისულ არ უქია, არამედ ავთანდილისაო. ასეთია ეს ნაძალადევად მიღებული არგუმენტაცია. ი. აბულაძეზე ითქმის: слышал звон, да не знает откуда он.

3. ს. კაკაბაძე ჩახრუხადის შესხმის ცნობილ მინაწერის („მოხვევსძეთა ჩახრუხასძეთა ექო თამარი მეფე წყლიანი“) საფუძველზე ამტკიცებს, რომ ჩახრუხაძე იყო შოთას ძმაო, ხოლო ეს აზრი გამოთქმული აქვს ი. აბულაძეს ვ.-ტყაოსნის თავის ახალს გამოცემაში და ს. კაკაბაძეს ეს არ მოუხსენებიაო, ამბობს კ. კეკელიძე. ი. აბულაძეს ეს აზრი (იხე როგორც დებულება სარგის თმოგველის როლის შესახებ ვ.-ტყაოსნის მიმართ) აღებული აქვს ჩვენგან თვით წიგნის ბეჭდვის დროს, რის გამო მისი არგუმენტაცია ამ შემთხვევაშიც კურიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ი. აბულაძე დასახელებულ ადგილას სახელდობრ ამბობს (დაუსაბუთებლივ), რომ „ჩახრუხაძე რამდენიმე ყოფილაო“ და შოთაც „შესაძლებელია ერთი ჩახრუხაძეთაგანიც ყოფილიყო და ჩახრუხაძესა და შავთელთან (!) ერთად ეკუთვნოდა ერთსა და იმავე გვარულობას“—ო¹. როგორც მკითხველი ხედავს, ი. აბულაძეს ყველაფერი არეული აქვს—ჩახრუხაძეებიც, შავთელიც და შოთაც და ეს იმიტომ, რომ მან შემთხვევით გააგონილ ანდა ცალი თვალთ წაკითხულ ცნობას, როგორც სჩანს, ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო.

4. კ. კეკელიძე გვიჩივის, რომ აზრი თითქოს თამარიანის ელევიაში აღნიშნული მოგზაური პოეტი შესაძლებელია ვეფხის-ტყაოსნის ავტორად იგულისხმებოდეს, ისე მისი დასაბუთება ნ. მარრს ეკუთვნისო და ამას კ. კაკაბაძე იმეორებს და არ იხსენიებსო. კ. კეკელიძე ამასთანავე ასახელებს ნ. მარრის ცნობილ შრომას Грyз. повема Витязь в Барсовой шкyре ИАН, 1917 г. стр. 502—505.

ჩვენ ნ. მარრის შრომის (რომელიც ჩვენც რამოდენიმეჯერ მოხსენებული გვაქვს ჩვენს გამოცვლევაში) ამ ადგილისთვის გამოცვლევის წერის დროს მართლაც ყურადღება არ მივუქცევია, მაგრამ უნახოთ, მართლაც რას სწერდა ნ. მარრი. ნიკ. მარრი ჩახრუხადის ცნობილ ელევიაში ხედავს ორი პოეტის ნაწარმოებს. პირველი პოეტი—ქრისტიანი, ნ. მარრის აზრით, დასტირის ელევიაში თავისი მეგობრის მამადიან მოშაირეს მწარე ბედს. ნ. მარრი ამასთანავე შენიშნავს...

„Полутиный вопрос, какое отношение между груз. стихотворным рассказом современного поэта-христианина о влюбленном грузинском поэте-мусульманине и между грузинской легендой, записанной в XIX веке, о влюбленном поэте Шоте, представляемом христианином и поклонником Тамара? Имеем ли здесь двух поэтов с тождественной судьбой в различные эпохи или две версии сказания об одном и том же поэте—Шоте, одну первоначальную в изложении современного поэта с изображением судьбы поэта-мусульманина, другую позднейшую, легендарную... Я пока только ставлю вопрос.

¹ ვ.-ტყაოსანი მე-26 გამ., გვ. LXXVIII.

როგორც ვხედავთ, ნიკ. მარრს გადაჭრით აქ თავისი აზრი არ გამოუტყვემს. მაგრამ ერთგვარი შეხვედრა მის მიერ მაშინ საეკლესიო დასმულ საკითხსა და ებ-
ლა ჩვენ მიერ ამ შემთხვევაში გამოთქმულ მოსაზრებას შორის, ^{კეკელიძე} არის
და ეს მხოლოდ ანტიკონსტანტინოპოლის ელევგის განოყენების შესაძლებლობის
გრაფიის აღსადგენად.

რომ ჩახრუხადის შესხმაში მოთავსებულ ელევგას პირველად ნ. მარრა მი-
აქცია ყურადღება, ჩვენც აღნიშნული გვაქვს (ჩვენი გამოც. ვ-ტყ., გვ. LXXIII).
ხოლო რაც შეეხება პ. ინგოროყვას მიერ უტრან. კავკასიონში 1924 წ.
№ 1—2 წარმოდგენილ ბოგრაფიას ჩახრუხადისას, რაზედაც უჩვენებს კ. კეკელიძე
კ(დასახ. ადგ.), ამ შრომასა და ჩვენს დებულებას შორის არ არის არაფერი საერთო.
პ. ინგოროყვას დასახელებული ელევგია ესმოდა როგორც ორი ძმის—ჩახრუხადის და
ვინმე ბარამან მანის შესახებ ცნობების შემცველი ნაწარმოები, ჩვენ კი მას
ვთვლიდით შოთას ბედის გამომხატველ ნაწარმოებად.

კ. კეკელიძეს ავიწყდება ერთი რამ. ლიტერატურული წესი, რომელსაც
კ. კეკელიძე ასე ხშირად უგულვებელ ყოფს, მოითხოვს სხვისი დებულებით სარ-
გებლობისას ან ამ დებულებებზე დამყარებისას ამის მოხსენებას, მაგრამ სრუ-
ლიად არ მოითხოვს, როდესაც დებულებები სხვადასხვაა, ამა თუ იმ საკითხის
შესახებ მთელი ლიტერატურის დასახელებას. სათანადო ლიტერატურის მთლია-
ნად მოხსენება ყოველ ცალკე შემთხვევაში ეს სრულებით ავტორის სურველზეა
დამყარებული და როდესაც წიგნი იბეჭდება საკუთარი საშუალებებით, როგორც
ეს ჩვენი გამოცემის დროს იყო, მაშინ ამისი განზორციელება ფრიად საძნელოც
ხდება. მაგრამ ნუ თუ კ. კეკელიძემ არ იცის სავალდებულო ციტაციასა და სა-
კითხის შესახებ სრული ლიტერატურის დასახელებას შორის არსებული განს-
ხვადება? როგორც სჩანს, ეს განსხვავება მისთვის მართლაც ნათელი არ ყო-
ფილა.

და რომ ეს ასე არის, ე. ი. რომ კ. კეკელიძესთვის უცნობი ყოფილა ცი-
ტაციის ელემენტარული მოთხოვნილება, ეს სჩანს მისი მე-5 ბრალდებიდან.
„მთელი თავი—ვეფხისტყაოსანი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით,
ამბობს კ. კეკელიძე, წარმოადგენს განვითარებას ან უკეთ პოპულიარიზაციას
ნ. მარრის მიერ თავის დროს წამოყენებული დებულებისას. მართალია, ს. კა-
კაბაძე ამ შემთხვევაში აქა-იქ ასახელებს ნ. მარრს, მაგრამ არა როგორც პირ-
ველ წყაროს ამ დებულებისას მთლიანად, არამედ როგორც თანამოაზრეს
ს. კაკაბაძისას ამა თუ იმ კერძო საკითხში“—ო (მნათ. V—VI, გვ. 172).

მკითხველმა გადაშალოს ჩვენი გამოცემის გვერდები XXXI მე-2 შენიშვნა,
და XXXVII და შემდეგ თავი—„ვეფხ.-ტყაოსანი კულტ.-ისტორ. თვალსაზრის-
ით“ (გვ. CVII—CXXXII), რათა დარწმუნდეს კ. კეკელიძის ამ განცხადების
სრულს სიყალბეში. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ციტაციის ყველა
მოთხოვნილება აქ სავსებით დაცულია. კ. კეკელიძის ასეთი განცხადება მით
უმეტეს უცნაურად სჩანს, რომ ჩვენს გამოცემაში (გვ. XXXI) ნიკ. მარრის მარ-
თლაც დიადი და განსაკუთრებული ღვაწლი ვ-ტყაოსნის შესწავლაში ხაზ-
გასმით არის აღნიშნული.



ამის შემდეგ, უკვე ცხადია, რა ფასი უნდა ჰქონდეს კ. კეკელიძის კრიტიკულ (მე-6) ბრალდებას, თითქოს დებულება ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის რევიზიონალობის შესახებ ჩვენ კ. კეკელიძის ქართულ ლიტერატურის ისტორიულ-კრიტიკულ გეგმონდეს ნასესხები და ეს კი არ მოგვეხსენებია. ეს აზრი (პოემის სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ) პირველად „საბოლოოდ“ მე ჩამოვყალიბეო, გვარ-წმუნებს კ. კეკელიძე და საბუთად მოყავს თავისი „ქართ. ლიტ. ისტორია“ ტ. II, სადაც მას ნათქვამი ჰქონდა: „(ზლაპარი პოემისა და ჩონჩხი) ავტორს (ვ.-ტყაოსნისას) თითონ გაუკეთებია, ვახტანგის ტერმინოლოგიით ან შეუთხზეს და თუ შეიძლება მას სპარსული ან აღმოსავლური ამბავი ვეწოდოთ, იმდენად რამდენადაც ზოგიერთი ძეგლები ამ ჩონჩხისა და დეტალები ზლაპრისა ამოღებულია სპარსეთის ეპოსის ისეთი ნიმუშებიდან, როგორცაა ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, შაჰნამე, ბარამ-გურიანი, ლეილა-მიჯნუნიანი და სხ.“ (ქართ. ლიტ. ისტ. II, 140—141).

კ. კეკელიძის ქართ. ლიტერატ. ისტორია ტ. II იბეჭდებოდა 1924 წლის შემოდგომიდან და დამთავრდა 1925 წ. იანვარში. 1924 წლის მარტში, ე. ი. მაშასადამე ხსენებულ წიგნის ბეჭდვის დაწყებაზე თვალსაჩინოდ აღრე, გამოვიდა „საისტორიო მოამბე“ წ. I 1924 წლისა, რომელშიდაც მოთავსებული იყო ჩვენი წერილი—„ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარშემო“, რომელსაც კ. კეკელიძეც იხსენიებს თავის დასახელებულ ქართ. ლიტერ. ისტორიაში, ტ. II, გვ. 107. ამ ჩვენს წერილში, სადაც საკითხი ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ ფართოდ იყო დასმული, ჩვენ სხვათა შორის ვწერდით:

„ამ (იქვე ჩამოთვლილ) ფაქტების გამო შესაძლებელია მიღებულ იქნას ვ.-ტყ.-სნის სიუჟეტის წარმოშობა ქართულსავე წინადაცხ. ეს რასაკვირველია არ უარყოფს მისავე სიუჟეტში სპარსულ პოემისათვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებათა ჩაქოვას და საზოგადოდ პოემის სიუჟეტის განკითხვაზე იმავე სპარსულ ლიტერატურულ ნორმების ზეგავლენას. პირიქით, როგორც ერთი, ისე მეორე უკვე მტკიცედ დადასტურებულია და აქ განმეორებას არ სჭირდება. შეიძლება აქ მხოლოდ ხახვასმით აღნიშნულ იქნას, რომ პარალელურად სპარსულ ლიტერატურულ ნორმების ზეგავლენისა, ზემოდ მოყვანილ ფაქტების მიხედვით საფიქრებელია პოემის სიუჟეტის ქართულ წინადაცხ. მაშასადამე ორიგინალური შემოქმედების გზით, წარმოშობა“. (სა-ისტ. მ-ზე წ. I. 1924 წ. გვ. 151).

მკითხველი ცხადად ხედავს, რომ თუ დებულების შესახებ შეიძლება ლაპარაკი, ამ შემთხვევაში სწორედ კ. კეკელიძეს აქვს ეს დებულება ჩვენგან ხასხსხები, მაგრამ ეს გარემოება, როგორც სჩანს, დავიწყებია და ესაა აქეთ გვედავება. ამას ჰქვია სწორედ: с темным годом на дороге.

კრიტიკის ასეთი წესი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ავტორი წინასწარ აღებული აზრით ცდილობს უარყოფით დაიხასიათოს ახლად გამოსული ჩვენი გამოკვლევა, რომელიც ისტორიულ ძიების მხოლოდ ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს და სხვა პრეტენზია მას არ აქვს. კ. კეკელიძესთვის ამიტომ მთელს ჩვენს გამოცემაში დადებითი მომენტი არც ერთი არ აღმოჩნდა, ყველაფერი უაფთხა უქუსაგდები და თვით გამოცემაც, როგორც სჩანს, უარყოფითი კრიტიკოსს, რასაკვირველია, აქვს სრული უფლება თავისი აზრი იქონიოს ამა თუ იმ გამოცემის შესახებ. მართალია თუ არა კ. კეკელიძე და არის თუ არა ჩვენი გამოცემა მთლად უარსაყოფელი, ამის განსჯა ქართველ მკით-

ხველ საზოგადოებისათვის მიგვიწვდეთ. ჩვენ კი დავემსახურებოდეთ იმდენად, რამდენადაც ადგილის ეკონომიის საჭიროება ნებას იძლევა, კ. კეკელიძის მიერ ჩვენი დებულებათა შესახებ მსჯელობის დროს ფაქტების მოკლედ შესწავრა და მახინჯებათა აღნიშვნას.

კ. კეკელიძე, მგ., აღნიშნავს (მნათ. V—VI, 175), რომ ს. კაკაბაძის ცდა ეპილოგის დასაწყისად ცნობილ ტაეპის სარგის თმოგველის მოხსენებით¹ აღიარების შესახებ უაღრესად სუბიექტიურია. ასევე ჩვენი კრიტიკოსი უარყოფს (გვ. 173—174) ჩვენ მიერ ნაჩვენებ შესაძლებლობას, რათა ხელნაწერი № 1117-ის შესავლის ნართაულ ტაეპში დავით მეფის მოხსენება გამოყენებულ იქნას გაგრძელების და ნართაულ სტროფების დასათარიღებლად, მაგრამ ყველაფერს ამას უარყოფს ცარიელი სიტყვით, მაშინ როდესაც ჩვენ საამისო მოსაზრებანიც გეჭონდა მოყვანილი (გ.-ტყ., XI—XII).

ჩახრუბაძის თამარიანის ჩვენ მიერ დათარიღების საკითხში კ. კეკელიძე წინააღმდეგია იმ დებულების, რომ იმ შესხმაში არ არის მოხსენებული ბოლოსტიკეს ომი, ამიტომ მთელს ჩვენს ამის შესახებ არგუმენტაციას არც იხილავს და ავტორიტეტულად ამბობს—აქ ორი შეცდომაა: 1) შესხმაში მოხსენებულია, რომ დავით მეფეს ტყვედ ჩაუვარდა ეზინკელი ამირა (ერზინჯანის მფლობელი) და ეს კი მოხდა როკ-ედ-დინ სულთანთან მომხდარ ბოლოსტიკეს ომშიო და 2) ვანაგრობს კ. კეკელიძე, „ბოლოსტიკეს ომი 1203 წელს კი არ მომხდარა, არამედ 1206 წელს, როგორც ეს ზედმიწევნით გამოიანგარიშა თავის დროს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა სპარსელ ისტორიკოსთა ცნობებით და ლიშა გიორგის შესწორებული ქორონიკონით“—ო (გვ. 184).

ეზინკას ამირა მართლაც ტყვედ შეიპყრეს ქართველებმა ბოლოსტიკეს ომში, მაგრამ ამ ამირას შესახებ ჩახრუბაძის შესხმაში ვკითხულობთ:

„აღიესნეს (ქართველნი) ტყვითა, ლარ პირუტყვითა,

არ დარჩა კაცი არ შოებულად

ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,

სეგორს² გამქცევი ჰგავს შესწორებულად“.

აზრი აქ ცხადია. ერთ-ერთ ომის თუ თარეშის დროს მაჰმადიანი დამარცხდნენ, ქართველებმა გაიპარჯვეს და ეზინკას მფლობი გაიქცა („სეგორს ჰგავს შესწორებულად“). არაფერი საერთო ჩახრუბაძის შესხმაში მოხსენებულ ამ ომს თუ სათარეშო ბრძოლას ბოლოსტიკეს ომთან არა აქვს მით უმეტეს, რომ ბოლოსტიკეს ომში თურქებს მხედართმთავრობდა სულთანი როკ-ედ-დინო და ამ ომში ეზინკის მფლობელი კი არ გაქცეულა, არამედ ტყვედ იქნა შეპყრობილი.

გარდა ამისა ცნობილია, რომ როკ-ედ-დინ სულთანი მოკვდა 1203 წ., მაშასადამე ბოლოსტიკეს ომიც ამაზე უფრო გვიან ვერ მოხდებოდა. ასეთია ის ანგარიში, რომელსაც ემყარება კ. კეკელიძე!

¹ „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექათა შეუწყობლად; ბერძენ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად“... და სხ.

² სეგორი არის ბიბლოური ჰალაქის სახელი.

თავისი კრიტიკის ერთ ადგილას კიდევ კ. კეკელიძე ნიშნის მოგვებით ეხსენებს ჩვენს დებულებას, რომ თამარ მეფე 18 იანვარს 1207 წ. დაიკავშირდა (და არა 1212—1214 წ.), რაც დამყარებულია თამარის თანამედროვე ქრონიკებზე და ამბობს (გვ. 186, შენ.): „ს. კაკაბაძეს არ სურს ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ მატანიანის თხოვრებით თამარი თანამედროვეა მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1207 წლის შემდეგ, მაგალითად: სპარსეთზე გალაშქრება, ზაქარია შარვაშვილის სიკვდილი და ივანეს ათაბაგად დანიშვნა... და სხ. ს. კაკაბაძეს ეს მიანიჭა ანაქრონიზმებად... მივრამ რას ბრძანებს ს. კაკაბაძე ეხლა, როდესაც აღმოჩნდა თამარის მესამე ისტორია, რომელშიაც ეს ამბები, ყოველ შემთხვევაში სპარსეთზე გალაშქრება, თამარის დროინდელ ამბებადაა მოთხოვნილი-ო“.

იმას ვიტყვით, რომ კ. კეკელიძე სამწუხაროდ ხშირად ეხება და ისიც რიხით ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ მას სუსტი წარმოდგენა აქვს.

მართლაც, თამარის მესამე მატანიანეში¹ მოხსენებულია მხოლოდ ის, რომ თამარი ხარაჯის ღებულობდა „ერაყანდის და ბაღდადის კერძ მარაღამდის“. სპარსეთზე გალაშქრება აქ მოხსენებული არ არის. ხოლო ერაყის და ბაღდადის მიმართულენით ქართველები, იბნ-ალ-ათირის მოწმობით, თამარის უკანასკნელ წლებში (1204—1206 წლებში) აღწევდნენ ზღაღის სასულთნომდის², რამოციენამეჯერ გაითარეშეს ამ სასულთანოს ტერიტორიაზე და მივიდნენ კერძოდ არქონსა და მელაზკერთამდის. ზღაღის სასულთნოზე უფრო შორს ქართველები არც ამის შემდეგ წასულან. ეს იყო სწორედ ერაყის და ბაღდადის მიმართულება, რომელიც მოხსენებული აქვს თამარის ნაგლისხმევ მემტანიანეს.

რაც შეეხება თამარის სიკვდილის თარიღს, თარიღი — 1207 წელი გამოდის ყველა თანადროულ ცნობებიდან და კ. კეკელიძე ბოლოსდაბოლოს იძულებული იქნება ამ ფაქტს შეურიგდეს.

კ. კეკელიძის კრიტიკის დასახასიათებლად საკმარისად უნდა ჩათვლილიყო დასახელებულ მაგალითების მოყვანა, საიდანაც ცხადია, რომ მისი კრიტიკა არის ტენდენციური. ტენდენცია გამოსჭვივის კ. კეკელიძის კრიტიკულ წერილების შთელს სივრცეზე, აი, მაგ., ამისი მარჯვენაგული ფაქტები.

ცნობილია უპირველეს ყოვლისა კ. კეკელიძისთვის, რომ ჩვენ პირადად ჩვეულებად გვაქვს სხვა-და-სხვა საზოგადოდ ისტორიულ ხასიათის დებულებების წამოყენებისას არა-კატეგორიული კილოთი აზრის გამოთქმა, როგორც ეს ასეც მიღებულია ყველა კულტურულ ენებზე საყოველთაოდ მიჩნეულ მასშტაბის მიხედვით. კ. კეკელიძე შე ცილს მწამებს (მნათ. V—VI, გვ. 168), როდესაც მეც მრევს იმ პართა რიცხვში, რომელნიც, მისივე სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, „რომის პაპის უკოდველობის პრეტენზიებით გამოდიან და თავ-აღებით გაიძაზიან: ეს ეხლა საბოლოოდ დამტკიცდა, მე ექვ-მიუტანელად გამოვარკვეე და სხ.“

1) ამ მატანიანის ეს ადგილი ცნობილი იყო ქართლის ცხოვრების ვრცელ რედაქციიდანაც.

2) ზღაღის სასულთნოს შეადგენდა ვანის ტბის რაიონი.

ქ. კეკელიძემ იცის, რომ ეს ჩვენს შესახებ მართალი არ არის და ანას ძალაუვნებურად აღიარებს თავისი კრიტიკის სხვა ადგილებზე (გვ. 178—179, 185) ირონიულად და აუვად იხსენიებს უკვე სიყველესა და მისი გამოთქმის ჩვენს მანერას („შეიძლება“ „ალბად“, „შესაძლებელი ყოფილიყო“).

„ექვ-მიუტანლად“ წერა, ვეთანხმებით ამაში ქ. კეკელიძეს, მართლაც არ შეიძლება¹ და ჩვენ ამ გზას არც ვადგვიართ, მაგრამ „შესაძლებლობითი“ წერაც, მისი მიხედვით, ჩვენთვის აკრძალული ყოფილა. მაშ როგორ უნდა წეროს ს. კაკაბაძემ, ვკითხავთ ქ. კეკელიძეს. არაფრად, ე. ი. — სულ არაფერი წეროს — ეს იქნება, როგორც სჩანს, სრულიად დამაკმაყოფილებელი.

მაგრამ მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ ქ. კეკელიძე მართლაც წინააღმდეგია „ექვ-მიუტანლად“ წერის. ის ამის წინააღმდეგია სხვებზე მიმართ, მაგრამ ისე კი „ექვ-მიუტანლად“ და „შეუცდომლად“ წერა მას შიანია აუცილურად, მხოლოდ თავისთვის და იმ პირთათვის, რომელთათვისაც მას ამგვარი ატესტაციის მიცემა მოესურვება.

მართლაც, ზემოდ (გვ. 260) ჩვენ უკვე ვნახეთ, ერთი ამის მიგაღიითი ა. შანიძესაც, ქ. კეკელიძის თქმით სცოდნია „ექვ-მიუტანელი“ შესწორების გაკეთება (მნათ. II, 196). ექვ-მიუტანელი ყოფილა, სახელდობრ, ვ.-ტყაოსნის ცნობილი ტაეპის

„ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს“...

ა. შანიძის, მიერ წარმოდგენილი შესწორება ამ სახით

„ამ საქმესა მემოწმების დიანოსი ბრძენისა ეზროს“,

მაშინ როდესაც ეს შესწორება არა თუ „ექვ-მიუტანელი“ არ არის, არამედ ფრიად საეჭვოა, რადგან მას შიარს არ უტყვრს საუკეთესო ხელნაწერთა და საზოგადოდ არც ერთი ხელნაწერის წაკითხვა.

ამავე ტაეპს ქ. კეკელიძე, ალ. სარაჯიშვილის, ა. შანიძის და ი. აბულაძის დანოწმებით, ხელალებით აცხადებს ყალბად და ამბობს: უკვე ცნობილია (!), რომ ეს ტაეპი ყალბიაო (მნათ. II, 196).

საიდან არის ეს ცნობილი? ასეთი აზრი თავის დროზე მართლაც გამოსთქვა ა. სარაჯიშვილმა, რომლის დიდს ნაშრომს — „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ — საერთოდ არა აქვს, ძირითად მეთოდოლოგიურ დეფექტების გამო, სერიოზული მეცნიერული მნიშვნელობა. ეს აზრი შემდეგ ვაიმეორა ა. შანიძემ, რომელიც ამ საკითხში ემყარებოდა ა. სარაჯიშვილს. ამ აზრსაც მაშასადამე არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა.

მესამე არის ი. აბულაძის აზრი ამ ტაეპის სიყალბის შესახებ. მაგრამ ი. აბულაძის აზრისთვის ე.-ტყაოსნის ამა თუ იმ ტაეპის სიყალბის შესახებ ანგარიშის გაწევა შეუძლებელია, რადგანაც ვარდა იმისა, რომ მას არა აქვს ამ საკითხში რაიმე დასაყრდნობი წერტილი, ცნობილია, რომ ი. აბულაძე ე.-ტყაოსნის თავის გამოცემის ბეჭდვის დროს ამათონი ტაეპს აცხადებდა ყალ-

¹ სამწუხაროდ წერის ამგვარ მანერას და ისიც არანაფიქრებელი ვაზიადებით ადგილი აქვს ს. ინგოროყვას „რუსთველიანა“-ში.



ბად თუ არა-ყალბად სხედასხევა არაკომპეტენტ პირთა რჩევით გრძელდებოდა, კეკელიძემ, რა შეცნიერული წინაშენელობა აქვს ასეთს პირობებში შეიქმნავეულ აზრს ამა თუ იმ ტაეპის საყალბის შესახებ.

ასეთ საფუძვლებზე დაყრდნობილი ის აზრი, დასახელებულ ტაეპის შესახებ, რომელსაც კ. კეკელიძე „მეც-მიუტანელად“ აცხადებს.

ჭიაბერის ცნობილ სიგელის შესახებ კიდევ კ. კეკელიძე ამბობს (მნათ. II, 194): „ი.ე. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ჭიაბერის სიგელი თუ ნატყუარი არაა, ყოველს შემთხვევაში 1184—8 წლებზე უფვიანესი არ უნდა იყოს“-ო¹. ნამდვილად კი ი. ჯავახიშვილს ეს „დამტკიცება“ მტკიცე ნიადაგს არ არის დამყარებული, რადგანაც დასახელებულ სიგელში ეინენი ჭიაბერის საპატრონოდ არის მოხსენებული, ხოლო ეინენი ჭიაბერს მიეცა 1192 წლის ახლოს. ამავე ხანებში არის მაშასადამე დაწერილი დასახელებული სიგელიც.

ამაზე ჩვენ ვასრულებთ, ადგილის სიმცირის გამო, კ. კეკელიძის კრიტიკულ წერილის განხილვას აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს.

კ. კეკელიძე კერძოდ ჩვენ გვიკრძალავს ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებზე მუშაობას და გვირჩევს ჩვენი მუშაობის განსაზღვრას სიგელ-გუჯრებით, „თუმცა აქაც (ს. კაკაბაძესთვის) საჭირო იქნება წინასწარ დიპლომატიკის საფუძვლების შესწავლა“-ო, ამბობს ის და თან მიგვითითებს ი.ე. ჯავახიშვილის გასულ წელს გამოსულ შრომაში ქართულ დიპლომატიკის შესახებ ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ საპოლემიკო გვერდებზე (მნათ. V—VI, გვ. 186). კ. კეკელიძემ ძლიერ კარგად იცის, რომ სწორედ ქართულ დიპლომატიკის (და აგრეთვე ქართ. პალეოგრაფიის) საკითხებში ამ სტრიქონების დამწერის, როგორც ამ სფეროში სპეციალურად მომუშავე პირის, მიმართ ასეთი კილოს ხმარება უმართებულად უნდა ჩაითვალოს; კ. კეკელიძე ამ შემთხვევაში მხოლოდ სარგებლობს იმ გარეობებით, რომ ჩვენ არ შეგვეძლო საკუთარი ძიებების და გამოკვლევების დაბეჭდვა და ჯერ არც ი. ჯავახიშვილის თუნდაც დასახელებულ საპოლემიკო შენიშვნების პასუხის ვაცემის შესაძლებლობა მოგვეცემია.

უკანასკნელ უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენს ძიებებს, ვ. ტყაოსნის შესახებ, ისე როგორც საზოგადოდ მკვლევართა ძიებებს, ნაკლიც უნდა ჰქონდეს. ამისი უარყოფა ეს იქნებოდა პირადად ჩვენთვის თუნდაც რუსთველოლოგიის საკითხებში მომავალ წინსვლაზე უარის თქმა. მაგრამ არა გვეგონია, რომ ვ. ტყაოსნის ჩვენს უწინდელ გამოცემას (ისე როგორც ჩვენსავე პირველ გამოცემას) საკითხის შესწავლისათვის, მთლად უშედეგოდ ჩაველო და ეს კი სრულიად საკმარისია, რომ წარმოებული შრომა და წიგნის გამოცემის დროს გამოველილი სიმძლვინე წინააღმდეგ ანაზღაურებულად ჩაითვალოს. ამით ვათავებთ ჩვენს წერილს.

10 ივნისს 1927 წ.

¹) იველიძისგან ი. ჯავახიშვილის ქართული პალეოგრაფია, ტფ. 1926 წ., 176.

ზიგლიოგრაფია

„ქართული მწერლობა“ — № 8 — 9.

ქრანალში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მხატვრულ განყოფილებას.

სე. ყიფიანის პატარა მოთხრობა „ახალი სამართალი“ — ახალს არაფერს იძლევა. მოთხრობის სიუჟეტი არ არის ორიგინალური. ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ სამართლიანად გადასჭრა მოსამართლემ გაუპატიურებული ქალის საჩივარი: — სწორედ ისე, როგორც ეს აწერილი აქვს ავტორს ხალხურ ამბავად არის ქცეული და პიესის სახითაც სცენაზე არა ერთხელ დადგმულა.

მარიამ ჩიტაძე ლარიბი, ახალგაზრდა ქალიშვილი — გააუპატიურა დიმიტრი ვეფხაძემ. ქალს შვილი ეყოლა. ვეფხაძე შვილზე უარს ამბობს. ქალი უჩივის ვეფხაძეს. უკანასკნელი პოულობს ცრუ მოწმეებს, რომლებიც სასამართლოს ხედომაზე აცხადებენ, რომ მათაც ჰქონდათ სქესობრივი კავშირი მარიამ ჩიტაძესთან. ასე რომ, გამოდის — მარიამ ჩიტაძე გარყვნილი ქალია და, აბა ვინ იცის, თუ ვის ეკუთვნის მამობის მხრივ მისი შვილი. ვეჭილიც „ცნობილი“ ყავს დამცველად ვეფხაძეს. ყველანი დარწმუნებულია, რომ ვეფხაძე გაიმარჯვებს.

სასამართლოს კი შემდეგი განაჩენი გამოაქვს:

„...სახალხო სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში მოპასუხე ვეფხაძის და მოწმეების დიასაშვილის და მირატიძის განცხადებანი, რომ მათ სამივეს სქესობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ მარიამ ჩიტაძესთან, რასაც შედეგად მოჰვა ბავშვის გაჩენა, დაადგინა: ვეფხაძეს, დიასაშვილს, მირატიძეს ვადახდეს მარიამ ჩიტაძის შვილის სასარგებლოდ: — თითოს ოცოცდა ხუთი მანეთი თვეში, სანამ

ხსენებული ბავშვი სრულწლოვანი არ გახდება“...

ვეჭილი განცვიფრებულა და აღელვებული — განა შეიძლება ასეთი უკანონობა? ვეფხაძე და მისი მოწმენი მზეციებივით გამოიყურებიან სიბოროტისაგან, დამსწრე საზოგადოება კი კმაყოფილია — „სამართალი სწორედ ასეთი უნდა“ — ამბობენ.

ვიმეორებთ, ახალი და ორიგინალური არაფერია ამ მოთხრობაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოთხრობა დასაწუნია. პირობით: ჩვენნი ლიტერატურა იმდენად ღარიბია ჩვენი დროის ცხოვრების ახატეთა, რომ აქ მკითხველს მიღწევებაც დიდი ნიშნელობა აქვს. ამ მხრივ სე. ყიფიანის „ახალი სამართალი“ მისაბამათ უნდა ჩათვალოს.

არისტო ქუმბაძის „სასწაული“ განსაკუთრებით აღსანიშნავია. არისტო ქუმბაძე საერთოდ „ძუნწი“ მწერალია. ის ცოტას სწერს, იშვიათად. მაგრამ სამაგიეროდ რასაც დასწერს იშვიათი ნიჭით და სიმაგრით, რადგან **ნამდვილი მწერალია** არისტო ქუმბაძე.

აღსანიშნავია მისი სტილი, სიტყვების ხმარების ხეჩხი, წინადადებების შენება — საერთოდ წერის ტექნიკა. გადაჭარბება არცინი დავეწმავოს. წაიკითხეთ თუ გინდ მხოლოდ ეს ხუთფურცელიანი „სასწაული“ და დარწმუნდებით.

არც ერთ თანამედროვე ქართველ მწერალს არაქვს ისეთი, ჩვენ ვიტყვოდით, **ვაჟკაცური ხტილი** — როგორც არისტო ქუმბაძეს. საუბედროოდ იგი (სტილი) ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოყენებული. მწერალი არ აძლევს საჭირო სიგრძის, სიღრმის და



სგანის გასაქანს თავის ამ ოსტატობას. თანამედროვე ეპოქიდან (კუმბაძე არ გაურბის თანამედროვეობას, პირობით) ასეთი სტილით ტენიკით შესრულებული რომანი ეპოქას შეეწმიდა ქართულ ლიტერატურაში.

ნიკოლო მიწიშვილის „ეპოპეია“ თავისებური გავრძელებაა იმ „ეპოპეის, რომელიც მან პირველად შოათავესა ყურნალ „მზათობში“ და რომელსაც სახელწოდება მისცა „თებერვალი“.

„ეპოპეია“ უბრალო მხატვრული ქრონიკაა.

მისთვის ჩვეული ოსტატობით ავრძელებს სტენდალის „იტალიურ ქრონიკები“-ს თარგმნას გერონტი ქიქაძე.

კონრად ბერკოვიჩის „მომასხისხილი“ ავრეთვე კარგათ უთარგმნია ხენა მესხს. ცოტათი მოიკოკლებს **მარსელ პრუსტის-„ბერგატის ხიკვდილი“**-ს თარგმანი; შეიძლება ეს იმითაც აიხსნება, რომ ამ მწერლის თარგმნა საერთოდ დიდ და ხშირად დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს.

ლექსების გახყოფილება ყურნალის ამ ნომერში ძალზე მოიკოკლებს. ლექსები ბევრია, მაგრამ საინტერესო ძალიან ცოტა და შესანიშნავი კი არც ერთი.

სუსტია და უფერული **ვალ. გაფრინდაშვილის „საკო და ვანცეტი“**. საკო და ვანცეტის მართლაც საისტორიო ტრალედია ასეთ გრძნობებით ვერ გამოითქმის:

„დავარქმევთ ბავშვებს, დავარქმევთ ქუჩებს

ძვირფას სახელებს: ვანცეტი, საკო“.

ვალ. გაფრინდაშვილი ამ ბოლო ხანებში ცდილობს რევოლუციონური ამბები აიღოს თემად თავის ლექსებისა: ასეთი ცდა მოსაწონია და მისაბაძიც, მაგრამ... ძნელად დასაძლევია გამოდგა ეს საქმე გაფრინდაშვილისათვის. ეს არც ირის ვასაყირი. პოეტის წარსული ლიტერატურული ისტორია გვეუბნება ამას. „მეოცნებე ნიპორები“-ს შემქმნელისათვის ძნელია ყველაზედ უფრო ამ კვიყნიური რევოლუციის გაგება, შეყვარება და პოეზიაში განსახიერება.

ალ. გაბესკირიას „მტკვარე წაწეხი“ არაფრით განირჩევა იმ შინაგულ ყალბი პათოსით დაწერილ ლექსებიდან, რომლებსაც ასე უხვად და იოლად უძღვნიან ჩვენი პოეტები ხაჭვას.

რაედენ გვეტაძე „ლირიულ განწყობილებაში“ ჩაეარდნილა რატომღაც და მოგვითხრობს მის შესახებ, რომ „ხუთი ვაყის მამა მდღგბრი, გადადევნევი მატლების კერძად ჩემს ნატამალსაც გაჰვანტავს ქარი...“

აქ ახალი მხოლოდ ის არის, რომ პოეტი თურმე უკვე ხუთი ვაყის მამა ყოფილა. „მდღგბარი“ აქ არაფერ შუაშია მიინც და მიინც, თუმცა უნდა ითქვას, რომ პოეტი, როგორც ეტყობა იშვიათად ვარდება „ლირიულ განწყობილებაში“, — ხუთი ვაყი-შვილი ამას ნათლად ამტკიცებს. რაც შეეხება იმას, რომ ოდესმე პოეტის სხეული გაღიქცევა მატლების კერძად და მის ნატამალს გაჰვანტავს ქარი — აქ სანუგეშოს პოეტს ვერაფერს ვეტყვი, რას იხამთ: ეს საყოველთაო ამბავია და გაულექსავიათაც იციან ყველამ.

ვასილ გორგაძის „ოცდაათი წელი“ შესრულებულია ამ მეტად სიმპატიურ პოეტისათვის ჩვეულ გულწრფელი ლირიზმით. ლექსი თავდება ასეთ შედარებით, ლამაზ სტრიქონებით:

„და თუ მოაწყდა
მტერი ჩვენს კარებს,
თუ ისევ ცეცხლით
აინთო მიწა
— შე მზიდ ვარ მუდამ
შრომის სამყარო—
ჩემი საყუთარი
მკერდით დაგიცვას!“

იონა ვაკელი „ლექსი მეგობრები-სადმი“ უნაზღერო პესიმიზმით. და გულგატეხილობით არის აღვსილი

— „ჩვენ ამ ცხოვრებას ასჯერ ხომ არ შევუომებით ერთხელაც ქმარა, მეგობრებო განუვარძოთ ლბინი.“

— „უხლაც ეს ცრემლი მეგობრებო გვახელებს ცხარე,



ესეამ ძმებო ლენოს, ესეამ
განწირულ ამაოებით;
ვეძახით ხალისს, ვეძებთ ძმობას
გამიარტოებით,
რომ სადმე მაინც ერთი კუთხე
ვიპოვოთ წყნარი,
მაგრამ არც ძმობა და არც ოდნავ
ხალისი ტკბილი,
არ სწანს არსაით ცხოვრებიდან
გამომდინარი...

მაშ ეის უსურვო!... და სხვა.
მაშ ასე: „ჩვენ ამ ცხოვრებას ასეერ
ხომ არ შევერებებით“ და „რომ
სადმე მაინც ერთი კუთხე ვიპოვოთ
წყნარი“—ეს ლიკვიდატორობაა წარ-
სულის, ზომაელის „წყნარი კუთხე—ეს
ხომ ნამდვილი ობიექტულობაა... არას
ვამბოვთ იმაზე, თუ როგორ გულის
ამრევ შთაბეჭდილებას ახდენს ყველა
ეს „შეესვით“, „დავლიოთ“, „თასი“,
„კახური“... და სხვა—ამგვარი სიტყუე-
ბი გადაგვარებულ „კენიახების“ სუფ-
რიდან ნასესხი.

ნ. ზომლეთელის „მოკვდა არწივი“:
კარგი ლექსია, იგი ასე თავდება:
„რას მიხედვიან უსუსური
კაპუტები,
რომ ამ უკიდო და უსაზღვრო
გატაცებაში
ზოგჯერ აზრია, ყველა აზრთა
გადამმეტები
და ჩაუტევიც თვით უძირო
ზეცის კეთაში!..“

— მოკვდაო, მოკვდა მითს
არწივი და ბარის გზირი,
ან ვერ არჩევსო შვიდიდან თეთრს
მისი თვალები.
როცა მან განელო თითქმის
ყველა მზეთა გამზირი
და მისკრა გზა თვით ცის
თაღების მოტრიალებით!..“

**კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კა-
დრაკი“** კალმის თამაშის ნაყოფი უნდა
იყოს.

საფო მგელაძის ორი ლექსი „სუ-
ლიერი განწყობილება“ და „პახუბი
დედას“—ნაღვლიანი უიმედობით არის

აღვსილი. რატომ? პოეტური ვიწქე-
დღეს ამბობს:

„ვეძებდი ახალ ადამიანს
ახალი გინცდით,
არ არის იგი და ჩემს სულში
ხან წვიმს და ხან თოვს.
რასაც სოფლიდან გამოვექაეც
ის აქაც დამდევს.
რაც იქ მტანჯავდა იმას
აქაც ვერ დაეშალე“.

სეგდის მიზეზი სერიოზულია. მაგრამ
დამნაშავე თვით ავტორია. აბა ვი-
სი რა ბრალია, თუ დღევანდელ ეპო-
ქაში, რევოლუციების და ძველის
ნგრევის ეპოქაში, როდესაც ჩვენ მოწ-
მენი ვხდებით საკაცობრიო მნიშვნელო-
ბის უდიდეს ამბების, საფო მგელაძე
ვერ პოულობს „ახალ ადამიანს“.

ილა შოსაშვილის „ქალ-ვაჟიანი“
ვაჟა-ფშაველას ლექსით არის შესრულე-
ბული. კარგია განსაკუთრებით ბოლოს,
ოთხი სტრიქონი:

„ქალავ იმედი მიქრება—
ველარსად ვნახავ დილითა!
ღრუბელი დამაქვს ფიქრებად.
შეკრული ცრემლის დილითა!“

სადა, მაგრამ ცოცხალი და შინაარ-
სისადმი შესაფერი ლექსით არის დაწე-
რილი **ხანდრო შანშიაშვილის ბალადა**
„დედის ერთა-ვაჟიკა“. დაიღუპა ვაჟი-
კა მტერთან ბრძოლაში. ლენინის მტკი-
ცე ჯარისკაცი იყო ის. და უცდის
მოხუცი დედა: დღე, ღამე:

„მულამ ფიზილოვს, მზად არის
შვილს გაულოს ჭიშკარი.
თავზედ დათუნებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალქუს საბრალოს...
რბიან წლები... დრო მიდი!..
„— დედა მას ენაცვალოს“.
ხვალეც ღამე ლოდინის.

„წერილების“ განყოფილებაში მოთაყ-
სებულია კონ. კაპანელის „ლიტერატუ-
რული პრობლემები“, ნ. შებუევის
„სუმბათაშვილი, მაქსიმ გორკი და
მოსკოვის წრე“ და ლევან ასათიანის
„ვოლტერიანობა საქართველოში“.

სრულიად ზედმეტი იყო „ქართული პრესა „ქართული მწერლობის“ შესახებ“ არედაქცის მიერ გაკეთებული შენიშვნა მხოლოდ გვარწმუნებს ამაში.

ფერნანდო ძალზე მოისუსტებს კრიტიკული და პუბლიცისტური მუშაობა.

გ. ბ-ძე.

ბ. რეზონანსი — ჩემი ტფილისი. რომანი. 1927 წ. ავტორის გამოცემა. ვგ. 104.

„შნათობის“ ფურცლებზე ამ „რომანზე“ დაპარაკი არ ღირდა. არც იყო საჭირო, ასეთი ფაქტი იშვიათი რომ არ იყოს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

მართლაც, ვის აინტერესებს რემონტიების ტიპის „წერალთა“ უნიჭო ზოდვა? განა არ ვიცით, რას წარმოადგენს რემონტიის მხატვრული აღლო, მხატვრული „ლირსება“? ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მაგრამ „რომანი“ „ჩემი ტფილისი“ მაინც „ლირსია“ უფრადლები.

ლიტერატურულ მხატვრულ ფაქტებში ხშირად გვხვდებოდა და, სამწუხაროდ, გვხვდება კიდევ-წმინდა „ნაციონალისტური ჰაზვები“, უმთავრესად — პოეზიაში. ასეთ განწყობილებას ლიტერატურაში ვებრძვიტ ჩვენ, ვებრძვიტ ყოველგვარ ლიტერატურულ საშუალებათ. ეს ბრძოლა არ დანსრულებულა და, ალბათ, კიდევ დიდხანს იწარმოებს.

მაგრამ „ჩემი ტფილისი“-ს სახით ჩვენ მივიღეთ უფრო ამკარა ანტი-საბჭოთა ნაწარმოები, პროზით დაწერილი, რომანით გასაღებული. აქ აბღა-უბღით, უთავბოლოთ, უნიჭოთ და უტვიჩნოთაა მოთზრობილი — „მხატვრულ ფორმებში“ — ქველადფერი, რასაც დამტავებული ფაბატკოსი, დაბრმავებული მუშავეი — პუბლიცისტი უფრო მონერხებულად დასწერდა სპარაკლამაციო ფურცლებში.

ავტორი „გზა აბნეული ქართელი“ ს. რემონტიძე, თავისი ფიქრით, ისტატურად იტყევა. ის ვითოთქ ძველ დროს, ნიკოლოზის რეჟიმს ღებულობს და ვითომქ მეფის რეაქციის პირობებში ამოქმედებს თავის „რომანის“ გმირს — „მთავარ სახელოსნოს მუშას — გიორგი წულუისკირს“. ამ გმირის „ისტორია“ ასეთია: ის არის ძველი რევოლიუციონერი, მომუშავე არა-ლეგალურად. სო-

ციალისტია, უყვარს წითელი ფერი და უყვარს... იესო ქრისტე. ბეჭდავს პროკლამაციებს და ავრცელებს. შეშობვევით მას დაიჭერენ „გაიადლოვებით“ და ეანდარმები“. ჩავდებენ ჯურღმულში, აწვილებენ, აწამებენ. უნდა ათქმევიონოს საღ არის ფარული სტამბა. გიორგი ჯერ უმკლავდება, არ ამბობს. — „მანთი, მოსთხარეთ შანთით თვლი“. იძლევიან ბრძანებას. ფიზიკურ ტანჯვას ვერ უძლებს გიორგი და გასცემს სტამბას. ასაჩუქრებენ, ანთავისუფლებენ, მაგრამ გიორგი ვერ ისვენებს, მას ზიზლით უყურებენ, მოლაღატეს, გამიცემს ეძახია. ის სრულ ტანჯვას განიცდის. უნდა დანაშაული გამოიხიდოს, ახლა ახალ სტამბის აღმოჩენას პირდება „ეანდარმერიას“. თვითონ აწყობს სტამბას ხარფურხში. აწყობს ავრეთვე ჯოჯოხეთის მანქანას. საიდუმლოთ აცნობებს ეანდარმებს. ისინიც მოდიან. მთელი სახლი აფეთქდება, იღუპებიან. გიორგიც თავისუფლად ამოიხიზრებს. ის იშორებს სიხდისის ქენჯნას. აი მთელი „რომანის“ შინაარსი.

საღ არის „რომანის“ მომენტები? ის მოცემულია უადგილოდ, უწნოდ, უნიჭზოლ. გიორგის უყვარს „მშვენიერი ასული“ ბაბი. გიორგი იტანჯება ბაბის სიყვარულით. როცა გიორგი შეასრულებს აქტს — ააფეთქებს შენობას და ღუპავს ეანდარმებს, მიეზურება ბაბისკენ. მაგრამ ბაბი ვათხოვილი აღმოჩნდება. ესაა და ეს „რომანიული“ ნაწილი, უწნოთ, უადგილოთ, უნიჭოთ მოცემული.

როგორც ეთქვით, ავტორი ძველ რეჟიმს ღებულობს, ნამდვილად კი „თანამედროვეობაზე“ სწერს. მკითხველის გზის ასაბნეველ ის ხმარობს სიტყვებს: პოლიცემისტერი, როტმისტრი, ბოქაული და სხვა. ერთი სიტყვით, ცდილობს მკითხველს გზა აუბნოოს და „ნი-

ფათს“ თავი დაახწიოს. მაგრამ განა რემონიძის ნიჭის პატრონს შეუწლია მართლაც ყველაფერი ეს ბურუსში გახეიოს? „ბათუმში კოვერკოტის კასტრუმი შეიკერე!“ ბათომი და კოვერკოტი ხომ დღევანდელი ცნებებია“. ამ კიდევ: — „ბრძოლის“ ნომრები წაეკითხე — „ვილაკამ თავო ჩემო დაამღერა“ — ავტორი თითონ ხსნის ფრჩხილებს. აი გიორგის საუბარი როტმისტრთან: „— მობრძანდი ამხანაგო გიორგი! — ბატონო როტმისტრო, ადამიანი ვარ, არსებობა მინდა“. როდის იყო როტმისტრები „ამხანაგო“-ს უღბნებოდენ გიორგის ტიპის ხალხს? მოვიყვანთ კიდევ ზედმეტ მაგალითს. გიორგი დეპულოზს წერილს ამერიკიდან შეგობრისგან. ავტორი არ ამბობს, რომ ეს ქართველი ამხანაგი საქართველოდან გადახვეწილია გასაბჭოების შემდეგ. თვით წერილის შინაარსი ღიადღებს ამას. „რომ იცოდეთ საქართველოს როგორი კარგი სახელი აქვს, თუმცა წინეთ არც კი ვაგეგმავთ საქართველოს შესახებ... ყოველ წლებით იმართება კრებები, აქ ეროვნების წარმომადგენლები აკეთებდნენ მოხსენებას“ — აი ერთი ასეთი მოხსენება ვაყვითა გიორგის ამხანაგმა. „ვახასიათებ საქართველოს, მის სიმდიდრეს, ისტორიულ წარსულს, ზნე-ჯეულებს, რამდენი საუკუნე არსებობს საქართველო, რატომ ვართ გადმოხვეწილი აქ ქართველები, როგორ იბრძვის ქართველი ერი თავისუფლებისათვის და სხვა და სხვა“. ვისია ეს სიტყვები? ვისია ეს ტერმინოლოგია? განა არა უხერხემლო, ძირმომპალ ქართულ დღევანდელ მენშევიზმის? ცხადია ავტორს აქ ანგარიში ეშლება. ტყვილა ცდილობს ის მკითხველის გაბიაბრუებას. აქ ყველაფერი აშკარაა და ნათელი.

ერთი სიტყვით „რომანი“ ჩემი ტფილისი* დღევანდელ საქართველოს მისამართითაა დაწერილი. ეს უფაოა, რას ამბობს ავტორი ტფილისზე: „არც ერთი ქალაქი არ ეპყრობა თავის მკვიდრს ასე უპატიველოდ, როგორც შენ ჩემო ტფილისო“. იმას კი არ კითხულობ რა დღეშია შენი მკვიდრი, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა“. (ე. ი. ქართველები ს—მე). „შენი სიყვარულისთვის რამდენი არ დაისაჯა! როდის შეგეძლება ქვემარტება თავისთავად გამოსთქვა, როცა ძალმომრეობის ტაბტი დაინგრევა? დღეს კი შენებ შეკრული დასაქლავი ხარივით ზმუი და არავის ესმის შენი ნათქვამი“.

ასეთი ადგილებით აქრელებულია მთელი „რომანი“. რაა ეს თუ არა მენშევიკური პროკლამაცია? ენა, სტილი, შინაარსი—ყველაფერი მენშევიკურია აქ. ნატავალი არ არის მხატვრული შემოქმედების, ობიექტიური ქმშარიტების, მიუდგომელი მსჯელობის, ყველაფერი შავ ფერებშია მოცემული. ამით აიხსნება, ალბათ, თვით „რომანის“ ყდის მხატვრობაც; შავი ფონი, წყვდიადი, მთაწმინდის ეკლესია და „ქართველი ქალი“ თეთრ მანტიაში გახვეული, ყვაფალებით, ტრაგიული გამომეტყველებით, ცრემლებით მთლიანად გამოხატავს ავტორის სულიერ განწყობილებას.

არა, ასეთი „რომანები“ ჩვენ არ გვინდა.

„ჩემი ტფილისი“-ს გამოსვლა წიგნის ბაზარზე კიდევ ზედმეტად მოწმობს იმას, თუ რამდენად საქაროა ლიტერატურისა და გამომეტყველობის დარგში სიათანადო ორგანოების ფსიხონომისა და ყურადღების გაძლიერება.

ბ. ა—ძე.

შინაარსი



მხატვრული ლიტერატურა

სამართველო

1. ვ. ვაბესკირია—„პროლეტარულ პოეტებს“	5
2. კარლო კალაძე—„ზამთარი“	6
3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—„რაიკომის საწერი მანქანა“	7
4. რაფაელ გვეტაძე—„ოქტომბერი ტფილისში“	10
5. კალე ბობოხიძე—„საბჭოთა საქართველო“	12
6. დავით სულიაშვილი—„ჩიკორი“	17
7. ნ. ზომლეთელი—„იფელი“ (გაგრძელება)	38
8. მიხეილ მრეველიშვილი—„ობოზა“	67
9. ერისთავ-ხოშტარია—„სალი“	91
10. დავით ვაჩეჩილაძე—„ოქტომბრის დღეები“ (პოემა)	115
11. ლეო ჭიაჩელი—„სისხლი“ (დასასრული)	121

რ უხეთი

12. ხერგვი ეხენინ—პოემიდან „ოცდათექვსმეტზე“. თარგმანი: გრ. ცეცხლაძის	13
--	----

დასავლეთი

12. თეოდორ დრაიზერი—„ნიუ-იორკის ფერადები“. თარგ. ალექს. სენიშვილის	137
--	-----

კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა

14. შეზუფევი—„სუმბათაშვილი—იუენი“ თარ. გ.—ლის	165
15. გ. მუშიშვილი—„თანამედროვე ლიტერატურის ვითარება“	190
16. გ. მუნბლიტ—„ემილ ზოლა“	199
17. ხ. დანელია—„ჩემი პასუხი“	212
18. მ. გოგობერიძე—„კაიზერლინგის უკანასკნელი სიბრძნე“	228
19. ხარგის კაკაბაძე—„ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო“	239

ბიბლიოგრაფია

20. ვ. ბ.—ძე: „ქართული მწერლობა“ —№ 8—9	262
21. ხ. ა.—ძე: ს. რემონიძე—„ჩემი ტფილისი“	265



1927 წ. ჟურნ. „მნათობში“ დაბეჭდილი მანუსკრიპტები

პოეზია

1. ა. აბაშელი: 1) „პაეროპლანი სოფლად“—№ 2. 2) „ფიქრები“—№ 3.—3) „ახალი ტფილისი“—№ 7. 4) „მოგონება“—№ 8—9.
2. ბ. აბულაძე: „მანიფესტი ჩინეთის ხალხს“—№ 5—6.
3. კ. ბობოხიძე: „ზღვის პირად“—№ 8—9.
4. ვ. გაბესკირია: „ჩონგური“—№ 8—9.
5. ვალ. გაფრინდაშვილი: „პასუხი“—№ 7.
6. რ. გვეტაძე: „ოქტომბერი ტფილისში“.—№ 11—12
7. ვ. გორგაძე: „ბრძოლა წ. გვირაბთან 1905 წ.“—№ 1.
8. ს. ეული: „ათი წელი“—№ 10.
9. ი. ვაკელი: „ნეწისქვილე“ №— 1, № 2 და № 3.
10. ნ. ზომლეთელი 1) „თებერვალი“—№ 2. 2) „ზღვის პლიაჟი“—№ 8—9. 3) „უძლეველი ათეული“.—№ 10.
11. პ. იაშვილი: პოემიდან: „პოეტი და ადამია“—№ 2.
12. კარ. კალაძე: 1) „მზებრული“ №—2. 2) „მოვიღვივართ“ №—3. 3) „საპირ-ველმაისო“ №—4. 4) „შუბლმაგარ მტრების შესახებ“.—№ 5—6. 5) „მებრძოლის ლექსი“—№ 10. 6) „ზამთარი“—№—11. 12.
13. ი. ლისაშვილი: 1) „ის ხომ არ არის კიდევ თამაში“—№ 8—9, 2) „10“...—№ 10.
14. კ. ლორთქიფანიძე: 1) „ლენინი“ №—1. 2) „წინაპრებს“ №—1. 3) „სიტყვა ექვსი წლის თავზე“—№ 2. 4) „ნეპ“—№ 2. 5) „მონადირის თქმული“—№ 3. 6) „თუ შეგიძლია“—№ 4. 7) „საბარგო ავტომობილი“—№ 5—6. 8) „ჩემი ცხოვრება“—№ 7. 9) „უსათაურო“—№ 10. 10) „რაიკომის საწერი მანქანა“—№ 11—12.
15. მისაშვილი: „სოფელში“—№ 1. 2) „ზაპეს შენ გიმღერ“—№ 7. 3) „ცხოვრების გზაზე“—№ 8—9.
16. ვალ. ტაბიძე: „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციის მუხუდის წინ 7 ნოემბერს 1917 წ.“—№ 10.
17. ტიცი. ტაბიძე: 1) „სტალინი“—№ 2. 2) „არ შეეჩერდები 'მე ამ' მოტივზე“—№ 3. 3) „ლექს მე ვუწოდებ მოვარდნილ მწვერებს“—№ 4.
18. კ. ფეოდოსიშვილი: „ბელადს“—№ 3.
19. ქუჩიშვილი: „ოქტომბრისათვის“—№ 10.
20. აღ. ქუთათელი: „ვეროპა“—№ 4.
21. გრ. ცეცხლაძე: „პოემიდან—ნასაკრალი“—№ 4.
22. ს. ჩიქოვანი: 1) „ძველ პოეტს“—№ 1. 2) „კაცისიიდან ტავანროგამდე“—№ 8—9. 3) „ოქტომბრიდან 27-მდე“—№ 10.

23. ა. შანშიაშვილი: 1) „ცოლი რუსთაველის“—№ 7. 2) „ღვინი ჯვანოზე“—№ 10.
24. ვ. ჟურული: 1) „მწეხრი ტფილისამდე“—№ 4. 2) „კაცისა და გლეხის“—№ 6.

პროზა

1. ანასტ. ერისთავ-ხოშტარია: „სალი“—№ 1. № 2. № 3. № 4. № 5—6. № 7. და № 11—12.
2. ნ. ზომღვენიძე: „იფქლი“—№ 8—9. № 10 და № 11—12.
3. დ. თურდოსპირელი: „მომაკვდავ კოშკში“—№ 8—9.
4. ბ. მელიქიშვილი: „ტარიგი“—№ 2.
5. ლ. შეტრეველი: „მტრობა და სიყვარული“—№ 3.
6. მიხ. მრევლიშვილი: „ობობა“—№ 11—12.
7. ტრ. რამიშვილი: „მონადირე ქალები“—(პიესა) № 5—6.
8. დ. სულიაშვილი: 1) „წერილი“—№ 2. 2) „ლოდინი“—№ 7. 3) „ლენინი და პეტროგრადი“—№ 10. 4) „ჩიკორი“—№ 11—12.
9. ტ. ტაბიძე: „ამორძალები“—№ 7.
10. ი. ტატიშვილი: „მტრთა სასძლო“—№ 7.
11. ლ. ქიჩელი: „სისხლი“—№ 1. № 2. № 3. № 4. № 5—6. № 8—9. № 10. და № 11—12.
12. ა. ქუთათელი: 1) „ცხენოსანი“—№ 8—9. 2) „კორნელი და მუშები“—№ 10.
13. ბ. შარაშენიძე: „ცოცხალი“—№ 8—9.
14. დემ. შენგელაია: „ტფილისი“—№ 1. № 2. № 3.
15. მიხ. ჯავახიშვილი: 1) „თეთრი კურდღელი“—№ 1. 2) „გვიე შადური“—№ 4. 3) „ორი შეილი“—№ 7.

თარგმნილი ლიტერატურა

1. არაზი: „მტრის სიმღერა“—№ 7.
2. თ. გლადკოვი: „ცემენტი“—№ 1. № 2. № 3. № 4.
3. მ. დარბინიანი: „მტრები“—№ 7.
4. თ. დრაიზერ: „ნიუ-იორკის ფერადები“—№ 11—12.
5. ვ. მაიაკოვსკი: „25 ოქტომბერი 1917 წ.“—№ 10.
6. ს. ნაბახტანი: „ზადლე“—№ 7.
7. ბ. პილნიაკი: „მემკვიდრენი“—№ 10.
8. ა. პუშკინი: „თავისუფლება“, „კომბარისაკენ“, „სოფელი“, „ჩაადავეს“—№ 2.
9. ეიულ რომენ: „თეთრი ღვინო ღვინოღვინისა“—№ 3 და № 4.
10. ი. ტინიანოვი: „დეკაბრისტები საქართველოში“—№ 5—6.
11. სტეფან ცვაიგ: „ამრკ“—№ 5—6 და № 7.
12. პ. შირიაევი: „ციკუტა“—№ 8—9.



1. ს. ამალლობელი: 1) „თეატრი და კინო“—№ 5—6. № 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25 და 26. 2) „სამართალი“—№ 10. 3) „სახეინმერეკლამა“—№ 8—9.
2. ნ. ბუხარინი: „გესლიანი შენიშვნები“.
3. ს. დანელია: 1) „რევოლიუცია და სკოლა“—№ 10.
4. ვორონსკი: „წარსულიდან“—№ 4.
5. მ. ზანდუკელი: „რომანტიზმი ქართ. მწერლობაში“—№ 1.
6. ს. თარხნიშვილი: „აღ. და დიშ. ყაზბეგები“ № 7 და № 8—9.
7. რ. კალაძე: „ქართული საზოგადოება და ანტონ ფურცელიძე“ № 8—9.
8. კ. კაპანელი: „ოქტომბ. რევოლიუცია და იდეოლოგია“—№ 10.
9. მ. კახიანი: 1) „იდეოლოგიურ ფრონტზე“—№ 1. 2) „საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები“—№ 2.
10. ვ. კობეტიშვილი: „ქართული პოეტური ფოლკლორი“—№ 5—6.
11. ა. კრინიცკი: „ეროვნულ კულტურის საკითხ.“—№ 5—6.
12. ნ. კრუპსკაია: „რა მოსწონდა ილიას მხატვრ. ლიტერატურიდან“—№ 2.
13. ბ. ლომინაძე: „რუსეთის საკითხები კომ. ინტ. აღ. პლენუმზე“—№ 2.
14. კ. ორაგველიძე: „კოპერაციის სოციალ. ბუნება“—№ 8—9.
15. ა. შარტინოვი: „ჩინეთის რევოლიუციის ძალთა გადაჯგუფება“—პ 3.
16. კ. მეგრელიძე: „გერმანიის კაპიტალიზმის კრიზისი“—№ 1.
17. ა. მიქოიანი: „თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალური დერძი“—№ 3.
18. მუნბლიტი: „ემილ ზოლა“—№ 11—12.
19. გ. მუშიშვილი: „თანამედროვე ლიტერატურის ვითარება“—№ 11—12.
20. შ. ნუცუბიძე: „რევოლიუცია და მეცნიერება საქართველოს სინამდვილეში“—№ 10.
21. ვ. რადიანი: „სინზოლიზმი საქართველოში“—№ 7.
22. ი. სტალინი: „ჩინეთის რევოლ. და კომინტერნის ამოცანები“—№ 7.
23. ვ. ხუროძე: „იოსებ დავითაშვილის შემოქმედება“—№ 4.
24. პლ. ქიქოძე: „ოქტომბერი ქართულ მწერლობაში“—№ 10.
25. შებუცი: 1) „გორკი, როგორც ადამიანი“—№ 8—9, 2) „სულმათაშვილი-იუტინი“—№ 11—12.

მეცნიერება

1. მოსე გოგიბერიძე: 1) „ბენედიქტ სპინოზა“—№ 7. 2) „კაიზერლინგი“—№ 11—12.
2. ს. დანელია: „ჩემი პასუხი“—№ 11—12.
3. პ. ინგოროვცა: „რუსთაველიანაზე“—№ 3 და № 4.
4. ს. კაკაბაძე: „ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო“—№ 11—12.

5. პროფ. კ. კეკელიძე: 1) „რუსთაველიანა“—№ 2. 2) „კიდევ ევზის ტკო-
სნის შესახებ“—№ 5--6.
6. პროფ. შ. ნუცუბიძე: „ქართული გამოკვლევა ქსენოფანტის ცალკეულ ნაწი-
ლებზე“—№ 4.

ბიბლიოგრაფია

1. ვ. აღ—ლი: „ს. ხუნდაძე: „ქარ. ინტელ. პროფ. მე 19-საუკ.“—№ 2.
2. ს. ამალლობელი: 1) „Протъ Листъ межд. право“—№ 10.
2. ს. ა.—: „მემარცხნობა“—№ 8—9.
4. ა.: გ. ქუჩიშვილი: „შრომის და ბრძოლის სიმღერ.“—№ 2.
4. ვ. ბახტაძე: „შიო არაგვისპირელი“—№ 10. „ქართ. მწერ.“—№ 11—12.
6. ს. დანელია: „მ. გოგობერიძის რეცენზიის გამო“ № 4.
6. განი: 1) ა. შანშიაშვილი—„მოჯამაგირე ვაზო“. 2) „ძუღუ დაშრალი შო-
ბელი მიწა“ № 7.
7. დ. გვაზავა: დ. თოდურიძე—„საქართვე. ეკონომიკის საფუძვლები“ № 4.
8. შ. გოგობერიძე: 1) ს. დანელია—„ანტიკური მწერლობა“—№ 1. 2) „გან-
მარტება“—№ 3.
9. შ. ელი: ნ. მიწიშვილი—„წმინდანიანი“—№ 2.
10. კ—ძე: ალ. ნევეროვი —„ტაშკენტი—ქალაქი—პურის“—№ 1.
11. შ. ნ.: ს. ხუნდაძე—„სოც. ისტორიისათვის საქართველოში“—№ 7.
12. გ.—ლი: „ქართული მწერლობა“—№ 4—5.
13. მებუკე: სულიაშვილი—„ნაღვერდალი“.
14. შკითხველი: 1) რჩეულოვი—„ქერივის ლიმონები“. 2) შიო არაგვისპირელი
—„გაბზარული გული“—№ 3.
15. დ. რ. 1) კ. ლოპათიფანიძე—„ღიმილი“ № 7. 2) ალ. შაშაშვილი: „ლეკსები“.
16. პ. ქიქოძე: ე. პოლუმორდინოვი—„ვერცხლის ქაზარი“.
17. შხეფელი: „ი. დავითაშვილი—„ლეკსები“—№ 10.
18. უცნობი: აკ. პაპაია—„მეგრე ნესტორა“—№ 1.